780
2006

63

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუნჯი

3 – 4

2006

სუნჯი

(131)

მაისი

აგვისტო.

მსოფლიო ლიტერატურის მთარგმნელოგითი ჟურნალი

დამფუძნებლები: საქართველოს მწერალთა კავშირი და ჟურნალ „საუნჯის“ რედაქცია

2006, 3—4

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა და პოეზია

გაბრიელ გარსია მარკესი — ჩემი ნაღვლიანი მეძავების გახსენების შამს, (რომანი), ესპანურიდან თარგმნა **ელზა ახვლედიანმა** . . . 3

ვიზმა გელშევიცა. ლექსები. ლატვიურიდან თარგმნა **რენე კალანდიამ** . . 56

გრიგოლ რობაქიძე — ადოლფ ჰიტლერი (უცხოელი მწერლის თვალით), ესსე, გერმანულიდან თარგმნა **დალი ფანჯიკიძემ** . . . 68

რაინერ მარია რილკე — ლექსები, გერმანულიდან თარგმნა **ლულუ დადიანმა** 90

მილორად პავიჩი (სერბეთი) — ხაზარული სიტყვისკონა, თარგმნა **გურამ გოგიაშვილმა** 95

ალექსანდრ გლოკი — ლექსები, თარგმნა **სილოვან ნარიმანიძემ** 193

იოსიფ ბროდსკი — ძილისპირული. ლექსი, თარგმნა **თეიმურაზ ნადარეიშვილმა** 196

ივან გუნინი — მოთხრობები, თარგმნა **ლერი სიმონიშვილმა** . . . 197

უმღერიან საქართველოს — იაკუბ კოლასი, იანკა კუპალა, ოვანეს თუმანიანი,, სულეიმან რუსტამი, რასულ გამზათოვი — თარგმნა **სტეფანე მხარგრძელმა** 209

სამუელ ტეილორ კოლრიჯი, უილიამ უორდსუორთი—ლექსები, ინგლისურიდან თარგმნა **თამარ მხარგრძელმა** 214

გაბრატ შინკუბა — გაპოგილი ქვა, რომანი. გაგრძელება, თარგმნა **თამარ ჩიჯავაძემ** 216

წერილები

საუბარი **პირველ** ადამიანთა ცოდვით დაცემაზე — თარგმნა **ვასილ ბურკაძემ** 227

ლევ ტოლსტოი — აღსარება (გამოუქვეყნებელი თხზულების შესავალი), დასასრული. თარგმნა **ნანა ახობაძემ** 234

გაბრიელ გარსია მარკესი — 1982 წელს ლიტერატურის დარგში ნობელის **პრემიის** მინიჭებასთან დაკავშირებით გამართულ განკეტზე წარმოთქმული სიტყვა — ესპანურიდან თარგმნეს **ნინო მესტვირიშვილმა** და **ილია გასვიანმა** 260

ნინო მესტვირიშვილი — გაბრიელ გარსია მარკესი — მაგიური სამყაროს „მარტოსული“ შემოქმედი 262

ლევან აბულაძე — ნათესაური კავშირები ვაჟა-ფშაველასა და ანტონ ჩეხოვს შორის (მკითხველის დაკვირვებები) 267

იანუშ კორჩაკი — როგორ უნდა გავშვის სიყვარული (ინტერნატი), გაგრძელება. თარგმნა **ზაურ კილაძემ** 289

ვაჟა ჩორდელი — აქაც ქარგი კაცი იყო... 320

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ნანა დარჩია-ბოლქვაძე

სარედაქციო საბჭო:
ელზა ახვლედიანი
მანანა ამისულაშვილი
ნანა ასოგაძე
ჯემალ აჯიაშვილი
ნანა გართაია
გურამ გოგიაშვილი
ნანა გოგოლაშვილი
თამარ ერისთავი
რუსუდან ძეგულაძე
დალი ფანჯიკიძე
ეთერ ყურაშვილი
გივი შაჰნაზარი
ქეთევან ჩიჯავაძე

ვაჟა ჩორდელი
პ/მგ მდივანი

ჩვენი მისამართია: თბილისი , 380026. ღესელიძის ქ. № 4. ტელ.: 99-73-41, 33-46-80, 60-23-40.

გადაეცა წარმოებას 15. 03. 2006 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7. 08. 2006 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24.02, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფორმა. ტირაჟი 300. შეკვ. 70.

შ. პ. ს. „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბა.
თბილისი, მ. კოსტავას 14.

პროზა და პოეზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბრიელ გარსია მარკესი

ჩემი ნაღვლიანი მეძავების გახსენების ჟამს

ესპანურიდან

თარგმნა ეროზა ახვლედიანმა

4643
2

დიდი ხნის ნანატრი წიგნი, რომელიც დაიწერა ოცი წლის
დუმილის შემდეგ

— მას არ უნდა ჩაედინა უკადრისი საქციელი, — უთხრა მოხუცს მეფუნდუკე ქალმა. — მძინარე ქალისთვის არ უნდა ჩაედო თითი პირში ან გაეკეთებინა რაღაც ამდაგვარი.

იასუნარი კავაბატა — „მძინარე მზეთუნახავების სახლი“

I

ოთხმოცდაათი წლისა რომ გავხდი, გადავწყვიტე, დაბადების დღის აღსანიშნავად საკუთარი თავისთვის თავად მიმერთმია საჩუქარი — უბიწო გოგონასთან გიჟური სიყვარულის ღამე. როსა კაბარკასი გამახსენდა — იატაკქვეშა დაწესებულების დიასახლისი: როგორც კი „ქორფა“ გოგოს ჩაიგდებდა ხელში, მაშინვე თავის გულუხვ კლიენტებს ატყობინებდა. მე არ მიზიდავდა მისი ბილწი შემოთავაზებები, მას არ სჯეროდა ჩემი პრინციპების სიწმინდისა. „მორალი დროის საქმეა, — ღვარძლიანად ქირქილებდა ის. — მოვა დრო, თვითონ დარწმუნდები“. როსა ჩემზე ცოტათი უმცროსი იყო. რამდენი წელიწადია არაფერი ვიცი მის შესახებ. იქნებ აღარც არის ცოცხალი, მაგრამ ყურმილში მომესმა თუ არა ხმა, მაშინვე ვიცანი — როსა იყო. მოკლედ მოვჭერი:

— დღეს—კი.

როსა კაბარკასმა ამოიოხრა: „ეჰ, ჩემო ნაღვლიანო ბრძენკაცო, მთელი ოცი წელი სადღაც გადაიკარგები, მერე უცებ გამოჩნდები

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმისათვის, რომ შეუძლებელი მთხოვო". მაგრამ ხელობა მაინც ხელობაა და როსამაც ასარჩევად რამდენიმე ვარიანტი შემომთავაზა. ამაოდ დაშვრა: ყველანი ხმარებაში გაცვეთილი ყოფილები იყვნენ. უსათუოდ ქალწული და უსათუოდ ამაღამ-მეთქი, — ვთქვი შეუვალად. როსა დაიბნა: „კი მაგრამ, რისი იმედი გაქვს, რა გინდა [illegible] — განიცადო?" „არაფერი, — როსამ მტკივნეულ ადგილზე დამადგა ფეხი, — მშვენივრად ვიცი, რა შემიძლია და რა არ შემიძლია". როსა ცოტა დამშვიდდა: „ბრძენმა ხალხმა ყველაფერი იცის და მაინც ყველაფერი არ იცის. ამქვეყნად ერთადერთი „ქალწულები" თქვენ ხართ, აგვისტოს თვეში ამ ნიშნით დაბადებულები. რატომ ადრე არ გამაფრთხილე?" „ალმაფრენა წინასწარ არაფერს გითანხმებს", — ვთქვი მე. „მაგრამ მოცდა შეუძლია". რაკი როსამ ყოველთვის ყველაფერი მამაკაცებზე უკეთ იცოდა, მთხოვა, იქნებ ერთი-ორი დღე მაცალო, საგულდაგულოდ გადავხედავ ჩემს „ბაზარსო". სრულიად სერიოზულად ვუპასუხე, ასეთ საქმეში ჩემი ასაკის კაცისთვის ყოველი დღე წელიწადს უდრის-მეთქი. „ეშმაკმა დალახვროს, რაც არის, არის, — გადაწყვიტა როსამ უცბად. — არა უშავს, მგონი, უფრო საინტერესოცაა. ერთ საათში დაგირეკავ!"

ბევრი ლაპარაკი არ ჭირდება იმას, რაც შორიდანაც კარგად ჩანს: მე ერთი ულამაზო, მორიდებული და ძველმოდური კაცი ვარ, მაგრამ რაკი არ მსურდა ასეთი ვყოფილიყავი, თავს ისე ვაჩვენებდი ყველას, თითქოს ყველაფერი სწორედაც რომ პირიქით იყო, ოღონდ — დღეს დილამდე. დღეს დილით კი გათენებულზევე მტკიცედ გადავწყვიტე, ბოლოს და ბოლოს მეთქვა საკუთარი თავისთვის — თუნდაც სინდისის დასამშვიდებლად — რაც ვარ და ვინც ვარ სინამდვილეში. ჰოდა, დავიწყე კიდეც საქმე როსა კაბარკასთან უჩვეულო სატელეფონო საუბრით. როგორც ახლა მესმის, ეს იყო ახალი ცხოვრების დასაწყისი იმ ასაკში, როცა უბრალო მოკვდავთა უმეტესობა, როგორც წესი, უკვე მიცვალებულია.

ვცხოვრობ კოლონიური სტილის სახლში სან ნიკოლას პარკის მზიან მხარეს. ამ სახლში გავატარე მთელი ჩემი უქალო და უსახსრო ცხოვრება. აქ ცხოვრობდნენ და აქ განერიდნენ სიცოცხლეს ჩემი მშობლები. მეც აქ გადავწყვიტე სიკვდილი მარტოობაში და იმ საწოლში, რომელზეც დავიბადე; აქ უნდა დაველოდო იმ დღეს, რომელიც, ძალიან მინდა, ცოტა მოგვიანებით და უწვალებლად მოვიდეს. ეს ორსართულიანი შენობა მამაჩემმა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს იყიდა. ქვემო სართული ერთ იტალიურ კონსორციუმს მიაქირავა და იმათაც იქ დიდებული მაღაზია გამართეს. მამამ ზემო სართული თავისთვის დაიტოვა. აქ დაქორწინდა იგი ამ იტალიელთაგან ერთ-ერთის ქალიშვილზე — ფლორინა დე დიოს კარგამანტოსზე. ფლორინა სილამაზით დაეჯილდოვებინა ღმერთს, საუცხოოდ უკრავდა მოცარტს, იყო პოლიგლოტი და გარიბალდელი. და რაც მთავარია, მთელ ქალაქში გამოირჩეოდა ერთი განსაკუთრებული ნიშნით: იგი ჩემი დედა იყო.

დიდსა და ნათელ სახლს თაბაშირის თაღები, ფლორენციული მოზაიკით ჭადრაკულად დაგებული იატაკი და აივანზე გამავალი ოთხი

დიდი შემინული კარი აქვს. აივანი სარტყელივით არტყია მთელ სახლს. დედაჩემი და მისი კუზინები მარტის საღამოობით სხდებოდნენ ხოლმე აივანზე და სასიყვარულო არიებს მღეროდნენ. აქედან კარგად ჩანს სან ნიკოლას პარკი, ტაძარი და ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლი, იქით, ცოტა მოშორებით, სანაპიროსკენ ღვინის სარდაფებია, სარდაფებს უკან კი დიდი მდინარე მაგდალენა გადაჭიმულა ფართო სივრცეზე. სახლში ერთადერთი შემაწუხებელია მზე. მთელი დღის განმავლობაში ხან ერთ ფანჯარას მოადგება, ხან მეორეს. და მეც, სიესტის მსუბუქალე საათებში ცოტა ხნით მაინც რომ მოვატყუო თვალი, ფანჯრებზე სქელი ფარდების ჩამოფარება მიწევს. ოცდათერთმეტი წლის ვიყავი, როცა მარტო დავრჩი ამ სახლში. ჩემი მშობლების საძინებელ ოთახში გადავბარგდი, ბიბლიოთეკის კარიც გავაღე და... საერთოდ, თუკი რამ ზედმეტი მეჩვენა პირადად ჩემთვის, ყველაფრის გაყიდვას მივყავი ხელი. ზედმეტი კი ჯერჯერობით თითქმის ყველაფერი აღმოჩნდა წიგნებისა და ლილვაკებიანი პიანოლის გარდა.

ორმოცი წელიწადი „დიარიო დე ლა პას"-ში ვმუშაობდი „ახალ ამბებზე". აქაურ მოსახლეობას მსოფლიოს ამბებს ვაცნობდი, ამბებს კი თავად ვიჭერდი ციურ სივრცეში მოკლე ტალღებზე ფრენისას, ან მორზეს ანბანს ვიშველიებდი. დღესდღეობით, კი არ ვცხოვრობ, უფრო ვარსებობ იმ პენსიით, რომელიც აწ უკვე ჩამკვდარი საქმიანობისთვის მერგო. მცირე საფასურად ვასწავლი ლათინურსა და ესპანური ენის გრამატიკას, თითქმის არაფერს მიხდიან საკვირაო წერილებში, რომელთაც აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, დაუღალავად ვაცხობ და ვაცხობ. ასევე გროშსაც არ მიხდიან მუსიკასა და თეატრზე დაწერილ პატარ-პატარა სტატიებში, რომლებსაც ვაქვეყნებ თითქმის ყოველთვის, როცა კი ცნობილი მსახიობები და მუსიკოს-შემსრულებლები ჩამოდიან ჩვენთან. სხვა საქმე არც ვიცი და არც არასოდეს მიკეთებია, მხოლოდ ვწერდი. განსაკუთრებული ნიჭი ნამდვილად არ გამაჩნია, არც ამ საქმისადმი მოწოდება მაწუხებს ძალიან, არც დრამატურგიული კომპოზიციების კანონებისა გამეგება რამე ღრმად. ამ საქმეს მხოლოდ იმიტომ მოვკიდე ხელი, რომ მჯერა ცოდნის ძალისა, რომელსაც მთელი ცხოვრება ვისრუტავდი წიგნებიდან. უხეშად რომ ვთქვა, გვარში ღირსებასა და ბრწყინვალებას მოკლებული ნაბოლარა ვარ, რომელსაც არაფერი ექნებოდა შთამომავლობისთვის დასატოვებელი, რომ არა ის ამბავი, რომელიც მე შემემთხვა და რომელზეც გიამბობთ ამ მოგონებაში — ჩემს უდიდეს სიყვარულზე.

საკუთარი დაბადების დღე — ოთხმოცდაათი რომ შემისრულდა — როგორც ყოველთვის, დილის ხუთ საათზე გამოღვიძებულს გამახსენდა. ერთადერთი საქმე, რაც ამ დღეს უნდა გამეკეთებინა, საკვირაო სტატია იყო „დიარიო დე ლა პასისთვის". დილის სიმპტომები იდეალურად მიწყობდა ხელს, სულაც არ მეგრძნო თავი ბედნიერად: ძვლები მტეხდა, უკანა ტანში ცეცხლი მეკიდა, ესეც არ იყოს, სამი თვის გვალვის შემდეგ ჭექა-ქუხილი სერავდა ზეცას. ხელ-პირი დავიბანე, თაფლიანი ყავა დავლიე, ორი ღვეზელიც მივაყოლე და საშინაო ტილოს ხალათი ჩავიცვი.

იმდღევანდელი სტატიის თემას, რა თქმა უნდა, ჩემი ოთხმოცდაათი წელი წარმოადგენდა. ასაკზე არასოდეს მიფიქრია, ისევე როგორც არ მიფიქრია, ვთქვათ, სახურავი არის თუ არა საღმე ვახვრეტილი... რამდენმა წყალმა ჩაიარა, რამდენმა ზამთარმა თუ ზაფხულმა...

ბავშვობაში გამიგონია, როცა ადამიანი კვდება, [illegible] დაბუდებული ტილები შეშინებული იფანტებიან თურმე ბალიშზე ახლობლების სამარცხვინოდ. გაგონილმა ისე დამზაფრა, რომ მახსოვს, სკოლაში წასვლისას თმა პირწმინდად გადავაპარსინე, ხოლო აქამდე შემორჩენილ ორ-სამ ღერ ამობიბინებულ ბალანს ძაღლებისთვის განკუთვნილ იასამნის საპნით ვიბან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, როგორც ახლა ვაანალიზებ, სირცხვილის გრძნობა უფრო მძაფრად ჩამომიყალიბდა ბავშვობიდანვე, ვიდრე წარმოდგენა სიკვდილზე.

უკვე რამდენიმე თვეა ვფიქრობ ჩემს საიუბილეო სტატიაზე. იგი განვლილ წლებზე საყოველთაოდ მიღებული ვიშვიშით კი არა, სიბერის განდიდებით იქნება გაჯერებული. ნეტავ როდის მივხვდი, რომ დავბერდი? ჰო, გავიხსენე, თურმე სულ ახლახან, ლამის გუშინ მივმხვდარვარ ამას. ორმოცდაორი წლის ვიყავი, ზურგი რომ ამტკივდა და სუნთქვაც გამიძნელდა. წავედი ექიმთან. მან არაფრად ჩააგდო ჩემი წუხილი: „თქვენს ასაკში ეს ნორმალური მოვლენაა", — მითხრა მან.

— მაშინ ჩემი ასაკი ყოფილა არანორმალური, — არ შევეპუე მე.

ექიმმა სიბრალულით გამიღიმა: „ფილოსოფოსობთ?" პირველად სწორედ მაშინ დავიწყე ფიქრი სიბერეზე ჩემს ასაკთან მიმართებაში, მაგრამ მალე გადავივიწყე. უკვე მივეჩვიე, ყოველ დილით რაღაცის ტკივილი მაღვიძებს. წლებთან ერთად ტკივილიც მემატება, ხან რა მტკივა და ხან რა, ხან ნაკლებად, ხან მეტად. ზოგჯერ მომჩვენებია, სიკვდილი მიკაკუნებს კარზე და მორჩა, აღარაფერი მეშველება-მეთქი, მაგრამ მეორე დღეს ისე მიგრძნია თავი, ვითომ არც არაფერი მტკენოდეს როდისმე. გამიგონია, კაცი რომ დროთა განმავლობაში მამას ემსგავსება, სწორედ ეგ არის სიბერის ნიშანიო. მე, ეტყობა, მარადიული ახალგაზრდობა მაქვს დაბედებული, რადგან ჩემი ცხენისებური პროფილი არასოდეს დაემსგავსება არც მამაჩემის კარიბულ პროფილს და მით უმეტეს, არც დედაჩემისას, რომელსაც რომაელი იმპერატორის პროფილი ჰქონდა. საქმე ის არის, რომ სიბერის პირველი ნიშნები ისე ნელ-ნელა გეპარება, რომ თითქმის ვერც ამჩნევ, რადგან შინაგანად არ იცვლები, იგივე ხარ, რაც იყავი წლების წინ. სამაგიეროდ სხვები ამჩნევენ შენს ცვლილებას.

მეხუთე ათეულში გადამდგარი თანდათან ვხვდებოდი, რა იყო სიბერე. შევამჩნიე, მეხსიერება ხანდახან მღალატობდა. რამდენჯერ გადამიბრუნებია მთელი სახლი სათვალის ძებნაში და ბოლოს საკუთარ ცხვირზე მიპოვნია. რამდენჯერ სათვალიანი შევმდგარვარ შხაპქვეშ... ერთხელაც მეორედ ვისაუზმე, თუმცა ახალი ნასაუზმევი კი ვიყავი. ჩემი მეგობრებიც გვარიანად შეშფოთდნენ, ერთი კვირის წინ მოყოლილი ამბავი ხელმეორედ რომ ვუამბე. მართალია, ბევრი ნაცნობისა თუ მეგობრის სახელი მეხსიერებაში ჯერ კიდევ მქონდა შემონახული,

მაგრამ მისალმებისას ვერაფრით ვუკავშირებდი ერთმანეთთან სახელსა და პიროვნებას.

სექსის საკითხში ასაკი არასოდეს მადარდებდა, რადგან ჩემი შესაძლებლობები იმდენად ჩემზე არ იყო დამოკიდებული, რამდენადაც ქალზე. ქალებს თუ უნდათ, ძალიან კარგად იციან, რა დროს რა და როგორ არის საჭირო. დღეს სასაცილოდ არ მყოფნის ოთხმოცი წლის ბიჭების საქციელი. როგორც კი რაღაც არ გამოუვათ, მაშინვე ექიმთან გარბიან, ის კი არ იციან, ოთხმოცდაათი წლისანებს უარესი რომ დაემართებათ, მაგრამ აზრი აღარაფერს ექნება: ეს რისკი — შურისძიებაა იმისათვის, რომ ცოცხალი ხარ. და ცხოვრების, სიცოცხლის დღესასწაულიც სწორედ ის არის, რომ მოხუცების მეხსიერება დიდხანს არ იჩერებს გონებაში ნაკლებად არსებით ამბავს და მხოლოდ ძალზე იშვიათად გვღალატობს იგი მართლაც რაღაც მნიშვნელოვანის დროს. ციცერონმა ეს მოვლენა ერთ ფრაზაში ჩაატია: „არ არსებობს მოხუცი, დაავიწყდეს, სად გადამალა განძი“.

ამ ნაფიქრსა და განსჯილს კიდევ რაღაც-რაღაცები დავუმატე და პირველი შავად ჩანაწერი რომ დავამთავრე, აგვისტოს მზემ იფეთქა კიდეც პარკის ნუშის ხეებში და სამდინარო-საფოსტო გემიც გვალვის გამო ერთი კვირის დაგვიანებით შემოგუგუნდა პორტში. აი, მოცურავს ჩემი ოთხმოცდაათი წელი-მეთქი, გავივლე გუნებაში. ვერ ვიტყვი, რატომ და ალბათ ვერც ვერასოდეს გავიგებ ამას, მაგრამ შელოცვასავით იყო თუ რა იყო, წამში გადავწყვიტე როსა კაბარკასთან დამერეკა და მეთხოვა, დამხმარებოდა ჩემი იუბილეს აღსანიშნავ თავაწყვეტილი ღამის მოწყობაში. უკვე რამდენი წელიწადია უშფოთველად ვარსებობთ მეც და ჩემი სხეულიც, რამდენი წელიწადია დავბორიალობ ჩემი საყვარელი ლათინელი ავტორების წაკითხულ-გადაკითხულ წიგნებში, თავით ფეხამდე ვარ ჩაფლული კლასიკურ მუსიკაში, მაგრამ იმ დღეს ისეთმა სურვილმა წამომიარა, ნამდვილად ღვთის ნიშნად მივიღე. სატელეფონო საუბრის შემდეგ წერის თავი აღარ მქონდა. ჰამაკი ბიბლიოთეკის იმ კუთხეში გავკიდე, სადაც დილაობით მზე არ აღწევს, და ჩავწექი. გული მეწურებოდა მტანჯველ მოლოდინში.

დედაჩემი პატარაობიდანვე მანებივრებდა. იგი მრავალმხრივ განათლებული ქალი იყო. ორმოცდაათი წლისა გარდაიცვალა ჭლექით. მამაჩემმა, უწესიერესმა პიროვნებამ, ვისაც ცხოვრებაში, მგონი, ერთი შეცდომაც კი არ მოსვლია, თავის ეულ საწოლში, ქვრივი კაცის საწოლში დალია სული განთიადისას. სწორედ ამ დღეს მოეწერა ხელი ნეერლანდიის პაქტს, რომელმაც წერტილი დაუსვა გასულ საუკუნეში წამოწყებულ ათასდღიან ომსა და, საერთოდ, არაერთ სამოქალაქო ომს. მშვიდობამ სრულიად მოულოდნელად და არასასურველად შეცვალა ქალაქი. თავისუფალი ქალების ტალღამ აავსო ღვინის სარდაფები „ფართო ქუჩაზე“, რომელსაც შემდგომში აბელიოს ქუჩა დაერქვა. ამჟამად კი კოლუმბის პროსპექტი გახდა ამ ასერიგად საყვარელ ქალაქის გულში, ქალაქისა, რომელიც ერთნაირად უყვარს თავისიანსაც და უცხოელსაც გულკეთილობისა და კაშკაშა შუქის გამო.

უფულოდ არცერთ ქალთან არ ვწოლილვარ. ძალზე იშვიათად, როცა არაპროფესიონალთან მიწევდა დაწოლა, ვცდილობდი ძალით მიმეცა ფული, იმასაც აეღო და მერე თუნდაც ნაგავში გადაეყარა. ოცი წლის ასაკიდან შევადგინე მათთან ანგარიშსწორების დავთარი. ვიწერდი სახელს, ასაკს, შეხვედრის ადგილს, საერთოდ ვითარებასა და თვითეულის სტილს. ორმოცდაათი წლისას სიაში უკვე ასთან თოთხმეტი ქალი მყავდა ჩაწერილი, აქ ერთხელ ნამყოფებიც ერია. ჩაწერა მხოლოდ მაშინ შევწყვიტე, როდესაც სხეულს ძველებური სიჩაუქე წაერთვა. ახლა უკვე გონებაში ვიწერდი, უქაღალდოდ. მე ჩემი ეთიკა მქონდა. არასოდეს ვმონაწილეობდი ჯგუფურ სექსში ან ხალხმრავალ ადგილას, არასოდეს არავისთვის გამინდვია ჩემი სხეულისა თუ სულის თავგადასავალი, რადგან ბავშვობიდანვე ვიცოდი, არც ერთი და არც მეორე დაუსჯელი არ დარჩებოდა.

მხოლოდ ერთადერთი და ისიც უჩვეულოზე უჩვეულო კავშირი წლობით გრძელდებოდა ერთგულ დამიანასთან. იგი თითქმის ბავშვი იყო, — ძლიერი და ველური ბავშვი, — ჩემთან რომ მოიყვანეს. ინდიელთა სისხლი ჩქეფდა მის ძარღვებში, ლაპარაკობდა ცოტას და დაჯერებულად. სახლში ფეხშიშველი დადიოდა, ჩემთვის რომ ხელი არ შეეშალა წერისას. მახსოვს, ერთხელ დერეფანში გაკიდულ ჰამაკში ვიყავი ჩაწოლილი, ვკითხულობდი, შემთხვევით დავინახე, ვარცლზე დახრილ რეცხვაში გართულ დამიანას ქვედა კაბა ასწეოდა და მადის აღმძვრელი წვივები უჩანდა. ცეცხლი მომეკიდა, ჰამაკიდან გადმოვხტი, ვეცი, ნიფხავი მუხლებამდე ჩავხადე, წავკუზე და უკნიდან ვატაკე. „ოი, სენიორ, — საწყალობლად შეჰყვირა მან. — ეს შესასვლელი კი არა, გამოსასვლელია". მთელი ტანით ცახცახებდა, მაგრამ ბოლომდე გაუძლო. თავად ვიგრძენი თავი შეურაცხყოფილად იმის გამო, რომ ის შეურაცხვყავი. მინდოდა ორჯერ მეტი ფული გადამეხადა მისთვის, იმაზე მეტი, ვიდრე ძვირად ღირებული კახპები იღებდნენ იმ ხანებში, მაგრამ დამიანამ უარი მტკიცა. სამაგიეროდ ხელფასი გავუზარდე, რათა მეხმარა იგი რეცხვისას და ყოველთვის — უკნიდან.

ერთხელაც ის იყო გავიფიქრე, იქნებ ეს საწოლის არითმეტიკა ჩემი გზაარეული ცხოვრების აღწერისას გამომადგეს-მეთქი, რომ სათაურიც იმწამსვე თითქოს ციდან ჩამოვარდა: „ჩემი ნაღვლიანი მეძავების გახსენების ჟამს". რაც შეეხება ჩემს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ის ნაკლებად საინტერესო იყო: ობოლი, უმომავლო ბერბიჭა, კარგი ჟურნალისტი, ოთხგზის ფინალისტი კარტახენა დე ინდიასში გამართულ „ყვავილების თამაშებში" და კარიკატურისტების ამოჩემებული ობიექტი უმაგალითო სიუშნოვის წყალობით. მოკლედ: დაღუპული ცხოვრება მქონდა და დაღუპულად წავიდა იმ დღიდან, როცა დედაჩემმა ხელჩაკიდებული მიმიყვანა „დიარიო დე ლა პასში" იმის გასარკვევად, დაბეჭდავდნენ თუ არა ჩემს ქრონიკას სკოლის ცხოვრებიდან, რომელიც ესპანური ენისა და რიტორიკის გაკვეთილზე დავწერე. დაბეჭდეს კვირის ნომერში და ზედაც დირექტორის დიდი იმედების მომცემი წინათქმაც დაურთეს. წლების მერე გავიგე, თურმე დედაჩემს ამ პუბლიკაციისა და მომდევნო შვიდი პუბლიკაციის გამოსაქვეყნებლად

ფული გადაუხდია. სირცხვილით ტანჯვა დაგვიანებული იყო. ჩემმა ყოველკვირეულმა საგაზეთო სვეტმა მალე საკუთარი ფრთები შეისხა, მეც უკვე ახალი ამბების შემდგენელი და კრიტიკოსი გახლდით მუსიკის დარგში.

როგორც კი ბაკალავრის ხარისხი და წარჩინებულის დიპლომი მივიღე, ერთდროულად სამ კოლეჯში დავიწყე მუშაობა ესპანური და ლათინური ენების მასწავლებლად. უნდა ვაღიარო, მასწავლებლად ვერ ვივარგე. არც საკმარისი განათლება გამაჩნდა, არც მოწოდება და თქვენ წარმოიდგინეთ, არც უბედური ბავშვების მიმართ თუნდაც ერთი ბეწო სიბრალულისა. მათთვის ხომ სკოლა იოლზე იოლი საშუალება იყო გაქცეოდნენ მშობლების ტირანიას. ერთადერთი, რისი გაკეთებაც მე შემეძლო მათთვის — ეს იყო შიში ჩემი ხის სახაზავის მიმართ და გაკვეთილებიდან, სხვა თუ არაფერი, ჩემს საყვარელ პოეტურ სტრიქონებს ჩასწვდენოდნენ: „ყველაფერი, რასაც ახლა ხედავ, ფაბიო, სევდიანი ბორცვია მხოლოდ, უკაცრიელი ხეობაა, ოდესღაც კი დიდ იტალიკად იწოდებოდა“. მხოლოდ სიბერეში და ისიც შემთხვევით გავიგე, მოსწავლეებს რა საძაგელი სახელი შეურქმევიათ ჩემთვის — „სევდიანი ბორცვი“.

აი, ეს არის ყველაფერი, რაც ცხოვრებამ მიბოძა, მე კი თითიც არ გამინძრევია, მეტი მიმელო მისგან. დასვენებაზე მარტო ვსადილობდი, სალამოს ექვს საათზე რედაქციაში მივდიოდი და ვარსკვლავურ სივრცეში სიგნალებს ვიჭერდი. ღამის თერთმეტ საათზე რედაქცია იკეტებოდა და ჩემი ნამდვილი ცხოვრებაც მაშინ იწყებოდა. კვირაში ორჯერ თუ სამჯერ ღამეს ჩინურ კვარტალში, ჭრელაჭრელა ხალხში ვატარებდი. ორჯერ მოვიპოვე „წლის კლიენტის“ გვირგვინი. მახლობელ კაფე „რომში“ ვახშმობის მერე ალალბედზე ვირჩევდი რომელიმე ბორდელს და სამარქაფო შესასვლელით ჩუმად ვიპარებოდი შიგნით. პირველად სიამოვნებისთვის დავდიოდი იქ, მერე და მერე იქაურობა ჩემი სამუშაოს ნაწილი გახდა. ენადგაკრეფილი ბონზები მეძავებთან ერთ ღამეში ფქვავდნენ სახელმწიფო საიდუმლოებებს და ფიქრადაც არ მოსდიოდათ, მუყაოს თეჯირს მიღმა სხვებსაც რომ ესმოდათ. სწორედ ამ გზით — აბა, სხვანაირად ვინ გამიბედავდა პირში თქმას! — გავიგე, ჩემს უსიხარულო ბერბიჭულ ცხოვრებას პედერასტობისკენ მიდრეკილებით ხსნიდნენ თურმე, ბინძურ ჟინს კარმენის ქუჩის ბიჭბუჭებთან იკმაყოფილებსო. ჩემდა საბედნიეროდ, დავივიწყე ეს ყველაფერი როგორც ბევრი სხვაც, რადგან იმავდროულად ბევრი კარგიც მესმოდა ჩემზე და ღირსეულად შემიფასებია და შემიფერებია კიდეც.

ახლო მეგობრები არასოდეს მყოლია, ისინი კი, ვისთანაც მომიწია დაახლოება, თითზე ჩამოსათვლელი და თანაც ნიუ-იორკში იყვნენ გადასულები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, მოკვდნენ, რამეთუ, ჩემი აზრით, სწორედ იქით მიეშურებიან მწუხარე სულები თავიანთი წარსული ცხოვრების სიმართლის დასავიწყებლად. რაც პენსიაზე გავედი, საქმეებიც შემიმცირდა. პარასკეობით სალამო ხანს მიმქონდა სტატია რედაქციაში, „ბელ არტეს“ დარბაზში კონცერტებს ვესწრებოდი, სამ-

ხატვრო ცენტრში, სადაც წევრ-დამფუძნებელიც ვიყავი, ნახატების გამოფენას ვაწყობდი, საზოგადოებრივი კეთილმოწყობის საზოგადოებაში ლექციებს ვკითხულობდი, არ ვტოვებდი არც ერთ მნიშვნელოვან მოვლენას, მაგალითად, თეატრ „აპოლოში“ გამართულ ფაბრეგასის ფილმების ჩვენებას. ახალგაზრდობაში საზაფხულო, [illegible] თეატრში დავდიოდი. იქ ერთნაირი წარმატებით შეგეძლო მთვარის დაბნელებისთვისაც გედევნებინა თვალი და მოულოდნელად წამოსულ შხაპუნა წვიმაში გალუმპულს ორივე ფილტვის ანთებაც აგეკიდებია. ფილმებზე მეტად ღამის ჩიტუნიები მიზიდავდნენ. ყველაფერზე იყვნენ თანახმანი კინოს ბილეთის ფასად, ზოგჯერ უფულოდაც მოგყვებოდნენ და თქვენ წარმოიდგინეთ — ნისიადაც. მოკლედ, კინო ჩემი ჟანრი არ არის. შირლი ტემპლის ურცხვობის კულტი ხომ ყელში მქონდა ამოსული.

მოგზაურობით სულ ოთხჯერ ვიმოგზაურე. ოცდაათი წლისა არც ვიყავი, კარტახენა დე ინდიასში „ყვავილთა თამაშებზე“ რომ გავემგზავრე პირველად. ერთხელ კიდევ საკრამენტო მონტელიას მიწვევით მისივე ბორდელის საზეიმო გახსნაზე ძრავიანი ნავით წავედი სანტამარიაში და საშინელი ღამეც გადავიტანე მგზავრობისას. რაც შეეხება ჩემს შინაურულ ცხოვრებას, წუნია არ ვარ, ცოტას ვჭამ, ახლა მით უმეტეს: დამიანა დაბერდა, სადილს ველარ მიმზადებს და ჩემი ყოველდღიური საჭმელიც კარტოფილი გახდა, რომელსაც გემრიელად მივირთმევ კაფე „რომში“.

ერთი სიტყვით, როსა კაბარკასის ტელეფონის ზარის მოლოდინში ვერც ვისადილე და ვერც კითხვას დავუდე გული. ნაშუადღევის ორ საათზე ჯოჯოხეთურად ცხელოდა. ყურისწამღებად ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინობელები. მზე ფანჯრებს ისე აცხუნებდა, ჰამაკს ადგილი შევუცვალე. რაც თავი მახსოვს, სულ სიცხეა ჩემი დაბადების დღეს/და თითქოს მივეჩვიე კიდეც ამას, მაგრამ ახლა განსაკუთრებულად გაუსაძლისი პაპანაქება იდგა. ვბორგავდი, სული მეხუთებოდა. საათი ოთხს უჩვენებდა. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო, იქნებ ცოტა დავმშვიდდე-მეთქი, იოჰან სებასტიან ბახის ვიოლონჩელისთვის შექმნილი ექვსი სიუიტა ჩავრთე პაბლო კაზალსის შესრულებით. ჩემი აზრით, თუ რამ ბრძნულია მუსიკაში, ეს — სიუიტებია. მაგრამ რატომღაც ახლა დამშვიდების ნაცვლად უმძიმეს პროსტრაციაში ჩამაგდეს. მეორე სიუიტაზევე — რომელიც ცოტა შფოთიანი მეჩვენება — მომერია რული. ძილგურანში წასულს მესმოდა, ვიოლონჩელის მუდარას როგორ ერთვოდა პორტიდან გამავალი გემის გაბმული გუგუნი. ტელეფონის ზარმა თიქმის მაშინვე გამომაღვიძა, როსა კაბარკასის ყლრიალა ხმამ სწრაფად დამაბრუნა ცხადში. „უმართლებთ გიჟებს, — თქვა მან. — გიპოვე ვარიკელა, შენ რომ გინდოდა, იმაზე უკეთესი. მაგრამ მეშინია, სათაბალაში არ გავეხვიოთ: გოგონას სულ ახლახან შეუსრულდა თოთხმეტი წელი“. „არა უშავს, საფენებს გამოვუცვლი“, — ვიხუმრე მე, თუმცა შევატყვე, როსა ბოლომდე არ ამბობდა სათქმელს. „შენ რა გენაღვლება, — თქვა მან ცოტაოდენი დუმილის შემდეგ. — სამი წლის ციხეს ვინ ამაცილებს, ფულს ვინ გადამიხდის?“

არავის არასდროს არაფერი გადაუხდია მით უმეტეს, როსას. ის ხომ თავის მოსავალს სწორედ მცირეწლოვანთა წყალობით ოდებდა! მისი დუქნის მთავარი საქონელი ხომ პატარა გოგონები იყვნენ. ისინი ხომ მასთან დგამდნენ პირველ ნაბიჯებს, როსაც მანამ წურავდა მათ, სანამ გოგონები არ გადადიოდნენ დიპლომირებული მეძავების ფერო მკაცრი ცხოვრების წესზე შავი ეუფემიას ცნობილ ბორდელში. როსა კაბარკასს არასოდეს გადაუხდია ჯარიმა, მისი სახლი ხომ არკადიას წარმოადგენდა აქაურ ხელისუფალთათვის დაწყებული გუბერნატორიდან დამთავრებული მერიის კანცელარიის ვირთხამდე. ჰოდა, ძნელი წარმოსადგენი იყო ამ დაწესებულების დიასახლისს ძალაუფლება არ ჰყოფნოდა თავისდა სასარგებლოდ დაერღვია კანონი. ასე რომ, მისი დაგვიანებული ვითომ წუხილი, ეტყობა, მხოლოდ ერთი ჩანაფიქრისთვის იყო გამიზნული; რაც შეიძლება მეტი ფასი დაედო თავისი გარჯისთვის და მომსახურებისთვის — ძნელია, მაშასადამე, ძვირია. ყველაფერი მოგვარდა ორი პესოს დამატებით, მოვილაპარაკეთ, ზუსტად ათ საათზე მე უნდა მივიდე როსასთან „სახლში" და წინასწარ გადავიხადო ნაღდი ფული ხუთი პესო. ოღონდ არავითარი აღრე მისვლა, თუნდაც ერთი წუთით აღრე! გოგონამ ჯერ უმცროს ძმებს უნდა აჭამოს, დააძინოს, მერე რევმატიზმიან დედას მიხედოს, ლოგინში ჩააწვინოს.

რჩებოდა ოთხი საათი. იმისდა მიხედვით, როგორ გადიოდა დრო, გული მწველი ქაფით მევსებოდა, სუნთქვა მიჭირდა. ვიფიქრე, მოვემზადები, გამოვეწყობი და ამასობაში დროც გავა-მეთქი, მაგრამ ამაოდ გავისარჯე, რა თქმა უნდა, დიდი ვერაფერი დრო ვერ მოვიგე, თუმცა ნელა, აუჩქარებლად ვაკეთებდი ყველაფერს, დამიანამაც აღნიშნა, სენიორ ეპისკოპოსივით იცვამთო. წვერი გავიპარსე, მერე საშხაპეში შევედი, იქ ცოტა ხანს მომიწია დაცდა, ვიდრე მზეზე გაცხელებული წყალი წამოვიდოდა მილში... სანამ ტანს ვიმშრალებდი, ისევ გავოფლიანდი. დავიწყე ჩაცმა დღევანდელი საღამოსა და ვითარების შესაფერისად. ჩავიცვი საყელოგახამებული ლურჯზოლებიანი პერანგი, თეთრი ტილოს პიჟაკი, ცინკის მათეთრებლით გაახლებული შტიბლეტი, ყელზე ჩინური აბრეშუმის ჰალსტუხი გავინასკვე და ლაცკანის ღილკილოზე ძეწკვით დავიმაგრე ოქროს საათი. ბოლოს კი შარვლის ტოტები შევიკეცე შიგნით, რათა არავის შეემჩნია, ერთი მტკაველით რომ დავპატარავდი.

წუწურაქს მეძახიან, ეს იმიტომ, რომ არავინ იცის, წარმოდგენაც კი არ აქვთ, რა ღარიბი ვარ. ეს ღამე კი მართლაც ძვირი დამიჯდება, ჩემი ჯიბე ვერ გაწვდება. საწოლქვეშ სკივრში ფული მაქვს გადანახული. ორი პესო ოთახის ქირისთვის მჭირდება, ოთხი — საროსკიპოს პატრონისთვის, სამი — გოგონასთვის და ხუთიც ჩემთვის საუზმისა და სხვადასხვა წვრილმანებისთვის. სხვანაირად რომ ვთქვა, ის თოთხმეტი პესო გავხარჯე, გაზეთმა რომ გადამიხადა საკვირაო წერილებში. ფული ქამარზე მიკერებულ საიდუმლო ჯიბეში შევინახე და ოდეკოლონი „აგუა დე ფლორიდა" მივისხურე. უცებ შიშმა ამიტანა, მაგრამ რვა საათის ზარის პირველსავე ჩამოკვრაზე ოფლად გახვითქული სიბნელეში ხე-

ლის ცეცებით დავეშვი კიბეზე და გავედი დიდი მოლოდინების კაშკაშა ღამეში.

ქუჩა განათდა. პროსპექტზე ცარიელ ტაქსებს შორის ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი კაცები ხმამაღლა კამათობდნენ ფეხბურთზე. აყვავებულ ოლეანდრების ხეივანში სასულე ორკესტრი ვალსს ეკრიალებდა. ერთმა მეძავმა ქალმა, ერთ-ერთმა იმათგანმა, სარფიან, სოლიდურ კლიენტებზე რომ ნადირობენ ნოტარიუსების ქუჩაზე, როგორც ყოველთვის ახლაც მთხოვა სიგარეტი და მეც, როგორც ყოველთვის, ახლაც ვუპასუხე: სიგარეტს აღარ ვეწევი ოცდაცამეტი წელიწადი, ორი თვე და ჩვიდმეტი დღეა-მეთქი. „ოქროს ზანზალაკთან" გავლისას განათებულ ვიტრინაში საკუთარი თავი დავინახე ბებერი და საძაგლად ჩაცმული.

ათი საათი ჯერ არ იყო. ტაქსი გავაჩერე და ვთხოვე სასაფლაოსკენ წავეყვანე, არ მინდოდა მიმხვდარიყო, სადაც მივდიოდი. მძღოლმა სარკიდან შემომხედა და მხიარულად მითხრა: „ნუ მაშინებთ, ბრძენო ბატონო. ღმერთმა ქნას, მეც ისეთივე ცოცხალი ვიყო, როგორიც თქვენა ხართ". ხურდა არ ჰქონდა და სასაფლაოსთან ერთად გადმოვედით მანქანიდან. მძღოლი იქვე სასაუზმე „სამარეში" შევიდა, სადაც მოქეიფე ლოთები თავ-თავიანთ ძვირფას მიცვალებულებს დასტიროდნენ მუდამდღე. მძღოლმა ძალზე სერიოზულად მითხრა: „ფრთხილად იყავით, დონ, როსა კაბარკასის სახლი ისეთი აღარ არის, ძველად რომ იყო". მადლობის მეტი რა მეთქმოდა. არ არსებობს საიდუმლო, კოლუმბის პროსპექტის ტაქსის მძღოლმა რომ არ იცოდეს!

შევედი სილარიბის კვარტალში, რომელსაც არავითარი საერთო არ ჰქონდა იმასთან, ძველად, ჩემს დროს რომ მინახავს. მართალია, იგივე ფართო, გახურებული, ქვიშიანი ქუჩები, პირთამდე კარღია სახლები, გაურანდავი ფიცრებით შეკოწიწებული კედლები, პალმის ტოტების სახურავები და ღორღით დაფარული პატარა შიდა ეზოები არაფრით შეცვლილა, მაგრამ სამაგიეროდ ყურისწამღები ხმაური იდგა. აქაურმა მაცხოვრებლებმა დიდი ხანია დაივიწყეს, რა არის სიჩუმე და მშვიდი ძილი. სახლებში მხიარულება გუგუნებდა, მუსიკოსები დოლების ბრაგუნითა და რკინის თეფშების მჭახე ხმით აზანზარებდნენ იქაურობას. ყველა მსურველს შეეძლო ორმოცდაათ სენტავოდ ნებისმიერ სახლში შესულიყო საცეკვაოდ, ან სულაც კარწინ ეცეკვა დავარდნამდე. მივდიოდი და გუნებაში ვილანძღებოდი, ნეტავ მიწა რატომ არ გამისკდება და არ ჩამიტანს ამ ჩემს ქარაფშუტულ პიჯაკიანად-მეთქი, მაგრამ ჩემთვის არავის სცხელოდა. მხოლოდ ერთი სახლის წინ მთვლემარე ჩასუქებული მულატი კაცი მომესალმა გულითადად:

— გწყალობდეს ღმერთი, პატივცემულო. ბედნიერ ქიმაობას გისურვებ.

აქაც მადლობის მეტი რა მეთქმოდა. სანამ ალმართს ავათავებდი, სამჯერ მაინც შევჩერდი სულის მოსათქმელად. მშვენიერი სანახავი იყო ჰორიზონტზე ამოწვერილი უზარმაზარი სპილენძისფერი მთვარე. მუცელში რაღაცამ მომიარა შიშისგან, მაგრამ მალევე გამიარა. ქუჩის

ბოლოში ხეხილის ბაღი იწყებოდა. სწორედ აქ იყო როსა კაბარკასის მაღაზია.

სადღა იყო ძველი როსა კაბარკასი, თავისი სიფრთხილით ცხობილი უზარმაზარი ქალი როსა-სანი. მახსოვს, წლების წინ სახანძრო რაზმის სერჟანტის წოდებაც კი გვინდოდა მისთვის მიგვეცა. ასეთ-სასიყვარულო ხანძრებს აჩენდა და ისეთ მოქნილობას ამჟღავნებდა ამ დროს, რომ მართლაც, რომ ყველასგან გამოირჩეოდა თავისივე „სახლში". მარტოობას დაეჩიავებია ეს ვებერთელა ქალი, კანი დანაოჭებოდა, სმაც გოგონასავით დაწვრილებოდა, ოღონდ ბებერ გოგონასავით. ძველი როსასი დიდებული კბილებიღა შემორჩენოდა. მძიმე ძაძები ეცვა, ქმარს გლოვობდა, ორმოცდაათი წელი იცხოვრეს ერთად. ძაძებს ამძიმებდა შავი სამგლოვიარო ფარფლიანი ქუდი, რომელიც ერთადერთი ვაჟიშვილის დაკარგვის გამო ეხურა. სიცოცხლის ნიშატი მხოლოდ გამჭვირვალე მკაცრ თვალებში ჩაბუდებოდა და მივხვდი, არსებითად იგი არ შეცვლილიყო.

მაღაზიაში ნათურა ბჟუტავდა. თაროებზე არაფერი ეწყო. ყველამ იცოდა, ეს პატარა მაღაზია როსას თავისი ხელობის შესანილბად რომ ჭირდებოდა. ყველამ იცოდა, მაგრამ ხმამაღლა არავინ ამბობდა. მე რომ შევედი, როსა კლიენტს აცილებდა კარამდე. არ ვიცი, მართლა ვერ მიცნო თუ თავი მოიკატუნა სხვის დასანახად. მე სკამზე ჩამოვჯექი. შევიცადე აღმედგინა წარსული როცა ორივენი ფერ-ხორცით სავსე ახალგაზრდები ვიყავით. რამდენჯერ ვუხსნივარ ძნელ წუთებში, რამდენჯერ მომშველებია, თავად რამდენჯერ დაუცხრია ჩემთვის გზნება. ეტყობა, ფიქრებს მიმიხვდა. მოტრიალდა და ისე მომაშტერდა, შევიშმუშნე. „წლები არ დაგტყობია" — ოხვრას ნაღველი ამოაყოლა. მინდოდა რაღაც ქათინაურის მაგვარი მეთქვა: „შენ დაგტყობია, მაგრამ გიხდება". „მე სერიოზულად გეუბნები, — თქვა მან.— ჯაგლაგი ცხენის ფიზიონომია გამოგცოცხლებია". „ალბათ იმიტომ, რომ სხვა „სახლებში" ვძოვ ბალახს", — ვუკბინე მე. შეკრთა. „როგორც მახსოვს, საუკეთესო ურო გქონდა, იშვიათი, ახლა როგორია?" სიტყვა ბანზე ავუგდე: „ერთადერთი რაც ჩვენ შემდეგ შეიცვალა, ჩემი უკანალია, რომელიც გამუდმებით მეწვის". მან სწრაფად დასვა დიაგნოზი: „იშვიათად იყენებ". „მე მას ვიყენებ მხოლოდ იმისთვის რაც ღმერთმა დაუწესა, — ვუპასუხე მე. — მაგრამ გულახდილად რომ ვთქვა, დიდი ხნის წინათაც მაწუხებდა და თანაც სავსე მთვარის დროს". როსამ ხელი მოაფათურა და მწვანე საცხიანი პატარა კოლოფი გამოაძვრინა საიდანღაც. „გოგონას უთხარი, თითით აი ასე წაგისვას" — და თვალსაჩინოებისათვის უწმაწურად აამოძრავა საჩვენებელი თითი. „ღმერთის წყალობით ჯერ არ მჭირდება შენი ექიმბაშობა" — ვუთხარი მე. „აჰ, მაესტრო, გთხოვთ, მაპატიოთ". და საქმეზე გადავიდა.

„გოგონა ოთახშია ათი საათიდან, — თქვა მან. — ლამაზი გოგოა, სუფთა, ზრდილობიანი, მაგრამ ძალზე შეშინებულია. მისი მეგობარი გოგო ერთ გაირელ მტვირთავს გაკიდებია. ორი საათი სისხლისგან იცლებოდა თურმე. გაირელებს ხომ იცი როგორი სახელიც აქვთ, დედალ ვირებს შავ დღეს აყენებენო. ჰო, საბრალო გოგო, ვითომ საქმე არ ჰყო-

ფნიდეს, ფაბრიკაში მუშაობს, ღილებს აკერებს". ეგ რა მძიმე სამუშაოა-მეთქი. „კაცებს გგონიათ ასე. ქვის მტვრევა სჯობს ამ საქმეს". როსა გამოტყდა, გოგონას ბრომიდიანი კატაბალახას წვეთები დაგალევინე და ახლა ძინავსო. ვიცი, რატომაც წუწუნებს, ფასის აწევა სურს. როსამ კი თქვა: ჩემი სიტყვა ოქროა, წესს არ შევცვლი, მოხსენურების ფასი ცალკეა, თანაც წკრიალა მონეტა და თანაც წინასწარო, მამ.

როსას გავყევი, ეზო გავიარეთ, გული მომილბა მისი მოჩვარული კანის დანახვაზე და იმაზეც, რა გაჭირვებით მიაბაჯბაჯებდა უბრალო ბამბის წინდებში გამოხვეულ დასიებულ ფეხებს. სავსე მთვარე შუაცაზე დაეკიდა და ქვეყანაც თითქოს მწვანე წყლებში ჩაიძირა. მის სახლთან მუსიკოსებისთვის პალმის ტოტები დაეფინათ. ქალაქის მამებმა მოიწვიეს ისინი. გარშემო უამრავი ტყავგადაკრული სკამი იდგა, ჰამაცებიც გაეკიდათ. ეზოში, რომლის გადალმაც ხეხილის ბაღი იყო გაშენებული, შეუთეთრავი აგურის შუშაბანდიანი სახლი იდგა. სახლს ექვსი საძინებელი ოთახი და ბადეაკრული ფანჯრები ჰქონდა. ერთადერთი დაკავებული ოთახი ნახევრად სიბნელეში ჩაძირულიყო. რადიოში ტონია — ზანგი ქალი მღეროდა სიყვარულზე. როსა კაბარკასმა სული მოითქვა: „ბოლერო — სიცოცხლეა". დავეთანხმე, მაგრამ დღემდე ვერ გადამეწყვიტა დამეწერა. კარს ხელი ჰკრა, ოთახში შესული არ იყო, რომ მობრუნდა, „ისევ ძინავს. სჯობს დააცადო გამოძინება, იძინოს, რამდენსაც მისი სხეული ითხოვს. შენი ღამე უფრო გრძელია, იმისი მოკლე". დავიბენი: „კი მაგრამ, შენი აზრით, რა უნდა გავაკეთო?" „თვითონ მიხვდები, — მიპასუხა მან ასეთი ვითარებისთვის შეუფერებელი სიმშვიდით. — ბრძენი ტყუილადა ხარ?" შებრუნდა და დამტოვა შიშის ზაფრასთან პირისპირ.

გაქცევას აზრი არ ჰქონდა, ოთახში შევედი და ლამის გული ამომვარდა მკერდიდან, დავინახე დედიშობილა მძინარე გოგო უზარმაზარ სხვის საწოლში. გვერდზე იწვა, კარისკენ სახემიქცეული. ჭერიდან ჩახჩახა შუქი დაჰნათოდა და მის სხეულზე ყოველ წვრილმანს გარკვევით აჩენდა. საწოლის კიდეზე ჩამოვჯექი, მონუსხული შევაცქერდი. ხუთივე გრძნობით ვისრუტავდი მის სურნელს. შავგვრემანი იყო, თბილი, ეტყობა, დაბანეს, გაალამაზეს თხემიდან ნაზი ღინღლით დაფარულ ბოქვენამდე. თმა დაუხვევიათ, ხელ-ფეხზე ფრჩხილები შეუფერადებიათ, მაგრამ მოთაფლისფრო კანი კი ქარდაკრული, აქერცლილი და მოუვლელი ჰქონდა. ძუძუები საცაა დაეტყობოდა, ახლა კი ჯერჯერობით ბიჭისას მიუგავდა თუმცა იგრძნობოდა მზადყოფნა — ამოეხეთქა დაფარული ენერგია. ფეხები მართლაც საუკეთესო ჰქონდა. ალბათ მსუბუქად დადის. გრძელი და მგრძნობიარე თითები აქვს ხელებზეც. ჩართული ვენტილატორის ქვეშაც კი ოფლის წვეთები უბრწყინავდა სხეულზე. შეღამებულზე აუტანელი სიცხე ჩამოდგა. ბრინჯის პუდრის სქელი ფენის ქვეშ ძნელი იყო მისი სახის გარჩევა. გვარიანად შეეთითხნათ. ორი შევარდისფერებული ლაქა, დაწებებული წამწამები, გამუქებული წარბები, შოკოლადისფრად გათხიპნილი ტუჩები — მძიმე სანახავი იყო, მაგრამ კოსმეტიკის სქელი ფენის ქვეშ მაინც ჩანდა ამაყად გამოკვეთი-

ლი ცხვირი და ლამაზი ტუჩპირი. „ნაზი, ყოჩაღი ბოჩოლა“, — გავიფიქრე მე.

თერთმეტ საათზე სააბაზანოში შევედი ჩემს საქმეზე. გოგონას იქ თავისი უბადრუკი ტანსაცმელი დაეტოვებინა, მაგრამ სკამზე ისე დაელაგებინა თითქოს დიდი ძვირფასი სამოსი ყოფილიყო: ჟანგიანი ტული სინთეტური ქსოვილის კაბა, ყვითელი მიტკლის ქვედაბაცვალი, თასმებიანი სანდლები. იქვე იდო იაფფასიანი სამაჯური და ღვთისმშობლისგამოსახულებიანი მედალიონი. მე პერანგი, პიჯაკი გავიხადე და საკიდზე ისე დავკიდე, არ დამჭმუჭნოდა. მოვშარდე უნიტაზში, რომელიც ცაჭვიანი წყლის ავზის ქვეშ იდგა, მოვშარდე დამჯდარმა, როგორც ფლორინა დე დიოსმა მასწავლა პატარაობაში, რათა უნიტაზის კიდეები არ დასველებულიყო. რა დასამალია და, ნაკადი ლარივით იყო დაჭიმული, როგორც ველური ულაყისა. სააბაზანოდან გასვლამდე ონკანს ზემოთ დაკიდულ სარკეში ჩავიხედე. ცხენის სიფათი, რომელიც სარკიდან შემომეფეთა, არც ისე უსულო და უსიცოცხლო ჩანდა, მაგრამ კუშტი კი იყო. თავზე აქა-იქ შესაბრალისად შერჩენოდა რამდენიმე ღერი თმა, ოდესღაც კი ფაფარივით მედო.

— საზიზღრობაა, — ვუთხარი ორეულს. — არ გიყვარვარ და ნუ გიყვარვარ. აი, დარდი!

გოგო რომ არ გამეღვიძებინა, გახდილი ფრთხილად ჩამოვჯექი საწოლზე და წითელი შუქის სიცრუეზე მიჩვეული თვალებით მტკაველ-მტკაველ გადავჩხრიკე მისი სხეული. საჩვენებელი თითი ჩამოვაყოლე ოფლით დანოტიავებულ კეფაზე და ისიც ჟრჟოლით გამომეპასუხა, ჩემკენ შემობრუნდა, რაღაც წაიბურტყუნა და თავისი სუნთქვის მომწარო სითბო შემომახვია. ცერა და საჩვენებელი თითი ოდნავ მოვუჭირე ცხვირზე. ის შეირხა, თავი გასწია, გადაბრუნდა, მაგრამ არ გაუღვიძია. უცებ რაღაც მეტაკა თითქოს, მოვინდომე, მუხლით მისი ფეხები გამეწია გან-განზე, მაგრამ მძინარე გოგონამ ფეხები უფრო მაგრად მიატყუპა. ყურში წავუმღერე: „დელგადინას საწოლთან ანგელოზები ჩამომსხდარან“. ოდნავ მოდუნდა, ცხელმა დენმა დამიარა ძარღვებში და ჩემმა დინჯმა, კარგა ხანს უსაქმურობისგან გულგაწყალებულმა მხეცმაც გამოიღვიძა ხანგრძლივი ძილის მერე.

დელგადინა, ჩემო სულიკო, ვეველრებოდი სურვილისაგან ცეცხლწაკიდებული. დელგადინა, მან ნაღვლიანად ამოისლუკუნა, ჩემს ფეხებს დაუსხლტა, ზურგი შემომაქცია, მოიკუნტა, ლოკოკინასავით ჩაიმალა თითქოს ნიჟარაში. კატაბალახას ნაყენმა, ეტყობა, კარგად იმოქმედა მასზეც და ჩემზეც, რადგან არაფერი მომხდარა ჩვენს შორის. არა უშავს, რატომ გავაღვიძო, როცა მშვენივრად ვგრძნობ, რა არარაობაც ვარ, როცა ნაღველი მაწვეს გულზე და თანაც მოლუსკივით ცივი ვარ.

სამრეკლოზე ღამის თორმეტი საათი ჩამოჰკრეს მკვეთრად და შეუვალად. დაიწყო ახალი დღე, ოცდაცხრა აგვისტო, დღე წმინდა მოწამისა ხუან ბაუტისტასი. ვილაცა ხმამაღლა ტიროდა ქუჩაში. ყურადღებას არავინ აქცევდა. ვილოცე, ღმერთს შევთხოვე შეწევნა ქუჩაში მოტირალის სახელითაც, თუკი რა თქმა უნდა, სჭირდებოდა, და ჩემი სახელითაც ყველა მონიჭებული სიკეთისთვის. „თავს ნუ მოიტყუებთ,

ნუ იფიქრებთ რომ ის, რასაც ელოდებით და რისი იმედიც გაქვთ, უფრო დიდხანს გაგრძელდება, ვიდრე მას ხედავენ თქვენი თვალები". გოგონამ ამოიკვნესა, ისიც შევავედრე ღმერთს: „იყოს როგორც არის". მერე რადიოც გამოვრთე და შუქიც. იქნებ დავიძინო.

რიჟრაჟზევე გამომეღვიძა, არ მახსოვდა სად ვიყავი. გოგოს ისევ ეძინა. ჩემკენ ზურგშექცეულს, მოკუნტულს, როგორც ნაყოფს დედის საშოში. აუხსნელი, ბუნდოვანი შეგრძნება დამეუფლა. რატომღაც მომეჩვენა, სიბნელეში ღამით როგორ წამოდგა, გავიგონე უნიტაზში ჩაშვებული წყლის შხუილი, მაგრამ იქნებ დამესიზმრა. რაღაც ახალი გაჩნდა ჩემში, არასოდეს მიმიმართავს მაცდუნებელი ხრიკებისათვის, ერთი ღამის საყვარელს ალალბედზე ვირჩევდი, უფრო ფასის მიხედვით, ვიდრე მისი ხიბლისა. უსიყვარულო სიყვარულობანას ვთამაშობდით უმეტეს შემთხვევაში. ნახევრად ჩაცმულები და ჩქარ-ჩქარა, რათა ერთმანეთი უკეთესი მოგვჩვენებოდა, ვიდრე სინამდვილეში ვიყავით. იმ ღამით მე აღმოვაჩინე დაუჯერებელი რამ, უსაზღვრო სიტკბოება — შევცქეროდი მძინარე ქალწულის სხეულს და არც სირცხვილი მაწვალებდა და არც სურვილი.

ხუთ საათზე ავდექი შეფიქრიანებული: ჩემი საკვირაო სტატია თორმეტ საათამდე უნდა იდოს რედაქციაში, მაგიდაზე. დაწესებულ დროზე გავითავისუფლე კუჭნაწლავი — სავსე მთვარე იყო და ვგრძნობდი წვას — როცა წყლის ჩასაშვები ჯაჭვი ჩამოვქაჩე, ასე მეგონა, მთელი ჩემი წარსული წყენა თუ ტკივილი კანალიზაციას გავატანე-მეთქი. გამოცოცხლებული და ჩაცმული დავბრუნდი ოთახში. გოგონას გემრიელად ეძინა წყნარი განთიადის შუქზე. საწოლის გარდიგარდმო იწვა ხელებგაშლილი თავისი სიქალწულის სრულუფლებიანი დიასახლისი. „გფარავდეს ღმერთი", — დავლოცე. ფული რაც მქონდა ჩემიც და მისთვის განკუთვნილიც, ბალიშზე დავუდევი, შუბლზე ვაკოცე, საშუდამოდ გამოვემშვიდობე. სახლი, როგორც ყველა ბორდელი განთიადისას, ახლოს იყო სამოთხესთან. ბაღში გამავალ კარიდან გავედი, რათა არავის გადავყროდი. ქუჩაში, მზეზე, კვლავ ვიგრძენი ჩემი ოთხმოცდაათწლოვანი ტვირთი და დავიწყე სიკვდილამდე დარჩენილი ღამეული წუთებისა და წამების გამოთვლა.

II

ამ მოგონებებს რომ ვწერ, ჩემი მშობლების ბიბლიოთეკა უკვე შეთხელებულია. ჩრჩილისა და ხის ჭიების წყალობით თაროები სადაცაა ჩამოიშლება. ბოლოს და ბოლოს ამქვეყნად ჩემი საკეთებელი საქმისთვის ეს ლექსიკონები, ბენიტო პერეს გალდოსის „ნაციონალური ეპიზოდების" პირველი სერია და „ჯადოსნური მთაც" საკმარისია. ეს წიგნი ძალზე დამეხმარა ჩავწვდომოდი ჭლექით დასნეულებული და გაწვალებული დედაჩემის ავადმყოფურ ჭირვეულობას.

დანარჩენ ავეჯსა და თავად ჩემზეც უკეთ არის შემონახული ერთი უზარმაზარი მაგიდა, რომელზეც მე ვწერ და რომელიც თავის დროზე ბაბუაჩემს — მამის მხრიდან —საკუთარი ხელით გამოუთლია ძვირ-

ფასი ხიდან. ბაბუა თურმე გემთსაშენში მუშაობდა ხუროდ. რომც არა-
ფერი მქონდეს საწერი, ყოველ დილით, როგორც წესი, მივუჯდები
ხოლმე ამ მაგიდას, რომელსაც დროის მსახვრალი ხელი ჯერ არ შეხე-
ბია. ბევრი სიყვარული მაქვს გამოტოვებული ამ მაგიდის გამო. ხელის
გაწვდენაზე მიწყვია ჩემი წიგნები-თანამოაზრეები: 1903 წელს გამო-
ცემული „ესპანეთის სამეფო აკადემიის პირველი ილუსტრირებული ლე-
ქსიკონი", დონ სებასტიან კავარუბიას „კასტილიური ანუ ესპანური
ენის საგანძური", დონ ანდრეს ბელიოს გრამატიკა, დონ ხულიო კასა-
რესის ახალი „იდეოლოგიური ლექსიკონი", ნიკოლა ზინგარელის
„იტალიური ენის ლექსიკონი", რომელც დედაჩემის მშობლიური
ენის განმტკიცებაში მეხმარება, ცოდნით კი იტალიური ენა აკვნი-
დანვე ვიცი, და კიდევ, ლათინური ენის ლექსიკონი. ლათინური ენა,
რომელსაც ამ ორი სხვა ენის წინაპრად მიიჩნევენ, მშობლურ ენასავით
ვიცი.

მაგიდაზე მარცხენა მხარეს ყოველთვის მიდევს თაბახის ფურცლები ჩემი საკვირაო ამბების ჩასაწერად, აქვე მიდგას ქვიშიანი პატარა ჭურჭელი მელნისათვის. ქვიშა მირჩევნია ახლანდელ საშრობი ქაღალდის ბალიშებს. მარჯვნივ სამელნე და ოქროს კალმისთვის ხის ლამაზი ჩასამაგრებელი მიდგას. ჯერჯერობით ლამაზად ვწერ, ფლორინა დე დიოსმა პატარაობიდანვე მიმაჩვია ლამაზად წერას, ყოველნაირად ცდილობდა საკანცელარიო ხელწერა არ გადმომელო მამაჩემისგან რომელიც სიკვდილამდე ნოტარიუსი და ნაფიცი მსაჯული იყო. როცა რედაქციაში გამოგვიცხადეს, საგაზეთო მასალები მანქანაზე დაბეჭდილი მოიტანეთ, ლინოტიპზე სტრიქონების გამოთვლა და ტექსტის დაკაბადონებაც გაიოლდებაო, მე ვერაფრით შევეგუე ამ წესს, ვსარგებლობდი ძველი თანამშრომლის უფლებით და კვლავაც ხელნაწერი მიმქონდა, თუმცა ზოგჯერ ტექსტს საბეჭდ მანქანაზეც ვაკაკუნებდი კოდალასავით. ამჟამად პენსიაზე გასული ვსარგებლობ ღვთიური პრივილეგიით: შემიძლია ვიმუშაო სახლში, გამოვრთო ტელეფონი, რათა არავინ შემაწუხოს და, რაც მთავარია, ვიმუშაო უცენზოროდ. ის რად ღირს, წერისას აბეზარი ცენზორი რომ არ გიდგას უკან და ცალი თვალით არ გამოწმებს, ნეტავ რას წერსო.

მარტო ვცხოვრობ არც ძაღლი მყავს, არც ჩიტი, არც მოახლე, თუ არ ჩავთვლით ერთგულ დამიანას, რომელიც ბევრჯერ მომშველებია უეცრად წამოჭრილი სიძნელეების დროს და კვლავაც მოდის კვირაში ერთხელ მოსახმარებლად. სიკვდილის სარეცელზე ძალაგამოცლილმა დედაჩემმა მთხოვა, სანამ ახალგაზრდა ხარ, დაოჯახდი, ცოლად თეთრკანიანი ქალი მოიყვანე, სამი შვილი იყოლიეთ, ერთი უსათუოდ გოგო უნდა იყოს და ჩემი სახელი დაარქვათო. დედაჩემის დედასაც და ბებიასაც ფლორინა ერქვა. მომაკვდავი დედის თხოვნა ყოველთვის მახსოვდა, მაგრამ ეტყობა, ცნება „ახალგაზრდობა" მე ჩემებურად მესმოდა, უფრო ხანგრძლივი მსურდა ყოფილიყო. ალბათ ამიტომაც ჩავიფუჭე თავში, ცოლის თხოვა არასოდეს არის-მეთქი გვიან. ასე ვფიქრობდი ერთ პაპანაქება დღემდე. იმ დღეს კი პრადომარეში პალომარეს დე კასტროების სახლში კარი შემეშალა და მათ უმცროს ქალიშვილს

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხიმენა ორტისს მთლად დედიშობილას გადავაწყდი საძინებელში სიესტის დროს. კარისკენ ზურგშექცეული იწვა და ისე სწრაფად გადმომხედა მხარს ზემოდან, რომ ოთახიდან გასვლა ვერ მოვასწარი. „ოჰ, გთხოვთ, მაპატიოთ", — ამოვილუღლუღე სულშეგუბებულმა. ქალიშვილმა გაიღიმა, გაზელის გრაციოზულობით შემობრუნდა ჩემკენ და მთელი სიგრძე-სიგანით დამანახა თავისი მშვენიერება. ოთახი თითქოს აივსო მისი სიახლოვით. მთლად შიშველი არ იყო: მანეს ოლიმპიასავით ნარინჯისფერფოთლებიანი ყვავილი მიემაგრებინა ყურთან, მარჯვენა ხელზე ოქროს სამაჯური ეკეთა, ყელზე — წვრილი მარგალიტის მძივი. „არა მგონია, ამაზე ამაღელვებელი რამ ვიხილო ოდესმე", — გავიფიქრე მაშინ გონებაში და მართლაც, თამამად შემიძლია ვთქვა, არც შევმცდარვარ.

საკუთარი უგერგილობით დარცხვენილმა კარი გავიხურე იმ გადაწყვეტილებით, რომ სამუდამოდ დამევიწყებინა ხიმენა ორტისი, მაგრამ თავად ხიმენამ არ მომცა ამის საშუალება, საერთო ნაცნობების, მეგობრების ხელით მიგზავნიდა წერილებს, მიპატიჟების ბარათებს, მემუქრებოდა კიდეც. ხმაც დაყარა, მართალია, სიყვარულზე სიტყვაც არ დაგვიძრავს, მაგრამ გაგიჟებით გვიყვარს ერთმანეთი. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. თვალებს ველურ კატასავით აკვესებდა, სხეული ჩაცმულიც ისეთივე მაცთუნებელი ჰქონდა, როგორც შიშველი. ხშირი, გასაგიჟებელი ოქროსფერი თმა ისეთ ქალურ სურნელს აფრქვევდა, რომ გაცოფებული ვტიროდი ხოლმე ბალიშში სახეჩარგული. ვიცოდი, სიყვარული ჩვენ არ გამოგვივიდოდა, და მაინც ხიმენა ორტისის სატანური მომნუსხავი ძალა მწვავდა და არ მასვენებდა. სულის მოთქმას პირველსავე შემხვედრ მწვანეთვალება კახპასთან ვცდილობდი, მაგრამ ამაოდ. ვერ შევძელი იმ ცეცხლის ჩაქრობა, პრადომარეში ნანახმა საწოლმა რომ წამიკიდა. ბოლოს დავყარე იარაღი. რასაც მოჰყვა ოფიციალური ნიშნობა და ბეჭდების გაცვლა. შევთანხმდით, ქორწილს წმ. სამების ღღესასწაულამდე გადავიხდიდით.

ამ ახალ ამბავს ჩინურ კვარტალში უფრო მეტი ხმაურით შეხვდნენ, ვიდრე მალალი წრის კლუბებში. ჩემმა სასიძოობამ ქრისტიანული მორალის სრული დაცვით ჩაიარა ტერასაზე — ჩემი საბედოს სახლში ამაზონური ორქიდეებისა და გვიმრების ქოთნებს შორის. თეთრი ტილოს კოსტიუმში გამოწყობილი ვსტუმრობდი ხოლმე მათთან საღამოს შვიდ საათზე რაიმე სამშვენისი ნივთით ან შეფიცარული მოკოლადით ხელდამშვენებული. ათ საათამდე ვსაუბრობდით ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად, დეიდა არხენიდა გვდარაჯობდა, თუმცა იმდროინდელი რომანების დუენიასავით ეყვინთებოდა და თავს წარამარა აკანტურებდა.

რაც უფრო ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ხიმენა მით უფრო ააშკარავებდა თავის ვნებიანობას. ზაფხულის პაპანაქება დღეების დადგომისას ხომ ლიფი უფრო გამჭვირვალე ეცვა და ქვედა კაბა — მოკლეზე მოკლე. ასე რომ, ძნელი წარმოსადგენი არ იყო, რა დამანგრეველი ძალით იფეთქებდა ეს ყველაფერი სიბნელეში. ნიშნობიდან ორი

თვის შემდეგ ჩვენ აღარაფერი გვქონდა სალაპარაკო. ერთხელ სრულიად მოულოდნელად მან ბავშვები ახსენა და ჩვილისთვის ფაჩუჩების ქსოვას შეუდგა უსიტყვოდ, ჩვეულებრივად. როგორც კარგად ალბრდილმა სასიძომ, მეც დავიწყე ქსოვა. ასე უაზროდ ვკლავდით ქორწილამდე დარჩენილ დროს. მე ცისფერ ფაჩუჩებს ვქსოვდე ბიჭისთვის, ის ვარდისფერს — გოგონასათვის. წინდების მთა დავახვავეთ, ორმოცდაათ ბავშვს ეყოფოდა. საათი ათს რომ ჩამოჰკრავდა, ცხენებშებმულ ეკიპაჟში ვჯდებოდი და მივდიოდი ჩინურ კვარტალში, რათა საამოთხისეულ ნეტარებაში გამეტარებინა ღამე.

ხმაურიანი ბერბიჭული გამოთხოვება, რომელსაც ჩინურ კვარტალში მიწყობდნენ, სრულიად განსხვავდებოდა საზოგადოებრივ კლუბში ჩემს საპატივცემულოდ გამართულ დამღლელ სალამოებისგან. ეს კონტრასტი მეხმარებოდა ჩავწვდომოდი, ამ ორი სამყაროდან რომელი იყო ჭეშმარიტად ჩემი. და წარმოიშვა ილუზია ორივეს თანაარსებობისა, მაგრამ თითოეულს თავისი დრო ჰქონდა, როგორც კი ერთ სამყაროში მოვხვდებოდი, ვგრძნობდი, მეორე როგორ მშორდებოდა პორტიდან ღია ზღვაში ქშენა-ქშენით გამავალი გემივით. ერთ დაწესებულებაში, რომელსაც „უფლის ძალა" ერქვა, წინასაქორწილო მეჯლისი ისეთი ცერემონიით დამიგვირგვინეს, რწმენადაკარგულ ესპანელ მღვდელს თუ მოაფიქრდებოდა მხოლოდ. მან უკლებლივ ყველა ქალი ფატით და ფლერდორანჟით მორთო, აქაოდა, საყოველთაოდ მიღებულ, უნივერსალურ, წმიდათაწმიდა მორთულობით კანონიერად უნდა დაგაქორწინოთ ამ კაცზეო. ეს იყო უდიდესი მკრეხელობის ღამე, რადგან ოცდაორმა ქალმა სიყვარული და მორჩილება გამომიცხადა, მე კი მათ კუბოს კარამდე ერთგულება და მხარში დგომა შევფიცე.

შინ გვიან მისულს თვალი არ მომიხუჭავს, ვერაფრით დავიძინე, ვიცოდი, გამოუსწორებელ ნაბიჯს რომ ვდგამდი. განთიადი გამოკრთა, სამრეკლოს საათმა დრო-ჟამის ათვლა დააგუგუნა, მეც მივყევი მის გუგუნს, მანამდე ვითვლიდი, სანამ საათმა შვიდჯერ არ ჩამორეკა. ეს ის დრო იყო, მე რომ ეკლესიაში უნდა ვყოფილიყავი ახლა. ტელეფონი რვაზე აწკრიალდა გრძლად, ჯიუტად, მოულოდნელად სუნთქვა გავწყვიტე, ხმას არ ვიღებდი. ათი საათისთვის კარზე დააკაკუნეს, მერე მუშტები დაუშინეს, ლაპარაკიც მომესმა, ნაცნობი, საძულველი ხმები. ვაითუ კარი შემოამტვრიონ-მეთქი, შემეშინდა, მაგრამ თერთმეტი საათისთვის სახლი უკვე აივსო დიდი კატასტროფის მომასწავებელი მჩხვლეტავი დუმილით.

მაშინ კი ავტირდი, ხიმენასაც და ჩემს თავსაც ვტიროდი, ვლოცულობდი, ვიფიცებოდი, ჩემს ცხოვრებაში აღარასოდეს შევხვედროდი მას. რომელიღაც წმინდანმა ეტყობა შეისმინა ჩემი ლოცვა-ვედრება: ხიმენა ორტისმა იმავე ღამეს დატოვა აქაურობა და მხოლოდ ოცი წლის შემდეგ დაბრუნდა. გათხოვდა, შვიდი შვილი გააჩინა. ხომ შეიძლებოდა, ისინი ჩემი შვილები ყოფილიყვნენ.

მას შემდეგ, რაც საზოგადოების მიმართ უკმაყოფილება გამოვთქვი, ძლივს შევინარჩუნე სამსახურიც და გაზეთის ერთი სვეტიც. მთლად ამ მიზეზის გამო არ გადაუტანიათ ჩემი წერილები მეთერთმე-

ტე გვერდზე, უბრალოდ, მეოცე საუკუნე შემოიჭრა ცხოვრებაში. ყველანი მხოლოდ პროგრესზე ლაპარაკობდნენ. ყველაფერი შეიცვალა: ფრენა დაიწყეს თვითმფრინავებმა, ვილაც თავიანმა კაცმა „იუნკერსიდან“ წერილებით სავსე ტომარა ჩამოაგდო და ასე გამოიგონა ავიაფოსტა.

ერთადერთი, რაც არ შეცვლილა, ჩემი საკვირაო ჩანაწერები იყო გაზეთში. ახალგაზრდა თაობა გამუდმებით მესხმოდა თავს და წარსულს მუდმივად მიხსენიებდნენ, უნდა დაიწვას და დაიფერფლოსო, მაგრამ მე მაინც განვაგრძობდი წერას, ფარ-ხმალს არ ვყრიდი და არ ვეშორჩილებოდი ნოვატორულ ქროლვას, ყველაფრის მიმართ დაყრუებული ვიყავი. მე ორმოცი წლისა ვიყავი, ახალგაზრდა რედაქტორები ჩემს ჩანაწერებს ყბედის სვეტს ეძახდნენ. დირექტორმა მიხმო თავის კაბინეტში და მთხოვა, თქვენი წერილების სტილი ახალ ქროლვას მიუსადაგეთო. თითქოს ეს-ეს არის თვითონ მოიგონა ეს გამოთქმაო, დიდი ზარზეიმურობით წარმოთქვა: „ქვეყანა წინ მიდის“. „დიახ, — ვუთხარი მე. — ძველებურად წინ მიდის, მაგრამ ბრუნავს მზის ირგვლივ“. მან დატოვა ჩემი საკვირაო ამბები, რადგან სხვა ვერავინ იპოვა ახალი ამბების მომპოვებელი. დღეს უკვე მივხვდი, რომ ის მართალი იყო და

აი, რატომ: ცხოვრების ორომტრიალში მოხვედრილი ჩემი თაობის ახალგაზრდები მომავლის ოცნებებში ვიყავით ჩაძირული მთელი არსებით, მაგრამ მკაცრმა რეალობამ ყველას დაგვანახა, მომავალი სულაც არ ვამოდგა ისეთი, როგორზეც ოცნებობდით, ამიტომაც დაგვრია ხელი ნოსტალგიამ. ამის შესახებ მოუთხრობდა მკითხველს ჩემი ჩანაწერები — წარსულის ნანგრევებში ჩარჩენილი არქეოლოგიური რელიკვიები. ეს ჩანაწერები მარტო მოხუცებისთვის კი არა, ახალგაზრდებისთვის უფრო იგი განკუთვნილი — არ შეშინებოდათ სიბერისა. ჩემი წერილები ქვლავ ყველაზე საკითხავი გახდა, პირველ სვეტსაც კი მითმობდნენ ხანდახან.

როცა პირად ცხოვრებაზე მეკითხებიან, ყველას ალალად ვპასუხობ, ქუჩის კახპებმა დრო არ დამიტოვეს დასაქორწინებლად-თქო, თუმცა უნდა ვაღიარო, ეს აზრი თავში არ მომსვლია მანამ ,სანამ ოთხმოცდაათისა არ გავხდი, არ მომსვლია მანამ, სანამ როსა კაბარკასთან „სახლიდან“ გამოსვლისას მტკიცედ არ გადავწყვიტე, აღარასოდეს ავყოლოდი ცდუნებას. სულ სხვა ადამიანად ვიგრძენი თავი. გუნება შემეცვალა, როდესაც პარკის რკინის მესერთან მუნდირიანებს მოვკარი თვალი. დამიანა ოთხზე დამდგარი რეცხავდა იატაკს სასტუმრო ოთახში. მისი ასაკისთვის შეუფერებელი ახალგაზრდული წვივბარძაყის ღანავზე მთელს ტანში დამიარა დიდიხნის წინათ მივიწყებულმა ჟრჟოლამ. ეტყობა, ეს იგრძნო ქალმა, წელში გასწორდა და კაბის კალთა ჩამოიწია. ვკითხე: „დამიანა, წარსულიდან თუ იხსენებთ რამეს?“ „არაფერსაც არ ვიხსენებ, მაგრამ აი, ახლა თქვენმა შეკითხვამ გამახსენა რაღაც“. ვიგრძენი გული როგორ შემეკუმშა. „არასოდეს მყვარებია ვინმე“, — ვთქვი მე. მაშინ მიპასუხა: „მე კი, — და თავისი საქმიანობა განაგრძო. — ოცდაორი წელიწადი თქვენზე ტირილში გავატარე“. გული გადამიქანდა მკერდში. შევეცადე ღირსეულად დავსხლტომოდი ამ

მდგომარეობას: „ცუდი წყვილი არ ვიქნებოდით“. „ახლა რატომ მეუბნებით ამას? — გაჯავრდა ის. — თუ ჩემს დასამშვიდებლად ამბობთ, ფასი აღარ აქვს“. სახლიდან რომ გავდიოდი, მან ძალზე უბრალოდ მითხრა: „არ დამიჯერებთ და მე ისევ ქალიშვილი ვარ. მადლობა ღმერთს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა მოგვიანებით აღმოვაჩინე რომ მთელ სახლში წითელი ვარდები ღუოდნენ ლარნაკებში, სოლო ბალიშზე პატარა ბარათი იდო: „გისურვებთ ასი წლის სიცოცხლეს!“ გუნებადამძიმებული ჩავუჯექი წინა დღით სანახევროდ დაწერილ ჩემს „ამბებს“ და ერთი ამოსუნთქვით დავამთავრე კიდეც. თითქოს გედისთვის მომეგრიბოს კისერი, თან ისე ვჩქარობდი, თითქოს მინდოდა სანამ აქვითინდებოდა, მანამდე ამომერთმია მისთვის სული. დაგვიანებული შთაგონებით შეპყრობილმა გადავწყვიტე წერილი დამემთავრებინა განცხადებით, რითაც აღვნიშნავდი ხანგრძლივი და ღირსეული ცხოვრების დასასრულს, მაგრამ იმასაც დავუმატებდი, რომ იოტისოდენა სურვილიც კი არ გამაჩნდა სიკვდილისა.

რედაქციის მისაღებში ვაპირებდი სტატია-განცხადების დატოვებას და შინ დაბრუნებას, მაგრამ ჩემდა გასაკვირად მთელი რედაქცია მე მელოდებოდა, რათა აღენიშნათ ჩემი იუბილე. შენობაში რემონტი მიმდინარეობდა, ყველგან სის მასალა ეყარა, ნაგვის მთებიც იდგა, მაგრამ მუშაობა შეაჩერეს ზეიმის გამო. სადურგლო დაზგაზე ნაირნაირი სასმელი და ლამაზად შეფუთული საჩუქრები ელაგა. ლამის დამაბრმავა და დამაყრუა ფოტოაპარატების ჩხაკუნმა და ნათებამ. თითქმის ყველამ სათითაოდ გადაიღო ჩემთან სურათი.

ძალიან გამეხარდა, როცა რადიოსა და საქალაქო პრესის ჟურნალისტები დავინახე. მოსული იყვნენ დილისა თუ საღამოს კონსერვატორთა თუ ლიბერალთა გაზეთებიდან, „პრენსა“-დან, „ნასიონალ“-იდან, კიდევ ერთი გაზეთიდან, რომელიც ძირითადად სენსაციურ ამბებსა და პატარ-პატარა რომანებსაც ბეჭდავს გულისამაჩუყებელ ვნებებზე. სულაც არ არის გასაკვირი, ყველამ რომ ერთად მოიყარა თავი. ასეა: უბრალო, რიგითი ჯარისკაცები ერთმანეთში მეგობრობენ, მათი გენერლები კი ამ დროს საგამომცემლო ომებში არიან ჩართული.

ოფიციალურ, შტატიან ცენზორს დონ ხერონიმო ორტეგას უსარგებლია თავისი არასამუშაო საათებით და ისიც მობრძანებულა. ჩვენ მას „საძაგელ თოვლის კაცს“ ვეძახით; რედაქციაში ღამღამობით მოდის ხოლმე თავისი გუთი სატრაპის სისხლიანი ფანქარმომარჯვებული და ერთ კრამოლურ სიტყვასაც კი არ ტოვებს მეორე დღეს გამოსასვლელ გაზეთში. პირადად მე არ ვუყვარდი ჩემი გრამატიკული აღმოჩენებისა და ტექსტში გაბნეული იტალიური სიტყვებისა თუ გამოთქმების გამო. ჩემი აზრით, იტალიური ენა უფრო გამომსახველი და ტევადია, ვიდრე ესპანური. არც ბრჭყალებში ვსვავდი და არც კურსივით ვყოფდი, როგორც ეს საერთოდ არის მიღებული სიამის ტყუპებივით ერთმანეთთან განუყოფლად დაკავშირებული ორი ენის გამოყენებისას.

მდივანმა ქალმა დარბაზში შემოიტანა ღვეზელი, რომელზეც ოთხმოცდაათი ანთებული სანთელი იყო ჩარჭობილი. ამ სანთლებმა დამა-

ნახეს და მაგრძნობინეს განვლილ წელთა სიმრავლე. ცრემლი მახრჩობდა, როცა მისალოც სიმღერას მიმღეროდნენ და უცებ გრეტნა გამახსენდა. გამახსენდა სინანულის გარეშე, მხოლოდ დაგვიანებული თანაგრძნობით. რამ გამახსენა. საერთოდ, ფიქრადაც არ გამივლია, რომ ოდესღაც გამახსენდებოდა. როდესაც ანგელოზმა გაღვიძებინა, ვილაცამ დახა მომაჩეჩა ხელში ღვეზელის გასაჭრელად. გამახსენების მიმით არავინ რისკავდა სიტყვის წარმოთქმას. მეც სიკვდილი მერჩივნა კითხვებზე პასუხის გაცემას. ზეიმის დასასრულს რედაქციის გამგემ, ვის მიმართაც არასოდეს მქონია განსაკუთრებული სიმპათია, უმოწყალოდ დაგვაბრუნა მიწაზე. აბა, ძვირფასო იუბილარო, სად არის თქვენი სტატია?

მართალი რომ ვთქვა, მთელი ეს ხანი სტატია ნაკვერცხალივით მედო ჯიბეში, მაგრამ ზეიმმა ისე ამაღელვა, რომ გამბედაობა არ მეყო ყანთავისუფლების შესახებ განცხადებით გამეფერმკრთალებინა იგი. „ამჯერად არ მაქვს", — ვთქვი მე. რედაქიის გამგე უკიდურესად უკმაყოფილო ჩანდა წარმოუდგენლად დაუშვებელი მარცხის გამო, იმ მარცხის გამო, გასული საუკუნის მერე რომ არ მომხდარა. „გთხოვთ, გამიგოთ, — ავუხსენი მე. — მძიმე ღამე გადავიტანე, გამოღვიძებულს თავი გასკდომაზე მქონდა". „ჰოდა, სწორედ ეგ დაგეწერათ, — მიპასუხა მისთვის ჩვეულ გესლიან კილოზე. — მკითხველისთვის საინტერესო იქნებოდა პირადად ოთხმოცდაათი წლის კაცისაგან გაეგო, როგორია ცხოვრება ამ ასაკში". საუბარში ერთ-ერთი მდივანი ქალი ჩაერთო: „იქნებ ეს სულაც პიკანტური საიდუმლოა? — ქალმა ეშმაკურად შემომხედა. — ვცდები?" სახეზე ალმური მომედო: „ჯანდაბა ჩემს თავს, — გავიფიქრე მე. — საკუთარმა თავმა გამცა, მიღალატა". მეორე მდივანმა ქალმა თითი მოაშვირა ჩემკენ: „ღმერთო, რა საოცარია! მას ჯერაც არ დაუკარგავს გაწითლების უნარი!" ამ უბოდიშო ქცევამ კიდევ უფრო გამაწითლა. „ეტყობა, დიდი ბობოქარი ღამე გადაიტანა, — არ ცხრებოდა მდივანი ქალი. — შურით ლამის გავსკდე". და კოცნა მომაწება ლოყაზე, კიდეც დამაჩნია. ფოტორეპორტიორები ნამდვილად გაცოფდნენ, ფოტოაპარატების ნათებით თვალაჭრელებულმა რედაქციის გამგეს სასწრაფოდ მივაწოდე ქაღალდი: წელან ვიხუმრე, აი აგერ არის სტატია-მეთქი, და გავიქეცი ამჯერად ტაშის გრიალით დაყრუებული: არ მინდოდა დავსწრებოდი იმ წამს, როცა აღმოჩნდებოდა, რომ ეს სტატია კი არა, ჩემი განცხადება იყო იმ გალერადან წასვლის თაობაზე, რომელზეც ნახევარი საუკუნე დავყავი.

სულიერი მღელვარება და ფორიაქი საღამო ხანს შინ დაბრუნებულსაც მომყვა. საჩუქრები გადავათვალიერე. ლინოტიპისტებს ალბათ დაავიწყდათ, წინა დაბადების დღეებზეც რომ ზუსტად ასეთივე მადულარები მაჩუქეს. სტამბის თანამშრომლებმა მუნიციპალურ ცხოველსაშენიდან ანგორის კატის წამოყვანის ნებართვა მომიტანეს. ხელმძღვანელობამ სიმბოლური შეღავათები მიბოძა რაღაც-რაღაცებში. მდივანმა ქალებმა აბრეშუმის ქვედა საცვალი მაჩუქეს პომადიანი ტუჩების ანაბეჭდებით და პატარა ბარათიც მოაყოლეს: თუ თქვენი სურვილიც იქნება სიამოვნებით მოგემსახურებით საცვლის გახდაშიო. უყვართ ყმა-

წვილ ქალებს ბებრებთან ხუმრობა და თამაში. მით უმეტეს, როცა ეს ბებერი თამაშგარე მოთამაშედ მიაჩნიათ.

ნეტავ ეს შესანიშნავი ფირფიტა ვინ გამომიგზავნა? — შობის ოცდაოთხი პრელუდია იყო ამკენაზის შესრულებით. რედაქტორების უმეტესობამ მოდური წიგნები მაჩუქა. ხეირიანად ვერც კი მოვასწარი საჩუქრების დახსნა, რომ ტელეფონი აწკრიალდა და როსა კაბარკასმა ის შეკითხვა დამისვა, რომლის გაგონებაც არ მინდოდა: „რა მოხდა შენსა და გოგონას შორის?" „არაფერი", — ვუპასუხე დაუფიქრებლად. „ე. ი. შენი აზრით, არაფერია, გოგონა რომ არ გააღვიძე? შენ რა, ვითომ არ იცი, ქალი რომ არასოდეს პატიობს კაცს პირველი ღამის უმოქმედობას?" იქით შევედავე: „არა მგონია, ეგ შენი გოგონა მხოლოდ ღილების დაკერებას დაელალოს ამ ზომამდე. თავს იმძინარებდა, ალბათ ეშინოდა, მხეცურად არ მომმექცესო", „იცი რას გეტყვი? — თქვა როსამ. — ცუდი ის არის, რომმ გოგონა მართლა დარწმუნდა შენს უძლურებაში მე კი სულაც არ მინდა, ეს ამბავი ქვეყანამ გაიგოს".

როსას არ მივეცი ჩემი დამარცხებით გაბოროტებული კმაყოფილების უფლება: „ასეა თუ ისე, გოგონაც ისეთი საცოდავი შესახედავია მძინარე, და ალბათ მღვიძარეც, რომ არ ვიცი როგორ მოვექცე". როსამ ოდნავ შეარბილა კილო: „ყველაფერი სიჩქარის ბრალია, ასე ფაცაფუცით არ კეთდება საქმე, მაგრამ შეცდომებს გამოვასწორებთ, აი, ნახავ". შემპირდა, გოგონას ვაიძულებ ყველაფერი გულახდილად მითხრას; და თუ მართლა იმძინარებდა თავს, მაშინ ფულს დაგიბრუნებთო. „არა, რას ამბობ, ეგ არ გინდა. დიდი არაფერი მომხდარა. ახლა უკვე დარწმუნებით ვიცი, რომ ეს საქმე აღარ არის საჩემო. გოგონა მართალია: „აღარაფრად ვვარგივარ". ყურმილი დავდე და გულზეც მომემშვა: თავისუფლების ჯერ არგაცნდილმა გრძნობამ ამავსო, როგორც იქნა, გავთავისუფლდი მონობისაგან, რომლის ულელშიც ვიტანჯებოდი ცამეტი წლის ასაკიდან.

საღამოს შვიდ საათზე საპატიო სტუმრად მიმიწვიეს ჟაკ ტიბოსა და ალფრედ კორტოს კონცერტზე, სრულდებოდა სეზარ ფრანკის სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის. ანტრაქტზე საოცარი ქებადიდება მოვისმინე. მაესტრო პედრო ბიავამ, ჩვენმა უდიდესმა მუსიკოსმა, ლამის ძალით წამათრია კულისებისაკენ მუსიკოსების წინაშე წარსადგენად. ისე დავიბენი, რომ ფრანკის ნაცვლად შუმანის სონატის ბრწყინვალედ შესრულება მივულოცე ყველას. ვილაცამ ამდენი ხალხის თვალწინ საკმაოდ უხეშად შემისწორა შეცდომამ. იქ მყოფებმა დაიჯერეს რომ მე, უბრალოდ, უცოდინარობის გამო ავურიე ერთმანეთში ორი კომპოზიტორი. როცა კვირის სტატიაში კონცერტის შესახებ საკმაოდ არეულად შეეცადე შეცდომის გასწორებას, უარესი გამომიმდგარა.

პირველად ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ვიგრძენი, რომ შემიძლია, ვინმე მოვკლა. შინ აღელვებული და დათრგუნული დავბრუნდი. ეშმა ყურში ჩამჩურჩულებდა გამანადგურებელ პასუხებს, რომლებიც, როცა დამჭირდა, არ მომაგონდა. ვერც წიგნმა, ვერც მუსიკამ ვერ ჩაახშო ჩემი მძვინვარება. საბედნიეროდ, როსა 'კაბარკასის

ყვირილმა გამომიყვანა ამ კოშმარიდან: „რა კარგია, გაზეთში წავიკითხე, ოთხმოცდაათი წლის გამხდარხარ, მე კი ასის მეგონე“. „ასეთი მოფამფალებული ვარ?!“, — ჩავძახე ყურმილში გაბრაზებულმა. „პირიქით, — მიპასუხა მან. — ძალიან კარგად გამოიყურები. სულაც არ ჰგავხარ იმ გაახალგაზრდავებულ ბებრებს, წლებს [illegible] ებენ, აქაოდა, ნახეთ, რა კარგად ვართ შენახულნი. — [illegible] საჩუქარი მოგიმზადე“. გულწრფელად გამიკვირდა: „რა საჩუქარი?“ „რადა, გოგონა“, — გავიგონე პასუხად. წამითაც არ დავფიქრებულვარ: „დიდი მადლობა, მაგრამ ხათაბალის თავი ნამდვილად არ მაქვს“, ყურიც არ მათხოვა: „პირდაპირ სახლში გამოგიგზავნი ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეულს, კარგად შებრაწულს სანელებლებით შეკაზმულ საწებელთან ერთად, თანაც უფასოდ“, არა-მეთქი, მაგრამ როსა არ მეშვებოდა, როგორც მომეჩვენა, გულწრფელად მთავაზობდა. მითხრა, გოგონა იმ პარასკევს ისე დაიქანცა, ხუმრობა ხომ არ არის ორასი ღილის მიკერება, ეს ნემსიო, ძაფიო, სათითეო — ადვილი ხომ არ გგონია. ესეც არ იყოს, ეშინია, ძალას იხმარენ და სისხლისდენა ამიტყდებაო. მაგრამ ყველაფერი აუხსნეს, როგორ უნდა მოიქცეს, რა გააკეთოს და უკვე მზად არის საიმისოდ. ღამით მართლა გაუღვიძია, სააბაზანოში შესულა, შენ კი ისე მაგრად გძინებია, შეცოდებიხარ და არ გაუღვიძებიხარ, ხოლო დილით რომ გაიღვიძა თვითონ, შენ უკვე წასული დახვდიო. გამაცოფა ასეთმა უსინდისო ტყუილმა. „ჰო, კარგი, — თქვა როსამ. — იყოს ტყუილი. გოგონა ინანიებს, საბრალო აგერ არის ჩემს გვერდით. გინდა დაგალაპარაკო?“ „არა, არ მინდა!“

ის იყო წერას შევუდექი, რომ მდივანმა ქალმა დამირეკა რედაქციიდან: დირექტორმა გთხოვათ ხვალ დილის თერთმეტ საათზე მობრძანდეთ მასთანო. ზუსტად მივედი. მთელს შენობაში აუტანელი ხმაური იდგა, ცემენტის მტვერი ირეოდა ჰაერში, მაგრამ სხვა რა გზა იყო, რედაქციის თანამშრომლები მიეჩვიენ გონებრივად მუშაობას ამ ქაოსის რუტინაში. ადმინისტრაციისთვის განკუთვნილ ოთახებში კი, პირიქით, ისეთი სიგრილე და სიწყნარე სუფევდა, მეგონა, სადღაც რომელიღაც იდეალურ ქვეყანაში მოვხვდი-მეთქი.

ყმაწვილური გარეგნობის მარკ ტულიი მესამე ჩემს დანახვაზევე წამოდგა, ტელეფონზე ლაპარაკი არ შეუწყვეტია, მაგიდიდანვე გამომიწოდა ხელი და მანიშნა, დაჯექიო. ის იყო გავიფიქრე, სატელეფონო ხაზის მეორე ბოლოში არც არავინაა, უბრალოდ, სპექტაკლს მიწყობს ჩემზე შთაბეჭდილების მოსახდენად-მეთქი, რომ მალევე მივხვდი, გუბერნატორს ელაპარაკებოდა და იმასაც მივხვდი, რომ უსიამოვნო საუბარი, შტრების საუბარი იყო. და მაინც რატომღაც მეგონა, რომ დირექტორი ცდილობდა საქმიან კაცად მოეჩვენებინა ჩეთვის თავი. აღარ დამჯდარა, ფეხზე მდგომი ელაპარაკებოდა უფროსობას. ეტყობოდა, სკრუპულოზურობა მისი ნაკლი გახლდათ. ოცდაცხრა წლის ყმაწვილკაცი უკვე ოთხ ენასა და სამ საერთაშორისო დიპლომს ფლობდა. გაზეთის პირველი უვადო პრეზიდენტისგან ანუ მამის მხრიდან ბაბუისგან განსხვავებით — რომელიც ჟურნალისტი გახდა ემპირიულად მას შემდეგ, რაც კახპების ყიდვა-გაყიდვით დააგროვა დიდძალი ქონება —

ეს დირექტორი იყო ლამაზი, მშვიდი, გონიერი ახალგაზრდა კაცი, ერთადერთი რამ, რასაც დისონანსი შეჰქონდა მის გარეგნობაში, იყო სმაში შეპარული სიყალბე. სპორტულ პიჯაკებს იცვამდა, ღილკალოში ცოცხალი ორქიდეა ჰქონდა დამაგრებული და საერთოდ, ყველაფერი ისე ედგა ტანზე, თითქოს მისი სხეულის ნაწილი ყოფილიყოს, სანაფერი ჰქონდა ქუჩის უამინდობისთვის განკუთვნილი, ყველაფერი ჰქონდა თავისი კაბინეტის სხივნათელი გაზაფხულისთვის განკუთვნილი. ამ ვიზიტისთვის ორი საათი მაინც ვემზადებოდი და უცებ შემრცხვა საკუთარი სიღარიბისა და ამიტომაც გავბრაზდი უფრო მეტად.

ყველაფერ ამასთან სასიკვდილო შხამს აფრქვევდა გაზეთის დაარხებიდან ოცდამეხუთე წლისთავზე გადაღებული რედაქციის თანამშრომლების პანორამული ფოტო, რომელზეც ზოგიერთის თავზე ჯვარია დასმული, რაც იმას ნიშნავს, რომ გარდაცვლილები არიან. მარჯვნიდან მეორე მე ვარ, ულვაშაწკეპილს კანოტიე მახურავს, ფართონასკვიანი ჰალსტუხი მიკეთია, ჰალსტუხზე მარგალიტისთვლიანი ქინძისთავი მაქვს დამაგრებული, ლითონის ჩარჩოიანი სათვალე ბეცი სემინარისტივით მადევს ცხვირზე. შნოიანი ულვაშით ორმოც წლამდე ვიწონებდი თავს. ნახევარი საუკუნის მერე სათვალეც აღარ დამჭირვებია, ეს ფოტო სხვადასხვა დროს სხვადასხვა კაბინეტებში მაქვს ნანახი, მაგრამ მხოლოდ ახლა მივხვდი მის არსს: ორმოცდარვა კაციდან, ძველი მუშაკებიდან მხოლოდ ოთხილა ვართ ცოცხალი, ჩვენს შორის ყველაზე უმცროსი კი ოცწლიან სასჯელს იხდის ციხეში სერიული მკვლელობებისათვის.

დირექტორმა ტელეფონზე საუბარი დაამთავრა და როცა შეამჩნია, ფოტოსურათს ვუყურებდი, გაიღიმა: „ჯვრები მე არ დამისვამს, — თქვა მან. — ვფიქრობ, ეგ ცუდი გემოვნების ბრალია, — მაგიდას მიუჯდა და სხვა კილოზე წამოიწყო ახლა ლაპარაკი. — ნება მიბოძეთ, გითხრათ რომ თქვენ მოულოდნელობებით სავსე კაცი ბრძანდებით მათ შორის, ვისაც კი ვიცნობ. მე მხედველობაში მაქვს თქვენი განცხადება სამსახურიდან წასვლის თაობაზე“. ძლივს ჩავურთე სიტყვა: „ეს — მთელი ცხოვრებაა“. დირექტორი შემეპასუხა, სწორედ ამიტომაც არ არის ეს გამოსავალი“. სტატია ძალიან მოწონებია, მსჯელობა სიბერეზე საუკეთესოაო, მსგავსი არაფერი წამიკითხავსო. ამიტომაც არავითარი აზრი აღარ ჰქონდა, სტატიას ბოლოში რომ მიაყოლეთ თქვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სამოქალაქო სიკვდილის ტოლფასი უფროაო. „საბედნიეროდ, „საძაგელმა თოვლის კაცმა“ სტატია უკვე გვერდებად შეკრული წაიკითხა. რა თქმა უნდა, დასაბეჭდად მიუღებელი მოეჩვენა. ისე რომ არავის შეთანხმებია, თავისი ტორკვემადასეული ფანქრით მიუხაზ-მოუხაზავს ტექსტი, ზოგან ამოუშლია კიდეც ადგილები. გუშინ დილით ეს ამბავი რომ გავიგე, გადავწყვიტე მთავრობისთვის გაგვეგზავნა პროტესტის წერილი. ეს ჩემი მოვალეობაა, მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, ცენზორის მადლობელიც კი ვარ მისი თვითნებობისთვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ნოტა უყურადღებოდ დავტოვო“. დირექტორმა გულწრფელად მთხოვა ნუ დატოვებთ გემს შუა ზღვაშიო... შემდეგ კი მაღალფარდოვ-

ნად დაუმატა: „ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სათქმელი მუსიკაზე“.

დირექტორი ისე მტკიცედ იდგა თავის სიტყვაზე, რომ შეკამათებას აზრი აღარ ჰქონდა. მართალი რომ ვთქვა, დიდი ხელჩასაგდები მიზეზი გალერის დასატოვებლად ნამდვილად არ მქონდა. კიდევ ერთხელ ვიტყვი ჰოს, დროს მოვიგებ, დავმშვიდდები. ჩემდა სამარცხვინოდ გულაჩუყებული და თვალზე ცრემლმომდგარი არ მინდა ვიხილო დამინახოს... და მაინც, როგორც მთელი ეს ხანი ახლაც ჩვენ-ჩვენს მოსაზრებაზე დავრჩით.

მომდევნო კვირაში, რომელიც აურზაურით უფრო გამოირჩეოდა, ვიდრე მხიარულებით, ცხოველთა საშენს მივაკითხე კატის წამოსაყვანად. ცხოველების გვერდით ცხოვრება ნამდვილად არ მიზიდავდა, არც იმ ბავშვების გვერდით, ლაპარაკი რომ არ ჰქონდათ დაწყებული. ვფიქრობ, მათ მუნჯი სული აქვთ. ვერ ვიტყვი, არ მიყვარან-მეთქი, უბრალოდ, ვერ ვიტან იმიტომ, რომ არ ვიცი მათთან როგორ მოვიქცე. არაბუნებრივად მეჩვენება, როცა კაცს თავისი ძაღლი უფრო უგებს, ვიდრე ცოლი. კაცი ძაღლს წვრთნის, ასწავლის, ელაპარაკება, უზიარებს თავის დარდს, მაგრამ სტამბის მუშების ნაჩუქარი კატა რომ არ წამოვიყვანო, ეს ნიშნავს, გავანაწყენო ისინი. თანაც ეს ხომ მშვენიერი ანგორის კატაა თავისი ვარდისფერი მბზინავი ბეწვითა და ცეცხლოვანი თვალებით, კნავილით კი ისე კნავის, გეგონება, სადაცაა ალაპარაკდებაო.

კატა დაწნული კალათით გამომიყვანეს ჯიშის დამადასტურებელი სერტიფიკატითა, და ვითომ დასაკეცი ველოსიპედი ყოფილიყოს, ზედ ინსტრუქციაც მიაყოლეს.

სამხედრო პატრული საბუთებს უმოწმებდა სან ნიკოლას პარკში შემსვლელებს. მსგავსს არაფერს შევსწრებივარ წინათ, ხოლო ის მძიმე შთაბეჭდილება, რამაც ჩემზე ასე იმოქმედა, სიბერის სიმპტომად ჩავთვალე. ოთხკაციანი პატრული იყო: კუნთმაგარ და ჩუმ მთიელ ახალგაზრდებს საქონლის სადგომის სუნი ასდიოდათ. მხოლოდ ოფიცერს ჰქონდა ზღვისპირელის მზემოკიდებული სახე, იგი ყურადღებით ადევნებდა თვალს თავის ხელქვეითებს. ჩემი პირადობის მოწმობა და ჟურნალისტის წიგნაკი რომ შეამოწმეს ოფიცერმა მკითხა, კალათში რა გაქვთო. კატა-მეთქი, ვუპასუხე. ვნახავო. კი, ბატონო-მეთქი, ოღონდ არ ამოხტეს და არ გამექცეს-მეთქი, კალათს ფრთხილად ავხადე, თავი, მაგრამ პატრულმა, აქაოდა, კალათის ძირში რამე საეჭვო ხომ არ არისო, ხელი მოაფათურა, კატამ კი გაკაწრა. „დიდებული ანგორული კატაა“, — ოფიცერი მიეფერა, რალაცა ჩაუჩურჩულა, კატა არ განძრეულა, მაგრამ არც ყურადღება მიუქცევია მისთვის. „რამდენი წლისაა?“ — დაინტერესდა ოფიცერი. „არ ვიცი, სულ ახლახან მაჩუქეს“. „იმიტომ გეკითხებით, რომ ვხედავ, ძალიან ბებერია, ალბათ ათი წლისა იქნება“. მინდოდა გამერკვია, საიდან იცოდა მან ეს ყველაფერი და კიდევ ბევრი რამ, მაგრამ თუმცა ოფიცერი კარგი მანერებითა და დახვეწილი შეტყველებით გამოირჩეოდა, თავი არ მქონდა მასთან ლაპარაკისა. „ჩემი აზრით კატა მიტოვებულია და თანაც რამდენჯერმე, — თქვა ოფიცერმა, — თვალი ადევნეთ, თქვენს ნება-სურვილზე ნუ გადაიყვანთ, პი-

რიქით მისას მიჰყევით და დაელოდეთ, როდის დაიმსახურებთ მის ნდობას". მან კალათს თავი დაახურა და მკითხა: „თქვენ რას საქმიანობთ?" „ჟურნალისტი ვარ", „დიდი ხანია?" „თითქმის საუკუნე". ახლა გაიფიქრე, — თქვა მან, ხელი ჩამომართვა და ისეთი რამ მითხრა, რომელიც შემეძლო მიმეღო როგორც კეთილი რჩევა და მზრუნველობა — თავს გაუფრთხილდით.

შუადღისას ტელეფონი გამოვრთე, რათა „ჩავძირულიყავი" გემოვნებით შერჩეულ მუსიკაში. შევარჩიე ვაგნერის რაფსოდია კლარნეტისა და ორკესტრისათვის, დებიუსის რაფსოდია საქსოფონისათვის და ბრიუკნერის კვინტეტი სიმებიანი საკრავებისათვის, რომელიც სამოთხისეული დასვენება იყო კომპოზიტორის მუსიკალურ ქმნილებათა კატაკლიზმში. მე ჩავიძირე ოთახის ნახევარსიბნელეში და უცებ ვიგრძენი, რაღაცა გასრიალდა მაგიდის ქვეშ, მომეჩვენა, ცოცხალი არსება კი არა, რაღაც ზებუნებრივი სუბსტანცია იყო. ფეხზე შემეხო, ყვირილს ნახტომი მოჰყვა. ეს კატა იყო, ლამაზი, კუდფუმფულა, იდუმალად აუჩქარებელი, მითოლოგიური არსება. გამაკრჟოლა: მე შინ ვიმყოფები, ჩემ გვერდით ცოცხალი არსებაა, ეს არსება კი ადამიანი არ არის.

სამრეკლოზე შვიდჯერ ჩამოკრეს. შევარდისფერებულ ცაზე ერთი ცაშკაშა ვარსკვლავიღა შემორჩენილიყო ეულად, რომელიღაც გემმა ნავსადგურიდან გასვლისას უნუგეშო გამოსამშვიდობებელი გუგუნი მოჰფინა არემარეს და უცბად ვიგრძენი, ყელში როგორ წამიჭირა ყველა იმ სიყვარულის გორდიას კვანძმა, რომელიც შეიძლებოდა აღსრულებულიყო, მაგრამ არ აღსრულებულა. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო, ტელეფონის ყურმილს დავწვდი. გული სადაცაა ამომიხტება მკერდიდან, ავკრიფე ოთხი ციფრი ძალიან ნელა, არ შემეშალოს-მეთქი, და მესამე ზარის შემდეგ ვიცანი ხმა. „კარგი, — ვუთხარი მე და თავისუფლად ამოვისუნთქე, — მაპატიე, დილით რომ გავცხარდი". როსამ კი ვითომც არაფერი: „არა უშავს, ველოდი შენს ზარს". გავაფრთხილე: „გოგონა იყოს იმ სახით, რა სახითაც ღმერთმა მოავლინა იგი ამ ქვეყანას, არც არავითარი საღებავი წაათხიპნოთ სახეზე". როსამ ხმამაღლა გადაიხარხარა: „როგორც იტყვი, მაგრამ შენ იკლებ სიამოვნებას ნელ-ნელა გახადო მას ტანზე, ნელ-ნელა გაანთავისუფლო იგი სამკაულებისაგან, ბებრებს უყვართ, არ ვიცი, რატომ..." „სამაგიეროდ მე ვიცი, — ვუპასუხე მე. — ასე ნელ-ნელაობაში უფრო ბერდებიან". როსა დამეთანხმა:

„კარგი, ეგრე იყოს. მაშასადამე, ზუსტად საღამოს ათ საათზე. აჩქარდი, სანამ იგი ჯერ კიდევ თბილია".

III.

როსამ გოგონას სახელი არ მითხრა, უბრალოდ, ნინიად — გოგონად იხსენიებს. მეც ასე ვარჩიე. ნინია, როგორც „თვალთა ჩემთა სინათლევ, ნინია" ან როგორც კოლუმბის მომცრო კარაველა — „ნინია", თანაც თავის სამეურვეო გოგონებს სხვადასხვა კლიენტისთვის სხვადასხვა სახელს არქმევდა ყოველთვის. შევცქეროდი მძინარე გოგონას და

ვცდილობდი სახის მიხედვით გამომეცნო მისი სახელი. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, გრძელი სახელი ერქვა: ფელომენა, სატურნინა, ნიკოლასა ან რაღაც ამდაგვარი. გოგონამ მხარი იცვალა, ბურგი შემაქცია. მომეჩვენა, თავისი ტანის ფორმისა და ზომის სისწლის გუბეში იწვა, თავზარი დამეცა, მხოლოდ მაშინ მოვეგე გონს, რომ ეს-დავრწმუნდი, ზეწარს ოფლის ლაქა აჩნდა მხოლოდ.

როსა კაბარკასმა დამშოძღვრა, ფრთხილად მოექეცი, გოგონას ჯერ ისევ ეშინია, ხომ იცი, პირველადაა, უფრო მეტიც, რიტუალის გაწელილმა ზეიმურობამ შიში გაუმძაფრა, კატაბალახას წვეთები დავალევინე, ახლა მშვიდად სძინავს და ცოდვაა გაღვიძებაო.

გოგონას პირსახოცით ოფლს ვუმშრალებდი და თან ხმადაბლა ვუმღეროდი დელგადინაზე ანუ „სიფრიფანაზე", ხელმწიფის უმცროს ასულზე, რომელსაც ყოველთვის აკლდა მამის სიყვარული. მე ოფლს ვუმშრალებდი, ის კი სიმღერის ტაქტს აყოლილი გვერდს იცვლიდა. „დელგადინა, ყველაზე მეტად მეყვარები". ეს იყო უდიდესი ტკბობა, ხან ერთ გაოფლილ გვერდს ვუმშრალებდი პირსახოცით, ხან მეორეს, სიმღერაც არ მთავრდებოდა: „წამოდექი, სიფრიფანა და ჩაიცვი, სიფრიფანა", — ვუმღეროდი ყურში. სიმღერის ბოლოს კი, როცა ხელმწიფის მსახურები წყურვილით მკვდარ ქალიშვილს იხილავენ საწოლში, მომეჩვენა, რომ ჩემი გოგონა სადაცაა გაიღვიძებდა თავისი სახელის გაგონებაზე, რადგან ის მართლა დელგადინა ანუ „სიფრიფანა" იყო.

ლოგინში ჩავწექი ტრუსის ამარა, რომელიც პომადიანი ტუჩების ანაბეჭდებით იყო აჭრელებული, გოგონას გვერდით მოვკალათდი და დილის ხუთ საათამდე ტკბილად მეძინა, რადგან ნანინასავით ჩამესმოდა მისი ჩუმი ფშვინვა. სწრაფად ჩავიცვი, ხელ-პირი არც დამიბანია, სარკეზე პომადით ნაწერმა მიიქცია ჩემი ყურადღება: „ვეფხვი საჭმელს შორს არ ეძებს", დანამდვილებით ვიცი, წინა დღეებში აქ არ მოვსულვარ, ოთახშიც ვერავინ შემოვიდოდა. ნეტავ ვინ დაწერა? ნამდვილად ეშმას ხელი ურევია აქ. საშინელმა ქუხილმა კართან მომისწრო, ოთახი მყისვე აივსო ნოტიო მიწის გრძნეული სუნით. ვიდრე ტაქსს გავაჩერებდი, კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ასეთი წვიმები ქალაქს ქაოსში ძირავს მაისიდან ოქტომბრამდე. გახურებულქვიშიანი ქუჩები მდინარისკენ მიექანებიან აქაფებულ ნიაღვრებად და თან მიაქვთ ყველაფერი რაც გზაზე ხვდებათ. ეს უჩვეულო სექტემბრის წვიმა კი, რომელიც სამი თვის გვალვის შემდეგ დაატყდა ქალაქს, შეიძლება ითქვას, სულის მოსათქმელიც იყო და დამანგრეველიც.

ჩემი სახლის კარი რომ გავაღე, უცებ ისეთი ფიზიკური შეგრძნება დამეუფლა, თითქოს მარტო არ ვიყავი. კატის ლანდს შევასწარი თვალი, სავარძლიდან ჩამოხტა და აივნისკენ გასრიალდა, თეფშზე ელაგა საჭმლის ნარჩენები, რომელიც მე არ დამიდევს. შარდისა და ახლად მოსაქმებული განავლის მძაღე სუნით გაჟღენთილიყო იქაურობა. ეს სუნი ისე შევისწავლე, როგორც ერთ დროს — ლათინური. ინსტრუქციაში ამოვიკითხე, კატები თავიანთ განავალს თურმე მიწაში მალავენ, თუ ეზო არ არის, მაშინ ყვავილის ქოთანს ან მოფარებულ კუთხე-კუნ-

ჭულს იყენებდენ მოსასაქმებლად. ოჯახში ამ სიბინძურის თავიდან ასაცილებლად კატის პატრონმა პირველივე დღიდან საგანგებოდ უნდა მიუჩინოს ადგილი ქვიშიან ყუთს. ინსტრუქციაში ისიც წერია, რომ კატა ახალ სახლში უპირველესად თავის ტერიტორიას ინიშნავს, თურმე და ყველგან შარდავს. ალბათ სწორედ ეს იყო მთავარი სირთულეც, თუმცა ინსტრუქციაში არაფერი ეწერა ამ სირთულესთან ბრძოლის თაობაზე. ერთი სიტყვით, კატა ცხოვრობდა თავისი წესით და მეც მაიძულებდა დავმორჩილებოდი ამ წესს, მაგრამ ბოლომდე მაინც არ მანდობდა არც თავის მოფარებულ კუთხე-კუნჭულებს, არც თავის საძინებელ ადგილებს და არც თავის ცვალებად ბუნებას. ძალიან მინდოდა მისთვის მესწავლებინა თავის დროზე ჭამა, ქვიშიანი ყუთის გამოყენება, მინდოდა მესწავლებინა ლოგინში აღარ დამსტომოდა თავზე მძინარეს, მაგიდაზე საჭმელი არ დაეყნოსა, მაგრამ ამაოდ; ვერც ის შევასმინე, რომ სახლი მისიც იყო საკუთრების უფლებით და არა ომის ნადავლის უფლებით. ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ კატას თავი მივანებე.

საღამოხანს კოკისპირული წვიმა წამოვიდა, გრიგალი სახლს მიწასთან გასწორებით ემუქრებოდა. ცემინება ამიტყდა, თავი მტკიოდა, სიცხემ ამიწია, მაგრამ თითქოს ძალა და სიმტკიცე მომეცათ, — რაც უცხო იყო ჩემთვის ყველა ასაკსა და ყველა ვითარებაში — იატაკზე ტაშტები მივდგი-მოვდგი იმ ადგილებზე, სადაც წვიმა ჩამოდიოდა ჭერიდან და ახლაღა აღმოვაჩინე, რომ შარშანდელი ზამთრის შემდეგ ჭერზე ახალი ხვრელები გაჩენილიყო. ყველაზე დიდი ხვრელიდან წვიმა უკვე დასდიოდა ბიბლიოთეკის მარჯვენა მხარეს. სასწრაფოდ უნდა ვადამერჩინა თაროზე ჩარიგებული ჩემი ბერძენი და ლათინელი ავტორები. ის იყო გადმოლაგებას შევუდექი, რომ წყალმა გადმოხეთქა კედლიდან. მილი გამსკდარიყო. ხვრელი დიდი წვალებით ამოვავსე ნაჭრებით, ვცდილობდი დრო მომეგო წიგნების გადასარჩენად. წყალი და ქარი ავად მძვინვარებდა პარკში. ჯოჯოხეთურმა ელვამ და გრუხუნმა საღამოს ბინდი გაკვეთა და გოგირდის მძიმე სუნი დატრიალდა ჰაერში. ვაავებულმა სტიქიამ აივნის მინები ჩაამსხვრია, საკეტები მოგლიჯა და ზღვის შტორმული ქარიც სახლში შემოვარდა, მაგრამ სულ რაღაც ათ წუთში ქარი ერთბაშად ჩაცხრა, მზემ გამოანათა და ააშრო ნამსხვრევებითა და ნაგვით სავსე ქუჩები. კვლავ ჩამოდგა სიცხე. ავდარმა კი გადაიარა, მაგრამ მე დამრჩა ისეთი შეგრძნება, თითქოს მარტო არ ვიყავი სახლში. ასეთ მოვლენას ერთადერთი ახსნა აქვს: ზოგჯერ ადამიანს რეალურად მომხდარი ამბავი ავიწყდება. სამაგიეროდ, ზოგჯერ ისეთ ამბავს იხსენებს, რომელიც არც მომხდარა სინამდვილეში. ჰოდა, ახლა საკმარისი იყო მეხსიერებაში აღმედგინა ის კოკისპირული წვიმა, რომ სახლში უკვე მარტო კი არა, ჩემს „სიფრიფანასთან“ ერთად აღმექვა თავი. ღამით ისე ახლოს ვგრძნობდი მას, რომ ცხადად მესმოდა მისი სუნთქვა, ვხედავდი, როგორ უთრთოდა ჩემს ბალიშზე დადებული ლოყა... მახსენდება, ბიბლიოთეკაში ტაბურეტზე ამძვრალი თაროებს ვათვალიერებდი, მას კი ახლად გამოღვიძებულს წიგნები მშრალ ადგილზე გადაჰქონდა; ვხედავდი, როგორ დარბოდა მთელ სახლში, წყალი კოჭებამდე წვდებოდა, ჭერიდან ჩამოსულ წვიმას ებრძოდა მთლად გა-

ლუმპული. მახსენდება, ვიდრე, მე ღამის ღვარცოფის მერე სახლს ვალაგებდი, იატაკს ვწმენდდი, მან არარსებული საუზმე მოამზადა და სუფრაც გააწყო. არასოდეს დამავიწყდება, საუზმობისას რა კუმტად შემომხედა: „რატომ გამეცანი ასეთი ბებერი?“ მე სიმართლე ვუთხარი: „ასაკი ის კი არ არის, რამდენი წლის ხარ, არამედ ის, ამ წლებს როგორ ვრძნობ“.

მას შემდეგ გოგოს ისე ცხადად ვიხსენებდი, რომ შემეძლო მისთვის ყველაფერი გამეკეთებინა, რაც მომესურვებოდა. შემეძლო მისი თვალების ფერი ჩემი გუნება-განწყობილების მიხედვით შემეცვალა: გამოლვიძებულს თვალები ზღვისფერი ჰქონდა, გაცინებულს — თაფლისფერი, გაბრაზებულს — ცეცხლისფერი. ტანსაცმელსაც განწყობილების მიხედვით ვიცმევდი — ასაკისა და ვითარების შესაბამისად: ოცი წლისა მოკრძალებულ შეყვარებულ ქალიშვილად მესახებოდა, ორმოცისა — დემიმონდენად, სამოცდაათისა — ბაბილონელ დედოფლად, ასი წლისა — წმინდანად. ვმღეროდით პუჩინის სასიყვარულო დუეტებს, აგუსტინო ლარას ბოლეროს, კარლოს გარდელის ტანგოს და ვრწმუნდებოდით, რომ ვინც არ მღერის, იმას არც ესმის, რა ბედნიერებაა სიმღერა. ახლა მე ზუსტად ვიცი, ეს გონების დაბინდვა კი არა, ჩემს ცხოვრებაში შემოჭრილი პირველი სიყვარული იყო, რომელიც ოთხმოცდაათი წლისას მესტუმრა.

სახლი რომ ასე თუ ისე მივალაგ-მოვალაგე, როსა კაბარკასს დავურეკე. „ღმერთო დიდებულო! — შეჰყვირა ქალმა ხმის გაგონებაზე. — მე კი მეგონა, ჩაიძირე“. ვერაფრით გაეგო, როგორ მოხდა რომ გოგონასთან მთელი ღამე გავატარე და კვლავ არ დავაკარე თითი. „თუ არ მოგწონს ეგ შენი ნებაა, მაგრამ ისე მაინც მოიქეცი, ჭკუადამჯდარ კაცს რომ შეეფერება“. მინდოდა ყოველივე ამეხსნა მისთვის, მაგრამ როსამ არ მაცალა: „კიდევ მყავს ერთი გოგო, ცოტა ამაზე უფროსიცაა, ლამაზი და ისიც ქალიშვილია. მამამისს სურს სახლზე გაცვალოს, მაგრამ შევაჭრება შეიძლება“. გული გამეყინა: „კიდევ რას იტყვი? — შიში შემეპარა ხმაში. — მე ეს მინდა. მორჩა და გათავდა. შევთანხმდით? რა საჭიროა ჩხუბი და უსიამოვნება“. ყურმილში ცოტახანს სიჩუმე ჩამოვარდა, ბოლოს ქალმა თავისთვის ჩაილაპარაკა მორჩილად: „ჰო, ეტყობა, ექიმები სწორედ ამას ეძახიან ბებრულ ჭკუასუსტობას“.

ზუსტად ათ საათზე მივედი მძღოლთან ერთად. მძღოლი განსაკუთრებულად დამამახსოვრდა თავისი თავაზიანობით: ზედმეტი შეკითხვებით არ შევუწუხებივარ. მივიტანე პატარა ვენტილიატორი და ორლანდო რივერა-ფიგურიტას ნახატი, რომელიც ძალიან მიყვარს. ჩაქუჩი და ლურსმანიც არ დამვიწყნია, სურათი ხომ უნდა დავკიდო კედელზე! გზად მაღაზიაში შევიარე, კბილის პასტა, ჯაგრისი, ხელის საპონი, ტუალეტის წყალი „აგუა დე ფლორიდას“ ვიყიდე. ლარნაკისა და ვარდების თაიგულის ყიდვაც მინდოდა ხელოვნურყვავილიანი ქოთნის დასაჩრდილად, მაგრამ საყვავილე დაკეტილი დამხვდა და ვილაცის ბაღში რამდენიმე ახლად ამოკოკრებული ლამაზი ყვავილის მოპარვა მომიწია.

დიასახლისის რჩევა გამახსენდა და სახლს უკანა მხრიდან, პარალელური ქუჩიდან, აკვედუკის მხრიდან მივადექი, რათა არავის დავე-

ნახე ბაღში გამავალ კართან. მძღოლმა მითხრა: „ფრთხილად იყავით, პატივცემულო, ამ სახლში კლავენ“. მე ვუპასუხე: „თუ სიყვარულისთვის კლავენ, მომკლან“. ეზოში ბნელოდა, მაგრამ ფანჯრებში სიცოცხლე ენთო, ექვს ოთახში დომხალი თუსთუსებდა. ჩემს ოთახში ოდნავ ხმამაღლა ჟღერდა თბილი ხმა ამერიკელი ტენორის დონ პედრო ფარგასისა, რომელიც ასრულებდა მიგელ მატამოროსის ბოლეროს. მეგონა, სადაცაა მოვკვდები-მეთქი, სუნთქვა შემეკრა, კარს ხელი ვკარი და საწოლზე დავინახე დელგადინა-სიფრიფანა სწორედ ისეთი, როგორიც ხშირად წარმომედგინა: შიშველს ტკბილად ეძინა მარცხენა გვერდზე, იმ მხარეს, სადაც გულია.

ვიდრე დავწვებოდი, ჩემი ნივთები ამოვალაგე, ძველი დაჟანგული ვენტილიატორის ადგილას ახალი დავდგი; სურათი ისე დავკიდე, საწოლიდან რომ კარგად დაენახა. მერე მივუწექი და ვიცანი იგი. ეს გოგონა იყო, ჩემს სახლში რომ დადიოდა, ეს ის ხელებია, სიბნელეში ფათურით რომ მცნობდნენ, ეს ის ფეხებია, კატასავით მსუბუქად რომ დააბიჯებდა, იმ ოფლის სუნია, ჩემს ზეწარს რომ ასდიოდა, ის თითია, ღილების დაკერებისას სათითეს რომ იკეთებს ზედ. მაგრამ აი, რა არის დაუჯერებელი: ის, ვინც მე ხორცშესხმული ვნახე და ხელითაც შევეხე, ნაკლებად რეალური მეჩვენებოდა, ვიდრე ის, ვინც ჩემს მეხსიერებაში ცხოვრობდა.

„კედელზე შენს პირდაპირ სურათი კიდია, — ვუთხარი გოგონას. — ფიგურიტამ დახატა. ჩვენ ის ძალიან გვიყვარდა, ბორდელებში ცეკვავდა, გულკეთილი კაცი იყო, ეშმაც კი ეცოდებოდა. ეს სურათი, გემებს რომ ღებავენ, იმ საღებავებით დახატა, ტილოც დამსხვრეული ისე წყნარად სუნთქავდა, პულსიც კი გავუსინჯე, ხომ ცოცხალია-მეთქი. ში ჩამოვარდა. ფუნჯებიც თავისი ძალის ბეწვისგან გააკეთა. სურათზე დახატული ქალი მონაზონია, ფიგურიტამ მოიტაცა მონასტრიდან და ცოლად ითხოვა. სურათი მე დავკიდე აქ, რათა გამოღვიძებისთანავე პირველი ეს დაინახო“.

შუაღამისას შუქი რომ ჩავაქრე, გოგონას გვერდი არც უცვლია, ისე წყნარად სუნთქავდა პულსიც კი გავუსინჯე, ხომ ცოცხალია-მეთქი. მის ძარღვებში სისხლი ჩუმი სიმღერასავით ჩქეფდა, მისი სხეულის ყველაზე იდუმალ ადგილებამდე აღწევდა და შემდეგ გულთან ბრუნდებოდა სიყვარულით განწმენდილი.

ამას წინათ, წასვლამდე, ქაღალდზე მისი ხელის გულის ხაზები გადავიხატე და დივა საჰიბს მივუტანე ამოსაკითხად და გოგონას სულის ამოსაცნობად. პასუხი ასეთი იყო: ამბობს მხოლოდ იმას, რასაც ფიქრობს, ხელსაქმე ეხერხება. უკავშირდება მიცვალებულს, ვისგანაც ელოდება შველას, მაგრამ ამაოდ. შველა იქვეა, მის გვერდით. ასაკოვანი მოკვდება, გათხოვილი. ახლა მას ჰყავს კაცი, შავგვრემანი, მაგრამ ეს მისი ცხოვრების მამაკაცი არ არის. შეუძლია იყოლიოს რვა შვილი, მაგრამ მხოლოდ სამს გააჩენს. თუ გულის კარნახს მიჰყვება და არა გონებისას, ოცდათხუთმეტი წლისა გამდიდრდება, ორმოცი წლისა მემკვიდრეობას მიიღებს. ბევრს იმოგზაურებს, ორმაგი ცხოვრება და ორმაგი ბედიღბალი ექნება. შეუძლია თავისი ბედი თავადვე განაგოს. იზი-

დავს ყველაფერი ახალი ცნობისწადილის გამო, მაგრამ სანანებელი გაუხდება, თუ ყურს არ მიუგდებს საკუთარ გულს.

სიყვარულით ანთებულმა წესრიგში მოვიყვანე ბუქა-ქუხილის დროს განადგურებული სახლი, ბევრიც ისეთი რამ შევაკეთე, წლების მანძილზე რომ არ მომიკიდია ხელი, ან ფული არ მქონია. მათ შესაკეთებლად. ბიბლიოთეკაში წიგნები გადავალაგ-გადმოვალაგე იმ წესითა და რიგით, როგორითაც ვკითხულობდი ოდესღაც. ბოლოს ისტორიულ რელიკვიას — პიანინოსაც გამოვეთხოვე და კლასიკური მუსიკის ასზე მეტ ჩანაწერსაც. სამაგიეროდ ვიყიდე ფირფიტასაკრავი — მთლად ახალი არა, მაგრამ იმას სჯობდა, რაც მქონდა — დინამიკებიანი, რამაც სახლს რაღაცნაირი დიდებულება შესძინა. სრული სილარიბის ზღვარზე აღმოვჩნდი, მაგრამ ერთი საოცრება ნამდვილად ყველაფერს ჩრდილავდა: ამ ხნისა ცოცხალი ვიყავი. სახლი ფერფლიდან აღდგა, მე კი დელგადინას სიყვარულში, აქამდე განუცდელ უბედნიერეს სიყვარულში ვცურავდი. დელგადინას წყალობით ოთხმოცდაათი წლის მანძილზე პირველად შევხვდი პირისპირ საკუთარ თავს და აღმოვაჩინე, რომ მანიაკური სწრაფვა — ყოველ ნივთს ჰქონოდა თავისი ადგილი, ყოველ საქმეს — თავისი დრო, ყოველ სიტყვას — თავისი სტილი, სულაც არ გახლდათ დალაგებული ჭკუის დამსახურება, პირიქით, ჩემ მიერ მოგონილი სისტემა საკუთარი ბუნების უწესრიგობის დაფარვა იყო. მე აღმოვაჩინე, რომ წესრიგი და წესრიგიანობა სულაც არ არის ჩემი ღირსება, მხოლოდ რეაქციაა საკუთარ უდარდელობაზე; გულუხვი ვჩანვარ, სინამდვილეში საკუთარი მეწვრილმანეობის დაფარვას ვცდილობ; ფრთხილი კაცის სახელი მაქვს, სინამდვილეში ავ ზრახვებს ვმალავ; ბუნებით კი არ ვარ მშვიდი, შიშის გამო ვარ მშვიდი, ვაითუ ჩემი სიცოფე გამომჟღავნდეს-მეთქი; პუნქტუალურიც მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ ვერავინ შემამჩნიოს, სხვის დროს პატივს რომ არ ვცემ, და ბოლოს ისიც აღმოვაჩინე, რომ სიყვარული სულიერი მდგომარეობა კი არა, ზოდიაქოს ნიშანია.

სხვა ადამიანი გავხდი, ვცადე თავიდან გადამეხედა კლასიკოსებისათვის, ყრმობის წლებში რომ მაკითხებდნენ, მაგრამ ვერ შევძელი. ჩავიძირე ლიტერატურაში, რომანტიკოსებში, რომლებიც არ მიყვარდნენ დედაჩემის გამო, სულ ჩამჩიჩინებდა, წაიკითხეო, ახლა კი სწორედ დედაჩემის წყალობით მივხვდი, რომ შეუქცევადი ძალა, რომელიც მთელ სამყაროს ატრიალებს, ბედნიერი სიყვარული კი არა, უბედური სიყვარულია. და როცა კრიზისმა ჩემი მუსიკალური გემოვნებაც ქვეშ მოიყოლა, მივხვდი, დავბერდი და ჩამოვრჩი ცხოვრებას, სამაგიეროდ ბრმა შემთხვევებით გამოწვეულ სიხარულებს გავუღე გული.

ხშირად მიფიქრია, როგორ მოხდა, რომ დავემორჩილე, მივენდე ოცეტებულ დაბინდულ გონებას, რისიც მეშინოდა და რაც თავად ავუტეხე საკუთარ თავს. დავფრინავდი ცრუ ღრუბლებში, საკუთარი ორეულს სარკეში ველაპარაკებოდი იმ იმედით, იქნებ გავიგო ვინ ვარ და რას წარმოვადგენ-მეთქი. მთვარეულივით დავბორიალობდი. ერთ დღეს სტუდენტების დემონსტრაციას შევეჩეხე ქუჩაში. ქვებსა და ბოთლებს ისროდნენ. ძლივს შევიკავე თავი, დემონსტრანტების პირველივე რი-

გებში არ შევვარდნილიყავი ტრანსპარანტით ხელში, რომელიც ყველასათვის ნათელს გახდიდა ჩემს სიმართლეს: „სიყვარულმა გამაგიჟა!“

მძინარე დელგადინას სახე ჯიუტად მედგა თვალწინ და მეც ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე უცებ მომაფიქრდა, ძირეულად შემეცვალა ჩემი საკვირაო წერილების სტილი და ხასიათი. ყველაფერს ვწერდი მისთვის, ვიცინოდი და ვტიროდი მისთვის და ყოველ დაწერილ სიტყვას თან ვატანდი ჩემი ცხოვრების ნაწილს. ჩვეული საგაზეთო სტილის ნაცვლად ამბებს სასიყვარულო წერილების სახე მივეცი, რათა ყველას ისე წაეკითხა როგორც საკუთარი. რედაქციას შევთავაზე, ტექსტის სასტამბო შრიფტით აწყობის ნაცვლად პირდაპირ ჩემი ხელნაწერი გაეშვათ. რედაქციის გამგემ, რა თქმა უნდა, მორიგ ბებრულ გამოხდომად ჩამითვალა ეს წამოწყება, მაგრამ დირექტორმა იგი დაითანხმა ერთადერთი ფრაზით, რომელიც მაშინვე აიტაცა მთელმა რედაქციამ ფრთიან ფრაზად.

— თქვენ ცდებით: წყნარი გიჟები მომავალს გვიახლოვებენ.

საზოგადოება აღფრთოვანებული გამოეხმაურა ჩემს წერილებს. უამრავი წერილი მოდიოდა რედაქციაში, უმეტესწილად შეყვარებულებისა. ჩემს წერილებს რადიოშიც გადმოსცემდნენ, როგორც მნიშვნელოვან ახალ ამბებს, ასლებს იღებდნენ, ამრავლებდნენ და კონტრაბანდული სიგარეტებივით ყიდდნენ სან ბლასის ქუჩის კუთხეში. თავდაპირველად ეს წერილები ნაკარნახევი იყო საკუთარი თავის წარმოჩენის მეტისმეტი სურვილით, მკითხველებს მივმართავდი ოთხმოცდაათი წლის კაცის სახელით, კაცისა, რომელმაც ვერ ისწავლა ბებრულად ფიქრი. ინტელექტუალებმა ჩვეულებისამებრ პირფეროობით გამოიჩინეს თავი, გრაფოლოგებმა კი, ვისგანაც ყველაზე ნაკლებად ველოდი, მცდარ დასკვნებზე დაყრდნობით საწინააღმდეგო მოსაზრებები გამოთქვეს ჩემს კალიგრაფიასთან დაკავშირებით. სწორედ გრაფოლოგებმა დაუპირისპირეს ერთმანეთს აზრები და განწყობილებები, დაანთეს პოლემიკის კოცონი და შემოიტანეს ნოსტალგიის მოდა.

როსა კაბარკასს მოველაპარაკე, რომ ოთახში დარჩებოდა ვენტილიატორი, ჩემი სატუალეტო ნივთები და საერთოდ ყველაფერი, რასაც მე მივიჩნევდი საჭიროდ ნორმალური ცხოვრებისათვის. მოვდიოდი საღამოს ათ საათზე, რაღაც-რაღაცები მომქონდა გოგონასათვის და ხანდახან ორივესთვის, რამდენიმე წუთს ჩვენი ღამეული თეატრის დეკორაციის გაფორმებას ვუნდებოდი, ხოლო ვიდრე წავიდოდი — არაუგვიანეს დილის ხუთი საათისა —ყველაფერს ჩაკეტილში ვტოვებდი და ოთახიც ღარიბული და გაფცქვნილი ხდებოდა, თავის დანიშნულებას ამართლებდა. უსიცოცხლო სიყვარულობანასა და შემთხვევითი კლიენტებისთვის მეტიც იყო. ერთ მშვენიერ დილას ყური მოვკარი, მარკოს პერესს — რადიოს ყველაზე პოპულარულ ხმას — გადაუწყვეტია, ჩემი საკვირაო წერილები წაიკითხოს ორშაბათობით თავის გადაცემაში — „ახალი ამბები“. რაღაცნაირი უსიამოვნო შეგრძნება და შიში ცადავიფერთხე და ვთქვი: „იცი რას გეტყვი, დელგადინა? სახელი და დიდება — მსუქანი სენიორაა, რომელიც შენთან არ წევს, მაგრამ როცა გაიღვიძებ, დაინახავ, რომ შენს საწოლთან დგას და ბიმზერს“.

ერთ დილით როგორღაც როსა კაბარკასთან დავრჩი სასაუზმოდ, თუმცა მძიმე ძაძებშია და შლაპაც წარბებამდე აქვს ჩამოფხატული, როსა მოტეხილი აღარ მეჩვენება. მისი ნახელავი ცხარე უგემრიელესი საუზმეული განთქმული იყო. პირში მოვიგდე თუ არა ცოცხალი ცეცხლის პირველივე ლუკმა, თვალებიდან ნაპერწკლები ამომცვივდა და ძლივს ამოვღერღე: „ამაღამ სავსე მთვარის გარეშეც ამეწვება უკანალი". „მოეშვი წუწუნს, — მითხრა როსამ. — უკანალი თუ გეწვის, ე. ი. ღვთის წყალობით ჯერ კიდევ გქონია იგი".

როსას გაუკვირდა, გოგონა რომ დელგადინად მოვიხსენიე: „მას დელგადინა არ ჰქვია..." „ნუ მეტყვი, რა ჰქვია, — შევაწყვეტინე მე. — ჩემთვის ის დელგადინა ანუ „სიფრიფანაა". როსამ მხრები აიჩეჩა: „კარგი, ეგრე იყოს, გოგონა შენია და რასაც გინდა, იმას დაარქმევ. ოღონდ, შენი შერქმეული სახელი რაღაცნაირად რაქიტული მეჩვენება". როსას მოვუყევი, სარკეზე გოგონას ნაწერი დამხვდა-მეთქი ვეფხვის შესახებ. „შეუძლებელია, გოგონამ წერა-კითხვა არ იცის". „მაშინ ვინ დაწერა?" როსამ ახლაც აიჩეჩა მხრები: „ალბათ იმან, ვინც ამ ოთახში მოკვდა".

როსასთან ხშირი საუზმობით ვისარგებლე, ჯერ გული გადავუშალე და მერე ვთხოვე, დელგადინასთვის მიეხედა, შეემოსა, პირობები გაეუმჯობესებინა. სიამოვნებით დამეთანხმა — მოსწავლე გოგონასავით ეშმაკურად: „სასაცილოა, ასე მგონია, მის ხელსა მთხოვ, — უცებ გამოცოცხლდა. — მართლა, იქნებ ცოლად მოგეყვანა?" გავქვავდი. „ჰო, ჰო, — არ მომეშვა ის. — იაფად გამოხვალ. ბოლო-ბოლო შენს ასაკში მთავარია, შეგიძლია თუ არ შეგიძლია ის. შენ მითხარი, ამ მხრივ ჩემთან ყველაფერი რიგზეაო". ინიციატივა გამოვტაცე: „უსიყვარულო სექსი იმათთვის არის ნუგეში, ვისაც სიყვარული არ სტუმრებია".

როსამ გადაიხარხარა: „აბ, ჩემო ჭკვიანო კაცო, ყოველთვის ვიცოდი, ნამდვილი მამაკაცი რომ იყავი, და მიხარია, ასეთი რომ დარჩი, მაშინ როცა შენმა მტრებმა იარაღი დაყარეს, ტყუილად როდი ლაპარაკობენ შენზე ამდენს. მარკოს პერესი ხომ გაგიგონია?" „პერესი ვის არ გაუგონია!" — ვთქვი მე საუბრის თემის შესაცვლელად, მაგრამ როსა მაინც თავისას მიერეკებოდა: „პროფესორმა კამაჩო ი კანომ გუშინ გადაცემაში „ცოტა-ცოტა ყველაფერზე" შენც გახსენა და თქვა, სამყარო ის აღარ არის, იმიტომ რომ მისნაირები ცოტანიღა დარჩნენო".

კვირის ბოლოს შევამჩნიე, რომ დელგადინას ახველებდა და სიცხეც ჰქონდა. როსა გავაღვიძე, იმანაც სასწრაფოდ შემომიტანა წამლები. გოგონა ორი დღის შემდეგაც სუსტად გრძნობდა თავს, სამუშაოდ — ღილების დასაკერებლად — ვერ წავიდა. ექიმმა შინაურული წამლები დაუნიშნა, საშიში არაფერია, გაციებულია, ერთ კვირაში გამოკეთდებაო, მაგრამ ისიც დაუმატა, მე უფრო მისი სიგამხდრე მაფიქრებსო. დელგადინას ვერ ვხედავდი, მხოლოდ ვგრძნობდი, ძალიან მაკლდა, ვისარგებლე შემთხვევით და ოთახის გადახალისება დავიწყე, დრო მაქვს და ჩემებურად მოვაწყობ-მეთქი.

მოვიტანე სესილი პორასის ნახატი ალვარო სეპედას წიგნისათვის „ჩვენ ყველანი ველოდებოდით" და რომენ როლანის „ჟან-კრისტოფის"

ექვსი ტომი ჩემი ღამეული სიფხიზლის გასალამაზებლად". ერთი სიტყვით, როდესაც დელგადინამ შეძლო აქ დაბრუნება, ოთახი ლამაზად, ღირსეულად და სავსებით შესაფერისად დახვდა აქაური ბედნიერებისათვის: სურნელოვანი ინსექტიციდით გაჟღენთილი ჰაერი, ვარდისფერი კედლები, დაბურულპლაფონიანი ლამპები, დღევანდელი ტემპერამენტების შესაფერისად დაკიდული სურათები, დედაჩემის მშვენიერი ნახატები, ცოცხალი ყვავილები ლარნაკებში, ჩემი საყვარელი წიგნები — ეს ყველაფერი სხვანაირ ელფერს აძლევდა ოთახს. ძველი რადიომიმღები ახალ მოკლეტალღიანზე გადავცვალე და მოვმართე კლასიკურ მუსიკაზე, რათა დელგადინას ძილის წინ მოცარტის კვარტეტი მოესმინა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ გოგონა იმ არხს იჭერდა, რომელზეც მოდური ბოლეროებს გადმოსცემდნენ. ეჭვი არ არის, ეს უფრო მოსწონდა და მეც თავი არ მომიკლავს, გინდა თუ არა მოცარტი მოისმინოს-მეთქი. სიყმაწვილეში მეც მოდური მუსიკით ვიყავი გატაცებული. მეორე დღეს სახლიდან გასვლამდე პომადით დავწერე სარკეზე: „ჩემო გოგონა, ჩვენ მარტონი ვართ ამ ქვეყანაზე".

იმ დღეებში რაღაც უცნაური შეგრძნება გამიჩნდა, მეჩვენებოდა, თითქოს დელგადინა დროს უსწრებდა გაზრდაში. როსას გავუზიარე ჩემი წუხილი. როსას არც გაკვირვებია, ბუნებრივი ამბავიაო. დელგადინა თხუთმეტ დეკემბერს თხუთმეტისა ხდება, ტიპიური მშვილდოსანია. შემეშინდა, გოგონა იმდენად რეალურია, რომ ყოველ წელს თითო წელი ემატება. რა ვაჩუქო? „ველოსიპედი, — მითხრა როსამ. — დღეში ორჯერ ლამის მთელი ქალაქის გავლა უწევს თავის ღილებამდე". როსამ საკუჭნაოში შემიყვანა და გოგონას ველოსიპედი მაჩვენა. ეს ძირგავარდნილი ქვაბი რა მისი საკადრისია-მეთქი, გავიფიქრე და გულიც ამიჩუყდა, ეს ხომ ნაღდი საბუთია იმისა, რომ დელგადინა მართლაც არსებობს რეალურ ცხოვრებაში.

გადავწყვიტე საუკეთესო ველოსიპედი მეყიდა მისთვის, მაღაზიაში სულმა წამძლია, პირადად შემემოწმებინა ველოსიპედის ვარგისიანობა. დავჯექი, ერთ-ორ წრეს შემოვივლი-მეთქი. გამყიდველი დაინტერესდა ჩემი ასაკით. მეც ბებრული თავმოწონებით ვუპასუხე, მალე ოთხმოცდათერთმეტის გავხდები-მეთქი და პასუხად გავიგონე ის, რისი გაგონებაც მსურდა: „ოცი წლით ახალგაზრდად გამოიყურებით". თავადაც ვერ გამეგო, აქამდე როგორ შემომრჩა პატარა ბიჭის ჩვევები; გული სიხარულით მქონდა სავსე და სიმღერა წამოვიწყე. ჯერ ჩემთვის ვღიღინებდი, მერე ცოტა მოვუმატე ხმას, მერე მკერდიდან ისე გადმოვაფრქვიე, თითქოს დიდი კარუზო ვყოფილიყავი. აჭრელებულ დახლებს შორის ატორტმანებულ ხალხის მორევში გიჟურად დავაქროლებდი ველოსიპედს. ყველანი მხიარულად მაყოლებდნენ თვალს შეძახილებით მამხნევებდნენ, მირჩევდნენ მონაწილეობა მიმეღო რბოლაში — „კოლუმბიის გარშემო ინვალიდის ეტლით". ვმღეროდი, ხალხს ხელს ვუქნევდი, გემშვიდობებათ ბედნიერი მოგზაური-მეთქი... იმავე კვირას დავწერე კიდევ ერთი სასოწარკვეთილი სტატია: „როგორ უნდა იყო ბედნიერი ველოსიპედზე ოთხმოცდაათი წლისა".

დაბადების დღეს დელგადინას ძილის წინ ვუმღერე, კოცნით დავუფარე მთელი სხეული, ხერხემალი, მალები, მილეული ფეძოები, ხალიანი გვერდი და მკერდი, სადაც უძილო გული უძგერდა. მე ვკოცნიდი მის სხეულს კი თანდათან ემატებოდა სიმხურვალე და ველური სურნელი. მისი კანის ყოველი გოჯი ნახი თრთოლვით [illegible] და ყოველ ჩემს კოცნას აგებებდა სხვაგვარ სითბოს, განსაკუთრებულ გემოსა და ახალ კვნესას. ძუძუს კერტები ეფურჩქნებოდა ჩემი თითების მოლოდინში, თითებისა, რომლებიც არ შეხებიან მას. ის იყო ჩამთვლიმა, რომ ვიგრძენი, თითქოს ზღვა აზვირთდა ღმუილით, პანიკამ გადაურბინა ხეებს და გულში გამიარა, მაშინვე გავედი სააბაზანოში და სარკეზე დავწერე: „დელგადინა, „სიფრიფანა", ჩემო სიყვარულო, აი, უკვე თავს დაგვატყდა შობის ქარები".

ერთ-ერთი ჩემი ყველაზე ბედნიერი მოგონება სკოლის წლებს უკავშირდება. ერთ ზუსტად ასეთსავე დილას სულში რაღაცნაირი ფორიაქი ვიგრძენი. რა მემართება? მასწავლებელმა დაბნეულმა მითხრა: „აჰ, შვილო, ეს ხომ ქარია". ოთხმოცი წლის შემდეგაც დელგადინას საწოლში გაღვიძებულს იგივე შეგრძნება დამეუფლა. ახლაც დეკემბერი იყო, თავის დროზე დამდგარი, დეკემბერი გამჭვირვალე სუფთაცით, ქვიშის ქარიშხლებითა და ქუჩების გრიგალებით, სახლებს რომ სახურავებს ხდიდა და მოსწავლე გოგონებს კაბებს მაღლა უფრიალებდა. ქალაქი ივსებოდა ზღაპრული გუგუნით. ქარიან ღამეებში ქალაქის ბაზრის სმაური შორეულ კვარტალებშიც კი ისე ისმოდა, თითქოს ხელის გაწვდენაზე ყოფილიყოს. და რა გასაკვირია, რომ დეკემბრის ქარები გვეხმარებოდნენ ხმების მიხედვით მოგვეძებნა შორეულზე შორეულ ბორდელებში მიმოფანტული მეგობრები. მაგრამ ამ ქარებმა უსიამოვნო ამბავიც მომიტანეს: დელგადინა ჩემთან ერთად ვერ გაატარებდა შობის დღესასწაულს, თავის ოჯახში რჩებოდა. თუკი რამ მძულს ამქვეყნად, ეს — მოვალეობის გამო სადღესასწაულო თავყრილობებია. მეზარება, ადამიანები სიხარულისგან რომ ტირიან, მეზარება ეს ხელოვნური ცეცხლები, სულელური საშობაო სიმღერები და ქალალდის გირლანდები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ორი ათას ხუთასი წლის წინათ უბადრუკ ბაგაში დაბადებულ ყრმასთან, მაგრამ როცა დადგა შობის ღამე, ნაღველს ვერ გავუძელი და გავეშურე ჩვენი ოთახისკენ, სადაც ის არ იყო. კარგად მეძინა, როცა გამოვიღვიძე, იქვე საწოლთან დავინახე პლუშის დათუნია, ჩრდილოური, პოლარული დათუნია, რომელიც უკანა ფეხებზე შემდგარი დაბაჯბაჯებდა. იქვე იდო ბარათიც: „საძაგელ მამას". როსა კაბარკასი მეუბნებოდა, დელგადინა სარკეზე შენი წარწერების დახმარებით სწავლობს წერასო. ძალიან მომწონს მისი ნაწერი, მაგრამ თვითონ დელგადინამ კიდევ ერთხელ დამწყვიტა გული: დათუნია მისი საჩუქარი ყოფილა. ახალი წლის ღამე შინ დავრჩი, სალამოს რვა საათზე ჩავწექი ლოგინში და დავიძინე ყოველგვარი ნაღველისა და შფოთიანობის გარეშე. ბედნიერი ვიყავი, რადგან — საათმა თორმეტჯერ რომ ჩამოკრა, მას მოჰყვა ზარების რეკვა, პორტში მდგარი გემების გუგუნი, ქარხნების საყვირების ღმუილი, სახანძრო მანქანების სირენები, პეტარდების ტკაცატკუცი — ვიგრძენი,

ლელგადინა შემოვიდა, გვერდით მომიწვა და მაკოცა. ისე ცხადად მოხდა ეს ყველაფერი, რომ პირში ძირტკბილას გემოც კი დამრჩა.

ახალი წლის დადგომისთანავე ჩვენც დაგვიდგა დრო ერთმანეთის უკეთ გაცნობისა, ხმამოზომილ სიმღერას მივაჩვიე თავი. ისე ვუმღეროდი, ძილში რომ გაეგონა და ძილშივე ეპასუხა თავისი სხეულის ბუნებრივი ენით: გოგონას გუნება-განწყობილების გამოცნობა შეიძლებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ ეძინა. თუ პირველ ხანებში დალლილსა და მოუხეშავს მოუსვენრად ეძინა, მერე და მერე, თითქოს სულიერი სიმშვიდე ჰპოვაო, ძილიც მშვიდი გაუხდა, სახეც — უფრო ლამაზი და სიხმრებიც — მრავალფეროვანი.

ერთ დღეს ბალიშზე დედაჩემის ბურმუხტის საყურეები დავუტოვე. ჩვენს შემდგომ შეხვედრაზე ეკეთა, მაგრამ არ უხდებოდა. სხვა მოვუტანე, თან ავუხსენი: პირველად მოტანილი არც სახის ფერზე მოგიხდა და არც ვარცხნილობაზე აი, ესენი კი, მე მგონი, მოგიხდება-მეთქი. ორჯერ უსაყურებოდ მოვიდა, მესამედ კი ჩემი მოწონებული გაეკეთებინა. ეტყობა, დიდად არ მოსწონდა, მაგრამ შემთხვევას ელოდებოდა, ჩემთვის ესიამოვნებინა. იმ დღეებში ისე მიეჩვიე ოჯახურ ცხოვრებას, რომ შიშველი აღარ ვიძინებდი უწინდებურად. ჩინური აბრეშუმის პიჟამები გამოვამზეურე, კარგა ხანია არ ჩამიცვამს: არავინ მყავდა ისეთი, ვისი გულისთვისაც მომიწევდა გახდა.

დავიწყე ფრანგი ავტორის სენტ ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის" კითხვა. ამ წიგნმა მთელი მსოფლიო აღაფრთოვანა. და აღაფრთოვანა უფრო მეტად, ვიდრე თავად ფრანგები. ეს იყო პირველი შემთხვევა, გოგონა რომ რაღაცით დაინტერესდა, გაღვიძებით არ გაუღვიძია, მაგრამ რომ მოეწონა, ნამდვილად დაეტყო. ჰოდა, მეც ორი დღე ზედიზედ მომიწია აქ მოსვლა, რომ წიგნები ბოლომდე ჩამეკითხა. შემდეგ წავიკითხეთ პეროს „ზღაპრები", საღმრთო ისტორია, „ათას ერთი ღამის" დეზინფიცირებული ვარიანტი ბავშვებისათვის. კითხვისას მივხვდი, რომ გოგონას ძილის სხვადასხვა სიღრმეები ჰქონდა, ეს კი იმას მიანიშნებდა, რომ ჩემს წაკითხულ წიგნებს ის ერთმანეთისგან განასხვავებდა, მეტნაკლები მოწონებით აღიქვამდა. როცა ვიგრძნობდი, რომ, როგორც იტყვიან, ძირამდე ჩავედი, შუქს ვაქრობდი და მასთან ჩახვეულს მეძინა მამლის ყივილამდე.

ბედნიერი ვიყავი და ნაზად ვუკოცნიდი თვალებს. ერთ ღამეს თითქოს სხივი გაუკრთაო სახეზე, პირველად გაიღიმა, შემდეგ კი სწრაფად შემაქცია ზურგი და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა: „ისაბელის ბრალია, ლოკოკინები რომ ტიროდნენ". იმედი მომეცა, საუბარს ავაწყობთ-მეთქი და მისსავე კილოზე ვკითხე: „ვისი იყვნენ?" არ მიპასუხა. ხმა და კილო პლებეური ჰქონდა, თითქოს მისი არ იყო, თითქოს ვილაც სხვას მალავდა შიგნით. და მაშინ ყოველგვარი ეჭვისა და ყოყმანის გარეშე მივედი იმ დასკვნამდე, რომ გოგონა მძინარე უფრო მომწონდა. კატამ საზრუნავი გამიჩინა. ბოლო ხანებში როგორღაც მოეშვა, იწვა თავის კუთხეში და თავს მაღლა არ სწევდა. დამიანას ვთხოვე, იქნებ ექიმ-ვეტერინართან წაიყვანო-მეთქი, კალათში ჩასმა რომ დავუპირე, დაჭრილი ნადირივით დამფხოჭნა. დამიანამ კალათში ძალისძალობით

ჩაკუჭა აფხარკალებული კატა და წავიდა. რაღაც დროის შემდეგ დამირეკა: სხვა გზა არ არის, კატა უნდა მოწამლონ, მაგრამ თქვენი თანხმობაა საჭირო. კი მაგრამ, რატომ უნდა მოწამლონ-მეთქი? „იმიტომ რომ ბებერია", — თქვა დამიანამ. ცეცხლი მომეკიდა ენაზე: მაშინ მეც უნდა დამწვან ცოცხლად-მეთქი. არ ვიცოდი, [illegible] ეულიყავი, ორ ცეცხლს შუა აღმოვჩნდი. მართალია, კატის სიყვარული ვერ ვისწავლე, მაგრამ სასიკვდილოდ მაინც ვერ ვიმეტებდი, თანაც მხოლოდ იმიტომ, რომ ბებერი იყო. ის ოხერი ინსტრუქცია მაინც სად მივაგდე, იქნებ იქ ამომეკითხა რამე სასიკეთო!

ამ შემთხვევამ ისე ამაღელვა, რომ დავწერე საკვირაო სტატია სათაურით, რომელიც ნერუდას ვესესხე: „კატა — ოთახის პატარა ვეფხვი?" სტატიას ახალი კამპანია მოჰყვა, საზოგადოება კვლავ ორად გაიყო! კატების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ხუთი დღის მერე გაიმარჯვა აზრმა — სავსებით კანონიერია მოაკვდინო კატა, თუკი ის ადამიანთა ჯანმრთელობას ემუქრება და არა იმის გამო, რომ ბებერია.

დედის სიკვდილის შემდეგ რაღაცნაირი შიში დამჩემდა, სულ მგონია, რომ მძინარეს ვიღაცა შემახებს ხელს. ერთ ღამეს მე ეს ცხადად ვიგრძენი და ავფორიაქდი, მაგრამ დედაჩემის ხმამ დამიბრუნა სიმშვიდე: „Figlio mio poveretto".[1]

ასეთივე შეგრძნება დამეუფლა ერთ ადრიან დილას ჩვენს ოთახში. ლამის წამოვხტი სიხარულისგან, ვიფიქრე, დელგადინა შემეხო-მეთქი, მაგრამ არა: როსა კაბარკასი გამომეცხადა სიბნელეში, თითქოს წყვდიადიდან ამოტივტივდაო. „ჩქარა ჩაიცვი და გამომყევი, სერიოზული პრობლემა შემექმნა".

პრობლემა სერიოზულზე მეტი აღმოჩნდა. დაწესებულების ერთი პატივცემული კლიენტი ყელგამოჭრილი იპოვეს პირველ ოთახში. მკვლელი მიიმალა. უზარმაზარი, მოხარშული ქათამივით ფერშეცვლილი შიშველი გვამი გასისხლიანებულ საწოლზე იწვა. მხოლოდ ფეხსაცმელი ეცვა. ოთახში შესვლისთანავე ვიცანი: ხ. მ. ბ. იყო, მსხვილი ბანკირი, ტანადი და სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი, ჩაცმა-დახურვის მოყვარული და, რაც მთავარია, ცნობილი თავისი ოჯახური სიწმინდით. ორი მეწამულისფერი ჭრილობა აჩნდა ყელზე, ტუჩების ფორმისა, მუცელზე კარგა მოზრდილი ხვრელიდან სისხლი სდიოდა. გვამური გაქვავება ჯერ არ დამდგარიყო, მაგრამ ჭრილობებზე მეტად გამაოცა სიკვდილის გამო შეკუმშულ მამაკაცურ ორგანოზე წამოცმულმა გამოუყენებელმა პრეზერვატივმა.

ხოსა კაბარკასმა არ იცოდა, ვინ ახლდა ბანკირს, რადგან ბანკირიც ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ამ სახლში ბაღის მხრიდან შესვლის პრივილეგიით სარგებლობდა. როსა არ გამორიცხავდა იმასაც, რომ ბანკირის მეწყვილე შესაძლოა მამაკაცი ყოფილიყო. როსას ერთი რამ სურდა ჩემგან — მიცვალებულის ჩაცმაში მივხმარებოდი. იგი ისეთი მშვიდი და თავდაჯერებული ჩანდა, რომ ეჭვმა გამკრა, იქნებ სიკვდილი მისთვის სულაც ჩვეულებრივი ამბავია-მეთქი. „მიცვალებულის ჩა-

---

1 ჩემი საბრალო შვილი (იტალ.).

ცმა ძალიან ძნელია", — ვთქვი მე. „ღვთის წყალობით, მე ჩამიცმია, — თქვა მან. — სულაც არ არის ძნელი. მით უმეტეს, თუ ვინმე გეხმარება". შევეჭვდი: „შენ გგონია, ვერ მიხვდებიან? გვაში თეთრ არის დაჩეხილი, კოსტიუმი კი ახალთახალი აცვია ინგლისელი ჯენტლმენივით?!".

უცებ შიშმა ამიტანა, დელგადინა გამახსენდა. „სჯობს, წაიყვანო", — მირჩია როსამ. „ჯერ მიცვალებულს მივხედოთ", — ვთქვი შიშით დაზაფრულმა. ქალმა შეამჩნია ჩემი შიში და მოურიდებლად მითხრა: „რა მოგდის? სულ კანკალებ". „ი მ ა ზ ე ვფიქრობ, — ახლაც ვერ დავმალე შიში, მაგრამ ეს იყო ნახევარი სიმართლე. — უთხარი გოგოს, სანამ არ შემოცვენილან, სასწრაფოდ გაეცალოს აქაურობას". „კარგი, — დამპირდა როსა. — შენ კი ჟურნალისტი ხარ და ხელს არ გახლებენ". „არც შენ გახლებენ, — ვუთხარი არცთუ მეგობრულად. — შენ ერთადერთი პოლიტიკოსი-ლიბერალი ხარ, ვისაც წონა აქვს ამ მთავრობაში".

ქალაქს, რომელიც მიჩვეული იყო წყნარ გარემოსა და ძველისძველ უშფოთველობით ტკბობას, წყევლასავით დაატყდა თავს საშინელი ამბები: წელიწადი ისე არ გავა, ქალაქი არ შეძრას ცნობამ სკანდალური, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის თაობაზე. ამჯერად კი სხვაგვარად მოხდა: ოფიციალური განცხადება შთამბეჭდავი სათაურითა და ძუნწ ფაქტებზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ ახალგაზრდა ბანკირს პრადომარის გზატკეცილზე დაესხნენ თავს. იგი დანით მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა. მკვლელობის მოტივი უცნობია. მას მტრები არ ჰყავდა. განცხადებაში საკარაუდო ეჭვმიტანილებად ნახსენები იყვნენ ქვეყნის შიდა ოლქებიდან გადმოსული ადამიანები, რომლებმაც ააზვირთეს დანაშაულობათა ტალღა, რაც სრულიად მიუღებელი და უცხო იყო ადგილობრივი მშვიდობისმოყვარე მოსახლეობისათვის. პირველივე საათებში დააკავეს ორმოცდაათზე მეტი ეჭვმიტანილი.

აღშფოთებულმა მივაკითხე ჩვენი გაზეთის კრიმინალური განყოფილების რედაქტორს, ოციანი წლების ტიპიურ ჟურნალისტს. თავზე განუყრელი მწვანე ცელულოიდის წინაფრიანი კეპი ეხურა, პერანგის სახელოები რეზინის აჭიმებით დაემაგრებინა. მან ყველაფერი იცოდა უფრო ადრე, ვიდრე მოხდებოდა, წინასწარ ხვდებოდა ყველაფერს, — ყოველ შემთხვევაში მას ასე ეგონა. მაგრამ ამჯერად ხელთ ჰქონდა ჩადენილი დანაშაულის მხოლოდ ნაწყვეტი ქაფები და თავი და ბოლო ვერ გაერკვია მათი. მე, არაფერში გავება-მეთქი, დიდი სიფრთხილით შევავსე საერთო სურათი. მოკლედ, ოთხი ხელით დავწერეთ — როგორც ყოველთვის, ახლაც უტყუარ წყაროებზე დაყრდნობით — ხუთი გვერდი, რომელსაც დაეთმობოდა „ახალი ამბების" რამდენიმე სვეტი პირველსავე გვერდზე. მაგრამ „საძაგელ თოვლის კაცს", ცენზორს, ხელიც არ შეტოკებია, ისე აიძულა რედაქცია გამოექვეყნებინა ოფიციალური ვერსია: თითქოს ლიბერალებმა ჩაიდინეს ეს საზარელი დანაშაული: თუ აქამდე სინდისი მქენჯნიდა, დაკრძალვის დღეს ლამის ბოლ-

მას დავეხრჩვე. ეს იყო საუკუნის ყველაზე ცინიკური და ყველაზე ხალხმრავალი დაკრძალვა.

შინ დაბრუნებულმა საღამოსვე დავურეკე როსა კაბარკასს, დელგადინას ამბავი მინდოდა გამეგო, მაგრამ ტელეფონი დუმდა. ოთხი დღე ვრეკავდი როსასთან, არავინ მპასუხობდა. მეხუთე დღეს შიმსატანილი გავემართე მისი დაწესებულებისკენ. კარი დალუქული დამხვდა. მეგონა, პოლიციამ დალუქა-მეთქი, მაგრამ სანიტარულ ინსპექციას დაულუქავს. მეზობლებმა არაფერი იცოდნენ. დელგადინას კვალი გამქრალიყო. დავიწყე ძებნა. იმდენს ვეძებდი, რომ საცოდავიც ვიყავი, სასოწარკვეთილიც და სასაცილოც, ძალა გამომეცალა. მთელი დღეები პარკში ვიჯექი მტვრიან მერხზე და თვალს ვაყოლებდი ველოსიპედიან გოგონებს. პარკში ბავშვები თამაშობდნენ, სიმონ ბოლივარის გაქუცულ ძეგლზე ძვრებოდნენ. ველოსიპედებით მიქროდნენ მეძავები — ლამაზები, დაშყოლები, მიდი, ჩაავლე ხელი ვისაც გინდა და რამდენიც გინდა, როგორც თვალახვეული ბიჭი ან გოგო ავლებს ხოლმე ხელს დამალობანას თამაშისას. იმედი რომ გადამეწურა, ბოლეროს მშვიდ სამყაროს შევაფარე თავი, მაგრამ ესეც მოწამლულ სასმელად ქცეულიყო ჩემთვის: ყოველი სიტყვა იყო ის. წინათ წერის დროს სიჩუმე მჭირდებოდა, რადგან ჩემს გონებას მუსიკა უფრო მაცდურად ეწეოდა თავისკენ, ვიდრე საწერისკენ. ახლა კი ყველაფერი პირიქითაა, შემიძლია ვიმუშაო, ვწერო მხოლოდ ბოლეროს თანხლებით. ჩემი ცხოვრება მ ი ს ი თ არის სავსე. ჩემი სტატიები, იმ ორ კვირას რომ იბეჭდებოდა, სასიყვარულო წერილების ნამდვილ ნიმუშად იქცა. რედაქციის გამგეს აღიზიანებდა დასტებად მოსული მკითხველთა წერილები. მთხოვა, ოდნავ მაინც დააცხრეთ სასიყვარულო გზნება, ვიდრე არ მოვიფიქრებთ რაიმე დამამშვიდებელს შეყვარებულთა უზარმაზარი არმიისთვისო.

მე ვერ ვმშვიდდებოდი და დღეებიც უთავბოლოდ, ლამის თავდაყირა გადიოდა. ვიღვიძებდი ხუთზე, ვიწექი ბნელში და ვხედავდი დელგადინას თავის რეალურ ცხოვრებაში; აი, ის ალვიძებს ძმებს, აცმევს, აჭმევს — თუკი აქვთ საჭმელი — და მიჰყავს სკოლაში. მერე კი თვითონ მთელი ქალაქის გავლით ველოსიპედით მიეშურება ღილების დასაკერებლად. საინტერესოა, ნეტავ რაზე ფიქრობს ქალი ღილების დაკერებისას? ნეტავ თუ ფიქრობდა ის ჩემზე? ნეტავ თუ მეძებდა, როგორც მე ვეძებდი მას როსა კაბარკასის დახმარებით? მთელი კვირა არც დღისით, არც ღამით საშინაო ბალახონს არ ვიშორებდი, პირს არ ვიბანდი, არ ვიპარსავდი, კბილებს არ ვიხეხდი. სიყვარულმა ძალიან გვიან მასწავლა, რომ ადამიანი ყოველთვის ვიღაცისთის ირთვება, იკაზმება, იფრქვევს სუნამოს, მე კი არასოდეს მყოლია ეს ვიღაც. დამიანამ დილის ათ საათზე ჰამაკში შიშველი რომ დამინახა, იფიქრა, ნამდვილად ავად არისო. მე ჟინმორეული თვალები შევავლე შეშფოთებულ ქალს და შევთავაზე, ხომ არ გვექანავა ჰამაკში შიშვლებს-მეთქი. დამიანმა აგდებულად შემომხედა:

— იმაზე თუ იფიქრეთ, რას გააკეთებთ რომ დაგეთანხმოთ?!

ახლალა ვიგრძენი, დარდმა სადამდე მიმიყვანა. ყმაწვილური განცდებით დამძიმებული საკუთარ თავს ველარ ვცნობდი. სახლიდან არ

გავდიოდი, ტელეფონს ვდარაჯობდი, თვითონ არავის ვურეკავდი, ვწერდი, პირველსავე ზარზე ტელეფონისკენ გავრბოდი, იქნებ როსა კაბარკასი რეკავს-მეთქი. რამდენჯერმე საქმე გადავდევი, მთელი დღეები ვრეკავდი და ვრეკავდი მანამ, სანამ არ დავრწმუნდი, რომ ამ ტელეფონს გული არ აქვს.

ერთ წვიმიან საღამოს შინ დაბრუნებულმა კიბეზე, კართან გორგალივით დადებული კატა დავინახე, ჭუჭყიანი, აბურძგნილი და გასაცოდავებული. ინსტრუქციაში ამოკითხულის მიხედვთ მივხვდი, კატა ავად იყო და მეც ყველა მითითება თუ რჩევა ზედმიწევნით შევასრულე; რათა სიკვდილის კლანჭებიდან გამომეხსნა იგი. დღისით, სიესტის შემდეგ გამოღვიძებულს უცებ მომაფიქრდა, კატას შეუძლია დელგადინას სასლში მიმიყვანოს-მეთქი. კალათაში ჩავსვი და ჯერ როსა კაბარკასის დაწესებულებაში მივედი. კარი კვლავ დალუქული დამხვდა, სიცოცხლის ნიშატი არაფერს ეტყობოდა. კატა რატომღაც აფორიაქდა კალათაში, უცებ გადმოხტა, ღობეს გადაევლო და ბაღში გაუჩინარდა. კარზე მუშტით დავაბრახუნე. კარს მიღმა ვიღაცამ სამხედრთ წესისამებრ იკითხა: „ვინ მოდის?" „თქვენიანი, — ვუპასუხე მეც იმ კილოზე. — დიასახლისს ვეძებ". „დიასახლისი არ არის", — თქვა ხმამ. „კარგი გამიღეთ, კატა მაინც წავიყვანო", „აქ კატა არ არის", „თქვენ ვინ ხართ?" — ვკითხე მე.

— არავინ, — მიპასუხა ხმამ.

ყოველთვის მეგონა, რომ გამოთქმა „სიყვარულის გამო სიკვდილი" — მხოლოდ პოეტური სითამამე იყო და მეტი არაფერი. მაგრამ იმ საღამოს, როცა შინ უკატოდ და უდელგადინოდ დავბრუნდი, დავრწმუნდი რომ სითამამე აქ არაფერშუაშია. მე — ბებერი და მარტოსული კაციც ხომ სიყვარულის გამო ვკვდები. და კიდევ ერთი ჭეშმარიტებაც შევიმეცნე: ამქვეყნად არაფერზე გავცვლიდი ჩემი ტანჯვით აღსავსე ტკბობას. თხუთმეტი წელიწადი ვცდილობდი მეთარგმნა ლეოპარდის „სიმღერები" და მხოლოდ იმ საღამოს შევიგრძენი იგი მთელი სიგრძე-სიგანით. „ბედშავო ჩემო თავო, სიყვარული სატანჯველი ყოფილა თურმე".

რედაქციაში საშინაო ტანსაცმელში ჩაცმული და წვერმოშვებული რომ გამოვეცხადე ყველას, ხომ წარმოგიდგენიათ, რასაც გაიფიქრებდნენ, ალბათ ყველას ეჭვი შეეპარა ჩემს გონებრივ შესაძლებლობებში. იქაურობა მთლად გადაკეთებული დამხვდა. ერთმანეთისგან მინით გამოყოფილი პატარ-პატარა კაბინებით, ჭერზე მიკრული განათებით რედაქცია სამშობიარო სახლს ჰგავდა, ირგვლივ გამეფებული ხელოვნური სიჩუმე და კომფორტი გაიძულებდა ჩურჩულით გელაპარაკა და ფეხაკრეფით გევლო. ვესტიბიულში აწ განსვენებული ვიცე-მეფეებივით თავს იწონებდა სამი უდავო დირექტორის ზეთის საღებავით შესრულებული პორტრეტი და ცნობილი ადამიანების ფოტოსურათები, ყველასი, ვინც კი ოდესმე სტუმრებია რედაქციას. დიდ სასტუმრო დარბაზში საპატიო ადგილზე ეკიდა ახლანდელი რედაქციის მთელი შემადგენლობის უზარმაზარი ფოტოსურათი, რომელიც ჩემს დაბადების დღეზე გადავიღეთ. შევძრწუნდი: ფიქრებში ეს სურათი შევადარე სხვა

სურათს, სადაც მე ოცდაათი წლის ვარ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი რომ ადამიანები უფრო მეტად და უარესად ბერდებიან ფოტოსურათებზე ვიდრე სინამდვილეში. მდივანმა ქალმა, იუბილეზე რომ დამკოცნა, მკითხა, ავად ხომ არ ხართო. უსაზღვრო ბედნიერება განვიცადე, როცა ვუთხარი დაუჯერებელი სიმართლე: „დიახ, ‚ხიყვარულით ვარ ავად". „რა სამწუხაროა, რომ ჩემი სიყვარულით არ ხართ ავად". ქათინაური არ დავიშურე: „ტყუილად ხართ დარწმუნებული".

კრიმინალური განყოფილების რედაქტორი ყვირილით გამოვარდა თავისი კაბინიდან: „ორი გოგონას გვამი უნახავთ, ჯერ ვერ ამოიცნეს!" დამზაფრა: „ასაკი?" „ახალგაზრდები არიან. შეიძლება შიდა რაიონებიდან მორბოდნენ აქეთ რეჟიმის მიერ დაქირავებული მკვლელების შიშით". გულზე მომეშვა: „მძიმე ვითარება ნელ-ნელა იზრდება სისხლის ლაქასავით და გვძირავს ყველას", — ვთქვი მე. რედაქტორმა უკვე შორიდან დაიძახა:

— სისხლის ლაქასავით კი არა, განავლის, მაესტრო!..

რამდენიმე დღის მერე უარესი ამბავი მოხდა. წიგნების მაღაზიასთან ველოსიპედით ჩამიქროლა კალათიანმა გოგონამ; ჩემი კატის კალათას ჰგავდა. ტანში გამცრა. გავეკიდე, ხალხის ტალღას მუჯლუგუნებით მივარღვევდი. გოგონა ძალიან ლამაზი იყო, იოლად სხლტებოდა ხალხის ნაკადში, მე კი ამ დროს ძლივს მივიკვლევდი გზას. ბოლოს დავეწიე, წინ გადავუდექი და სახეში ჩავხედე. ხელით გამწია, არც გაჩერებულა, არც ბოდიში მოუხდია. არა, ეს ის არ იყო, ვისზეც მე ვფიქრობდი, მაგრამ მისმა ამაყმა გარეგნობამ ისე მომნუსხა, თითქოს დელგადინა ყოფილიყოს. და მე მივხვდი, რომ დელგადინას არც მძინარეს ვიცნობდი, არც ჩაცმულს, ასევე არ მიცნობდა თვითონაც, რადგან არასოდეს ვუნახივარ. გაგიჟებამდე მისულმა სამ დღეში თორმეტი წყვილი ფაჩუჩი მოვქსოვე, ცისფერიც და ვარდისფერიც. აღარც მუსიკა მინდოდა და აღარც ის სიმღერები, მის თავს რომ გამახსენებდა.

ვერაფერს ვუხერხებდი სულიერ მღელვარებას, ბებერი ვარ, და ამიტომაც სუსტი და უძლური ვარ სიყვარულის წინაშე. ეს რომ ასეა, ერთი დრამატული შემთხვევაც კმარა დასამტკიცებლად. ხალხმრავალ სავაჭრო რაიონში ველოსიპედისტ გოგონას ავტობუსი დაეჯახა. გოგონა სასწრაფო დახმარების მანქანით გაუქანებიათ საავადმყოფოში. შემთხვევის ტრაგიკულობაზე კი ნათლად მეტყველებდა სისხლის გუბე და ის დაგრეხილი რკინის გროვა, სულ რამდენიმე წუთის წინ ველოსიპედი რომ ერქვა. მაგრამ ჩემზე იმოქმედა არა ამ ჯართმა, არამედ ველოსიპედის მარკამ, მოდელმა და ფერმა, ვინ იცის, იქნებ ეს ის ველოსიპედია, მე რომ დელგადინას ვაჩუქე!

თვითმხილველები ერთხმად აცხადებდნენ, ყმაწვილი ქალი იყო, მაღალი, გამხდარი, მოკლედ შეჭრილი ტალღოვანი თმა ჰქონდათ. შეშლილივით გავაჩერე პირველივე ტაქსი და ვუთხარი მივეყვანე გულმოწყალების საავადმყოფოში, რომელიც ერთ ძველ შენობაში იყო განთავსებული და ქვიშის ციხეს ჰგავდა. მთელი ნახევარი საათი დავბორიალობდი, კლინიკაში რომ შემელწია და კიდევ ნახევარი საათი — რომ გა-

მომელწია აყვავებულ, სურნელოვან ხეხილის ბაღში. იქ კი ერთი სახეტანჯული ქალი გადამიდგა წინ, თვალებში ჩამხედა და მითხრა:

— მე ის ვარ, ვისაც შენ არ ეძებ.

მხოლოდ მაშინ გამახსენდა, რომ ამ ბაღში თავისუფლად დადიოდნენ მუნიციპალური საგიჟეთის პაციენტები. დირექციაში იძულებული გავხდი მეთქვა, რომ ჟურნალისტი ვარ და იქნებ ვინმემ შიმაცილოს სასწრაფო დახმარების განყოფილებაში-მეთქი. მიმიყვანეს. ჟურნალში ეწერა: როსალბა რიოსი, თექვსმეტი წლის, საქმიანობა უცნობია. დიაგნოზი: ტვინის შერყევა. მდგომარეობა: საშუალო სიმძიმის, განყოფილების გამგეს ვკითხე, შემიძლია ვნახო-მეთქი? მეგონა, არ დამრთავდნენ ნებას, მაგრამ სიამოვნებით წამიყვანეს იმ იმედით, იქნებ გაზეთში გამოაქვეყნოს, რა საავალალო მდგომარეობაშიცაა საავადმყოფო.

გავიარეთ კარბოლის სუნით გაჟღენთილი დიდი ოთახი, სადაც საწოლებში მოკუნტულიყვნენ ავადმყოფები. სიღრმეში, კუთხეში ბორბლებიან საკაცეზე იწვა ის, ვისაც ვეძებდი. თავი ერთიანად ბანდით ჰქონდა შეხვეული. დატანჯულ, სისხლჩაქცევებიან სახეს ძნელად თუ ვინმე გაარჩევდა. მაგრამ საკმარისი იყო ფეხები დამენახა, რომ მე უკვე ვიცოდი, ეს ღელგადინა არ იყო. თავში გამკრა: „ნეტავ რას ვიზამდი, რომ ყოფილიყო?“.

მეორე დღეს ჯერ კიდევ დილაბნელზე ძალა მოვიკრიბე და გავემართე ფაბრიკაში, სადაც, როგორც ერთხელ როსა კაბარკასმა მითხრა, გოგონა მუშაობდა, ფაბრიკის მეპატრონეს ვთხოვე დაეთვალიერებინა ჩემთვის თავისი საწარმო, რომელიც „გვსურს ნიმუშად წარვუდგინოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საკონტინენტო პროექტისთვის“. სქელკანიანმა და მელანქოლურმა ლიბანელმა მეპატრონემ სტუმართმოყვრულად გამიღო თავისი სამეფოს კარი იმ იმედით, რომ მთელი მსოფლიოს ხალხებს იგი მალე მოევლინებოდა საუკეთესო ნიმუშად.

ხელოვნური შუქით განათებულ დიდ ოთახში სამასამდე გოგონა მორჩილად თავდახრილი აკერებდა ღილებს. ჩვენს დანახვაზე ყველანი წელში გაიმართნენ სკოლის მოსწავლეებივით. ცალი თვალი ჩვენკენ ჰქონდათ, ამ დროს კი მათი უფროსი ყვებოდა თავისი ფაბრიკის მიერ შეტანილ წვლილზე ღილების დაკერების უკვდავ ხელოვნებაში. ამასობაში მე თვალს ვადევნებდი გოგონებს, მეშინოდა ამომეცნო ჩაცმული ღელგადინა და არა მძინარე ღელგადინა. სამაგიეროდ მე მიცნო ერთმა ქალიშვილმა, რომელსაც ულმობელი აღფრთოვანებით გამოწვეული შიში ეხატა სახეზე:

— სენიორ, ეს თქვენ აქვეყნებთ გაზეთში სასიყვარულო წერილებს?

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მძინარე ქალი შეძლებდა ასე გამანადგურებლად ემოქმედა ადამიანზე. ფაბრიკიდან ისე გავვარდი, არავის გამოვმშვიდობებივარ. უკვე აღარ ვფიქრობდი იმაზე, რომ იმ განსაწმენდელში მყოფი ერთ-ერთი ქალიშვილი იყო ის, ვისაც მე ვეძებდი. იქიდან გამოქცეულს ცხოვრებაში შემორჩენილი ერთადერთი სურვილიღა მკლავდა — ტირილის სურვილი.

როსა კაბარკასმა თვის ბოლოს დამირეკა და დაუჯერებელი რამ მითხრა: ბანკირის მკვლელობის მერე დამსახურებული დასვენება გამომივიდა კარტახენა დე ინდიასშიო. რა თქმა უნდა, არ დავუჯერე, მივულოცე ასეთი წარმატება და მივეცი საშუალება ეცრუა. მერე კი ვკითხე ის, რაც გულს მითუხთუხებდა:

— კი, მაგრამ, ის?..

„აქ არის, — თქვა ბოლოს როსამ. — მაგრამ ცოტა ხანს უნდა მოიცადოთ". „მაინც რამდენ ხანს?" „წარმოდგენა აქ მაქვს, შეგატყობინებ". ვიგრძენი, პირდაპირ პასუხს გაურბოდა და უშეხად შევაწყვეტინე: „იცი, რას გეტყვი, კვალზე დამაყენე მაინცა". „კვალი არ არის, — თქვა ქალმა. — ფრთხილად იყავი, თავს არაფერი დაუშავო. რაც მთავარია, იმას არ დაუშავო". ნართაულების თავი არ მქონდა ახლა, ვევედრებოდი, მიახლოებით მაინც ეთქვა სიმართლე. „ბოლოს და ბოლოს, — არ ვეშვებოდი მე, — თანამზრახველები ვართ". ერთი ნაბიჯიც არ დაუხევია უკან. „დამშვიდდი, — თქვა როსამ. — გოგოს არაფერი უჭირს და ელოდება როდის დავურეკავ. მაგრამ აი ახლა არ არის საჭირო ამის გაკეთება, და საერთოდ, ჩემგან მეტს ვერაფერს გაიგებ, მშვიდობით".

ტელეფონის ყურმილი შემაცივდა ხელში. არ ვიცოდი, რა გზას ვწეოდი, რადგანაც როსა კაბარკასს საკმაოდ კარგად ვიცნობდი, ვიცოდი, ნათქვამს არ გადავიდოდა. ნაშუადღევს ჩუმად, შეუმჩნევლად ჩავუარე მის „სახლს" შემთხვევითობის იმედით უფრო, ვიდრე გონიერების კარნახით, მაგრამ „სახლი" კვლავ ჩაკეტილი და დალუქული იყო სანიტარული ინსპექციის მიერ. ალბათ სხვა ადგილიდან მირეკავდა, ან სულაც, სხვა ქალაქიდან. მარტო ამის გაფიქრებამაც კი ამაფორიაქებელი წინათგრძნობით ამავსო, მაგრამ ექვს საათზე ტელეფონში, როგორც პაროლი გაისმა: თითქმის სიტყვასიტყვით ჩემი ნათქვამი:

— აი, ახლა — კი.

ღამის ათ საათზე კანკალს ატანილი გავეშურე ჩვენი ოთახისკენ ალისფერი ვარდებით, შვეიცარული შოკოლადის, ჰალვისა და კანფეტების ლამაზ-ლამაზი კოლოფებით ხელდამშვენებული, თან ტუჩებს ვიკვნეტდი, არ ავტირებულიყავი. კარი გამოღებული დამხვდა, შუქიც ანთებული, რადიოში კი იღვრებოდა ბრამსის სონატა ნომერი პირველი ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, დელგადინგ საწოლში ისეთი დიდებული იწვა, ძლივს ვიცანი:

გაზრდილიყო: სიმაღლეს არ ვგულისხმობ, შესამჩნევად მომწიფებულიყო, თითქოს ორი-სამი წელი მომატებოდეს. და იყო შიშველი როგორც არასდროს, მაღალი ღაწვები, მღელვარე ზღვის სანაპიროზე მზემოკიდებული კანი, თხელი ტუჩები და მოკლე ტალღოვანი თმა პრაქსიტელეს აპოლონის ანდროგინეულ დიდებულებას აძლევდა მის სახეს. შეუძლებელი იყო ვინმეში ამრეოდა, ძუძუები ისე შევსებოდა, რომ ჩემს ხელის გულებში ველარ ეტეოდა, თეძოები დამრგვალებოდა, ძვლები გამაგრებოდა და ჰარმონიული გახდომოდა. ბუნებამ გამაოცა, რა მშვენივრად, რა წარმატებულად წარუმართია მას თავისი ძალა, ხოლო რაც შეეხება ხელოვნურ ეშმაკობებს — დასაწებებელი წამწამები, სადაფის ლაქით დაფარული ფრჩხილები ხელ-ფეხზე, იაფფასია-

ნი სუნამო, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო სიყვარულთან — ნამდვილად ზედმეტი იყო. ასევე ზედმეტი და ამავდროულად ალმაშფოთებელი იყო მისი სამკაულები, ზურმუხტის მტევნებიანი ოქროს საყურეები, მარგალიტის ყელსაბამი, ბრილიანტის თვლებიანი სამაჯური და ძვირფასი ბეჭდები ყოველ თითზე. სკამზე ეწყო მისი ლამის საცვალი, ამოქარგული და ბრჭყვიალა და ატლასის ფლოსტები. გულ-მუცელი ამიდუღდა:

— ბოზო! — შევყვირე მე.

შევყვირე იმიტომ, რომ ეშმაკმა ყურში ჩამჩურჩულა საშინელი ვარაუდი: ღამით როსა კაბარკასის „სახლში" მკვლელობის დროს ალბათ ვერ მოასწრეს გოგონას გაფრთხილება და პოლიციამაც იგი ნახა ოთახში მარტო, არასრულწლოვანი და უალიბო. როსა კაბარკასი ასეთ ვითარებაში არ დაიბნევა. ალბათ გოგონას ქალწულობა მიჰყიდა რომელიმე აქაურ ბონზას, რათა გოგონა ამ დანაშაულიდან სუფთად გამოეყვანა. უპირველესად, რასაკვირველია, უნდა გამქრალიყო აქედან, ვიდრე არ ჩაწყნარდებოდა სკანდალი. რა კარგია! თაფლობის თვე სამივემ ერთად გაატარა. ისინი ორნი საწოლში, როსა კაბარკასი კი მდიდრულ ტერასაზე თვრება ბედნიერი დაუსჯელობით. რისხვით დაბრმავებული კედელს ვახეთქებდი ყველაფერს რაც ოთახში იყო: ლამპები, რადიომიმღები, ვენტილიატორი, სარკე, სურები, ჭიქები... აუჩქარებლად ვამსხვრევდი ყველაფერს, მაგრამ შეუჩერებლად, საშინელი ხმაურით, მეთოდურად, გამიზნულად, და ამან გადამარჩინა სიკვდილს. გოგო პირველსავე ხმაურზე შეხტა, არ შემოუხედავს, ჩემკენ ზურგშექცეული მოიკუნტა საწოლში. ყოველ ხმაურზე ხტოდა, მთელი ტანით კრთოდა. მსხვრევა რომ შევწყვიტე, ქათმებიც და გათენებამდელი ძაღლებიც თითქოს ცოტათი ჩაწყნარდნენ. მრისხანების ამ დამაბრმავებელ გაელვებაში უკანასკნელი შთაგონება მეწვია — ცეცხლისთვის მიმეცა სახლი, მაგრამ ამ დროს ოთახში პერანგისამარა როსა კაბარკასი შემოვიდა. სიტყვა არ დაუძრავს, მხოლოდ თვალით შეაფასა ზარალის ზომა-წონა, ლოკოკინასავით მოკუნტული და თავზე ხელებწაფარებულ გოგონასაც გადახედა, მართალია, შეშინებულია, მაგრამ არაფერი დაშავებიაო.

— ღმერთო ჩემო! — შეჰყვირა როსა კაბარკასმა. — რას არ გ-ვიღებდი ასეთი სიყვარულისთვის!

თანაგრძნობით შემომხედა და მიბრძანა: „წამოდი!" გავყევი. სახლში შევედით, ჭიქა წყლით შემივსო, მანიშნა, დაჯექიო და მოემზადა ჩემი ალსარების მოსასმენად. „აბა, — მითხრა მან. მოიქეცი ისე როგორც გონიერ, ჭკუადამჯდარ კაცს ეკადრება. მიამბე, რა მოგდის?

ყველაფერი გადმოვულაგე, რაც სიმართლედ მეჩვენებოდა. როსამ მდუმარედ მომისმინა, გაკვირვება არ გამოუხატავს და თითქოს გამიგო კიდეც. „ნამდვილად საოცარია, — თქვა მან. — ყოველთვის ვამბობდი: ეჭვიანობამ მეტი იცის, ვიდრე სიმართლემ". და მაშინ როსა კაბარკასმა მიამბო ის, რაც იყო სინამდვილეში, დაუფარავად. მართლაც, იმ ღამით არეულ-დარეულობაში სრულიად დაავიწყდა ოთახში მძინარე გოგონა. ერთ-ერთი კლიენტი, მოკლულის ადვოკატი, თავს

უქონავდა, ქრთამავდა ყველას მარჯვნივ თუ მარცხნივ და როსაც კარტახენა დე ინდიასში მიიწვია დასასვენებლად ოტელში სკანდალის ჩაწყნარებამდე. „დამიჯერე, — მითხრა როსამ. — მთელი ეს ხანი წუთი არ იყო, შენზე და გოგონაზე არ მეფიქრა. გუშინწინ დავბრუნდი და პირველი რაც გავაკეთე, შენ დაგირეკე, მაგრამ არავინ მიპასუხა. გოგო კი მაშინვე მოვიდა. ისეთი ცუდი შესახედავი იყო, ვიფიქრე, მოვაწესრიგებ და ისე გავუშვებ შეხვედრაზე-მეთქი. მართლაც, დავბანე, ჩავაცვი, სილამაზის სალონში ვთხოვე ყველას, დედოფალივით გამილამაზეთ-მეთქი. ძვირფასი ტანსაცმელი? ჩემს ღარიბ ჩიტუნიებს კლიენტებთან საცეკვაოდ მე ვაძლევ ტანსაცმელს. სამკაულები? სამკაულებიც ჩემია. კარგად დააკვირდი, ბრილიანტი შუშაა, ოქრო—თუნუქი. ასე რომ, ნუ სულელობ, წადი, გააღვიძე გოგო, ბოდიში მოუხადე და ბოლოს და ბოლოს გაუკეთე ის, რისი გაკეთებაც არის საჭირო. თქვენ ყველაზე მეტად ხართ ღირსი ბედნიერებისა“.

ძალიან მინდოდა მერწმუნა ეს სიტყვები, მაგრამ სიყვარულმა გონება დამიბნელა, აზროვნების უნარი წამართვა. „ბოზები! — გულმუცელს მოგიზგიზე ცეცხლი მიწვავდა. — აი, ვინ ხართ თქვენ, ბინძური ბოზები. აღარ მინდა გიცნობდეთ და, რაც მთავარია, არც იმას!“ — კართან მოვბრუნდი და გამომშვიდობების ნიშნად ხელი დავუქნიე. როსა ამას დიდად არ შეუწუხებია.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — მითხრა მან სიბრალულით და მაშინვე დაუბრუნდა რეალურ ცხოვრებას, — იმის ანგარიშს კი, რაც აქ დაატრიალე, გამოგიგზავნი!

V

„მარტის იდების“ კითხვისას წავაწყდი ფრაზას, რომელსაც ავტორი სწერდა იულიუს კეისარს: „შეუძლებელია, ბოლოს და ბოლოს არ გახდე ის, რადაც მიაჩნიხარ სხვებს“. მე ვერსად მოვიძიე ამ სიტყვების ავტორზე თუნდაც რაიმე პატარა ცნობა ვერც თავად იულიუს კეისრისა და ვერც მისი ბიოგრაფების შრომებში, დაწყებული სვეტონიუსიდან დამთავრებული კარკოპინოთი, მაგრამ ცოდნა ამ სიტყვების მნიშვნელობისა, ნამდვილად ღირს, და რომ ეს ასეა, ჩემი ცხოვრების შემდგომ თვეებში ჩავწვდი უფრო ღრმად. სინათლე, გარკვეულობა, რომელიც ყოველთვის მაკლდა, სწორედ ამ სიტყვებმა მომიტანეს და არა მხოლოდ დამაწერინეს ეს მოგონებები, არამედ დელგადინას სიყვარულიც გამომაფენინეს ყოველგვარი მორცხვობისა და უხერხულობის გარეშე.

ერთი წუთითაც არ მქონდა სიმშვიდე, მადაც დამეკარგა, ბუტერბროდებზე „გადავდიოდი“. ისე გავხდი, შარვალი მძვრებოდა, ძვლებში ტკივილი მიფუთფუთებდა, უმიზეზოდ ვღიზიანდებოდი, ღამეებს თეთრად ვათენებდი ციებ-ცხელებიანივით, აღარც კითხვა შემეძლო, აღარც მუსიკის მოსმენა. დღისით კი, პირიქით, თვლემაში წასული თავს ვაკანტურებდი, ძილითაც ვერ ვიძინებდი.

შვება სრულიად მოულოდნელად მეწვია. ერთ დღეს ხალხით სავსე ავტობუსში გვერდით მჯდომმა ქალმა — ვერ შევამჩნიე როდის

ამოვიდა ავტობუსში — ყურში ჩამჩურჩულა: „კიდევ შეგიძლია?“ ეს იყო კასილდა არმენტა, ძველი სიყვარული, რომელიც როგორც კლიენტს მიღებდა და მითმენდა იმ დროიდან, როცა ამაყი და ახალგაზრდა იყო. იმ საქმეს რომ შეეშვა, ჯანგატეხილი და ღარიბი ცოლად გაჰყვა ერთ ჩინელ მებოსტნეს, რომელმაც მას მისცა თავისი გვარი, [illegible]-მა და შეიძლება, პატარა სიყვარულიც კი, სამოცდაცამეტი წლის კასილდას ძველი აღნაგობა, სილამაზე, ძლიერი ხასიათი და მისი პროფესიისთვის დამახასიათებელი თავისუფალი ქცევები აქამდე შერჩენოდა.

სახლში მიმიპატიჟა. სახლი ჩინურ ბოსტანში იდგა ბორცვზე, ზღვისკენ გაჭრილ გზატკეცილთან ახლოს. დარჩდილულ ტერასაზე შეზლონგებზე მოვკალათდით. ჩარდახქვეშ დაკიდულ გალიებში ჩიტები ფრთხიალებდნენ, ბორცვის კალთებზე შეფენილ ბოსტნებში კონუსის ფორმის ქუდებიანი ჩინელები ფუსფუსებდნენ მცხუნვარე მზის ქვეშ. ქვემოთ განრთხმულიყო ბოკას დე სენისას ნაცრისფერი სივრცე ორი კლდოვანი დამბით — ბუნებრივი არხით. ამ არხიდან რამდენიმე ლიგის მერე კი მდინარე ზღვაში ჩადიოდა. ვიდრე ჩვენ ვმასლაათობდით, თეთრი საოკეანო გემი შესართავისკენ გაემართა. ჩვენ მდუმარედ შევცქეროდით მას მანამ, სანამ სამდინარო პორტის მხრიდან არ მოგვესმა გემის ნაღვლიანი ხარივით ბღავილი. კასილდამ ამოიოხრა: „წარმოგიდგენია? ნახევარი საუკუნის მერე პირველად გმასპინძლობ ულოგინოდ“. „ჩვენი დრო წავიდა, ის აღარა ვართ“. ქალი არ მისმენდა: „ყოველთვის, როცა კი რადიოში შენს წერილებს კითხულობენ, როცა გაქებენ, სიყვარულის მასწავლებლად გისხენიებენ, ჩემთვის გავიფიქრებ ხოლმე, მას ხომ ჩემსავით არავინ იცნობს, ჩემსავით ხომ არავინ იცის, რა გულუხვი და მარჯვეა სიყვარულში-მეთქი. მართალს გეუბნები“.

კასილდამ იგრძნო, როგორ ავღელდი, დაინახა ჩემი ნამიანი თვალები და მიხვდა, რომ მე ის აღარ ვარ, რაც ვიყავი ოდესღაც. გმირულად გავუძელი მის მზერას, თუმცა არ მეგონა თუ ამას შევძლებდი. „ვბერდები“ — ვაღიარე მე. „ჩვენ უკვე ვართ ბებრები, — ამოიოხრა მან, — უბრალოდ, ამას ვერ ვგრძნობთ შიგნიდან, მხოლოდ გარეშე თვალისთვის არის შესამჩნევი სხვისი სიბერე“.

გადავწყვიტე, მისთვის გული გადამეშალა. ვუამბე ყველაფერი, რაც მწვავს და მდაგავს, დაწყებული როსა კაბარკასთან პირველ სატელეფონო საუბრიდან დამთავრებული იმ ტრაგიკულ ღამემდე, როდესაც ოთახში ყველაფერი მივლეწ-მოვლეწე და მეტად იქ აღარც მივსულვარ. ისე უსმენდა ჩემს გადალლილ სულს, თითქოს საკუთარ თავზე განეცადოს ეს ყველაფერი. ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ ღიმილით მითხრა:

— რა თქმა უნდა, შენი ნებაა როგორ მოიქცევი, მაგრამ მე თუ მკითხავ... ერთი სიტყვით, ნუ დაკარგავ ამ ქმნილებას. ყველა უბედურებაზე დიდი უბედურება მარტოობაში სიკვდილია.

პუერტო-კოლომბიაში გავემგზავრეთ სათამაშოსავით პატარა მატარებლით, რომელიც ცხენშებმულ ეკიპაჟივით მიიზლაზნებოდა. ვისადილეთ ძველი, დახრული ხის ჯებირის მოპირდაპირე მხარეს. სანამ მდინარის ფსკერს ამოასუფთავებდნენ, სწორედ ამ ჯებირიდან

შემოდიოდა ჩვენს ქვეყანაში დანარჩენი სამყარო. პალმის ტოტების ჩარდახქვეშ დავსხედით. ზორბა ზანგ მატრონებს მიჰქონდ-მოჰქონდათ მაგიდებთან შემწვარი თევზი, ქოქოსიანი ბრინჯი და მწვანე ბანანის ნაჭრები. ორი საათი წავუთვლიმეთ კიდეც დახურულ ბაბანაქებაში, მერე მანამდე ვსაუბრობდით, ვიდრე უზარმაზარ ცეცხლმოკიდებული მზე არ ჩაიძირა ზღვაში. სიცოცხლე ფანტასტიკური მეჩვენებოდა. „ხედავ, ცხოვრება როგორ მოგვექცა, თაფლობის თვე გვაჩუქა, — იხუმრა კასილდამ. — უკან ვიხედები ახლა და ვხედავ ჩემს ლოგინში გამოვლილ ათასამდე მამაკაცს, მაგრამ სულს მივცემდი, ოღონდ ერთი იმათგანი — ყველაზე გუდამშიერი და დაჩიავებული — დარჩენილიყო ჩემთან. მადლობა ღმერთს დროზე გავთიშოვდი ვიღაც ჩინელზე. ეს იგივეა, ცოლად გავყოლოდი ნეკა თითს, მაგრამ სამაგიეროდ ვიცი, რომ ის მხოლოდ ჩემია“.

თვალებში შემომხედა, რა გავლენა მოახდინა ჩემმა სიტყვებმა და მტკიცედ დაუმატა: „ასე რომ წადი, ახლავე მოძებნე ის საბრალო არსება და რაც არ უნდა ჩაგჩურჩულოს ყურში შენმა ეჭვიანობამ და რაც არ უნდა მართალი გამოდგეს იგი, სულერთია მაინც წადი და მოძებნე, როგორც იტყვიან, ჩაიფიქრე? აასრულე კიდეც! და კიდევ: თუ ღმერთი გწამს, ეგ შენი ბებრული რომანტიზმი გვერდზე გადადევი. წადი-მეთქი, გაალვიძე ის საბრალო გოგო და ყურებამდე შეუდე ეგ შენი ხელნა, რითაც დაგაჯილდოვა დემონმა შენი სიმხდალისა და სიმდაბლისათვის. სუმრობა იქით იყოს და, ისე ნუ მოკვდები, ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ გამოსცადო ერთი საოცრება: დაწვე იმასთან, ვინც გიყვარს“.

მეორე დღეს ტელეფონს რომ მივადექი როსა კაბარკასთან დასარეკად და დელგადინასთან შეხვედრაც რომ წარმოვიდგინე, პულსი ისე ამიჩქარდა, მეგონა, სადაცაა ძარღვები დამისკდება-მეთქი. არც ის ვიცოდი, როსა რას მიპასუხებდა. ჩვენ ხომ სერიოზულად წავკამათდით, როცა მან ოთახის დარბევისათვის თავის სასარგებლოდ ორჯერ გაზრდილი ანგარიში გამომიგზავნა. სწორედ მაშინ გავყიდე ერთ-ერთი ჩემი საყვარელი სურათი, რომელიც დიდ სიმდიდრეს წარმოადგენდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, არ გაამართლა ჩემი ილუზიების მეათედიც კი. დაგროვილი თანხა რაც გამაჩნდა, ისიც დავუმატე სურათში აღებულ ფულს და როსა კაბარკასს წავუღე. წინასწარვე გავაფრთხილე მტკიცედ და შეუვალად: „ან ამას აიღებ, ან არაფერს“. ეს ნაბიჯი ნამდვილად თვითმკვლელობის ტოლფასი იყო: საკმარისი იყო როსას ჩემი მხოლოდ ერთი საიდუმლო გაეყიდა, რომ სამუდამოდ დაესამარებინა ჩემი სახელი. მაგრამ ის არ გაჯიუტებულა, რადგან შეთანხმების დროს გირაოში დატოვებული სურათები კვლავ მასთან რჩებოდა. ერთი ხელის მოსმით დავკარგე ყველაფერი: დელგადინაც, როსა კაბარკასიც და უკანასკნელი დანაზოგიც... და უცებ ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა. ერთი, ორი, სამი, და ყურმილში მისი ხმა გავიგონე: „როგორ ხარ?“ ხმამ მიმტყუნა, ყურმილი დავდე, ჰამაკში ჩავწექი და ვცადე დასამშვიდებლად სატის ასეპტიკური ლირიკა წამეკითხა, მაგრამ ისე გავოფლია-

ნდი, ჰამაკის ტილოც კი დასველდა, მხოლოდ მეორე დღეს შევძელი მომეკრიბა ძალა და დამერეკა:

— კარგი, — ვთქვი გადაწყვეტილად, — დღეს — კი.

როსა რის როსაა, ვითომ არაფერი მომხდარიყოს, გამომელაპარაკა: „აჰ, ჩემო ნაღვლიანო ბრძენკაცო, — და ამოიოხრა თავის უძლეველობაში დარწმუნებულმა, — ორი თვე გადაიკარგები, მერე უცებ გამოჩნდები და შეუძლებელსა მთხოვ". თვეზე მეტია დელგადინა არ მინახავსო, ეტყობა, იმ შიშისაგან განთავისუფლდა, ოთახის დარბევის დროს რომ განიცადა და ისე გამოკეთდა, იმ დღისა და შენი გახსენებაც არ უნდაო. საერთოდ, კმაყოფილია თავისი ახალი სამსახურით, გალამაზდა კიდეც და კლიენტებიც მეტს უხდიან, ვიდრე იმ თავის ღილების დაკერებაში იღებდაო. ცეცხლი მომეკიდა: „მაშასადამე, ქუჩის ქალი გახდა", — ვთქვი მე. როსა გაჯიუტდა, არ დამეთანხმა: „ასე რომ იყოს, აქ იქნებოდა. კიდევ სად იქნებოდა ამაზე უკეთ?" — სწრაფად გამოიტანა თვითონ ლოგიკური დასკვნა, რამაც უფრო გამიღრმავა ეჭვები. „საიდან უნდა ვიცოდე, რომ მანდ არ არის?" „მაშინ სჯობს არაფერი იცოდე, ასე არ არის?" როსას მიმართ კვლავ ვიგრძენი სიძულვილი, მაგრამ ერთი-ორი მაგარ-მაგარი სიტყვის მერე დამპირდა, მოვძებნიო, თუმცა დიდი იმედი არ მაქვსო. მეზობლის ტელეფონი, რომლის მეშვეობითაც იგი უკავშირდებოდა გოგოს, გამორთული იყო, სახლის მისამართი კი ნამდვილად არ იცოდა. „კარგი, — თქვა მან. — ნუ გეშინია, რაღაცას მოვახერხებ, დაგირეკავ ერთ საათში".

ერთი საათი სამ დღეს გაგრძელდა, მაგრამ როსამ გოგონას მაინც მიაგნო. მიაგნო სალ-სალამათს და თავისუფალს... ჰოდა, მეც დავბრუნდი დამორცხვებული, თავით ფეხამდე დავკოცნე, ვინანიებდი ყველაფერს, ვკოცნიდი შუალამიდან მამლის ყივილამდე. ეს იყო პირობა ხანგრძლივი, სამარადისო მონანიებისა. და თითქოს ყველაფერი დაიწყო ისევ თავიდან. ცარიელი ოთახი უკაცრიელი ჩანდა. ყველაფერი, რაც აქ მოვზიდე, აღარაფრად ვარგოდა. როსამ ეგრევე გატიალებული დამახვედრა ოთახი. მითხრა, თუ აქაურობის გალამაზება გინდა, კეთილი ინებე და შენი ხარჯით გაალამაზე, რადგან ჩემი ვალი გაქვსო. მაგრამ ჩემი ეკონომიური მდგომარეობა ნულამდე იყო დასული. პენსია აღარ მყოფნიდა. სახლში რაც შემომრჩა გასაყიდი — გარდა დედაჩემის ძვირფასეულობისა, რომელიც წმიდათაწმიდას წარმოადგენდა ჩემთვის — გროშიც არ ღირდა ბაზარზე, რადგან არც ერთი იყო საკმარისად ძველი, ანტიკვარად რომ ჩაეთვალათ. ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებში გუბერნატორი მთავაზობდა მომხიბვლელ წინადადებას — დეპარტამენტის ბიბლიოთეკისათვის მეყიდა ბერძენ, ლათინელ, ესპანელ კლასიკოსთა წიგნები, მაგრამ მაშინ დიდად არ მიზიდავდა ეს საქმე, შემდეგ კი იმდენი პოლიტიკური ცვლილება მოხდა და, საერთოდ, ქვეყანაც ისე აირია, რომ მთავრობას უკვე აღარც ხელოვნება ადარდებდა და აღარც ლიტერატურა. მეც ღირსეული გზის ძებნაში დავიღალე, ჯიბეში ჩავიტენე ძვირფასეულობა, რომელიც დელგადინამ დამიბრუნა და გავემართე ქალაქის ბაზრისკენ, ერთ მიყრუებულ ქუჩისკენ. სახეზე დაბნეული, ჭკვიანი კაცის ნიღაბი ავიფარე, რამდენჯერმე ავუარ-ჩავუარე ხა-

ლხმრავალ ღარიბულ სასაუზმეებს, ბუკინისტების ჯიხურებსა და ლომბარდებს, მაგრამ ფლორინა დიოსის ღირსეულმა სახელმა გზა გადამილობა: შემრცხვა ლომბარდში ჩამებარებინა და გადავწყვიტე ამაყად თავაწეულს მიმეყიდა ძველ და სანდო საიუველერო მაღაზიისთვის.

გამყიდველი გამადიდებელი შუშით ათვალიერებდა სამკაულებს და შეკითხვებს მაძლევდა. ექიმის მანერები ჰქონდა ... წინაშე მდგომი პაციენტის შიშსაც მგვრიდა. ვუამბე, რომ ეს სამკაულები დედაჩემისაგან მერგო მემკვიდრეობად. ყოველ ჩემს ახსნა-განმარტებაზე ხან მეთანხმებოდა, ხანაც გაურკვევლად ბურტყუნებდა რაღაცას. ბოლოს, როგორც იქნა, გადადო თავისი მონოკლი: — დიდად ვწუხვარ, — მითხრა მან. — მაგრამ ეს ყველაფერი ბოთლის ძირის ნატეხებია.

ჩემს გაკვირვებას შერბილებული თანაგრძნობით უპასუხა: „კიდევ კარგი რომ ოქრო ოქროა და პლატინა — პლატინა". ჯიბე მოვიქექე, სამკაულების შესყიდვის ძველი ქვითარი ამოვიღე და სრულიად წყნარად ვთქვი:

— კი მაგრამ, ეს სამკაულები ხომ ამ მაღაზიაშია ნაყიდი ასი წლის წინათ?

გამყიდველს წარბიც არ შეუხრია: „ხდება ხოლმე ასე. საგვარეულო ძვირფასეულობას დროთა განმავლობაში აკლდება მეტნაკლებად ძვირფასი ქვები. ცარიელ ადგილებს ან ოჯახშივე ავსებენ რაიმე შუშის ნატეხით ან იუველირთან მიაქვთ გასაკეთებლად. ზოგიერთი ქურდი იუვილერი თავის მხრივ ძვირფასი ქვის ნაცვლად უბრალოს სამს, სიყალბე კი მაშინ ვლინდება, როცა ამ ნივთის გაყიდვა სურთ, მაგრამ... თუ შეიძლება ერთი წუთით დამელოდეთ", — იგი კარს უკან მაღაზიის სილრმეში შევიდა და მალევე დაბრუნდა. არაფერი უთქვამს, სკამზე მანიშნა დავმჯდარიყავი და დავლოდებოდი, თვითონ კი კვლავ განაგრძო ცირკიტი.

მაღაზია მოვათვალიერე. რამდენჯერ მოვსულვარ აქ დედასთან ერთად. რატომღაც მისი სიტყვები გამახსენდა, აქ მოსვლისას რომ მიჩურჩულა ერთხელ: „მამას არ უთხრა". უცებ თითქოს თავში რაღაცამ დამარტყა, ადგილზე შევხტი: ხომ შეიძლება, როსამ და დელგადინამ მოილაპარაკეს, ნამდვილი ქვები გაყიდეს, მე კი ყალბთვლიანები დამიბრუნეს?

ეჭვი ცეცხლივით მომედო. ამასობაში თანაშემწე ქალმა მანიშნა გავყოლოდი. იმ კარს უკან, სილრმეში, პატარა კაბინეტში, სადაც თაროებზე სქელ-სქელი დავთრები ელაგა. საწერ მაგიდასთან უზარმაზარი არაბი იჯდა. ჩემს შესახვედრად წამოდგა, ხელი ჩამომართვა და ძველი მეგობარივით შენობით მომმართა: „ჩვენ ერთად ვსწავლობდით საბაკალავროზე". გოლიათი ადვილად გავიხსენე, საუკეთესო ფეხბურთელი იყო სკოლაში და ასევე ჩემპიონი — ჩვენს პირველ ლაშქრობებში ბორდელებში. მერე დავკარგე თვალთახედვიდან. ამან კი დამინახა თუ არა ასეთი მოფამფალებული, ეტყობა რომელიმე თავის თანაჯგუფელში ავერია.

შუშაგადაფარებულ საწერ მაგიდაზე იდო არქივიდან ამოღებული გადაშლილი დავთარი, რომელშიც დედაჩემის ძვირფასეულობაც იყო

ალნიშნული. აქვე ეწერა ზუსტი თარიღი, სამკაულების აღწერილობა და ისიც, რომ კარგამანღოსების გვარის ორი თაობის ლამაზი და ღირსეული ქალბატონების სამკაულებიდან ორი ძვირფასი ქვა პირადად დედაჩემს ამოეღია და მიეყიდია ამ მაღაზიისთვის. ეს მოხდა მაშინ, როცა აქაურობას განაგებდა ამჟამინდელი მფლობელის მამა. ვისთან ერთადაც მე ვსწავლობდი სკოლაში. არაბმა დამამშვიდა: „ეს ... ბი ჩვეულებრივი ამბავია სიღარიბეში ჩავარდნილი ოდესღაც ცნობილი ოჯახებისთვის, სახელი და ღირსება რომ არ შეებლაღოთ, ძვირფასეულობას ყიდიან და ამ გზით ცდილობენ გაჭირვების დამალვას. სასტიკი რეალობით გულშეძრულმა გადავწყვიტე, ყოველივე აქ თქმული სამუდამოდ შემომენახა როგორც ხსოვნა იმ ფლორინა დე დიოსისა, რომელსაც მე ვიცნობდი.

ივლისის თვეში ცხადად ვიგრძენი სიკვდილსა და ჩემ შორის ჩამდგარი მანძილი: გულისცემა შემისუსტდა, ყველგან ვგრძნობდი და ვხედავდი დასასრულის უშეცდომო ნიშნებს. ყველაზე მკვეთრად გამოხატული შეგრძნება დამეუფლა ნატიფი ხელოვნების საზოგადოებაში გამართულ კონცერტზე. დარბაზში კონდიციონერი გამოირთო. ჰაერი ჩაიხუთა, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაღები საზოგადოება ლამის ამომხრჩვალიყო ორთქლის აბანოში — ხალხით გადაჭედილ დარბაზში, მაგრამ მუსიკის მაგიური ძალა ზეციისკენ გვეწეოდა და უცბად მივხვდი, რომ მე ვუსმენდი უკანასკნელ კონცერტს. არც ტკივილს ვგრძნობდი, არც შიშს, მხოლოდ ყოვლისწამლეკავი გრძნობა დამეუფლა იმისა, რომ მე ეს უკანასკნელობა განვიცადე, მე ეს ვიგრძენი.

ოფლში გაწუწული ის იყო როგორღაც დავუსხლტი ხვევნა-კოცნასა და ფოტოგრაფებს, რომ უეცრად პირისპირ შევეჩეხე ხიმენა ორტისს. ბორბლებიან სავარძელში დაბრძანებულიყო ასი წლის ქალღმერთივით. ამ ქალბატონის მარტო აქ ყოფნა კი სასიკვდილო ცოდვასავით მენიშნა. სპილოსძვლისფერი, თავისი კანივით გლუვი აბრეშუმის ტუნიკა ეცვა, ყელზე სამმაგად შემოეხვია მარგალიტის მძივი, სადაფისფერი თმა ოციანი წლების მოდაზე შეეკრიჭა, ლოყაზე მერცხლის ფრთასავით მოერკალა. დიდი თვალები ყვითლად უელავდა. მისი შემხედვარე ვერავინ დაიჯერებდა სალხში გავრცელებულ ხმებს: თითქოსდა ამ ქალბატონის გონება დღითი დღე ემსგავსებოდა სუფთა ქაღალდს მეხსიერების გარდაუვალი ეროზიის გამო. ულონოდ გავჩერდი მის წინ. სახეში შემოფრქვეულ სულის შემხუთავ ბუღს გავუძელი და ქალს დიდის ამბით, მოწიწებით მივესალმე. მან დედოფლის ღიმილით გაიღიმა და ხელში ჩამეჭიდა. ეს ბედის წყალობად მივიჩნიე, შემთხვევით ვისარგებლე, რათა შემაწუხებელი ხიჭვი მომეშორებინა თავიდან: „მთელი ცხოვრება ამ წამზე ვოცნებობდი", — ვუთხარი მე. „კარგი ერთი, — გავიგონე პასუხად. — შენ რომელი ხარ?" ვერ გავიგე, მართლა ყველაფერი დაავიწყდა თუ ეს მისი უკანასკნელი შურისძიება იყო?

ორმოცდაათი წლისამ პირველად გავიაზრე, რომ მოკვდავი ვარ. დაახლოებით ასეთივე ვითარებაში ჩავვარდი ერთ ღამის კარნავალზე. ტანგო-აპაჩის ვცეკვავდი ერთ გასაგიჟებელ ქალთან. მის სახეს ერ ვხედავდი, ჩემზე მძიმე იყო ორმოცი ფუნტით და მაღალი — ორი მტკა-

ველით, მაგრამ ცეკვავდა ბუმბულივით მსუბუქად. ვცეკვავდით თითქმის ჩახვეულები, სისხლის დენს ვგრძნობდი ძარღვებში. ქალის დაღლილი სუნთქვით, ოფლის მძაფრი სუნით, მისი ასტრონომიული ზომის მკერდით მოთენთილს ლამის ზეზეურად მეძინა. უცებ ისე მაგრად შემანჯღრია, კინაღამ წავიქეცი. სიკვდილის ძახილი! უჩინარმა ორაკულმა ჩამისისინა ყურში: „შენ რაც გინდა ეცადო, ან ამ წელს მოკვდები ბოლოს და ბოლოს ან ასი წლის შემდეგ". ქალი შეშინებული შედგა „რა მოგდით?" „არაფერი", — ვცდილობდი დავმშვიდებულიყავი:

— ეს თქვენ მაიძულებთ ვიკანკალო.

ამ დღიდან დავიწყე ჩემი ცხოვრების გადათვლა წლობით კი არა, ათწლეულებით. მეხუთე ათეული წელი გადამწყვეტი იყო: ყველანი ჩემზე ახალგაზრდები მეჩვენებოდნენ. მეექვსე ათწლეული ყველაზე დატვირთული იყო, შეცდომის დრო აღარ მქონდა. მეშვიდე ათწლეულისა მეშინოდა, ვაითუ უკანასკნელი აღმოჩნდეს-მეთქი, მაგრამ ოთხმოცდაათი წლისამ საკუთარ დაბადების დღეს ცოცხალმა რომ გავიღვიძე დელგადინას ბედნიერ საწოლში, მოკრძალებულად გავიფიქრე: ცხოვრება მაინცდამაინც ის კი არ არის, ბობოქარ მდინარესავით მიედინებოდეს, ცხოვრება უნიკალურ შანსსაც გაძლევს ცეცხლზე ცალი გვერდის შებრაწვის შემდეგ გადაბრუნდე და ახლა მეორე გვერდი — კიდევ ოთხმოცდაათი წელი — მიუფიცხო შესაწვავად.

ეტყობა, ასაკმა იცის: ცრემლი ლამის მომდგარი მაქვს თვალებზე. საკმარისია პატარა სინაზე, რომ ყელში ბურთივით რაღაც გამეჩხიროს. ჰოდა, გადავწყვიტე აღარ ვუდარაჯო დელგადინას ძილს, არც საკუთარი ტკბობისთვის და არც იმ გაურკვევლობისთვის, სიკვდილამდე დარჩენილ დროს რომ ეხება. გული სიბრალულით მეკუმშება, ამ „სიფრიფანას" უჩემოდ ნამდვილად გაუჭირდება. ერთ ასეთ გრძნობებით დატვირთულ დღეს ნოტარიუსების ქუჩაზე წავედი გულის გადასაყოლებლად და გამიკვირდა, როცა ძველი სასტუმროს ანუ საიდუმლო შეხვედრების ადგილას ნანგრევებიღა დამხვდა. ამ სასტუმროსთან ერთი შემთხვევა მაკავშირებს: თორმეტი წლის ბიჭი, ამ შენობაში ძალით მაზიარეს სიყვარულის ხელოვნებას. შორეულ წლებში ეს შენობა გემების მფლობელებს ეკუთვნოდათ, და დიდებულიც იყო, ასეთი შენობა თითზე ჩამოსათვლელია ქალაქში — თვალს იტაცებდა ალებასტრით მოპირკეთებული სვეტები, მოოქროვილი ფრიზები, შიდა ეზო შვიდფერი მინის გუმბათით, საიდანაც ცისარტყელას ფერები ეფრქვეოდა ორანჟერეას. ქვემო სართულზე. ქუჩაში გამავალ გოტიკურ პორტალის უკან საუკუნეზე მეტ ხანს განთავსებული იყო კოლონიური სანოტარო კანტორები, სადაც წარმატებულად მუშაობდა, ხოლო შემდეგ კი გაკოტრდა მამაჩემი, რომელიც მთელი ცხოვრება ღრუბლებში დაფრინავდა. ცნობილმა მდიდარმა ოჯახებმა ნელ-ნელა დატოვეს ზემო სართულები და მალე იქაურობა აავსეს ლამის ქალების ურდოებმა, რომლებიც ერთნახევარი პესოს გულისთვის განთიადამდე ადი-ჩადიოდნენ კიბეზე კლიენტებთან ერთად, კლიენტები კი ნავსადგურის მახლობელ დუქნებიდან მოჰყავდათ.

თორმეტი წლის ბიჭმა, ჯერ კიდევ მოკლე შარვალი და სასკოლო ფეხსაცმელი რომ მეცვა, ვერ გავუძელი ცდუნებას და ზემო სამოთუ-ლების დათვალიერება მოვინდომე. სანამ მამაჩემი მორიგ დაუმთავრებელ კრებაზე ძალას არ ზოგავდა, მე მივშტერებოდი ღვთიურ სანახაობას. ქალები, განთიადამდე რომ ვაჭრობდხენ საკუთარი სხეულით, დილის თერთმეტიდან იწყებდნენ ოჯახური ცხოვრებით ცხოვრებას. სიცხე მინის გუმბათის ქვეშ აუტანელი იყო და დედიშობილები დადიოდნენ მთელ სახლში, ერთმანეთს ხმამაღლა უზიარებდნენ ღამეულ თავგადასავლებს. შემეშინდა, პირველი, რაც მომაფიქრდა, გაქცევა იყო, საიდანაც შემოვედი, იქიდან უნდა გავიდე. მაგრამ ერთმა ბრგე, ჩასუქებულმა შიშველმა ქალმა, მთის საპნის სუნი რომ ასდიოდა, ზურგიდან შემომხვია ხელი ისე, რომ მის სახეს ვერ ვხედავდი, და თავის მუყაოს საკუჭნაოში წამათრია შიშველი ქალების ტაშისა და მხიარული ხორხოცის თანხლებით.

ქალმა პირქვე დამაგდო ფართო საწოლზე, ოსტატურად ჩამხადა შარვალი და დამიმორჩილა, მაგრამ ცივმა საშინელებამ, რომელმაც სხეული შემიბოჭა, ვერ მიმალებინა ის, რაც უნდა მიიღოს მამაკაცმა. სახლში მისულს ღამით სირცხვილი მტანჯავდა გადატანილი თავდასხმის გამო. წუთითაც არ მომიხუჭავს თვალი, სურვილი მკლავდა კვლავაც ეენახა ის ქალი. მეორე დილას, როცა ღამის ქალებს ჯერ კიდევ ეძინათ, მთლად აკანკალებული შევედი იმ სოროში და სიყვარულისგან გაგიჟებულმა და ატირებულმა გავაღვიძე ქალი. ჩვენი სიყვარული გრძელდებოდა მანამ, სანამ იგი არ წაშალა რეალობის ულმობელმა გრიგალმა. ქალს კასტორინა ერქვა და იმ სახლის დედოფალი იყო. პატარ-პატარა ოთახები ხანმოკლე სიყვარულს ემსახურებოდნენ ერთ პესოდ, ამდენივე ღირდა მომსახურებაც დღე-ღამეში. კასტორინამ შემიყვანა თავის უკუღმართ, ნაღვლიან სამყაროში, სადაც ქალები იწვევდნენ ჯიბეგახვრეტილ კლიენტებს, სთავაზობდნენ მათ ღარიბულ საუზმეს, საპონს, უყუჩებდნენ კბილის ტკივილს და ჩუქნიდნენ თავიანთ მოწყალე სიყვარულს.

მაგრამ ჩემი ღრმა სიბერის ჟამს უკვე აღარავის ახსოვდა ერთ დროს უკვდავი კასტორინა. არავინ იცის, როდის მოკვდა ან როდის მოასწრო მან მდინარის დაფახფახებული ხის ჯვბირის მიდამოებიდან მთავარი დედა-სანის წმიდათაწმიდა ტახტზე აღზევება. რომელიღაც დუქანში ჩხუბისას დაკარგა მან ცალი თვალი და მეკობრესავით ცალთვალახვეული კარგახანს იჯდა თავის ტახტზე. კასტორინას ბოლო სიყვარული იყო კაშაგუეიელი ზანგი სახელად ხონას-კატორღელი, რომელიც ოდესღაც ერთ-ერთ საუკეთესო კორნეტისტად ითვლებოდა ჰავანაში და რომელსაც ერთ-ერთ სარკინიგზო კატასტროფისას სახეზე შეაცივდა თავისი ფართო ღიმილი.

ეს რამდენიმე ხანია გულმა დამიწყო ჩხვლეტა. შინაურულმა წამლებმა და დაზელვებმა ვერ მომიტანეს შვება. სხვა გზა არ მქონდა მივაკითხე ექიმს. იგი ცნობილი ოჯახის შვილი და იმ ექიმის შვილიშვილი იყო, მე რომ გამსინჯა ორმოცდაორი წლისა. შემეშინდა, ისე ჰგავდა ეს ექიმი ბაბუამისს. ისეთივე ბებერი იყო, როგორც ის სამოცდაათი

წლისა: ნაადრევი სიქაჩლე, უიმედოდ ახლომხედველი კაცის სათვალე და უნუგეშო სევდა თვალებში — ბაბუამისივით. დროდადრო, სანამ ტახტზე მხარს მაცვლევინებდა, ისეთ გაუგებარ რაღაცებს ეკითხებოდა და თანაც ისე სწრაფად, რომ პასუხის მოფიქრებას ვერ ასწრებდი. ერთი საათის შემდეგ ბედნიერი ღიმილით მითხრა: „ეს ჩემი აზრით, მე აქ არაფერი მესაქმება". „ეს რას ნიშნავს?" „ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენს ასაკთან შედარებით შესანიშნავი ჯანმრთელობის პატრონი ბრძანდებით". „რა საოცარია, — ვთქვი მე. — ზუსტად ასე მითხრა ბაბუათქვენმაც, როცა ორმოცდაორისა ვიყავი. თითქოს დრო ერთ ადგილას გაჩერდა". „ზუსტად ასე შეიძლება გითხრან ყოველთვის, — შენიშნა შვილიშვილმა. — რამეთუ ასაკი ასაკია". „და მაინც ყველაფერი მთავრდება სიკვდილით". „დიახ, — დამეთანხმა ის. — მაგრამ არც ისე ადვილია სიკვდილთან მისვლა ისეთი ჯანმრთელი კაცისთვის, როგორიც თქვენ ხართ. გულწრფელად ვწუხვარ, რომ ვერ მოგემსახურებით".

ეს მოგონებები კარგია, მაგრამ ოცდაცხრა აგვისტოს წინა ღამეს, როცა თუჯივით დამძიმებული ფეხებით ავდიოდი ჩემი სახლის კიბეზე, ვიგრძენი იმ ასი წლის წარმოუდგენელი სიმძიმე, გულგრილად რომ მელოდებოდა წინ. და მე კვლავ დავინახე დედაჩემი ფლორინა დე დიოსი სიკვდილამდე თავის საწოლში. მან კვლავ ისე დამლოცა როგორც მაშინ, უკანასკნელად, სიკვდილამდე ორი საათით ადრე. მორჩა! ეს უკვე ბოლო მინიშნებაა, და მეც მაშინვე დავურეკე როსა კაბარკასს, დღეს საღამოსვე მომიყვანე გოგონა, რადგან ჩემი ოცნება — უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გავლიო ცხოვრების მეცხრე ათეული, აუხდენელი რჩება-მეთქი. მერე კიდევ დავურეკე რვა საათზე და კვლავაც უარი მითხრა ,შეუძლებელიაო. „არ ვიცი მე შეუძლებელი, უნდა გააკეთო!" — ვუყვირე სასოწარკვეთილმა. როსამ ყურმილი დადო, მაგრამ თხუთმეტი წუთის შემდეგ დამირეკა:

— კარგი, აქ არის.

როსასთან თერთმეტის ოც წუთზე მივედი და ჩავაბარე ჩემი ცხოვრების უკანასკნელი კარტები — გოგონას მომავალ ცხოვრებაზეც ვიზრუნე ჩემი საშინელი სიკვდილის მემრე-მეთქი. როსამ იფიქრა, ჩემს სახლში რომ ამას წინათ მკვლელობა მოხდა, ნამდვილად იმან იმოქმედა ბერიკაცზეო და შემომიტია: „თუ სიკვდილს აპირებ, ძალიან გთხოვ, აქ ნუ მოკვდები". „თუ მოვკვდები, შენც ადექი და თქვი, პუერტოკოლომბიაზე მატარებელი დაეჯახა-თქო, თუმცა ეს საცოდავი თუნუქის კოლოფი კოლოსაც ვერაფერს დაუშავებს".

იმ ღამეს ჩემი ოთხმოცდამეთერთმეტე წლის დასაწყისში ყველაფრისთვის მზად მყოფი დავწექი პირაღმა უკანასკნელი ტკივილის მოლოდინში. ზარების შორეული გუგუნი რომ მომესმა, ვიგრძენი გვერდით მწოლ დელგადინას სუნთქვის სურნელი, ჩემს ყურთასმენას მოწვდა ვილაცის ძახილი ჰორიზონტიდან და ქვითინი იმისა, ვინც შესაძლოა ამ ოთახში მოკვდა ასი წლის წინათ. ბოლო ამოსუნთქვასთან ერთად ჩავაქრე შუქი, ჩემი თითები მის თითებში ჩავხლართე, რათა ასე ხელჩაჭიდებული წამეყოლა თან, დავითვალე, სამრეკლოზე შუაღამის

თორმეტი საათი ჩამოჰკრეს. უკანასკნელ ცრემლებს ვყლაპავდი მანამ, სანამ არ ამღერდნენ ალიონის მამლები. და მაშინ ჩემს სადიდებლად და საპატივცემულოდ საზეიმოდ აგუგუნდნენ ზარები, ცაში აიფეთქა ფერად-ფერადი შუშხუნები და ეს ყველაფერი მოხდა იმის ალსანიშნავად, რომ მე, ოთხმოცდაათი წლისა, ცოცხალი და ჯანსაღ-ჯანსაღი ვიყავი.

როსა კაბარკასს ვუთხარი: „სახლს გიყიდი — მაღაზიითა და ბაღით“, მან მიპასუხა: „მოდი, დავდოთ ბებრების პირობა: ჩვენ შორის ვინც ცოცხალი დარჩება, მეორის ქონებაც იმას დარჩეს. ნოტარიუსთანაც დავამოწმოთ“. „არა. ჩემი სიკვდილის შემდეგ ყველაფერი, რაც გამაჩნია, დარჩება მ ა ს“. „რა განსხვავებაა. გოგოზე მე ვიზრუნებ, შემდეგ კი ყველაფერს დავუტოვებ, შენსასაც და ჩემსასაც. მე ხომ არავინ მყავს ამქვეყნად. მანამდე კი შენს ოთახში დავაყენოთ კონდიციონერი, გავმართოთ კარგი სააბაზანო, შენი წიგნებიც აქ გადმოვიტანოთ და შენი მუსიკაც“.

— როგორ გგონია, ის თანახმა იქნება?

— აჰ ჩემო, ნაღვლიანო ბრძენკაცო, ბებერი კი ხარ, მაგრამ სულელი ნამდვილად არ ხარ. — როსამ გადაიხარხარა, — ის საბრალო გოგო ჭკუას კარგავს შენი სიყვარულით.

ერთიანად გაკაშკაშებულ ქუჩაში გავედი. ცხოვრებაში პირველად შევიცანი საკუთარი თავი ჩემი პირველი ასწლეულის ჰორიზონტთან. ჩემი სახლი, მყუდრო და დალაგებული, შვიდის თხუთმეტ წუთზე იწყებს ბედნიერი განთიადის ფერად-ფერადი შუქით ავსებას. სამზარეულოში დამიანა მღერის მთელ ხმაზე. კატაც ცოცხალი და ჯანმრთელია როგორც არასდროს. ფეხზე კუდი შემომხვია, საწერ მაგიდასთან მიმაცილა. მაგიდის დალაგებას შევუდექი, თავ-თავისი ადგილი მივუჩინე გაყვითლებულ ფურცლებს, სამელნეს, ბატის ფრთის კალამს. ამასობაში მზემ ნუშის ხეებში გამოაჭყიტა პარკში. საფოსტო-სამდინარო გემი, მთელი კვირა რომ არ გამოჩენილა გვალვის გამო, გუგუნით შემოვიდა პორტის არხში. როგორც იქნა, დადგა ჟამი ჭეშმარიტი ცხოვრებისა, გული ჩემი გადარჩენილია, მას მხოლოდ დიდი სიყვარული მოკლავს, და მოკლავს ბედნიერ აგონიაში ერთ მშვენიერ დღეს ანუ მას შემდეგ, ასი წლის სიცოცხლეს რომ გავლევ.

მაისი, 2004 წ.

ლატვიური პოეზია

ვიზმა ბელშევიცა

ელქსები

ლატვიურიდან

თარგმნა რენე კაღანდიამ

მცირე რეკვიემი ვიზმასათვის

„ამაოდ არ ჩაივლის შენი წამება და მშფოთვარეობა“, — ჩაესმოდა ყურში ახლადჩენილი ღვთაების ხმა, — იგი მრავალთა სულში და იმდენ მომხრეს შეგძენს, რომ მათთან არარად გამოჩნდებიან ქვიშანი ზღვისკიდისანი; შენი წამება დასაბამს დაუდებს არსთა და მოვლენათა დინებას, რომელთა ჩანასახი უკვე ძგერს შენს შიგნით. ერთი სიტყვით, იქნები კურთხეულ!“

თომას მანი, „იოსები და ძმანი მისნი“. (თარგმნეს ნანა გოგოლაშვილმა და ირაკლი სურგულაძემ).

„ისევ კვდებიან ფრინველები და პოეტები“, წერდა ორმოციოდე წლის წინათ ჩემი უფროსი და სიკვდილივით ამაყი დაია (ტომას ვულფის პერიფრაზი), ძვირფასი მეგობარი ვიზმა ბელშევიცა — საოცრად სპეტაკი, მეამბოხე და ტანჯული პოეტი ამ ცისქვეშეთში, რომელსაც დიახაც მრავლად ჰქონდა „ჟამი შობისა და ჟამი სიკვდილისა“, „ჟამი პოვნისა და ჟამი დაკარგვისა“, როგორც თითოეულ ჭეშმარიტ შემოქმედს და პოეტურ სიტყვასთან პატიოსნად დამაშვრალი, ცრუ და გაუტანელი წუთისოფლის უმადურობით აღშფოთებული და გულგასენილი, განცვიფრებულ-გაფართოებული თვალებით წავიდა საწუთროდან — მარადიულ ნათელში, რადგანაც ცოდვილ მიწაზე ტკივილებისა და მწუხარების ქარიშხალმა გადაუარა: „რამეთუ როცა დიდია სიბრძნე — დარდიც დიდია; მრავლის შეცნობა ადამიანს წუხილს უმრავლებს“ (ეკლესიასტე, 1—13).

იქ წასვლამდე კი — წინასწარმეტყველებაც აუხდა:

მე თქვენთან მომყავს ვაჟიშვილი —
ჩემი ძვირფასი მარადისობა, სიყვარული და ბედნიერება,
მე თქვენთან მომყავს ვაჟი — ყვავილი,
რომლისთვისაც ჩემი სხეული — მიწაა და დასაყრდენია,
მე თქვენთან მომყავს ვაჟიშვილი.
თქვენ მას ჯვარს აცმევთ.
ბომბდამშენის თეთრ ჯვარს გააკრავთ,
რომელიც უკვე აღმართულია
ქვეყნიერების ლურჯ გოლგოთაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

26 წლის პირმშო — უნიჭიერესი პოეტი და მთარგმნელი (შარლ ბოდლერი, გიიომ აპოლინერი, „ბითლზების“ პოეზია და ა. შ.) კლავს ელსბერგსი ავაზაკურად მოკლეს და დებულტის (იურმალა) მწერალთა დასასვენებელი სახლის მეცხრე სართულიდან (თვითმკვლელობის იმიტაცია) გადააგდეს რუსმა შოვინისტმა „მწერლებმა“, რომელთაც, როგორც ვიზმამ მოგვიანებით მითხრა, საბედისწერო აღსასრულის წინ კლავსი თურმე ქართველი მკითხველისათვის ავად ცნობილი ერზაცის — „ციმორების ჭერა საქართველოში“ — გამო ეკამათებოდა და საოცრად მჯერა, წარმოდგენილიც მაქვს იქ — მწერალთა გარში შექმნილი სიტუაციაც, რადგანაც კლავსი ჩემი უმრწემესი ძმა და მეგობარი იყო, არის და დარჩება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ანუ მასთან იქ შეხვედრამდე... მას საკუთარი მეობის, პოეტური სიტყვის სიწმინდით, სამართლიანობისა და ღირსების დაცვით, მაღალი ინტელექტითა და ლოგიკური აზროვნებით დიახაც შეეძლო კამათი, დაუპატიჟებელი სტუმრების ფსიქოლოგიასაც კარგად იცნობდა და, თუნდაც ვაჟკაცურში — მუშტი-კრივშიც უკანდამხევი არ იყო... იმ „დისპუტშიც“ მარტოხელა აღმოჩნდა მოსკოვურ ბომონდთან და დროც იხელთეს მომწერლო ელემენტებმა, ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ — ნაძირალებმა...

უფლის გარდა არავინ უწყის, თუ როგორ, როდის და რამდენგზის კვდებიან ჭეშმარიტი პოეტები... ყოვლისმცოდნე მკითხველმაც არ იცის, თუ რამდენი ბზარი, ნაპრალი — საფლავი — უფსკრული გადის ამ სტრიქონების ავტორის დაღლილ გულზე — მარადიულ ნათელში გარდასულებთან აუცილებელი შეხვედრის მოლოდინში: ჯემალ თოფურიძე და ზაურ ბოლქვაძე, გურამ ასათიანი და ბადრი ჭოხონელიძე, შოთა ნიშნიანიძე და თამაზ ბაძაღუა, გიორგი ბაქანიძე და არჩილ ფირცხალავა, თედო ბექიშვილი და ოტია პაჭკორია, ვოვა სიხარულიძე და თენგიზ პატარაია, გიგლა სარიშვილი და სოსო პაიჭაძე, გიორგი ნიშნიანიძე და ნოე მაჭარაშვილი, გივი ორაგველიძე და ჯანსულ ღვინჯილია, ირაკლი ბაზაძე და ჯუმბერ ტიკარაძე, ამირან კალაძე და ბადრი გუგუშვილი, გიორგი მაჭუტაძე და უშანგი გაბიტაშვილი, გივი ძნელაძე და ზურაბ ნარმანია, ლაშა გახარია და დავით მჭედლური, ოთარ მიქაძე და ზურაბ გორგილაძე — ადამიანები — სანთლები, რომლებიც იმ სიშორიდანაც მინათებენ მშობლიურ წყვდიადში — თანამედროვე საქართველოში ჩარჩენილს — უფლისკენ მიმავალ გზაზე: უზენაესო, მომიტევე, თუ ამ წუთებში არ გამახსენდა ყველა, ვინც ჩემგან ღირსი იყო გახსენებისა!..

ლატვიურ პოეზიასთან და პოეტებთან ურთიერთობამ (70-იანი წლების დასაწყისი — რ. კ.) სიყვარულის, ძმობისა და მეგობრობის გარდა მარადიული ტკივილები — საფლავები შემძინა: ოიარს ვაციეტისი, ეგილს პლაუდისი, კლავს ელსბერგსი, პეტერის ზირნიტისი, იურის კუნოსი... გასულ წელს, თურმე ჩემს ტკივილებს ... ძვირფას სახელებსა და საფლავებს, კიდევ ერთი — განუმეორებელი ვიზმას საფლავიც შეემატა — ჯერ უხილავი ბორცვაკი — ჩემი უფროსი დაიასი: ვიზმა — სსრკ მწერალთა კავშირის წევრობიდან გარიცხვის მუდმივი კანდიდატი, ვიზმა — სსრკ სახ. პრემიის მიმფურთხებელ-უარმყოფელი, ვიზმა — „ქვაში დამალული ცეცხლი" (ო. ბალზაკის მეტაფორა) ანუ თანამედროვე ლატვიური პოეზიის სინდისი და ღირსება, ზნეობრივი სიწმინდე და მთრთოლვარე ნერვი, მარად მაღალი ტემპერატურა, რომელთანაც ზღვაც იწვის (გამოცემული აქვს ამ სახელწოდების პოეტური კრებულიც!) და ვიზმა, რომლის სტრიქონების არათუ თარგმნა, არამედ უბრალო წაკითხვაც კი ჟრუანტელს მგვრიდა, სულს მიფორიაქებდა და კიდევაც მამხნევებდა ამ ჭრელ და ცრუ წუთისოფელში — მთელი სამი ათეული წლის მანძილზე... დამდგარა ჟამი, როცა სიტყვები არ მყოფნის, ვერ მიპოვია და თვალცრემლიანი ვეთხოვები და უკვე იმქვეყნად ვულოცავ კარს მომდგარ 75 წლისთავს და მუხლმოდრეკილი ვევედრები მეფეს ცისა და ქვეყნისა: ღმერთო, შენს ახლოს, მარადიულ ნათელში ამყოფე ამ ცისქვეშეთში ტანჯული სული ლატვიელი პოეტისა და სიკვდილივით ამაყი ჩემი უფროსი დაიასი — ვიზმა ბელშევიცასი. შეხვედრამდე. ამინ.

რენე კალანდია

●

წამის წინაშე — შიშმორეული,
როცა სიმართლის ვერ დანახვა — შეუძლებელი იქნება უკვე,
თვალებს ვიფარავ წაბლის ყვავილებით,
რომელიც შენ გამომიწოდე ოდესღაც... სადღაც,
და ყურებს ვიხშობ პაწაწინა ფრინველებით,
რომლებიც თავს დაგვტრიალებდნენ ოდესღაც... სადღაც,
მთრთოლვარე გულს კი გადავაფარებ ჩვენს ალერსიან საღამოებს
იასამნისფერ — მუქ ლურჯ ზღვასთან...
და ქანცმიხდილი ვებღაუჭები თითქმის დაწრეტილ დაისის ზოლს —
ცისკიდურზე ძოწისფერ ნათელს,
წამის წინაშე — შიშმორეული,
როცა სიმართლის ვერ დანახვა — შეუძლებელი იქნება უკვე.

ჩემს გულკეთილს

თაფლიკაცი ხარ, არ კითხულობ, სად მივდიოდი ან სად მივდივარ.
ხედავ, რას ხატავს ყმაწვილი ჩვენი:
ადამიანი სახლზე დიდია.
შენ კარგად იცი, რომ ვიყავი ობოლ ყვავილთან, —

რისთვის ვიყავ და რატომ მივდივარ.
ხედავ, რას ხატავს ყმაწვილი ჩვენი:
ადამიანი სახლზე დიდია.

და, როს ვბრუნდები ფერადი გზიდან.
შენ მეგებები — სახლზე დიდი და
ჩემს მაგიდაზე ყვავილების ცისფერი სუნთქვა —
სახლზე დიდია.

●

როცა ბულბული სიმღერას
შეწყვეტს,
შენ აიტაცებ ჰანგს და აგრძელებ.
ბულბულზე ტკბილად გალობ, —

ღამის იავ,
ვიოლინოვ ღამისა.
ვიოლინოვ ღამეში.

ასე ავსებ ბგერით წყვდიადს.
ასე მღერი. შენს წინაშე ჩუმდება
ყოველგვარი სურნელი თუ
შრიალი, —

ღამის იავ,
ვიოლინოვ ღამისა.
ვიოლინოვ ღამეში.

თეთრს სჭირდება სამი ფერი.
ლხინს კი — შვიდი ტკივილი.
კოკორებით ძლივს ამოხველ;
სად იპოვე ისინი?

ღამის იავ,
ვიოლინოვ ღამისა.
ვიოლინოვ ღამეში.

დღისით — ნამიც კი არ ბრწყინავს
ფერმილეულ ყვავილებზე.
დღისით უკვე, შენ იქნები,
ვით გამწყდარი სიმი.

ღამის იავ,
ვიოლინოვ ღამისა.
ვიოლინოვ ღამეში.

ბეატრიჩე

იყავ თუ არა, ბეატრიჩევ?
ალარ ყოფილხარ.
საფლავის ლოდი? — იგი ცრუობს; შენს დაბადებას, გარდაცვალებას.
ალარასოდეს არ ყოფილხარ.
ვიტრაჟულ სარკმლებს ეცემოდა მკრთალი ნათელი.
შორეული ცა — შენს თვალებში — სხივთა თამაში — უდასასრულო.
შენ ასე იშვი საშყაროში.
დედაშენი — ცისფერი მინის ნაზი ზოლია.
შამაშენი კი — დანტეს მზერა.
შენ აღესრულე მაშინ, როცა მზის მსურვალე ძნა ტკივილით ჩაქრა.
ბეატრიჩე, ბეატრიჩე,
ფლორენციელო დედაკაცო, ღვთისმლოცველთა განწირულ ბრბოში.
აკი მან,
დიდებულმა დანტემ ეგ ყველაფერი იცოდა...

გულს სწამს: ეწვევა საოცრება და ფეთქავს იგი
დაძაბულ ლექსში, სტრიქონებში — მთრთოლვარე ნერვით.
გიყვარდეს იგი, ვინც არც ყოფილა — წრეებია ჯოჯოხეთისა.
გიყვარდეს უკვე ჩამქრალი სხივი,
ბეატრიჩევ,
რა უსაშველო სატანჯველია...
სამოთხე მხოლოდ სიცრუეა, —
სხეულს აწებებს სიცოცხლესთან.
დანტეს ჯოჯოხეთს ყველა ახსენებს,
მაგრამ დანტეს სამოთხეზე აღარ საუბრობს არავინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

არ შემიძლია, განუწყვეტლივ ფიქრი იმაზე,
რაც ჩვენ გვაშორებს ერთიმეორეს.
მთელი საღამო ვკითხულობდი ლექსებს...
ღამით კი, —
გვიანობამდე ჩემს სიზმარში ყვაოდნენ იაჟუჟუნები:
კენწეროებზე ივნისის ცის იისფერი ღრუბლის ფთილა წევს,
ცის ქვეშ — ყვითელი ჩირაღდნებია...
მოაშორე ერთი მეორეს —
არ იარსებებს იაჟუჟუნა.

იავნანა დიდ გავშვს

როცა შენ არ შეგიძლია დაიძინო, ღამურავ,
როცა შენ არ შეგიძლია, ღამურავ,
როცა მოუსვენარი და უცნაური ზიგზაგებით დამსხვრეული ფრთებით
შფოთავ — შემკრთალ სიჩუმეში, ღამურავ,
განა შენ გადაფრინდები გამოღებულ ფანჯარაში,
ეშვები მის სასთუმალთან?
თუ შენც იცი, რომ ეგ აღარ შეიძლება,
ნაცრისფერო, ულამაზო ღამურავ?

როცა შენ არ შეგიძლია დაიძინო, ფოთოლო,
როცა შენ არ შეგიძლია, ვერხვის ქარვა — ფოთოლო,
როცა შენ კვლავ ცახცახებ და წყდები სუსტი ყუნწიდან,
როცა მიქრი ფოთოლო, ქარში — გულის ფანცქალით,
განა შენ ეწაფები მის ბაგეებს — მწყურვალივით
და ლოყაზე ეფერები?
თუ შენც იცი, რომ ეგ აღარ შეიძლება,
მარტოხელა ვერხვის ქარვა — ფოთოლო?

როცა ჩვენ არ შეგვიძლია დავიძინოთ ღამით,
უძილობა გვტანჯავს და არ შეგვიძლია,
ბალახს ავშლით, გადავარჩევთ მთრთოლვარ ლელქაშს —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისთვის ვეძებთ სიზმრებს;
შემდეგ ვაფრქვევთ დარაბების ღრიჭოებში,
ვლოცავთ, ვუშვებთ ოთახის თეთრ სიჩუმეში...
შეგვიძლია, რომ ისინი ბალიშის ქვეშ ჩავუდოთ, —
აკი ვიცით, ეს სიზმრები — ჩვენს შესახებ არაა...

როცა სურნელს დაკარგავს ძილი — უკანასკნელი
და გაწყდება სიმი ულამაზეს სიზმრის;
ადგება და დაინახავს სარკმლის მიღმა — ცვრიან ბაღში
ქალის ციცქნა ნაკვალევს...
მაგრამ ვაშლის ხეები უკვე ვერას იტყვიან,
ნათლის გეორგინები უკვე არ გაანდობენ —
საიდუმლოს;
რომ იმ ქალის მხარზე იყო ღამურა
და თითებში ვერხვის ქარვა — ფოთოლი.

●

ცვარ-ნამი მიწას ეჩურჩულება.
ერთურთს უგებენ შესანიშნავად.
თუმცა, იქნება, მე მეჩვენება?

და ამ ჩურჩულში ეგების წყდება
რაღაცა ძაფი თვალთუსილავი,
რომელიც მათ ვერ შეაერთებს აწ და მარადის...

●

... გავშეშდე, —
ქვად გარდავიქცე.
ქვას არაფერი უნდა.
ეს სიცრუეა, თითქოს ქვას სძინავს;
ქვის უძილობა — უსასრულოა.
ეს სიცრუეა, თითქოს ქვა ხედავს;
ქვის სიბრმავე — ძველისძველია.
გავშეშდე, —
ქვად გარდავიქცე.
ქვას არაფერი უნდა.
ეს სიცრუეა, თითქოს ქვას ესმის;
ქვის სიყრუე — უძველესია.
გავშეშდე, —
        უცხო პლანეტების უძილობა გზად იყინება —
        მათთვის დანიშნულ მარადიულ სრბოლაში — ხვედრით.
გარდვიქმნე,
        რათა ნაცრისფერი ფრთებით — სიბრმავით გადავეფარო
        უჰაერობის უშავეს გუგებს,
ქვაში

ნაპერწკლებს აკვნესებენ სამყაროები...
ქვას —
სამყაროთა ყრუ სიმშვიდე სჭირდება,
ხოლო
წყეულ და უსასრულო უძილობას,
აღარაფერი უნდა მათგან; —
რაც გადაიფრენს მის ზემორე...
გავშეშდე, —
ქვად გარდავიქცე.
ქვას არაფერი უნდა.
ეს სიცრუეა, —
ჰტკნარი სიცრუე;
მას
არც სიბრმავე,
არც სიყრუე
და არც უძილო საუკუნე არ მიიღებენ —
აღარასოდეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

შინ ვარ თუ არა? ჰო, საყვარელნო,
მაგრამ ეგ გული არაა სახლში,
მარტის მუქ ცისფერ ყინულთა
გზებით
უკვე წავიდა ჩემი გული და,
ჩემო ძვირფასნო, თქვენთან კი არა,
ქვაზე ჩამომჯდარ ნაცნობ
ფრინველთან —
შავ-თეთრ კაჭკაჭთან საუბრობს იგი.

ან უკანასკნელ, უმწეო თოვლთან
ერთად ვიქცევი მშფოთვარე მიწად,
და ჩუმი წასვლის ჟამის
ცრემლები —
სუსტი ბალახის მთვლემარ
ფესვებთან
ახალ შეხვედრად გადაიქცევა;
შარშანდელ, უკვე მუქ ბოლში,
თეთრ და
პაწია ღივებს სიმწვანე — ძალა
ეძახის ისე, რომ სუნთქვაც გეკვრის
ღივების ლტოლვა —
წყურვილისაგან.

წავედი — არა? დიახ, წავედი,
მაგრამ ეგ გული? სახლშია, სახლში.
არა მუქ ცისფერ მარტის ყინულში,
ჩემთვის საყვარელ ცისფერ
თვალებში
წავიდა ჩემი მღელვარე გული...
არა შენ, თეთრო ძეწნავ, არამედ
ბალღის ფაფუკი, მიმნდობი ხელი
სინაზით თბება — ჩემს
ხელისგულში,
გული კი, გული სახლშია ისევ.

სახლში ვიქნები? ჰო, საყვარელნო,
და ბავშვურ სუნთქვას
მივაყურადებ, —
დედის ფხიზელ და შიშნარევ ძილით.
მაგრამ იქ, სადღაც შარშანდელ
ფოთლებს
წამოსწევს თეთრი, თანაც პირველი
თეთრყვავილა, რომ გამოიხედოს;
ხომ არ მოვდივარ... და,
საყვარელნო,
მაშინ ნუ მკითხავთ ნურაფერს,
რადგან
გული, ეგ გული, შინ არ იქნება...

●

შეგიძლია არ გიყვარდე, შეგიძლია ძვირფასო, გძულდე...
მე ვიცი; შენ ეწამები, როგორც ფრინველი,
რომელსაც ჯერაც არ ესმის, რომ
უწყალო—სულის ამომხდელი შფოთვის მიზეზი საწყალ ბზრიალს ბიჭმა—
მისი ფრთებია.

შეგიძლია არ გიყვარდე, შეგიძლია ძვირფასო გძულდე...
შენს გარშემო თუ
შენს ზემორე, ვით ცის სილურჯე, რომ გეძახდე კვლავაც და კვლავაც,
ღამღამობით კი,
— შეგიძლია არ გიყვარდე, შეგიძლია ძვირფასო, გძულდე —
ვარსკვლავების ნემსებით დავჩხვლეტ —
ძილ-ბურანს შენსას.

გადარეული — ცხელი ქარები შეუბერავენ ფრთებს, როგორც აფრებს
და გაფრენას აიძულებენ.
შენ კი აზრადაც არ მოგივა,
რომ ჩემი სუნთქვა შარიშურობს შენს გაშლილ ფრთებში,
და ბაგეებიც
ასე ახლოს —
ვარდებივით იფურცლებიან.

შეგიძლია არ გიყვარდე, შეგიძლია ძვირფასო, გძულდე...
მდელოს ნაზ ყლორტად დავიხრები და გადავიშლები შენს ფეხებთან,
რათა ხედავდე;
თუ რა დიდი ხარ.
შოთხვის სუსტი ტოტის დარად დავიწყებ მტვრევას შენს ხელებში,
რომ დაინახო;
რა ძლიერი ხარ.

ფრთები,
სიმაღლე
და ძლიერება
აგწევენ მაღლა — ლურჯ ღრუბლებს ზემოთ,
და მათ არც კი ეცოდინებათ,
რომ ნაცრისფერი წერტილი ქვემოთ —
სიყვარულია.

შეგიძლია არ გიყვარდე, შეგიძლია ძვირფასო, გძულდე...

●

მე თქვენთან მომყავს ვაჟიშვილი.
მე თქვენთან მომყავს ჩემი ვაჟი.
ვიცი, ღრუბლების ცისფერ ქაფად
არ მომეხვევა ცის კამარა.

არ დამიჩოქებს რომის პაპი...
და ანგელოზთა წმინდა თვალები
უსათუოესი მზრუნველობით,
ვიცი, რომ არ უთვალთვალებენ —
მტკიცე ნაბიჯებს ჩემსას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე თქვენთან მომყავს ვაჟიშვილი.
მე თქვენთან მომყავს ჩემი ვაჟი.
მატყუარა პეტიტის ფერფლში
ეფლობიან ჩემი დაღლილი და მტკივნეული ფეხები.
მე თქვენთან მომყავს ვაჟიშვილი —
ქვეყნებსა და მწარე წყლებს ზემოთ,
ვერაგობის და სიძულვილის ტალღებს ზემორე,
რომლებიც ჰქრიან — მოგორავენ რადიოტელეანძებიდან.

მე თქვენთან მომყავს ვაჟიშვილი,
რომელიც სული წმიდისგან არ დაბადებულა.
მისი ნაყოფი ჩაისახა ტკბილ-მლაშე ოფლში.
იგი შავ სისხლში დაიბადა.
მე თქვენთან მომყავს ვაჟიშვილი.
ჩემი ძვირფასი მარადისობა, სიყვარული და ბედნიერება.
მე თქვენთან მომყავს ვაჟი — ყვავილი,
რომლისთვისაც ჩემი სხეული — მიწაა და დასაყრდენია.
მე თქვენთან მომყავს ვაჟიშვილი.
თქვენ მას ჯვარს აცმევთ.
ბომბდამშენის თეთრ ჯვარს გააკრავთ,
რომელიც უკვე აღმართულა — შემართულია
ქვეყნიერების ლურჯ გოლგოთაზე.

●

დასაბამიდან იყვნენ ხეები და ცის თაღიდან გვითვალთვალებდნენ.
ტბა კი ფეხებთან იწვა და გვიან აირეკლავდა უძირო ფსკერზე დაისის ჟამთან ლამაზ შეხვედრას.
და მერე იყო ჩიტი — ტყის შრიალი და ნდობა. იგი დასტოდა სოველ ქვიშაზე — ჩვენი მაღალი ჩრდილების გასწვრივ.
და, როცა ჩიტმა წრე შემოხაზა, მდუმარებამ დაისადგურა, ვდუმდით ორივე — ჩიტის გზა გვერტყა, როგორც ვარსკვლავთა მოწკრიალე ნაფეხურები.
და მერე იყო ხელყუმბარა. აღმოვაჩინე, რომ ცალი ხელი შემთხვევით მედო ჟანგით მოსილ სიკვდილის ფერდზე, მაშინ, როდესაც მეორე ხელი კმაყოფილების ჟრუანტელით გეფერებოდა. მაგრამ სიკვდილი თითებქვეშ გათბა და იგი თვლემდა ქვიშის სიღრმეში, — უუძველესი, საოცრად მშვიდი, და ბოროტება არც სურდა უკვე.
და მერე იყო სიტყვები — შიში! ჩვენ გადავხაზეთ ჩვენივ წმინდა დღესასწაული, ხეთა ჩრდილები და ტბის სილურ-

ჯე... დავაფრთხეთ ჩიტი, ცისფერი ჩიტი და დავამ-
წუხრეთ გულმოდგინე სიკვდილის ლანდი.
და მერე იყო სირცხვილის გრძნობა. მხურვალე კოცნით გაცრეცილ
ბაგის სიტკბოება თუ მონანიება და დანებების მწა-
რე ტკივილი — დამდუმარებულ ხეების ქვემოთ... თუ
მცა, საოცრად გვიან იყო და, ტყე გახდა შავი, რო-
გორც წამი ღრმა ამოსუნთქვის, ხოლო ფეხებთან ქვი-
თინებდა უსასრულობა უძირო ტბისა.
და აი, უკვე ახლაც არ ვიცით: თუ გვაპატია ის საღამო ხე-
თა სიმაღლემ, ტბამ, ჩიტმა, ანდა ხელყუმბარ-
აში ჩაბუდებულმა სიკვდილის ლანდმა?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მიხსენი ზღვაო. მომეშველე, მე ვიძირები!
ვიხრჩობი რუხ მოგონებებში, ტყუილუბრალო მოლოდინში...
და თუნდ იმედის უმწეო ხავსსაც
აქ, ამ ნაპირზე —
არ გამომიწვდის არავინ.
ჩემს პირისახეს ეფინება, — წალეკავს, წაშლის, —
მწარე გემო გარდასულ დღეთა ამბორის მძივის,
წყალცემა წარსულ მოფერებათა
ღრუბლად იკვრება — ჩემს თავს ზემორე.
ზღვაო, შენსკენ მოვდივარ, რათა
ჩემი ლოყები თუ იქნება მარილიანი,
დაე, იქნეს,
ოღონდ იწვოდნენ ქაფმორეული ტალღების ყინით,
უკეთუ კვნესა, დაე, იქნეს ქარის მუშტისგან, —
მკერდში რომ მომხვდა უცაბედად, მოულოდნელად,
უკეთუ სევდა,
დაე, იქნეს, რადგანაც მზეს — სისხლგამოლეულს,
დაისით დაჭრილს, — საშინლად უმძიმს გარდაცვალება.
მიშველე, ზღვაო! შენ — ერთადერთი,
ხარ სიყვარულზე უფრო დიადი,
უფრო ვრცელი, ვინემ ნაღველი
და უფრო სადა — გამოუთქმელი უბრალოება, ვინემ ალერსი.
მიხსენი, ზღვაო, მომეშველე, მე ვიძირები!
უნდა გადავხტე, ვადავვარდე შენს სივრცეებში,
რათა ისევ მყარ მიწად იქცეს
მოგონებებით დაღრღნილი, — სევდით დახრული ნაპირი.

ლატვიის ისტორიული მოტივი: ძველი რიგა

ქარები ქრიან. ქარები სწუხან. რიგა ისევ დუმს.
დუმს ქვის შიშველი დედაკაცი და...
ჰერალდიკური მხეცები დუმან.
დუმან კოშკები. და კოშკების კენწეროებზე —
მამლები დუმან.

ქართა თარეში. ღრიალი ქართა. რიგა ისევ დუმს.
როგორც ბოქლომი ისტორიული,
როცა რკინაზე ორთქლის წვეთი აციმციმდება, —
შემტყვებარი მაჯისცემისა...
დამპყრობელთათვის დაცემაა გარდაუვალი.
და მათი სისხლი —
ქვაფენილზე —
დუმს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქარების რისხვა. ქართა სტვენა. რიგა ისევ დუმს.
უდარდელობა? უკმეხობა? სულმოკლეობა?
ნულარ იკითხავ. არ გიპასუხებს.
უნდა იყვირონ გარდასულებმა.
მათ თავი უნდა გაიმართლონ — ყველას წინაშე.
უკვდავთათვის კი — დუმილია ნებადართული.

●

მე სიყვარული ჩემი მომაქვს ისე სათუთად,
როგორც ბავშვს მოაქვს ფოთოლი ჭადრის
(რომელმაც ჩვენს წინ ეს-ესაა აიდგა ფეხი).
უცხო სიდინჯით უკავია გამოწვდილ ხელში,
ეტყობა უჭირს ნაბიჯების გათანაბრება,
როცა გარშემო უსაშველო შემოდგომაა.
ცვივა და ცვივა
ხეებიდან ჩუმი ჩურჩულით
იდუმალების ოქრო-ვერცხლი... ნაბიჯებს ურევს,
მაგრამ ბიჭუნა არ ბორძიკობს.
მოაქვს ფოთოლი.
იგი მისია... უკავია ხელში თამამად
და მოზეიმე მოაბიჯებს ფოთლების ქარში.

სიტყვები სიტყვების შესახებ

სიტყვები სიზმარში მოვიდნენ. ჩემს ირგვლივ
იდგნენ ბიჭუნებივით, რომელთა ცელქობის გა-
მო დედას მილიციაში იბარებენ. ყველაზე პა-
ტარასა და საყვარელ სიტყვას პაწაწინა, მრგ-
ვალი პირი გვერდულად მოექცა, შინდისფერი
ბაგეები აუცახცახდა. მომეჩვენა, რომ აი,
საცაა იყვირებს: აწი, არ ვიზამ!..
ტყუილუბრალოდ მომეჩვენა. იგი არ იყო მყვი-
რალა სიტყვა... და მაშინ მე ვთქვი:

ჩემო სიტყვებო, როცა ხელახლა დაგვიწყებენ გასამართლებას,
ნუ დახრით თავებს!.. საბრალდებო სკამი მხოლოდლა
ზღურბლია, რასაც მტკიცედ უნდა გადავაბიჯოთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა ჩვენს თვალწინ გადაიშალოს უსასრულო ქვეყნიერება —
ყოველგვარი კედლის გარეშე, —
მიწა, რომელიც ოთახს არა ჰგავს.
ჭეშმარიტება: თითოეული ჩვენთაგანი სიცოცხლის გზისთვის
კვერცხიდან უნდა გამოიჩეკოს.
ეს ცნობილია ფრინველებისთვის. იცის ყველამ.
თავად ქათამმაც.
ეს ცნობილია ფრინველებისთვის. პოეტებისთვის და სიტყვებისთვის.
ხოლო სასჯელის უმაღლესი ზომა არის თავისუფლება,
რასაც აწ უკვე ვერ წაგვგვრიან ველარასოდეს.
თვალსაწიერის უსასრულო ველად გაჭრილს აღარ სჭირდება, —
უკუმოხედვის უსუსურობა, — კედლებისკენ, ცხოვრებისკენ.
ისევ კვდებიან ფრინველები და პოეტები. მაგრამ ნაჯახის
პრიალა ფხასაც, მწამს, რომ არ ძალუძს ამოკვეთოს აღსასრულის წინ
გამშრალ ყელიდან ამოხეთქილ სიტყვას ნათელი,
სიტყვის, რომელიც მხოლოდ ერთხელ თუ დაიღვრება,
ვით პირველქმნილი მდინარის ტალღა.
ჭეშმარიტება: სიტყვის მდინარეს ვერ ამოხაპავს ველარავინ,
ველარასდროს ამ ქვეყანაზე, —
ვითარცა მერცხალს — ლაჟვარდად აჭრილს ვერ დაეწევა ძეხორციელი.
ჩემო სიტყვებო, ნუ შემიცოდებთ,
თესლმა არც უნდა შეიბრალოს საყანურის შრიალა სივრცე,
სადაც იზრდება ოქროს თავთავი;
თვით მიწის მკერდიც გაღატაკდება — თუ დაიჟანგა სახნისი და
ამოთავთავდა ალმოცენება.
უფრო თამამად გაუხსენით მიწას საკინძე —
ახალ აზრთა აკვირტებისთვის.
ჩემო სიტყვებო, გუნდრუკს გიკმევენ თუ საბრალდებო
სკამს გიმზადებენ, —
სულაც არ არის ბედნიერება,
სულაც არ არის უბედურება;
ახალი ლექსის დამთავრებისას იკეტება ჩემი ჭიშკარი.
აწ თავად წადით შორეულ გზებით...
რადგან სიცოცხლით დავამწყალობეთ,
ყველაფრის გამო მე ვაგებ პასუხს — სიტყვებო, ჩემო...
ჩემო სიტყვებო...

ᲛᲘᲡᲘ

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲔ

ᲐᲓᲝᲚᲤ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ

ᲣᲪᲜᲝᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘᲓᲐᲜ
თარგმნა და კომენტარები დაურთო

ᲓᲐᲕᲘᲓ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔᲛ

დედანი ამოღებულია საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფონდიდან.

ᲙᲝᲜᲢᲣᲠᲔᲒᲘ

მისი უამრავი ფოტო მინახავს, მაგრამ ყოველ მათგანზე იგი სხვადასხვანაირია. შეიძლება იფიქრო, მისი შინაგანი მზერა ობიექტივს გაურბისო. ეს „შორეული სახის“ უტყუარი ნიშანია. ჩემს ყურადღებას იპყრობს ფოტო, სადაც იგი ჰინდენბურგთან ერთად არის გადაღებული: დიდი სარდალი, ოთხმოცს გადაცილებული ჭარმაგი კაცი, ჯერ კიდევ კლდესავით დგას, ოღონდ მოკლებულია ყოველგვარ იდუმალებას. იგი აქ იმყოფება, ესაა და ეს. მაშინ როცა ჰიტლერი, მოკრძალებით გულზე ხელებგადაჭდობილი და გარინდული, ოდნავ შესაგრძნობი აურის საფარველში გახვეული, უსასრულოდ იზრდება და სიშორისაკენ მიისწრაფვის. ვინ იცის, იქნება მისი სახე გამუდმებით ასხივებს ისეთ შინაგან ძალას, რომ დაუნდობელი, მოურიდებელი კამერა უძლურია თვალწამით შეაჩეროს და ფირზე აღბეჭდოს იგი.

დაფარული არ გაცხადდების, მაგრამ მაინც ღირს შეეცადო გამოიცნო იგი. ძალზე დამახასიათებელია ის ფოტო, სადაც იგი ბატონ რიბენტროპს, ლონდონში მაშინდელ ელჩს, ფლოტის თაობაზე მიღებული კონვენციისთვის მადლობას უხდის: სერიოზული და შეწუხებული სახე აქვს, ბატონი რიბენტროპი კი სიხარულისაგან გასხივოსნებულია და ის სხივი ფიურერის შინაგანი შუქისგან მოედინება. დიახ, მისი სახე აშკარად განსახოვნდება იმ ადამიანში, ვისაც იგი იმ წუთში ესაუბრება. იგი ხშირად ჩნდება გოგო-ბიჭების წრეში და მათი აღფრთოვანებული სახეებიც მისი შუქითაა გაცისკროვნებული.

მას ჟამიდან ჟამზე კვირის ახალ ამბებში ვუყურებ ხოლმე. აქ მისი სახე უფრო უშუალო და მეტყველი ჩანს. მარშალ გერინგის ქორწილზე გადაღებული ფილმი კი მას ლამის სიმბოლურად წარმოგვიდგენს. იგი ყველასთან ახლოს დგას, განსაკუთრებით კი ახალდაქორწინებულ წყვილთან და მაინც ჩანს, რომ სადღაც სხვაგანაა, მასთან მეუძლებელია მიახლოება. ისეთი გრძნობა გიჩნდებათ, თითქოს ზეიმზე ვინმე უცხო შემოსულა, მაშინვე ყველასთვის ახლობელი გამხდარა და მაინც ჩანს, რომ თანამებრძოლები და მეგობრები, ანუ მისი ახლობლები, ამ სიშორეს ყველაზე უფრო მწვავედ სწორედ მის სიახლოვეს გრძნობენ.

ერთხელ იგი — თუკი უფლება მაქვს ჩემი სუბიექტური განცდა სიტყვიერად გამოვხატო — შემოქმედებით, სულიერ სიბრტყეზე აღვიქვი, იქ სადაც ირეალური ლამის რეალურს ესაზღვრება. ამიტომაც ვბედავ ვთქვა: ვერცერთი მხატვარი ვერ შეძლებდა მისი შინასახე სრულად გამოეხმო და პორტრეტში გაეცოცხლებინა. იქნებ ვინმე ხეზე მკვეთელს ხვდომოდა წილად ეს ბედნიერება, მაგრამ მაშინ პორტრეტს მისი მუქლურჯი და თან შუქიანი თვალები დააკლდებოდა, მის შინაგან სამყაროს თავის თავში ფარულად რომ დაატარებენ. ამ თვალების მკაცრი მზერის წინაშე გაცამტვერდება ყოველივე ყალბი და ცრუ.

მისი მიხრა-მოხრა თავის სწორუპოვრობის გამოა თვალში საცემი. აი იგი კიბეზე ჩამოდის. კიბის ძირში მედიდურად ჩერდება, საგნებს ზემოდან დასცქერის და შორს ისე იყურება, თითქოს უეცრად რაღაც საფრთხე იყნოსაო; შემდეგ თავს ხრის, ოდნავ მკაცრად, გრძელი, ღონიერი ნაბიჯით განაგრძობს გზას. ხელებს იქნევს, გრძელ, ენერგიულ ხელებს, რომლებიც მის მტკიცე ნაბიჯს ფრთას ასხამენ. აქ მისი ყოველი მოძრაობა პლასტიკურად დასრულებული ჩანს.

ხმა იდუმალი

მისი ყოველი გამოსვლა ერთადერთი და განუმეორებელია. ათასობით ადამიანი მასთან უშუალო შეხვედრას ელოდება, მილიონები კი რადიოგადაცემის მოლოდინში გაქვავებულან. აბრიალებული ტალღა ტალღაზე მოგორავს და აღტკინებისგან გუგუნებს. ტანი უგრძნობთ: იგი მოდის, იგი უკვე ახლოსაა. შუქშობილის მოლოდინში ყოველი ხმის გაგონებაზე უტოკავთ ფესვები. უსაშველოდ მოდიდებულან ტალღები. აქ მარტო აღარავინაა: „ყოველი მხარი ძმაა და ყოველი მხერა დაია შენი“... („გრაალის მცველნი“). ტალღისგან ატაცებული ბედნიერი მსმენელი ჰაერში ნანაობს: იგი ერთდროულად ნადავლიც არის და ნადავლის მომპოვებელიც. და აი, ფიურერიც აქ არის. ქარბორბალასავით ეხვევა გარს შეძახილი: „ჰაილ! ჰაილ! ჰაილ!“ აბობოქრებული ზღვის ზედაპირი მშვიდდება. ნელ-ნელა იკეცებიან ჩამცხრალი ტალღები. არსაიდან არ ისმის ხმა, ყველა ჩაწყნარებულია, მხოლოდ გულები ძგერენ ძალუმად, მოლოდინით ანთებულნი. და აი, გაისმის დაბალი ხმა, მკაცრიც და მოსიყვარულეც, და სუნთქვაშეკრულთ ესმით ნაცნობი სიტყვები: „გერმანელო მამაკაცებო და ქალებო!“ რამდენიმე ჟესტი და ორატორი ჭეშმარიტად ღვთიური გზნებით საქმეზე გადადის.

ამ დაბალ ხმას მილიონობით ადამიანთან ერთად მეც გულმხურვალედ ვუსმენ. დროგამოშვებით სიტყვებს თავს ვანებებ, მხოლოდ შინაგან ენას ვაყურადებ და უცნაურ ხილვას ველარ ვეშვები. ორი მილიონი მიცვალებული წევს ქანცგაწყვეტილ მიწაზე, შვიდნახევარ მილიონს ჯერ კიდევ სისხლი სდის, დიდ გერმანულ არმიას იარაღი დაუხრია. პირქუშ, უმთვარო ღამეში არაამქვეყნიური სიჩუმე ისადგურებს. უეცრად შორიდან მოისმის ხმა, ნალვლიანი და ტკივილიანი, მაგრამ თავგანწირვითა და სასიცოცხლო ენერგიით აღსავსე. სიჩუმეში გამაოგნებლად გაისმის ეს ხმა, ნუთუ ეს მითად ქცეული უცნობი ჯარისკაცის ხმაა? სიჩუმეში გამაოგნებლად გაისმის ეს ხმა და ამავე დროს გულის სიღრმეში ყველას ჰგონია, თითქოს თავად ლაპარაკობდეს.

ადოლფ ჰიტლერის სიტყვების უკან მუდამ ვგრძნობ ამ ხმის გამოძახილს. იგი ისე სულისშემძვრელად ლაპარაკობს, რომ ხანდახან აღარც კი მჯერა, ეს ხმა ერთი ცალკეული ადამიანის ხმა შეიძლება იყოს თუ არა. აი ჭეშმარიტად სად ცნაურდება გერმანული თვითობა.

იქნებ ეს თვითობა მეტაფორულად არის გასააზრებელი?

ი გ ა ვ ე ბ ი

ყოველი მცენარე მხოლოდ დროის ერთ რომელიმე მონაკვეთშია საცნაური: მორჩობაში, ყლორტობაში ან სიმწიფეში, მაგრამ ვინაიდან იგი თავის თავში ატარებს მისი ნებისმიერი ნაწილიდან მთელის აღდგენის შესაძლებლობას, ამიტომაც ჭვრეტს მთლიანობაში მას გოეთე მზიური თვალი: წინ, მორჩიდან ყლორტამდე და უკან — ყლორტიდან მორჩამდე. და ბოლოს ჩვენს წინაშე მატერიალურ-იმატერიალურად ფარფატებს თვით თაურმცენარე (ისევე როგორც ბავშვის სახეში შეიძლება დაიჭიროთ დედის ან მამის სახე).

თაურმცენარე მცენარის ყოველ ფაზაში თვლემს. მართალია, ზრდის პროცესში, მაგრამ ერთჯერადად მთლიანობაშიც. იგი ხალხის ყოფიერების ხატში სრულყოფილ შესატყვისს პოულობს. ასე ხალხის თაურუჯრედზეც, ანუ დვრიტაზეც შეიძლებოდა გველაპარაკა. მე სხვა არავინ მეგულება, ხალხის დვრიტას ჰიტლერივით რომ ჩასწვდომოდეს.

უფრო ნათლად: ჩემი მშობლიური ქვეყნის ნებისმიერ გლეხს რომ ვკითხო, რა მოსდის ყურძენს სიმწიფეში შესვლისას, მყისვე მივიღებ პასუხს: მტევანში თვალი ჩავიდაო. ხოლო თვალში მზე იგულისხმება. ნუთუ მას გოეთეს ღრმა აზრი აქვს გაგონილი? „ვისაც მზიური არა აქვს თვალი, მას მზის დანახვაც არ შეუძლია". ცხადია, არა. მაშ საიდან უწყის ეს საიდუმლო? საიდან და ეს ცოდნა მას თავის მშობლიურ ენასთან ერთად ეძლევა, სადაც „მზეს" და „მზერას" ერთი და იგივე ფუძე აქვს. მაინც ვინ მიხვდა ამას? ჯერ ერთი იმას, რომ მზე კოსმიური თვალია, რომლის სხივებშიც შიგნიდან გამოსჩანს რაღაც და მეორე: ეს თვალი რომ ჩადის მტევანში, რათა იგი სიმწიფემდე და სისავსემდე მიიყვანოს? კი, მაგრამ, მაინც ვინ შექმნა ეს საკვირველი ხატი? ალბათ, ვინმე უსახელომ წინარე დროში ჩვენამდე დაბადებულმა, რომლის ხედვაც თაობიდან თაობას გადაეცემოდა? არა. აქ არც „მანამდე" და არც „მას შემდეგ" არ გამოგვადგება, ვინაიდან: ყოველ ცალკეულ

ადამიანს თავისი ენა წინ დაუხვდება მისი თაურხატისგან უკვე ქმნილი. დასაბამიდან ასეა — ყოველ ცალკეულ ადამიანში, იქნება იგი ამჟამად მცოცხლები, დიდი ხნის გარდაცვლილი, თუ სულაც მყოფადში მომსვლელი, არის რაღაც წინასწარ მოცემული, რაიც მასში მერჩის სახითაა ჩაკირული და მარადჟამს ცოცხლობს. ეს რაღაც — ცოცხალ ესების რომელიღაც სახეობა, გაუხლეჩავი და ერთიანი — ენის მედიუმში მსოფლსახის ჭეშმარიტ ძალად გვევლინება. ხალხი თუ რაიმემ შეძრა, იქნება ეს დამარცხების ტკივილი, თუ რაიმე აღმაფრთოვანებელი ექსტაზი, მაშინ თითოეულმა ადამიანმა თუნდაც წამის ერთი ნაწილაკის განმავლობაში საკუთარ თავში ლამის პიროვნულად უნდა შეიგრძნოს ის რაღაც, როგორც თავის საკუთარი თაურუჯრედი. ფესვების ამდაგვარი შეგრძნება ზოგჯერ ისე შორს მიდის, რომ ვინმე კურთხეული პიროვნება საკუთარ თავს ხალხის იდენტურად აღიქვამს: მაშინ იგი თავგანწირვისათვის შინაგანი მზაობის წყალობით ხალხის თვითობაში აღმოჩნდება ჩაზრდილი და შესაბამისად, ხალხიც მასში ხორცშესხმულ ხატს დაინახავს.

იქნებ ესეც მეტაფორაა? დავაკვირდეთ პაგანინის ვიოლინოს. მასში საიდუმლოდ შემონახულნი თვლემენ ის მუსიკალური ტალღები, გენიალური მევიოლინე მის სიმებს რომ გამოაცემინებდა. დამათრობელმა რხევებმა ისე გააკეთილშობილეს უსულო ხე — ალბათ მასში ახალი ნუჟრებიც კი წარმოშვეს — საკმარისი იყო მასზე ვინმე ხელგაუწაფავ მევიოლინეს დაეკრა, რომ შეიძლებოდა უხეშად დაზიანებულიყო მერქნის ნატიფი ქსოვილი. და თუკი ხეს ძალუძს, თუნდაც წმინდა ფიზიკური თვალსაზრისით განიცადოს ასეთი სახეცვლილება, მაშინ განა ხალხისათვის თავშეწირულ ადამიანს არ ხელეწიფებოდა ხალხის ჯანსაღი უჯრედები თავის წიაღში მიეღო და დაეუნჯებინა?

ჰიტლერის ფენომენი აქ ძევს და სხვაგან არაად.

გადამწყვეტი წამი

წარმომიდგენია: 1919 წელს გერმანიას ვერსალის დიქტატს უწესებენ. შეძრწუნებული გერმანელი ხალხი თავის ისტორიის ერთ წამს გარინდულა — დროის ეს მონაკვეთი ვარსკვლავთა თვალწამს ჰგავს. ყოველი გერმანელი, კაცი თუ ქალი, ყრმა თუ მოხუცი, ფენისა და რანგის მიუხედავად, გულის სიღრმეში მხოლოდ ერთს გრძნობს: იგი გერმანელია. შიგნით, სიღრმეში, ჭრილობიდან სისხლი მოწვეთავს, ხალხის თვითმყოფადობა საფრთხეშია. მთელ ქვეყანას ერთადერთი ტალღა გადაუვლის: ტკივილის ტალღა. მეტ-ნაკლებად მას ყველა ატაცებული ჰყავს, ყოველი მათგანი თავის უნარისა და ძალის პირობაზე მისი მატარებელი ხდება. სისხლი მოწვეთავს ჭრილობიდან და თან გამაჯანსაღებელ ძალებს შობს. ტალღა ყველას სხეულში აღწევს, მის ზვირთებში ყველა ერთია — იგი კაციდან კაცზე გადადის, თითქოს იმ ერთს დაეძებდეს, რომელიც შეძლებს ატაროს და ერთ მუშტად შეკრას იგი. და ჰოი მიქცევა-მოქცევის საიდუმლოვ, დავანებულო მთელსა და ერთეულს შორის: ტალღა პოულობს მას, გულით ნანატრსა და ნაოცნებარს და აი იგი რჩეული, მისი მიმღები და შემოქმედი ხდება.

არსებობს ერთი დიდი მიტინგის ფოტო, 1914 წელს ომის გამოცხადების დღეს გადაღებული. ათასობით ადამიანი, სუნთქვაშეკრული და შეშფოთებული უგდებს ყურს ჭექა-ქუხილის მოახლოებას. მასის შუაგულში მშვიდად დგას ერთი კაცი. სახე მოლოდინისგან დაძაბვია — მას amor fati* აძლევს დაბრკოლების გადამლახავ ნებისყოფის ძალას. სახემოღუშული ფიქრებში ჩაძირულა, მაგრამ ჩანს, რომ მის თვალს არაფერი გამოეპარება. დგას მტკიცედ: სრულ მზადყოფნაში. იგია ის, ვისშიც იმ ტალღამ ჰპოვა თავისი იდეების მატარებელი. გერმანულ სამყაროში ამ წუთში დაიწყო ახალი ერა.

ისტორიამ შემდგომ გაამჟღავნა უსახელო გმირის სახელი: ადოლფ ჰიტლერი.

ზემოთ ერთი გამოთქმა გამოვიყენე: თავგანწირვისათვის შინაგანი მზაობა. მე მომისმენია ჰიტლერის ხმა — ხან ნაღვლიანი, ხან მუქარიანი, ხან გამამხნევებელი და აღმაფრთოვანებელი — და მის უკან ყოველთვის ის მზაობა მიგრძვნია. ეს თავგანწირვის სიმამაცე როდია, ეს გარდაქმნის სიმამაცე გახლავთ: ეს ცეცხლის გენიაა. მაგალითად აქ ერთ ლეგენდას მოვიხმობ.

ერთ ხეზე ასეთ ლეგენდას ყვებოდნენ: ვინც მისთვის ცეცხლის წაკიდებას გაბედავდა, იგი ცეცხლში იხილავდა ჭეშმარიტებას, ოლონდ სიგიჟის და მყისიერი სიკვდილის ფასად. და აი ერთი, ჭეშმარიტების შეცნობის სურვილით გულანთებული კაცი, ბედავს ლეგენდარული ხისთვის ცეცხლის წაკიდებას. იგი ხშირად მიდის ხოლმე ამ ხესთან და მზად არის კაჟის კენჭებით სავსე პეშვით გააჩაღოს ცეცხლი, მაგრამ შიშით მარჯვენა უჩერდება. ერთხელ დაღლილ-დაქანცული ხმელ ფოთლებში წამოწვება, ჩიბუხს გააბოლებს და სულ მალე ძილი მოერევა. უეცრად დამწვრის სუნს იკრავს: ეტყობა, ჩიბუხიდან ერთი ნაპერწკალი შეუმჩნევლად გადმოვარდნილა. მიმოიხედავს და სიხარული შეიპყრობს: აი ახლა კი ეზიარება ჭეშმარიტებას, ისე რომ არც გონი წაერთმევა და არც სიკვდილის სუნთქვას შეიგრძნობს — ცეცხლი ხომ მისდაუნებურად გაჩაღდა! მაგრამ იმწამსვე მაინც აიტანს შიში და ალის ჩასაქრობად ხეს მივარდება. ხელებს გამალებით ამოძრავებს, დემონურად ყვირის და ღმუის, თითქოს უნდა ამოთქვას: არა, არა, ეს არ მოხდება! ბოლოს, როგორც იქნა, აქრობს ცეცხლს და ხელებდათუთქული გარბის.

იგი გარბის: მას სიმამაცე არ ეყო შეეცნო ჭეშმარიტება, რაიც, თუ გნებავთ, ამქვეყნად ყოფნის სიმამაცეც გახლავთ. ამ სიმამაცის გარეშე კი არც დაფარული შეიცნობა და არც ისტორიული საქმენი ხდება. ლუთერი წაუკიდებდა იმ ხეს ცეცხლს, ფრიდრიხ ნიცშეც და ნაპოლეონის ყოველი დიადი წამიც მუდამ იმ ცეცხლის ალში დგებოდა ხოლმე. დღევანდელი წინამძღოლები, ვინც კი თავიანთ ხალხში დაწინაურებულა, ყველა როგორც ერთი, ამ ცეცხლის გენიითაა გულანთებული. მუსოლინის, amor fati-სგან მუშტად შეკრულს, აქვს გადამწყვეტი იერიშის წამოწყების გამბედაობა, ხოლო ადოლფ ჰიტლერი ამ სიმამაცით

---

* ლათ. საბედისწერო სიყვარული (მთარგმნ.).

უჩვეულოდ, ნერვის უკანასკნელ ძაფამდეა შეპყრობილი. ერთ მაგალითს მოვიყვან.

„1932 წლის 8 აპრილს გერმანიას ისეთი ავდარი დაატყდა თავს, ყოველგვარ წარმოდგენას რომ აღემატება. შავი ღრუბლებიდან სეტყვამ წამოუშინა. ნიაღვარმა წალეკა ბაღები და ველ-მინდვრები, ქაფიანმა წყალმა დატბორა გზები და ლიანდაგები, გრიგალმა ფესვიანად ამოგლიჯა საუკუნოვანი უზარმაზარი ხეები. ამ დროს ჩვენ მანქანით მანჰაიმის აეროდრომისაკენ მივემართებით. ვინ გაბედავდა გამძვინვარებული სტიქიისათვის მიენდო თვითმფრინავი — გერმანულმა ლუფტჰანზამ შეაჩერა ყველა რეისი. აეროდრომზე კი, კოკისპირულ წვიმაში მჭიდრო რიგებად დგანან ჩვენი მომხრეების ყველაზე შეუდრეკელი რაზმები. მათ უნდათ აქ იყონ, უნდათ საკუთარი თვალით იხილონ, ასეთ ავდარში ფიურერი როგორ მიენდობა თვითმფრინავს. ფიურერი ბრძანებს დაუყოვნებლივ აიღონ სტარტი. ჩვენთვის უნდა შესრულდეს დღის განრიგი, რადგან დასავლეთ გერმანიაში ასეულ ათასობით ადამიანი გველოდება. თვითმფრინავი ანგარიდან გამოჰყავთ. მონტიორებისა და სპეცრაზმელების კუნთმაგარი ხელები ძალღონის არაადამიანური დაძაბვის ფასად ახერხებენ ბილიკზე თვითმფრინავის დაკავებას, რომ ქარიშხალმა არ აიტაცოს და არ დაამსხვრიოს იგი. მოტორების ორღანი ახმიანებულია. პილოტი უჩინარი ხელით ორღანისტივით ცვლის რეგისტრებს და ხან უკლებს და ხან უმატებს გუგუნს. მოტორები უკვე გახურებულია, სანამ ასაფრენ ბილიკს გაუთავისუფლებდნენ, მოთოკილი ძალით მოუთმენლად ძაგძაგებს ჩვენი ჰიპოგრიფი.* ერთი ყალყზე შედგომა და ჩვენი ძვირფასი ბედაური უკვე მწვანე მინდორზე მიჰქრის. რამდენიმე თამამი ნახტომი, უკანასკნელი წამიერი შეხება მიწასთან, ჩვენ უკვე ჰაერში ვართ და ჯადოქრის მოთუხთუხე ქვაბში ვიძირებით. ამას ფრენა აღარ ჰქვია. ესაა ბზრიალ-ტრიალი, რომელიც დღემდე უშორესი სიზმარივით გვაგონდება. ჩვენ ხან გრიგალს მოვექცევით თავზე, ხან ღრუბლების ნაფლეთებს მივაპობთ, უხილავი გრიგალი ხან სიღრმეში ჩაგვიტანს, ხან კი გვეჩვენება, თითქოს შორეული ამწე ზევით ვერტიკალურად გვეწეოდეს. და მაინც, უსაფრთხოების საოცარი შეგრძნება ღვივის ჩვენში სტიქიის ამ ბობოქრობის ჟამს. „ფიურერის აბსოლუტური სიმშვიდე ყველას გვედება." (ოტო დითრიხი: „ღამით, ჰიტლერთან ერთად.")

ადოლფ ჰიტლერი ისე შეუპოვრად მოქმედებს, რომ გიჩნდება შეგრძნება: ურჩხულიც რომ გადაუდგეს წინ, არ შეუშინდება. დიახ, გჯერა, რომ იმ ურჩხულს დაამარცხებს. იგი მიმართავს ხალხს, მტკიცედ და გაბედულად და საკუთარ თავსა და სხვებს შორის მიჯნას ვეღარ გრძნობს: თავისი ქვეყნის პულსი მასშივე ფეთქავს. იგი კვლავ და კვლავ იყენებს პირის ნაცვალსახელს „მე", ოღონდ „მე" ამ შემთხვევაში ხალხის ზეპიროვნულ თვითობას ნიშნავს. ამ დროს მისი ფოლადივით სიტყვა უზარმაზარ ძალას ასხივებს, უფრო მეტიც — იგი ქმედით ძალად გადაიქცევა. მისი გამჭრიახი გონება ჯერ არშობილ საიდუმლოს

---

* ბერძ. ცხენის ტანიანი ფრთიანი მითიური ცხოველი. პოეტური პეგასის წინამორბედი.

წვდება და ლაღი ჩირაღდანმტყორცნელის დარად ბრმა ბედისწერას ათვინიერებს. სიტყვის ბოლოს მისი დიონისური ფრთების მოქნევა იმ მფრინავის ფრენას ჰგავს, ოკეანეს რომ გადაუფრინა და ახლა მის მოლოდინში გარინდული ხალხის წინაშე ძლევამოსილად ეშვება მიწაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველცოდნაში ჩახედვა

იგი ბედისწერას ათვინიერებს და ბედისწერაც მის მხარესაა. აქ ცნაურდება ის რაღაც, რაც ჭეშმარიტად ისტორიულ პიროვნებას მასისაგან გამოარჩევს. ესაა იმ შინაგანი გაორების დაძლევის ნიჭი, რაც ადამიანის არსში ღრმადაა ჩაკირული. აქ ჩემი წიგნის „გრაალის მცველნის" გმირს თავად გიორგის ვალაპარაკებ:

„დაცემამდე ადამი კადმონი ღმერთისგან განუყოფელი იყო, მხოლოდ დაცემის შემდეგ შეიცნო მან იგი, როგორც თავისი საპირისპირო რამ. აქამდე იგი საგნებს შიგნიდან გარეთ ხედავდა, ახლა კი მათ ისე აღიქვამდა, როგორც მის პირისპირ მდგომთ. იმ კითხვას, როგორ შეეიმეცნო ის, რაც მე თვითონ არ ვარ, რაზეც საუკუნეების მანძილზე თავს იმტვრევდნენ მოაზროვნენი, დაცემამდე ადამი საერთოდ ვერ გაიგებდა, ვინაიდან იგი სხვას აღიქვამდა, როგორც თავის განსაკუთრებულ მეს. ყოფიერების გარშემო მოპოვებული ცოდნა უკვე აღარ არის თვით ყოფიერება. კაცობრიობამ დაკარგა ყოფიერებაში არსებული განუყოფლობა და დღეს ეს განუყოფლობა მხოლოდ ცხოველშია შემორჩენილი. აი საიდუმლო ეს არის. ახლა ხომ გესმით, რატომ გვჯობიან ცხოველები ღონით? ახლა თქვენთვის ხომ ნათელია, რატომ ვალმერთებთ ცხოველებს? შემდეგ: „სხვათა შორის, ცხოველს არ გააჩნია თვითობა, ანუ ღვთაებრიობის ნიშანი. მას არ გააჩნია მე, სამაგიეროდ ღვთიური ყოფიერების მთლიანობა აქვს შენარჩუნებული. ცხოველი გარესამყაროს ზუსტად ისევე აღიქვამს, როგორც ჩვენი თვალი აღიქვამს სინათლის ზღვას: იგი „საგნებს" ვერ არჩევს. თვალს რომ სინათლის ზღვა საგნის სახით ედგეს წინ, მყისვე დაკარგავდა ხედვის უნარს და ეს ცოდვით დაცემის მსგავსი რამ იქნებოდა. ცხოველის მეხსიერების სამყარო მისი ქმედების სამყაროცაა. ჩვენს მეხსიერებაში ძევს ნებისმიერი არსების ხატი, თუნდაც იგი შორს იყოს ჩვენგან. ცხოველს წარმოსახვის უნარი არ გააჩნია, სამაგიეროდ იგი უშუალო შეხებისას საკვებით ხატოვნად ჭვრეტს საგანს, იგი თავისი საპირისპირო საგნით იმსჭვალება. აქედან მოდის მისი უზარმაზარი მაგია. ნადირი გამოჩენისთანავე ცვლის თავის გარშემო ატმოსფეროს. ამგვარად, ცხოველი ღვთიურად მთლიანია, ყოფიერებაში მას არ გააჩნია შუალედური სივრცე. ადამი კადმონი ალბათ ერთდროულად ცხოველიც არის და ადამიანიც, ღვთიურ საშოში განუყოფელი. მას შემდეგ მისტირის ადამიანი თავის დაკარგულ ნახევარს — ცხოველს. აქედან გამომდინარე, გასაგებია, მითიურ ადამიანს რატომ ესახებოდა ცხოველი წმინდანად: პირველმდგენად, ტოტემად. ტყუილად როდი გამოუსახავთ ბაბელსა და ზუმერს, უშუალო პირველცოდნის ქომაგებს, კოსმიური წრებრუნვა ცხოველების ნიშნებით. კურო, მერწყული, თხის რქა, ვერძი, ლომი,

ლრიანკალი — ყველა ეს ცხოველი, რეალურადაც და ირეალურადაც, ადამი კადმონის სხვადასხვა თვისებას განასახიერებს.

ასე და ამგვარად, ამ გადმოცემაზე შეიძლება ითქვას: იგი ძველი ალთქმის შესაბამისი გადმოცემისაგან ძირფესვიანად განსხვავდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაიროსი

თუკი ვინმე მთლიანად და უყოყმანოდ გაიზიარებს თავისი ხალხის ბედს, მაშინ მას მიეცემა ნიჭი და უნარი ფარულად შეამოკლოს გამ-ყოფი შუალედი, ანუ სივრცე ყოფიერების ირგვლივ არსებულ ცოდნა-სა და თვით ყოფიერებას შორის. მაშინ მასში, თავად გიორგის აზრი რომ მოვიშველიოთ, წმინდა ცხოველის ძალები გაბატონდებიან და ამიერიდან იგი მთლიანად და განუყოფელად იმოქმედებს ხოლმე. იგი თანდათან მოიპოვებს ყოფიერების იმ წყალობას, რასაც ძველი ბერძ-ნები „კაიროსს" ეძახდნენ, ანუ მოიპოვებს უნარს ქმედებისას იპოვოს გადამწყვეტი წამი. ცხოველებთან კოსმიურად დამეგობრებულ ადამია-ნებს მშვენივრად შეუძლიათ შეიგრძნონ იგი. საკმარისია მონადირემ თავის ძაღლთან ურთიერთობისას ინსტინქტურად შეიგრძნოს ღვთიურ-პიროვნული „შენ", რომ ცხოველი მას მყისვე ინსტინქტის რწმენას მი-ანიჭებს. მაგალითად, აქ დიდ როლს თამაშობს სიახლოვე კატასთან, ამ საზარელ ცხოველთან, რომლის მეოცნებე კრუტუნში ყრუდ და წყნა-რად მოისმის კოსმოსის შორეული სუნთქვა, იმ პირობით, რომ მისი შემზარაობა ვინმეს წილხვედრი გახდება.

რაც უფრო ვიწროა ის შუალედი, მით უფრო ძლიერია კაიროსი. ქემალ ათათურქის ცხოვრება ამ თვალსაზრისით ფანტასტიკას ესაზღ-ვრება. იგი თითქმის ყოველთვის გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება, სადაც გარემოებანი დაახლოებით 90:10-ზეა მის საწინააღმდეგოდ მო-მართული და აი იგი მოვლენებში მოულოდნელად, შესაფერ წამს ჩაე-რთვება და სახიფათო ზონაში ბედისწერას უმალვე თავის სასარგებ-ლოდ შემოატრიალებს. მუსოლინის არსებაში მოქმედ კაიროსს აქვს რაღაც მეტეორის ნამსხვრევის ცეცხლისებრი. თვალს თუ მივადევნებთ აბისინიის ომის ყოველდღიურ მსვლელობას, დავინახავთ, როგორ ვი-წროვდება დუჩეში ის შუალედი და მისი ყოველი ღონისძიების კვალდა-კვალ როგორ იზრდება კაიროსი. ამ სივრცეს თავის ატომგულში შე-მოკლების ნაცვლად თუნდაც ერთი წამით უკან რომ დაეხია, ერთი ხე-ლის დაკვრით წაგებული აღმოჩნდებოდა აბისინიური ლაშქრობა, რო-მელიც ფარულად თვით მის მიერ იყო ინსპირირებულიც და წარმარ-თულიც.

ადოლფ ჰიტლერს ეს უნარი განსაკუთრებით უხვად აქვს მომად-ლებული. იგი შორეული სილრმეებიდანაა ხესავით ამოზრდილი, დე-დამიწის ცეცხლით გავარვარებული, ნაყოფიერ სინათლის სხივად გარ-დაქმნილი. ჯერ იყო ისტორიული კრება 1920 წლის 24 თებერვალს, ლუდსახარშის დარბაზში; წარმოდგენილ იქნა ჩამოყალიბების პროცეს-ში მყოფი მოვლენის მონახაზი, რომელშიც ადოლფ ჰიტლერმა, რო-გორც ფიურერმა, და სხვებმა როგორც მისმა თანამებრძოლებმა მსოფ-ლიო ისტორიული ამოცანის შესასრულებლად ერთმანეთი აღმოაჩი-

ნეს; შემდეგ, დაუნდობელი, განუწყვეტელი ბრძოლა ქვეყნის დამქუცმაცებლების წინააღმდეგ; შემდეგ, 1930 წელს მოგებული არჩევნები; შემდეგ, 1933 წელს ძალაუფლების ხელში აღება; შემდეგ, საყოველთაო ვალდებულების შემოღება, კენჭისყრა ზაარის მხარეში; გერმანიის ჯარების შესვლა ოკუპირებულ რაინის მხარეში; შემდეგ, ავსტრიის შემომტკიცება — ამ უმაგალითო ისტორიული ხვლის თითოეული ეტაპი კაიროსის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს.

ამ ნიჭის გამოვლენის ბრწყინვალე მაგალითად, რაც ფიურერს თავის სტიქიად ექცა, უეჭველად რჩება სუდეტების გათავისუფლება... ჯერ იყო 1939 წლის თებერვალში, შორეული წარსულიდან მომდინარე გამოძახილივით მკაცრი და მშვიდი გაფრთხილება ჩეხოსლოვაკიისადმი. შემდეგ აშკარა, დაუფარავი, კატეგორიული მიმართვა პარტიის ყრილობაზე ნიურნბერგში, რომელმაც სუნთქვა შეუკრა მსოფლიოს, შემდეგ ყრუ პაუზა, მოწინააღმდეგისათვის დასაფიქრებლად მიცემული, შემდეგ კი, 26 სექტემბერს, სპორტის სასახლეში წარმოთქმული ისტორიული სიტყვა.

საოცარია ეს სიტყვა, აქამდე არასოდეს ყოფილა მისი სიტყვა არქიტექტონიკურად ასე ოსტატურად და ძლიერად შეკრული. ეს იყო საბოლოო გადაწყვეტილებისათვის მზადყოფნის ნიშანი, ამავე დროს კი არასოდეს ყოფილა მისი სიტყვა ღრმააზროვანი პაუზებით ასე დატვირთული და დაძაბული — თითოეულ სიტყვაში იგრძნობოდა, რომ მას უნდოდა თავიდან აეცილებინა ომი. ჭექა-ქუხილი ჯერ არდაძრული, მაგრამ პირმოქუშული, უკვე იმუქრება და გამალებით იკრებს ძალას. ამ დროს ჩემბერლენის უეცარი გამგზავრება მიუნხენში და შეხვედრა ფიურერთან ბერხტესგადენში. მსოფლიომ შვებით ამოისუნთქა. შემდეგ ხანმოკლე პაუზა. ამასობაში ხელახლა მატულობს მღელვარება. ჩემბერლენის ხელმეორე გაფრენა და თათბირი გოდესბერგში. შემდეგ კვლავ პაუზა, კიდევ უფრო ხანმოკლე და კიდევ უფრო საშიში. საკმარისია ერთი მისხალი დაემატოს სასწორის პინას, რომ ჭექა-ქუხილი აიწყვეტს. კაცობრიობა გაქვავებულა ძრწოლასა და ლოცვაში. და მოულოდნელად ოთხი სახელმწიფო მოღვაწის თავყრილობა მიუნხენში: ჰიტლერი, მუსოლინი, ჩემბერლენი და დალადიე. მშვიდობა და მასთან ერთად მსოფლიოც გადარჩენილია. დროის ამ სუნთქვისშემკვრელი დრამატიზმით აღსავსე მონაკვეთში ჩანდა, რომ განუწყვეტლივ მოქმედებდა ფიურერის კაიროსის სხივი.

მე კი გადამწყვეტი მაინც სპორტის სასახლეში წარმოთქმული ის სიტყვა მგონია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფიურერის ყოველი სიტყვა მომწიფებული ქმედებაა; ასე იყო ამჯერადაც. ეს იყო სამართლიანობისათვის საბრძოლო მზადყოფნაც და ომის თავიდან აცილების სურვილიც. განა არ შეიძლებოდა ამას დაქსაქსულობა გამოეწვია? 99 შემთხვევაში კი, მაგრამ ფიურერის შემთხვევაში ამან სხვაგვარად იმოქმედა. აქ ცნაურდება მისი ერთი განსაკუთრებული თვისება. — იგი „გულის ადამიანია". ერთხელ ჰიუსტონ სტიუარტ ჩემბერლენმა აღნიშნა: „გამოჩენილი პიროვნებები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ, იმისდამიხედვით, მათში თავი გადასწონის, თუ გული. ჰიტლერს მე უყოყმანოდ გულის ადამიანებს მივაკუთვნებდი... ცენტრალური მამო-

ძრავებელი ორგანო, ქურა, სადაც სისხლი ალინთება, სადაც მისი აზრები იჭედება, გულია. სხვა პოლიტიკოსებისაგან იგი ამით განსხვავდება". დიახ, ჰიტლერი გულის ადამიანია, ოღონდ არა მოდუნებული გულისა: იგი ამავე დროს პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანიც გახლავთ. მის დასახასიათებლად ბჰაგავადგიტას სიტყვები უფრო გამოდგებოდა: „საკუთარ თავს რომ ჩავუკვირდეთ, წმინდა გულს ვპოულობ და წინ ათასობით, ათიათასობით ადამიანიც რომ გადამიდგეს, არ შევეპუები". ვინც შეძლო საბედისწერო გადაწყვეტილების მიღების წინ მოვალეობის სიმკაცრე და გულის სინაზე უფრო მაღალ ორგანოში, ანუ თავდადებული პასუხისმგებლობის ორგანოში ჰარმონიულად და გულითადად შეეუღლებინა, იმას სასწაულის მოხდენა ძალუძს. და ჰიტლერმა მოახდინა კიდეც ეს სასწაული: სამართლიანობისათვის მისმა ბრძოლამ ინგლისსა და საფრანგეთში გამოაღვიძა კეთილგონიერება და მიუნხენში დადებული მსოფლიო ისტორიული ხელშეკრულება ამიტომაცაა კურთხეული ნაყოფის დარი. ფიურერის კაიროსში ეს სრულიად განსაკუთრებული რამ გახლდათ.

მან ერთხელ უკვე სავსებით გასაგებად ჩამოაყალიბა დებულება: „სულიერი ტიპის, დიდი, მართლა მსოფლიოს მომცველი რევოლუციების მოფიქრება და განხორციელება მხოლოდ ერთეულების ტიტანური ბრძოლის შედეგია და არა კოალიციების ძალისხმევისა" („ჩემი ბრძოლა"). იგი ამჯერადაც ზემოხსენებული ბრძნული გამონათქვამის ერთგული დარჩა. გადამწყვეტი ქმედების ძალა ერთეულების ხელშია. „ყოველ კაცს უდგას გვერდით მრჩეველი, მაგრამ გადაწყვეტილებას ის ერთი კაცი იღებს", იმავე წიგნში ამბობს იგი და ეს ნათქვამი პირველ დებულებას სავსებით ესადაგება. მის გვერდითაც დგანან მრჩეველები, მისი ერთგული თანამებრძოლნი, მაგრამ გადაწყვეტილებას მარტო ის იღებს. „Allein". ამ სიტყვას ლექსიკონი ასე განმარტავს: „მარტო, ერთადერთი, მარტოდ-მარტო; მხოლოდ, ოღონდ." მაგრამ მე ვიცი, რომ ზოგჯერ სიტყვა ძირითადთან ერთად სხვა მნიშვნელობასაც შეიცავს. „All" კოსმოსს, სამყაროს ნიშნავს და ვინ იცის, იქნებ „Allein" კოსმოსთან გაერთიანებულს ნიშნავდეს? ვინაიდან: კოსმოსთან რომ გაერთიანდე, ყველას და ყოველივეს უნდა განერიდო. არც ერთი მისი თანამედროვე არ სმარობს ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობებს, როგორიცაა „მხოლოდ" და „ოღონდ" ისე ხშირად, როგორც ჰიტლერი. ვითომ უბრალო შემთხვევითობაა? ალბათ აქ ქვეცნობიერად მოქმედებს, რაც ზემოხსენებულ მინიშნებასთან ახლოს დგას. დიახ, იგი გადაწყვეტილების მიღებისას მარტოა, კოსმოსთანაა გაერთიანებული, ამ სიტყვის პირველი ნაწილი კი მისი ხალხის პირველმდგენსაც ნიშნავს. როგორც ჩანს, იგი გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ იღებს, როცა მარტოდმარტო დარჩენილი იმ პირველმდგენთან ამყარებს კონტაქტს. ეს არის ტაოს* მსგავსი დგომარეობა, რომლის ახსნასაც მიახლოებით მაინც შეძლებს რაინერ მარია რილკეს მთელ ლირიკულ სამყაროში ალბათ საუკეთესო სტრიქონები, ოღონდ იმ პირობით, თუ

*** ტაო (ჩინ) გზა; წვდომა, სრულყოფილი არსებობა, ჩინურ ფილოსოფიაში.**

ლმერთის ნაცვლად, რომელსაც ეს სტრიქონები ეძღვნება, მითიურ წინაპარს ჩავსვამდით:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

... მე მეგობრები ისე დამშორდნენ,
ოდნავლა მესმის სიცილი მათი;
შენ კი ბუდიდან გადმოვარდნილხარ
ყვითელბრჭყალება, საცოდავი, დიდთვალა ბარტყი.
ჩემი ხელები შენთვის ფართოა,
ჩემს ხელებში ხომ ჩაიკარგები.
ამიტომ ვილებ თითით წყაროს წყალს.
და მივაყურებ, იმ წვეთს როგორ დაეწაფები
და ვიგრძნობ უმალ, შიშით ორივეს
აგვიძგერდება მყისვე გულები.

პირველმდგენი

იდუმალებითაა მოცული ის რაღაც, რომელიც ნებისმიერი ხალხის თაურხატის სახით ვლინდება. ესაა პირველმდგენი, სიცოცხლის ჰქმნელი: ოღონდ არა მოდგმისა თუ ჯიშის შექმნის გაგებით. იგი ჩვენთაგანი არ არის, მაგრამ მაინც ყოველ ჩვენგანში ცოცხლობს. იგი ზებიოლოგიური ბუნებისაა და შინაგანი სულიერ-ხორციელი არსებობის შუაგულიდან მომდინარეობს. ეს ზესთაპიროვნული ინდივიდუალურობაა, მაგრამ მითიურ ადამიანს იგი კონკრეტული პიროვნების სახით შეიძლება გამოეცხადოს.

ქართველები ჩვენი ხალხის პირველმდგენს სახელსაც კი ვარქმევთ, კარდჰუს, ბერძნულ ყაიდაზე — ქართლოსს. მცხეთაში, თბილისის მახლობლად, სადაც ოდესღაც მზეს განდობილნი საკულტო სალოცავებს აგებდნენ, რათა მედიტაციისას გამოეყენებინათ ამ ადგილის უჩვეულო გამოსხივება, იქ, სადაც მეოთხე საუკუნის დამდეგს წმინდა ქალწულმა ნინომ ვაზის ნასხლევისგან საკუთარი თმით შეკრული ჯვრით გვაზიარა ქრისტიანობას, გადმოცემის თანახმად გვეგულებოდა კარდჰუს წმინდა საფლავი. ყოველ წელს იმართებოდა მისი დატირება, ოღონდ ამაში ალბათ არ იგულისხმებოდა პირველმდგენის ჭეშმარიტი სიკვდილი. მაშ რა იგულისხმებოდა? იმ ხალხის ცნობიერებაში, რომელშიც აუხსნელი მიზეზების გამო პირველმდგენის ძალებს კარგახანია ჭკნობა შეეპარვოდა, ფესვებს მწარე შიში ღრღნიდა, რომ თვით პირველმდგენი იყო დასაშრეტად განწირული, რადგან ძნელი წარმოსადგენია პირველმდგენი, როგორც ღვთაებრივი შესაქმეს თაურხატი, უკვალოდ გამქრალიყო. მაგალითად, ლანგებარდები, როგორც ხალხი, დიდი ხანია გადაშენებულია, მაგრამ ხმელთაშუა ზღვის ნაპირას მაინც გადაეყრებით ხოლმე ვინმეს, ვის სახეშიც რასიულად შეიცნობა მისი ლანგებარდული წარმომავლობა. ამრიგად, კარდჰუს იმიტომ დასტიროდნენ, რომ ქვეშეცნეულად გრძნობდნენ: პირველმდგენის გარეშე სალხს ხალხი აღარ ჰქვია. ეს შეიძლება იყოს ადამიანების ჯგრო, მაგრამ მას არ ექნება არსი. მე ვიცი, კავკასიაში ბინადრობს ერთი ხალხის ნაშთი, სახელად უდები, რომელთაგან სამი-ოთხი სოფელიღაა შემორჩე-

ნილი. ერთი შეხედვით ისინი სხვა ხალხებივით, ჩვეულებრივად ცხოვრობენ, მაგრამ კარგად თუ ჩავუკვირდებით, მივხვდებით, რომ მათი სათუთი მყუდროება მეტაფიზიკური სიკვდილის მოახლოების მაუწყებელია. ყველა ნიშანი მოწმობს, რომ იდუმალებით მოცული მიხეხების გამო მათ თაურხატს ნამდვილობა აქვს დაკარგული.

ნათელმხილველური ნიჭით დაჯილდოებული ბენჯამინ ფონ ვარი ჭვრეტს ადამიანის სახეში მის რასიულ ხატს. ერთმა უცნობმა ოსტატმა უტა ფონ რაუმბურგის პორტრეტში სრულყოფილი პლასტიურობით გამოსახა გერმანული ტომების ნაშიერი პირველქმნილი ქალი. გრაფინია უტას სახეში ცოცხლად არის განსხეულებული ჩრდილოელი ევას თაურხატი, ოღონდ იგი ცოდვით დაცემით არ არის დამძიმებული. ისეთი შეგრძნება გეუფლებათ, თითქოს ეს მზესთან მთელი არსებით წილნაყარი ქალი თავის წიაღში ფარული შინაგანი მგზნებარეებით თვით მზის ნაყოფს დაატარებდეს. შეუდარებელია მის მშვენიერ ყელთან მომდგარ მოსასხამზე გამოსახული უბიწო ნაოჭი: გზნების ამოსაცნობი ნიშანი, ოღონდ ისეთი გზნებისა, რომელიც მარად წმინდა რჩება და არასოდეს გახდება ბიწიერი". იგი შორეთში ჩაკარგულივით ნანაობს ჩვენს თვალწინ და თან ისე ახლოსაა, რომ გიჩნდება შთაბეჭდილება: იგი რომელიმე შუასაუკუნებრივი ქალაქის ნებისმიერ კუთხეში შეიძლება შემოგეფეთოს.

ყოველი ცალკეული ადამიანი როგორღაც თავისი ხალხის თაურხატთან შემაკრთობელი იდუმალებითაა დაკავშირებული. ყოველი გენიოსი ქვეცნობიერად კიდევ უფრო მეტად ინარჩუნებს თავისი რასის პირველმდგენთან ფარულ კონტაქტს და მისი გამოვლენის ფორმა იმ პირველმდგენითაა დაღდასმული. ამ კონტაქტის გარეშე წარმოუდგენელია შემოქმედებითი აქტი. ისტორია ამ წესის თითქმის ვერცერთ გამონაკლისს ვერ დაგვიდასტურებს.

მაშინ ამერიკასა და ამერიკანიზმზე რაღა უნდა ვთქვათ? შემაცბუნებელი კითხვაა, რომელიც თითქოს მთელ ამ კონცეფციას აცამტვერებს. ამერიკა მე მართლაც ახალ სამყაროდ მესახება, რომელსაც პირველმდგენის ძალების ზემოთ მოყვანილი მიმოხილვა ერთი შეხედვით თითქოს არ ესადაგება. ამ დროს გვახსენდება ამერიკის მთელი კულტურული ცხოვრების ატომიზირება, ყოფიერების შეუკავშირებლობა და ინდივიდუალიზმის ბატონობა. ყველაფერ ამას აკლია ერთიანი თაურხატი, ვინაიდან იგი დასაბამიდან მომდინარეობს. ჩვენ აქ ვაწყდებით ისეთ განვითარებას, რომელსაც შეეძლო ხალხადქცევის პროცესამდე ახლებურად მივეყვანეთ. აქ შეძლებისდაგვარად შემდეგი მოსაზრება შეიძლება გამოიკვეთოს. ის, რაც მითიური ადამიანისათვის პირველმდგენია, ამერიკელს სამყაროს ფიზიკურ უწყვეტობად ევლინება. ცხოვრების ტექნიზაციას შეეძლო სიცოცხლის წარმოშობის სხვა ხედვამდეც მივეყვანეთ. მაგალითად, ატლანტის ოკეანის თავზე მყოფმა მფრინავმა შეიძლება უსასრულო სამყაროში ერთი წამით მზის მოლეკულად იგრძნოს თავი. მაშინ ამ შეგრძნებაში პირველმდგენი გამოვლინდებოდა. თუკი ვინმეს წილად ერგება ბედნიერება ამდაგვარად შეიმეცნოს თავისი თვითობა, მაშინ იგი, როგორც მისტიკოსი, უფრო დიდი და ღრმა იქნება, ვიდრე სხვა ვინმე, კაკლის ჩეროში წამოწოლი-

ლი წყნარ მედიტაციას რომ მისცემია და ნირვანის მეშვეობით შედის უსასრულობაში. მართალია, ეს ცდა უსაშველოდ ძნელია, მაგრამ სამაგიეროდ რა წყალობასა და ბედნიერებას ეზიარებოდა მისი მაძიებელი! ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. პირველმდგენსა და ცალკეულ პიროვნებას შორის გამუდმებით მოქმედებს დრამატიზმით აღსავსე დაძაბულობა. ნებისმიერი პოეტი, ვინც კი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის დანიშნულებას, ამას თავის შემოქმედებით შრომაში ნათლად გრძნობს. იგი ცდილობს შექმნას რაღაც ახალი, ანუ სიტყვებისა და ხატების სამყაროში ხელახლა წამოიწყოს საქმე, მაგრამ თუ წამოწყება პირველსაწყისის ერთგული არ იქნა, მაშინ შემოქმედებაში თვითნებობა აღზევდება, რამაც შეიძლება მანერულობა შვას, თორემ ჭეშმარიტი სტილის შექმნა გაუჭირდება. გოეთეს კლაისტი არ სწამდა, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ თვითონ „ოლიმპიელად" იყო დაბადებული. იგი თავის თავში გრძნობდა კლაისტს, რომელიც უნდა დაეძლია. არაფრის არ ეშინოდა ისე, როგორც თვითნებობისა. კლაისტის შემთხვევაში თვითნებობა, მისი აზრით, გრძნობათა აღრევაში ვლინდებოდა, რასაც თვითონ გამუდმებით უნდა გამკლავებოდა. ასე ამაღლდა იგი საკუთარ თავზე, რათა საწყისთან კონფლიქტი არ მოსვლოდა.

მზეგრძელი იყოს ის, ვისაც ხელეწიფება ჰარმონიაში ამყოფოს საწყისსა და პირველსაწყისს შორის არსებული იდუმალი ცეზურა. ვაი მას, ვინც ეს ვერ შეძლო: იგი საბოლოოდ არარად გადაიქცევა.

მაგრამ ვინ გადაურჩება პირველმდგენთან შინაგან ბრძოლას, ისე რომ განადგურების საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდეს? ო, ადამიანის ყოფიერების საიდუმლოვ — ასეთებიც არსებობენ: ისინი ან სამყაროს უარმყოფელები არიან — იგულისხმებიან ასკეტები — ან სამყაროს დამაქცევლები.

აქ მივადექი ადოლფ ჰიტლერის ფენომენის ცენტრალურ პუნქტს. ფრანგი მწერალი ალფონს დე შატობრიანი თავის წიგნში ახალ გერმანიაზე ჰიტლერს „L'e home nouveau"-ს უწოდებს. დიახ, ჰიტლერი მართლაც ახალი ადამიანია, უფრო ზუსტად: ადამიანის ახალი ხატი. მის სტიქიაში მარად სასიკეთო ინტერფერენციის სახით შემოქმედებითად იძვრის ცალკეულ ადამიანსა და პირველმდგენს შორის დაძაბულობის შემქმნელი ცეზურა.

ცოტა რამ რასიულობაზე

ყოველ დიდ შემოქმედს თავისი მსოფლხატი შემოაქვს — სიტყვაში, ნახატში თუ საქმეში გამოვლენილი. ადოლფ ჰიტლერის მსოფლხატი ასეთია: ხალხის მთლიანობა მისი რასითაა განპირობებული. ადრეული კულტურებისათვის, რომლებსაც უცდიათ ყოფიერებაში შეენარჩუნებინათ საკრალურობა, ცნობილი იყო ეს იდეა. ჩვენში, საქართველოში, ეს იდეა ენაშიც კი ცნაურდება, ქართველს ვინმეს შეურაცხყოფა თუ უნდა, „შე უჯიშო",* ეტყვის, რაიც „რასის არმქონეს" ნიშნავს, ხოლო უძლიერესი ქართული წყევლა ასეთია: „შენი ჯიში ამოვარდაო".*

*** ეს სიტყვები ტექსტში ლათინური შრიფტით ქართულადაა ჩართული (მთარგმნ.).**

ჩვენს საუკუნეში რასიული სიწმინდის პირველცოდნა უკვალოდაა გამქრალი. ვინმე თუ შეეცდება იკვლიოს რასის შემადგენელი კომპონენტები, ყოველი მხრიდან შემოუძახებენ: იგი თავს ნებას აძლევს ადამიანსაც ისეთი კრიტერიუმები მიუყენოს, რითაც ძაღლის ან ცხენის წმინდასისხლიანობის ხარისხს ადგენენ ხოლმეო. ცხადია, ადამიანი არც ძაღლია და არც ცხენი. იგი გონიც არის და როგორც გონიერი არსება ქმნის პროცესშია ჩართული: იგი იქმნება, „ქმნა" კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუკი ადამიანი ყოფიერების ერთ-ერთი მცნების მიხედვით ყალიბდება: „იქმენ ის, რაც ხარ".

ვითარცა იმ დღეს, შენ ამქვეყნად რომ მოგავლინა,
იმ დღეს პლანეტებს მზე უძღვნიდა გულითად სალამს,
მას შემდეგ კვლავაც იფურჩქნება, როგორც წესია,
რომელმაც შენი დაბადება განაპირობა.
სხვა გზა არა გაქვს, საკუთარ თავს ვერ გაექცევი,
ეს უკვე უთქვამთ სიბილებს* და წინასწარმეტყველთ,
ხოლო იმ ფორმას, რომ ცოცხლობს და რომ ვითარდება,
ვერც დრო შემუსრავს და ვერც ძალა გაანადგურებს.

ამას აცხადებს გოეთე, ჩემი აზრით, უკანასკნელი საუკუნეების უდიდესი განდობილთაგანი. „საკუთარ თავს ვერ გაექცევი" — ეს გამონათქვამი გოეთეს სხვა მცნებას: „მოკვდი და იქმენ" არ ეწინააღმდეგება. ადამიანი ერთდროულად მონაცემიც არის და ამოცანაც, იგი ღვთიური მონახაზია, რომელიც თანდათან ყალიბდება. როგორც „მონაცემი" იგი გარკვეული თვისებებითაა აღჭურვილი. სახიერად ღმერთის კანონის მიხედვით არის შექმნილი, ხოლო როგორც „ამოცანა", იგი თავის თავს განახორციელებს, ანუ საკუთარ თავს თვითონვე აყალიბებს. ეს გოეთეზე უკეთ დასავლეთში არავინ უწყოდა. „ხოლო ის ფორმა, რომ ცოცხლობს და რომ ვითარდება", ყოფიერების ის მთლიანობაა, ადამიანის პიროვნებად ქცევას რომ განაპირობებს.

ასეთივე მთლიანობად სხვა წარმონაქმნთა შორის შეიძლებოდა რასაც მიგვეჩნია და ვინაიდან ქმნადობის სამყაროში მთელი ადამიანია ჩართული, ამიტომ რასის იდეაში სისხლთან ერთად გონიც მონაწილეობს. ბარონი იულიუს ევოლა თავის მნიშვნელოვან, მაგრამ სხვათა შორის, შეუმზადებელი მკითხველისათვის საშიშ წიგნში ამბობს, კულტურები და რასები „სისხლის გავლით" კი არა, „სისხლის გაყოლებით" უნდა შევისწავლოთო. მარჯვედ მიგნებული, ზუსტი ნათქვამია.

ზედმიწევნით დამახასიათებელია ერთი რამ: ვერც ერთი ცხენის მცოდნე ისე დაწვრილებით ვერ აგიწერთ ინგლისურ დოღის ცხენს, როგორც ევროპელი მწერალი აღწერს ხოლმე თავისი გმირის გარეგნულ ნიშნებს, მაგრამ ნებისმიერი მათგანი რასიული თეორიის მიმდევრად რომ ჩაგეთვალათ, უეჭველად აღშფოთდებოდა.

ამ საკითხს სერიოზული მიდგომა სჭირდება. ფლობერმა თქვა ერთხელ: მისტიკოსი გავხდებოდი, ლათინი რომ არ ვყოფილიყავიო. დოს-

ტოევსკი რუსეთის გარეშე წარმოუდგენელია და ორივენი, როგორც მოაზროვნეები, უნივერსალურნი არიან. ეს სამყაროს მრავალფეროვნებით აიხსნება. ღმერთის ბუნება ასეთია: ღმერთი ერთსახოვანიც არის და ორსახოვანიც. გერმანული ენა ცდილობს ეს ერთ სიტყვაში ხელშესახებად აგვიხსნას: მაგალითად, „Zweig" არის ერთისგან მეორის სახით იშვა: Zwei ორს, ხოლო Zweig ტოტს, ანუ ტოტს ნიშნავს.

როგორ წარმოიშობა ერთიდან მრავალი, ეს ჯერ კიდევ შეუცნობელია, მაგრამ ასე თუ ისე გასაგები გახლავთ. დიდი მოაზროვნე პლოტინი როცა კი ამ საიდუმლოს შეეჩეხებოდა, გადმოცემის თანახმად, ლოცვად დგებოდა ხოლმე. იგი მშვენივრად ხვდებოდა, რასთანაც ჰქონდა საქმე. ამბის სახით კი იგი ყოველწამს გვეძლევა. ბერძენი ქალი პირმშოს ცეცხლზე აწრთობს, რათა იგი მოუწყვლადი გახადოს. ეს ჩვილი აქილევსია. ის ადგილი, სადაც იგი დედას თითებით ეჭირა, ანუ ქუსლი, დაუცველი დარჩა. მიწიერსა და ღვთიურს შორის ჯერ კიდევ არსებობს დაძაბულობა. გერმანთა გმირი ზიგფრიდი დრაკონის სისხლში განიბანება და მოუწყვლადი ხდება, ოღონდ ბანაობისას ზიგფრიდს ფოთოლი დაეცემა და სწორედ იმ ადგილზე მიაყენებენ სასიკვდილო ჭრილობას. ამბავი ვითომ სხვადასხვაა, მაგრამ ფაბულა ერთნაირია.

დიახ, ყოფიერება დასაბამიდან ერთია, მაგრამ იგი მრავალფეროვნად ვითარდება. ერთი მარცხნიდან მარჯვნივ წერს, მეორე — მარჯვნიდან მარცხნივ, მესამე ზემოდან ქვემოთ, იაპონელი ჰარაკირის იკეთებს, ეგვიპტელი მუმიფიცირებას ამჯობინებს. ერთი სიტყვით, მრავალფეროვნება ყველაფერში მეფლავნდება.

ისაა სწორედ მარადი ერთი,
მრავალი სახით რომ გვევლინება.

გოეთე

სასარგებლო იქნებოდა დავკვირვებოდით, ზოგიერთი მწერლის უცხო, უკვე წაშლილი წარმომავლობა თავისი სისხლით როგორ მსჭვალავს და აჯერებს, უფრო მეტიც, მისი შემოქმედების რიტმულ სვლებსა და შუქ-ჩრდილებს როგორ კვებავს. ამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ პუშკინი და პრუსტი. თუ ეს ასეა, მაშინ გასაოცარიც აღარ არის, ადრეულ კულტურებში რასა განმსაზღვრელ ელემენტად რომ ითვლებოდა.

ახალ ეპოქაში იგი ლამის არასერიოზულ „თეორიად" იქცა. ადოლფ ჰიტლერმა ხელახლა შთაბერა რასას ძალა, რათა გერმანელების ხალხად ქცევა დაეჩქარებინა. ამიტომაც გახდა იგი დედამიწის ძალების გამომაფხიზლებელი.

საიდუმლო კანონი

ყოველი დროის განდობილებმა უწყოდნენ სისხლის, „ამ სრულიად განსაკუთრებული სითხის" საიდუმლო. თუკი რიტუალური მსხვერპლშეწირვის მეოხებით ვინმეს წილად ხვდომია აემოქმედებინა პირველღვთიური ენერგიები, მაშინ იგი იმ იშვიათ თვისებას შეიძენდა, კოს-

მიურში წვდომის უნარს რომ ეძახიან. ასე მოგვითხრობს გადმოცემა. ეს თვისება ეთერული ტიპის სუბტილური ნივთიერების მეოხებით, მომდევნო თაობებზე მემკვიდრეობით გადადის და გონის გამოცდილებას თავის თავში ნაკვალევის სახით ინახავს. „გადადის რა ტრანსცენდენტური მემკვიდრეობის გზით, იგი (თვისება) რასის საკუთრებად ხდება, რომელსაც ინიციაციის რიტუალი თანდათანობით, სათითაოდ გამოაცოცხლებს და კვლავ ქმედითად აქცევს". (ევოლა).

აქ დასაბუთებულია როგორც უძველესი არისტოკრატიის ფენომენი, ასევე სისხლის გამოყენების არსიც.

აქ ნათლად ჩანს, რომ სისხლი და გონი ურთიერთზემოქმედებას განიცდიან. გონი ჩამოყალიბებისთვის სისხლში დაეძებს ყლორტის გამომლებ პლაზმას, სისხლი კი გონს, როგორც შემოქმედებით აღმაფრენას, ისე ნატრულობს.

ახლა კი წარმოვიდგინოთ, რომ ეს აღმაფრენა კეთილშობილთა კასტამ უგულვებელჰყოს. რა მოხდებოდა მაშინ? რა და, არისტოკრატია თანდათან გადაგვარების უტყუარ ნიშნებს გამოავლენდა. ინდოეთში ქადაგებდნენ, მსხვერპლშეწირვაში სიცრუე თუ გაერია, მაშინ მას ძალა დაეკარგებაო. ბოლოსდაბოლოს ეს იმას ნიშნავს, რომ თვით მსხვერპლის შემწირველი აღმოჩნდება საფრთხეში. ირანულ ზეპირსიტყვიერებაში ეს აზრი სატოვნადაა გადმოცემული: როცა ლეგენდარულმა მზის ხელმწიფემ, ჯიმამ, ტყუილების თქმა დაიწყო, იმწამსვე ჩამოშორდა შარავანდედი, „ჰვარენო", ღვთაებრივი თვითობის მისტიკური სხივი. გვახსენდება, ტახტის ერთ მემკვიდრეს ნელ-ნელა როგორ უქრება თვალებში სხივი. მას შესისხლხორცებული არა აქვს ხელმწიფობის საკრალური მისია და გადაგვარებისაკენ თვალდათვალ ამიტომაც მიემართება. აი, ასეთი გახლავთ გონი, მაგრამ მეორე მხრივ, თუკი სისხლის საიდუმლო აღმოჩნდება პატივაყრილი? მაშინ გონიც ზუსტად ისევე იქნება განწირული გადაგვარებისათვის.

ეს კანონი ისევე ვრცელდება ცალკეულ ადამიანებზე, როგორც რასებზე, ხალხებზე, კულტურებსა და ენებზე.

დედამიწის ძალები

თანამედროვე მსოფლიო სწორედ იმიტომ იტანჯება, რომ ამ კანონს თავისას ჯეროვნად აღარ მიუზღავს. რა არის თუნდაც ქრისტიანობის კრიზისის მიზეზი, თუ არა დედამიწის ძალების უგულებელყოფა? ქრისტეს ფენომენი არის ანტიკური მცდელობა იქცე ღმერთის ძის ნაწილად. ეს ხდება შემოქმედებითი რწმენის, ანუ ადამიანის მთელი არსების ღვთაებრივი აღმაფრენის შედეგად, მაშინ როცა ღვთის წყალობა უკუდინების სახით მისკენ მიემართება. ამ აღმაფრენის მისაღწევად აუცილებელია ადამიანი დედამიწის ძალებით იყოს ნასაზრდოები, თორემ უამისოდ რწმენა მხოლოდ ფუტურო სარწმუნოებად გადაიქცევა. აქ მართებული იქნება თავად გიორგის, გრაალის მცველის სიტყვები მოვიშველიოთ: „რწმენა სარწმუნოებაზე აღმატებული რამ არის. ნივთს თუ შევიმეცნებ, იგი ჩემთვის ჯერ კიდევ საგნად რჩება. თუ რაიმე ვიწამე, მაშინ იგი მე აღარ მიპირისპირდება. შეყვარებულისათვის

საკრფო მისი საპირისპირო რამ არ არის: იგი მისთვს ის განუმეორებელი სახეა, რომელშიც იგი საკუთარ თავს პოულობს. სამყარო უძლურია ნივთიერად აღიქვას შეყვარებულთა შორის თავისთავად აღმოცენებული სინამდვილე, მაგრამ იგი მაინც არსებობს და მოქმედებს. სხვისთვის იგი არ არსებობს, მაგრამ თვითობის შიგნიდან ახსნილი, იგი უნამდვილესი სინამდვილე გახლავთ. სიყვარული რომ ქრება, შეყვარებულებს შორის სიცარიელე ისადგურებს: ახლა ისინი შემაშფოთებლად გაუცხოებულნი, საგნებივით დგანან ერთმანეთის პირისპირ. მორწმუნეც ასევე იქმნის თავის საკუთარ სინამდვილეს". და კიდევ: „ღმერთი რაიმეს წარმოიდგენს თუ არა, მაშინვე ჩნდება რაღაც. ქმნადობის ეს ძალაა რწმენის საიდუმლო. აქ მხოლოდ სარწმუნოება ვერას გიშველის... თანამედროვე კაცობრიობა მხოლოდ ამ რწმენის ქმედითი ძალის ნაკლებობით იტანჯება. იგი სახარებაში აღწერილ იმ კაცს ჰგავს, ოდესღაც მაცხოვარს რომ შელაღადა: „მრწამს უფალო, შემეწიე ურწმუნოებასა ჩემსა". და კიდევ: „ჩვენ მაშინ ვკარგავთ რწმენას, როცა დედამიწას, მარადიულ დედას წავბილწავთ, რამეთუ ქმნის ძალას მხოლოდდამხოლოდ ის გვანიჭებს... ჩვენ საუკუნეების მანძილზე ან პატივს არ მივაგებდით ან ვებრძოდით მიწას. უკეთეს შემთხვევაში ვიტანდით მას. ჩვენ დაუფიქრებლად, მკრეხელურად ვბილწავთ magna mater*-ს და აი, ვიგემეთ კიდეც მწარე ნაყოფი — ღმერთის ძეობისათვის ჩლუნგები და უვარგისნი აღმოვჩნდით... სიტყვა ხორცად იქცა — ეს საიდუმლო იგავადღა შემოგვრჩენია. აქ დედამიწა ხომ ლოგოსის საშოდ არის მიჩნეული! დედამიწის საშო თუ უბრალო მატერიად აღვიქვით, მაშინ მყისვე გაქრება ადამიანში ლოგოსის ძალები. გონი დაკარგავს ყლორტის გამომღებ სიმკვრივეს. იგი, ასე ვთქვათ, ფუყე და გადაგვარებულ რაციოდ გადაიქცევა, რომელიც უძლურია წარმოშვას რწმენის აქტი".

„დედამიწაში" აქ მოიაზრება თავის თავში ჩაკეტილი სიცოცხლის ერთეულები: რასა, ხალხი, სისხლი, მიწა. დედამიწა გონის კოსმიური პლაზმა. ჩვენს თავში ამ პლაზმის ზრდას ხელი თუ არ შევუწყვეთ, მაშინ გონი თანდათან რაციონალიზირდება, ხოლო რაციოს თვალით დანახული ქრისტეს ამბავი უბრალო მონაჩმახი იქნება და სხვა არაფერი. როცა ლოგოსი ლოგიკად გადაიქცევა, მაშინ რწმენის გარდამქმნელი ძალის საქმე წასულია.

ადოლფ ჰიტლერის მსოფლხედვის შინაგან მიმართებას ქრისტიანულთან — თავისთავად უზარმაზარ პრობლემას — ცხადია, აქ ვერც შევეხებით და ვერც განვიხილავთ. ერთი რამ კი შეიძლება ახლავე ვთქვათ: დედამიწის ძალების გამოღვიძებას შეიძლებოდა ქრისტიანობის განახლებისათვის ოდესმე დიდი სამსახური გაეწია. ამაში ეჭვის შეტანა კი ნამდვილად შეუძლებელი გახლავთ.

ქმედების ნიჭი

ასე დგას ადოლფ ჰიტლერი ქმნადობის სამყაროში — კონკრეტულ შემთხვევაში გერმანელების ხალხადქცევის პროცესში — როგორც დე-

* ბერძნულ მითოლოგიაში წინასწარმეტყველი ძალები (მთარგმ.)

დამიწის ძალების გამღვიძებელი. ამ საქმეში იგი ქმედების ისტორიული ნიჭითაა გამორჩეული. ერთ მაგალითს მოვიყვან.

აქა-იქ გაიგონებთ, ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“ სელისშემშლელი ფაქტორია საფრანგეთთან ურთიერთობის მოგვარების საქმეში. რამდენიმე წლის წინ, პირისპირ საუბარში ფრანგმა მწერალმა ბერნარ დე ჟუვენელმა ფიურერს მიმართა: „მართალია, ფრანგები სიხარულით ვისმენთ თქვენს სამშვიდობო განცხადებებს, მაგრამ სამაგიეროდ სხვა, ნაკლებ გამამხნევებელი ამბებით შეშფოთებულნი ვართ. მაგალითად, თქვენს წიგნში „ჩემი ბრძოლა“ საფრანგეთზე ბევრი ცუდი რამ გაქვთ ნათქვამი. ეს წიგნი კი გერმანიაში ერთგვარ პოლიტიკურ ბიბლიად არის ქცეული. იგი იყიდება ისე, რომ არცერთი მომდევნო გამოცემის იმ ნაწილში, რომელიც საფრანგეთს ეხება, არავითარი შესწორება არ არის შეტანილი“.

ფიურერმა პასუხად ბრძანა: „ამ წიგნს რომ ვწერდი, მაშინ ციხეში ვიჯექი. ეს ის დრო იყო, როცა საფრანგეთის ჯარებმა რურის ოლქი დაიკავეს. ეს გახლდათ ჩვენს ქვეყნებს შორის დიდი დაძაბულობის პერიოდი. დიახ, ჩვენ მტრები ვიყავით და მე, როგორც წესი და რიგია, ჩემი ქვეყნის მხარე მეჭირა, ისევე როგორც ორნახევარი წლის განმავლობაში ჩემი ქვეყნის დასაცავად სანგრებში ვიდექი და თქვენს წინააღმდეგ ვიბრძოდი. საკუთარი თავი შემძულდებოდა, კონფლიქტის დროს გერმანელად რომ არ მეგრძნო თავი, მაგრამ დღეს კონფლიქტის მიზეზი აღარ არსებობს. თქვენ გნებავთ ჩემი წიგნი მწერალივით ვასწორო, თავისი წიგნის გადამუშავებულ ვარიანტს რომ გამოსცემს ხოლმე, მაგრამ მე მწერალი არ გახლავართ: მე პოლიტიკოსი ვარ. შესწორებები მე ჩემს საგარეო პოლიტიკაში შემაქვს, რომელიც დღეს ჩვენს ურთიერთგაგებაზეა დამყარებული. თუ გერმანია-საფრანგეთის დაახლოება გამოვა, მაშინ ეს ღირსეული შესწორება იქნება. შესწორება მე ისტორიის დიდ წიგნში შემაქვს.“

ჟამიდან ჟამზე უცხოელებისაგან ამ პასუხის შეფასება მომისმენია: მარჯვე პასუხიაო, ამბობენ და ალბათ, საფრანგეთშიც ასე შეაფასეს იგი. ვითომ მხოლოდ მარჯვე? ის ქვეყანა, სადაც სენ ლუი, ჟანა დ არკი, ბლეზ პასკალი, მართალია, სხვა თანმიმდევრობით დალაგებულნი, მაგრამ მაინც როგორც მარად ნაყოფიერი ძალები, ხალხის შემოქმედებით უჯრედებს ასხივოსნებენ, ანუ ის იდუმალი საფრანგეთი, ფიურერის ერთჯერად გამონათქვამს სხვაგვარად გაიგებდა: ასე ის ადამიანი ლაპარაკობს, რომელიც ისტორიას კი არ წერს, ისტორიას ქმნის.

ცეცხლოვანი სასმელი

ერთი ქართული ნაწარმოები მოგვითხრობს: მე-18 საუკუნის დასასრულს, მონებად გასაყიდად სამეგრელოდან ორი ბიჭუნა გაიტაცეს. საქართველოს ამ კუთხეში ეს საზიზღარი ვაჭრობა ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი. ისინი ერთხანს ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ შემდეგ ერთმანეთს დააშორეს და აი, 1798 წელს, ეგვიპტეში ნაპოლეონის

---

* ლათ. დიდი დედა (მთარგმნ.)

ლაშქრობისას ერთი მათგანი დიდი მხედართმთავრის არმიაში აღმოჩნდა, მეორე კი ლომგული მამლუქების ბანაკში. პირამიდებთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ერთი მათგანი ბრძოლის ველზე ეცემა. სასიკვდილოდ დაკოდილს ერთი სიტყვა აღმოხდება: „ნენა“, დედის საალერსო სახელი, ერთადერთი სიტყვა მშობლიური ენისა, რომელიც დაწნეხილი სულის სიღრმეში ჰქონდა შემორჩენილი. როგორც დაუნაწევრებული ბგერებისაგან შემდგარი გმინვა, ისე განიბნა მისი ხმა კოსმიურ სივრცეში. განა ვინმეს შეეძლო გონმიხდილის ხმა გაეგონა? მაგრამ არის ერთი კაცი, ვინც ამ ხმას გაიგონებს: მისი ოდინდელი მეგობარი. მის გულშიც მშობლიური ენის ეს სიტყვაა შემორჩენილი. თავზარდაცემულს ესმის სულთმობრძავის ხრიალი. ტკივილი უორმაგდება, როცა მიხვდება, რომ მისი ბედის მოზიარე ხელჩართულ ბრძოლაში საკუთარი ხმლით განუგმირავს. მაშინ კი სასოწარკვეთილი ყვირილი აღმოხდება და მის ყვირილში წუთისოფელთან გამოთხოვების გმინვა თვით წუთისოფლის წყევლა-კრულვად გადაიქცევა.

ვისაც ეს ყვირილი ძარღვს არ შეუტოკებს, იგი სიტყვა „სამშობლოს“, ფიურერის მიერ წარმოთქმულს, ვერასოდეს გაიგებს. ადოლფ ჰიტლერმა ამ საკვირველ სიტყვას ჭეშმარიტად დაუბრუნა თავისი პირვანდელი აზრი. სამშობლო — აი, რა არის მისი ცეცხლოვანი სასმელი.

იგი მკაფიოდ გამოკვეთს სამშობლოს ცნებას და მისი მეოხებით თვითონაც ვითარდება. ისევე როგორც მისი სახე ირეკლება ხოლმე მასთან მოსაუბრის სახეში, ასევე ხელშესახებად ცნაურდება გერმანიის მზის წნულში მისი არსი. ამბად ყვებიან: ერთი ახალგაზრდა კაცი მეგობარს საჩუქარს უძღვნის, მეგობარს თავის მხრივ სამაგიერო საჩუქარი აქვს მომზადებული. ორივე ერთდროულად ხსნის პაკეტს და გაოცებულნი ხედავენ: ერთმანეთისთვის ფიურერის პორტრეტები მიუძღვნიათ. კიდევ ერთი სიურპრიზი ისაა, რომმ სურათებზე ორივეს წაუწერია: „ფიურერისადმი ერთგულების ნიშნად“. სხვა ამბავსაც ყვებიან: ერთ მოხუც მანდილოსანს საგანგებოდ გამოუკითხავს რა ჯიშის ვარდი ჰყვავის აპრილში. იმ ჯიშის ვარდი თავის ბაღში დაურგავს და ყოველი წლის 20 აპრილს, ფიურერის დაბადების დღეს, მოწიწებით თავდახრილი, მლოცველივით დგას მის წინაშე. გამიგონია: ერთი ყმაწვილი გოგონებს გაუბრაზებიათ, მასაც ერთ-ერთის ცემა დაუპირებია, მაგრამ უეცრად მიმხვდარა, რომ ეს სწორედ ის გოგონაა, ერთხელ ფიურერმა რომ გადაუსვა ქერა თავზე ხელი და თვალის დახამხამებაში გახსენებია, ხელის გადასმისთანავე იმ გოგონას შარავანდედივით რომ დასდგომოდა ნათელი და მარჯვენა მოსდუნებია. კიდევ ერთ ამბავს გავიხსენებ. ერთი ქალი აგვიწერს ჰიტლერთან შეხვედრის ამბავს: თავიდან მხოლოდ ვუყურებდი ფიურერს, მაგრამ როგორც კი ლაპარაკი დაიწყო და ხელები აამოძრავა, იგი საოცრებად გადაიქცაო. ეს სიტყვები ბავშვური გენიალობის ნიმუში გახლავთ! (გეორგ შოტი: „სახალხო წიგნი ჰიტლერზე“.) ერთი ახალგაზრდა კაცისთვის უკითხავთ, როგორ ეზიარე ნაციონალურ სოციალიზმსო. მას მოკლე პასუხი გაუცია: ფიურერის დანახვისთანავე გამიჩნდა გრძნობა, იგი ჩვეულებრივი ადამიანზე აღმატებული რომ იყოო. კიდევ ერთი პატარა ამბავი: ერთი

უცხოელი ბერლინიდან იენაში მიემგზავრება, მასთან ერთად კუპეში ერთი ქალი და მისი ხუთი-ექვსი წლის გოგონა ზის. გაიბმება უბრალო საუბარი. ქალი შეამჩნევს, რომ მისი თანამგზავრი დამწუხრებულია და ეკითხება, რა შეგემთხვათო. იგიც უყვება, ახლახან, თბილისში, როგორ დახვრიტეს მისი მეგობრები, მისი სამშობლოს მოყვარეები, რომლებიც მისთვის ძმებზე მეტი იყვნენ. შეწუხებული ქალი დუმს, მისი გოგონა კი კაცს უცნაური სახით დიდხანს, სერიოზულად უყურებს, მერე კონვერტიდან სათუთად იღებს რამდენიმე ღია ბარათს და დამწუხრებულ კაცს ათვალიერებინებს. „აი ფიურერის სახლი", ჩურჩულებს იგი სიყვარულით სავსე ხმით, „აი თვითონ ფიურერი". გულაჩუყებული კაცი გოგონას სამოთხისებურ სიახლოვეს შეისუნთქავს და შეუცდომლად გრძნობს, რომ ბავშვი ამ სურათებით შეუმჩნეველად მის ნუგეშისცემას ლამობს. არასოდეს დაავიწყდება გოგონას გულთბილი სახე, თუმცა მისთვის სახელიც კი არ უკითხავს. ასე ჯობიაო, ფიქრობდა შემდეგ: ჭეშმარიტი შეხვედრა, რომელშიც რაღაც ღმერთთან სიახლოვისებური ურევია, ჩვეულებრივი „ნაცნობობით" ვერ დამთავრდება. ის კაცი, ვისაც ეს ამბავი შეემთხვა, ამ სტრიქონების ავტორი გახლავთ.

და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

აი, ასე, უმცირეს დეტალებში მჟღავნდება ფიურერის ზემოქმედების ძალა. იგი ხალხის ენერგიებს განასხეულებს და მისი პიროვნული არსიც იმ ენერგიებით იკვებება. იგი ამას საკუთარი სულის სიღრმეში გრძნობს. 1936 წლის 29 მარტს წარმოთქმულ წინასაარჩევნო სიტყვაში მან გულიდან ამოხეთქილი სიტყვები თქვა: სამი წლის მანძილზე მე ვაძლევდი გერმანელ ხალხს ძალას, ახლა ველოდები გერმანელმა ხალხმა თავის მხრივ მე მომცეს ძალა, მე ერს რწმენა განვუმტკიცე, ახლა ვიმედოვნებ ერი მე განმიმტკიცებს რწმენასო.

ღრმააზროვანი, შუქმფრინარე სიტყვებია. მხოლოდ მას, ვინც თავისი სულის იდუმალ სიღრმეში დაძაბულობის ფასად უზრუნველყოფს პიროვნული თვითობისა და მთელის ნების ფასად ნაყოფიერ ურთიერთზემოქმედებას, მხოლოდ მას ძალუძს ბედნიერების მომნიჭებელი ღვთიური ჟრუანტელით ატანილმმა მიადევნოს თვალი, ამ ენერგიების მიქცევა-მოქცევას.

წინაასარჩევნო უკანასკნელი სიტყვა ადოლფ ჰიტლერმა 28 მარტს, კიოლნში წარმოთქვა. „ისეთი შეგრძნება დაგეუფლებოდათ, — ამბობს მისი თანამებრძოლი დოქტორი გებელსი, — თითქოს გერმანია ყველა ფენის, პროფესიისა და კონფესიის მომცველ დიდ ღვთის სახლად გადაქცეულიყოს, სადაც მათი მფარველი ყოვლადძლიერის მაღალი საკურთხევლის წინაშე ნებისა და საქმის დამადასტურებელი სიგელის მოსაპოვებლად იღვწოდა და თან უზენაესს წყალობასა და მფარველობას ევედრებოდა იმ მომავლისათვის, რომელიც ჯერ კიდევ გაურკვევლად და ბუნდოვნად იდო ჩვენს თვალთა წინაშე". როცა მიმართვა გერმანელი ხალხისადმი დასრულდა, ფიურერი კიოლნიდან გაემგზავრა. დოქტორი გებელსი განაგრძობს: „ვაგზლებზე, სადაც კი რამდენიმე წუთით შევჩერდით, ხალხის ტევა არ იყო. ისინი ეტყობა, გულის კარნახს აჰყვნენ და ერთხელ კიდევ განადიდებდნენ იმ ადამიანს, ვისმა ხმამაც ისინი აქ მოიყვანა. ის კი მდუმარედ იჯდა თავის კუპეში, ფანჯა-

რასთან, თავის ქვეყანაში, თავის ხალხში გამავალ გზას მიუყვებოდა და იმ წუთებში ალბათ არ ტოვებდა ბედნიერების განცდა, თავისი ერის გულში ღრმად და მყუდროდ რომ იყო ჩაბუდებული. „ზუსტი ნათქვამია! ზოგჯერ ერთი ჭის წყალს მთლიანად გამოფიტულ მიწაზე მიუშვებენ ხოლმე, მერე ამომშრალი ჭა ერთხანს ჩაფლულია ნეტარ შუქდროებაში, მაგრამ მისი სიღრმიდან მაინც ჟინიანად მოიკვლევს გზას წყლის ნაკადი — საქართველოში ამას წყაროსთვალს ეძახიან — და ჭის წიალი ნელ-ნელა უხმაუროდ ივსება. ეტყობა, მაშინ სიმშვიდეში ჩაძირული, მდუმარე ჰიტლერი გრძნობდა მასში იმ ჭასავით როგორ მოედინებოდა ხალხის ძალები.

ჭა იფან იგდრაზილის შორიახლოს

ადოლფ ჰიტლერმა შექმნა დიდი გერმანია; იგია მისი სუვერენული დამაარსებელი. მართალია, მისი მოღვაწეობა ჯერაც არ გასრულებულა, მაგრამ ისტორიამ მისი სახელი უკვე ამოტვიფრა მითიურ რუნებში. ამის გახსენებაზე გონებაში უნებლიეთ ამომიტივტივდა ერთი ჩრდილოური მითი:

გამიგონია ხარობს სადღაც ერთი იფანი
იგდრაზილია სახელი მისი.
ტანაშოლტილ ხეს მუდამ ადგას ნათელი ნისლი.
იქიდან მოდის თურმე ცვარ-ნამი,
დაბლა ხეობებს რომ ეფინება.
თვითონ იფანი მარადმწვანეა,
ურდის* ჭის ახლოს ამონაზარდი.

კვლავაც საკვირველად ჰყვავის მსოფლიო ხე. მის ახლომახლო ჭები არ დაშრეტილან. ორი ფრინველი, ორი გედი ბუდობს იმ ურდის ჭაში. მათი მედიდური, მელანქოლიური ცურვა უსაშველოდ ნაზი ფშვინვით ავსებს კოსმიურ სიჩუმეს. იფნის კენწეროში ირმები სახლობენ. მათი კრიალა თვალებიდან გაცხადებული ყოფიერების პირველმზერა გამოკრთის. დაკუნტრუშებენ ეს ღვთისშვილები და შენს სმენას ფოთლების შარიშური აჯადოებს.

„იქიდან მოდის თურმე ცვარ-ნამი,
დაბლა ხეობებს რომ ეფინება“.

იმ იფნის შთამომავლები არიან: თეოდორიხ დიდი, დითრიხ ბერნელად წოდებული, ოტო I, გერმანელი ერის წმინდა იმპერიის შემქმნელი, ფრიდრიხ II ფონ ჰოჰენშტაუფენი.

ეს ხე ადოლფ ჰიტლერის საგვარტომოც გახლავთ. მისი მაცოცხლებელი ძალა იმ ჭიდან მოედინება, მსოფლიო იფანს რომ ასაზრდოებს.

მთარგმნელისაგან

გრიგოლ რობაქიძის გამონათქვამი, რომ მწერლის უცხო, თუნდაც წაშლილი წარმომავლობა თავისი სისხლით მსჭვალავს, უფრო მეტიც, კვებავს მისი შემოქმედების რიტმულ სვლებსა და შუქ-ჩრდილებს, უპირველეს ყოვლისა მასზე ვრცელდება.

გრ. რობაქიძე სრულყოფილად ფლობდა გერმანულ ენას. ამას მოწმობს მისი გერმანულენოვანი შემოქმედება, მაგრამ მის ცნობიერებაზე მაინც მოქმედებს ის „პირველმდგენი", რომელიც ტექსტში ჩართულ ქართულ მაგალითებთან, ლეგენდებსა და ვადმოცემებთან, ცალკეული ქართული სიტყვებისა და გამოთქმების ეტიმოლოგიასთან ერთად ტექსტის რიტმულ სვლებსა და შუქ-ჩრდილებშიც შეიცნობა. ეს გერმანულ-ქართული ლექსიკურ-ინტონაციური ნაზავი ქმრის გრ. რობაქიძის სტილს, რომელსაც გერმანელი მწერლები თუ გამომცემლები თავის დროზე ახალსა და უჩვეულოს უწოდებდნენ, ჩვენთვის კი ეს სტილი ქართულ ფესვებთან მისი ღრმა კავშირის გამოვლინებაა.

ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გრ. რობაქიძის ქართული ესეისტიკა თავის მხრივ გერმანული ენის მძლავრ ზეგავლენას განიცდის. უფრო მეტიც, მწერლის ექსპერიმენტები ქართულში გერმანული ხატებისა და სიტყვათქმნადობის დამკვიდრების მცდელობადაც კი აღიქმება. განსაკუთრებით ითქმის ეს გერმანულ პრეფიქსზე „*ur-*", რომელიც სიტყვას სიძველის, პირველქმნილობის სემას მატებს. აქედან მოდის გრ. რობაქიძისეული „თაურ-" პრეფიქსი, რომელსაც იგი იყენებს ისეთ სიტყვებში, როგორიცაა თაურხატი, თაურმოვლენა, თაურმცენარე, თაურუჯრედი და სხვ. ასევე გერმანული ენის სტრუქტურითაა ნაკარნახევი სიტყვები: თვალწამი, მზიურშობილი, მზეოსანგანფენილი, პირველმდგენი, მზეკაცი და სხვ.

მე შევეცადე თარგმანში გამომეყენებინა გრიგოლ რობაქიძისეული ლექსიკა, რიტმული სვლები და შუქ-ჩრდილები, რაც სტილის ადეკვარტურობის მაღალი ხარისხის საწინდარი უნდა ყოფილიყო.

დალი ფანჯიკიძე

P.S. ბროშურაზე გამოცემის წელი არ არის მითითებული. თვით გრ. რობაქიძე ამის თაობაზე წერს: „ომის პირველ წლებში ორი პატარა წიგნი გამოვეცი: „ჰიტლერი" და „მუსოლინი". აქვე დავძენ: არც პირველია ნაცისტური და არც მეორეა ფაშისტური, ამ თემებს მე განსაკუთრებული სულიერი თვალთახედვით ვუყურებდი". (იხ. წერილები ნიკოს კაზანძაკისს. ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება" 1, 2006).

რაინერ მარია რილკე

ლამესები

გერმანულიდან

თარგმნა ლუდუ ადიანმა

რეკვიემი

მიძღვნილი ვოლფ გრაფ ფონ კალკროითისადმი

ნუთუ არასდროს მინახიხარ? რად მიმძიმს გული
ასე მე შენგან, ვით უმძიმესი დასაწყისისგან,
რასაც ნიადაგ თავს არიდებენ. აწ აღვიძვრები
ჩამოგქნა სიტყვით, გარდასულო შენივ სურვილით,
შენ, ნეტარებით და აღტკინებით განსვენებულო.
სიკვდილმა ურვა მართლაც ისე თუ დაგიამა
როგორც ელოდი, თუ კვლავ შორსაა აღარსულდგმა
მკვდრადყოფნისაგან? შენს გულისხმაში: უმჯობესია
იქ დაიუნჯო, სადაც საუნჯე არ ფასობს მეტად.
გჯეროდა, მიღმა იმავ წიაღს ევანებოდი,
ხატებასავით თვალწინ რომ გედგა აქ დღენიადაგ,
და იმ სიღრმიდან შეაღწევდი ნანატრ სატრფოში,
ყველაფრის გავლით, იდუმალი რხევით, ძლიერად.
ო, ნეტავ შენი ცდომილება ზედმეტად დიდხანს
არ გაადევნო შენს ყმაწვილურ მცდარ თვალთახედვას.
დაე, მედინი კაეშანით წარტაცებული,
ლამის ნახევრად ცნობიერი, ვარსკვლავთა ირგვლივ
წრებრუნვისას მიაგნებდე იმავ სიხარულს,
აქედან რაიც შორს განირიდე და იმქვეყნიურ,
ოდენ შენეულ ზმანებათა მკვდრადყოფნას ანდე.
რა ახლოს იყავ აქ ძვირფასო იმ სიხარულთან
და აქ თავადაც რა მყუდროდ იყო ის, რაც მიგაჩნდა
შენივე მკაცრი მონატრების სერიოზულ ზესიხარულად.
შენი წილხვედრი ბედნიერებით და უბედობით
სრულიად იმედგაცრუებული, თავს ჩაუღრმავდი
და მიგნებული თვალთახედვით თავდაღწეული,

ბნელ მიკვლეულის სიმძიმის ქვეშ ქედდადრეკილი
დაატარებდი იმ სიხარულს, რაც ვერ შეიცან.
დიახ, სიხარულს დაატარებდი, შენი პატარა
მხსნელის ტვირთი დაგქონდა სისხლით და დაასწარი,
დასანანია, მაინც რატომ არ დაელოდე,
რათა სიმძიმე გამხდარიყო გაუსაძლისი:
ის ხომ სახეცვლას განიცდის მაშინ, იძენს სიმძიმეს,
ვინაიდან არის ნამდვილი. ასეთი იყო
ალბათ წამი უახლოესი შენსკენ მომსრბოლი,
უკვე კარს უკან მომდგარიყო გვირგვინმოსილი,
როცა ხმაურით გაიხურე სიცოცხლის კარი...
ჰოი, ეს დარტყმა რარიგ მსჭვალავს ქვეყნიერებას,
როცა კი სადმე მოუთმენლობის შეუბრალები
გამჭოლი ქარი უმალვე ხისტად ჩარაზავს ღიას.
ვის შეუძლია თავი დასდოს, რომ მიწის წიალს
მყის არ განწონის საღი თესლი მედინი მუხტით;
ვინ დაადგინა, რომ დაურვებულ ცხოველთა შორის
მკვლელობის ჟინი შმაგი ნდობით არ აღინთება,
როცა ეს ბიძგი გაიკვესებს მათ ტვინში ელვად.
ცნობს კია ვინმე იმ ზეგავლენას, ძეხორციელთა ძალისხმევით
რომ გადასხლტება უახლოეს მწვერვალზე მყისვე,
ან ვინ გაუწევს მას მეგზურობას იმ საუფლოში,
იქ, სადაც ყველა და ყველაფერი არის გამტარი?
რაც ჩაიდინე, თაობებმა განსაჯონ უნდა,
სამარადისო დამლად გრჩება უკუნისამდე.
და თუკი გმირი ნიღაბივით ჩამოგლეჯს თუნდაც,
ჩვენგან საგანთა ნამდვილ სახედ მიჩნეულ არსს და
მყის გააშიშვლებს სახეებს, ვისი თვალებიც უკვე
კარგა ხანია სახეცვლილ ხვრელთა მეოხებით
გვიმზერენ უტყვად, დაჟინებით, გვაკვირდებიან:
და ჭვრეტენ სახეს, არასდროს რომ გარდაიქმნება:
— სახე, შენგანვე იავარქმნილი. ქვაკუთხედები
ელაგა აქ და უკვე მათ ირგვლივ ჰაერს შენების
დაუშრეტელი მსჭვალავდა რიტმი, როცა შენც იქვე
მიმოდიოდი და იმათ წესრიგს ვერ კი ამჩნევდი,
რადგან სავსებით ფარავდა ერთი, მეორეს შენგან;
გეჩვენებოდა — ღრმად ფესვგადგმული იყო ყოველი,
ცდილობდი მაინც, თუმც უიმედოდ, გამკლავებოდი,
სასომიხდილმა იტვირთე კიდეც სულ ერთიანად,
რათა კვლავ უკან ჩაეხერგა ქვათა სამტეხლოს
ღია წიალში, რომელმაც ველარ დაიტია
ამატებული ლოდები, შენი გულით ნაჯერი.
ქალის მსუბუქი ხელის შეხება რომ ღირსებოდა
ამ მრისხანების ჯერაც ჩვილ საწყისს, ან ნეტავ ვინმე
ვინც შინაგანად და უღრმესი სულიერებით
ილწვოდა, წყნარად გზად წაგწყდომოდა, როცა გასწიე

ბედისწრის აღსასრულებლად; — ანდა გზასავალს
მხოლოდ შენეულს, იმ სამჭედლოსთან ჩაველო, სადაც
თვალფხიზელი მამაკაცები გრდემლს ურის სცემენ,
სადაც დღე სრულად და უბრალოდ ხორციელდება;
შენს სავსე მზერას რომ ჰქონოდა მხოლოდ ერთ-ელვა
სივრცე, რომელიც დაიტევდა მუშაკი ხოჭოს
გამრჯე ანარეკლს, მაშინ გახსნილი თვალსაწიერით
წაიკითხავდი და ამოხსნიდი იდუმალ წერილს,
ბავშვობიდანვე რომ იმარხავდი სულში ხანდაზმით.
დრო და დრო ცდიდი, წინადადება აიკინძოსო
ეგების თავად: თუმც აზრი მაინც არ გეხსნებოდა.
მე ვიცი; ვიცი: შენ მუხლმოყრილი სცვეთდი ნაჭდევებს,
როგორც საფლავზე ამოკვეთილ ეპიტაფიას
გრძნობენ თითებით. თუკი რაიმე მანათობელი
ანთებული გეგულებოდა, კელაპტარივით
ხელთგეპყრა მტკიცედ ამ სტრიქონის წინ;
თუმცალა ალი უმალვე ჩაქრა, ვიდრე აზრს ჩასწვდი,
ალბათ შენივე სუნთქვამ ანდა, ხელების თრთოლვამ
თუ ჩააქრო, ან სულაც ისე, თვით ჩაინავლა,
როგორც ხანდახან იცის ალმა გამოსალმება.
შენ ვერასოდეს ამოიკითხე, რასაც ეძებდი,
ჩვენ კი, სიმორით გულნატკენნი — უკვე ვერ ვბედავთ.
მხოლოდ ლექსებს თუ მოვიძიებთ, რომლებიც ჯერაც
შენი შეგრძნების თავდალმართზე მიაქანებენ
სიტყვებს, შენგან ამორჩეულებს, თუმც ყველა როდი
აგირჩევია: ხშირად საწყისი მზად გეძლეოდა
ვით მთლიანობა და შენც გამგონედ იმეორებდი,
გასასრულებლად მოგანდეს თითქოს. და მწუხარებად
მიიჩნევდი ამ დავალებას. ო, ნეტავ სულაც
არ მოგესმინა, ის — ამოთქმული შენგან ლექსებად.
ახლა კი შენი ანგელოსი ხმიანებს ისევ,
ის სულ სხვანაირ ყღერადობას ანიჭებს სიტყვებს
და აღტკინება მეუფლება, მხიბლავს მისი
ამეტყველება, მიიღე შენად ეს აღტკინება:
შენია რადგან: რომ რაც გაგაჩნდა უძვირფასესი,
დაჰკარგე ისევ, რომ შენ მხილველად გარდასახვისას,
უარყოფა და სიკვდილში კი, წინსვლა შეიცან.
ო, შენი იყო, შენ ხელოვანო, ეს სამი ღია,
უსაზღვნო ფორმა. აი, იხილე ლითონსხმული
სახე პირველის: სივრცე შენი გრძნობების ირგვლივ,
იმ მეორიდან, გაგენდობი, იხსნება ჭვრეტა,
დიდ შემოქმედთა ჭვრეტაა იგი, არასმწყურვალი;
მესამეში კი, შენ თავად რომ უდროოდ მოსრე,
ვიდრე პირველი სინჯი მასში ჩაიღვრებოდა
გულის ვარვარა კუნთიდან მფეთქავ მწველი საზრდოსი

— იყო სიკვდილი, უშელავათო გარჯის შედეგად
ღრმად ჩატვიფრული, ის საკუთარი სიკვდილი, ასე
უთუოდ რომ ვჭირდებით, რადგან ვაცოცხლებთ ჩვენით,
და არსად სხვაგან ასე ახლოს არა ვართ მასთან,
როგორც აქ, მხოლოდ სააქაოს, ამ საუფლოში.
ეს ყველაფერი შენი იყო, სიმდიდრე შენი;
და ეს გუმანით გიგრძვნია ხშირად; მაგრამ შეძრწუნდი,
როცა იმ ფორმებს, უკიდეგანოს, უფრო ღრმად ჩასწვდი,
თუმც მოისვეჭე მარტოოდენ სიცარიელე
და საკუთარ თავზე მოსთქვამდი. — ო, პოეტების
ოდინდელი ჩვევა წყეული, საცა თქმა სჯობდა,
არჩევენ სულთქმას, საკუთარ გრძნობის განსჯას მისდევენ,
ნაცვლად იმისა, აღზარდონ იგი და სჯერათ ისევ,
იციან თითქოს, რა გააჩნიათ სასიხარულო,
თუ საწუხარი. თითქოსდა ლექსად სინანულისა,
ან ხოტბის თქმისა ჰქონდეთ უფლება. სნეულებივით
ურვა-ვაებით აღგიწერენ წვრილად სატკივარს,
იმის მაგივრად მეტყველ სიტყვებად გარდაისახონ,
იმ ქვისმთლელივით, ტაძრის აგებას შეჭიდებული,
ქვის გულგრილობას თავდავიწყებით რომ შეერწყმება.
ეს კი ხსნა იყო. თუნდ ერთხელ მაინც რომ დაგენახა
როგორ შეაღწევს ბედისწერა ლექსის სხეულში,
უკან კი უკვე აღარ ბრუნდება, როგორ შეიძენს
ლექსის წიალ სურათის სახეს, შენი წინაპრის
მოვარაყებულ, სურათად ქცეულ ხატებასავით,
რომელსაც თუკი ახედავდი გეჩვენებოდა,
რომ გვავდა კიდეც და არც კი გვავდა: — შენ დაითმენდი.
თუმცა გვაკნინებს იმაზე ფიქრი,
რაც არ ყოფილა. თან საყვედურის ელფერი დაჰკრავს
შედარებასაც, შენ რომ არასგზით გესადაგება.
რაც კი რამ ხდება, ჩვენს გულისხმამდე მოსაღწევად
იმ დროჟამს ითვლის, რომ ჩვენ არა თუ დავეწევით,
ვერც კი გავიგებთ, სინამდვილეში რა სახით მოხდა.
არ მოგერიდოს, როცა მკვდრები შეგეხებიან,
სხვა, უცხო მკვდრები, ბოლომდე რომ გაუძლეს სვებედს.
(ეთქმის კი ბოლო?) გაუზიარეთ ერთმანეთს მზერა,
აუჩქარებლივ, უდრტვინველად, როგორც წესია,
და არ შეშინდე, რომ ჩვენი გლოვა გამორჩეულად,
იმათთვის უცხო, თვალში საცემ სიმძიმეს შეგძენს.
ოდინდელ დროთა დიდი სიტყვები, ჯერაც ხილვადი
ხდომილება რომ არსებობდა, არ თქმულა ჩვენთვის.
გამარჯვებას ვინლა ახსენებს? დათმენა უკვე ყველაფერია.

დაწერილია 1908 წლის 4-5 ნოემბერს პარიზში.

ცდუნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არას შველოდა, როცა იხოკდა
მახვილი ეკლით ავსორცულ სხეულს;
მისი ფეხმძიმე გრძნობები შობდნენ
შემაძრწუნები კივილით წყეულ,
უდღეურ არსებს: ირიბ, დაღრეცილ,
მოსავსავე, მფრინავ სახეებს,
არარაობებს, მასზედ დაგეშილ
მოლაზღანდარეთ, ბოლმით სავსეებს.

მისმა გრძნობებმა იბარტყეს ვნებით,
რადგან იმრავლა სიბილწემ ღამით,
ჭრელ-ჭრელ ლაქებად, ბლანტ
ლავასავით
დასავსავებენ გაასკეცებით.
თხიერ სამსალად იქცა ზმანება:
სწვდა სახელურებს მისი ხელები,
და იძრა ჩრდილი თეძოთა მგვანი,
თბილი, ვნებისთვის განახელები.
მაშინ ყვირილით უხმო ანგელოსს:
და ანგელოსიც გაჩნდა სხივმფენი,
მოევლინა და: მყისვე განდევნა,
ისევ წმინდანში შედენა მრენი,
რათა ბილწი და ეშმაკეული
კვლავაც მოესრა სულშივე
ბრძოლით,
გამოეხადა ანკარა ბროლი, —
ღმერთი, ჯერ მისთვის
ვერმიკვლეული.

მილორად პავიჩი (სერბეთი)

ხაზარული სიტყვისკონა

თარგმნა გურამ გოგიაშვილმა

ცოტა რამ ჩემზე და ჩემს „ხაზარულ სიტყვისკონაზე“
წიგნიდან — „რომანი როგორც სახელმწიფო“

უკვე ორ ათეულ წელიწადზე მეტია, რაც მწერალი ვარ. შორეულ 1766 წელს ერთ-ერთმა პავიჩმა ბუდიმში თავის ლექსთა კრებული გამოსცა, და იმ დროიდან ჩვენს თავს ლიტერატურულ დინასტიად მივიჩნევთ.

დავიბადე 1929 წელს სამოთხის ოთხი მდინარიდან ერთ-ერთის ნაპირას დილის 8 საათსა და 30 წუთზე სასწორის ნიშნით (მორიელის ნიშნის დებით), აცტეკთა ჰოროსკოპით კი გველი ვარ.

პირველად ბომბები რომ დამაცვივდა თავზე, 12 წლისა ვიყავი. მეორედ 15 წლისა მოვყევი ბომბების თავსხმაში. ამ ორი დაბომბვის შუა მოქცეულს მეწვია პირველი სიყვარული, და ოკუპირებულ მიწაწყალზე იძულებული გავხდი, მესწავლა გერმანული. იმავე დროს ინგლისურს ჩუმად მასწავლიდა მავანი ბატონი, რომელიც სურნელოვანი თამბაქოთი დატენილ ჩიბუხს ეწეოდა და მაინცდამაინც კარგი ინგლისურით ვერ მეტყველებდა. სწორედ მაშინ დამავიწყდა პირველად ფრანგული ენა (შემდგომ კიდევ ორჯერ დამავიწყდა). ბოლოს, როცა ერთხელ ინგლისელები და ამერიკელები ერთად გვბომბავდნენ და თავის საშველად ძაღლების საწვრთნელ სკოლაში შევვარდი, ერთ რუს ემიგრანტს გადავეყარე, მეფის არმიის ოფიცერს, რომელმაც შემდგომ რუსული ენის სწავლება დამიწყო და გაკვეთილებისთვის ფეტისა და ტიუტჩევის ლექსთა კრებულებს იყენებდა. სხვა რუსული წიგნები ხელთ არცრა ჰქონდა. დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, რომ უცხოური ენების სწავლისას სულში, ალბათ, ზლაპრული რამ მაქცია-ნადირი მყავდა ჩასახლებული, რადგან ჩემდა უნებურად ხან რად გადავიქცეოდი ხოლმე და ხან რად.

სიყვარულით ორი იოანე მიყვარდა — იოანე დამასკინი და იოანე ოქროპირი (ქრიზოსტომი). ჩემს წიგნებში უფრო ხშირად ვხვდებოდი სიყვარულს, ვიდრე ცხოვრებაში. თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ ერთ გამონაკლისს, რომელიც დღემდის გრძელდება. როცა კი მეძინა, ღამე მუდამ ტკბილად მეკვროდა ორსავე ლოყაზე.

მე, როგორც უმკითხველო მწერალი, ჩემს ქვეყანაში ყველაზე ნაკლებად ვიყავი ცნობილი 1984 წლამდე, როცა უცებ ერთ დღეში გავხდი ყველაზე უფრო უხვმკითხველიანი და ცნობილი. პირველი რომანი

სიტყვისკონის სახით დავწერე, მეორე — კროსვორდის სახით, მესამე — კლეპსიდრის სახით და მეოთხე როგორც ტაროს ბანქოთი მკითხაობის სახელმძღვანელო. მეხუთე ასტროლოგიური ცნობარი იყო საქმეში ჩაუხედავთათვის. მუდამ ვცდილობდი, რომ ჩემს რომანებს რაც შეიძლება ნაკლებად დასტყობოდათ ჩემგან ხელის შემლა, ჩემის ფიქრით, კიბოსი არ იყოს, რომანიც თავისი მეტასტაზების ხარჯზე ცხოვრობს და იმათით იკვებება. დროის გასვლასთან ერთად სულ უფრო ნაკლებად ვგრძნობ თავს უკვე დაწერილი ჩემი წიგნების მწერლად, და უფრო მეტად თავს სხვა, მომავალში დასაწერ ან, უფრო სწორად, იმ წიგნების მწერლად მივიჩნევ, რომელთაც დაწერა არ უწერიათ.

ჩემდა დიდ გასაკვირად, ამჟამად ჩემი წიგნები თითქმის ას სხვადასხვა ენაზეა თარგმნილი. ერთი სიტყვით, ბიოგრაფია არ გამაჩნია. მაქვს მხოლოდ ბიბლიოგრაფია. საფრანგეთისა და ესპანეთის კრიტიკოსებმა XXI საუკუნის პირველი მწერალი მიწოდეს, თუმცა XX საუკუნეში ვცხოვრობდი, ანუ იმ დროში, როცა არა ბრალი და დანაშაული, არამედ უდანაშაულობა უნდა დაგემტკიცებინა.

ცხოვრებაში ყველაზე მეტად გული მაშინ გამტეხია, როცა კი გამიმარჯვია. გამარჯვება ვერცროდის ამართლებს თავის თავს. მოკვლით არასოდეს არავინ მომიკლავს. მე კი ბევრჯერ მოვუკლივარ. სიკვდილამდე ბევრად ადრე. ჩემი წიგნები უკეთეს ბედში იქნებოდნენ, უკეთუ ვინმე თურქი ანდა გერმანელი დაწერდა. მე კი ყველაზე საძულველი ხალხის — სერბი ხალხის ყველაზე ცნობილი მწერალი ვიყავი.

ახალი ათასწლეული ჩემთვის 1999 წელს დაიწყო (სამი გადაბრუნებული ექვსიანი) ჩემს ცხოვრებაში მესამე დაბომბვით, როცა ჩრდილოეთატლანტიკური ბლოკის თვითმფრინავებმა ბომბები დაუშინეს ბელგრადს, სერბეთს. იმიერიდან დუნაი მდინარე, რომლის ნაპირებზეც ვცხოვრობ, არასანაოსნო გახდა.

XXI საუკუნეში თეატრალური ფიცარნაგით შევედი. პალინდრომელ 2002 წელს რეჟისორმა ვლადიმერ პეტროვმა ჩეხოვის თეატრში ჩემი „თეატრალური მენიუ მარადიულობისა და კიდევ ერთი დღისთვის“ დადგმით „მოსკოვში პირველი ინტერაქტიული მერცხალი შეაფრინა და უბრძოლველად დაიპყრო რუსული დედაქალაქი“. იმავე წელს ტომაჟ პანდურმა გოდოლის კონსტრუქცია ააგო, რომელშიც 365 დასაჯდომი ადგილი განალაგა, მერე ეს გოდოლი შაპიტოს ცირკად გამოიყენა და ბელგრადსა და ლუბლიანაში „ხაზარული სიტყვისკონა“ წარმოადგინა, მაყურებლის თვალწინ სიტყვა ხორცად აქცია და წყალი — დროდ. 2003 წელს პეტერბურგელებმა ერთ-ერთ თავიანთ აკადემიურ თეატრში ნახეს ჩემი პიესა „კაცობრიობის მოკლე ისტორია“, რომლის პრემიერით ქალაქი თავისი დაარსების სამასი წლისთავის საიუბილეო თეთრ ღამეებს შეხვდა.

საერთოდ თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ მე სიცოცხლეშივე ვეწიე ყოველსავე, რასაც ბევრი მწერალი მხოლოდ სიკვდილის შემდგომ ელირსება ხოლმე. მწერლობის სიხარულთან ერთად ღმერთმა თავისი წყალობის კალთაც უხვად დამაბერტყა, მაგრამ თან დამსაჯა. ალბათ ამ სიხარულის გულისთვის.

ახლა საქმესთან უფრო ახლოს მივალ... რომანი იგივე სახელმწიფოა. თავისი მოსახლეობა ჰყავს, თავისი კანონები აქვს, თავის ფულს ატრიალებს, რომელსაც ქვეყნის გარეთაც აქვს ან არა აქვს გასავალი. რომანს თავისი ნაპირები, თავისი საზღვრები, თავისი ომი, თავისი მშვიდობა და თავისი დრო აქვს, რომელი დროც გრინვიჩის გამოთვლის სისტემას არ ექვემდებარება. რომანს თავისი ჰავა აქვს, ზღვის დონიდან თავისი სიმაღლე აქვს, თავისი დაბლობები აქვს (ზღვის დონის დაბლა მდებარე ნაწილები) და თავისი მეზობლები ჰყვანან. აქვს აგრეთვე თავისი ეკონომიკა, კარგი ან ცუდი, და ძალუძს ან არ ძალუძს თავის მოქალაქეთა გამოკვება. რომანს, როგორც ყველა სახელმწიფოს მსოფლიოში, აქვს თავისი ენა, რომელიც ესმით ან არ ესმით იმის საზღვრებს გარეთ მყოფ ადამიანებს. რომანს ჰყავს თავისი უცნობი ჯარისკაცი, აქვს თავისი მშიერი და მაძღარი წლები, თავისი ღარიბი მხარეები და თავისი ჭირნახულიანი ხოდაბუჭურ-ხოდაბუნები. არ შეიძლება, რომ სახელმწიფო არ დაქვეითდეს და არ დაკნინდეს, უკეთუ იქ კარგად ისინი ცხოვრობენ, ვინც ანგრევს იმ თავის სახელმწიფოს, ხოლო ცუდად ისინი არიან, ვინც ძირს უმაგრებს იმავე ქვეყანა-სახელმწიფოს. იგივე ამბავია რომანის თავსაც. რომანს აქვს თავისი დიპლომატიური სამსახური, აქვს ექსპორტი და იმპორტი. უკეთუ რომანს თავისი ქვეყნიდან გაპარვა უნდა, საზღვრების გადასაკვეთად მრავალი საზღვარგარეთული ვიზა თუ არ გაიჩალიჩა, მაინცდამაინც შორს ვერ წავა.

სახლს, კარგად მოგეხსენებათ, საძირკვლიდან აშენებენ, რომანს— სახურავიდან. ეს უკუპერსპექტივა იმის მაჩვენებელია, რომ რომანი კირჩხიბის ნიშნით იბადება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი თავისი მეტასტაზების ხარჯზე ცხოვრობს და იმათით იკვებება. გულისყურიანი მკითხველი უთუოდ შეამჩნევს ზოგიერთ რასმე განმეორებას აქაც და სხვა წიგნებშიც. ეს განმეორებანი იმით უნდა ავხსნათ, რომ ყოველი რამ ორჯერ უნდა ითქვას, რათა ერთხელ მაინც გაიგონონ...

სახელმწიფოს აქვს თავისი ენა, ენას კი — თავისი გრამატიკა. თავისი ენა და გრამატიკა აქვს რომანსაც. რომანს, როგორც რომ სახელმწიფოს, აქვს აგრეთვე თავისი გეოგრაფიული რუკა. ეს არის რომანის ენათა რუკა. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს წარმოშობა. არიან „ჯიშიანი" სახელმწიფოები, წარმოშობით დიდებულნი და უძველესნი, და არიან ღვინის ქინქლისა, ანუ ბურნისა არ იყოს, ერთი სეზონისთვის გაჩენილი სახელმწიფოები... სხვა სიტყვებით თუ გამოვთქვამთ ჩვენს აზრს, ჰეგელის კვალდაკვალ შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ ადამიანთა საზოგადოებაში არის ორი „ობიექტური ძალა" — სახელმწიფო და ოჯახი. რომანიც მუდამ რომელსამე ოჯახს ეკუთვნის. რომანს თავისი მამაცა ჰყავს და თავისი დედაც. მაგრამ უდედმამო, ობოლი რომანიც არის, სხვისად მიგდებული. *Enfant terrible.* სახელმწიფოს მსგავსად ისიც შეიძლება რომ თავის გვარტომს მიეთვლებოდეს ანდა სულაც ნაგერალი იყოს, დაუთესლად მოსული. ან იქნებ ჩალისფასიანი მეძავი იყოს, ანდა დიდფასიანი დიაცი. კარგადაც შეიძლება რომ ეცვას და ცუდადაც. იქნებ არც თავისი მოდგმისა და საგვარეულოს ღალატი გაუჭი-

რდეს. რამეთუ თავისი ცხოვრების სხვადასხვა ჟამს (სახელმწიფოსი არ იყოს) ადამიანი თავის წინაპართ ემსგავსება, როგორც რომ მამაკაცთ, ისე დედაკაცთ, მაგრამ რომელიღაც დროს ის ანაზდად ჯერეთ კიდევ დაუბადებელი თავისი შვილთაშვილის ალი-კვალი ხდება, რომელ შვილთაშვილსაც ვერცროდის მოიხილავს. ჩვენ არც ჩვენს [illegible] წინაპართ ვიცნობთ და არც შთამომავალთ, და ზუსტად ახლაც [illegible] ვიცნობთ არც რომანის წინაპართ და შთამომავალთ. რომანთ კი არა მარტო თავიანთი წინამორბედნი, არამედ თავიანთი შთამომავალობაც, თავიანთი ძე-ასულნი, თავიანთი შვილთშვილის შვილნი ჰყავთ.

წიგნთათვის სასიცოცხლო კავშირის გამბმელი ენაა, რომელიც სახელმწიფოში არსებული კანონის მსგავსია, მაგრამ ამავე დროს კანონიცა და ენაც ძალზე პირობითად უნდა გავიგოთ და როგორც ერთში, ისე მეორეში უწინარესად ის აზრი უნდა ვიგულისხმოთ, თავისი რიტმისა და ხმის ცვლა რომ შეუძლია და ამ რიტმთან და ხმასთან ერთად თვითონაც რომ იცვლება.

და დროსა და სივრცეში რიტმის, აზრისა და ხმის ეს ცვლა, ყველა ის გარდაქმნა, რაც თაობიდან თაობაში ერთსა და იმავე ენაში ანდა ერთი ენიდან მეორეში გადასვლისას ხდება, სუყოველი ლიტერატურული ნაწარმოების, სუყოველი სიტყვაკაზმული ქმნილების ბედსა და სილრმისეულ ბუნებას წარმოსახავს. თუკი დერეკ ვოლკოტს უარვყოფთ, მაშინ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ნაწერი, გინდ ტექსტი თქვი, ფონეტიკური სხეულის მარტოოდენ ჩრდილია. მსატვრული ნაწარმოები რიტმია, რომელიც ჟამთა ცვლაში და ახალ-ახალ თარგმანთა კვალდაკვალ სულ უფრო და უფრო შორდება ავტორს. ამ დაშორებას იწვევს თარგმანის არასიზუსტე და ტექსტის არასწორი გაგება, აგრეთვე ის გარემოება, რომ თითოეულ მკითხველს ტექსტში რაღაც თავისი შეაქვს, და ეს მკითხველის პირადი წვლილი მსოფლიო მწერლობის უზარმაზარ ვირტუალურ დარგს წარმოადგენს.

ბარემ აქვე დავძენ იმასაც, რომ მხოლოდ ცუდი ნაწარმოებები ვერ უძლებენ სუსტი თარგმანებით გამოცდას, ვერ იტანენ რიტმის ცვლას, როგორც ერთი ენიდან მეორე ენაში, ისე ერთი საუკუნიდან მეორე საუკუნეში გადატანას. გარკვეული აზრით, უკეთუ რომანმა თავისი დამოუკიდებელი ცხოვრებით დაიწყო სიცოცხლე, უკეთუ „ყველას პირზე აკერია", მან აუცილებლად უნდა ულალატოს თავის ავტორსაც და იმ ენასაც, რომელზედაცაა დაწერილი. „ხაზარული სიტყვისკონა" არა მარტო სივრცეში მემანძილება, რამეთუ სულ უფრო ცხრამთასიქითურ ენებზე თარგმნიან, როგორიც მაგალითად, ჩინური, იაპონური ანდა კორეულია, არამედ დროშიც მშორდება — თანდათან სულ უფრო ნაკლებად მეკუთვნის მე და სულ უფრო მეტად ახალ თაობათა კუთვნილება ხდება, იმათ ენასა და მოლოდინს ერასქვება, სულ მეტად და მეტად იქცევა იმ მსატვრულ ნაწარმოებებად, რომლებიც „ხაზარული სიტყვისკონის" შვილები და შვილთაშვილები გახდებიან. სწორედ ამიტომაც ვთქვი, რომ დღეს თავს რამდენადმე ნაკლებად ვგრძნობ „ხაზარული სიტყვისკონისა" და „ჩაით დახატული პეიზაჟის" ავტორად, ვიდრე გუშინ ვგრძნობდი, და კიდევ უფრო ბევრად ნაკლებად ვგრძნობ,

ვიდრე მაშინ, როცა ამ რომანებს ვწერდი. გარდა ამისა, უკეთუ ახალი წიგნის დაწერას აპირებ, წინა უნდა დაივიწყო. აი რატომ არის, რომ სულ უფრო ნაკლებად ვარ ჩემი წიგნების მწერალი, და ის დღეც მოვა, როცა საერთოდ აღარც ვიგრძნობ თავს ამ ჩემი წიგნების დამწერად, რამეთუ ბევრად უფრო შორს ვიქნები ჩემეულ ნაწარმოებთაგან, ვიდრე რომელიც გნებავთ ჩემი მკითხველი. ვგონებ, ეს ძალიან კარგი ამბავია, და აკი მახარებს კიდეც.

სახელმწიფოს ჰგავს თავისი დამფუძნებელი, დამსაძირკვლებელი. ის რომანსაც ჰყავს. მწერალზე მოგახსენებთ. მწერალი იქნებ ბრძენიც იყოს, მაგრამ ნიჭს მოკლებული. ან იქნებ სულელიც იყოს, მაგრამ ნიჭიერი. ეს ერთ-ერთი ყველაზე უარესი ვარიანტია. მწერალს თავისი სახელიც შეიძლება რომ ერქვას და სხვისიც, ანუ თიკუნს იყოს ამოფარებული.

რომანის წერისას ყველა მწერალი ორ კრიზისს განიცდის, საშუშაოს თავსა და ბოლოში. პირველი კრიზისი მაშინ დგება, როცა ისის არის ხელი მიჰყეთ რომანს, როცა სიუჟეტი ფრთების გაშლას იწყებს. როცა ის თავთან უფრო ახლოა, ვიდრე ბოლოსთან. რომანი ჯერაც არ მომწიფებულა, არ იცის, როგორ გაგრძელდება, საით წავა ხვალ. ეგ არც თქვენ იცით. რომანი ფეხდაფეხ ვერ მოგდევთ, ერთი სული გაქვთ, სანამ ყველა თქვენს აზრს რომანში გადაიტანდეთ, ის კი ჯერ ამორფულია, სიჩქარე არ განუვითარებია, ძალა არ მოუკრებია, ის მხოლოდ ამუხრუჭებს თქვენს მოძრაობას. სიზიფესი არ იყოს, თავის ლოდ-საგორავს ისიც მთის წვერისკენ მიაგორებს. იმჟამად ის თავის შემქმნელზე გონიერია. აგრეა ხანდახან ჩვენი შვილებიც აკი ჩვენზე ბევრად ჭკვიანები არიან. ნამდვილად აჯობებს, თუ ავტორი თავს აიძულებს და ყურს მიუგდებს რომანს, მაგრამ ეს ფრიად ძნელი საქმეა...

მეორე კრიზისი „აპოგეის" შემდეგ დგება, როცა მთის წვერზე მოქცეული რომანი მოწყდება და მთის საპირისპირო ფერდობზე დაქანდება. აწ უკვე თქვენ ველარ მისდევთ ფეხდაფეხ, დაღლილ-დაქანცული ხართ, გასავათებული, მაგრამ არ შეგიძლიათ შეჩერება და შესვენება, რამეთუ თქვენი რომანი ერთ ადგილზე არა დგას. თავისით მიიწევს წინ და ღმერთმა უწყის, სად გადაიჩეხება. ამჯერად ის ჟამი დგას, როცა რომანი თავის შემქმნელზე ძლიერი გახდა, და მწერალმა მთელი ძალ-ღონე უნდა მოიკრიბოს, რათა გაუძლოს და ზედ არ გადაიტაროს თავისი ქმნილება. უკეთუ ამას მოახერხებთ, რომანს გადაარჩენთ, ოღონდ ბოლოსა და ბოლოს ლოგინად ჩავარდებით და თითქმის მთელი ერთი წელიწადი იავადებთ. მსგავს მდგომარეობაშია ადამიანი სასიყვარულო პაემნის შემდეგ, და პუშკინმა ეს მდგომარეობა იმ ლექსში აღწერა, „ევგენი ონეგინზე" მუშაობის დამთავრების ღამეს რომ შეთხზა.

უკეთუ ბედმა გაგიღიმათ, რომანი თქვენზე მეტ ხანს იცოცხლებს. ხოლო იმისი სახელწოდება თქვენი სახელის სიკვდილს მოესწრება. ამ ამბავმა არ უნდა შეგაშფოთოთ. ყოვლის უფრო სახელგანსმენილი ფერმწერალნი, ფრესკებს რომ წერდნენ, და ყოვლის უფრო განთქმული მესაროთენი, ანუ მოზაიკის ოსტატნი, თავიანთ ქმნილებებს ხელს არ აწ-

ერდნენ. ბორხესი მონატრული იყო, რომ იმისი მოთხრობები დაეხსომებინათ და არა იმ მოთხრობების ავტორი.

ჩემი სამწერლო გამოცდილება ორი ასწლეულისა და ორი ათასწლეულის მიჯნაზე მოწმობს, რომ სულ სხვადასხვაგვარად მომიხსენიებდნენ ჯერეთ კიდევ სიცოცხლეში. ჩემს წიგნებს ხან რა სახელი შეარქვეს, ხან რა როგორც ინგლისურენოვან დასავლეთში, იქე გერმანიაში: „ელექტრონული მწერალი, ინტერაქტიული ლიტერატურა, არასწორხაზოვანი თხრობა, პოსტმოდერნიზმი“ (*R. Coover, L. Olsen* და სხვები). საფრანგეთსა და ესპანეთში „XXI საუკუნის პირველი მწერალი“ მიწოდეს, ხოლო ამ ქვეყნების თანამედროვე ლიტერატურის თეორეტიკოსებმა მიმაკუთვნეს *la literature a contrainte*-ს, ანუ წარსულისა და აწმყოს იმ ავტორებს რომლებიც საკუთარ სავალს ქმნიან და ახალ ლიტერატურულ მომავალს უკაფავენ გზას (*B. Schiavetta* და ჟურნალი *«Formule»*). რუსეთში ჩემი წიგნები „პოსტგუტენბერგულ სამყაროს“ მიათვალეს (ა. გენისი) და დაახასიათეს როგორც „მაგიური კონცეპტუალიზმი“ (მ. ეპსტეინი).

რა ვქნა, გინდა ქოთანიც დამარქვან, ოღონდ ქურაში ნუ შემსვამენ.

● ● ●

თუ არ მეშლება, 1979 წლის გაზაფხულის დილა იყო. მზე ელვრებოდა საძინებელს, სადაც იასამნისფერხავერდგადაფარებული საწოლი იდგა. ზედ 47 ქაღალდის ფურცელი გავშალე. თითოეულზე იმ წიგნის 47 სიტყვა-სტატიისა თუ თავის ერთ-ერთი სახელწოდება ეწერა, რომელსაც მაშინ ვწერდი. წიგნს უკვე ჰქონდა სახელი. „ხაზარული სიტყვისკონა“ ერქვა. ოთახში ერთ-ერთი ჩემი ვაჟიშვილი შემოვიდა და მკითხა:

— რას აკეთებ, მამა?

მართალი გითხრათ, არ ვიცოდი, რა უნდა მეპასუხა. იმხანად კომპიუტერი საყოველთაოდ არ იყო შემოსული, არც ჩვენ გვქონდა ოჯახში. მე კი ისეთი რამ დავწერე, რის წაკითხვაც მოსახერხებული იქნებოდა კომპიუტერული კლავიატურის წყალობით. დღეს ვინც ასეთ არაზაზოვრივ ტექსტებს წერს, ელექტრონულ მწერლებს უწოდებენ. ზოგიერთი ჩემი ნაწარმოების გამო იმათ რიცხვს ვეკუთვნი მეც.

საქმის არსი ის არის, რომ კითხვის ჩვენი ხერხი, რომელსაც ათასწლეულთა მანძილზე იყენებდნენ, უკვე რამდენადმე მოძველებულია და შეიძლება შეიცვალოს კიდეც. ამისათვის მწერალმა თავისი სამუშაოს ნაწილი მკითხველს უნდა დაუთმოს და ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის პროცესის უფრო სრულუფლებიანი მონაწილე გახადოს. მკითხველს საშუალება უნდა მივცეთ, რომ თავად გაიკვლიოს გზა რომანში, ლექსსა თუ მოთხრობაში, რომელთა შინაარსიც იმისდა მიხედვით შეიძლება რომ შეიცვალოს, კითხვის რა რუკასაც აირჩევს იგი. ლიტერატურის თეორია ამ პროცესს დღეს სხვადასხვა სახელს არქმევს (*hypertext, nonlinear narratives,interactive fiction, la litterature a con-*

trainte, ამასთანავე, უკანასკნელ ფრანგულ ტერმინს ბევრად ფართო მნიშვნელობა აქვს).

ოღონდ, ვისაც რომანის კითხვის ხერხის შეცვლა უნდა, იმან რომანის დაწერის ხერხიც უნდა შეცვალოს. საჭიროა ისეთი ნაწარმოების შექმნა, რომელსაც გამოვიყენებდით როგორც ინტერაქტიულ-ტექსტს, ეს კი მოითხოვს რომანისა თუ მოთხრობის დაწერის სრულად სხვა, ახალ ტექნიკას, რომელიც წინასწარ ითვალისწინებს და უზრუნველყოფს ათასგვარ სავალ ბილიკებს ნაწარმოების კითხვისას. ხაზობრივ სამწერლობო ენაზე უარის თქმით თითქოს სიზმრებისა და ცნობიერების ნაკადის ჩვენთვის ცნობილ მექანიზმს ვუბრუნდებით. და კიდევ ზეპირსიტყვიერებას. ხაზობრივნი არ არიან არც ადამიანის სიზმრები და არც აზრები, ისინი ფუთფუთებენ, სულ სხვადასხვა მხარეს იტოტებიან, სუყველანი ერთეამიერად არსებობენ და ამისდა წყალობით ბევრად უფრო მსჭვალავენ ცხოვრებას და იმსჭვალებიან ცხოვრებით, ვინემ რომელიც ვნებავთ ფრაზა. ამას საკუთარი გამოცდილება მალაპარაკებს. რათა ჩემს მხატვრულ ნაწარმოებებში აზრები და სიზმრები ამესახა, ჩვენი ენის გარდაქმნა გადავწყვიტე, რომელშიც სიტყვები, როგორც რომ ყვავები მავთულებზე, ერთიმეორის მიყოლებით, არახაზობრივ ფენომენად ჩამწკრივებულან. ეს ამბავი მარტო მე არ მომსვლია თავში. აღმოჩნდა, რომ კითხვის ახალი ტექნიკის გამოყენება ყველაზე უფრო წარმატებულად შეიძლებოდა კომპიუტერულ სამყაროში, სადაც დისკებზე თუ ინტერნეტში აღბეჭდილი ტექსტები მონიტორებიდან იკითხება. მკითხველი მინიშნებულ ადგილას თითს აჭერს კლავიშს, თავის არჩევანს ახდენს და თავად როგორც სურს, ისე უცვლის გეზს თავის ნაირ-ნაირ ლიტერატურულ თავგადანახადსა თუ თავგადანაყარს.

პოსტმოდერნიზმის ლიტერატურის ხსენებული მიმართულების ისტორიას არ ჩავულრმავდები, ამ დარგში მხოლოდ ჩემს მწერლურ გამოცდილებაზე ვიტყვი ცოტაოდენს. უწინარესად შევნიშნავ, რომ მუდამ არახაზობრივი თხრობის ტექნიკის გათვალისწინებით ვწერდი, რის გამოც შესაძლებელი ხდება ინტერაქტიული ტექსტების დაბეჭდვა და წაკითხვა „კლასიკური" წესით, ანუ წიგნის სახით და არამარტო ინტერნეტის საშუალებით.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ არახაზობრივი ტექნიკით დაიწერა „ხაზარული სიტყვისკონა" (1984), რომლის ქვესათაურიც — „რომანი-ლექსიკონი" — უმალ მიანიშნებს ამ ნაწარმოების ბუნებას. „სიტყვისკონის" წაკითხვა შეიძლება ისე, თითქოს ლექსიკონს იყენებდე. ბევრი ვეცადე თუ ცოტა, მაინც მივაღწიე იმას, რომ თითოეული სიტყვა-სტატია გინდ მეორე სიტყვა-სტატიამდე წაეკითხა მკითხველს, გინდ მერე, არცრა დარღვეულიყო. საკითხავიც სწორედ აქ გაჩნდა: სად არის რომანის თავი და სად არის ბოლო?

ჯერეთ კიდევ კარგა ხნის წინათ ვეკითხებოდი საკუთარ თავს, სად არის რომანის დასაბამი და დასასრული-მეთქი. სულაც ჰომეროსიდან ხომ არ იწყება რომანი? ანდა რომანის ისტორია უფრო ადრე ხომ არ მთავრდება, ვიდრე თვითონ ისტორიის ისტორია, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ხომ არ დადგა რომანის დასასრული ჩვენს დროში, რო-

მელსაც პოსტისტორიას, პოსტფემინიზმს და პოსტმოდერნიზმს ვუწოდებთ?

ჩემმა სამწერლო მუშაობამ ეს საკითხი ახალი შინაარსით აავსო. დღე ერთი იყო და კითხვა ათასი. ვიდექი და ვეკითხებოდი ჩემს თავს, სად და როდის იწყება და სად და როდის მთავრდება რომანის კითხვა-მეთქი, ანუ სახელდობრ ტექსტის რა ადგილას იწყება და მთავრდება-მეთქი რომანი? ზოგიერთ რომანში ეს ტექსტის პირველი და უკანასკნელი ფრაზაა, და ასეთი რომანის ამბავი ნათელია. მილოშ ცრნიანსკი ამის საუკეთესო მაგალითია. „დიდი ცისფერი წრე. შიგ ვარსკვლავია" — ასე იწყებს ცრნიანსკი თავის უდიდეს ნაწარმოებს. აგრე ჟღერს რომან „გარდაცვალების" დაუვიწყარი დასაწყისი, რომელი რომანის ბოლო ფრაზა დაუვიწყარსავე და უდავო დასასრულს წარმოადგენს: „არის გარდაცვალება. სიკვდილი არ არის".

მაგრამ სხვაგვარადაც ხდება. მოვიყვანოთ „ომი და მშვიდობა". რომანი ბევრად ადრე მთავრდება, ვიდრე ტექსტი. და მართლაც განა ვრონსკის კბილის ტკივილით არ ბოლოვდება „ანა კარენინა"? სად და როდის იწყება ჯოისის „ულისე"? „ულისეს" ფინალი ერთ-ერთი ყოველის უფრო დიდებული ფინალია მსოფლიო ლიტერატურაში. მამრული წიგნი მდედრულად ბოლოვდება. რომანის დასაწყისი და დასასრული თუ კითხვის დასაწყისი და დასასრული გარკვეული აზრით იქნებ იმით არის განპირობებული, რასაც იასმინა მიხაილოვიჩი „კითხვასა და სქესს" უწოდებს? უნდა ჰქონდეს კი რომანს დასასრული? და რა არის რომანის დასასრული, ლიტერატურული ნაწარმოების დასასრული? და აუცილებლად ერთი უნდა იყოს? მაინც რამდენი დასასრული შეიძლება რომ ჰქონდეს რომანს ან პიესას? ზოგიერთ ამ კითხვაზე პასუხი ჩემს წიგნებზე მუშაობისას მივიღე. წიგნებმა თავადვე გამცეს პასუხი.

დავიწყოთ ბოლოდან, XXI საუკუნიდან. ჩემმა პარიზელმა გამომცემელმა პიერ ბელფონმა „ხაზარული სიტყვისკონის" ახალი ფრანგული გამოცემისთვის პირველსათქმელის დაწერა მთხოვა. აქვე გთავაზობთ ამ ტექსტს, გამოქვეყნებულს როგორც „ხაზარული სიტყვისკონის" „ანდროგენული ვერსიის" შესავალს, რომელი ვერსიაც 2002 წელს პარიზში გამომცემლობა „*Memoire du Livre*"-მა გამოსცა:

„ხაზარული სიტყვისკონის" ანდროგენული ვერსიის პირველსათქმელი

ჩემს აღქმაში ხელოვნების სუყველა დარგი „რეევერსიულად" და „არარეევერსიულად" იყოფა. არის ხელოვნების ისეთი დარგები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ ადამიანს (რეციპიენტს), რომ მხატვრულ ნაწარმოებს სულ სხვადასხვა მხრიდან მიუდგეს, გარშემოც კი შემოუაროს, თავისი სურვილისამებრ მიუმარჯვოს თვალთახედვის ისარი და წვლილად დაათვალიეროს. აგრეა, მაგალითად, როცა ლაპარაკია ხუროთმოძღვრების, ქანდაკებისა და ფერწერის ნაწარმოებზე. მაგრამ ვიცით აგრეთვე ხელოვნების არარეევერსიული დარგები, ისეთი,

როგორიც მუსიკა და ლიტერატურაა, ერთიცა და მეორეც იმ ქუჩასა ჰგავს, რომელზეც ცალხმრივი მოძრაობაა და ყველაფერი მოძრაობს დასაბამიდან დასასრულისკენ, დაბადებიდან სიკვდილისკენ. ჩემი დიდი ხნის სურვილი იყო და არის ლიტერატურის, ხელოვნების ამ არარევერსიული დარგის, რევერსიულად გადაქცევა. ამიტომაც არა აქვთ ჩემს რომანებს დასაწყისი და დასასრული ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. ისინი შექმნილია არახაზობრივი თხრობის ტექნიკით *(nonlinear narratives)*.

ასე, მაგალითად, ჩემს „ხაზარულ სიტყვისკონას" ლექსიკონის სტრუქტურა აქვს: ეს არის „რომანი, ლექსიკონი, რომელიც 100 000 სიტყვას შეიცავს", და, ანბანისდა მიხედვით, სხვადასხვა ენაზე სხვადასხვანაირად მთავრდება. „ხაზარული სიტყვისკონის" დედანი დაბეჭდილია კირილიცით და ერთი ლათინური ციტატით ბოლოვდება: *"... sed venit ut illa implean et confirmem, Matthеus»*. ბერძნულ თარგმანში რომანი მთავრდება წინადადებით: „უცებ მივხვდი, რომ ჩემში სამი შიში ბინადრობს და არა ერთი". ებრაულ, ესპანურ, ინგლისურ და დანიურ ვერსიებს ასეთი ბოლო აქვთ: „წამკითხველის უკან მობრუნებისთანავე კი ყველაფერი პირუკუ ხდებოდა, და ტიბონს იმის მიხედვით შეპქონდა შესწორებანი, რა შთაბეჭდილებასაც იმაზედ ამდაგვარი გზა-გზა ხმამაღალი კითხვა ახდენდა". ეგევე დასასრული აქვთ წიგნის ჩინურ და კორეულ გამოცემებს. სერბული ვერსია, ლათინური ანბანით დაბეჭდილი, შვედური, გამომცემლობა *Nordstedts*-ის მიერ გამოცემული, ჰოლანდიური, ჩეხური და გერმანული, უკლებლივ სუყველა, მთავრდება ფრაზით: „ამ მზერას პაერში კოენის სახელი დაუწერია, პატრუქი აუნთია და ქალისთვის გზა თვით სახლამდე გაუნათებია". „ხაზარული სიტყვისკონის" უნგრული ვერსია ბოლოვდება წინადადებით: „უბრალოდ, იმაზედ უნდოდა შენი ყურადღების მიქცევინება, რა ბუნებისაც ხარ", ხოლო ფრანგული, იტალიური და კატალონიური ვერსიები სიტყვებით: „და მართლაც, ხაზარული კოჭობი მოაქცამამდე გვიწევს სამსახურს, თუმცა რაღა დროს ის არის". აი იაპონური ვერსიის ბოლოც (ეს ვერსია გამოცემულია *«Tokio Zogen Sha»*-ს მიერ): „ქალმა მალი ასული დაბადა — თავისი სიკვდილი. იმ სიკვდილში ქალის სილამაზე გაყოფილი იყო შრატად და აჭრილ რძედ, ძირზე კი პირი ჩანდა, რომელსაც კბილებში ლელქაშის ფესვი ეჭირა".

როცა ლაპარაკია ერთსა და იმავე წიგნის სხვადასხვა ფინალზე, საჭიროა შეხსენება, რომ „ხაზარული სიტყვისკონის" დასასრულთან ამ წიგნს ბევრად ახლო აქვს რაღაც სასქესო ორგანოს მსგავსი რამ. ეს წიგნი 1984 წელს გამოჩნდა როგორც მამრული, ისე მდედრული ვერსიის სახით, და მკითხველს თავად შეეძლო არჩევა, რომელი ვარიანტი უნდა წაეკითხა. მკითხველები ხშირად მეკითხებოდნენ, მამრულ და მდედრულ ცალეულებს რა განასხვავებს ერთმანეთისგანო. საქმე ის არის, რომ მამრი სოფელ-ქვეყანას თავისი თავის გარეთ გრძნობს, სამყაროშია თვითონ, მდედრს კი თავის თავში დააქვს სამყარო. სწორედ ეს სხვაობა გახდა რომანის მამრული და მდედრული ვარიანტების შექმნის მიზეზი. თუ გნებავთ, ეს არის დროის დაშლის სახე თუ ხატი,

რომელი დროც იყოფა კოლექტიურ მამრულ და ინდივიდუალურ მდედრულ დროდ.

ამ სახით „ხაზარულმა სიტყვისკონამ“, რომელსაც ანტონი ბურგესმმა „ნახევარი ნადირი“ (*half an animal*) უწოდა, სუყველა თავისი ნაირ-ნაირი დასასრულ-დაბოლოებით, თავისი მამრული და მდედრული სქესით, გაიარა მთელი ევროპა და ორივე ამერიკა და უკან იაპონიის, ჩინეთისა და რუსეთის გამოვლით დაბრუნდა. როგორც იტყვიან, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გზადაგზა თავის ავტორთან და იმის სხვა წიგნებთან ერთად წარმატებაც ბევრი გაიზიარა და წარუმატებლობაც (*cf.: www.khazars.com*).

„ხაზარული სიტყვისკონა“, რომელსაც ჟურნალმა *«Paris-Mach»*-მა XXI საუკუნის პირველი წიგნი უწოდა, მხოლოდ თავისი მდედრული ვერსიით შემოდის დღეს ამ საუკუნესა და მერწყულის ხანაში. ამ ვერსიის მკითხველს მამრულ ვერსიაზე მსჯელობა მარტოოდენ ამ პირველსათქმელით შეუძლია. ამგვარად, წიგნი, რომელიც XX საუკუნეში ორსქესიანი არსება იყო, XXI საუკუნეში ჰერმოფროდიტად, ანუ აკუმად გადაიქცა, ანდროგენი გახდა. რაღაც სისხლაღრევითი რამ შეიძინა. ამ ახალ სახე-ხატში, რაც გამომცემლობის გარკვეული ეკონომიური მოსაზრების ამბავია, წიგნი ისეთ სივრცედ უნდა აღვიქვათ, რომელშიც მდედრული დრო თავის თავში შეიცავს მამრულ დროსაც. მამრულ და მდედრულ ვერსიათა განმასხვავებელ ნაწყვეტს მკითხველი მოიხილავს წიგნის ბოლო წერილში იმ ფრაზის შემდეგ, რომელშიც ნათქვამია: „და მან ის ქალალდები — ქსეროასლები გამომიწოდა, წინ რომ ეწყო“. ეს წიგნის ის მამრული ორგანოა, რაზედაც ზემოთ ვთქვი, ის ხაზარული ხეა, აწ რომანის მდედრულ ვერსიაში რომ შევიდა:

„ამ დროს ერთი ფიქრით ვიფიქრე კიდეც, ჩახმახის ხორსს თუ კაუჭს თითი დავაჭირო-მეთქი. უფრო ხელსაყრელი შემთხვევა, ალბათ, არც მომეცემოდა — ბაღში მხოლოდ ერთი მოწმე იყო, და ისიც ბავშვი. მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. გამოწვდილ ხელს მეც გაწვდილი ხელი შევაგებე და გამოვართვი ჩემი აგრერიგად ამაფორიაქებელი ქალალდები, რომელთა ასლებიც ამ წერილსა აქვს დართული. როცა, იმის მაგივრად, რომ მესროლა, ქალალდებს ვართმევდი, ჩემი მზერა სარკინოზის ფრჩხილებიან თითებს მიეყინა, — რომელმა ფრჩხილებმაც თხილის ნაჭუჭი გამახსენა, და უცაბედად ის ხე წამომაგონდა, ჰალევი ხაზართა შესახებ დაწერილ თავის წიგნებში რომ იხსენიებს. ყოველი ჩვენგანი ასეთი ხეა-მეთქი, გავიფიქრე: რაც უფრო მაღლა, ცისკენ მივიწევთ, ქარებსა და წვიმებს მივარღვევთ, რათა ღმერთს მივუახლოვდეთ, მით უფრო ღრმად უნდა გავიდგათ ფესვები წყვდიადში, მწვირესა და მიწისქვეშა წყლებში, ქვევით, ჯოჯოხეთისკენ. ასეთი აზრებით შეპყრობილი ვკითხულობდი იმ ფურცლებს, მწვანეთვალება სარკინოზმა რომ გადმომცა. და წაკითხულის შინაარსით განცვიფრებულმა ვკითხე, როგორ ჩაგივარდა-მეთქი ხელში ეს ქალალდები“.

* * *

ეს იყო ჩემი რომანის ანდროგენული ვერსიის პირველსათქმელი. კიდევ რამდენსამე სიტყვას დავძენ.

„ხაზარული სიტყვისკონის“ დისკზე რომ ვმუშაობდი, როგორც კომპიუტერის სპეციალისტთა გამოთვლა-გამოანგარიშებით შევიტყვე, თურმე ამ წიგნის წაკითხვის თითქმის ორ ნახევარი მილიონი ხერხი არსებობს. მკითხველი, უკეთუ შეძლებს და ამ ციფრს მიაღწევს, წაკითხვის ვიღაც სხვის გზას გაიმეორებს. ცხადია, ეს ოდენ ერთი მაგალითია არახაზობრივი თხრობის ტექნიკის გამოყენებისა და იმ ლიტერატურული ხერხისა, რომელიც ხაზობრივ ენას გაურბის. მერედა, რისთვის გვინდა ეს ყველაფერი? პასუხი ძალიან მარტივია, მაგრამ ხაზობრივი თხრობის ტექნიკასთან დაკავშირებული პრობლემები არამარტივ გადაწყვეტილებებს ითხოვენ.

XXI საუკუნე ჩვენ წინაშე სვამს ასეთ მოლოდნელ საკითხს: შევძლებთ კი ენისაგან ლიტერატურის გადარჩენას? ერთი შეხედვით კითხვა აბსურდული ჩანს, ხომ აგრეა? მაგრამ პრობლემა უკვე კარს გვიკაკუნებს. შევეცდები, რომ ჩამოვაყალიბო ენის ჩემეული, ამ შემთხვევისთვის შესაფერი, განსაზღვრება.

წარმოვიდგინოთ ენა როგორც ადამიანის აზრთა, შეგრძნებათა და მიმოგონებათა რუკა. ვით სუყველა დანარჩენი რუკა, ენაც ასი ათასჯერ იმაზე მცირეა, რაც იმას სინამდვილეში შეესაბამება. ასი ათასჯერ უნდა შემცირდეს აზრთა, შეგრძნებათა და მიმოგონებათა გამოსახულებაც. გარდა ამისა, სუყველანი ანგარიშს ვუწევთ იმ ამბავს, რომ ამ რუკაზე არც ზღვებია მარილიანი, არც მდინარენი დიან, არც მთები მიიწევენ ცისკენ და არც ამ მთების მწვერვალებზე დევს ცივი თოვლი. გრიგალებისა და ქარიშხლების ნაცვლად დახატულია ქართა სქემა. იდეალურ რუკას უნდა ჰქონოდა მასშტაბი: 1:1, ეგევე ეხება ენას როგორც ადამიანის შინაგანი მდგომარეობისა და მეხსიერების რუკას. სხვა დანარჩენი რუკები ვერ ამართლებენ ჩვენს მოლოდინს. იმ დარჩენილ ნაწილს თუ ნარჩენს, რომელსაც ვერ მოიცავს რუკა. ჩვენს შემთხვევაში კი — ენა, რადგან არა აქვს მასშტაბი 1:1 (სხვა დანარჩენ შეუსაბამობათა შესახებ ნურც ვილაპარაკებთ), ჩვენს დროში სიტყვიერი შემოქმედების ზოგიერთი სხვა, „არალიტერატურული“ ტექნოლოგია და ის დარგები ავსებენ, ენასთან არცრა კავშირი რომ არა აქვთ.

ცხადია, რომ ახალი ათასწლეული და მერწყულის ხანა იწყება იკონიზაციის ნიშნით და არც ერთი ხელს არ უწყობს ენას. ენა იძულებული ხდება, შევიწროვდეს... ეკონომიური კომუნიკაცია, რომელიც ნიშანთა სისტემით სარგებლობს, სულ უფრო ამოკლებს იმ გზებს, ათასწლეულთა მანძილზე რომ კვალავდა ენა. შეიცვალა დამოკიდებულება როგორც დაწერილი, ისე დაბეჭდილი სიტყვის მიმართ. ადამიანი გრძნობს სხვაობას ლიტერატურის ხაზობრივ ენასა და თავის აზრთა და სიზმართა არახაზობრიობას შორის.

სამწერლო ენის ხაზობრიობა არც სასაუბრო მეტყველებას ახასიათებს. სალიტერატურო ენა ცდილობს, რომ ჩვენი აზრები და სიზმრები, გრძნობები და მიმოგონებანი თავის სწორხაზობრივ სისტემაში მოაქციოს, რომელიც ნელი და, როგორც დღეს გვეჩვენება, რბილად თუ ვიტყვით, დაყოვნებული სიჩქარით მოძრაობს. ყოველივე ამან წარმოშვა არახაზობრივი თხრობის შექმნის არაერთი ცდა, რომელი არახაზობრივი თხრობაც ლიტერატურულ ნაწარმოებს ხაზობრივი ენისაგან გადაარჩენდა. აი რატომ არის, რომ კომპიუტერული ან, თუ გნებავთ, ელექტრონული მწერლები, ინტერაქტიულ რომანებს ქმნიან, რომელ რომანებშიც ენა კარგავს თავის ხაზობრიობას, მკითხველი კი კითხვის საკუთარ რუკას ქმნის.

კითხვის ახალი, ინტერაქტიული ორგანიზაციის საჭიროება რომ ვიგრძენი, ბუნებრივია, შესატყვისი ნაწარმოებების შექმნის მოთხოვნილებაც გამოჩნდა, და როგორც „ხაზარულ სიტყვისკონაზე“ მუშაობისას, ისე მომდევნო ჩემი რომანების წერის დროს სულ იმის საცადინში ვიყავი, რომ ლიტერატურული მერმისის შესახვედრად მევლო.

წინასწარი შენიშვნები მეორე, აღდგენილი და შევსებული გამოცემისათვის

ამ წიგნის თანამედროვე ავტორი მკითხველს აღუთქვამს, რომ „ხაზარული სიტყვისკონის“ კითხვისას ის აუცილებლად არ მოკვდება, როგორც ეს წინა მკითხველს დაემართა, რომელსაც ხელთ ეპყრა „სიტყვისკონის“ 1691 წლის გამოცემა, ანუ თავდაპირველად შედგენილი. იმ პირველი გამოცემისა გამო საჭიროა ზოგ-ზოგი რამის მცირეოდენი ახსნა-განმარტება, თუმცა, თავი რომ არ შეაწყინოს, ლექსიკოგრაფი მკითხველთ გარიგებას სთავაზობს: ამ ახსნა-განმარტებათა დასაწერად თვითონ ვახშმის წინ დაჯდება, მკითხველი კი ხსენებულ ახსნა-განმარტებებს, ანუ ერთგვარ თარგმანებას, სადილს უკან წაიკითხავს. ამგვარად შიმშილი ავტორს სიტყვაძვირობას აიძულებს, ხოლო მაძღარ მკითხველს შესავალი ერთობ სიტყვაგრძელი არ მოეჩვენება.

1. „ხაზარული სიტყვისკონის“ შექმნის ისტორია

ამ სიტყვისკონაში აღწერილი ამბავი, ჩანს, ჩვენი წელთაღრიცხვის VIII ან IX საუკუნეში მოხდა (შესაძლოა, რამდენიმე მსგავსი ამბავი იყო), და საგანგებო ლიტერატურაში „ხაზარულ პოლემიკად“ იხსენიება. ხაზარები, ერთ თავისუფალ და ძლიერ ტომად შეკრული, ისტორიისათვის უცნობ ჟამს აღმოსავლეთიდან გამოჩნდნენ, მცხუნვარე მდუმარებისგან დევნილნი, და VII საუკუნიდან მოყოლებული X საუ-

ცუნემდე ორ ზღვას შუა — კასპიისა და შავ ზღვებს* შუა მდებარე ხმელეთზედ ესახლნენ. ცნობილია, რომ ქარები, რომლებმაც ისინი მორეკეს, ხვადი ქარები იყვნენ, ხვად ქარებს კი არცროდის მოაქვთ წვიმები, და იმათგან მოდის ბალახი, რომელსაც ისინი ცაზედ როგორც წვერს, ისე მიათრევენ. სლავური მითოლოგიის ერთ-ერთი ძველი წყარო თხის ზღვას მოიხსენიებს, რაც, შესაძლოა, იმ — რომელიღაც ზღვის სახელწოდებაა, რომელსაც ხაზარული ერქვა, ვინაიდან სლავები ხაზართ მეთხეებს ეძახდნენ. ცნობილია აგრეთვე, რომ ხაზარებმა ძლიერი სამეფო დააფუძნეს ორ ზღვას შუა და ამჟამ უცნობი რელიგიის აღმსარებელნი იყვნენ. ხაზარი დიაცნი ბრძოლის ველზედ თავიანთი ქმრების დაღუპვის შემთხვევაში სათითოო ბალიშს ღებულობდნენ, რათა შიგ ცრემლნი შეენახათ, დაღუპული მეომრისა გამო დაღვრილი. ხაზარებმა ისტორიაში თავი მაშინ იჩინეს, ოდეს არაბთ შეებნენ და 627 წელს ზავი შეკრეს ბიზანტიის იმპერატორთან — ჰერაკლესთან, თუმცაღა იმათი წარმოშობა გამოცანად რჩება, გამქრალია სუყველა ის კვალიც, რომელთა თვალის მიდევნება საცნაურს გახდიდა, რა სახელით და რომელ ხალხში უნდა გვეძებნა დღეს ხაზარნი. იმათ შემდგომ დუნაის პირას დარჩენილია ერთი ფავნისი, ანუ სასაფლაო, რომლის შესახებაც არცვინ იცის, მართლა ხაზარული საძვალეა თუ არა, და კიდევ ერთი ჩხნდო, გინდა ასხმულა თქვი, საკლიტურებისა, რომელთაც იაცის მაგივრად მირჩილული აქვთ ოქროს ან ვერცხლის მონეტები, ხოლო თითოეულ მონეტაზედ სამრქიანი რამ ნიშანია გამოსახული; როგორც დაუბმანუსი ჰგონებს, ასეთ მონეტებს ხაზარნი ასხამდნენ. ისტორიული სცენიდან ხაზარნი თავიანთ სახელმწიფოსთან ერთად მას შემდეგ გაქრნენ, რაც ის ამბები დატრიალდა, რომელთა შესახებაც აქ გვექნება უმთავრესად ლაპარაკი, სახელდობრ კი მას შემდეგ, რაც ისინი თავიანთი თავდაპირველი და აწ ჩვენთვის უცნობი სარწმუნოებიდან მაშინაც და ახლაც ცნობილ ერთ-ერთ სარწმუნოებაზედ მოიქცნენ — ცხედველობაში გვაქვს იუდეური, ისლამური თუ ქრისტიანული სარწმუნოება. ფიქრობენ, რომ მოქცევას მალევე მოჰყვა ხაზარული სამეფოს დაშლა. X საუკუნის ერთ რუს მხედართმთავართაგანს, თავად სვიატოსლავს, ისე, რომ ცხენიდან არც ჩამომხდარა, ვაშლივით შემოეჭამა ხაზარეთის სამეფო. ვოლგის შესართავთან მდებარე ხაზართა თავქალაქი რუსთ 843 წელს რვა ღამეში დააქციეს, ხოლო 965 წლიდან 970 წლამდე ბოლო მოუღეს ხაზარულ სახელმწიფოსაც. შემსწრენი აღნიშნავდნენ, რომ ხაზართა თავქალაქის სახლების ლანდები კიდევ დიდხანს არ ქრებოდნენ, თუმცა თავად სახლებს უკვე კარგა ხნის წინათ მოეჭა-

---

* ხაზართა შესახებ ლიტერატურის ბიბლიოგრაფია გამოქვეყნებულია ნიუ-იორკში (*The Khazars, a bibliography*); ორი მონოგრაფია ხაზართა ისტორიის შესახებ ეკუთვნის ერთ-ერთ რუს ავტორს, მ. ი. არტამონოვს (ლენინგრადი, 1936 და 1962 წ.), ხოლო ებრაელ ხაზართა ისტორია დაბეჭდილია პრინსტონში 1954წელს, ავტორია *D. M. Dunlop.*

მათ ჭირი. დგომით კი მაინც იდგნენ და წინააღმდეგობას უწევდნენ ვოლგის ქარებსა და წყლებს. როგორც XII საუკუნის ერთ-ერთი რუსული მატიანე მოწმობს, ოლეგი 1083 წელს ხაზარეთის არქონტად იწოდებოდა, მაგრამ ამ დროს, ანუ VII საუკუნეში, ყოფილი ხაზარეთის სახელმწიფოს მიწა-წყალი უკვე სხვა ხალხს — კუმანებს ეჭირათ. ხაზარული კულტურის მატერიალური კვალი ფრიად მწირია. საზოგადოებრივი თუ პირადი ხასიათის ტექსტები აღმოჩენილი არ არის, არც იმ ხაზარული წიგნების ასავალ-დასავალი ჩანს, რომელთაც ჰალევი ახსენებს, არცრა ხაზარული ენის შესახებ არის ცნობილი, თუმცა კირილე აღნიშნავს, რომ თავიანთ სარწმუნოებას ისინი ხაზარულად ქადაგებდნენ. ერთ-ერთი საზოგადოებრივი შენობა, სუვარის გათხრებისას რომ აღმოჩნდა, ოდესღაც ხაზართა კუთვნილ მიწა-წყალზედ, როგორც ჩანს, ხაზარული კი არა, ბულგარულია. არცრა განსაკუთრებული რამ პოვნილა არც ქალაქ სარკელის ნაადგილევის გათხრის ჟამს, აქ ოდესმე მდგარი იმ ციხესიმაგრის ნატამალიც კი არა ჩანს, რომელიც ხაზართათვის, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბიზანტიელთ აუგიათ. რაც სახელმწიფო ნადგურეყოთ, ხაზარნი თითქმის აღარც იხსენიებიან. X საუკუნეში ერთ-ერთი უნგრული ტომის ბელადს, ჩვენს მიწაზედ დასახლდითო, შეუთავაზებია ხაზართათვის. 1117 წელს ზოგ-ზოგნი ხაზარნი კიევში ვლადიმირ მონომახის კარზედ გამოჩნდნენ. პრესბურგში 1309 წელს კათოლიკეთ აკრძალული პქონდათ ხაზარებზედ დაქორწინება, და პაპმა ეს აკრძალვა 1346 წელს დაამტკიცა. ეს არის და ეს.

ახალ სარწმუნოებაზედ მოქცევის ხსენებული აქტი, რომელიც ხაზართათვის ხაბედისწერო გამოდგა, შემდეგნაირად მომხდარა. ხაზარმა მთავარმა — ხაკანმა, როგორც ძველი მემატიანენი აღნიშნავენ ერთხელ სიზმარი რამ იძილისშორისა, რომლის წარსათქმელად თუ ასახსნელად სამი სხვადასხვა ქვეყნიდან სამი სიბრძნისმეტყველის მოწვევა ბრძანა და „წიგნები წვევისა წარსცა ყოველთა". საქმე ხაზარეთის სახელმწიფოსთვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ხაკანს თავის ხალხთან ერთად იმ ბრძენკაცის სარწმუნოებაზედ გადასვლა გადაეწყვიტა, რომლის წართქმა თუ ახსნა სიზმრისა ყოვლის უფრო დამაჯერებელი იქნებოდა. ზოგიერთი წყაროს მტკიცებით, იმ დღეს, რა დღესაც ეს საქმე განიზრახა, ხაკანს თავზედ თმა გაუბუწუწდა, დაეხოცა, და მიხვდა, თმის სიკვდილი რასაც ნიშნავდა, მაგრამ გადათქმა და სიტყვის გატეხა აღარ ეგებოდა. ასე იყო თუ ისე, ხაკანის საზაფხულო სადგურს ხანდაუზმელად ეწვივნენ მუსლიმანი, ებრაელი და ქრისტიანი სამღვდელონი, ანუ დერვიში, რაბინი და ბერ-მონაზონი. თითოეულს ხაკანმა მარილის დანა შესძღვნა, და დაიწყო პაექრობა. სამი ბრძენკაცის თვალსაზრისი, სამი სხვადასხვა სარწმუნოების დოგმატებზედ დაფუძნებული ეს სამთა დავა-კამათი, თითოეული მოპაექრის პიროვნება და თავად ხაზარული პოლემიკის დასასრული მრავალთა ყურადღების საგანი გახდა, ზოგნი თუ პაექრობის ამბავსაც იწონებდნენ და პაექრობის შედეგსაც, სხვანი პირიქით სჯიდნენ, ასევე ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრისანი იყვნენ პოლემიკაში მძლეველთა და ძლეულთა შესა-

ხებაც. დავა-კამათი ამ განსმენილი ამბისა გამო მრავალი საუკუნის მანძილზედ გრძელდებოდა ებრაულ, ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროში, ის კი არა, დღესაქამომდეც არ შეწყვეტილა, თუმცალა რა ხანია, რაც ხაზარნი ალარ არიან. XVII საუკუნეში ხაზართა მიმართ ცნობისწადილმა ახალი ძალით იფეთქა, და ამ დროისთვის დაგროვილი ზღვა ხაზარული მასალა 1691 წელს პრუსიაში დალაგდა, გაწესრიგდა და დაისტამბა. იქვე შეისწავლეს სამრქაგამოსახულნიშნიანი მონეტები, ერთ-ერთ ძველებურ ერქეფშზედ, ანუ ცერის ბეჭედზედ, ამოკვეთილი სახელები, მარილის შესანახად განკუთვნილ თიხის დერგზედ მონახული ნახატი, დიპლომატიური მიმოწერა, მწერალთა სურათები, რომელთა ზედაც სულ წაიკითხეს რაც კი რამ წიგნის სახელწოდება უკანა პლანზედ ჩანდა, შეუსწავლელი არ დარჩენიათ არცრა დამსმენთა ბეზღობანი, არცრა ანდერძნი თუ ანდერძ-ნამაგნი, არც კიდევ შავი ზღვისპირეთიდან ჩამოყვანილ ზორაყ-თუთიყუშთა ხმოვანება, რომელნიც ვითომც გამქრალ ხაზარულ ენაზედ მეტყველებდნენ, ბევრი იყო აგრეთვე სახიობის სცენების გამომსატველი ფერწერული ნამუშევარი (იმ სცენებისდა კვალად ამოიკითხეს სანოტო ფურცლებზედ მიხატული სუყველა დადუმლული სამუსიკო ჩანაწერი), ის კი არა, ჩამოთვლილ ზღვა მასალაში ერთი ტატუირებულ-დაჭვარჭვალიტებული ადამიანის კანიც იყო, ბიზანტიური, ებრაული და არაბული წარმოშობის საარქიო მასალებზედ რომ აღარაფერი ვთქვათ. ერთი სიტყვით, არცრა გამოუყენებელი არ დარჩენილა, XVII საუკუნის ადამიანის ფანტაზიას რის მოთვინიერებაც და თავის სამსახურში ჩაყენებაც შეეძლო. და ეს ყოველივე ერთ სიტყვისკონის ყდა-კაბრაში აღმოჩნდა მოქცეული. XVII საუკუნეში, ანუ თავად მომხდარი ამბებიდან ათასი წლის შემდგომ აღძრული ამდაგვარი ცნობისწადილის ახსნა ერთმა ჟამთააღმწერელმა შემოგვინახა ბუნდოვან რამ ნაწყვეტად, რომელიც ასერიგად ჟღერს: „სუყოველ ჩვენგანს თავისი აზრი წინგაძღოლილი გამოჰყავს სასეირნოდ, ვითარცა თასმაწაბმული მაიმუნი. როს კითხულობ, ორ ამნაირ მაიმუნთან გაქვს საქმე: ერთი შენია და ერთიც სხვისი. ანდა, რაც უფრო უარესია, ერთი მაიმუნია და მეორე გიენა. მიდი და გაიგე, თუ ბიჭი ხარ, რომელს რა უნდა აჭამო. გემოვნება ხომ ორივეს სხვადასხვანაირი აქვს“...

რაღა ბევრი გავაგრძელო, ერთი პოლონური სიტყვის კონის გამომცემელმა, Joannes Daubmannus-მა (ანდა ამავე სახელისა და გვარის იმისმა მემკვიდრემ), ზემოხსენებულ 1691 წელს ხაზართა საკითხზედ ცნობათა მრავალთავი გამოაქვეყნა, თანაც მრავალთავს ის ერთადერთი შესაძლო ფორმა მოუძებნა, მთელ ჭრელ მემკვიდრეობას რომ დაიტევდა, რომელ მემკვიდრეობასაც საუკუნეთა მანძილზედ ისინი აგროვებდნენ და კარგავდნენ, ვისაც ყურზედ ფრთის კალამი ჩამოედო და პირი მელნით გაეთხუპნა. მრავალთავი დაბეჭდილი იყო როგორც ხაზართა ამბის სიტყვისკონა და სათაურად Lexicon Cosri ჰქონდა. ერთი (ქრისტიანული) ვერსიის შესაბამისად, გამომცემელს ტექსტი უკარნახა ვინმე ბერმა, სახელ-გვარად თეოქთისტე ნიკოლსკიმ, რომელსაც მანამდე კარგა ხნით ადრე ავსტრიისა და თურქეთის ჯარების შეტაკე-

ბისას ბრძოლის ველზედ ეპოვა და დაეზეპირებინა ათასგვარი წარმოშობის რამ მასალა და საბუთი, რაც ხაზართ ეხებოდა. ამრიგად, დაუბმანუსის გამოცემა სამი სიტყვისკონის მრავალთავი იყო, რომელიც შეიცავდა ხაზართა საკითხზედ ისლამური წყაროების ცალკეულ გლოსარიუმს, ებრაული ჩანაწერებიდან და თქმულება-ანდრეზებიდან ამოკრეფილ და ანბანთრიგზედ დალაგებულ ცნობათა ნუსხას, და ხაზართა საკითხის ქრისტიანული ცოდნის საფუძველზედ შედგენილ მესამე სიტყვისკონას. დაუბმანუსის ეს გამოცემა, ანუ ხაზართა სამეფოს ასავალ-დასავლის სიტყვისკონათა სიტყვისკონა, უცნაური ბედისა გამოდგა.

ხაზართა თავგადასავლის ამ პირველი სიტყვისკონის ხუთას ცალთან ერთად დაუბმანუსმა კიდევ ერთი ცალი დაბეჭდა, ოღონდ იმისათვის მოწამლული სასტამბო საღებავი გამოიყენა. მოწამლულ ცალს, რომლის ყდა-კაბრაც მოოქროვილი საკინძით იკვრობდა, იმავე სიტყვისკონის ვერცხლის საკინძიანი საკონტროლო ცალიც ერთვოდა. 1622 წელს ინკვიზიციამ დაუბმანუსის გამოცემის მთელი ტირაჟი ნადგურყო, თუმცა მიმოქცევას შემორჩა მოწამლული, აგრეთვე ზედ დართული დამხმარე ცალი, რომელთაც, როგორც ჩანს, ვერ მისწვდა ცენზურის თვალი. ამრიგად, ურჩნი და ურჯუკნი, ვისაც აკრძალული სიტყვისკონის კითხვა გადაეწყვიტა, სუყველა სასიკვდილოდ იყო განწირული. ვინც კი არ დაიშლიდა და გადაშლიდა წიგნს, ეგრეევე ადგილზევე შეშდებოდა, საკუთარ გულს, როგორც ქინძისთავს, წამოგებული. უფრო ზუსტად თუ სიტყვით, მკითხველი მეცხრე გვერდზედ კვდებოდა, როგორც კი მიადგებოდა სიტყვებს, ანუ შესიტყვებას, რომელიც აგრე ეღერს: Verbum caro factum est **(სიტყვა იქცა ხორცად)**. საკონტროლო ეგზემპლარი, თუკი მოწამლულის პარალელურად იკითხებოდა, სიკვდილის, დადგომის დადგენას ხდიდა შესაძლებელს. საკონტროლო ცალში ერთი ესეთი შენიშვნა იყო: „უკეთუ გამოღვიძებული აღმოაჩენ, რომ არცრა გტკივა, იცოდე, ცოცხლებში ალარა ხარ!“

დორფმერთა საგვარეულოს, რომელიც პრუსიაში ცხოვრობდა XVII საუკუნეში, მემკვიდრეობისა გამო დავა ჰქონია, და იმ დავიდან ჩანს, რომ სიტყვისკონის „ოქროს“ (მოწამლულ) ცალს თაობიდან თაობაში სწორედ ისინი, დორფმერნი, ფლობდნენ: უფროსი ვაჟიშვილი იღებდა ნახევარ წიგნს, მომდევნო ძმები და დები კი მეოთხედს თითოეული — ანდა ნაკლებს თუ დედმამიშვილნი მრავლად იყვნენ. წიგნის ყოველ მონაჭერთან ერთად შესაბამისად ნაწილდებოდა დორფმერთა დანარჩენი მემკვიდრეობაც: ხეხილის ბაღები, მდელოები, მინდვრები, სახლები, წყალ-ჭალები თუ საქონელი, და ძალიან დიდხანს ადამიანთა სიკვდილს ვერაფრით უკავშირებდნენ ამ წიგნის კითხვას. ერთხელაც, როს სასტიკი გვალვა დაიჭირა და საქონელს ჭირი დაერია, ვიღაცა მოვიდა და უთხრა, სუყველა წიგნს, როგორც სუყველა გოგოს, გაკუდიანება შეუძლია და მაშინ გაკუდიანებული წიგნის სული თავს აიშვებს და თუ რამ გარშემო სულიერია, დიდ-პატარიანად სპობს და მუსრავსო. ამიტომ წიგნის საკინძის ქვეშ პატარა ხის ჯვარი დადეთო, ისეთი, როგორსაც გაკუდიანებულ გოგოებს პირზედ ადებენო, რათა ავმა სულმა თავი არ აიშვას და შინაურთ არა ავნოს რაო. როს **ხაზარულ სიტყვისკონას**

აგრე მოექცნენ—საკინძის ქვეშ, როგორც რომ წიგნის პირზედ, ჯვარი დადეს, ყოველი მხრიდან ათასი ჭირი და უბედურება დაატყდა თავს, სახლეულნი კი ზედიზედ ძილში იგუდებოდნენ. მაშინ, იქნებ მღვდელმა გვიშველოს რამეო, გაიქცნენ და ჩქარა-ჩქარა მოიყვანეს მწყემსი სულიერი. მან, შინ შევიდა თუ არა, წიგნიდან ჯვარი გამოიღო, და ჭირმა იმავე დღეს წაიღო იმათი ჭირი. მღვდელმა თანაც კიდევ დამრძანა: „ნუღა იზამთ, საკინძქვეშ ჯვარს ნუღა დადებთ, რამეთუ წიგნის სული გარეთ არის, წიგნში ვერ ბრუნდება, იმიტომ რომ ჯვრისა ეშინია და გარშემო ბოროტებასაც ამად იქმს". ამრიგად, მოოქროვილ საკინძს საკლიტური დაადეს და **ხაზარული სიტყვისკონა** არაერთი ათეული წელიწადი ხელუხლებლად ესვენა თაროზედ ღამღამობით თაროდან უცნაური რამ ხმაური ისმოდა, რომელიც დაუბმანუსის სიტყვისკონიდან მოდიოდა, ამასთანავე ლვოვში ნაპოვნ იმ დროის მავანის საღღიურო ჩანაწერში ნათქვამია, რომ დაუბმანუსის სიტყვისკონაში ჩადგმული იყო ქვიშის საათი, რომელიც ვინმე ნეჰამამ გამოიგონა, კაცმა **ზოჰარის** მცოდნემ, ვისაც ლაპარაკი და წერა ერთჟამიერად შეეძლო. გარდა ამისა, ეს ნეჰამა ამტკიცებდა თურმე, საკუთარ მკლავში მშობლიური ებრაული ენის თანხმოვანი **ჰეი** შევიცანი, ხოლო ასო **ვავ-ში** ჩემი მამრული სულიო. ქვიშის საათი, რომელიც მან წიგნის ყდაში ჩადგა, უჩინარი იყო, მაგრამ კითხვისას სრულ სიჩუმეში ისმოდა, როგორ ჩამოდიოდა ქვიშა. როცა ქვიშა ჩამოიცლებოდა და ქვიშის შრიალი მიწყდებოდა მკითხველს წიგნი უნდა გადაებრუნებინა და კითხვა პირუკუღმა განეგრძო, იმ ადგილიდან, სადაც შეჩერდა, დასაწყისისკენ, აი აქ კი მეღავნდებოდა წიგნის იდუმალი აზრი. ზოგიერთი სხვა ჩანაწერი იმასაც ამბობს, რომ რაბინები არ იწონებდნენ თავიანთი თვისტომის იმ ყურადღებას, რასაც ის **ხაზარული სიტყვისკონის** მიმართ იჩენდა, და ამიტომაც იყო რომ დროდადრო ესხმოდნენ წიგნს ებრაელნი სწავლულნი. ამასთანავე, სიტყვისკონის ებრაული წყაროების მართლმორწმუნეობისა გამო რაბინთ შენიშვნები არა ჰქონიათ, მაგრამ ისინი არც სხვა წყაროების საბუთიანობას ეთანხმებოდნენ. დაბოლოს, ბარემ აქვე უნდა ითქვას, რა მწარე ბედმა აიდევნა Lexicon Cosri ესპანეთში, სადაც მავრთ „ვერცხლის ცალი" ისლამურ წრეში საკითხავად რვაასი წელიწადი ჰქონდათ აკრძალული, თანაც კიდევ ეს ვადა ჯერაც არ გასულა და აკრძალვა ისევ მოქმედებს. ეს ამბავი მხოლოდ იმით უნდა ავხსნათ, რომ იმ დროის ესპანეთში კიდევ იყვნენ ისეთი ოჯახები, რომელთა წარმომავლობაც ხაზარეთის სამეფოდან მოდიოდა. ჩანაწერები მეტყველებენ, რომ ამ „ბოლო ხაზართ" უჩვეულო რამ ჩვეულება ჰქონიათ. თუ ვისმეს გადაეკიდებოდნენ და მტრად დასახავდნენ, არც თავლაფის დასხმას აკლებდნენ და არც წყევლა-კრულვას, ოღონდ აუცილებლად მძინარეს უტრიალებდნენ და თან სულ იმის ცდაში იყვნენ, ძილში წასული დუშმანი წყევლა-კრულვით არ გაელვიძებინათ. ეტყობა, ეგონათ, რომ მაშინ უფრო ძლიერად მოქმედებდა წყევლა-კრულვა და მისაგებელსაც მალევე მიაგებდნენ, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ მტერი

მლვიძარებდა. აგრე სწყევლიდნენ და კრულავდნენ ხაზარნი დიაცნი ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელსო, ამბობს დაუბმანუსი, რასაც-ვე მოწმობს ფსევდოკალისტენე, რომლის თანახმადაც ხაზარნი თავის დროზედ დიდმა დამპყრობელმა დაიმორჩილა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. სიტყვისკონის შედგენილობა

თუ როგორ გამოიყურებოდა დაუბმანუსის მიერ 1691 წელს გამოცემული **ხაზარული სიტყვისკონა,** დღეს დანამდვილებით დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან მიმოქცევას შემორჩენილი ორი ეგზემპლარი, მოწამლული და ვერცხლისა (დამხმარე), ნადგურიქნა, თითოეული თავის ქვეყანაში. როგორც ერთ-ერთი წყარო ამბობს, „ოქროს ეგზემპლარი" სავსებით არასაკადრისად დაიღუპა. ამ ცალის ბოლო მფლობელი დორფმერთა საგვარეულოს ერთი ბერიკაცი, ცნობილი იმით იყო, რომ ხმლის სიკარგეს ხმით განსაზღვრავდა, როგორც ზარისას. ბერიკაცს წიგნი არცროდის წაეკითხა და ამბობდა: „სინათლე თვალთა ჩემთა შიგან კვერცხებსა დებს, ვითარცა ბუზნი სხმილს იარაში. ცნობილია, რის გამოჩეკაც შეიძლება ესეგვარ კვერცხთაგანო..." ამ დღემოჭმულ დორფმერს ქონიანი საჭმელი სწყინდა, ამიტომ თავის სახლეულთაგან ჩუმად ყოველდღე თითო-თითო კაბადონს ხედავდა **ხაზარული სიტყვისკონიდან** და შეჭამანდიან ჯამს ზედ მოგდებულ ცხიმს იმითი ხდიდა, მერე ცი ადგებოდა და უჩუმრადვე გადააგდებდა ხოლმე გაქონილ ფურცელს. ამრიგად, მანამდე, სანამ ვინმე შეამჩნევდა, ბერიკაცმა Lexicon Cosri ყუაზედ დაიყვანა. იმავე წყაროს ერთ შენიშვნაში ნათქვამია, რომ წიგნი დასურათხატებული იყო, ოღონდ მოხუცი დორფმერი სურათებიან გვერდებს არ ხმარობდა, რადგან ისინი შეჭამანდს გემოს უფუჭებდნენ. ერთადერთი სწორედ ეს დასურათხატებული გვერდებია, რაც სიტყვისკონიდან გადარჩა, და, შესაძლოა, გვეპოვა კიდეც დღეს თითოეული ის გვერდი, უკეთუ კვალთა შორის როგორმე სულ პირველ კვალს მივაგნებდით, რომელსაც სხვაც ბევრი მოჰყვებოდა, და დაიქნებოდა ბილიკი. მიჩნეულია, რომ ერთ-ერთ პროფესორს, შუა საუკუნეების ორიენტალისტიკისა და არქეოლოგიის სპეციალისტს, დოქტორ ისაილო სუკს, ხელთ ჰქონდა **ხაზარული სიტყვისკონის** ან რომელიღაც ეგზემპლარი, ანდა ხელნაწერი ცალის ასლი, თუმცა მეცნიერის სიკვდილის შემდგომ იმის არქივში არცრა მსგავსი აღმოჩენილა. მოკლედ, დაუბმანუსის გამოცემიდან ჩვენამდე მხოლოდღა რამდენიმე ფრაგმენტმა მოაღწია, მსგავსად იმისა, როგორც რო სიზმრის მერე ოდენ სილა რამ გვრჩება ხოლმე თვალებში.

ხაზარული სიტყვისკონის ავტორთან თუ ავტორებთან მოკამათე თუ მოპაექრე შრომების არაერთი საგულისხმო ფრაგმენტის საფუძველზედ სარწმუნოდ დადგენილია (როგორც ითქვა), რომ დაუბმანუსის გამოცემა წარმოადგენდა თავისებურ ხაზარულ ენციკლოპედიას, იმ ადამიანების ბიოგრაფიათა თუ ცხოვრებათა მრავალთავს, ვინც ხაზარეთის სამეფოს ცაზედ ისე გაიფრინა, როგორც ჩიტმა ოთახში. ეს არის აგრეთვე სხვა პირთა Vitae sanctorum, რომელ სხვა პირთაც მონაწი-

ლეობის მიღება მოუხდათ ხაზარულ პოლემიკაში, ამ პოლემიკის ქაღალდზედ ჩაწერა-გადატანაში და მერე საუკუნეთა მანძილზედ უკვე ჩაწერილ-დანუსხვილის შესწავლაში. მთელი ეს მასალა საფუძვლად დაედო წიგნს და სამ ნაწილად დაიყო.

დაუბმანუსის სიტყვისკონის ამდაგვარი შედგენილობა, რამაც ხაზართა მოქცევის თაობაზედ ებრაული, ისლამური და ქრისტიანული წყაროები გააერთიანა, მეორე გამოცემის საფუძვლადაც დარჩა. თუმცა არსებული მასალის სიმწირისა გამო ლექსიკოგრაფს წინ მრავალი სიძნელე ელობებოდა, მაგრამ მეორე გამოცემისათვის ხელის მოკიდება მან მაინც გადაწყვიტა, როგორც კი **ხაზარული სიტყვისკონის** შემდეგი ადგილი წაიკითხა: „სიზმარი ეშმაკეულის ბალია, და სუყველა სიზმარი უკვე დიდი ხანია, რაც ცნობილია კაცობრიობის ისტორიისთვის. ამჟამად ისინი, სიზმრები, მხოლოდ ენაცვლებიან ერთმანეთს ისევე კარგა გვარიანად ნასარგებლები და შელანძღული სიცხადით, რარიგადაც ნასარგებლებ-შელანძღულია მოთხოვნამდე მოსული წერილის მიღებისას ხელიდან ხელში გადასული ლითონის ფული...“ ასეთ სოფელ-ქვეყანაში ანდა, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ამა სოფლის ასეთ საფეხურზედ მართლაც შეიძლებოდა მსგავსი საქმის წამოწყება.

ამასთანავე საჭიროა ერთი შემდეგი რამის გათვალისწინება. **ხაზარული სიტყვისკონის** მეორე გამოცემის გამომცემელი სრულად უწევს ანგარიშს იმ გარემოებას, რომ დაუბმანუსის ცნობები, ანუ XVII საუკუნის მასალები, საეჭვო და საჭოჭმანოა, ისინი, უკლებლივ სუყველა, მეტისმეტი ზომა-წონით აგებულია ანდრეზ-თქმულებებზედ, თითოეული სიზმარში მირთმეულ სადილისდამაგვარ რასმე წარმოადგენს და სხვადასხვაგვარი სიძველის ცდომილებათა ქსელშია გახვეული. მაგრამ ისინი მაინც გამოგვაქვს მკითხველის სამსჯავროზედ, ვინაიდან სიტყვისკონის ამოცანა სულაც არ არის ხაზართა ისეთ ხალხად ჩვენება, როგორ ხალხადაც დღეს ჩანან, ეს უბრალოდ დაუბმანუსის დაკარგული გამოცემის აღდგენის ცდაა. ასე რომ ხაზართა შესახებ ამჟამინდელი ცოდნა გამოყენებულია დაკარგული წყაროს ფრაგმენტების უცილობელ და საჭირო დამატებად.

მკითხველს უსათუოდ უნდა შევახსენო ავრეთვე, რომ გასაგებ მიზეზთა გამო აქ არ შეიძლებოდა დაუბმანუსის სიტყვისკონის განლაგების წესისა და რიგის და ანბანის შენარჩუნება, რადგან იქ გამოყენებულია სამი დამწერლობა და სამი ენა — ბერძნული, ებრაული და არაბული — და თარიღები მოცემულია სამი ჟამთრიგობის წესით, რაც საფუძვლად უდევს იმ კალენდრებს, ეს ხალხები რომ იყენებდნენ. აქ სუყველა თარიღი ერთი კალენდრის აგებულებაშია მოქცეული და დაუბმანუსის გამოცემის სალექსიკონო სიტყვა-სტატიათა მასალა სამი ენიდან თარგმნილია ერთადერთ ენაზედ, ამიტომ ანგარიში უნდა გაუწიოს იმ ამბავს, რომ XVII საუკუნის დედანში სუყველა სალექსიკონო სიტყვა-სტატია სხვაგვარად იყო განლაგებული და სამი ენის შემცველი სამი სიტყვისკონიდან თითოეულში (ებრაულში, არაბულში და ბერძნულში) სულ სხვადასხვა ადგილას ჩნდება ერთი და იგივე სახელი, რამეთუ

სხვადასხვა ანბანში სხვადასხვაა ასოთა თანამიმდევრობა. წიგნთაც სხვადასხვა მიმართულებით ფურცლავენ, მთავარი მოქმედი პირნი კი თეატრში სცენის სხვადასხვა მხრიდან ჩნდებიან. ერთი სიტყვით, რა ენაზედაც არ უნდა გვეთარგმნა, ეს წიგნი მაინც სხვაგვარად გამოიხედავდა, ვინაიდან სუყოველ ახალ ენასა და სუყოველ ახალ-ახალ წერილობას ხაზართა სიტყვისკონის მასალის ახალი განლაგება მოსდევს და სალექსიკონო სიტყვა-სტატიებისთვისაც ადგილების შეცვლა მოგვიწევდა, ხოლო თითოეული სახელი მუდამ ახალი იერარქიით წარმოგვიდგებოდა. ამრიგად, დაუბმანუსის გამოცემის მნიშვნელოვან სიტყვა-სტატიები როგორიც არის წმ. კირილე, იუდა ჰალევი, ანდა იუსუფ მასუდი და სხვანი, დალაგებულია სრულიად სხვაგვარი თანამიმდევრობით, ვიდრე **ხაზარული სიტყვისკონის** პირველ გამოცემაში. ეს ამბავი, უდავოა, დედანთან შედარებით ამ გამოცემის მთავარ ნაკლად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მხოლოდ ის შეძლებს პირვანდელი სამყაროს ხელახლად შექმნას, ვინც წიგნის სუყველა ნაწილის სწორი თანამიმდევრობით წაკითხვას მოახერხებს. თუმცალა ამ შემთხვევაში დიახაც აგრე მოვიქეცით; იმდენად რამდენადაც დაუბმანუსის ანბანთრიგის აღდგენა შეუძლებელი იყო.

მაგრამ ყოველივე ეს უსაშველო ნაკლად მაინც არ უნდა აღვიქვათ: მკითხველი, რომელმაც იცოდა სიტყვა-სტატიათა განლაგების წესიდან და რიგიდან წიგნის იდუმალი აზრის ამოკითხვა, უკვე დიდი ხნის აღგვილია პირისაგან მიწისა, ხოლო აწინდელ მკითხველ საზოგადოებას პგონია, ფანტაზიის საკითხი მარტოოდენ მწერლის კომპეტენციას განეკუთვნება, მკითხველთ კი სრულებით არ ეხება. მეტადრე თუ სიტყვისკონაზეა ლაპარაკი. ამისთანა მკითხველს არამც და არამც არა სჭირდება წიგნში ქვიშის საათის ჩადგმა, რაც შეახსენებდა, დროა, კითხვის ხერხი გამოცვალეო, თანამედროვე მკითხველი ხომ არცროდის ცვლის კითხვის ხერხს.

3. როგორ ვისარგებლოთ სიტყვისკონით

მიუხედავად ათასგვარი რამ მოულოდნელი გართულებისა, ამ წიგნმა მაინც შეინარჩუნა თავდაპირველი გამოცემის, ანუ დაუბმანუსის გამოცემის ზოგიერთი ღირსება. იმ გამოცემისა არ იყოს, ამისი წაკითხვაც სულ სხვადასხვა ხერხით შეიძლება. ეს გადაშლილი წიგნია, ხოლო როს დახურავ, მიადექი და განაგრძე, წერე; როგორადაც წარსულში და აწმყოში ჰყვანან თავისი ლექსიკოგრაფები, ალბათ, მომავალშიც გამოჩნდება ის ხალხი, ვინც ამ წიგნს გადაწერს, გააგრძელებს და შეავსებს. ამ წიგნში, ვითარცა წმინდა წიგნებში ანდა კროსვორდებში, სიტყვა-სტატიაც ბევრია, კონკორდანსიც და კომენტარიც, და სუყველა სახელი თუ ცნება, ჯვრის, ნახევარმთვარის ანდა დავითის ვარსკვლავის ნიშნით დაჭდეული, სიტყვისკონის შესაბამის ნაწილში უნდა ეძებოს, უკეთუ ვისმე უფრო ვრცელი ახსნა-განმარტების პოვნა მოუნდა. ესე იგი სიტყვები, რომელთაც აზით ნიშანი:

ჯვარი. — უნდა ეძებოთ სიტყვისკონის **წითელ წიგნში** (ქრისტიანული წყაროები ხაზართა საკითხის შესახებ).

ნახევარმთვარე. — უნდა ეძებოთ სიტყვისკონის **მწვანე წიგნში** (ისლამური წყაროები ხაზართა საკითხის შესახებ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითის ვარსკვლავი. — უნდა ეძებოდ სიტყვისკონის **ყვითელ წიგნში** (ძველებრაული წყაროები ხაზართა საკითხის შესახებ).

სიტყვა-სტატიებს, დაჭდეულს ნიშნით:

სამკუთხედი. — სამსავე წიგნში იპოვით, ხოლო სიტყვა-სტატიებს, რომელთაც გამოარჩევთ ნიშანი A — წიგნის ბოლოს დართული Appendix I შეიცავს.

სხვაგვარად თუ ვიტყვით, მკითხველს წიგნით სარგებლობა ისერიგად შეუძლია, როგორც თავად მოუხერხდება. ზოგნი, რარიგად სუყოველ სიტყვისკონაში, იმ სახელს თუ სიტყვას დაუწყებენ ძებნას, იმ წუთას რომ ეგულისყურებათ, ზოგნი კი ამ სიტყვისკონას ისეთ წიგნად მიიჩნევენ, რომლის წაკითხვაც მთლიანად ეგების, თავიდან ბოლომდე ერთი ამოსუნთქვით, რათა სრული წარმოდგენა შეექმნათ ხაზართა საკითხზედ და ამ საკითხთან დაკავშირებულ ადამიანებზედ, საგნებზედ, მოვლენებზედ. წიგნის ფურცვლა შეიძლება მარცხნიდან მარჯვნივ და მარჯვნიდან მარცხნივ, ძირითადად აგრეც ფურცლავდნენ პრუსიაში გამოცემულ სიტყვისკონას (ებრაული და არაბული წყაროები). ამ სიტყვისკონის სამი წიგნის — ყვითლის, წითლისა და მწვანის — წაკითხვა ისეთი წესითა და რიგით შეუძლია, როგორც მკითხველს მოეპრიანება, თუნდაც იმ გვერდიდან, რომელზედაც სიტყვისკონა გადაიშლება. სწორედ ამიტომაც XVII საუკუნის გამოცემაში თითოეული წიგნი ცალკე იყო დაკაზმული, ყდა-კაბრაში ჩასმული, რის მოხელოვნებაც ამ შემთხვევაში შეუძლებელია ტექნიკურ მიზეზთა გამო. **ხაზარული სიტყვისკონის** კითხვა დიაგონალურადაც შეიძლება, რათა სამი წყაროდან თითოეულის — ისლამურის, ქრისტიანულის და ძველებრაულის — გადანაჭერი მივიღოთ. სიტყვისკონით სარგებლობის ამდაგვარი წესით სარგებლობისას ყველაზედ უფრო მიზანშეწონილია სიტყვა-სტატიათა სამ-სამად დაჯგუფება: ანდა იმ სიტყვა-სტატიათა ნახვა, ზედ ნიშანი რომ აზის, ანუ სამსავე სიტყვისკონაში რომ არის წარმოდგენილი, როგორც, მაგალითად, სიტყვები **ატეპი, ხაკანი, ხაზარული პოლემიკა** ან **ხაზარები,** ან არადა ხაზარული საკითხის ისტორიაში ერთი როლით დაკავშირებული სამი პიროვნების არჩევა. ამრიგად, კითხვის დროს შეგიძლიათ ამ სიტყვისკონის სამი სხვადასხვა წიგნიდან იმ სიტყვა-სტატიათა ერთ მთლიანად შეკვრა, სადაც ლაპარაკია ხაზარული პოლემიკის მონაწილეებზედ **(სანგარი, კირილე, იბნ ქორა),** პოლემიკის

ქრონისტ-მემატიანეებზედ **(ბექრი, მეთოდე, ჰალევი)** ანდა იმათზედ, ვინც ხაზარულ საკითხს იკვლევდა XVII საუკუნეში **(კოენი, მასუდი, ბრანკოვიჩი)** და XX საუკუნეში **(სუკი, მუაბია, შულცი)**. ცხადია, არც ისლამური, ებრაული და ქრისტიანული სამი ქვესკნელიდან მოსულ პერსონაჟთა **(ეფროსინე ლუკარევიჩი, სევასტი, აქშანი)** [illegible] დატოვება ეგების. იმათ ყველაზედ დიდი გზა გ[illegible] ამ წიგნამდე მოელწიათ.

ოღონდაც სიტყვის კონის მფლობელი ამ სახელმძღვანელო მითითებებმა არ უნდა შეაცბუნონ. თუ არ უნდა და გული არ მისდის, ნურც ერთ რჩევას გაუწევს ანგარიშს და ისე იკითხოს, როგორც ჭამს. ჩანგლის მაგივრად მარჯვენა თვალი მოივარგოს, დანის მაგივრად მარცხენა, ძვლები კი ზურგს უკან ყაროს. ეს სრულიად საკმარისია. ხან იქნებ ისეც მოხდეს, რომ მკითხველი ამ წიგნის სიტყვებს შორის დაიბნეს და დავთრები დაეკარგოს, ვითარცა მასუდის დაემართა, სიტყვისკონის ერთ-ერთ ავტორს, რომელსაც სხვათა სიზმრებში მხარი ექცა და უკან სავალი გზა ველარ გამოაგნო. ასეთ შემთხვევაში მკითხველს ერთი ისღა დარჩენია, რომ შუა გვერდიდან საითაც უნდა, იქით გადაუხვიოს და თავისი საკუთარი ბილიკი დაქნას. მაშინ რალა წიგნს მიჰყოლია და რალა ტყეს. სულერთია — აქაც და იქაც სულ ნიშან-ნიშან უნდა გაიგნოს გზა, ვარსკვლავთ, მთვარესა და ჯვართ უნდა აედევნოს, ხანაც ბოლოქანქარა ჩიტსავით უნდა შეეგბას წიგნის კითხვას, რომელი ჩიტიც მარტო ოთხშაბათობით დაფრინავს, ანდა დადგეს და, რუბიკის კუბიკისა არ იყოს, ათასი რამ ფანდითა და ილეთით ხან წალმა ფურცლოს, ხან უკუღმა. აქ არავითარი ჟამთრიგობის დაცვა საჭირო არ არის და არც უნდა დავიცვათ. ყოველი მკითხველი ფურცელ-ფურცელ თავად დააწყობს და დაალაგებს თავის წიგნს ერთ მთლიანად, როგორც ეს დომინოს ან ბანქოს თამაშის დროს ხდება, და ამ სიტყვის კონისგან, ვითარცა სარკისგან, იმდენსავე მიიღებს, რამდენსაც შიგ ჩადებს, რამეთუ ჭეშმარიტებისაგან — როგორც ერთ-ერთ მომდევნო გვერდზედ წერია — იმაზედ მეტს ვერ მიიღებ, რაც არ ჩაგიდვია, გარდა ამისა, ამ წიგნის თავით ბოლომდე წაკითხვა სულაც არ არის აუცილებელი, ნახევარი წაიკითხეთ ანდა რომელიმე ნაწილი და გაჩერდით, რაც ბუნებრივი ამბავია სიტყვისკონის კითხვისას. ვინც უფრო მეტს ეძებს, მით უფრო მეტს ღებულობს; აქაც თუ რამ კავშირ-ურთიერთობაა სიტყვისკონის სახელთა შორის, ყოველივე უკლებლივ ბედსვიან მკვლევარს ერგება. დანარჩენი დანარჩენთათვის.

4. გადარჩენილი ფრაგმენტები 1691 წლის ნადგურცემული გამოცემის პირველსათქმელიდან

(გადმოენებული ლათინურიდან)

1. მწერალი მკითხველს ამ წიგნის ხელში აღებას არ ურჩევს, თუკი მან ამის დიდი საჭიროება არ დაინახა. ხოლო ერთხელაც თუ წიგნის მიმართ გულისყური გაელვიძა და იფიქრა, მოდი ერთი, ვნახო, რა წერია შიგაო, მაშინ ისეთ დღეს უნდა ჩაუჯდეს, ოდეს იგრძნობს, რომ

გონებასა და წინდასედულობას უფრო ღრმად წვდომის უნარი შესწევს, ვიდრე ჩვეულებრივ. კითხვამ ისევე უნდა გათანგოს მკითხველი, ვითარცა ციებ-ცხელებამ თუ ცხრომ იცის, სნებამ, რომელიც დღეგრძელებით უტევს სიცხისაგან გათაკარანებულ მოავადეს და ოდენ შვიდეულის მდედრულ დღეებში აბაბანებს...

2. წარმოიდგინეთ ორი მავანი კაცი, რომელთაც ორი მხრიდან ქამანდმოგდებული პუმა უჭირავთ. უკეთუ ისინი ერთიმეორესთან მიახლოებას მოინდომებენ, პუმა ერთ-ერთს ეგრევე ზედ მოექცევა, რამეთუ ქამანდი მოეშვება. ისინი თანაბრად სამშვიდობოს მაშინ არიან, როს თითოეული თავის მხარეს ეწევა საგდებელს. ამად არის, რომ ეგზომ ძნელად უახლოვდებიან ერთურთს ის ორნი, რომელთაგან ერთი წერს და მეორე კითხულობს, ამათ შორის საერთო მარყუჟწამოცმული აზრია, ერთიც თავისკენ რომ ეწევა და მეორეც. უკეთუ პუმას, ანუ აზრს, ვკითხავდით, რას ფიქრობ ამ ორზედო, ის გვიპასუხებდა, ქამანდის ბოლოები იმათ უჭირავთ, რომელთაც სამუცლავად ისეთი რამ ჰყავთ შეგულებული, რისი შეჭმაც არ შეუძლიათო...

8. ეკრძალე, ძმობილო, ნურც ძალიან სანდო კაცი გაუხდები, ნურც კიდევ ნამეტნავად გაეგები ფეხქვეშ იმ კაცთ, ვისი ძალაუფლებაც ბეჭედშია, ძალა კი ხმლისა შხუილში. ამნაირთ გარს მიწყივ ისეთნი ახვევიან, ვინც იქ არც სიყვარულის გულისთვის ტრიალებს და არც რწმენისა გამო, არადა რა ქნან, სხვა გამოსავალი არა აქვთ. გამოსავალი კი იმად არა აქვთ, რაკი ან ფუტკარს მალავენ ქუდქვეშ, ან ზეთს იღლიაში, — ერთი სიტყვით, რაღაც იმისთანა ამბავში ურევიან, რა ამბისთვისაც ახლა უწევთ სამაგიეროს გადახდა, ჯაჭვით დაბმული თავიანთი თავისუფლებისათვის კი ვერა და ვერ აუწყვეტინებიათ და ამად ყველაფრის ჩასადენად მზად არიან. ეს კარგად უწყიან იმათ, ვინც ზემოთ არის მოკალათებული, ვინც სუყველას თავზედ აზის, და ყოველსავე თავიანთი მიზნებისთვის იყენებენ. რაღა თავი შეგაწყინო, ნახე, ემანდ უდანაშაულო დამნაშავე არ გამოხვიდე და შენც ესეგვარ წრეში არ მოხვდე. ეს კი სულ ადვილი საქმეა, უკეთუ გაბატონკაცებულთ მეტისმეტ შესხმა-ქებას ან ლიქნას დაუწყებ და შენ გარშემო მყოფ ბრბოს გამოერჩევი: ისინი, რანიც თავად არიან, სხვა იმისთანა უამრავ ბოროტმოქმედსა და დამნაშავე-ბრალეულს მიგათვლიან, ღირსებაყრილად მიგიჩნევენ, და, ეგაო, შენზედ იტყვიან, რასაც იქმს, სიყვარულისა და რწმენის გამო კი არა, ძალაუნებურად იქმს, რა არი თავისი ჩადენილი უკანონობა გამობრასო. ესეგვარ კაცთ არცვინ აფასებს და სამართლიანიც არის, რომ წიხლსა და პანღურს არ აკლებენ, ვითარცა უპატრონო ძაღლთ, ან არადა იძულებულთ ხდიან, რომ იმის მსგავსი რამ ჩაადენინონ, რაც ერთხელ უკვე ჩადენილი აქვთ...

9. რაიც შეგეხებათ თქვენ, მწერალთ, ნურცროდის დაივიწყებთ იმ ამბავს, რომ მკითხველი ცირკის ცხენსა ჰგავს: იცის, რომ სუყოველი წარმატებულად შესრულებული ნომრით შემდეგ ჯილდოდ ერთი კვნიტი შაქარი ელოდება. და თუ არ იქნება შაქარი, არც ნომერი იქნება, რაიც შეეხება კრიტიკოსთ და იმათ, ვისაც წიგნის შეფასება მოუწევს, ისინი მოტყუებული ქმრებივით არიან, — ახალ ამბავს სუყველაზედ ბოლოს იგებენ...

წითელი წიგნი

ქრისტიანული წყაროები ხაზართა საკითხის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატეპი — ხაზარი სეფექალი, რომლის მონაწილეობაც ხაზართა ნათლისღების გამო ატეხილ პაექრობაში გადამწყვეტი იყო. ეს სახელი განიმარტება როგორც ხაზართა სულის ოთხი მდგომარეობის გამომხატველი. ღამღამობით ატეპს სუყოველ ქუთუთოზედ თითო რომელიმე ასო ეწერა, ვითარცა ასპარეზობის წინ ქუთუთოებზედ ცხენთ აწერენ ხოლმე ასო-ნიშანთ, ისე ეს აკრძალული ხაზარული ანბანის ასოები იყო, რომელი ანბანის დაწერილობაც წამკითხველს უმალ კლავდა. სეფექალს ასოებს ბრმანი აწერდნენ, ხოლო დილაობით, პირის დაბანის წინ, მონამხევალნი თვალუხამნი, ანუ თვალდახუჭულნი მსახურებდნენ. აგრე იყო იგი დაცული მტერთაგან ძილის ჟამს, ოდეს ადამიანი, ხაზართა რწმენით, ყველაზედ უფრო უსუსურია. ატეპი ხატკეთილი და ღვთისმოშიში ქალბატონი იყო, ასოები კიდევ უფრო ხატავდნენ, ტაბლაზედ კი მუდამ სულ სხვადასხვა ხარისხის მარილით სავსე შვიდი სამარილე ედგა, და სანამ თევზის ნაჭერს გადაიღებდა, თითებს ყოველთვის ახალ-ახალ სამარილეში აწებდა. აგრე ლოცულობდა. ამბობენ, ვითარცა მარილი, პირისახეც შვიდნაირი ჰქონდაო. ერთ-ერთი ანდრეზისდა თანახმად, ატეპი ყოველ დილით აიღებდა თურმე სარკეს, სახატავად მოეწყობოდა, და მუდამ ახალი მონა ვინმე ან მხევალი ედგა წინ და ეხატვინებოდა. გარდა ამისა, სახეს ყოველ დილით სრულიად ახალ, ადრე არნახულ სახედ გადაიქცევდა. ზოგ-ზოგთა აზრით, ატეპი საერთოდ არ იყო პირმწყაზარი, მაგრამ სარკის წინ კოხტაობანასწავლი, პირისახეს იმისთანა გამომეტყველებას სძენდა და სახის თითოეულ ნაკვთს ისე იურვებდა, მნახველს სილამაზის შთაბეჭდილებას უქმნიდა. ეს ხელოვნური სილამაზე კი სეფექალისაგან იმდენ ძალასა და დაძაბულობას ითხოვდა, რომ როგორც კი მარტო დარჩებოდა და მოეშვებოდა, სილამაზე სახიდან მარილსავით ჩამოებნეოდა ხოლმე. რახან სიტყვა ხაზარი სეფექალის სახეზედ ჩამოვარდა, ბარემ აქვე ვთქვათ, რომ რომეების (ბიზანტიის) იმპერატორმა IX საუკუნეში „ხაზარული სახე" უწოდა ცნობილ სიბრძნისმეტყველსა და პატრიარქს ფოტიოსს, რაც ან ხაზარებთან პატრიარქის ნათესაობას გამოხატავდა, ან უბრალოდ მლიქვნელობა იყო.

დაუგმანუსის მიხედვით კი არც ერთი ვერსიაა სწორი და არც მეორე. ხაზარულ სახედ იგულისხმებოდა ყოველთა ხაზართა ის უნარი და თავისებურება, ცხადია სეფექალ ატეპისიც, რა უნარისა და თავისებურების წყალობითაც ისინი ყოველდღე სულ სხვა, სრულიად ახალი და უცნობი სახის ადამიანებად ილვიძებდნენ, ასე რომ უახლოესი თვისტომნიც კი ძლივსღა სცნობდნენ ხოლმე ერთმანეთს. თუმცა მოგზაურნი აღნიშნავდნენ, ხაზარნი სავსებით ერთნაირი სახისანი არიან სუყველანი, არც ერთს არცროდის ეცვლება სახეო, რაც ათასგვარ გართულებასა და გაუგებრობას იწვევსო. ასე იყო თუ ისე, საქმის არსზედ ეს

ამბავი გავლენას ვერ ახდენს, და ხაზარული სახე იმ სახეს ნიშნავს, რომლის დახსომებაც ძალზედ ძნელია. ამით შეიძლება არა მარტო ლეგენდის ახსნა, რომლის მიხედვითაც ხაკანის კარზედ გამართული ხაზარული პოლემიკის თითოეულ მონაწილეს სეფექალი ატეპი სულ სხვადასხვა სახით ეჩვენებოდა, არამედ იმ ცნობისაც, რომ არსებობდა სამი სეფექალი ატეპი — ერთი მუსლიმან, მეორე ქრისტიან, მესამე ებრაელ მისიონერთა და სიზმართა წარმთქმელ-ამხსნელთათვის. თუმცა, ფაქტად რჩება ის ამბავი, რომ ატეპის ყოფნა ხაზართა სამეფო კარზედ აღნიშნული არ არის იმჟამინდელ ქრისტიანულ წყაროში, რომელიც დანუსხვილია ბერძნულად და თარგმნილია სლავურ ენაზედ **(წმ. კირილეს — კონსტანტინე სოლუნელის ცხოვრება),** თუმცა ამასთანავე, **ხაზარული სიტყვისკონიდან** ცნობილია, რომ ერთ ხანს ბერძენ და სლავ მონაზვნებში სეფექალ ატეპის რაღაც კულტის მსგავსი რამ არსებობდა. ეს კულტი იმ რწმენამ გააჩინა, რომ ატეპმა პოლემიკაში ებრაელ ღვთისმეტყველს სძლია და გაქრისტიანდა ხაკანთან ერთად. რომელზედაც მაინც არ შეიძლება იმის თქმა, მამად ეკუთვნოდა ატეპს, ულელტოლად თუ ძმად. შემონახულია (ბერძნულად თარგმნილი) სეფექალ ატეპის ორი ლოცვა, რომელთაგან არც ერთი ყოფილა ოდესმე კანონდებული, თუმცაღა დაუბმანუსს ერთიცა და მეორეც მოჰყავს ვითარცა ხაზართა სეფექალის **„მამაო ჩვენო“** და **„გიხაროდენ, მარიამ!“.** პირველი ამ ლოცვათაგან აგრე ეღერს:

ჩვენს გემსა ზედა, მამაო, ზღვის კაცნი ჭიანჭველებსაებრ ფუსფუსებენ, დღეს დილით მე ჩემის თმით მოვაკრიალე აქაურობა, და ისინი, ჩვენი ზღვის კაცნი, გაკრიალებულ ნაქვს-ანძებზედ დაცოცავენ და თავიანთ ბუდეში ისე ეზიდებიან მწვანე აფრა-იალქანთ, ვითომც ყურძნის ტკბილი ფოთლებიაო. მესაჭე კიჩოს ამოძრობას ლამობს, რა არი მხარზედ მოიგდოს ნადავლსაებრ, რომელსაც მთელი კვირიაკე იმყოფინებს საჭმელად; ვინც ყველაზედ უფრო სუსტია, ისინი მარილიან თოკთ ეწევიან და ჩვენი მცურავი სახლის სტომაქში ქრებიან იმ თოკთა თანა. ოდენ შენ არა გაქვს ესეგვარი სიყმილის უფლება, მამაო ჩემო, სიჩქარე ინთქმება, და სიჩქარის ამ ჩანთქმაში შენ გეკუთვნის, ჩემო გულო, ერთადერთო მამაო ჩემო, ყოვლის უფრო ჩქარი ნაწილი. შენ ლუკმა-ლუკმად დაგლეჯილი ქარით საზრდოობ.

სეფექალ ატეპის მეორე ლოცვა თითქოს ამ ქალბატონის ხაზარული სახის ამბავსა ხსნის:

მე ზეპირად ვისწავლე დედაჩემის ცხოვრება და ყოველ დილით ერთი საათი ვითარცა სასახიობო როლს რასმე, ისე ვასრულებ სარკის წინ იმ ცხოვრებას. ეს მრავალი წელიწადი გრძელდება ყოველდღე. სანამ სარკესთან დავდგებოდე, დედაჩემის სამოსელს ვიმოსავ, მარაოსაც იმისას ვიჭერ, თმასაც იმასავით ვივარცხნი, ნაწნავიც ისეთნაირად მაქვს თავზედ შემოხვეული, ვითომცდა მატყლის არახჩინი მახურავს. დედაჩემობას სხვათა წინაშეც ვთამაშობ, ჩემი საყვარლის ლოგინშიც კი. ვნებიანობის ჟამს მე უბრალოდ არ ვარსებობ, მე კი არა, თავად დედა-

ჩემი ვნებიანობს. რაიც შეეხება თამაშს, იმზომ კარგად გამომდის, რომ ჩემი ვნება ქრება და ოდენ დედაჩემისლა რჩება. სხვაგვარად თუ ვიტყვით, მან წინასწარვე განმძარცვა ჩემი სასიყვარულო მგრძნობელობისგან. გარნა, რა ვქნა, არ ვამტყუნებ, რამეთუ ვიცი, რომ ისიც ზუსტად ჩემსაებრ თავისი დედისაგან იყო გაძარცული. უკეთუ მავანი და მავანი აწ მკითხავს, რა საჭიროა ეგოდენი თამაშიო, მივუგებ: რა საჭიროა და, ხელახლად დაბადებასა ვცდილობ, ოღონდ ისე, საქმე უკეთესად გამოვიდეს-მეთქი...

სეფექალ ატეჰის შესახებ ცნობილია, რომ მან ვერცროდის მოახერხა სიკვდილი. თუმცა არის ერთი მინაწერი, სილამაზის გულისთვის წვრილად დასვრეტილ დანაზედ ამოკვეთილი, სადაც ატეჰის სიკვდილზეა ლაპარაკი. ეს ერთადერთი და არცთუ სრულად სარწმუნო გადმოცემა დაუბმანუსს მოჰყავს, ოღონდ არა როგორც სეფექალ ატეჰის უეჭველი სიკვდილის ამბავი, არამედ როგორც განსჯა იმის თაობაზედ, შეეძლო თუ არა ატეჰს საერთოდ სიკვდილი. ვით ღვინისგან თმა არ ჭალარავდება, ისე არც ამბავი ესე იქნება მაზნევარი, ანუ მავნე. ამბავსა ჰქვია

მალი და ნელი სარკე

ერთხელ ახალ გაზაფხულზედ სეფექალმა ატეჰმა ბრძანა: ჩემს აზრებს ისეთნაირად მივეჩვიე, ვითარცა კაბებს ჩემსასაო. წელში ისინი მიწყივ ერია და იმავე სიგანისაა, და საითაც გავიხედავ, ყოველგან ვხედავ, გზაჯვარედინებზედაც კიო. რაც ყოვლის უარესია, ამ ჩემი კაბებისა გამო უკვე არც ერთი გზაჯვარედინი აღარა ჩანსო.

მხევალთ სეფექალს გასართობად ორი სარკე მიუტანეს. ისინი თითქმის არცრით განსხვავდებოდნენ სხვა ხაზარულ სარკეთაგან. ერთიცა და მეორეც გაპრიალებული არძანისგან, ანუ მარილის ქვისგან იყო ნახელოვნები, ოღონდ ერთი მალი იყო, მეორე კი ნელი. მალს რაც არ უნდა ეჩვენებინა, ქვეყნიერებას ისე ირეკლავდა, ვით მომავლისგან ვალად აღებულს, ნელი პირველის ვალს ისდიდა, რადგან ის ზედმიწევნით იმდენითვე იგვიანებდა, რამდენითაც პირველი მიდიოდა წინ. როს სარკეები სეფექალ ატეჰს წინ დაუდგეს, იგი ჯერ კიდევ ლოგინში ნებივრობდა და ქუთუთოთაგან ჩამორეცხილი არა ჰქონდა ზედ მიწერილი ასოები. როგორც კი მან სარკეში თავისი თავი თვალუხვამი, ანუ თვალდახუჭული მოიხილა, უმალ განუტევა სული. სეფექალი ორ წამში გაქრა, როს თვისთა ქუთუთოთა ზედან მიწერილი მომაკვდინებელი ასოები პირველად წაიკითხა, იმიტომ რომ სარკეებმა აირეკლეს, ვითარ დაახამხამა მან თვალები თავის სიკვდილამდეც და მერეც. იგი აღესრულა ერთჟამიერად წარსულისა და მომავლის ასოებით განგმირული...

ᲒᲠᲐᲜᲙᲝᲕᲘᲩᲘ ᲐᲑᲠᲐᲰᲘ (1651-1689) — ერთი იმათგანი, ვინც ამ წიგნს წერდა. დიპლომატი, მსახურობდა ადრიანოპოლში და ცარგრადში პორტას კარზედ, მხედართმთავარი ავსტრია-თურქეთის ომებში, ენ-

ციკლოპედისტი და ერუდიტი, ბრანკოვიჩის პორტრეტი ხატია კუპინიკში, ბრანკოვიჩთა საგვარეულო მამულში თვითონ აბრამისავე მიერ დაფუძნებული წმინდა პარასკევას ტაძრის კედელზედ. აქ ის გამოსახულია ნათესავ-მისადევართა გარემოცვაში, თავის დიდ ბებიას, პაპის დედას, სერბ დედოფალსა და წმინდანს, ღირს დედა ანგელინას — ხმლის წვერზედ შეყენებულ წმინდა პეტკას ტაძარს აწვდის.

წყაროები. ცნობები აბრამ ბრანკოვიჩზედ გაბნეულია ავსტრიელ მსტოვართა ანგარიშებსა და ბეზღ-დასმენებში, განსაკუთრებით ბევრია ისინი იმ პატაკებში, რომელთაც ბადენის პრინცისა და გენერალ ვეტერანისათვის ადგენდა ბრანკოვიჩის ორი მდივან-მწიგნობრიდან ერთ-ერთი, ნიკონ სევასტი. გარკვეული ადგილი დაუთმო აბრამ ბრანკოვიჩს, თავის ნათესავს, გრაფმა ჯორჯე ბრანკოვიჩმაც (1645-1711) თავის ვლახურ მატიანეში და რამდენიმე ვრცელ სერბულ ყამთააღწერაში, მეტადრე იმ ნაწილებში, რომლებიც, სამწუხაროდ, ამჟამად დაკარგულია. ბრანკოვიჩის უკანასკნელი დღეები აღწერა ავერკიე სკილამ, რომელიც მსახურად და ხმალდახმალ ბრძოლის მასწავლებლად ჰყავდა...

ბრანკოვიჩის ცხოვრების ყამთარიგის ყველაზედ უფრო სრულად აღდგენა შეიძლება იმ წვლილად დანუსხვილი აღსარების კვალობაზედ, რომელიც პოლონეთიდან პეჩში გაუგზავნა პატრიარქს აბრამ ბრანკოვიჩის მეორე მდივან-მწიგნობარმა თეოქთისტე ნიკოლსკიმ, აგრეთვე ილია წინასწარმეტყველის ცხოვრებისა და სასწაულთა ამსახველი ერთ-ერთი ხატის საფუძველზედ, რამეთუ ბრანკოვიჩი ამ წმინდანის ცხოვრების სუყოველ ეპიზოდს თავისი ცხოვრების ამბავთ უფარდებდა და ამის თაობაზედ ნაფიქრ-ნააზრევს ხატის უკანა პლანზე წერდა.

„აბრამ ბრანკოვიჩი იმ ოჯახის მოდგმისაა, დუნაისპირეთის მხარეში სამხრეთიდან რომ მოვიდა სერბთა სამეფოს დამხობის შემდეგ, როცა იგი თურქეთის ქვეშევრდომი გახდა“, — ნათქვამია ვენის სამეფო კარისთვის გაგზავნილ ნიკონ სევასტის საიდუმლო პატაკში. „ამ ოჯახის წევრნი, თურქთა მიერ დაჭერილი ადგილებიდან აყრისა და გამოსვლის მაშინ აზვირთებულ ტალღაში მოქცეულნი, XVI საუკუნეში ლიპოვოსა და ენეპოლის ოლქში გადასახლდნენ. მას უკან ტრანსილვანიელ ბრანკოვიჩებზედ ამბობენ, ეგენი რუმინულად ცრუობენ, ბერძნულად მდუმარებენ, ებრაულად ითვლიან, ეკლესიაში რუსულად გალობენ, ყოვლის უფრო ბრძნულ აზრთ თურქულად წარმოთქვამენ — და მხოლოდ მაშინ, ოდეს ვისიმე მოკვლა უნდათ, იყენებენ თავიანთ მშობლიურ სერბულ ენასაო. წარმომავლობით ესენი დასავლეთ ჰერცეგოვინიდან არიან, ტრებინიის სანახებიდან, გორნი პოლიცის ლასტვას ახლოისად მდებარე სოფელ კორენიჩიდან, საიდანაც წარმოდგება ამათი მეორე გვარი — კორენიჩი. გადასახლების შემდგომ ბრანკოვიჩთ თვალდსაჩენი ადგილი უჭირავთ ტრანსილვანიაში, ამათი ღვინო ვლახეთში უკვე ორასი წელიწადი ყოვლის საუკეთესოდ არის მიჩნეული, ანდაზაც კია: ბრანკოვიჩთა ღვინითაო აივსები ლხინითაო. ბრანკოვიჩთა სახლეულმა თავი გამოიჩინა არა ოდენ სამხედრო ხელოვნებაში ორი საუკუნისა და ორი სახელმწიფოს — უნგრეთისა და თურქეთის საზღვარზედ მომხდარ შეტაკებათა ყამს. ახალ ადგილას, მდინარე მორიშის მიდამოებში, ენოპოლში, ლიპოვოსა და პანკოტში, ამ გვარის არა ერთი

და ორი ფრიად სახელგანსმენილი მღვდელმსახური იღვწოდა. მოსე ბრანკოვიჩი, იგივე ეპისკოპოსი მათე, ენოპოლის მიტროპოლიტი იყო, და კაკალი, რომელსაც ის დუნაიში ჩააგდებდა ხოლმე, მუდამ სხვის ჩაგდებულზედ უფრო სწრაფად ხვდებოდა შავ ზღვაში. ძე ამ მოსე-მათესი, გრაფ გიორგი ბრანკოვიჩის ბიძა — სოლომონი (ენოპოლის ეპისკოპოსობისას საბა I იყო წოდებული) ენოპოლისა და ლიპოვის ეპარქიებს ცხენიდან ჩამოუსდომლად მართავდა და წყალს მხოლოდ უნაგირზედ მჯდომარე სვამდა მანამ, სანამ თურქთ 1607 წელს ლიპოვა არ აიღეს. ბრანკოვიჩნი ამტკიცებენ, სერბი დესპოტები რომ იყვნენ ბრანკოვიჩებიო, ჩვენი გვარი იმათგან მოდისო, ხოლო სიმდიდრე საიდან ჩაიგდეს ხელში, ძნელი სათქმელია. ამბობენ, ბრანკოვიჩების ჯიბეში ცხადლივ იმდენი ჩაჩხრიალებს, რამდენიც კავალადან ზემუნამდე სუყველა ქვაწვია მედუქნეს ერთად არ დაესიზმრებაო. ამათი თვლიანი ბეჭდები ასპიტის სხეულსავით ცივია, ამათ მიწა-წყალს ჩიტი ერთი გაფრენით ვერ შემოუფრენს, ხალხურ სიმღერებში კი ამათაც ისევე უმღერიან, ვითარცა ქვეყნის თავკაცთა და მოურავთ. ბრანკოვიჩები ვლახეთში და ათონზედ საბერძნეთში მონასტერთ მფარველობენ, სადაც ადგილი მოუვათ თვალში, ისეთსავე ციხესიმაგრეებსა და ეკლესიებს აგებენ, როგორიც რომ აგებულია სატახტო ქალაქ ბელგრადში, კუპნიკში ანდა ტეუსად სახელდებულ დაბაში. თავადმა ეიგმუნდ რაკოციმ დედის მხრივ ბრანკოვიჩის ნათესავ-მისადევართ სოფლები და ტრამალები შესძღვნა, აზნაურობა უბოძა, დედისავე მხრივ ესენი ერდელელ სეკელებს ენათესავებიან, რომელი ერდელიდანაც მზითვის სახით ცოტა რამ როდი შეემატა ამათ ავლადიდებას. აქავე უნდა შევნიშნოთ, რომ ბრანკოვიჩთა გვარში მემკვიდრეობა შვილიდან შვილზედ წვერის ფერისდა კვალობაზედ გადადის. ჟღალწვერიანი მემკვიდრენი (ჟღალი წვერი კი დედის მხრიდან მოსდგამთ, რამეთუ ბრანკოვიჩნი ცოლად მხოლოდ ჟღალთმიანთ ირთავენ) მემკვიდრეობის მიღების უფლებას შავწვერიანთ უთმობენ, რომელთა წვერიც იმის დასტურია, რომ ისინი მამის მოდგმისანი არიან. ბრანკოვიჩთა ადგილ-მამული ამჟამად დაახლოებით ოცდაშვიდ ათას ფორინტად არის შეფასებული, ამ ადგილ-მამულის წლიური შემოსავალი კი ერთ-ნახევარ ათასზედ მეტია. და უკეთუ ამათ გვარტომობას შეუძლია თუნდაც მცირე რამ ეჭვის აღძვრა, არავითარ ეჭვს არ იწვევს ამათი შეძლებულობა, რომელიც ისევე საიმედო და მკვიდრია, ვითარცა ის მიწა-წყალი, რომელზედაც ესენი ამხედრებულნი ვლიან, და ამათ ზანდუკებში ხვავრიელად გადანახულ ოქროს ფულს დღის შუქი არ უნახავს ორას წელიწადზედ მეტია...

ცარგრადს აბრამ ბრანკოვიჩი კოჭლი მოევლინა, გაორმაგებულ ფეხსაცმლის ქუსლზედ შემდგარი, და იქ ამბად ჰყვებიან, სად და ვითარ დასახიჩრდა. აბრამი შვიდი წლისა ყოფილა, მამამისის სამფლობელოს თურქნი რომ შესევიან და თავს დასცემიან იმ მსახურთა მცირე ჯგუფს, რომელთაც ბავშვი სასეირნოდ ჰყოლიათ გაყვანილი. თურქთა დანახვაზედ მსახურნი უმალ გაქცეულ-გამოქცეულან, აბრამთან მარტო ერთი ბერიკაციღა დარჩენილა, და ის თურმე კარგა ხანს მარჯვედ იგერიებდა გავეშებულ მხედართ, სანამ მომხდურთა მეთაურს იმისთვის პირიდან ისარი არ უსვრია, რომელიც კბილებშუა მოქცეულ ლელქაშის

ლეროში ჰქონოდა დამალული. ბერიკაცი მოცელილივით წაქცეულა, აბრამს კი, ხელთ შოლტი რომ სჭერია, მთელი ძალ-ღონით მოუქნევია და თურქისთვის შიგ ჩექმებიან ფეხებში უწყვეტია. ბიჭს იმ შოლტის მოქნევაში მთელი თავისი სასოწარკვეთილება და მძულვარება ჩაუტანებია, გარნა თურქს ერთი გაუცინია, სოფლის გადაღმა უბრძანებია და ცხენი დაუოთხებია. წლები კუეტსავით მიჩოჩავდნენ, აბრამ ბრანკოვიჩი აწ თავად უძღვებოდა თავის მეომართ, ხელთ დროშა ეპყრა და პირში მოწამლულისრიანი ლელქაშის ღერო ეჩარა. ერთხელაც ამ თავის ლაშქართან ერთად იგი გზად მტრის მსტოვარს გადაეყარა, რომელიც თავის შვილთან, ჯერეთ კიდევ პატარა ბიჭთან ერთად იყო. თვალად ერთიცა და მეორეც სრულიად უწყინრად გამოიყურებოდნენ, ხელთ ერთსაც ჯოხი ეჭირა და მეორესაც. ბრანკოვიჩის ერთ-ერთ კაცს ეცნო უკვე კარგა შეხნიანებული მსტოვარი, ცხენდაცხენ ზედ წაადგა, შეპყრობა დაუპირა. მოხუცი ჯოხს უქნევდა, არ ნებდებოდა. მაგას მაგ ჯოხში დასტურ საიდუმლო რამ უსტარი აქვს გრაგნილად გადამალულიო, ეჭვი შეეპარა ყველას. ბრანკოვიჩმა მოწამლული ისარი სტყორცნა და მოკლა მოხუცი. პატარა ბიჭმა, მოხუცს რომ ახლდა, მყისვე ჯოხი დაჰკრა ბრანკოვიჩს. ბიჭი, ალბათ, შვიდი წლისაც არ იქნებოდა, და მთელ იმის ძალას, სიძულვილსა და სიყვარულს თითქოს ვერცრა უნდა ევნო ბრანკოვიჩისთვის, მაგრამ ბრანკოვიჩმა ერთი კი გადაიხარხარა და მოცელილივით დაეცა.

ის დღე იყო, და მან ცალი ფეხი აითრია, დაკოჭლდა. სამხედრო სამსახური დააგდო; თავისი ნათესავის, გრაფ ჯორჯე ბრანკოვიჩის ხელშეწყობით დიპლომატად მოვლო ადრიანოპოლი, ვარშავა და ვენა. აქ, ცარგრადში, ბრანკოვიჩი ინგლისის დესპანის სამსახურში იყო და ბოსფორზედ, იოროზ კალეშისა და ყარატაშის კოშკებს შუა, კარგა დიდ ქვით ნაგებ სახლში იდგა. სახლის პირველ სართულზედ ნახევარი ტაძარი ააგებინა. და დედა ანგელინას მიუძღვნა, თავის დიდ ბებიას, რომელიც აღმოსავლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. იმავე ტაძრის მეორე ნახევარი ტრანსილვანიაშია, ბრანკოვიჩის მამის მუდმივ სამყოფელში.

აბრამ ბრანკოვიჩი წარმოსადეგი კაცია, იმისთანა ვეება გულმკერდი აქვს, დიდთა ფრინველთა ანდა მცირე ნადირთა გალია გეგონება, და თავს ხშირად ესხმიან მკვლელნი, აქაოდა ოქროს ძვლებიანიაო, ვითარცა ერთ ხალხურ სიმღერაშია თქმული.

ცარგრადს ისე მოვიდა, როგორც რომ მიწყივ მოგზაურობს: აყაყულ აქლემზედ ამხედრებული, რომელ აქლემსაც თევზეულით კვებავენ. ზეკრგზედ ბრანკოვიჩშემომჯდარი პირუტყვი თოხარიკულად დადის, და ალვირის სათაურში ჩამაგრებული თასიდან წვეთი რა არი, წვეთი ღვინოც არ ექცევა. ადრეული ბავშვობიდან ბრანკოვიჩს ღამე კი არა სძინავს, ვითარ სუყველა თვალხილულს, არამედ მხოლოდ დღისით, ოღონდ როდის გადაიყვანა თავისი საათი და როდის აქცია დღე ღამედ, არცვინ იცის. თუმცა ვერც თავისი ღამეული მღვიძარების ჟამს ისვენებს ერთ ადგილას, თითქოს სხვისი რამ ჭირი აფორიაქებსო. ამად არის, რომ სატრაპეზოდ ყოველთვის ორ თეფშს, ორ სკამსა და ორ ჭი-

ქას უდგამენ — შუა სადილობისას ხშირადრე უეცრივ, უგრძნეულოდ წამოხტება და სხვა ადგილას გადაჯდება ხოლმე. ზუსტად ასევე არ შეუძლია დიდხანს ერთს რომელსამე ენაზედ მეტყველება, ენებს ხარჭასაყვარლებსავით იცვლის და ხან რუმინულზედ გადადის, ხან უნგრულზედ ან თურქულზედ, ერთი თუთიყუშისგან კი ხაზარული ენის სწავლაც დაიწყო. ცნობილია, რომ ძილში იგი ესპანურად უბნობს, მაგრამ ცხადში ცოდნა ესე ისეგვარად უდნება, ვითარცა თოვლი დნება მზეზედ. ამ წინეებზედ ძილში ვილაც გაუგებარ ენაზედ ეგალობებოდა. ის ნაგალობარი თავით ბოლომდე ახსოვდა, და რათა გადაგვეთარგმნინებინა, ისეთ ვისმე დავუწყეთ ძებნა, ვისაც ის უცნობი ენები ეცოდინებოდა, ბრანკოვიჩმა რომ არ იცოდა. ბევრი ვეძებეთ თუ ცოტა, ერთ მავან რაბინს მივაგენით, და ბრანკოვიჩმა ძილში ვილაცისგან ნაგალობარი სულ სიტყვა-სიტყვით ჩაუბულბულა ზეპირად. ის უფრო მოკლეა, ვიდრე გრძელი, და აგრე ყლერს:

ორიგინალში მოყვანილია ექვსსტრიქონიანი ეგრაული ტექსტი (რედ.).

დასაწყისს მოჰკრა თუ არა ყური, რაბინმა უმალ სიტყვა გააწყვეტინა ბრანკოვიჩს და თავად განაგრძო სიმღერა ბოლომდე. მერმე ლექსის ავტორის სახელ-გვარიც დაგვიწერა. ლექსი ჯერეთ კიდევ XII საუკუნეში დაწერილი გამოდგა, ვინმე იუდა ჰალევის მიერ. ის დღე იყო, და ბრანკოვიჩი ძველებრაულს დაეწაფა. დაღათუმცა, რა საქმიანობასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ეწევა, ყოველსავე პრაქტიკული ბუნება აქვს. იმიტომ რომ მრავალმხრივ ნიჭიერი კაცია, სწავლისა და ცოდნის სიმდიდრე სახეზეც აწერია, ღიმილი კი ალქიმიის დონეზედ დასთამაშებს...

ყოველ საღამოს, გაიღვიძებს თუ არა, ბრძოლისათვის მზადებას იწყებს. უფრო სწორად, ერთ-ერთ აქაურ სახელგანთქმულ ხელმასწარა ოსტატთან დღემუდამ ხმალში ვარჯიშობს. ეს მეხმლე ოსტატი კოპტია, გვარ-სახელად ავერკიე სკილა, რომელიც აბრამმა მსახურად დაიქირავა. ავერკიეს ერთი თვალი სამარხვო აქვს, მეორე სახსნილო, სახის სუყველა ნაოჭი კი ერთ კვანძად შეჰკვრია წარბებს შუა, ცხვირის ფუძეზედ. ყოველგვარი დაკვრა ხმლისა, როგორიც კი ოდესმე ვისმე გამოუყენებია, სულ წვლილადა აქვს აღწერილი და ცალკე კატალოგად ინახავს, და სანამ ახალ ხმლის დაკვრის ხერხს რასმე თავის ხელნაწერ ცნობარში აღნუსხავდეს, ჯერეთ ცოცხალ ხორცზედ თავად ამოწმებს. ბრანკოვიჩი თავის კოპტ მსახურთან ერთად დევერხინა დარბაზში ჩაიკეტება ხოლმე, რომლის იატაკიც მცირე მდელოსოდენ ხალიჩით არის მოფენილი, და სრულ სიბნელეში თავიანთ ხმალთ ავად ამუსაიფებენ. ავერკიე სკილა ჩვეულებრივ მარცხენა ხელით იჭერს გრძელ აქლემის აღვირს ერთ-ერთი ბოლოთი, მეორე ბოლო კი აბრამს უჭირავს მარცხენათივე, მარჯვენაში კი ხმალი უპყრია, ისეთივე მძიმე, როგორიც ის არის, სიბნელეში ავერკიე სკილას ხელს რომ ჩაუბღუჯავს. ორივენი

მანამ იხვევენ ალვირს ხელზედ, სანამ არ იგრძნობენ, რომ მიეახლოვნენ ერთმანეთს, და მაშინ მოიქნევენ ულმობელ ხმალთ — კუნაპეტ სიბნელეში, რომლისგანაც დაყრუება შეიძლება. ბრანკოვიჩისეული ხმლის დაკვრის სიმალეზედ გუსლარ-მებარითენი მღერიან, ანდა სხვისი დამოწმება რად მინდა, შარშან შემოდგომაზედ ჩემი თვალით მოვიხილე, ვითარ იდგა იგი ერთი ხის ძირში და ვითარ ელოდებოდა ქარის დაბერვას, და პირველსავე ძირს ჩამოვარდნილ ნაყოფს ეგრევე შუაზედ აპობდა. ზედა ტუჩი ბრანკოვიჩს გახეული აქვს, და ამ კურდღლის ტუჩის დასამალავად ულვაში მოუშვა, მაგრამ, თუ ჩუმად არის, ულვაშში მაინც მოუჩანს კბილები. და კაცს ეგონება, ზედა ტუჩი საერთოდ არა აქვსო, ულვაში კი ზედ კბილზედ ამოსვლიაო...

... სერბნი ამბობენ, მაგას თავისი მხარეც უყვარს და თავისიანთაც მუდამ ეთათბირებაო, დაღათუმცა ბევრი უცნაური ნაკლი აქვს, რაც სულაც არ შეეფერება ამდაგვარი საქმიანობის კაცს. ლაპარაკში ვერც წერტილის დასმას ახერხებს და არც კიდევ ის წუთის შერჩევა შეუძლია, ოდეს უნდა ადგეს და წავიდეს .სიტყვა მიწყივ უგრძელდება, უჭიაყელავდება და ფეხს იმდენს ითრევს, მასპინძელთ უფრო ხშირადრე გამომშვიდობებისას აოცებს და აკვირვებს, ვიდრე შეხვედრისას. ჰაშიშს, რომელსაც ეს ეწევა, საგანგებოდ უმზადებს ერთი კავალელი საჭურისი, რადგან სხვას არცვის ენდობა. ვარნა რაც არ უნდა საკვირველი იყოს, ბრანკოვიჩს თრიაქის უსუსტარი მოთხოვნილება არა აქვს, და წევა რჯულზედ უმტკიცეს ჩვევად რომ არ ექცეს, დროდადრო ჰაშიშიან დაბეჭდილ ყუთს თავისი იქვრივისის, ანუ მალემსრბოლის ხელით ბეშტში აგზავნის, საიდანაც ისევ ისე დაბეჭდილსა და ხელუხლებელს იღებს უკან ორი თვის შემდეგ, როს, თავისი გამოანგარიშებით, თრიაქი უკვე ეგების დაეჭირვოს. თუ ბრანკოვიჩი გზაში არ არის, აქლემის დეევერხინა უნაგირი, ეჟვნებით დამშვენებული, მუდამ თავის დიდ წიგნთსაცავში უდგას და მაგიდის მაგივრობას აწევინებს, რომელთანაც ფეხზედ დგომელას შეუძლია წერა. შინ, რომელ ოთახშიც არ უნდა შეხვიდეთ, რა საციქველსა და რაგინდარა სახმარს არა ნახავთ, ცოტა არ იყოს, თითქოს დამფრთხალსა და შეშინებულს, ოღონდ ორს ერთნაირ რასმე ტყუილად დაუწყებთ ძებნას, რაც არ არის, რას იპოვით. სუყოველი რამ ნივთი, ცხოველი, თუ გინდაც ადამიანი, უცილობლად სხვადასხვა სოფლიდან არის ან მოტანილი, ან ამოყვანილი. მსახურთა შორის სერბნიც ჰყვანან, რუმინელნიც, ბერძნებიც, კოპტებიც, ამ წინეებზედ კი ერთი ანატოლიელი თურქიც აიყვანა. საბან-გობანი ერთი ხელი დიდი აქვს, მეორე მომცრო, და როს განისვენებს (ძილით კი მუდმივად ღვინით სძინავს), ერთი ქვეშაგებიდან მეორეში ინაცვლებს. სანამ ბატონი წევს და სძინავს, მსახური, ანატოლიელი აიყვანა-მეთქი, რომ მოგახსენეთ, იუსუფ მასული, წუთით არ აცილებს თვალს, რომლის ერთი შევლებაც სულ ძირს ყრის ციდან ფრინველთ. გაღვიძებული კი, თითქოს შეშინებულიაო, კირ აბრამი ტროპართ და კონდაკთ უგალობს თავის წინაპართ, რომელნიც სერბული ეკლესიის მიერ წმინდანთა დასისთვის არიან მითვლილნი.

ძნელი სათქმელია, რამდენად ეგრძნობიერებიან ბრანკოვიჩს დიაცნი. მაგიდაზედ ბუნებრივი სიდიდის მაიმუნის ხის ფიგურა უდგას ვეება სარცხვინელგადმოგდებული. რაღა უკურტუმო დედაკაცი და რაღა უეკლესიო სოფელიო, იტყვის ხოლმე ჟამისად კირ აბრამი, სათქმელს კოსეს, ანუ სიტყვის მასალას აბარაქიანებს, ეგ არის და ეგ. თვეში ერთხელ უფალი ბრანკოვიჩი გალატას მიემგზავრება მუდამ ერთსა და იმავე მკითხავთან, და ისიც მისულის ბედის გასაგებად ძველებურ ხერხს რასმე იყენებს ქალალდის გაშლისას, რომელ ხერხსაც ფრიად დიდი მოთმინება უნდა. მკითხავ დედაკაცს ბრანკოვიჩისთვის შინ ერთი საგანგებო მაგიდა აქვს, და იმ მაგიდაზედ სულ ახალთახალ, თახახიან ბანქოსა ჭრის ყოველთვის, როცა კი გარეთ ქარი იცვლება. რაგვარი ქარი დაუბერავს, იმაზედ არის დამოკიდებული, როგორი ქალალდი ალმოჩნდება ბრანკოვიჩის მაგიდაზედ, და ეს ამბავი წლობით გრძელდება. შარშან ალდგომას, მკითხავ დედაკაცს კარი შევუღეთ თუ არა, სამხრეთის ქარმა დაუბერა, და მან დედაკაცმა ეგრევე წართქვა:

— ცალულვაშჭალარა კაცს იძილისშორისებ. დღემოუჭმელს წითელი თვალები და ერთ ხელზედ შუშის ფრჩხილები ექნება, მოდის, ცარგრადს უახლოვდება, და მალე მიუმარჯვდებით ერთმანეთს...

ამა ამბავმა ისერიგად გაახარა ჩვენი ბატონი, ნესტოში ახლავ ოქროს ხარტუკი გაუყარეთო, ჩემზედ ბრძანა, და ძლივს გადავურჩი ამ წყალობას.

● ● ●

რაკილა ვუწყი, თუ რაოდენ დაგულისყურებულია უფალ ბრანკოვიჩის გეგმებით ვენის სამეფო კარი, ბარემ ვიტყვი, რომ ბრანკოვიჩი იმ ადამიანთა სათვალავს ეკუთვნის, ვინც რომ გამორჩეული ყურადღებითა და გულმოდგინებით ზრუნავს თავის მომავალზედ, ვინც როგორც რომ დიდ ბალს, ისერიგად უვლის და დასტრიალებს თავის მომავალს. ეს მოჩქარე კაცი არ არის. მძიმედ და თავგზიანად სახლდება მერმისში, რომელსაც, თითქოს ახლადალმოჩენილი უცნობი მიწაოო, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიკვლევს, ჯერეთ ძირკვავს და მხოლოდ შემდგომღა აგებს ყოვლის უფროისად შესაფერის ადგილას შენობას, სადაც მერმე კიდევ დიდხანს ანაცვლებს ყოველსავე სახმარ ნივთს, სანამ თითოეულს ჭეშმარიტ ალაგს არ მოარგებს. თვალი სულ იმაზედ უჭირავს, მერმისმა ემანდ ან სვლა არ შეანელოს, ან ზრდაო, თანაც ფრთხილობს, რომ თვითონაც ნაბიჯი არ აუჩქარდეს, წინ არ გაიჭრას და მერმისი სულაც უკან არ ჩამოიტოვოს. ეს თავისებური დოლია. და წაგებულია მოჩქარე. ამჟამად კირ აბრამის მერმის-მომავალი ბალსა ჰგავს, სადაც თესლი უკვე ჩაგდებულია, ოღონდ მან ერთმა უწყის, რა ამოვა იმ თესლზედ. ასეა თუ ისე, რა გეგმები აქვს ბრანკოვიჩს სამომავლოდ იმ ერთი ამბით შეიძლება მიხვედრა, რომელსაც ჩურჩულით უყვებიან ერთმანეთს. ეს არის

პეტკუტინისა და კალინას ამგავი

კირ აბრამ ბრანკოვიჩის უფროსმა ვაჟმა, გრგურ ბრანკოვიჩმა, ადრე გაყო ფეხი უზანგში და ხმალიც ადრევე მოიქნია, რომელიც აქლემის ჩონჩორიკის ცეცხლში იყო ნაწრთობი. გრგურს ტალავერ-საშოსელს, მაქმანიანსა და სისხლში გათხვრილს, ჯულიდან [illegible] გრგური დედასთან ერთად ცხოვრობდა, ცარგრადს აგზავნიდნენ ხოლმე, რათა იქ მამის თვალქვეშ გაერეცხათ და გაეუთოებინათ, ბოსფორიდან მობერილ ცინცხალ ქარში გამოეშროთ, ბერძნულ მზეზედ გაექათქათებინათ და პირველივე ქარავნისათვის გაეტანებინათ უკან ჯულაში.

აბრამ ბრანკოვიჩის მეორე, უმრწემესი ვაჟი იმხანად სადღაც ბაჩკაში იწვა, ეკლესიისებრ ამოშენებული ფერადი ღუმლის უკან, და იტანჯებოდა. ამბობდნენ, იმის მერე, რაც მაგ ბავშვს ეშმაკმა დააფსა, ეგ ღამღამობით დგება, შინიდან ხელცოცხიანი გარბის და ქუჩებსა ჰგვისო. აგრე კი იმიტომ იქცეოდა, რომ უმრწემეს ბრანკოვიჩს ღამღამობით ავი ფუძის ანგელოზი წოვდა, ქუსლებზედ ჰკბენდა, და საწყალ ბავშვს ძუძუთაგან მამრის რძე სდიოდა. კარს ამაოდ ურჭობდნენ ჩანგალს რასმე, თანაც ერთმანეთზედ მიტყუპებულ სამ თითზედ იფურთხებდნენ და მკერდზედ ჯვარსა სწერდნენ ავქარცემულს. ბოლოს ერთმა დედაკაცმა ურჩია, დასაძინებლად რომ წვები, ლოგინში ძმრიანი დანა ჩაიყოლეო, ხოლო მაჯლაჯუნად ქცეული ავი ფუძის ანგელოზი როს დაგაწვება, დილით სესხად მარილის მიცემას დაპირდი და დანა გაუყარეო. ბიჭიც ზუსტად აგრე მოიქცა. მაჯლაჯუნამ წოვა დაუწყო თუ არა, მან სესხად მარილი შესთავაზა, დანა გაუყარა, და უეცრად ყვირილი გაისმა, რომელშიც დიდი ხნის ნაცნობი ხმა ეცნო. მესამე დღეს ჯულიდან ბაჩკაში დედამისი ჩამოვიდა, კარებში შესული არ იყო, რომ მარილი ითხოვა და უსულოდ დაეცა. ქალს ტანზედ ნაჭრევი უნახეს, დანა ჰქონდა დასმული, ნაჭრევს მუავე გემო დაჰკრავდა... ის დღე იყო, და ყმაწვილი ავადობამ დაიტანა, თმის ცვივნა დაეწყო, და თითოეულ ჩამოვარდნილ თმის ღერთან ერთად (როგორც რომ ბრანკოვიჩს ექიმბაშებმა უთხრეს) სიცოცხლის თითო წელიწადს კარგავდა. შვილის ჩამოცვივნულ თმას, სუყოველ ბღუჯას, ბრანკოვიჩს ტომსიკით უგზავნიდნენ. ისიც იდგა და იმ თმას რბილ სარკეს აწებებდა, რომელზედაც ბავშვის სახე ეხატა, და ასეთნაირად იტყობდა იგი, რამდენი წლით ნაკლები სიცოცხლე დარჩენოდა თავის შვილს.

თითქმის არცვინ იცოდა, რომ ამ ორი ბიჭის გარდა, კირ აბრამს კიდევ ერთი შვილობილი ჰყავდა. ეს მესამე ბიჭი, ანუ შვილობილი, უდედოდ იყო გაჩენილი. ბრანკოვიჩმა ის თიხისაგან გამოიყვანა, თავზედ დაადგა და მეორმოცე ფსალმუნი წაუკითხა, რათა სული შთაებერა და აემოძრავებინა. როს მან წართქვა სიტყვები: „მტკიცედ ვესავდი უფალს, და მომხედა მე და მოისმინა ვედრება ჩემი. ამომიყვანა საზარელი ორმოდან, გაუვალი ტალახიდან და დააყენა კლდესა ზედა ფეხნი ჩემნი..." სამჯერ ჩამორეკა ეკლესიის ზარმა დალში, ყმაწვილი გაფაჩუნდა და თქვა:

— პირველად როცა ჩამორეკეს, ინდოეთში ვიყავი, მეორე ჩამორეკვაზედ — ლაიფციგში, ხოლო მესამედ რომ გაისმა ზარის ხმა, ჩემს სხეულში შეველ...

მაშინ ბრანკოვიჩმა შვილობილს თმა სოლომონის კვანძად შეუკრა, ზედ კუნელის კოვზი დაჰკიდა, საწოდებლად პეტკუტინი დაარქვა და გაუშვა თავის გზაზედ. თავად კი ყელზედ ბაწარგაყრილი ქვა შეიბა და აგრე იდგა მთელი წირვა დიდმარხვის მეოთხე, ანუ ჯვრის თაყვანისცემის კვირაში.

მამას, რასაკვირველია, ევალა (რა არი ყველაფრად ისეთივე ყოფილიყო, როგორიც სუყველა სულდგმულია), რომ პეტკუტინის სხეულში სიკვდილიც ჩაესახლებინა. ალსასრულის ჩანასახი, ეს პატარა და ჯერეთ კიდევ უწლოვანი სიკვდილი პეტკუტინის სხეულში პირველჟამად მშიშარა და მოსულელო იყო, საზრდელს სულაც არ ეტანებოდა, სუყველა ასო-ნასხამი განუვითარებელი ჰქონდა. ოღონდ უკვე მაშინვე იგი უზომოდ ხარობდა, რომ პეტკუტინი იზრდებოდა, ზრდით კი ის ისერიგად იყრიდა ტანს, უცხოდ ნაქარგი სახელოები მალე იმხელები დაუხდა, შიგ ჩიტებს ფრენა შეეძლოთ. მაგრამ პეტკუტინში ჩასახლებული სიკვდილი მსწრაფლ უფრორე მარდი და გონიერი შეიქმნა, ვინემ თავად პეტკუტინი იყო, და ხიფათს რასმე იმაზედ ბევრად ადრე ამჩნევდა. მერმე კი სიკვდილი იმდაგვარად იქცეოდა, თითქოს მეტოქე გაიჩინაო, რომლის გამოც სალაპარაკო ჯერეთ წინა მაქვს. ის ფრიად მოუთმენელი და ეჭვიანი გახდა და ყურადღების მიქცევას იმით ცდილობდა, რომ პეტკუტინს მუხლების ქავილს უწყებდა. პეტკუტინიც იფხანდა და ფხანა-ფხანაში კანზედ ფრჩხილით ასოები გამოჰყავდა, რომელთა წაკითხვაც მერმე თვალდათვალ შეიძლებოდა. აგრე და ამრიგად ჰქონდათ ერთმანეთში მიწერ-მოწერა. განსაკუთრებით პეტკუტინის სნეულებანი არ მოსწონდა სიკვდილს. შემქმნელ მამას კი პეტკუტინი სატკივრითაც უნდა მოემარაგებინა, ვალდებული იყო, რახან უნდოდა, რომ შვილი სულ უფრო მეტად დამგვანებოდა ცოცხალ არსებას, რომლის უსატკივრობა ისევე არ ეგების, ვითარცა თვალების უქონლობა. ოღონდ ბრანკოვიჩი ბევრს ეცადა, რომ პეტკუტინის სატკივარი უმეტესად უსაფრთხო ყოფილიყო, და ის თივისმიერიცხელება უწყალობა, რომელიც გაზაფხულზედ ჩნდება, როს ბალახი თავთავის დასხმას იწყებს და ქარსა და წყალს ყვავილის მტვერი ავსებს.

ბრანკოვიჩმა პეტკუტინი თავის მამულს შეაფარა დალში. სახლი, სადაც ის დააბინავა, სავსე იყო მწევარი ძაღლებით, რომელთაც სასიკვდილოდ დაგლეჯა უფრორე ეადვილებოდათ, ვინემ შეჭმა. თვეში ერთხელ მსახურნი სამურვლებით უწმენდნენ მწევართ საგებელთ და სულ ბუნჯგალ-ბუნჯგალ ყრიდნენ ძაღლის ბალანს, ეს ბუნჯვლები კი იმსიგრძე იყო, მავანს ძაღლების კუდები ეგონებოდა. პეტკუტინს რომ ოთახები ეჭირა, როდისმე თითოეული მიწყივ ერთი და იმავე, საგანგებო რამ ფეროვნებისა ხდებოდა, რის მიხედვითაც იმის თავშესაფარს ათას სხვაში გამოარჩევდი. რაც კი რამ კვალსა და ცხიმის ლაქას თვითონ პეტკუტინი და იმისი ოფლი აჩნევდა კარების მინის სახელურთ, დორბალიშთ, სკამ-სელთ, დივანთა და სავარძელ-საკარცხულთ, ყალიონთ, დანა-ხანჯალთა და ფინჯანთ, სუყოველი კვალი და ლაქა ცისარტყელასებრ ლივლივებდა და ლივლივებდა ოდენ პეტკუტინისთვის დამახასიათებელი ფერადოვნებით. ეს იყო პორტრეტის, ხატის ანდა მოხატულობის ერთგვარი ნაირსახეობა. ბრანკოვიჩი პეტკუტინს ჟამისად

თავს მწვანე მდუმარებაში ჩაფლული ვეება სახლის სარკეებში წაადგებოდა ხოლმე. იდგა და ასწავლიდა თავის თიხის ბიჭს, წონასწორობის დაცვით ვითარ უნდა შეენივთებინა თავის თავში შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული და ზაფხული წყალთან, მიწასთან, ცეცხლთან და ქართან, რომელთაც თავად ადამიანიც ზიდავს თავის გვამსა შიგან. უზარმაზარი შესასრულებელი სამუშაო დიდხანს გრძელდებოდა, პეტკუტინს აზრებზედ ბებერები გაუჩნდა, მეხსიერების კუნთები დაწყვეტაზედ ჰქონდა. ბრანკოვიჩმა იმდენი ქნა, ბოლოსა და ბოლოს ასწავლა მარცხენა თვალით წიგნის ერთი გვერდის, მარჯვენათი მეორე გვერდის კითხვა, მარჯვენა ხელი სერბულ წერაში გაუწაფა, ხოლო მარცხენა თურქულში. მერმე თიხის ბიჭს ლიტერატურა გააცნო, და პეტკუტინი პითაგორას შრომებში მარჯვედ განსაზღვრავდა იმ ადგილთ, რომელთაც აშკარად ეტყობა, რომ იგი **ბიბლიას** კითხულობდა, ხელს კი პეტკუტინი ისე სწრაფად აწერდა, თითქოს ბუზს იჭერსო.

მოკლედ თიხის ბიჭი ხატკეთილი და განათლებული ყმაწვილი დადგა და მხოლოდ ჟამითი ჟამად თუ იზამდა ისეთ რასმე, რის მიხედვითაც შეიძლებოდა ვარაუდი, რომ სხვათაგან ოდნავ განსხვავდებოდა. აგრე, მაგალითად, ორშაბათს საღამოთი შეეძლო, რომ კვირის მომდევნო დღის მაგივრად მომავლიდან წამოეღო რომელიმე სხვა და მეორე დღეს სამშაბათად გამოეყენებინა. ხოლო უკვე გამოყენებულ დღემდე რომ მივიდოდა, იმ დღის მაგივრად სამშაბათს გამოიყენებდა, რომელსაც თავის დროზედ გადაახტა, — აგრე და ამგვარად, ბალანსი აღდგენილი იყო. მართალია, ესეგვარი შემთხვევის დროს დღეებს შუა ნაკერები მთლად სწორი არ გამოდიოდა, დროში ბზარები ჩნდებოდა, მაგრამ ეს ამბავი მხოლოდ ართობდა და გულს აყოლებინებდა პეტკუტინს.

მამამისის საქმე უფრო სხვანაირად იყო. იმას უსუსტრად აეჭვებდა თავისი ნახელოვნების სრულყოფილება, და პეტკუტინი ოცდაერთი წლისა რომ გახდა, შვილობილის შემოწმება გადაწყვიტა, მოდი, ერთი ვნახო, ნამდვილ ადამიანებთან ყველაფერში გაჯიბრებისა და მეტოქეობის თავი აქვს თუ არაო. ბრანკოვიჩი აგრე მსჯელობდა: ცოცხალთ ეს უკვე შეამოწმეს, აწლა საჭიროა მკვდართაც შეამოწმონო. იმიტომ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკვდარნიც მოტყუვდებოდნენ, პეტკუტინის დანახვისას იფიქრებდნენ, ჩვენ წინ სისხლხორცეულად უტყუარი ადამიანია, რომელიც ჯერეთ მარილს აყრის და მერმე მიირთმევსო, შეიძლებოდა თქმა, რომ საცადისი გამოუვიდა. რახან ასეთი რამ გადაწყვიტა, ადგა და პეტკუტინს საცოლე მოუძებნა.

ვლახეთის წარჩინებულ პირთ წესადა აქვთ თან ერთი გვამისმცველისა და ერთიც სულისმცველის ყოლა, ბრანკოვიჩიც ოდესღაც მისდევდა ამ წესს. სულისმცველად ერთი ვინმე თრაკიელი ვალახი ჰყავდა, რომელიც ამბობდა, ამქვეყნად ყოველივე გაჭეშმარიტებულიაო, და რომელსაც ულამაზესი ასული ესვა. გოგონას ყველაფერი საუკეთესო დედისგან გამოჰყვა, ასე რომ თავად დედა მშობიარობისა შემდგომ სამარადჟამოდ გონჯად დარჩა. პატარას ათი წელიწადი რომ შეუსრულდა, დედამ თავისი ოდესღაც მშვენიერი ხელებით პურის გამოსაცხობად ცომის ზელა ასწავლა, მამამ კი თავისთან უხმო, მომავალი წყალი არ

არისო, უთხრა და აღესრულა. თვალმწყაზარ გოგოცუნას მამის სიკვდილისა გამო სულ ნაკადულად სდიოდა ცრემლი, და იმ ნაკადულში მოხვედრილ ჭიანჭველთ მწუხარე ასულის სახემდე შეეძლოთ აცოცება. ამის შემდეგ ბრანკოვიჩმა ისერიგად მოაწყო საქმე, რომ დაობლებული გოგო პეტკუტინს შეახვედრა. გოგოს კალინა ერქვა, კალინას ჩრდილს დარიჩინის სუნი სდიოდა, და პეტკუტინმა იგუმანა, ეს გოგო იმას შეიყვარებს, ვისაც მარტში შინდი აქვს ნაჭამიო. და მოილოდინა მარტი, გემრიელად მიაძღა შინდს და კალინას დუნაის პირას გასასეირნებლად წაყოლა სთხოვა. აქეთობისას, ერთმანეთს რომ ემშვიდობებოდნენ, კალინამ ხელიდან ბეჭედი წაიძრო და მდინარეში გადაუძახა.

— თუ რამ სასიამოვნო მოხდება, — აუხსნა მან პეტკუტინს, — მუდამ არასასიამოვნო წვრილმანით უნდა შეკაზმო, მომხდარი ამბავი აგრე უკეთესად გვამახსოვრდება. იმიტომ რომ ადამიანს უფრო დიდხანს ახსოვს არა კეთილი, არამედ ბოროტი.

რაღა ბევრი გავაგრძელო, გოგოსაც მოეწონა პეტკუტინი, პეტკუტინსაც თვალში მოუვიდა გოგო, და იმავ შემოდგომაზედ ყველა ჩვენგანის გულის გასახარად ჯვარიც დასწერეს. მძახლები და ნათლიები ქორწილის შემდეგ გულითადად დაემშვიდობნენ ერთმანეთს, იყო ერთი მტლაშამტლუში და პრაშტიპრუშტი, ბევრი თვე გაივლის, სანამ კიდევ შევხვდებითო, დაშლისა და წამსვლელ-დამრჩენისა თითოც გადავკრათო, ევრე ხელიხელგადახვეულნი ხან ერთ მარანში იძახდნენ ვარხალალოს, ხან მეორეში, ხან ერთი ლადუკი გამოცალეს, ხან მეორე, იმდენი ჟიპიტაური და იყი დალიეს, იმდენი ივარხალალეს, თავს გაზაფხული წამოადგათ, და როს ბოლოსა და ბოლოს სასმელი გამოუნელდათ, გამოფხიზლებულთ გარშემო მიიხედ-მოიხედეს და ლოთობაში გრძელზამთარგამოვლილთ კვლავ დაინახეს ერთმანეთი, ერიჰაო, ერთი კი წამოიძახეს, ისევ დალს მიაკითხეს და, ვითარ იქ იყო მიღებული, ახალჯვარდაწერილნი თოფების სროლა-სროლით საგაზაფხულო მოგზაურობაში გააცილეს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ დალში წესადა აქვთ: თუ დასვენება ანდა უბრალოდ გულის გადაყოლება უნდათ, ძველთუძველეს ნანგრევებთან მიდიან, სადაც შემორჩენილია მშვენიერი ქვის სკამები და ბერძნული წყვდიადი, რომელიც ბევრად უფრო ხშირი და შეგვირისტებულია, ვინემ სხვა რომელიმე სიბნელე, ისევე როგორაც ბერძნული ცეცხლია სხვა რომელიც გინდა ცეცხლზედ ბევრად უფრო კაშკაშა. ამ უძველეს ნანგრევთ მიაშურეს პეტკუტინმა და კალინამაც. შორიდან იტყოდი, პეტკუტინი შავრაცხენებშებმული ურმის, ანუ ეტლის კოფოზედ ზისო, მაგრამ თუ პეტკუტინი მავანი ყვავილის სუნზედ უცაბედად ცხვირს დააცემინებდა ანდა მოლტს გაატყლაშუნებდა, ცხენთ უმალ შემოეფანტებოდათ გარშემო შავი ბუზების ღრუბელი, და ჩანდა, რომ ისინი თეთრონები იყვნენ. თუმცა ეს ამბავი არც პეტკუტინს უცრიდა ხელს და არც კალინას.

ქალ-ვაჟმა ერთმანეთი ამ ზამთარს შეიყვარა. ჭამით ისინი ერთი ყეჯალ-ჩანგლით ჭამდნენ ნაცვალგარდად, ანუ რიგრიგობით, და ქალი ღვინოს ვაჟის პირიდან იხმევდა, ანუ სვამდა. ვაჟი ისეთნაირად ეგრძნობიერებოდა და ესიყვარულებოდა, ქალს სხეულში სული უჭრიალებდა, თვითონ ქალი კი ზედ ისერიგად აკვდებოდა, თავბრუდახვეულ ვაჟს

შიგ აფსმევინებდა. არცრამ იმისთანა ლიტინი არ იცის, როგორც რომ სიყვარულის დღეებში წამოზრდილმა სამდლიანმა კაცის წვერმა, სიცილ-სიცილით ეზრახებოდა პატარძალი თავის მოასაკე ცარა-გოგოებს. თავისთვის კი ხუმრობაგაშვებით ფიქრობდა: ჩემი ცხოვრების წუთები და წამები ისე იხოცებიან, ვითარცა თევზთაგან გადაყლაპულნი ბუნაგნი. და ალარ იცოდა, რა ექნა, რა ელონა, რომ იმ წუთებისა და წამებით გულისწორის შიმშილსაც ესაზრდოვა. მოდი, ყური მოპაკვნიტე და შეჭამეო, ეხვეწებოდა ხოლმე და არცროდის არც უჯრას მისწევდა, არც განჯინის კარს მიხურავდა, რა არი თავისი ბედი არ დაეცარა. ჩუმი, უთქმელი გოგო იყო, რამეთუ მამის ერთი და იმავე გაუთავებელი ლოცვის იდუმალებაში გაიზარდა, რომელი ლოცვის ირგვლივაც იდუმალების მუდამ ერთი და იგივე ნაირსახეობა ნივთდებოდა, და ახლა, ოდეს გზას ადგნენ, რალაც მსგავსი რამ ხდებოდა, და პატარძალს ეს ესათნოებოდა. პეტკუტინმა სადაველები კისერზედ გადაიცვა და რომელიღაც წიგნში ჩარგო ცხვირი, კალინა კი ტიტინებდა და თან ერთ რასმე თამაშს ეთამაშებოდა. უკეთუ ტიტინ-ტიტინში ის რომელსამე სიტყვას სწორედ იმ დროს წამოისროდა, როდესაც პეტკუტინი იმავე სიტყვას თავის წიგნში წაიწყდებოდა, ისინი როლებს ცვლიდნენ, და მაშინ კითხვას კალინა განაგრძობდა, ხოლო პეტკუტინი სიტყვისთვის იმავე სიტყვის მოხვედრას ცდილობდა. მაგალითადრე, რომ კალინამ მინდვრად გადილავებული მობალახე ცხვრისკენ თითი გაიშვირა, ხოლო პეტკუტინმა უთხრა, წიგნში სწორედ ამწუთას მეც იმ ადგილას მივედი, სადაც ცხვარია ნახსენებიო, ქალმა დაჯერება არ ინდომა, წიგნი გამოართვა და დაინახა, რომ შიგ სიტყვასიტყვით შემდეგი რამ ეწერა:

რაკი საკლავი აღვუთქვი და ვილოცე კიდეც,
მკვდართ ორმოს თავზედ დავუკალი ნერბი და ვერძი,
შიგ შავმა სისხლმა იწყო დენა, შემოკრბნენ მაშინ
გარდაცვლილთ სულნი, ერებოსში მობინადრენი:
ქალწულნი, ყრმანი და მოხუცნი დიდჭირნახულნი,
ნორჩნი ასულნი, გულმოკლულნი პირველი სევდით.

ამგვარი დამთხვევა რახან დაინახა, კალინამ კითხვა განაგრძო და შემდეგ თვალს მოჰყვა:

ბევრნიც ბასრ შუბით განგმირულნი სასტიკ ბრძოლებში,
მტკიცე ვაჟკაცნი, სისხლიანი ჯავშან-აბჯრითა,
ყურისწამლები ზათქით, ზავთით ორმოს ეკვეთნენ,
საზარმა შიშმა მთლად მოიცვა ჩემი არსება...
ვიშიშვლე ხმალი, მიველი და ორმოსთან დავჯექ,
რა არის სისხლი არ ეგემნათ იქ აჩრდილთ მანამ,
სანამ ამბავს არ შევიტყობდი წინამთქმელთაგან...

იმ წამს, რა წამსაც კალინამ „აჩრდილთ" წარმოთქვა, პეტკუტინმა თვალი ჰკიდა აჩრდილს, რომელიც გზაზედ დანგრეულ რომაულ თეატრ-სახილველს დაეყენებინა. უკვე მისულიყვნენ.

სახილველში მსახიობთათვის განკუთვნილი შესასვლელიდან შეაბიჯეს, თან წამოღებული ღვინიანი ბოთლი, ცოტაოდენი სოკო და სისხლიანი ძეხვი სცენის შუაში დადგმულ ქვალოდზედ დააწყეს და ჩქარა-ჩქარა ჩრდილს შეაფარეს თავი. პეტკუტინმა კამეჩია ხმელ ნეხვს წამოუარა, ერთ ადგილას მოაგროვა, მერმე ტალახშეხვარი ჩინჩხვარიც მიუმატა, ეს ყველაფერი სცენაზედ აიტანა და ცეცხლი წაუკიდა. ტალ-კვესის ერთმანეთზედ გაკვრის ხმა ამფითეატრის ყოვლის უფრო ბოლო, ზედა რიგებშიც ისმოდა. ოლონდ გარეთ, მაყურებელთა დარბაზის მიღმა, სადაც ათასგვარი ველური ბალახ-ბულახი ამოხუჩხუჩებულიყო და წითელი მოცვისა და დაფნის მძაფრი სუნი იდგა, ჩქამადაც ვერ გაიგონებდით, რაც რამ შიგნით ხდებოდა. პეტკუტინმა ცეცხლს მარილი მოაყარა, რათა ნეხვისა და ტალახის სუნი საგრძნობი არა ყოფილიყო, მერმე სოკო ღვინოში ამოავლო და სისხლიან ძეხვთან ერთად მხრჩოლავ ნაკვერცხლებზედ დაყარა.

კალინა იჯდა და უცქეროდა, ვითარ გადადიოდა ჩამავალი მზე ამფითეატრში ერთი ადგილიდან მეორეზედ და ვითარ უახლოვდებოდა გასასვლელს. პეტკუტინი სცენაზედ მიმოდიოდა და ხმით კითხულობდა ადგილთა უხსოვარჟამინდელ მფლობელთა სახელთ, ქვის სკამებზედ ამოკვეთილთ, და ხმამაღლივ წარმოქვამდა უძველეს უცნობ სიტყვებს:

– Caius Veronius Aet... Sextus Clodius Cai Filius, Publila tribu... Sorto Servilio... Veturia Aeia...

— ნუ უხმობ მიცვალებულთ! — გააფრთხილა პეტკუტინი კალინამ. — ნუ უხმობ, თორემ მართლა მოვლენ!

როგორც კი მზე სცენიდან გადავიდა, კალინამ ნაღვერდლიდან სოკო და სისხლიანი ძეხვი გამოარჩია და ორივენი ჭამად დასხდნენ. სმენადობა დიდებული იყო, და თითოეული ლუკმა, რომელსაც ისინი ღეჭავდნენ, თავის უსაკუთრეს ნახმევს აჩენდა ყოველ ადგილას, პირველიდან მერვე რიგამდე, ყოველთვის სხვადასხვანაირს, და ხმა კვლავ უკან უბრუნდებოდათ სცენის შუაგულში. წამერთ გეგონებოდა, მაყურებელნი, რომელთა სახელნიც სკამებზედ იყო ამოკვეთილი, ნეფე-პატარძალთან ერთად პურობენ ანდა ყოველი ახალი ლუკმის ჩადებისას პირს ხარბად აწკლაპუნებენო. ეს ოცი წყვილი მკვდარი ყური დაძაგრული უსმენდა, და მთელი მაყურებელთა დარბაზი, რომელიც ვნებიანად ისუნთქავდა საზრდელ-საჭმელის სუნს, ნეფე-პატარძალთან ერთად იცოხნიდა. როს ისინი საზრდელთ მიღებას, ანუ ჭამას წყვეტდნენ, მკვდრებიც ისვენებდნენ, თითქოს ლუკმა ყელზედ ადგათ, და გაფაციცებულნი ადევნებდნენ თვალ-ყურს, ახალჯვარდაწერილნი, აბა, აწ რას იზამენო. ასეთ დროს პეტკუტინი განსაკუთრებული სიფრთხილით ჭრიდა დასაჭრელს, ემანდ თითი არ გამეჭრასო. თითის გაჭრისა კი იმიტომ ეშინოდა, ეგონა, ნამდვილი, ქაფქაფა სისხლის სუნი მაყურებელთ წონასწორობას დააკარგვინებს, და მაშინ ისინი, ტკივილსაებრ მეყსეულნი, თავთავიანთი ადგილებიდან წამოიშლებიან, მე და კალინას გვეცემიან და თავიანთი ორიათასწლოვანი წყურვილით გაგიჟებულნი სულ ლუკმა-ლუკმად გვაქცევენო. საშინელების მსუბუქი ქროლა რომ იგრძნო, პეტკუტინმა კალინა გულზედ მიიკრა და აკოცა. კალინამაც კოცნ-

ნითვე უპასუხა, და მაყურებელთა ადგილებზედ ას ოცი წყვილის მტლა-შამტლუშის ხმა გაისმა, თითქოს იქაც ვილაცა ვილაცას კოცნიდა და ვი-ლაცას ვილაცა უყვარდა.

სუფრას რომ აუმატეს, პეტკუტინმა საჭმლის ნახორხალი ცეცხლს მისცა, და ის ნამუსრევ-ნახორხალი ჩაიწვა თუ არა, ნაღვერდალი ღვი-ნით ჩაშრიტა, რასაც მაყურებელთა ადგილებიდან წამოსული ყრუ ში-შინი მოჰყვა, ირგვლივ მკაფიოდ ისმოდა: „შშშშშშშშ!“ ქარქაში მო-ივარგა და ის იყო პეტკუტინს დანა უნდა ჩაეგო, რომ ქარმა დაუბერა და სცენაზედ ყვავილთა მტვრის ღრუბელი დააყენა. პეტკუტინს ცხვირს დააცემინა და ხელიც გაიჭრა. დღის განმავლობაში გაცხელებულ ქვა-ზედ დაცემულმა სისხლმა სუნი აუშვა...

ას ოცი მკვდარი სული იმწუთას წიოკითა და ღრენა-ღრენით დაე-ცა თავს ახალ ცოლ-ქმარს. პეტკუტინმა ხმალზედ იკრა ხელი, მაგრამ ისინი კალინას უკვე ცოცხლად ჭამდნენ, მანამ აგლეჯდნენ ხორცებს, სანამ საცოდავი ქალის წივილ-კივილი მკვდრებისას არ გამოემგვანა, სანამ თავადაც იმათ არ შეუერთდა და საკუთარი სხეულის ჯერეთ კი-დევ შეუჭმელი ნაჭრების სანსვლა არ დაიწყო.

პეტკუტინი გაგებაში არ იყო, რამდენი დღე გამოხდა, ვიდრე მიხ-ვდებოდა, სად იყო სახილველიდან გამოსასვლელი. სცენაზედ მანამდე დაბორიალებდა კოცონისა და თავიანთი ნატაბლის ნარჩენების გარშე-მო, სანამ ვილაც უხილავმა მიწიდან იმისი ლაბადა არ აიღო და შიგ არ გაეხვია. ცარიელი ლაბადა ზედ მიადგა პეტკუტინს და კალინას ხმით შეეხმაურა.

შიშისგან აცახცახებულმა პეტკუტინმა გულში ჩაიხუტა ქალი, თუ-მცა ლაბადის ქსოვილქვეშ და ხმის ფსკერზედ სხვა არცრა იყო მეწამუ-ლი სარჩულის მეტი.

— მითხარი, — უთხრა პეტკუტინმა კალინას ხვევნა-ხვევნაში, — აგრე მგონია, ათასი წლის წინათ ზედ ამ ადგილას რაღაც უბედურება დამატყდა თავს. ვილაც ლუკმა-ლუკმად აქციეს და შესანსლეს, და სის-ხლი ჯერაც ისევ ატყვია მიწას. არ ვიცი, ეს მართლა მოხდა თუ არა, ხოლო უკეთუ მოხდა, როდის? ვინ შეჭამეს? მე თუ შენ?

— შენ არცრა მოგსვლია, შენ არცვის დაუგლეჯიხარ და დაუფ-ლეთიხარ, — მიუგო კალინამ. — თანაც ეს ამბავი სულ ახლა მოხდა და არა ათასი წლის წინათ.

— მერე მე რომ ვერა გხედავ, რომელია ჩვენგან მკვდარი?

— შენ იმიტომ ვერა მხედავ, ჭაბუკო, რაკი ცოცხალთ მკვდრების დანახვა არ ძალუძთ. შენ ოდენ ჩემი ხმის გაგონება შეგიძლია. ჩემზედ კი იმას ვიტყვი, რომ არ ვიცი, ვინა ხარ, და ვერ გიცნობ, სანამ შენი სისხლის წვეთს არ გავსინჯავ. მაგრამ მე გხედავ, გული დაიშვიდე, ბშვენივრად გხედავ, და ვიცი, ცოცხალი ხარ.

— კალინა! — შეჰყვირა მაშინ სვეგამწარებულმა ქმარმა. — მე ვარ, შენი პეტკუტინი ვარ, ნუთუ ვერა მცნობ? სულ ახლახან, თუ მა-რთლა სულ ახლახან იყო, აკი მკოცნიდი კიდეც.

— სულ ახლახან თუ ათასი წლის წინათ, რა ბედენაა ახლა, ოდეს ყველაფერი ისეა, როგორც არის?

ამის პასუხად პეტკუტინმა დანა ამოიწვადა, თითი იმ ადგილას მიიტანა, სადაც უღელტოლის ბაგენი ეგულებოდა, და გადაისერა.

სისხლის სუნი დადგა, ოღონდ სისხლმა ქვაზედ დაცვლა ვერ მოასწრო, რადგან კალინა ხარბად პირმიშვერილი ელოდა, შიგ რომ ჩამეღვრებაო. პეტკუტინი იცნო თუ არა, მან ერთი შეჭვრეტა დაუცა, ვითარცა მძორს, ისე დაუწყო გლეჯა, თან ვნებიანად ლოკავდა სისხლს და ძვალთ მაყურებელთა დარბაზში ისროდა, საიდანაც უკვე სცენაზედ მოიწევდნენ დანარჩენები.

● ● ●

იმ დღეს, რა დღესაც ყოველივე ეს ხდებოდა, კირ აბრამ ბრანკოვიჩმა შემდეგი სიტყვები ჩაიწერა: „პეტკუტინმა გამოცდა ფრიადზედ დაიჭირა. მან ისე სრულქმნილად გაართვა თავის როლს თავი, რომ ცოცხალნიც გააცურა და მკვდარნიც. აწ ამოცანის უფრორე რთულ ნაწილზედ შეიძლება გადასვლა. მცირე ცდიდან დიდზედ. ადამიანიდან ადამზედ“.

ამრიგად, კირ აბრამ ბრანკოვიჩის გეგმები ნათელი ხდება. რომელ გეგმებსაც ის აგებს, იქ ორი უპირატესი პიროვნება შედის. ერთი გეგმა დაკავშირებულია ბრანკოვიჩის გავლენიან ნათესავთან გრაფ ჯორჯე ბრანკოვიჩთან, რომლის შესახებაც ვენის სამეფო კარს გაცილებით მეტი საიმედო და ზედმიწევნილი ცნობები მოეპოვება, ვიდრე ჩვენა გვაქვს. მეორე გეგმა დაკავშირებულია იმ პიროვნებასთან, რომელსაც კირ აბრამი „კუროსად“ მოიხსენიებს (რაც ბერძნულად „ჭაბუკს“ „ყმაწვილს“ ნიშნავს). აქ, ცარგრადში, ის ისე ელოდება იმის მოსვლას, ვითარცა ებრაელნი მესიის გამოჩენას ელოდებიან. ამ პიროვნებას, რამდენადაც დადგენა შევძელით, ბრანკოვიჩი პირადად არ იცნობს, ისიც კი არ იცის, სახელი რა ჰქვია (ამიტომაც მოივარგა ეს საალერსო ბერძნული სიტყვა) და ნახვითაც მხოლოდ სიზმარში თუ ენახვება. სიზმრებს ბრანკოვიჩისას ეს პიროვნება თითქმის არ აცდენს, და ბრანკოვიჩიც სიზმართან ერთად მუდამ იმასაც ნახულობს. თავად გოსპოდარ აბრამის მოწმობით, „კუროსი“ ულვაშიანი ახალგაზრდა კაცია, რომლის ცალი ულვაშიც ჭალარაა, ფრჩხილნი შუშისა აქვს და თვალები წითლად ულვივის. ბრანკოვიჩი სულისულად ელის, რომ ერთხელაც გადაეყრება იმას და დიახაც იმის წყალობით ისეთ რასმე შეიტყობს ანდა ჩახვდება, რაც ძალზედ მნიშვნელოვნად წარმოუდგენია. თავისი „კუროსისაგან“ ბრანკოვიჩმა სიზმარში ისწავლა მარჯვნიდან მარცხნივ კითხვა ებრაულ ყაიდაზედ და სიზმრების ნახვა ბოლოდან თავამდე. ეს უჩვეულო სიზმრები, რომელთა წიაღშიც კირ აბრამი „კუროსად“ გადაიქცევა ხოლმე ანდა, თუ გნებავთ, ებრაელად, მრავალი წლის წინათ დაეწყო. თავად ბრანკოვიჩი თავის სიზმარზედ ამბობს, პირველჟამად რაღაც მოუსვენრობა ვიგრძენიო, რაც ჩემს სულში ნასროლი ქვის მსგავსად, მძიმე-მძიმედ ეცემოდა სულის გავლით არა ერთი და ორი დღეო, და ეს დაცემა თუ ვარდნა მხოლოდ ღამით თუ შეწყდებოდა, ოდეს ქვასთან ერთად სულიც ეცემოდაო. მოგვიანებით ამ სიზმარმა ის

სულ მთლად მოიცვა, და სიზმარში იგი ორჯერ უფრორე ახალგაზრდა ხდებოდა, ვიდრე ცხადში იყო. სიზმრებიდან ბრანკოვიჩს სამუდამოდ გაუქრნენ ჯერეთ ჩიტები, მერმე ძმები, შემდეგ მამა და დედა, რომელნიც გაქრობის წინ გამოემშვიდობნენ. მას უკან გარემოცვიდან და მოგონებებიდან უკვალოდ გაუქრნენ ადამიანებიც და ქალაქებიც, და-სასრულ ამ სრულიად უცხო ქვეყნიერებიდან თავადაც გაქრა, თითქოსდა ღამით, ძილში, სულით ხორცამდე, ვილაც სხვა ადამიანად იქცა, რომლის სახებამაც, იქვე სარკეში თვალმოკრულმა, ისევე შეაშინა, ვითარცა წვერთულვაშამლილი საკუთარი დედის ანდა დის დანახვა შეაშინებდა. იმ ვილაცას, სხვას, თვალები წითლად ულვივოდა, ფრჩხილები შუშისა ჰქონდა, ცალი ულვაში კი გასჭალარავებოდა.

ამ სიზმრებში ბრანკოვიჩი თავის გარშემო ყოველსავე ეთხოვებოდა და ყოვლის უფრორე ხანგრძლივად თავის გარდაცვლილ დასა ხედავდა, ოღონდ ისიც ამ სიზმრებში ყოველთვის რაღაცას კარგავდა თავისი სახიერებისას, რაც აგრერიგად ნაცნობი იყო ბრანკოვიჩისათვის, სანაცვლოდ კი ახალ, უცნობ და უცხო ნაკვთებს იძენდა. ეს ნაკვთები ბრანკოვიჩის დას წილად ერგო ვილაც გარმიანელი ქალისაგან, რომელმაც უწინარესად სმა მიუბოძა, მერმე თმის ფერი, კბილები, ასე რომ საბოლოოდ ხელებიღა გადაურჩა დას თავისი, რომელი ხელებიც სულ უფრო და უფრო მგზნებარედ ეხვეოდნენ ბრანკოვიჩს. სხვა დანარჩენს არცრა დობისა უკვე არა ეტყობოდა რა. და ერთხელაც ღამე, რომელიც ისეთი სიფრიფანა იყო, რომ ორ ადამიანს, რომელთაგან ერთი სამშაბათში იდგა, მეორე კი ოთხშაბათში, სულ ადვილად შეეძლო იმ ღამეში ერთმანეთისთვის თვალდათვალ ხელის ჩამორთმევა, ღვიძლი დაია სრულიად გადასხვანაირებული, ისეთი ხატკეთილი წარუდგა ძმას, რომ იმისი სიტურფისაგან ირგვლივ მთელი ქვეყნიერება გაირინდა. მივიდა და შემოეჭდო, ხელი მოჰხვია, რომელთაგან თითოეულზედ ორ-ორი ცერა თითი ჰქონდა. ბრანკოვიჩი პირველად კინაღამ თავისი სიზმრიდან არ გაექცა, მაგრამ მერმე დანებდა და, როგორც ტოტიდან ატამი, ისე მოსწყვიტა ცალი ძუძუ. ამის შემდეგ მიადგა და ყოველ თავის დღეს იმის სხეულზედ კრეფდა, ვითარცა ხეზედ. ის ერთთავად სულ ახალ-ახალ ნაყოფსა სძღვნიდა, ნარუქს, ერთიმეორეზედ ტკბილს, და აგრე ეძინა ბრანკოვიჩს თავის დედმამიშვილთან მთელი დღეობით ნაირ-ნაირ სიზმრებში, ვითარცა ამას სხვანი თავიანთ ხარჭა-საყვარლებთან სჩადიან ერთი ღამით დაქირავებულ ჭერქვეშ. ოღონდ იმ ხვევნა-ხვევნაში ვერც როდის არჩევდა იმის ხელთაგან რომელ ორცერათითიანს გრძნობდა თავის სხეულზედ, რამეთუ ქალის ორცერათითიან ხელთა შორის არავითარი სხვაობა არ იყო. თუმცა ეს სიზმრისეული სიყვარული ცხადში ფიტავდა და აუძლურებდა, თანაც იმზომ ძალუმად, რომ საკუთარ ლოგინში თავისი სიზმრებიდან თითქმის სულ მთლად გამოწურული იღვიძებდა. მაშინ დაია იგი მივიდა, ცხადლივ დაენახვა და უკანასკნელად უთხრა:

— ვინც სულგამწარებული იწყევლ-იკრულება, იმის ხმას გაიგონებენ. ჩვენ იქნებ კიდევ შევხვდეთ რომელიღაც სხვა ცხოვრებაში.

ბრანკოვიჩი ვერცროდის ჩახვდა, ვის უთხრა მან ეს სიტყვები, თვითონ იმას, კირ აბრამ ბრანკოვიჩს, თუ იმის ცალულვაშიანარა სიზმრისეულ ორეულს, „კუროსს", რომლადაც ბრანკოვიჩი გადაიქცეოდა ხოლმე, სანამ ეძინა. იმიტომ რომ სიზმარში ის უკვე დიდი ხანი თავს აბრამ ბრანკოვიჩად აღარა გრძნობდა. ის სულ სხვად გრძნობდა თავს, იმ სხვად, რომელსაც შუშის ფრჩხილნი ჰქონდა. თავის სიზმრებში ის უკვე მრავალი წლის მანძილზედ აღარა კოჭლობდა, ვითარცა ცხადში. საღამოობით ეჩვენებოდა ხოლმე, რომ ვიღაცის დაღლილობა აღვიძებდა, ისევე როგორც დილიდანვე კვლავ საძილედ ებლიტებოდა თვალები იმის გამო, რომ ვიღაცა სადღაც თავს გამოძინებულად, სავსებით გამოფხიზლებულად და მხნედ გრძნობდა. ქუთუთონი მიწყივ მაშინვე უმძიმდებოდა, როგორც კი სადმე ვიღაცა უცხოს ეხილებოდა სახედველნი. ამ ვიღაცა უცხო-უცნობთან ბრანკოვიჩი გადაბმულია ძალისა და სისხლის შემაერთებელი ძარღვებით, და ეს ძალა ისევე გადადის ერთიდან მეორეში, ვითარცა ღვინო გადააქვთ ჭურჭლიდან ჭურჭელში, რათა არ დამჭახდეს. რაც უფრო მეტს ისვენებდა ღამით ერთ-ერთი ძილში და მეტ ძალას იკრებდა, მით უფრო მეტი იგივე ძალა ერთმეოდა მეორეს, და გასავათებულს საძილედ უკვდებოდა თავი. ყველაზედ საშინელი რამ კი მაშინ ხდებოდა, თუ რომელსამე უცაბედად სადმე შუა ქუჩაში ანდა სხვა უადგილო ადგილას ჩაეძინებოდა, თითქოს ეს ძილი ძილი კი არა, იმ დროს ვიღაცის გამოღვიძების გამოძახილი იყო. ამ წინეებზედ კირ აბრამი მთვარის დაბნელებას უყურებდა და ჩაეძინა, თანაც ისე ულუმელად და სწრაფად, რომ, ეტყობა, უმალ სიზმარში ჩაიყურყუმელავა, რომელშიც მათრახი უცხუნეს, და მერმე თავადაც არ ეჯერებოდა, რომ დაცემისას, უკვე მძინარეს, შუბლი სწორედ იმ ადგილას გაუსკდა, სადაც ძილში მათრახის წვერი მოხვდა...

ჩემის აზრით, თვითონ „კუროსსაც" და იეჰუდა ჰალევისაც უშუალო კავშირი აქვთ იმ საქმესთან, რასაც გოსპოდარი ბრანკოვიჩი და ჩვენ, მსახურნი იმისნი, უკვე მრავალი წელიწადი ვეწევით. ლაპარაკია ერთ-ერთ გლოსარიუმზედ თუ ანბანზედ, რომელსაც მე **ხაზარულ სიტყვისკონას** დავარქმევდი. ამ სიტყვისკონაზედ მუშაობისას მან დაღლა რა არის, არ იცის, რადგან უსაკუთრესი რამ მიზანი აქვს დასახული. ცარგრადს ზარანდის ეუპანიიდან და ვენიდან ბრანკოვიჩისთვის წიგნებით დატვირთული რვა აქლემი მოვიდა და კიდევ სულ ახალი და ახალი აქლემკიდებული მოდის, ასე რომ იგი ქვეყნიერებას სიტყვისკონებითა და ძველი ხელნაწერების კედლით გამოეყო. მე საღებავებშიც კარგად ვერკვევი, მელნებშიც და ასოებშიც, ნოტიო ღამეებში ყნოსვით ვარჩევ თითოეულ ასოს და, ჩემს კუთხე-კუნჭულში მიყუჟული, სუნით ვკითხულობ მთელ გვერდებს გაუშლელ-დალუქული გრაგნილებისას, სადღაც სხვენზედ პირდაპირ სახურავქვეშ რომ აწყვია. კირ აბრამს კი კითხვა ყოვლის უფრო მეტად სიცივეში უყვარს, პერანგის ამარა, აძაგძაგებული კითხულობს და წაკითხულიდან მხოლოდ გაფიჩხულ-გათოშილი რასაც მიაპყრობს ყურადღებას, დახსომების ღირსადაც ის მიაჩნია და წიგნშიც იმას უსვამს ხაზს. კატალოგი, რომელსაც მან თავის წიგნთსაცავში მოუყარა თავი, ათას ფურცელს მოიცავს სულ სხვადა-

სხვა თემაზედ: ძველსლავურ ლოცვებში ჩართული ოხვრა-ვაებისა და შეძახილების ნუსხიდან მოკიდებული აქ არის მარილებისა და ნაირ-ნაირი ჩაის სია, აქვეა სუყველა ჯურის ცოცხალ და მკვდარ ადამიანთა სულ სხვადასხვაგვარი ფერისა და ყაიდის თმის, წვერისა და ულვაშის უზარმაზარი კრებული. გოსპოდარი იმათ მინის ბოთლებზედ აწებებს და შინ ძველებურ ვარცხნილობათა თავისებურ მუზეუმსაც ინახავს. ამ კოლექციაში თვითონ ბრანკოვიჩის არც ერთი თმის ღერი არ არის წარმოდგენილი, გარნა წინსაფრებზედ, რომელთაც არცროდის აშორებს, თავისი თმით თავისი გერბის ამოქარგვა ბრძანა. გერბი ცალთვალაარწივიანია და დევიზად აწერია: „ყოველი გოსპოდარი თავის სიკვდილს ეტრფის“.

წიგნებს, კოლექციებსა და კარტოთეკას ბრანკოვიჩი ყოველლამ ჩაჰკირკიტებს, გარნა მთავარ ყურადღებას უთმობს, თანაც ფრიად საიდუმლოდ, ერთ-ერთი ანბანის, უფრო სწორად, იმ სიტყვისკონის აღდგენას, სადაც გადმოცემულია, თუ ვითარ ეზიარა ნათლისღებას ხაზარი ხალხი — შავი ზღვის ნაპირებიდან დიდი ხნის წინათ გამქრალი ტომი, რომელსაც წესად ჰქონდა თავის მიცვალებულთა ნაცვებში დაკრძალვა. ეს უნდა იყოს იმ წმინდა კაცთა ბიოგრაფიების რაღაც ნუსხა ანდა ცხოვრება-მოქალაქეობის მრავალთავი, ვინც რამდენიმე ასეული წლის წინათ მონაწილეობდა ხაზართა ქრისტიანულ სარწმუნოებაზედ მოქცევაში, და აგრეთვე იმათი, ვის შემდგომაც დარჩა რაიმე უფრორე გვიანდელი ჩანაწერი ამ ამბების შესახებ. **ხაზარული სიტყვისკონაზედ** ხელი მარტო ჩვენ მიგვიწვდება — ბრანკოვიჩის ორ მდივან-მწიგნობარს, — მე და თეოქთისტე ნიკოლსკის. ესეგვარი სიფრთხილე, ჩანს, იმასთან არის დაკავშირებული, რომ ბრანკოვიჩი აქ, კერძოდ, სხვადასხვა მწვალებლობასაც განიხილავს, არა ოდენ ქრისტიანულს, არამედ ებრაულსაც, მაჰმადიანურსაც, და ჩვენი პატრიარქი, პეჩის საპატრიარქოდან, რომელიც ყოველ აგვისტოს წმინდა ანას მიძინების დღისთვის სუყველა ანათემას ჩამოთვლის ხოლმე, ერთ-ერთს უცილოდ კირ აბრამს განუკუთვნებდა, უკეთუ ეცოდინებოდა, რაიც ამან ჩაიფიქრა.

ბრანკოვიჩს ყველა ხელმისაწვდომი ცნობა აქვს მოპოვებული კირილესა და მეთოდეზედ, ქრისტიან წმინდანებსა და მისიონერებზედ, რომელნიც ბერძნულ მხრიდან მონაწილეობდნენ ხაზართა ნათლისღებაში. გარნა მთავარი სიძნელე გრანკოვიჩისთვის ის არის, რომ ამ ანბანში არ შეუძლია ხაზართა მოქცევის ებრაელ და არაბ მონაწილეთა შეყვანა, არადა ისინიც დაკავშირებული იყვნენ ამ ამბავთან და აგრეთვე პოლემიკასთან, რომელიც მაშინ მიმდინარეობდა ხაზართა ხაკანის კარზედ. ამ ებრაელსა და არაბზედ მან განაღამც მარტო იმის მეტი ვერა გაიგო რა, რომ ისინი არსებობდნენ, არამედ იმათ სახსენებელსაც ვერსად წააწყდა ვერც ერთ ხელმისაწვდომ ბერძნულ წყარო-საბუთში, სადაც ხაზარებზეა ლაპარაკი. ხაზართა ნათლისღების თაობაზედ ებრაული და არაბული საბუთების მოსაძიებლად ბრანკოვიჩის კაცნი ვლახეთის მონასტრებსა და ცარგრადის სარდაფებშიც იყვნენ, და ის თავადაც ჩამოვიდა აქ, ცარგრადს, რათა ამ ქალაქში, საიდანაც ხაზართა ნათლისღებისთვის ოდესღაც ხაზარეთის სატახტოს წარიგზავნენ მისიონერნი კირილე და მეთოდე, ეპოვა ხელნაწერნი და ამ ხელნაწერთა

მადევარნი. მაგრამ ჭუჭყიანი წყლით ჭას ვერ ჩარეცხავ, და ვერც ამან მიაგნო რამეს! ბრანკოვიჩს დაჯერება არ უნდა, რომ მარტო ის ერთი ქვეყანაზედ ხაზართა ბედით დაგულისყურებული და წარსულში ამ საქმეს არცვინ აქცევდა ყურადღებას თვინიერ იმ ქრისტიან მისიონერთა, რომელთაც ხაზართა ასავალ-დასავალი, წმინდა კირილეს დროიდან მოკიდებული, მეტ-ნაკლებად შემოგვინახეს. დარწმუნებულია ვარო, ამტკიცებს ჩვენი გოსპოდარი, დერვიშთაგან ანდა ებრაელ რაბინთაგან ვინმემ, რა თქმა უნდა, აუცილებლად იცის ზოგ-ზოგი წვრილმანი რამ პოლემიკის ებრაელი ან არაბი მონაწილის ცხოვრებიდან, ოღონდ მაინცდამაინც მე ვერ შევხვდი ცარგრადში ასეთს ვისმესო, ან იქნებ სულაც განგებ აქვთ პირში წყალი დაგუბებულიო. ბრანკოვიჩი ვარაუდობს, რომ როგორც ამ ხალხის შესახებ, ისე ამავე ხალხის მოქცევის თაობაზედ ქრისტიანულ წყაროებთან ერთად მოიძევება არანაკლებ სრული ებრაული და არაბული წყაროები, მაგრამ ამ ამბის მცოდნეკაცთ რაღაცა უცარავთ ხელს, რის გამოც ერთმანეთს ვერ შეხვედრიან და ერთ მთლიანად ვერ შეუკრავთ თავიანთი ცოდნა, რაც მხოლოდ აგრე გაერთმთლიანებული შექმნიდა ხაზართა საკითხის მკაფიო და სრულყოფილ სურათს.

— არ მესმის, — ხშირად ამბობს ჩვენი გოსპოდარი, — ეგება, ჩემთა აზრთ სულმუდამ გარდამეტად ადრე ვაჩერებ და ამად ისინი ნახევრად მწიფდებიან ჩემში და მხოლოდ წელამდე ჩანან...

ეგზომ მცირემნიშვნელობის საქმის მიმართ კირ აბრამის ესეგვარი უზომო გულისყურის მიზეზის ახსნა, ჩემის აზრით, ძნელი არ არის გოსპოდარი ბრანკოვიჩი ხაზართ ერთობ ეგოისტური განზრახვით უტრიალებს. იმედოვნებს, რომ ამრიგად თავს იხსნის სიზმართაგან, საიც აგრერიგად გამომწყვდეულია. ბრანკოვიჩის სიზმრების „კუროსიც“ დაგულისყურებულია ხაზართა საკითხით, და კირ აბრამმა ეს ამბავი ჩვენზედ უკეთ უწყის. საკუთარი სიზმრების მონობიდან გასათავისუფლებლად ერთადერთი ხერხი კირ აბრამისთვის მავანი უცხო კაცის პოვნაა, ეს უცხო კაცი კი მარტოდენ ხაზარულმა საბუთებმა უნდა აპოვნინონ, რამეთუ ეგ არის ერთადერთი გზაკვალი, რომელსაც მიზნისკენ მიჰყავს. მე მგონია, რომ აგრევე ფიქრობს ისიც, მეორეც. ამრიგად, ამ ორთა შეხვედრა გარდაუვალია, ვითარცა მედილეგისა და პატიმრის შეხვედრაა გარდაუვალი. ამად არც გასაკვირია, რომ კირ აბრამი უკანასკნელ ხანს აგრე გულმოდგინედ ვარჯიშობს თავის ოსტატთან ერთად ხმლის ტრიალში... ის თავისი „კუროსი“ სძაგს, სახედველთ, მგონი, ვითარცა ჩიტის კვერცხთ, ისე ამოუხვრეპდა. თუკი ხელთ მოიგდებს... ვარაუდით სხვანაირად ფიქრი არც შეიძლება, ოღონდ თუ ეს უსაფუძვლო ფიქრია, მაშინ უნდა მოვიგონოთ ადამზედ არამ ბრანკოვიჩის მიერ თქმული სიტყვები და ის ოღბლიანი ცდა, რომელიც მან პეტკუტინზედ მოახდინა. ასე რომ, თუკი შემთხვევა მიეცემა, ჩვენი გოსპოდარი გვარიანად სახიფათო გინმეა და, რის ქმნასაც ის ეპირება, იმას იქნებ სრულად გაუთვალისწინებელი შედეგიც მოჰყვეს, ხოლო **ხაზარული სიტყვისკონა** ბრანკოვიჩისთვის ოდენ მოსამზადებელი, წერის ხასიათის საფეხურია ცხოვრებაში ბევრად უფრო გაბედული მოქმედებისათვის...

• • •

ამ სიტყვებით მთავრდება აბრამ ბრანკოვიჩის შესახებ ნიკონ სევასტის პატაკი. თუმცა, თავისი ბატონის ბოლო დღეების ამბავს სევასტი ვერცვის შეატყობინებდა, ვინაიდან გოსპოდარიცა [illegible] მსახურიც წუთისოფელს გამოასალმეს ერთხელ ოთხშაბათს, ანუ ერმის დღეს, რომელ დღესაც ნისლი ემოსა და გზა-კვალი არეოდა სადღაც ვლახეთში. ამ შემთხვევის თაობაზედ ჩანაწერი შემოგვინახა ბრანკოვიჩის მეორე მსახურმა — უკვე მოხსენიებულმა ხმალდახმალ ბრძოლის ოსტატმა ავერკიე სკილამ. ეს სკილა თავისი ხმლის წვერით წერდა და რომელ სამელნე-საწერელშიც ხმალს აწებდა, ის სამელნე-საწერელი ძირს ედგა, მიწაზედ, ხოლო ქაღალდი ჩექმით ეჭირა.

„უკანასკნელ ცარგრადულ საღამოს, გამგზავრების წინ, — ჩაწერა ავერკიე სკილამ, — პაპას აბრამმა სუყველანი თავის დიდ დარბაზში შეგვკრიბა, რომელი დარბაზიც სამ ზღვას გადასცქეროდა. ქარი ქროდა: მწვანე შავი ზღვიდან, ცისფერი, გამჭვირვალე — ეგეოსიდან, მშრალი და მწარე — იონიიდან. რომ შევედით, ჩვენი გოსპოდარი აქლემის უნაგირის გვერდით იდგა და კითხულობდა. წვიმას აპირებდა, ანატოლიური ბუზები, როგორც ყოველთვის წვიმის წინ, იკბინებოდნენ, და ის უქშევდა, წკეპლით იგერიებდა და წკეპლის წვერს შეუმცდარად ზედ ნაკბენ ადგილას იხვედრებდა ზურგზედ. იმ საღამოს ჩვეულებრივ უკვე ვივარჯიშეთ ხმლის ტრიალში, და საერთოდ წამიერ თუ ვიგულმავიწყებდი, რომ ერთი ფეხი მეორეზედ მოკლე ჰქონდა, სიბნელეში აუცილებლად გამფატრავდა. ღამით მუდამ უფრო ცქაფი და ცქვიტი იყო, ვიდრე დღისით. ახლა ამ მოკლე ფეხზედ მატყლის წინდის ნაცვლად ჩიტის ბუდე ემოსა, რადგან მეტად ეთბილებოდა...

ოთხივენი დავსხედით, ვისაც დაგვიძახა: მე, ორი მდივან-მწიგნობარი და მსახური მასუდი, რომელსაც მგზავრობისთვის აუცილებელი რაღაც-რაღაცები უკვე ჩაეწყო მწვანე ბულაგ-ტომარაში. ყველამ თითო კოვზი პილპილიანი ბლის მურაბა შევჭამეთ და თითო ჭიქა ჭის წყალი დავაყოლეთ, რომელი ჭაც აქვე იყო, ოთახში. და ჩვენთა ხმათა გამოძახილს კოშკის სარდაფში მარხავდა. ამის შემდეგ პაპას აბრამმა ყველას ჩვენ-ჩვენი გადაგვიხადა, ვისაც რა გვერგებოდა სამსახურისთვის და, თუ ვისმე ცარგრადს დარჩენა უნდა, დარჩესო, თქვა. დანარჩენები დუნაიზედ საომრად უნდა გაჰყოლოდნენ.

ვიფიქრეთ, ალბათ, სათქმელი დაამთავრა და გაგვიშვებსო. მაგრამ ბრანკოვიჩს ერთი თავისებურება სჭირდა: სიბრძნე სწორედ იმ დროს უმძაფრდებოდა, მოსაუბრეს რომ უნდა განშორებოდა. მაშინ თავს ისე იჭერდა, ვითომ არცრა მომხდარაო, ოღონდ გამომშვიდობებით ცოტა უფრო გვიან ემშვიდობებოდა, ვიდრე ეს ბუნებრივი და საკადრისია. არ ყოფილა შემთხვევა, გამორჩენოდა ის წამი, როცა ყველაყა უკვე თქმულია, როცა ირგვლივ ყველა ნიღაბს იხსნის და თავის ჩვეულებრივ სახეს უბრუნდება, რომელი სახეც სუყველას თავის თავთან განმარტოებისას აქვს. აგრე მოხდა ამჯერადაც. ბრანკოვიჩს ხელში ანატოლიელის ხელი ჩაებღუჯა და თვალგაშტერებული ქვეშ-ქვეშ

სჭვრეტდა იქ მყოფთ. უცაბედად მასუდისა და ნიკონ სევასტს შორის საშინელი სიძულვილის ელვა გაკრთა, რომელ სიძულვილსაც აქამდე ვერც ერთი მხარე ვერ ამჩნევდა ანდა გულმოდგინედ ~~მალავდა~~. ეს იმის მერე მოხდა, როგორც კი მასუდიმ კირ აბრამს უთხრა:

— ბატონო ჩემო, სანამ განვშორდებოდეთ, მადლობა უნდა გადაგიხადო საბოძვრისა გამო. აწ ისეთ რასმე გეტყვი, რაც დიდად გაგახარებს, იმიტომ რომ რა ხანია გაწვალებს ამის გაგების წყურვილი. ვინც შენ გესიზმრება, იმ კაცს სამუელ კოენი ჰქვია.

— სიცრუეა! — შეჰყვირა უცბად სევასტმა, სტაცა ხელი მასუდის მწვანე ძაძა-ტომარას და კერიაში შეაგდო, რომელიც ოთახში გუზგუზებდა.

მასუდი მოულოდნელი სიმშვიდით მიუბრუნდა პაპას აბრამს და ნიკონ სევასტიკენ თითგაშვერილმა უთხრა:

— შეხედე, ბატონო მაგას მხოლოდ ერთი ნესტო აქვს ცხვირში, ერთი პინჩი, და კუდით შარდავს, ვითარცა სატანის წესია.

პაპას აბრამი თუთიყუშს წასწვდა, რომელსაც ბრჭყალებით ფარანი ეჭირა, და ძირს ჩამოსვა. ნათელმა იმატა, და დავინახეთ, რომ ნიკონ სევასტს მართლაც ერთპინჩ-ნესტოიანი ცხვირი ჰქონდა, ნესტო შავი და შუაში უძგიდო იყო, როგორც ეს უწმინდურთა აქვთ. მაშინ პაპას აბრამმა სევასტს უთხრა:

— შენ რა, იმათი მოდგმისა ხარ, ვინც ფეხსაცმელს არ იცვლის?

— დიახ, ბატონო, ოღონდ იმათი ჯოგიდან არა ვარ, ვისაც შიშისგან ფალარათი სჭირს. მე არ უარვყოფ, რომ სატანა ვარ, — აღიარა მან უყოყმანოდ, — მე მხოლოდ შეგახსენებ, რომ ვეკუთვნი ქრისტიანული ხმელისა და ცის საუკუნო გამოუხსნელ ქვესკნელს, ბერძნული მიწა-წყლის ბოროტ სულთ, მართლმადიდებლური ეკლესიის იურისდიქციაში მოქცეულ ჯოჯოხეთს. იმიტომ რომ ზუსტად ისევე, როგორაც ცაა ჩვენს თავსა ზედა გაყოფილი იელოვასა, ალაჰსა და მამაღმერთს შორის, საუკუნო გამოუხსნელი ქვესკნელიც გაყოფილია ასმოდეოსსა, იბლისსა და სატანას შორის. ამჟამინდელი თურქული იმპერიის მიწა-წყალზედ მე იბედივ ვარ მოხვედრილი, გარნა ეს ჩემი განკითხვის უფლებას არ აძლევს არც მასუდის და არც კიდევ სამაჰმადიანოს სხვა მოციქულთ. ამის რწმუნება აქვთ მხოლოდ ქრისტიანული ეკლესიის მსახურთ, ოდენ იმათი განკითხვა იქნება უფლებამოსილად აღიარებული. არადა, თუ აგრე წავიდა საქმე, მაშინ ქრისტიან ანდა ებრაელ მსაჯულთაც შეეძლებათ ისლამური ჯოჯოხეთის მოციქულთა განსჯა. დიახაც დაფიქრდეს ჩვენი მასუდი ამა გაფრთხილებისა გამო.

პასუხად პაპას აბრამმა მიუგო:

— მამაჩემს, იოანიკე ბრანკოვიჩს, შენისთანა ხალხთან ეჭირა საქმე. რაც ვლახეთში სახლები გვქონდა, ყველგან ყოველთვის გვყავდნენ საკუთარი შინაური კუდიანები, ეშმაკუნები, ქალატურები, ვისთანაც ერთად ვსერობდით, ვისაც კეთილ მფარველ სულთ ვუსევდით, ცხავ-ცხრილის თვალთ ვათვლევინებდით და ვის დამძვრალ კუდებსაც იქვე სადმე, სახლის შორიახლო ვპოულობდით, ვისთანაც ერთად მაყვალზედ

დავდიოდით, ვისაც ზღურბლთან ვაბამდით და ზოგს რომელ ჭაში ვყრიდით, ზოგს რომელში. ერთხელაც საღამო ჟამს ჯულაში მამაჩემი ვეებერთელა გულწითელას წაადგა ზარულში, ანუ ფეხისადგილში, ზედ ჭრუტზედ იჯდა, გაუქანა მამაჩემმა ფარანი, მოკლა ის გულწითელა და სავახშმოდ წავიდა. ვახშმად ტახისხორციანი შჩი მოართვეს. [illegible] მოხვრიპა და — ტყაპ! — მოსხეპილი თავი ეგრევე მათლაფაში ჩაუტყაპუნდა. ერთი კი ჩაკოცნა საკუთარი პირისახე, რომელიც იქიდან უმზერდა, და შჩიიან მათლაფაში ჩაიხრჩო. პირდაპირ ჩვენ თვალწინ, წესიერად ვერც გავიგეთ, რა მოხდა. დღესაქამომდე მახსოვს, შჩიით სუნთქვაშეკრული ისე იქცეოდა, გეგონებოდა, მიჯნურს იხუტებსო, მათლაფას ორივე ხელით ეხვეოდა, ვითომ წინ შჩი კი არა, ვილაცის თავი ედგა. ერთი სიტყვით, რის ვაი-ვაგლახით დავმარხეთ, თითქოს ვილაცას იყო მაგრად ჩაკონებული და არ უნდოდა, რომ იმ მავანისთვის გამოგვეგლიჯა... და რათა მამაჩემი ვამპირად არ გადაქცეულიყო, ავდექით და იმისი ცალი ჩექმა მურეშის წყალს გავატანეთ. უკეთუ სატანა ხარ, ამას არ უნდა ლარი და ხაზი, მითხარი, რას ნიშნავდა მამაჩემ იოანიკე ბრანკოვიჩის სიკვდილი?

— მაგას უჩემოდაც გაიგებთ, — მიუგო სევასტმა. — მე სულ სხვა რასმე გეტყვით. მე ვიცი, რა სიტყვებიც უტრიალებდა მამათქვენს ყურთა შიგან, ოდეს სული ამოსდიოდა. „ცოტა ღვინო მოიტათ, ხელები გადამაბანინეთ!“ სიკვდილის ჟამს ეს სიტყვები ჩაესმა. და აწ კიდევ ერთს ვიტყვი, რათა მერე არა თქვათ, ყველაყა თითიდან გამოიწოვაო.

ვიცი, რამდენიმე ათეული წელიწადი დასტრიალებ **ხაზარულ სიტყვისკონას,** მეც მიმამატებინე ორიოდ რამ.

აწ ისმინეთ ჩემგან, რაიც თავად არ მოგეხსენებათ. ანტიკური სამყაროს მზედაბნელებულთა სამი მდინარე — აქერონტი, პირიფლეგეთონტი და კოკიტოსი — ისლამის, იუდაიზმისა და ქრისტიანობის ქვესკნელთ განეკუთვნებიან. იმათი კალაპოტები სამ ჯოჯოხეთსა ყოფენ — გეენას, ჯოჯოხეთსა და მაჰმადიანთა ყინულოვან ქვესკნელს, ხაზართა ყოფილი ქვეყნის მიწა-წყლის ქვეშე მოქცეულს. სწორედ აქ ემიჯნება ერთმანეთს სამი სულეთი: სატანის ცეცხლოვანი სამეფო თავისი ქრისტიანული ჯოჯოხეთის ცხრა სკნელით, ლუციფერის ტახტითა და წყვდიადის მეუფის დროშებით; ისლამური ჯოჯოხეთი თავისი იბლისის ყინულოვანი სატანჯველის სამეფოთი და გაბრიელის მხარე, რომელიც იმ ტაძრის მარცხნივ ძევს, სადაც ბოროტების, ჟინისა და სიყმილის ებრაელი ღმერთები სხედან, გეენა ასმოდეოსის ხელქვევით იყო. ეს სამი ჯოჯოხეთი ცალკეა, რომელთა შორის საზღვარი მოხნულია რკინის ერქვნით, და არცვისა აქვს იმ საზღვრის გადასვლის ნება. თუმცა, თქვენ ეს სამი ჯოჯოხეთი არასწორად წარმოგიდგენიათ, რამეთუ გამოცდილება არა გიძთ, არ გაგაჩნიათ. ებრაულ ჯოჯოხეთში, წყვდიადისა და ცოდვის ანგელოზის ველიალის ქვეყანაში, როგორც თქვენა ფიქრობთ, ცეცხლში სულაც ებრაელნი არ იხრუკებიან. იქ ოდენ არაბნი და ქრისტიანები იწვიან. ზუსტად აგრევე არც ქრისტიანულ საკირეში თუ თაკარაში არიან ქრისტიანები — ცეცხლში იქ მაჰმადიანები ან დავითის ქალ-ვაჟნი ხვდებიან. იმ დროს, როცა მაჰმადიანურ ჯოჯო-

ხეთში მხოლოდ ქრისტიანები და ებრაელნი იტანჯებიან, არც ერთი თურქი ან არაბი იქ არ არის. აწ წარმოიდგინეთ მასუდი, რომელსაც თავიანთი ჯოჯოხეთის კარგად ცნობილ საკირის ცეცხლზედ მარტო გაფიქრებაც კი აკანკალებს და რომელიც იქ კი არ მივა, იმ თავიანთ ჯოჯოხეთში, არამედ ებრაულ შეოლს მიადგება, ან არადა ქრისტიანულ ჯოჯოხეთს, სადაც მე შევეგებები! იბლისის ნაცვლად ლუციფერს მოიხილავს. წარმოიდგინეთ ქრისტიანული ზეცა ჯოჯოხეთის თავზედ, რომელ ჯოჯოხეთშიაც ებრაელი იტანჯება!

გირჩევთ, ჩემი ნათქვამი ისე აღიქვათ, როგორც უმნიშვნელოვანესი გაფრთხილება, ბატონო! ვითარცა უძირო სიბრძნე. აქ, ამ ტრიალ ქვეყანაზედ, არცრა საქმეა, არც რამ საერთო და საზიარო, რაშიც ერთმანეთს გადაკვეთდა სამი სამყარო: ისლამი, ქრისტიანობა და იუდაიზმი! რათა ამ სამი სამყაროს სამსავე ქვესკნელთან მერმე საქმის დაჭერა არ მოგვიხდეს. იმიტომ რომ იმათ, ვისაც ერთმანეთი სძულს, ამქვეყნად არცრა აბრკოლებს. ისინი მუდამ ერთიმეორესა ჰგვანან. მტრები ერთნაირები არიან ანდა ოდესმე ხდებიან ერთნაირები, არადა სხვანაირად მტრები ვერ იქნებოდნენ. ყოვლის უფრო დიდ საშიშროებას ისინი წარმოადგენენ, ერთმანეთისგან ნამდვილად რომ განსხვავდებიან. ისინი ურთიერთის გაცნობას ესწრაფვიან, რამეთუ სხვაობა ხელს არ უშლით.

ყოვლის უარესნი დიახაც ესენი არიან. ვისაც სულაც არ ანალვლებს, რომ ჩვენ იმათგან განვსხვავდებით, ვისაც ეს სხვაობა ძილს სულაც არ უფრთხობს, იმათ ჩვენ თავადაც გავუსწორებთ ანგარიშს და, საკუთარ მტრებთან ძალებგაერთიანებული, ერთბაშად სამი მხრიდან დავესხმით თავს...

ამის პასუხად კირ აბრამ ბრანკოვიჩმა უთხრა, ყველაფერი მაინც კარგად ვერ გავიგეო, და დაეკითხა:

— მერე რატომ აქამდე არ მოიქეცით ეგრე. შენ თუ ვერ შეიძელ, ვისაც კუდი ჯერ არ მოგძრობია, სხვანი ხომ უფრო ხნიერნი და გამოცდილნი არიან? რალას ელოდებით, სანამ ჩვენ სახლს „მამაო ჩვენოს“ საძირკველზედ ვაშენებთ?

— ვიცდით, ბატონო. თვინიერ ამისა, ჩვენ, ეშმაკთ, მხოლოდ იმის შემდგომ შეგვიძლია ნაბიჯის გადადგმა, თქვენ, ადამიანები რომ გადადგამთ. სუყოველი ჩვენი ნაბიჯი თქვენს კვალსა სდევს. ჩვენ მიწყივ ერთი ნაბიჯით ჩამოგრჩებით, ჩვენ ვახშამს, ანუ მწუხრის საჭმელს, მაშინ ჩავუსხდებით ხოლმე, თქვენ რომ უკვე ნავახშმნი ხართ და, თქვენი არ იყოს, მომავალს ვერც ჩვენა ვეჭვრეტთ. ამრიგად, უწინ თქვენ, მერმე ჩვენ. გარნა იმასაც გეტყვი, ბატონო, რომ ჯერეთ შენ ერთი ნაბიჯიც არ გადაგიდგამს, რომელიც რომ შენს ნაკვალევს აგვადევნებდა. უკეთუ შენ ამას ოდესმე იზამ, შენ ანდა რომელიმე შენი შთამომავალი, ჩვენ კვირიაკეს ერთ-ერთ დღეს დაგეწევით, რომელი დღის სახელიც არ მოიხსენიება. გარნა ჯერეთ ყველაფერი რიგზეა. რამეთუ თქვენ — შენ და შენი წითელთვალება კუროსი — ვერას გზით ვერ შეხვდებით ერთურთს, მაშინაც კი, უკეთუ აქ ჩამოვა, ცარგრადს. თუ ის სიზმარში შენ ისევე გხედავს, როგორც შენ ხედავ იმას, თუ ის

სიზმარში შენს სიცხადეს ისევე ქმნის, როგორც რომ იმისი სიცხადეა თქვენი საერთო ძალით შექმნილი, მაშ, აბა, ვერცროდის ჩაგიხედავთ ერთიმეორისთვის თვალებში, რამეთუ ერთდროულად ვერ იმდგომარეობთ. გარნა მაინც ნუ გვაცდუნებთ. დამერწმუნეთ, ბატონო, აქ, ამ მყუდრო კოშკში მიმოფანტულ სიტყვათაგან ბევრად უფრო სახიფათოა ხაზართა სიტყვისკონის შედგენა, ვიდრე დუნაიზედ სამშვიდ ფასვლა, სადაც უკვე შებმულან ავსტრიელნი და თურქნი. ბევრად უფრო სახიფათოა სიზმრიდან გადმოსული ურჩხულის აქ, ცარგრადს, ლოდინი, ვიდრე ხმალდაქადებული მტერს თუ დაედევნებით, ეს საქმე კი, სხვისა არ ვიცი, და თქვენ მაინც კარგად გეცნობათ. დაუფიქრდით ამ ამბავს და წადით, გეზი იქით დაიჭირეთ, საითაც უეჭველი წასვლა გადაგიწყვეტიათ. ყურს ნუ უგდებთ ამ ანატოლიელს, რომელიც ფორთოხალს მარილში აწებს... რაც შეეხება დანარჩენს, — გაასრულა სევასტმა, — რასაკვირველია, შეგიძლიათ ქრისტიან სასულიერო ხელისუფალთათვის ჩემი გადაცემა და ისე გასამართლება, ვითარცა უწმინდურთ და კუდიანთ ასამართლებენ. ოღონდ სანამ ამას იზამდეთ, ერთადერთი რამ უნდა მაკითხვინოთ, მითხარით, დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი ეკლესია იარსებებს და სამასი წლის შემდგომაც ისევე განსჯის, როგორც რომ ამჟამად სჯის?

— რასაკვირველია, დარწმუნებული ვარ, — მიუგო პაპას აბრამმა.

— მაშ, დაამტკიცეთ, რასაც ამბობთ: ზუსტად ორას ოთხმოცდაცამეტი წელიწადი გაივლის და კვლავ შევხვდებით, წელიწადის ამავე დროს, საუზმის ჟამსა, აქ, ცარგრადს, და მაშინ განმსაჯე ისე, ვითომც დღეს მსჯიდე...

პაპას აბრამს ჩაელიმა, ყაბულსა ვარო, უთხრა, და წკეპლის წვერით კიდევ ერთი ბუზი მოკლა.

● ● ●

წანდილი ცისკარზედ შევაგბეთ, ქოთანს ბალიშები შემოვახვიეთ და გუდაში ისე ჩავდგით, რა არი პაპას აბრამს ძილში არ შესცივნოდა. ჩვენი გზა შავ ზღვაზედ იდო, ჯერ ხომალდით დუნაის შესართავამდე ვიარეთ, იქიდან კი დინებას აღმა ავუყევით. დუნაის თავზედ ბოლოლა მერცხლები მიფრინავდნენ, შავ ზურგებზედ იყვნენ გადმობრუნებულები და წყალში იმათი თეთრი გულმკერდების ნაცვლად ის შავი ზურგები არეკლილიყო. უკვე ნისლი წვებოდა, და ფრინველთ სამხრეთისკენ ეჭირათ გეზი, მიფრინავდნენ ტყეებისა და რკინის ჭიშკრის ხეობის გავლით, მიიჩქაროდნენ და თან მიჰქონდათ ისეთი პიტალო გამაყრუებელი მდუმარება, რომელსაც, გეგონებოდა, მთელი ქვეყნიერების მდუმარება შეუწოვიაო. მეხუთე დღეს კლადოვოს ახლოს ტრანსილვანიიდან წამოსული ცხენოსანთა რაზმი შემოგვეგება, მეორე ნაპირის მწარე რუმინული მტვრით ერთიანად გაჯერებული. როგორც კი ბატონიშვილ ბადენელის ბანაკში მოვხვდით, შევიტყვეთ, რომ გრაფ გიორგის წინ წაეწია პოზიციებზედ, გენერლები ჰანდერშაიმი, ვეტერანი

და ჰაიზელი მზად იყვნენ თურქთა განლაგებაზედ შესატევად, და უკან მადევარ ვარსამ-დალაქთ უკვე ორი დღე გზადაგზა ეპარსათ ისინი, ეკრიჭათ და ეკოხტავებინათ. იმავე ღამეს ყველანი დავრწმუნდით ჩვენი ბატონის წარმოუდგენელ ნიჭიერებაშიც.

წელიწადის ერთი დრო მეორის შესაცვლელად ემზადებოდა, დილით ციოდა, ღამ-ღამ კი ჯერ ისევ სითბო იყო — შუალამემდე ზაფხული იდგა, დილიდან შემოდგომა ენაცვლებოდა. პაპას აბრამმა ხმალი შეარჩია. მსახურთ ცხენი შეუკაზმეს, სერბული ბანაკიდან ცხენოსანთა მცირე რაზმი მოვიდა, თითოეულ მხედარს სახელოში მტრედი ჰყავდა დამალული. ისინი გზაგზა ტანგრძელ ყალიონთ ეწეოდნენ და ბოლის რგოლთ ცხენებს ყურებზედ აცვამდნენ. ბრანკოვიჩი ცხენზედ რომ შეჯდა, იმასაც გაჩაღებული ყალიონი მიაწოდეს, და ყველანი ერთად ბოლვა-ბოლვით გენერალ ვეტერანისკენ გაეჩქარნენ, ბარემ გვიბრძანოს, რაც საბრძანებელიაო. ზედადატანებაზედ ავსტრიელთა ბანაკის თავზედ ყვირილი გაისმა:

— სერბები შიშვლები მოდიან! — და, მართლაც, მხედართ ფეხდაფეხ ქვეითნი მოსდევდნენ, რომელთაც ტანთ ყველაფერი შემოეძარცვათ და მარტოოდენ თავსაბურავნილა ეფარათ. ისინი ბანაკებში დანთებულ კოცონთა სინათლეზედ დედიშობილა მოაბოტებდნენ. უკან კი, ოდნავ აჩქარებული ნაბიჯით, თავიანთი ტანტალა აჩრდილნი აპკვიატებოდნენ, რომელნიც იმათზედ ორჯერ უფროსნი ჩანდნენ.

— თქვენ რა, სიბნელეში აპირებთ შეტევას? — დაეკითხა ვეტერანი, თან ნაგაზს ეფერებოდა, რომელიც, მწევრისა და გარემოს მცველ თართისგან შობილი, ისეთი აყაყული იყო, კუდს შიგ სახეში სწყვეტდა ადამიანს.

— დიახამც, — მიუგო კირ აბრამმა, — გზას ფრინველნი გაგვაგნებინებენ.

ავსტრიელთა და სერბთა პოზიციებს თავს გორაკი რამ წამოსდგომოდა, სახელად **რს,** რომელიც იმით იყო ცნობილი, რომ იქ წვიმა არ იცოდა. ამ გორაკზედ თურთქ რამდენიმე სიმაგრე აეგოთ, სადაც არტილერია ეყენათ. უკვე სამი დღე უტრიალებდნენ ავსტრიელნი და სერბნი, მაგრამ ვერც ერთი მხრიდან ვერ მიჰპარვოდნენ მტერს. გენერალმა, მაგ სიმაგრეებზედ შეტევა მოგიწევსო, უთხრა ბრანკოვიჩს.

— თუ მაგ პოზიციას დაიჭერთ, ნეკერჩხლის ტოტებისგან მწვანე კოცონი დაანთეთ, — დასძინა გენერალმა, — რათა ჩვენც სწორი გეზი დავიჭიროთ.

მხედართ ბრძანება მოისმინეს და გაქუსლეს, კვლავინდებურად ყალიონთა წევა-წევით. მალე ამის შემდგომ თურქთა პოზიციების თავზედ ცეცხლწაკიდებული მტრედები მოვისილეთ — ერთი, მეორე, მესამე, გაისმა რამდენიმე სროლა და ერთდროულად ბანაკში მობრუნდნენ პაპას ბრანკოვიჩი და გრძელტარიანყალიონებაბოლებული მხედრები. გენერალი გაკვირვებული დაეკითხა, თურქებს რატომ არ შეუტიეთო, რის პასუხადაც პაპას აბრამმა გორაკისკენ უსიტყვოდ გაიშვირა ყალიონი. იქ მწვანე ცეცხლი ბრიალებდა, ზარბაზნების ხმა კი უკვე აღარ ისმოდა. ციხესიმაგრე აეღოთ.

დილა რომ გათენდა, ღამის ბრძოლით დაღლილმა პაპას აბრამმა თავისი კარვის წინ წაუძინა, ხოლო მასუდი და ნიკონ სევასტი ყამათლით სამღერლად დასხდნენ. ნიკონი უკვე მესამე დღე ზედიზედ აგებდა კარგა გვარიან თანხას, მასუდი კი თამაშს არ წყვეტდა.

საფიქრებელია, სამთავეს — მძინარე ბრანკოვიჩსა და ორ მოთამაშეს — რაღაც ძალზედ, მნიშვნელოვანი მიზეზი ჰქონდათ, რომ ჭურვებისა და ტყვიების ღვარცოფქვეშ სამიზნედ დარჩენილიყნენ. მე ასეთი არცრა მიზეზი მქონდა, და დროზედ შევაფარე თავი უხიფათო ადგილს. ზედდატანებით ჩვენს პოზიციებზედ თურქთა რაზმი შემოიჭრა, თურქნი ცოცხალს არცვის უშვებდნენ, სულ ერთიანად მუსრს ავლებდნენ, და სად იყო, სად არა, ტრებინიელი შიმშერ-ფაშაც მოჰყვათ, რომელიც ცოცხლებს კი არა, მკვდრებს ათვალიერებდა. უცებ ამ ხოცვა-ჟლეტის ადგილას საიდანღაც პირმკრთალი, სახეჩატეტკილი ყმაწვილკაცი გაჩნდა, ცალი ულვაში ჭაღარა ჰქონდა, თითქოს მხოლოდ ნახევრად დაბერებულიაო. პაპას აბრამის აბრეშუმის სამკერდულზედ ბრანკოვიჩის ცალთვალაარწივიანი გერბი იყო ამოქარგული. ერთმა თურქთაგანმა ისეთი ძალით უგმირა შუბი ამ ამოქარგულ ფრინველს, რომ ხმა გაისმა, მძინარის გულმკერდგავლილი ლითონი როგორ მოხვდა ქვას ბრანკოვიჩის ქვეშ. სიკვდილში გაღვიძებული ბრანკოვიჩი ცალ ხელზედ წამოიწია, უკანასკნელი, რაც მან სიცოცხლეში დაინახა, წითელთვალება ყმაწვილკაცი იყო, რომელსაც შუშის ფრჩხილები და ცალი შეეერცხლილი ულვაში ჰქონდა. ბრანკოვიჩს წამერთ ოფლმა დაასხა, რომლის ორი ჩამოწურწურებული ღვარი კისერზედ გამოენასკვა. ხელი კი ისერიგად აუკანკალდა, რომ უკვე შუბით განგმირულმა გაკვირვებით შეითვალიერა და მთელი თავისი სიმძიმით დააწვა ზედ, რათა კანკალი დაეცხრო. მაგრამ ხელი მცირე ხანს მაინც უცახცახებდა, ნელინელ უშოშმინდებოდა, როგორც რომ თითგამოკრული სიმი, და სულ მთლად რომ დაუწყნარდა, ეგრეევე უხმოდ დაეცა, ქვეშ მოიყოლა ის ხელი. იმავე წამს ყმაწვილკაცი პირდაპირ ზედ დაენარცხა თავის საკუთარ ჩრდილს, თითქოს ბრანკოვიჩის მზერამ მოცელაო, ტომარა კი, მხარზედ რომ ეკიდა, გვერდით გაგორდა.

— ნუთუ კოენი დაიღუპა? — შეჰყვირა ფაშამ, თურქთ კი იფიქრეს, ყმაწვილკაცს ერთ-ერთმა მოთამაშემ თუ ესროლაო, და მყის აკუწეს ნიკონ სევასტი, რომელსაც ჯერ ისევ მუჭში ეჭირა გასაგორებლად გამზადებული კამათლები. მერმე ისინი მასუდის მიუბრუნდნენ, მაგრამ მან რაღაც არაბულად უთხრა ფაშას, ეტყობა, უფიცავდა, არა, ეგ ყმაწვილკაცი მკვდარი არ არის, სძინავსო. ამ ფიცვა-ფიცილმა ერთი დღეღამით გაუგრძელა სიცოცხლე მასუდის, რამეთუ ფაშამ, დღეს კი არა, ხვალ დალახვრეთო, ბრძანა. და აგრეც მოხდა. ხვალემ იზრუნა ხვალისა.

„მე ხმალდახმალ ბრძოლის ოსტატი ყარ, — ასე მთავრდება ავერკიე სკილას ჩანაწერი აბრამ ბრანკოვიჩზედ, — ვუწყი, როცა კვლავ, ეს მიწყივ სხვადასხვანაირად ხდება, როგორც რომ მიწყივ სხვადასხვანაირად ხდება ლოგინში ყოველ ახალ ქალთან წოლისას. უბრალოდ მერმე ზოგს ივიწყებ, ზოგს კი ვერა. ზოგიერთნი მოკლულთაგან და ქა-

ლთაგანაც აკი ვერ გივიწყებენ. კირ აბრამ ბრანკოვიჩის სიკვდილი ერთი იმ სიკვდილთაგანი იყო, მეხსიერება რომ ინახავს. მოსდენით ეს ამბავი აგრე მოხდა. საიდანღაც მოცვივდნენ ფაშას მსახურნი, ცხელწყლიანი გობი მოიტანეს, გაბანეს კირ აბრამი და ბერიკაცს ვისმე გადააბარეს, რომელსაც მესამე თავისი ხამლი, ნაირბალნაბერი, ბალახბულახიანი და ჩლა-ძენძიანი, გულზედ ჰქონდა ჩამოკონწიალებული. ვიფიქრე, ალბათ, პაპას აბრამს წყლულნი თუ უნდა მოუშუშოს-მეთქი, მაგრამ მან ფერ-უმარილი წაუსვა, გაპარსა, დავარცხნა და აგრე წინასწარ გაპატიოსნებული გადაიყვანეს შიმშერ-ფაშას კარავში.

„აი კიდევ ერთი შიშველი სერბი-მეთქი", — გავიფიქრე...

მეორე დილით ის ამ კარავში გარდაიცვალა. ეს იყო 1689 წელს, მუსულმანური წელთაღრიცხვით, წმიდა მოწამე ევტიხის დღეს. ზედ იმ დროს, როცა აბრამ ბრანკოვიჩმა სული განუტევა, შიმშერ-ფაშა კარვიდან გამოვიდა და ცოტა ღვინო მოითხოვა, რათა ხელები გადაებანა".

ბრანკოვიჩი ბრბური — იხილე: მესვეტი.

კირილე (კონსტანტინ სოლუნელი, ანუ კონსტანტინე სიბრძნისმეტყველი, 826 ანდა 827-869) — მართლმადიდებელი წმინდანი, ხაზარული პოლემიკის ბერძენი მონაწილე, სლავური დამწერლობის ერთერთი დამსაძირკვლებელი. დრუნგის მეთაურის ლეონის ოჯახში მემვიდე შვილი, რომელი ლეონიც ბიზანტიის სამეფო კარის დავალებით სოლუნში სამხედრო და ადმინისტრაციულ მოვალეობებს ასრულებდა, გამოიცვალა არაერთი სამოხელეო და დიპლომატიური სახელო. გაიზარდა შიშველ, უხატო ეკლესიებში, იმ დრო-ჟამს, როცა ცარგრადში ძალაუფლება ხატთამლეწელთა ხელში იყო, რომელთაც განეკუთვნებოდა ბევრი სოლუნიდან მოსულიც, და კონსტანტინე სხვადასხვა მეცნიერებებს იმ ადამიანთაგან სწავლობდა, ხატთა მოწინააღმდეგეებად რომ იყვნენ ცნობილნი. ლევ მათემატიკოსი, რომელიც კონსტანტინეს ასწავლიდა ჰომეროსს, გეომეტრიას, არითმეტიკას, ასტრონომიასა და მუსიკას, ხატთამბრძოლი იყო და ცარგრადის პატრიარქ-ხატთამბრძოლ იოვანე გრამატიკოსს (837-843) ენათესაურებოდა, გარდა ამისა, კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა სარკინოზებთან და არც იმათი ხალიფა მამუნი ეუცხოვებოდა. კონსტანტინეს მეორე მოძღვარი იყო ცნობილი სიბრძნისმეტყველი, ხოლო უფრო გვიან პატრიარქი, ფოტიოსი, რომელიც თავის ნიჭიერ შეგირდს ასწავლიდა გრამატიკას, რიტორიკას, დიალექტიკას, ფილოსოფიას და რომელსაც ქრისტიანული არისტოტელე შეარქვეს. ლევ მათემატიკოსთან ერთად მან დაიწყო ბიზანტიური სამყაროს ჰუმანისტური აღორძინება, რომელი სამყაროს წყალობითაც მან შეძლო იმის შეგნება, რომ თავადაც ანტიკური, ელინისტური ფესვის ნორჩი ყლორტი იყო. ფოტიოსი იდუმალ, აკრძალულ მეცნიერებებს — ასტროლოგიასა და მაგიას მისდევდა, ბიზანტიის იმპერატორი ამბობდა, მაგას „ხაზარული სახე" აქვსო. ხოლო მეფის კარზედ ლეგენდად დადიოდა, ფოტიოსმა სული ჯერ კიდევ ყმაწვილობითვე რომელიღაც ებრაელ მჩხიბავს მიჰყიდაო. კონსტანტინე ენებზედ გიჟდებოდა,

ისინი მარადიულად მიაჩნდა, ვითარცა მარადიულია ქარი, და ისევე იცვლიდა იმათ, როგორაც ხაზართა ხაკანი იცვლიდა სხვადასხვა ხარწმუნოების ცოლებს. ბერძნულის გარდა, იგი სწავლობდა სლავურს, ებრაულს, ხაზარულს, არაბულს, სამარიტულს და კიდევ იმ ენებს, რომელთაც გუთური, ანუ „რუსული" დამწერლობა ჰქონდათ. კონსტანტინე მოგზაურობათა გამუდმებულ წყურვილში გაიზარდა და მთელი ცხოვრებაც ამ წყურვილში გაატარა. რა გზასაც არ უნდა დასდგომოდა, წამოსასხამს არ იშორებდა და ამბობდა: „სადაც ჩემი წამოსასხამია, ჩემი სახლიც იქ არი". ბედმაც აკი წუთისოფლის უმეტესი ნაწილი ველურ ტომთა შორის ამყოფა, სად ყოველი ხელის ჩამორთმევის შემდეგ თითები უნდა გადაითვალო, სუყველა უკლებლივ ზედ შემრჩა თუ არაო. ცხოვრებაში დროდადრო მხოლოდ სალმობანი თუ გაუჩენდნენ ხოლმე სიმყუდროვის პატარ-პატარა კუნძულთ. როგორც კი ავად ხდებოდა, უმალ სუყველა ენა ავიწყდებოდა, მშობლიურის გარდა. რაც არ უნდა დამართვოდა, ყოველ სნებას თუ სალმობას სინამდვილეში ორი მიზეზი მაინც ჰქონდა. როცა 843 წელს ხატთამლეწელთა სოლუნის პარტიის ძალაუფლება დაამხეს და იმპერატორ თეოფილეს სიკვდილის შემდეგ ხატთა კულტის აღდგენის ამბავი გამოცხადდა, კონსტანტინე იძულებული შეიქმნა, მცირე აზიაში მონასტრისათვის შეეფარებინა თავი. იგი აგრე ჰგონებდა: „ღმერთიც განზედ გადგა, რათა ადგილი ბრბოსთვის მიეცა. ჩვენი თვალი ყოველივე გარემომდებარე სახმარი ნივთის სამიზნეა. ეს ნივთნი ილებენ სახედველს ნიშანში, არამცთუ პირიქით". შემდგომად კონსტანტინეს თავქალაქში დაბრუნება მოუხდა და საქვეყნოდ გამოვიდა თავისი ძველი მასწავლებლებისა და თვისტომთა წინააღმდეგ, ხატთა დასაცავად. „ილუზიაა, რომ აზრები მოქცეულია ჩვენს თავში, — გადაწყვიტა მან მაშინ. — თავებიცა და ჩვენც მთლიანად გალიცლიცებული ვართ აზრებით. ჩვენ და ჩვენი აზრები ზღვაა და დინებანია ზღვაშივე. ჩვენი სხეული დინებაა ზღვაში. ხოლო აზრები თავად ზღვაა. სხეული აზრთაგან თავის დაღწევის მერელა პოულობს თავის ადგილს სამყაროში. სული კი კალაპოტია ერთისაც და მეორისაც..."

მაშინ განშორდა იგი კიდევ ერთ თავის ყოფილ მასწავლებელს, თავის უფროს ძმას მეთოდეს, რომელიც არცროდის გამოსულა თავის თანამოაზრეთა წინააღმდეგ. იგი თვალდათვალ ხედავდა, როგორ იტოვებდა უკან თავის უწინდელ, სულიერ მამასა და ძმას და როგორ ეუხუცესებოდა.

ცარგრადის სამეფო კარის სამსახურში ჩამდგარი თავდაპირველად იგი ერთ-ერთი სლავური პროვინციის არქონტი იყო, მერმე თავქალაქის სამეფო კარის სკოლაში ასწავლიდა. მღვდლად გახდომის შემდეგ ცარგრადში წმინდა სოფიის ეკლესიასთან არსებული საპატრიარქოს სამწიგნობროში წიგნების მცველად დაინიშნა, მერმე ცარგრადის უნივერსიტეტში ფილოსოფიის მასწავლებელი იყო და აქ მიიღო „ფილოსოფოსის" საპატიო წოდება, რომელსაც სიკვდილამდე ატარებდა. მაგრამ თავად სხვა გზას ადგა, როგორც სუყველა მეზღვაური, ისიც და-

რწმუნებული იყო, რომ საჭმელად ჭკვიანი თევზი მავნეა კუჭისთვის და უფრო ხეშეშია, ვიდრე ბრიყვი. ასე რომ მხოლოდ ბრიყვნი ჭამენ ბრიყვთაც და ბრძენთაც. ბრძენკაცნი კი ბრიყვთ არჩევენ და ეძებენ.

ორიგინალში ჩასმულია კონსტანტინე სოლუნელის წმინდა კირილეს პორტრეტი (IX საუკუნის ფრესკა) (რედ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ცხოვრების პირველი ნახევარი თუ ხატებს გაურბოდა, მეორე ნახევარი მან ფარგვარად ხატებაფარებულმა განვლო. თუმცაღა, გაირკვა, რომ ღვთისმშობლის ხატს კი შეეგუა, ოღონდ თავად ღვთისმშობელს — ვერა. როცა მრავალი წლის შემდგომ ხაზარულ პოლემიკაშიც მან იგი საკანის ამალის ერთ-ერთ მსახურს შეადარა, ქალს კი არა, კაცს დაადარა.

მაშინ მან წუთისოფლის შუა ზღვარს გადააბიჯა და თავისი ცხოვრების პირველი ნახევარი განასრულა.

სწორედ იმსანად ქისაში სამი ოქროს ფული ჩაიგდო და გაიფიქრა: პირველს მებუკეს ვისმე მიეუბოძებო, მეორეს — ეკლესიაში მგალობელთო, მესამეს კი — მგრძნობელ ციურ ანგელოზთო. და ამ აზრით მიჰყო ფეხი თავის დაუსრულებელ ხეტიალს. სადილისა და ვახშმის ნამუსრევი არცროდის არევია ერთმანეთში. მუდმივად გზაში იყო. 851 წელს იგი არაბ ხალიფასთან წავიდა სამარაში, ბაღდადის მახლობლად, და ამ დიპლომატიური მისიიდან უკან მობრუნებულმა სარკეში საკუთარ შუბლზედ პირველი ნაოჭი დაინახა, რომელსაც სარკინოზული შეარქვა. 859 წელი იწურებოდა, და კონსტანტინე წლის მოზიარე უხდებოდა ალექსანდრე დიდს, ოცდაცამეტწელიწადმოჭმულს.

„მე უფრო მეტი მოასაკე მიწისქვეშა მყავს, ვინემ მიწის ზემოთ, — გაიფიქრა მან მაშინ, — ყველა საუკუნის ბინადარი მოასაკე: რამზეს მესამის დროებიდან, კრიტეს ლაბირინთიდან თუ ცარგრადის პირველი ალყიდან მოკიდებული. მეც ცოცხალთაგან ბევრის მიწისქვეშა მოასაკე გავხდები. ოღონდ აქ, დედამიწაზედ, ბერება-ბერებაში მუდმივად ვიცვლი მიწის ქვეშ მოქცეულ ტოლსწორთ და ვაღალატიანებ მზედაბნელებულთ, ჩემზედ ბევრად დღემოჭმულთ...“

და მერმე დადგა ჟამი, როს კიდევ ერთხელ შემოარტყეს ალყა ქალაქს, რომლის მოსახლეც ის იყო. სანამ სლავები 860 წელს ალყაში აქცევდნენ ცარგრადს, კონსტანტინე მცირე აზიის ოლიმპზედ, ბერმონაზვნური სენაკის სიმყუდროვეში, მახეს უგებდა იმათ — სლავური ანბანის პირველი დაწერილობა გამოჰყავდა. თავდაპირველად მომრგვალო ასოები მოიგონა, მაგრამ სლავთა ენა იმზომ ველური იყო, რომ მელანი ვერ იჭერდა. მაშინ მან ანბანის ცხაურ ასოთაგან შედგენა და შიგ ამ ურჩი ენის ჩიტივით გამომწყვდევა სცადა. მოგვიანებით, იმის შემდეგ, რაც ბერძნულმა ენამ იგი მოიშინაურა და გაწაფა (რამეთუ ენებიც ასწავლიან სხვა ენებს), სლავურის ჩაბღაუჭება იმ თავდაპირველი, გლაგოლიცური ნიშნებითაც შეიძლებოდა...

დაუბმანუსს სლავური ანბანის წარმოქმნის ერთი ასეთი ამბავი მოჰყავს. ბარბაროსთა ენას არასგზით არ უნდოდა დახელისება და მო-

თვინიერება. ერთხელ კისკას სამკვირიან შემოდგომაზედ ძმები სენაკში შეყუჟულიყვნენ და ამაოდ ცდილობდნენ დაწერილობის მოხაზვა-გამოყვანას, რომელ დაწერილობასაც მოგვიანებით კირილიცა დაერქმევა. საქმე ხელს არ მოსდევდა. სენაკიდან მშვენივრად ჩანდა შუაგული ოქტომბერი და იმ შუაგულში ერთი საათის სიგრძის და ორი საათის სიგანის სავალი სიმყუდროვე დავანებულიყო. ერთ დღესაც მეთოდემ ძმის ყურადღება ოთხ თიხის დოქს მიაპყრო, ოთხივე სენაკის სარკმელზედ იდგა ოღონდ შიგნით კი არა, ლანძვ-გისოსის მიღმა.

— **კარი** ურდულწაგდებული რომ ყოფილიყო, მაგ დოქთ როგორღა მისწვდებოდი? — ჰკითხა მან. კონსტანტინემ ლუკმა-ლუკმად დაამსხვრია ერთ-ერთი დოქი, ნატეხ-ნატეხ შეიტანა ლანძვ-გისოსიდან სენაკში და ნატეხ-ნატეხვე ააწყო კვალად, თავისი ნერწყვითა და თავისივე ფეხთქვეშ გატკეპნილი სოხანის თიხით დააკოწიწა.

იგივე უყვეს ძმებმა სლავურ ენასაც — ლუკმა-ლუკმად დაამსხვრიეს, კირილიცის ლანძვ-გისოსიდან ნატეხ-ნატეხ თავიანთ ენა-პირში გადაიტანეს და საკუთარი ნერწყვითა და თავიანთ ფეხთქვეშ გატკეპნილი ბერძნული თიხით დააკოწიწეს...

იმავე წელიწადს ბიზანტიის იმპერატორს მიქაელ III ხაზართა ხაკანის ელჩობა ეწვია. ცარგრადიდან ისეთი ვინმე გამომიგზავნე, ვისაც ქრისტიანული მოძღვრების საფუძველთა ახსნა-განმარტება შეეძლებაო, სთხოვდა ხაკანი იმპერატორს. იმპერატორმა რჩევისთვის ფოტიოსს მიმართა, რომელსაც „ხაზარულ სახეს" ეძახდა. ეს ნაბიჯი ორაზროვანი იყო, თუმცა ფოტიოსი თხოვნას ჩვეული სიდარბაისლით მიუდგა და არჩევანი თავის გაზრდილსა და მოწაფეზედ მიიტანა, კონსტანტინე ფილოსოფი დაასახელა, და კონსტანტინე თავის ძმასთან მეთოდესთან ერთად წარემართა ხაზარულად წოდებული მეორე დიპლომატიური მისიით, რომელიც მეთოდესთვისაც მეორე იყო; გზად ისინი ხერსონესში შეჩერდნენ, ყირიმში, სადაც კონსტანტინემ ხაზარული და ებრაული ენები შეისწავლა, რათა დაკისრებული დიპლომატიური ამოცანის შესასრულებლად მომზადებულიყო. ჰგონებდა: „სუყოველი კაცი თავისი მსხვერპლის ჯვარია, სამსჭვალნი კი ჯვარსაც ხვრეტენ". ხაზართა ხაკანის კარზედ მისულს იქ ისლამური და ებრაული სარწმუნოების მისიონერნი დახვდნენ, აგრეთვე ხაკანისგან დაძახებულნი. მისვლა და დახვედრილ მისიონერებთან პოლემიკაში ჩაბმა ერთი იყო, კონსტანტინემ ზედმიყოლებით ჩამოწიგნა თავისი „ხაზარული ქადაგებანი", რომელნიც მეთოდემ მოგვიანებით სლავურად თარგმნა. სულ წყალს მიუცა რა ყველა საბუთი რაბინსა და დერვიშს, იუდაიზმსა და ისლამს რომ წარმოადგენდნენ, კონსტანტინე ფილოსოფოსმა ხაზართა ხაკანი ქრისტეანაში, ანუ მირონის ცხების სიკეთეში დაარწმუნა, ასწავლა, დამტვრეული ჯვრის თაყვანება არ ეგებისო, და თავის სახეზედ ახლა მეორე, ხაზარული ნაოჭი შეამჩნია.

863 წელი იწურებოდა. კონსტანტინე აწ ეტოლსწორებოდა ფილონ ალექსანდრიელს, სიბრძნისმეტყველს, ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში გარდაცვლილს, რამდენისაც ახლა ის თავად იყო. როგორც კი სლა-

ვური ანბანი გაასრულა, მან ძმასთან ერთად მიაშურა მორავიას, სლავთ, რომელთაც ჯერ კიდევ თავისი მშობლიური ქალაქიდან იცნობდა.

იდგა კონსტანტინე და საღვთისმსახურო წიგნთ ბერძნულიდან სლავურად თარმნიდა, გარშემო კი დუნდგო ხალხი ედებოდა. თვალები ყველას იმ ადგილას ჰქონდა, სადაც ოდესღაც რქები ეჭედებოდათ, და ეს ჯერ კიდევ ეტყობოდათ, ქამრებად გველებს ირტყამდნენ, ძილით სამხრეთისკენ თავმიქცეულთ ეძინათ, ჩამოცვივნულ კბილთ ბანგადავლებით სახლის მეორე მხარესა ყრიდნენ. კონსტანტინე ხედავდა, როგორ ჩურჩულებდნენ ისინი ლოცვებს და თან როგორ იყრიდნენ პირში, რასაც ცხვირიდან იჩიჩქნიდნენ. ფეხთ ისინი გაუხდელად იბანდნენ. სადილწინ თავიანთ ჯამებში ინერწყვებოდნენ, ხოლო „მამაო ჩვენო"-ში ყოველი სიტყვის შემდეგ თავიანთ ბარბაროსულ მამრულ და მდედრულ სახელთ ამატებდნენ, რის გამოც ერთიორად ფუვდებოდა ლოცვა, ვითარცა საფუვრიანი ცომი, თანაც ერთდროულად უჩინარდებოდა კიდეც, ასე რომ სამ დღეში ერთხელ აუცილებლად უნდა გამომარგლულიყო, არადა იმ ველურ სიტყვათაგან ჩანთქმული აღარც ჩანდა და აღარც ისმოდა. იმათ მოურეველი ძალით იზიდავდა მძორის სუნი, თავში კისკასი აზრები უტრიალებდათ, და სიმღერით საუცხოოდ მღეროდნენ, კონსტანტინე კი, იმათ სიმღერას რომ უსმენდა, თან ტიროდა და თანაც თავის მესამე სლავურ ნაოჭსა სჭვრეტდა, რომელიც შუბლზედ წვიმის წვეთივით გეზად დასცურებოდა... მორავიის შემდგომ ის 867 წელს პანონიელ თავადს კოცელს ეწვია, იქიდან კი ვენეციას გაეშურა, სადაც სამენოვანებთან გამართულ პაექრობაში იმონაწილეა. სამენოვანები ჯიუტად ამტკიცებდნენ, ოდენ ბერძნული, ებრაული და ლათინურია იმის ღირსი, რომ ღვთისმსახურება ამ ენებზედ სდებოდესო. ვენეციელთ კონსტანტინეს ჰკითხეს: ქრისტე მთელმა იუდამ მოკლა თუ სულ მთელი არა ყოფილაო? კონსტანტინე კი გრძნობდა, ვითარ უჩნდებოდა ლოყაზედ მეოთხე, ვენეციური ნაოჭი და ძველ, სარკინოზულ, საზარულ და სლავურ ნაოჭებთან ერთად, ვითარ უსერავდა იგი სახეს, და ოთხი ერთმანეთს ჯვარედინად გადანასკვული ნაოჭი ოთხ ბადეს აგონებდა, ერთი თევზის დასაჭერად ნასროლს. ამოიღო მან თავისი ქისიდან ერთი ოქროს ფული, მებუკეს მისცა და სთხოვა, ჩაჰბერეო, თავადვე სამენოვანთ დაეკითხა, ვითომ ბუკის ხმა ლაშქარს ფეხზედ დააყენებს, უკეთუ ლაშქარმა ბუკის ნიშანი არ იცისო? იდგა 869 წელი, და კონსტანტინე რავენელ ბოეთიუსზედ ფიქრობდა, რომელიც თავისი სიცოცხლის ორმოცდამესამე წელიწადს დაიღუპა. ახლა ის იმისი ხნისა იყო. პაპის მიწვევით კონსტანტინე რომს ჩავიდა, სადაც თავისი შეხედულებებისა და სლავურ ენაზედ წირვა-ლოცვის სისწორის დაცვა მოახერხა. თან ახლდნენ მეთოდე და რომში მონათლული პოწაფენი.

ეკლესიაში, გალობას მიყურადებული, იგი თავის ცხოვრებას იგონებდა და ფიქრობდა: „როგორც რომ რომელიმე საქმისთვის მოწოდებული ადამიანი ავადობის ჟამს რის ვაინაჩრობით ართმევს თავს ამ საქმეს, ისეთივე რის ვაინაჩრობით იქმს ამავე საქმეს ის სრულიად უავადო მავანი, ვისაც არცრა მოწოდება, ანუ არცრა შინაგანი მისწრაფება ამოქმედებს"...

ამ დროს რომში სლავურ ენამის წირვას გალობდნენ, და კონსტანტინემ მეორე ოქრო მძნობელ-მგალობელთ მიუბოძა. თავისი მესამე ოქრო ძველი წესისამებრ მან ენის ქვეშ დაიდო, რომში ერთ-ერთ ბერძნულ მონასტერში შედგა და, შეირქვა რა ახალი მონაზვნური სახელი კირილე, იქ 869 წელს აღესრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმნიშვნელოვანესი ლიტერატურა. კირილესა და მეთოდეზედ შრომების ძალიან დიდი ბიბლიოგრაფია თავმოყრილია გ. ა. ილინსკის ნაშრომში სისტემატური კირილე-მეთოდური ბიბლიოგრაფიის ცდა), აგრეთვე უფრო გვიანი დროის უამრავ დამატებაში (პოპრუჟენკო, რომანსკი, ივანკა პეტროვიჩი და სხვა). უახლეს გამოკვლევათა მიმოხილვა მოცემულია თ. დვორნიკის მონოგრაფიაში — *Les Legendes de Constantin et Methode vue de Byzance* (1969). ხაზარებთან და ხაზარულ პოლემიკასთან დაკავშირებით ზოგი რამ გადმოცემულია დაუბმანუსის „ხაზარულ სიტყვისკონაში", *Lexicon Cosri, Regiemonti Borrusiae, excudebat Ioannes Daubmannus 1691,* ოღონდ ეს გამოცემა ნადუგრცემულია.

მეთოდე სოლუნელი (დაახლოებით 815-885) — ხაზარული პოლემიკის ბერძენი ქრონისტი, ერთი სლავთა მოციქულთაგანი და აღმოსავლური ქრისტიანობის მღვდელმთავარი, კონსტანტინე სოლუნელის — კირილეს უფროსი ძმა. წარმოშობით სოლუნელი მხედართუფროსის დრუნგარ ლევის სახლეულის ჩამომავალია. მეთოდემ თავისი ნიჭი და უნარი თავდაპირველად ერთ-ერთი სლავური პროვინციის გამგებლად ყოფნისას გამოსცადა მდინარე სტრუმიცას (სტრიმონას) მხარეში. მან იცოდა სულთა შიგან წვერმოშვებულ თავის სლავ ქვეშევრდომთა ენა, რომელთაც ზამთრობით სითბოს გულისთვის პერანგებქვეშ ჩიტები ესხდათ. მალე, უფრო ზუსტად 840 წელს, მან მარმარილოს ზღვასთან მდებარე ბითვინიას მიაშურა, თუმცა მთელი ცხოვრება წინ ბურთივით მიიგორებდა სლავ ქვეშევრდომთა ხსოვნას. წიგნები, რომელთაც დაუბმანუსი იშველიებს, მოწმობენ, რომ მეთოდე იქ ერთ ბერმონაზონთან სწავლობდა და იმ ბერმონაზონს ერთხელ იმისთვის უთქვამს: „როდესაც ვკითხულობთ რასმე, რაც ჩაწერილია, ყველაფრის აღქმა არ ხელგვეწიფების. ჩვენი აზრი ეჭვიანია უცხო აზრის მიმართ, მუდმივად აბუნდოვანებს იმ აზრს, და ჩვენ შიგან არ არის ადგილი ერთბაშად ორი სუნისთვის. ვინც წმინდა სამების ნიშნით ცხოვრობს, მამრული ნიშნით, ისინი კითხვისას კენტს აღიქვამენ, ჩვენ კი, ვინც ოთხეულის მდედრული რიცხვის ნიშნით გამოვირჩევით, ოდენ ლუწ წინადადებას აღვიქვამთ ჩვენი წიგნებიდან. შენ და შენს ძმას ერთსა და იმავე წიგნში ერთი და იმავე წინადადებათა წაკითხვა არ ხელგეწიფებათ, რამეთუ ჩვენი წიგნები ოდენ მამრული და მდედრული ნიშნის გაერთსულებაში არსებობენ"... თუმცაღა, მეთოდე კიდევ ერთ კაცთან — თავის უმრწემეს ძმასთან კონსტანტინესთან სწავლობდა. ჟამითი ჟამად იგი ამჩნევდა, რომ თავისი მრწემი ძმა ბევრად უფრო ბრძენი იყო იმ წიგნის ავტორზედ, რომელსაც ის იმჟამად კითხულობდა... მაშინ მე-

თოდე ხვდებოდა, რომ დროს ცუდუბრალოდ კარგავდა, წიგნს ჩქამიერად დაკეცავდა და ძმას გაებაასებოდა. მემარხულეთა საკანში, რომელსაც ოლიმპი ერქვა და მცირე აზიაში მდებარეობდა, მეთოდე ბერად აღიკვეცა, მოგვიანებით იქ ძმაც შემოუერთდა. ისინი თვალყურს ადევნებდნენ, აკვირდებოდნენ, ყოველ ალდგომას როგორ ფანტავდა საადლესასწაულოდ ამდგარი ქარი უდაბნოში ქვიშას და როგორ გამოაჩენდა ხოლმე მუდამ ახალ ადგილას ძველთუძველეს ტაძარს, გარნა ისე ხანმოკლედ, რომ ისინი ძლივს ასწრებდნენ პირჯვრის გადაწერას და „მამაო ჩვენო"-ს წარმოთქმას, ტაძარი კვალად ქვიშაში იფლობოდა, უკვე სამუდამოდ. მაშინ მეთოდეს სიზმრიანობა დასჩემდა, ერთდროულად ორ სიზმარს ნახულობდა, და იმ ჟამიდან გაჩნდა ლეგენდა, რომ წყვილ-წყვილად სიზმრების მნახველს სამარეც ორი ექნებოდა. 861 წელს იგი ძმასთან ერთად ხაზარეთს გაემგზავრა. სოლუნელ ძმათათვის ეს ახალი საცადისი იყო. ამ ძლიერი ხალხის ამბავი იმათ თავიანთი მასწავლებლისა და მეგობრისგან — ფოტიოსისგან სმენოდათ, რომელიც ეურთიერთობოდა ხაზართ, და იცოდნენ ძმებმა, რომ ისინი საკუთარ ენაზედ ქადაგებდნენ საკუთარ სარწმუნოებას. სატახტოდან მოსული განკარგულებით მეთოდეს ხაზართა ხაკანის კარზედ გამართულ პოლემიკაში უნდა ემონაწილევა როგორც მოწმესა და კონსტანტინეს შემწეს. 1691 წლის **ხაზარული სიტყვისკონა** წერს, ხაზართა ხაკანმა თავის სტუმართ ისიც აუხსნა, რასაც სიზმრების მებადურთა სექტა წარმოადგენდაო. რაღა თქმა უნდა, ხაკანს ეძულებოდა სუყველა ის მებადური, რადგან ეს სექტა სეფექალ ატეპის მომხრეთა პარტიას ეკუთვნოდა. ხაკანს სიზმრების მებადურთა უნაყოფო საქმე იმ ბერძნული იგავისთვის შეუდარებია, სადაც ერთი გალეული წრუწუნა ნაჩვრეტს უპოვის ხორბლით სავსე კოდს, თავის გუნებისად შეძვრება, კარგა მაგრადაც გამოძღება, მაგრამ მუცელგატიკნული უკან ველარა ძვრება, ნაჩვრეტში ველარ ეტევა: „მაძღარი კოდს თავს ვერ დააღწევ. გამოსვლა თუ გინდა, მშიერი უნდა იყო, როგორც შეძვერი, ისეთივე უნდა გამოძვრე. აგრეა მესიზმრის საქმეც, მომყმარი თუა დამშეული, სულ ადვილად გაივლის სიზმარსა და ცხადს შუა, მაგრამ იქ ნაშოვნი ნადავ-ნაალაფარი სიზმრები, რომელთაც გულიანად მიაძღა, უკან დაბრუნების საშუალებას არ მისცემენ, ვინაიდან ისეთი აღარ არის როგორიც იქ შევიდა. ამიტომ ან უნდა თავისნადავლ-ნაალაფარს შეელიოს, ანდა იმიანად იქ უნდა დარჩეს სამუდამოდ.არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში არცრა სარგებელია..."

ხაზარეთში მოგზაურობის მერმე მეთოდე კვლავ ოლიმპზედ დაბრუნდა მცირე აზიაში, და როს ისევ მოიხილა იგივე ხატები, ადრე მოხილული, ისინი დაღლილნი ეჩვენნენ. იქ იგი პოლიქრონის მონასტრის იღუმენი შეიქმნა, რომელი მონასტრის შესახებაც შემდგომ მრავალი ასეული წლის სიგრძეზედ არცრა იყო ცნობილი, გარდა იმისა, რომ სამი დროის — არაბული, ბერძნული და ებრაული დროის პირაპირზედ აეგოთ, რასაც უნდა უმადლოდეს თავის სახელს.

ორიგინალში ჩასმულია მეთოდე სოლუნელის პორტრეტი, IX საუკუნის ფრესკა. (რედ.).

863 წელს მეთოდე სლავებთან დაბრუნდა. საჭირო იყო სლავური სკოლის დაარსება, რომელიც ბერძნული გავლენის ქვეშ [illegible] იარსებებდა თავისი მოწაფეებით, სლავური დამწერლობით [illegible] ბერძნულიდან სლავურად თარგმნილი წიგნებით. ძმებმა, მეთოდემაც და კონსტანტინემაც, ბავშვობიდან იცოდნენ, რომ ფრინველნი სოლუნში და ფრინველნი აფრიკაში სხვადასხვა ენაზედ ჭიკჭიკებდნენ, რომ სტრუმიციდან მოფრენილი მერცხალი სათქმელს ვერ გაუგებდა ნილოსიდან მოფრენილ მერცხალს და რომ მხოლოდ ალბატროსნი მეტყველებენ ყველგან, მთელ დედამიწის ზურგზედ, ერთნაირად.

ასეთი აზრებით გაეშურნენ ისინი მორავიაში, სლოვაკეთში და ქვემო ავსტრიაში, სადაც მიდიოდნენ, გარს ახალგაზრდებს იკრებდნენ, რომელნიც უფრო მეტად პირში შესცქეროდნენ იმათ, იმის მაგივრად, რომ ესმინათ, რასაც ისინი ელაპარაკებოდნენ. ერთ-ერთი მოწაფისთვის მეთოდემ ლამაზად დაჭრელებული არგნის ჩუქება იზრახა. ყველა ფიქრობდა, ალბათ, უკეთესს მისცემსო, და მარჩიელობდნენ, ნეტავი სახელდობრ ვისაო. მეთოდემ არგამი ყველაზედ უარესს გადასცა. და თქვა: „უკეთესნი ყველა'ზედ ნაკლებად სწავლობენ. ბევრად დიდხანს მასწავლებელი ცუდ მოწაფეებთან რჩება. ჭკვიანები სწრაფად ითვისებენ...“

ძმებს უგვანი შუღლი დაუწყეს. აქა-იქ ესხმოდნენ. პირველად ეს ამბავი მეთოდემ თავის სენაკში შეიტყო, რომლის კოლბოხნარი იატაკი ავად უკაწრავდა შიშველ ფეხთ. დაიწყო შეხლა-შემოხლა სამენოვანებთან, გერმანელებთან, რომელნიც დაბეჯითებით ითხოვდნენ, საწესო მხოლოდ სამი ენა უნდა იყოსო (ბერძნული ლათინური და ებრაულიო). პანონიაში, ბალატონზედ — ტბაზედ, სადაც ზამთარში თმა თმას ეყინება, ხოლო ქაფათარი ქარი თვალებს სადილისა და ჩაის კოვზთ ამგვანებს, — მეთოდე ძმასთან ერთად იქაური თავადის — კოცელის სატახტოში გაჩერდა. კოცელის მეომარნი ბრძოლაში ისევე მწარედ იკბინებოდნენ, ვითარცა ბედაურნი და აქლემნი, გველთ ისინი წკეპლის ცემით ჭარ-პერანგთ აძრობინებდნენ, ხოლო იმათი დიაცნი ჰაერში მშობიარობდნენ სადმე წმინდა ხეზედ ჩამოკიდებულნი, ისინი პანონიის ჭაობების ტალახში ათვინიერებდნენ თევზთ და საიდანღაც ჩამოხენცილ გარმიანელთ მავან ბერიკაცს ახილვებინებდნენ, რომლის ლოცვა ის იყო, რომ ტალახიდან თევზი ამოჰყავდა, ხელისგულზედ იწვენდა და იმდენს უჩიჩინებდა, სანამ არ ააფრენდა, ვითარცა სანადირო შევარდენს. და ცად აჭრილი ჰკრავდა ისიც კამარას, თან ტანიდან ტალახს იბერტყავდა და ლაყუჩთ ფრთებსავით ხმარობდა. მიმდევრებთან და მოწაფეებთან ერთად 867 წელს ძმები ერთ-ერთ ისეთ მოგზაურობას შეუდგნენ, როცა ყოველი ნაბიჯი ასოა, ყოველი ბილიკი — ფრაზა, ყოველი გაჩერება კი ერთი დიდი წიგნის სათვალავი. ვენეციაში 867 წელს ისინი მონაწილეობდნენ სამენოვანებთან გამართულ ახალ დავაში, ამის შემდეგ კი რომში მივიდნენ, სადაც პაპმა ადრიანე III სოლუნელ

ძმათა მოძღვრება სწორ მოძღვრებად ცნო და სლავი მოწაფენი წმინდა პეტრეს ეკლესიაში აკურთხა. ამასთანავე ლიტურგია სრულდებოდა სლავურ ენაზედ, რომელიც ის-ის იყო მოეთვინიერებინათ, და როგორც მცირე რამ ნადირი, გლაგოლიცურ ასოთა გალიაში მჯდომარე, ბალკანეთის სანასებიდან მსოფლიოს დედაქალაქში ჩამოეყვანათ, რომში, 869 წლის ერთ საღამოს, ვიდრე იმისი მიმდევრნი სლავნი ერთმანეთს პირში აფურთხებდნენ, მეთოდეს ძმა გარდაეცვალა, კონსტანტინე, იმჟამად უკვე წმინდა კირილე. დააგდო მაშინ მეთოდემ იქაურობა და პანონიაში დაბრუნდა. მეორედ რომში იგი 870 წელს იყო, როცა პაპისგან პანონია-სრემის არქიეპისკოპოსის წოდება იბოძა, რის შემდეგაც ზალცბურგელ არქიეპისკოპოსს ბალატონის ნაპირები უნდა დაეტოვებინა. როდესაც 870 წლის ზაფხულში მეთოდე მორავიაში დაბრუნდა, გერმანელ ეპისკოპოსთ იგი საპყრობილეში გამოამწყვდიეს, სადაც მან ორი წელიწადი გაატარა ოდენ დუნაის ხმაურის ყურისგდებაში. მერმე იგი საეკლესიო კრების სამსჯავროს გადასცეს რევენსბურგში, იქ გვემდნენ, აწამებდნენ და ტიტველი გაჰყავდათ ყინვაში გარეთ. ვიდრე ტაჯგანალს ურტყამდნენ, ისე ილუნებოდა, წვერით მიწას ეხებოდა და სულ იმის ფიქრში იყო, რომ ჰომეროსი და წმინდა ილია წინასწარმეტყველი ერთმანეთის თანამედროვენი იყვნენ, რომ ჰომეროსის პოეტური სახელმწიფო უფრო დიდი იყო, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის იმპერია, იმიტომ რომ პონტოდან მოკიდებული ჰიბრალტარის საზღვარს სცილდებოდა. და კიდევ იმაზედაც ფიქრობდა რომ ჰომეროსს ვერ ეცოდინებოდა ყველაფერი, რაც იმ თავისი სახელმწიფოს ზღვებსა და ქალაქებში მოძრაობდა და არსებობდა, როგორც რომ ალექსანდრე მაკედონელს ვერ ეცოდინებოდა ყოველივე, რასაც ეგების თავის იმპერიაში გადაჰყროდა. შემდეგ ფიქრობდა, როგორ ჩაწერა ჰომეროსმა ერთხელ თავის ქმნმილებაში ქალაქი სიდონიც, და თავადაც არ უწყოდა, რომ ამ ქალაქთან ერთად წინასწარმეტყველი ილიაც ჩაწერა, რომელსაც უფლის ნებით ჩიტები ასაზრდოებდნენ. ფიქრობდა აგრეთვე, რომ ჰომეროსს თავის უზარმაზარ პოეტურ სახელმწიფოში მრავლად ჰქონდა ზღვები და ქალაქები, მაგრამ არ იცოდა, რომ ერთ-ერთ ქალაქში სიდონში ბინადრობდა ილია წინასწარმეტყველი, რომელიც ერთხელაც სხვა პოეტური სახელმწიფოს მოსახლე გახდებოდა, ისეთივე ვრცელი, მარადიული და ძალუმი სახელმწიფოსი, როგორიც ჰომეროსისა იყო, — მეთოდე **საღმრთო წერილს** გულისხმობდა. და თავის თავს ეკითხებოდა, ნეტავი თუ შეხვედროდნენ ერთმანეთს ორი თანამედროვე — ჰომეროსი და წმინდა ილია თიშბელი — გალაადში, ორივე უკვდავი, ორივ ოდენ სიტყვით შეჭურვილი, ერთი — წარსულისკენ პირმიქცეული და ბრმა, მეორე — მომავლისკენ ფიქრგატყორცნილი და ნათელმხილველი, ერთი — ბერძენი, რომელმაც ყველა პოეტზედ უკეთესად უმღერა წყალსა და ცეცხლს, მეორე — ებრაელი, რომელიც წყლით აჯილდოებდა და ცეცხლით სჯიდა, მოსასხამს კი ხიდსავით იყენებდა. დედამიწის ზურგზედ არის ერთი სარტყელი, ფიქრობდა ბოლოდ მეთოდე, არცთუ უფრო გონიერი, ვიდრე ათი აქლემის სიკვდილია, რომელ სარტყელზედაც ორი ადამიანი ერთმანეთს ასცდაო. ეს არის სივრცე, სივ-

რცე ამ ორი ადამიანის ნაბიჯთა შუა, უფრორე ვიწრო, ვინემ დედამიწის ზურგზედ რომელიმე ყოვლის უფროისად უგანო ორწუხი ან კლდეკარიაო. ორი ასეთი დიდი პიროვნება ერთმანეთს უფრო ახლოს არცროდის ყოფილაო. ან არადა ჩვენ ვცდებით, როგორც ყველანი ვისი მხედველობაც მოგონებათა სამსახურშია და არა ჩვენთა ხედვა ქვეშ არსებული დედამიწისაო...

პაპის ჩარევის წყალობით მეთოდე 880 წელს გაათავისუფლეს, რომში მან მესამედ დაასაბუთა მართლმორწმუნეობა ყოველივესი, რასაც იცავდა, კერძოდ, სლავური წირვა-ლოცვისა, ხოლო პაპმა თავისი უსტრით კიდევ ერთხელ დაადასტურა სლავური ღვთისმსახურების კანონიერება. დაუბმანუსი, უკვე მოხსენიებული ტაჯგანალით მეთოდეს ცემის ამბის გარდა, იმასაც გვაუწყებს, რომ იგი სამჯერ განიბანა რომის მდინარე ტიბრში, როგორც წესია დაბადების, ჯვრისწერისა და სიკვდილის ჟამს, და რომ იქ იგი სამი სამისნო პურით ეზიარა. 882 წელს მეთოდე უმაღლესი პატივით მიიღეს ცარგრადში, ჯერ სამეფო კარზედ, მერმე კი საპატრიარქოში, რომელსაც იმისი ახალგაზრდობის მეგობარი, ხოლო პატრიარქი და ფილოსოფოსი ფოტიოსი მეთავეობდა. მეთოდე აღესრულა 885 წელს მორავიაში და სიკვდილის შემდეგ დატოვა **საღმრთო წერილის, ნომოკანონის** (კანონთა კრებულის) და წმინდა მამების ქადაგებათა თარგმანები.

როგორც ხაზარული მისიის მონაწილე და კონსტანტინე ფილოსოფოსის შემწე, მეთოდე ორჯერ გვევლინება ხაზარული პოლემიკის ქრონისტად. მან სლავურად გადაენა ხ ა ზ ა რ უ ლ ი ქ ა დ ა გ ე ბ ა ნ ი და, კირილეს ცხოვრების წიგნის სტილისდა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რვა ნაწილად დაუყვია ისინი და რედაქციაც გაუწევია. ვინაიდან კირილეს ხ ა ზ ა რ უ ლ ი ქ ა დ ა გ ე ბ ა ნ ი არ შემონახულა არც ბერძნული დედნით, არც მეთოდეს სლავური თარგმანით, ხაზარული პოლემიკის უმნიშვნელოვანეს დამამოწმებელ წყაროდ რჩება კონსტანტინე ფილოსოფოსის (კირილეს) სლავური ცხოვრება, თავად მეთოდეს თვალოვნობისა და ზედამხედველობის ქვეშ დაწერილი. ამ ცხოვრებაში მოყვანილია პოლემიკის თარიღიც (861 წელი) და წვლილად არის გადმოცემული კირილესა და იმის მოწინააღმდეგეთა გამოსვლების შინაარსი, თუმცა დასახელებულნი არ არიან ის მოწინააღმდეგენი — ებრაეული და მუსულმანი მისიონერები. დაუბმანუსს მოჰყავს შემდეგი გამონათქვამი, რომელიც მეთოდეს ეხება: „ყოვლის უფრო ძნელი სხვისი ხოდაბუნისა და საკუთარი ცოლის გათერძვაა, გინდა ხვნა თქვი, — წერს იგი, — მაგრამ ყოველი კაცი რაკი გაკრულია საკუთარ ცოლზედ ვითარცა ჯვარზედ, გამოდის, რომ ყოვლის უფროისად ძნელი სხვისი კი არა, საკუთარი ჯვრის ტარებაა. აგრე იყო მეთოდეს თავსაც, რომელსაც არცროდის უტარებია თავისი ძმის ჯვარი... რამეთუ მრწემი ძმა სულიერ მამად ერგებოდა...“

მესვეტე (ბრანკოვიჩი გრგური) (1676-1701) — თვითონ სიტყვა „მესეტვე“ აღმოსავლურ ქრისტიანობაში ნიშნავს განდეგილს, დაყუდებულს, რომელსაც აღთქმული აქვს გოდლის (სვეტის) თავზედ

ცხოვრების ლოცვაში გატარება, რაც შეეხება გრგურ ბრანკოვიჩს, სრულიად საგანგებო რამ მიზეზისა გამო შეერქვა მესვეტე. გრგურ ბრანკოვიჩი იყო ასისთავი, ელდერელ ბრანკოვიჩთა ნაშიერი, XVII საუკუნის მხედართმთავრის, დიპლომატიურ სამსახურში მყოფი, აბრამ ბრანკოვიჩის სიყრმის შვილი. მან თავის მამაზედ სულ ფირფიტეტ წლით მეტსანს იცოცხლა. ცნობილია, რომ ის ჯიქივით ხალებიანი იყო და მუდამ იმარჯვებდა ღამეულ ბრძოლებში, ხმალი ფასდაუდებარი ჰქონია, სამოცდაათი ილეკროს ფირფიტისგან დამზადებული, რომელი ფირფიტებიც მჭედელს იმის მერე გამოეჭედა, ცხრაჯერ ზედიზედ რომ წარმოეთქვა „მამაო ჩვენო". ზედწოდება მესვეტე თავად არცროდის გაუგონია, რადგან სიკვდილის შემდეგ ეწოდა, უფრო ზუსტად, იმის მერე, რაც თურქთა ტყვეობაში აწამეს. თუ რარიგ დაიღუპა, საზარბაზნე საქმეთა ოსტატმა ჰასან აგრიბირდი-უმრწემესმა აღწერა და ხალხმა სიმღერა გამოუთქვა, თავად გრგურ ბრანკოვიჩი კი ზედწოდებისა წყალობით ქრისტიანობის წმინდა განდეგილთა ერთ მწკრივში ჩადგა. დაღუპვით, როგორც ამბობენ, ასეთნაირად დაღუპულა: რამდენიმე მხედართან ერთად ბრანკოვიჩი დუნაის შორიახლო იბედივად თურქთა რაზმს გადაჰყრია. თურქნი ის-ის იყო მოვიდნენ თურმე ნაპირთან და ცხენებიდან ჩამოუსდომლად, პირდაპირ ამხედრებულნი აფსამდნენ მდინარეში. ბრანკოვიჩს შეუმჩნევია თუ არა ისინი, ოტებულა. თურქთა რაზმის მეთაურს თვალი კი მოუკრავს ოტებულისთვის, მაგრამ თავისი საქმე არ შეუწყვეტია და, მხოლოდ სრულად რომ დაცლილა და ბოლო წვეთები ჩამოუბერტყავს, მერეღა გამოსდგომია ბრანკოვიჩს და წარუტყვევნია. შუბ-ლიბანდაკთა რტყმით აძრახებული დოლის ბრახაბრუხში მიუყვანიათ გათოკილ-გაკოჭილი ბრანკოვიჩი თურქთა ბანაკში. თურქთ ტყვევნილი ბერძნული სვეტის თავზედ აღუმართავთ, და სამ მშვილდოსანს ბრძანება მიუღია, დააყარეთ მაგას ისარ-ბოძალნიო. სანამ სროლას დაუწყებდნენ, თურმე შეჰპირდნენ, უკეთუ მეხუთე ისრის შემდეგ ცოცხალი დარჩი, სიცოცხლესაც გაჩუქებთ და მშვილდსაც მოგიბოძებთ თავის ისარ-კაპარჭიანად, რათა ზემოდან იმ სამს დაუშინო, ვისაც აწ მიზანში ამოუღიხარო. მაშინ ბრანკოვიჩი შენუკვია, ერთჟამიერად ორ-ორს ნუ მესვრით, რადგან „გამოსროლილი ისრები უნდა ვითვალო და არა ტკივილიო". რალა ბევრი გავაგრძელო, იმ სამს სროლა დაუწყია, ბრანკოვიჩს კი თვლა. პირველი ისარი თურმე ზოსტერის, ანუ ქამრის აბზინდის ზევით მოხვდა, მუცელი განუგმირა და შიგ სრულად ის ტკივილი გაუღვიძა, მთელი ცხოვრება რომ დაჰგროვებოდა. მეორე ისრისთვის ხელი უტაცია, მესამეს ყური გაუხვრეტია და ბიბილოში გაჩრილი საყურესავით დაჰკიდებია, ის კი იდგა თურმე და ითვლიდა. მეოთხეს გვერდზედ ჩაუზუზუნია, მეხუთე მუხლზედ მოხვედრია, ასხლეტილა და მეორე ფეხში გასვლია, ის კი იდგა თურმე და ითვლიდა. მეექვსეს კვლავ გვერდზედ ჩაუვლია, მეცხრეს ზედ მიულურსმავს ხელისგული, ბარძაყზედ რომ ჰქონია მიდებული, ის კი იდგა თურმე და ითვლიდა. მეთერთმეტეს კინაღამ მკლავი იდაყვში წაუწყვეტია, მეთორმეტე საზარდულში შერჭმია, ის კი იდგა თურმე და ითვლიდა. ჩვიდმეტამდე დაუთვლია და სვეტიდან მკვდარს ბრაგვანიც მოუდენია, იმ

ადგილას ველურ ყურძენს უხარია, კრიკინას, რომელსაც არცროდის ყიდიან და არცროდის ყიდულობენ, ეს ცოდვიან საქმედ ითვლება.

ᲡᲔᲕᲐᲡᲢ ᲜᲘᲙᲝᲜᲘ (XVII საუკუნე) — თქმულებაა, რომ ერთ დროს ბალკანეთში, მორავიას ნაპირის მიმდგომ მეცხვარის ხეობაში, ეჭვეულოდ მშვიდობიანი სატანა ცხოვრობდა, რომელიც ბრავის ქრმოდა, სუყველას თავის საკუთარ სახელს ეძახდა და ცხოვრების სახსარს წმ. ნიკოლოზის მონასტერში მოირეწდა, სადაც მწერალ-მწიგნობართუხუცესად მოღვაწეობდა. რა ადგილასაც არ უნდა დამჯდარიყო, ადგომის მერე იქ ორი მავანი პირის ანაბეჭდი რჩებოდა, კუდის მაგივრად კი ცხვირი ება. ადრე, წინა ცხოვრებაშიო, ამტკიცებდა, ეშმაკი ვიყავი ებრაულ ჯოჯოხეთშიო და ველიალსა და გაბრიელს ვმსახურებდიო, ბევრი ვინმე მყავს დამარხული სინაგოგათა თავან-სხვენებშიო, და ერთხელაც შემოდგომაზედ, როდესაც ფრინველის სკინტლი შხამიანი იყო და, რასაც ეცემოდა, ფოთოლთ თუ ბალახს, ყველაფერს ხრუკავდა, სევასტს კაცი ექირავებინა, რათა მოჰკვლევინებოდა. ამ გზით იმას ებრაულიდან ქრისტიანულ ჯოჯოხეთში გადაბიჯება და მერმე ახალ ცხოვრებაში ეშმაკის მსახურება ეწადაო...

ზოგი მითქმა-მოთქმით კი, არ მომკვდარა, მცირეოდენი თავისი სისხლი ძალს აალოკვინა, ვიღაცა თურქის საფლავში ჩავიდა, ყურებში სწვდა, ტყავი გააძრო და ის ტყავი ზედ წამოიჭიმა, საკუთარივით მოირგო. ამიტომ იყო, რომ იმისი ლამაზი თურქული თვალებიდან თხის თვალები იჭყიტებოდნენ. ცეცხლის მშობელი ქვაო, იტყოდა ხოლმე სევასტი და ტალისა თუ კაჟის დანახვაზედ შიშის ქარი უვლიდა, ვახშმობით ყველაზედ ბოლოს ვახშმობდა და წელიწადში თითო კვნიტ მარილს იპარავდა. ყველანი ერთპირ ტუტუნებდნენ, ეგაო ღამ-ღამ მონასტრისა და სოფლის ცხენთ დააჭენებსო, და, მართლაც, გაქაფულნი, ტალახში ამოსვრილნი და ფაფარაჩეჩილნი ხვდებოდნენ ისინი დილის რიჟრაჟს. ამას იმიტომ სჩადისო, ამბობდნენ, რომ გული გაიგრილოსო, ვინაიდან, გული მაგას წამოდულებულ ღვინოში აქვს შემგბარიო. ამიტომ ცხენთ ფაფარში სვინტრს აწნავდნენ, რომელსაც ის სათოფეზედ არ ეკარებოდა, და ასეთნაირად იცავდნენ იმისგან და მუდამ ძალლთა მიერ შემოღრღნილ იმის წულა-მოგვთაგან...

ჩაცმით ის მდიდრულად იცვამდა და ფრიად ეხელკეთილებოდა საეკლესიო კედლის ფერწერა, ეს ნიჭი კი, როგორც თქმულება გადმოგვცემს, მთავარანგელოზ გაბრიელისგან ჰქონდა მომადლებული. მეცხვარის ხეობის ეკლესიებში რაც კი იმისი ხელით შესრულებული ფრესკებია, ყველაზედ ჩანაწერი რამ არის შემორჩენილი, რომელთაც გარკვეული თანამიმდევრობით თუ წავიკითხავთ ფრესკა-ფრესკა, მონასტრიდან მონასტრამდე, ისინი ერთ საერთო უსტარს შეიცავენ. ამ უსტარის თხზვა-განგრძობა კი მანამდე შეიძლება, სანამდეც ეს ფრესკები იცოცხლებენ, ეს უსტარი ნიკონმა თავისი თავისთვის შეადგინა, თადარიგი გასწია იმ დროისათვის, ოდეს სამასი წლის შემდგომ საიქიოდან კვლავ ცოცხალი დაუბრუნდება საქაოს, რამეთუ დემონთ, როგორც თავად უბნობდა, არცრა ახსოვთ წინა ცხოვრებიდან და თავადვე წინასწარ უნ-

და იზრუნონ თავიანთ თავზედ. თავდაპირველად, ფერწერას ხელი რომ მიჰყო, ნიკონს არცვინ მიიჩნევდა გამორჩეული ნიჭით მადლცხებულ მხატვრად. მუშაობით მარცხენა ხელი მუშაობდა, სუყოველი ფრესკა სახიერი გამოსდიოდა, მაგრამ შეუძლებელი იყო რომელიმეს დამახსოვრება. როგორც კი თვალს მოაშორებდი, თითქოს [illegible] ქრებოდნენ. ერთხელაც დილით სევასტი სასოწარკვეთილი იჯდა თავის საღებავთა წინარე. უცებ შეიგრძნო, ვითარ დაუმსხვრია თავისი მდუმარება ახალმა, სხვა სიჩუმემ, თავისივე მდუმარებაში ამოტივტივებულმა. გვერდით კიდევ ვილაცა დუმდა, მაგრამ დუმდა არა იმის ენაზედ. მაშინ ნიკონმა მთავარანგელოზ გაბრიელს დაუწყო ნუკვა, საღებავთა წყალობა მომიბოძეო. იმხანად მეცხვარის ხეობის მონასტერში, ანუ წმ. იოანეს, ხარების, წმ. ნიკოლოზისა თუ მირქმის სავანეთა ჭერქვეშ, ბევრი ახალგაზრდა ხატმწერი ბერი იყო, რომელნიც კედელთ ამკობდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვითარცა მდუმარე ლოცვასა თუ გალობაში, ვინ უკეთ გამოსახავდა თავის წმინდანს. ამიტომ აზრადაც არცვის მოსდიოდა, რომ სწორედ ნიკონ სევასტის ვედრება იქნებოდა შესმენილი. მაგრამ სწორედაც აგრე მოხდა.

1670 წლის აგვისტოში, შვიდი წმინდა ეფესელი მარტვილის დღის წინარე, როცა ირმის ხორცის ჭამის აკრძალვა მთავრდება, ნიკონ სევასტმა წართქვა:

— ერთ-ერთი სწორი გზა ჭეშმარიტი მომავლისკენ (ცრუ მომავალიც ხომ არის) იმ მიმართულებით სიარულია, საითაც შიში გეზრდება.

და სანადიროდ განემზადა. თან თეოქთისტე ნიკოლსკი ახლდა, ბერი, რომელიც მონასტერში წიგნების გადაწერაში შეეწეოდა. ეს ნადირობა ისტორიაში თეოქთისტეს ჩანაწერების წყალობით შევიდა. სევასტმა, როგორც ჰყვებიან, მწევარი უნაგირზედ შეისვა, თავის ზურგს უკან, და წავიდნენ ირემზედ სანადიროდ. მალე მწევარმა ძირს ისკუპა ცხენის ზურგიდან, მაგრამ არავითარი ირმის ჭაჭანება არ იყო ახლომახლო. ძაღლი კი მაინც წკავწკავებდა, თითქოს მართლა ნადავლს მისდევსო, და ისე ჩანდა, რასაც მისდევდა,ის უხილავი, ოღონდ მძიმე, ქვედამზიდველი რამ, მონადირეთა მიმართულებით მოძრაობდა. ისმოდა, როგორ გაჰქონდა ბუჩქნარს ლაწალუწი. სევასტიც ისევე იქცეოდა, როგორც მწევარი. თავი ისე ეჭირა, თითქოს წინ ირემი უდგასო, თანაც მართლა იქვე, სულ ახლოს, ირმის სუნთქვისნაირი ხმა ისმოდა, და თეოქთისტემ გაიფიქრა, რომ მთავარანგელოზი გაბრიელი ბოლოსა და ბოლოს ირმად მოევლინა ნიკონს, სხვაგვარად თუ ვიტყვით — ნიკონ სევასტის სულად ქცეული გამოეცხადა. უფრო ზუსტად კი: მთავარანგელოზმა სული მიართვა ნიკონს საჩუქრად. აგრე და ამრიგად, ნიკონმა იმ დღეს ნადირობისას საკუთარი სული მოიხელთა და გაეძრახა.

— ღრმაა შენი სიღრმე და დიადია შენი დიდება, შემაძლებინე საღებავთაგან შენი შესხმა და ქებათა ქება! — შესძახა სევასტმა იქავ წინარე მდგარ მთავარ ანგელოზს, თუ ირემს, თუ საკუთარ სულს — ერთი სიტყვით, იმას, რაც იყო. — მე მწადს შაბათსა და კვირის შუა დამდგარი ღამის დახატვა, ხოლო იმ ღამესა ზედან შენი ყოვლის უფრო სახი-

ერი ხატის დაწერა, რათა სალოცავად ჰყავდე სხვაგანაც, იმ ხატის უნახავადაც კი!

მაშინ მთავარანგელოზმა გაბრიელმა უთხრა:

— არა იხელბოროტებდეთ და არა წაიქეზებდეთ თავსა განსარისხებლად... — და ბერი მიხვდა, რომ მთავარანგელოზი ბრძანებით სახელთა გამოტოვებით უბნობდა. რამეთუ სახელები ღვთისაა, სმენები კი ადამიანისა.

თქმულის პასუხად ხატმწერმა მიუგო:

— მარჯვენათი როგორ ვიმუშაო, როცა ცაცია ვარ?

მაგრამ ირემი უკვე გაქრა, და ბერმა მაშინ ჰკითხა ნიკონს:

— რა იყო ეგ?

მან კი სავსებით მშვიდად უპასუხა:

— არცრა განსაკუთრებული ყოფილა, ეგ ყოველივე ჟამიერია, წარმავალი, მე კი აქ უბრალოდ ცარგრადს მიმავალი გზად აღმოვჩნდი,— და დასძინა: — მწოლიარე კაცს თუ ადგილს გამოუცვლი, იმ ადგილას ჭიაჭუანი და ბუჭყები აფუთფუთდებიან, ძვირფას ნივთებსავით გამჭვირვალენი, და ობიც მოგხვდება თვალში...

და სიხარულმა მოიცვა იგი, ვითარცა სენმა რამემ, ფუნჯი მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადაიტანა და დაიწყო წერა. საღებავები რძესავით წამოუვიდა და ძლივსღა ასწრებდა წასმას. ყველაფერს ერთბაშად ჩახვდა: იმასაც, თუ რარიგად უნდა აერია ერთმანეთში ტუში და მუშკამბრი, და იმასაც, რომ ყვითელი საღებავი ყველაზედ უფრო მალია, ხოლო შავი ყველა სხვა საღებავზედ უფრო ნელი, და დროც ყველაზედ უფრო მეტი სჭირდება, რათა გაშრეს და თავისი ჭეშმარიტი სახე შეიძინოს. ყველაზედ უკეთესად „წმინდა იოვანეს თეთრით“ და „გველის სისხლით“ ემუშავებოდა. დასრულებულ ნახელკეთილარს ლაქს კი არ უსვამდა, როგორც ეს მიღებული იყო, ძმარში დასველებულ ფუნჯს მიმოავლებდა, რათა ნათელი ჰაერის ფერი მიეღო. რაც რამ გარშემო იყო, ყველაფერს მიმოხატავდა, საღებავებით კვებავდა და კურნავდა: კარების ამყოლ-წირთხლებსა და სარკეებს, საქათმეებსა და გოგრებს, ოქროს მონეტებსა და მაშიებს. თავის ცხენს ჩლიქებზედ ოთხი მახარებელი მიახატა — მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე, ჭის ტაგანს — მარიამ ეგვიპტელი, კედლებს — ერთი და მეორე ევა (პირველი ლილიტი და მეორე ადამისეული), თავისი ხელების ფრჩხილებზედ კი ათი ღვთისმიერი მცნება მიიხატა. იდგა და წერდა გამოხრულ ძვლებზედ, კბილებზედ, თავისებზედაც და სხვებისაზედაც, გადმობრუნებულ ჯიბეებზედ, ქუდებზედ, ჭერებზედ. ცოცხალ კუებზედ თორმეტივე მოციქულის სახეები გამოსახა, გაუშვა ტყეში, და კუები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. ღამეებში მდუმარება იდგა, ვითარცა სავანეთა შიგან, აირჩევდა ერთ რომელსამე ღამეს, შევიდოდა, დაანთებდა ცეცხლს ფიცრის უკან და ხატდიპტიქსა წერდა. ერთ-ერთ ღამეზედ მან გამოსახა, როგორ გადასცემდნენ ერთმანეთს მთავარანგელოზები გაბრიელი და მიქაელი ერთი დღიდან მეორეში ღამის წიაღ ცოდვილი დედაკაცის სულს, ამასთანავე მიქაელი სამშაბათში იდგა, ხოლო გაბრიელი ოთხშაბათში. ფეხებით ისინი ამ დღეთა დაწერილ სახელთ ეყრდნობოდნენ და ქუსლებიდან სისხლი

სდიოდათ, რადგან ასოებს წვერები წამახულები ჰქონდათ. ზამთრობით, სპეტაკი თოვლის სიქათქათეში, ნიკონ სევასტის ნახელკეთალარი ბევრად უმჯობესი ჩანდა ვიდრე ზაფხულობით მზეზედ. თითოეულ ნამუშევარში მაშინ რაღაც სიმწარე იგრძნობოდა, თითქოს ბინდ-ბუნდში იყო სუყველა შექმნილი, ზედ გამოსახულ სახეებზედ რაღაცნაირი ღიმილი ციაგებდა, რომელიც აპრილში იშრიტებოდა და პირველ თოვლამდის უჩინარდებოდა. და მაშინ იგი კვალად მიუბრუნდებოდა თავის ფუნჯსა და საღებავთ და მხოლოდ დროდადრო იდაყვით ისწორებდა თავის ვეება ივ-სარცხვინელს, რათა მუშაობაში ხელი არ შეემალა.

ნიკონის ახალი ხატები და ფრესკები მთელი ცხოვრება გამახსოვრდებოდნენ; თუ სადმე ვინმე ბერი იყო იმ მუხურო-არემარეში და მხატვარი მეცხვარის ხეობის უკლებლივ ყველა მონასტერში, ცა და ქვეყანა წმ. ნიკოლოზთან იყრიდა თავს, თითქოს ვიღაცა ეძახდა ნიკონის საღებავთა საცქერლად. მონასტრები დასწრებაზედ იყვნენ, ვინ ადრე მიიწვევდა ნიკონს თავისთან, ერთი იმის ხატს იმდენივე მოჰქონდა, რამდენიც ვენახს, ხოლო კედელზედ მოხატულ ფრესკას მუხლი ისევე უჭრიდა, ვითარცა ბედაურს. თუ რარიგ ხელგარჯილობდა ნიკონი, რვახმიან გალობათა გულანში შემორჩენილია 1674 წლით დათარიღებული ჩანაწერი, რომელიც გვამცნობს:

„ორი წლის წინათ, ღირსი ანდრია სტრატილატის დღეს, ოდეს კაკბის ჭამა იწყება, — წერდა წმ. ნიკოლოზის მონასტრის უცნობი მონაზონი, — ჩემსა სენაკსა შინა ვიჯექ, კიევიდან ჩამოტანილ ახალიერუსალიმურ ლექსთა წიგნს ვკითხულობდი, ხოლო მეზობელ სადგომსა შინა სამი ბერი და ერთი ძაღლი პურობდა: ორ იდიორიტმიკოსს უკვე ევახშმა, ფერმწერალი სევასტ ნიკონი კი, ჩვეულებისამებრ, ბოლოს მიირთმევდა. ლექსთა სიჩუმეში, რომელთაც ვკითხულობდი, ღეჭვისდა კვალად, შეიძლებოდა გარჩევა, რომ ნიკონი ძროხის ენასა ჭამდა, რომელიც, რათა დარბილებულიყო, სანამ შეაგბობდნენ, კარწინ რომ ქლიავი იდგა, პაპასხილი, იმაზედ დაებეგვათ კარგა მაგრად. მერმე, საჭმელს რომ მორჩა, ნიკონი ჩემთან გამოვიდა და სამუშაოს ჩაუჯდა, მე ვუყურებდი, ვითარ ამზადებდა საღებავთ, და ვკითხე, რასა იქმ-მეთქი.

— საღებავთ მე კი არა, შენი მხედველობა ურევს, — მომიგო მან, — მე ოდენ გადამაქვს ისინი კედელსა ზედა, გვერდიგვერდ, ბუნებრივი სახით, ხოლო, ვინც უმზერს, ის თავისი თვალებით ფაფასაებრ ურევს იმათ. ამაშია მთელი საიდუმლოება. ვინც უკეთესად შეაგბობს ფაფას, სურათიც უკეთესი გამოუვა, ოღონდ კარგ ფაფას უხეირო წიწიბურასგან ვერ დაამზადებ. აგრე რომ ყოვლის უფრორე მნიშვნელოვანი რწმენა იმასა აქვს, ვინც უყურებს, უსმენს და კითხულობს, და არა იმას, ვინც ხატავს, გალობს ანდა წერს.

მან ცისფერი და წითელი საღებავები აიღო, ერთს მეორე მიუყენა გვერდით და ანგელოზის თვალები გამოსახა. დავინახე, რომ ორივე იისფერი გახდა.

— მე თითქოს საღებავთა სიტყვისკონით ვმუშაობ, — დასძინა ნიკონმა, — მაყურებელი კი ამ სიტყვისკონის სიტყვებიდან თავად ადგენს

გამოთქმებსა და წიგნებს, ანუ სურათებს. შენც შეგეძლო აგრევე ქმნა, ოდეს წერ. ვითომ რა, ურიგო იქნებოდა მართლაც შეგეკრა სიტყვათა კონა, რომელიც ერთ წიგნს შეადგენდა, და მკითხველისთვის საშუალება მიგეცა, რომ იმ სიტყვათაგან თავად აეგო თავისი მთლიანობა?

მერმე ნიკონ სევასტი ელეევნისკენ, ანუ კამაროსან ~~[illegible]~~ კენ მიბრუნდა, ფუნჯი მინდორს მიაშვირა, რომელიც წმ. ~~ნიკოლოზის~~ მონასტრის წინ გაშლილიყო, და წართქვა:

— იმ ორნატსა ხედავ? მანდ ერქვანი არ გეგონოს სახვნელად ერთხელ გავლილი. ეგ ძალლთა ყეფისგან გაჩენილი კვალია...

შემდეგ ნიკონი ჩაფიქრდა და თავისთვის იძრახა:

— უკეთუ მე, ცაციას, აგრერიგად გამომდის მარჯვენათი, მაშ, აბა, რაღას ვიქმ მარცხენათი! — და ფუნჯი მარცხენა ხელში გადაიტანა...

ეს ამბავი მყის მოედო მონასტერთ და ყველას ელდა ეცა, დარწმუნებულთ, რომ ნიკონ სევასტი კვალად დაუბრუნდა სატანას და დაისაჯებოდა. ასე იყო თუ ისე, სასმენელნი კვალად დანასაებრ დაუმახვილდნენ, ის კი არა, ენაობდნენ კიდეც, მაგის ყურით, თუ გინდა, პურს დაჭრიო. მაგრამ ოსტატობა ისეთივე შეინარჩუნა, მარცხენათიც ისევე წერდა, როგორაც მარჯვენათი, არცრა შეცვლილა, მთავარანგელოზის კრულვა არ ახდა.

ერთხელაც დილით ნიკონ სევასტი ხარების მონასტრიდან იღუმენს ელოდა, რომელიც აღსავლის კარის მოხატვის საქმეზედ მოსალაპარაკებლად უნდა მოსულიყო. მაგრამ არც იმ დღეს და არც მეორე დღეს ხარებიდან არცვინ გამოჩენილა. მაშინ სევასტს თითქოს რაღაცა წამოაგონდა, მეხუთე „მამაო ჩვენო" ჩაიკითხა, რომელსაც თავისმკვლელთა სულის მოსახსენიებლად კითხულობენ, და თავად გაეშურა იმ მომასტერში. იქ ეკლესიის წინ თვალი ჰკიდა იღუმენს და ვითარ ჩვეულებად ჰქონდა, თავისი საკუთარი სახელი გასძახა:

— სევასტ, სევასტ, რა მოხდა?

ბერიკაცს ხმა არ ამოუღია, ისე შეიყვანა სენაკში და შიმშილივით ახალგაზრდა, დღემოუჭმელი მხატვარი აჩვენა, რომელიც კარის საგდულს ამკობდა. ნიკონმა შეხედა ნამუშევარს და გაშეშდა. ჭაბუკი წარბთ ფრთებსავით იქნევდა და ისევე ფარსაგად წერდა, ვითარცა თავად ნიკონი. უკეთესად არა, მაგრამ არც უარესად. და მაშინ ნიკონი მიხვდა, რაშიც მდგომარეობდა კრულვა. მერმე ახლა ხმა მოუვიდა, პრნიავორის ერთ-ერთ ეკლესიაში ვიღაც სხვა ჭაბუკი მუშაობს ისევე ხელკეთილად, როგორაც ნიკონ სევასტიო. და თურმე აგრეც იყო. მალე ამის შემდგომ სხვათაც, უფრორე ხნიერ მხატვართ და ხატმწერთ — ერთმანეთის მიყოლებით, თითქოს ნავსადგურიდან გადიან და დიდ წყალში შეცურებას ეპირებიანო, — სულ უფრორე უკეთ და უკეთ იწყეს წერა და თავიანთი ცოდნითა თუ უნარით ნიკონ სევასტთან მიახლოება, რაც ადრე მიუწვდომლად ესახებოდათ. აგრე გაბრწყინდნენ და განახლდნენ ხეობის სუყოველი მონასტრის კედელნი, დაიწყო მარცხენა ხელიდან მარჯვენისკენ მოძრაობა. ოდენ მაშინ მიხვდა იგი სრულად, რარიგადაც იყო დასჯილი. ველარ აიტანა ეს ამბავი და თქვა:

— რაღად მინდა ისეთ ხატმწერლად ყოფნა, როგორიც რომ ყველა დანარჩენია? აწ თითოეულს ძალუძს ჩემებრ წერა!

და დაყარა მან თვისნი ფუნჯნი და აღარცროდის აღარცარა მოუსატავს. კვერცხებიც კი. სუყველა საღებავი თვალებიდან ცრემლად ჩაღვარა საღებავთათვის განკუთვნილ მონასტრის როდინში. ... ეს-ეს ... შემწე თეოქთისტესთან ერთად დაუტევა წმ. ნიკოლოზის მონასტერი, მიდიოდა და გზა-გზა თავისი მეხუთე ჩლიქის კვალსა ტოვებდა, განშორებისას წართქვა:

— ცარგრადში ერთ დიდ ბატონს ვიცნობ, რომელსაც ცხენის კუდსავით სქელი ქოჩორი აქვს, ვუწყი, მწერალ-მწიგნობრებად აგვიყვანს.

და დაასახელა. სახელი ესე იყო: კირ აბრამ ბრანკოვიჩი.

სიზმართა მეგადურნი — ხაზარ მღვდელმსახურთა სექტა, რომელთა მფარველი სეფექალი ატეჰი იყო, იმ მღვდელთმსახურთ უკლებლივ ყველამ იცოდა სხვათა სიზმრების წართქმა. როგორც საკუთარ ჭერქვეშ, ისე ცხოვრობდნენ ისინი უცხო კაცთა სიზმრებში, თავიანთ გუნებისად დანავარდობდნენ შიგ და ნადავლად რის დაჭერაც ჰქონდათ დაკვეთილი, იმას იჭერდნენ — კაცხორციელს, ნივთს რასმე ანდა ოთხფეხს. შემონახულია ერთ-ერთი ყველაზედ ძველი სიზმართა მეგადურის ჩანაწერები, სადაც თქმულია: „სიზმარში თავს ისე ვგრძნობთ, ვითარცა თევზი წყალში. ჟამითი ჟამად ამოვიყურყუმელავებთ ხოლმე სიზმრიდან, თვალს შევავლებთ ნაპირზედ შეკრებილთ და კვალად დავყვინთავთ იჩქითად და ხარბად, რამეთუ ოდენ სიღრმეში ვგრძნობთ თავს ფარსაგად. ზედაპირზედ ამ ხანმოკლე გამოჩენის ჟამს ხმელეთსა ზედა ერთს უცნაურ რასმე ქმნილებას ვამჩნევთ, ჩვენზედ ბევრად დუნეს, ჩვენგან განსხვავებით, სუნთქვის სულსხვა წესს შეჩვეულს და ხმელეთს მთელი თავისი სიმძიმით მიერთებულს, ოღონდ ამასთანავე სიამეს მოკლებულს, რომელ სიამეშიც ჩვენ ვცხოვრობთ ვით საკუთარ სხეულში. იმიტომ რომ აქ, ქვევით, სიამე და სხეული ორი განუყოელი და ერთი მთლიანი რამ არის. ეს ქმნილება იქაც, ზევითაც, ჩვენა ვართ, ოღონდ მილიონი წლის შემდეგ, და ჩვენსა და იმას შორის არა ოდენ წლები ძევს, არამედ ზარდამცემი კატასტროფაც, რომელიც იმას, ზევით, მას უკან დაატყდა, ვითარ მან სხეული სიამეს განაშორა...“

ერთ-ერთ ყოვლის უფრო თავჩენილ მესიზმრეს, როგორც თქმულება გადმოგვცემს, მოკადასა ალ საფერი ერქვა. მან საიდუმლოში წვდომასთან ყველაზედ უფრო ღრმად მიახლოება მოახერხა. თევზთ იგი სხვათა სიზმრებში ერთი ხელის მოსმით ათვინიერებდა, იქავ ხელად აღიავებდა იმ სიზმართა ყველა კარს, იმაზედ უფრო ღრმად ჩაყვინთვა სიზმარში არცვის შეეძლო, თვით ღმერთამდე ჩადიოდა, რამეთუ ყოველი სიზმრის ძირას განისვენებს ღმერთი. მერე კი ისეთი რაღაც დაემართა, სამუდამოდ დაკარგა სიზმრების წართქმის უნარი. ის დიდხანს ჰგონებდა, სრულქმნილებას მივაღწიე და ამ იდუმალ ხელოვნებაში კიდევ უფრო შორს წასვლა შეუძლებელიაო. ვინც გზის ბოლოში გადის, იმას გზა აღარცრად ეჭირვება, ამიტომაც არის, რომ ასეთ

კაცს სავალი აღარ მორჩილებს, აღარ ეფეხქვეითება. მაგრამ ისინი, ვინც იმას გარს ეხვია, სხვაგვარად ფიქრობდნენ. ერთხელაც ეს ამბავი იმათ სეფექალ ატეპს ჩაუწიგნეს, და იმანაც აუხსნა, რაც მოკადასა ალ საფერს დაემართა:

— თვეში ერთჯერ, მარილობის დღეს, ჩვენთა თავქალაქთა სანახებში ხაზართა ხაკანის მომხრენი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გებრძვიან თქვენ, ვინც ჩემი მომხრენი ხართ და ვისაც მე გმფარველობთ. ვითარ მწუხრი დაწვება, იმ დროს, როცა ხაკანის გულისთვის დაცემულთ ებრაულ, არაბულ და ბერძნულ სამაროვანთ აბარებენ, ხოლო ჩემთვის მზედაბნელებულთ ხაზარულ საძვალეთა მიწაში ფლავენ, ხაკანი წყნარად აღებს ჩემი სასვენებლის სპილენძის კარს, ხელში სანთელი უჭირავს, რომლის ალიც კეთილსურნელებს და იმის ვნებათაღელვისგან პარპალებს. იმწუთას მე ზედაც არ ვუყურებ იმას, რამეთუ ის სუყველა დანარჩენ საყვარელსა ჰგავს, ვინც კი დედამიწის ზურგზეა, რომელთაც სახეზედ თითქოს ბედნიერების ალმური ასდით. მთელი ღამე ერთად ვართ, გამთენიისას კი, სანამ წავიდოდეს, სახეს ვუთვალიერებ, როცა ის ჩემი კარის გაპრიალებული სპილენძის წინარე დგას, და იმის დაღლილობაში ვკითხულობ, რა ზრახვანიც აქვს, საიდან მოდის და ვინ არის.

ეგევე ამბავია იმ თქვენი სიზმართა მებადურის თავსაც. უეჭველია, მან თავისი ხელოვნების ერთ-ერთი მწვერვალი მოდრიკა სხვათა სიზმრების მნახველთა შეგნებაში. თანაც ისერიგად წარემატა იგი თავის საქმეში, რომ არსებულ მატერიათაგან ერთ-ერთმა ყოვლის უფრო უმშვენიერესმა — სიზმრის მატერიამ დაუწყო დამორჩილება. მაგრამ ერთი რა არის, ერთი შეცდომაც რომ არ მოსვლოდა ზევით, ღმერთისკენ მავალს, რისთვისაც წარსათქმელი სიზმრის ძირზედ იმისი მოხილვის ნება ჰქონდა დართული, რასაკვირველია, შეცდომა მოუვიდოდა უკან დაბრუნებისას, ამ ქვეყანაზედ იმ მწვერვალიდან დაშვებისას, სადაც აღემაღლა. დიახაც ეს შეცდომა დაუჯდა იმას ძვირად. გულისყურს ნუ მიაძინებთ უკან დაბრუნებისას! ყურადღებით იყავით! — გაასრულა სეფექალმა ატეპმა. — ვაგლახ თავდაღმართის ბედსვიანი აღმასვლის გაარაფრება ძალუძს.

სკილა ავერკიე (XVII-XVIII საუკუნის დასაწყისი) — წარმოშობით კოპტი, ხმალდახმალ შებმის მასწავლებელი, XVII საუკუნის ბოლოს ცარგრადში ერთ-ერთი ყველაზედ უფრო ცნობილი ხმლის ოსტატი. მსახურად ედგა დიპლომატ აბრამ ბრანკოვიჩს. ხმლით ბრძოლის ხელოვნებაში თავის ბატონთან ერთად სრულ სიბნელეში ვარჯიშობდა მოწინააღმდეგესთან გრძელი ტყავის ქამრით გადაბმული. სკილას ერთობ სელეწიფებოდა ჭრილობისა თუ იარის მოშუშება და მუდამ თან დაჰქონდა ჩინურ ვერცხლის ნემსთა შეკვრა და სარკე, რომელზედაც წითელი წერტილებით იყო აღნიშნული სკილას თავის გარემოხაზულობა, ხოლო მწვანით — ის გეზი და მიმართულება, რა გეზითა და მიმართულებითაც მოსდებოდა სკილას სახეზედ ნაღარ-ნაოჭი. უკეთუ იარა რამ გაუჩნდებოდა ანდა უბრალოდ ასტკივდებოდა რამე, სკილა

სარკის წინ დგებოდა და იმ ადგილას, თუ სადმე მწვანე წერტილი ასჩენოდა, სახეში ჩინურ ნემსთ ირჭობდა. ამის შემდეგ ტკიცელი უყუჩდებოდა, ჭრილობა თუ იარა უშუშდებოდა, სამაგიერად კი სახის კანზედ რომელიმე ჩინური იეროგლიფი ესახვოდა. მაგრამ სოკეს მარტო თავად იმისი კურნება შეეძლო. სადაც თავის ჭიას [illegible], სადაც თავის გემოზედ გადაჰკრავდა, ყველგან ჭერში ქუდის-კვრა უყვარდა და თუ ვინმე გულიანად აცინებდა, ფეშქაშს არავისთვის იშურებდა, მაგრამ ყოველი ხუმარსიტყვის ფასს თავისებურად განსაზღვრავდა. სიცილი, — იტყოდი ხოლმე, ხან ჩვეულებრივია, როცა ერთ რასმე დასცინიანო. ამნაირი სიცილი ყოვლის უფრო იაფიაო. ბევრად ძვირი ის სიცილია, როცა ადამიანი ერთეამიერად ორი ან სამი რამის გამო იცინისო. თუმცალა ასეთ სიცილს მაინცდამაინც ხშირად არ გადაჰყრია, როგორაც რომ ბევრ სხვა ძვირფას რასმე.

ავერკიე სკილა მთელი ათი წელიწადი გულმოდგინედ აგროვებდა ბრძოლის ველზედ და მცირე აზიის ქალაქების ყრუ ქუჩაბანდებში ყველაზედ უფრო იოგლიან ხმლის დაკვრა-დარტყმებს. თანაც თითოეულ იმ დაკვრა-დარტყმას სწავლობდა, ცოცხალ ხორცზედ ამოწმებდა და დაკვრისა თუ დარტყმის სუყოველ ხერხს დიაგრამებითა და სქემებით სავსე საგანგებო რვეულში აღწერდა, რომელი დიაგრამებიცა და სქემებიც ხმლის დაკვრა-დარტყმის უძველეს ხელოვნებას აანალიზებდნენ. მან იცოდა, როგორ უნდა მოეკლა ხმლით თევზი წყალში, როგორ მიეტყუებინა მიწაში ჩარჭმულ მახვილზედ დაკიდებული ფარნის შუქზედ მტერი და როგორ დასცემოდა წყვდიადიდან ბებუთმომარჯვებული. სუყოველ ხერხსა თუ ილეთს ზოდიაქოს ერთ-ერთ რომელსამე ნიშანს უკავშირებდა და ამა თუ იმ ვარსკვლავთა ეტლის, ანუ თანავარსკვლავედის, თითოეული ვარსკვლავი ერთ სიკვდილს აღნიშნავდა. ცნობილია, რომ 1689 წელს სკილამ სრულად გაართვა თავი მერწყულის, მშვილდოსნისა და კუროს თანავარსკვლავედთ და ვერძის ვარსკვლავთა ეტლს მიადგა, სად ხმლით ბოლო დაკვრის მარტო პრაქტიკული შემოწმებაღა აკლდა და ამ თანავარსკვლავედთანაც მორჩებოდა საქნელს. ამ დაკვრასა თუ დარტყმას გველისებრი ტრაექტორია ჰქონდა, და საშინელ კლაკნილ ჭრილობას აჩენდა, რომელიც იხსნებოდა და, თითქოს დაღებული პირიაო, თავდახსნილი სისხლის ყივილს გამოსცემდა. სადღაც ვლახეთში აუსტრო-უნგრეთსა და თურქეთს შორის ბრძოლებში, როგორც თავად წერს სკილა, მან 1689 წელს თავის ილეთ-ხერხთაგან ეს ბოლო დაკვრაც გამოსცადა, რის შემდეგაც ვენეციას მიაშურა, სადაც 1702 წელს გამოაქვეყნა წიგნი — რ ჩ ე უ ლ ნ ი ხ მ ლ ი თ ხ ე ლ მ ო წ ე რ ი ლ ო ბ ა ნ ი, რომელშიც ხმლითა და მახვილით ბრძოლის თავისი გამოცდილება გადმოსცა. წიგნს დართული ჰქონდა დაკვრის თუ დარტყმის სქემათა რუკა, რომელ სქემათაგან თითოეულში გამოსახული იყო ვარსკვლავთა შორის მდგარი თვითონ ავერკიე სკილაც. ისე ჩანდა, თითქოს ის პყრობილია ათასნაირი ილეთით მოქნეული თავისივე ხმლის მოძრაობათა აურაცხელი ტრაექტორიისაგან წარმოქმნილ გალიაში ანდა ბადეშიო. საქმეში ჩაუხედავთ კი იგი გამჭვირვალე რამ ნაგებობაში გამომწყვდეულად ეჩვენებოდათ, რომელი ნაგებობაც თა-

ვადვე შეექმნა თავის გარშემო ხმლის შხუილითა და ხმლისავე პირის ავი კვეთა-მუსაიფით. ოღონდ ამ გალიას იმდენად ლამაზი მოხაზულობა ჰქონდა, ისეთი მსუბუქი და ჰაეროვანი იყო, ისე წარმტაცად მიმოიქცეოდა, ისერიგად შვენოდა არა ერთი და ორი მოლივლივე გუმბათი, ხიდი, თაღი თუ ოთხივ კუთხეში ჩამჯდარი ოთხი კოხტა ... — რომ უწინარეს ყოვლისად კაცი იფიქრებდა, ავერკიე სკილას — ნამდვილად უხილავი რამ ხოჭო დაპბზუის და თავის ფრთებში გაუხლართავსო, რომელი ხოჭოს ბოლომოუღებელი ხელრთვის წაკითხვაც ჰაერში ანაზდად შესაძლებელი გახდა. ამ გადაწყვეტილ-ამოხსნილ ამოცანათა თუ საპყრობილის გისოსთა მიღმა ავერკიე სკილას მშვიდი გამომეტყველება ძველებური შერჩენოდა, მხოლოდ ტუჩები ჰქონდა ორფა და იმის შემყურეს სულ გეჩვენებოდა, რომ შიგნიშიგან ვილაცა ეჯდა, რომელსაც ხმის ამოღება ეწადა. სკილა ამტკიცებდა, ყოველი ჭრილობა ახალი გულია და თავისთვის ძგერსო, და ნახმლევს ხმლითვე სწერდა პირჯვარს, ცხვირი კი ისეთნაირად დაბანჯგვლოდა, სულ ადვილად სცნობდნენ და გაურბოდნენ, პირისპირ შეხვედრა არ უნდოდათ.

ავერკიე სკილაზედ საგულისყურო ჩანაწერები დატოვა მემუსიკემ და სიზმართა წარმთქმელ-ამხსნელმა იუსუფ მასუდიმ. ის ავერკიე სკილასთან ერთად მსახურად ედგა უკვე ხსენებულ ცარგრადელ დიპლომატს და დღესა თუ ღამეს იმათზედ ნადირობაში ასწორებდა, ვინც სხვათა სიზმრებში მოგზაურობს. ერთგან უწერია, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ორი კაცი ერთმანეთს სიზმარში ნახულობს და როდესაც ერთის სიზმარი მეორის ცხადს ქმნისო, ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც ცოტაოდენი სიზმარი მუდამ გარეთ ყონავსო. მასუდის მიხედვით, ამ ნამატისგან ჩნდებიან „სიზმრის შვილები". სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, სიზმრის ხანგრძლივობა ბევრად მოკლეა, ვიდრე იმის სიცხადე, ვინც გვესიზმრება, თუმცა სიზმარი მუდამ შეუდარებლად უფრო ღრმაა ყოველსავე სიცხადეზედ, და ამიტომ რაგინდარა შემთხვევაში აუცილებლად რჩება ხარჯი რამე, ანუ „მასალის ნარჩენები", რაც დასიზმრებულის სიცხადეში კი არ შედის, არამედ გადმოდის, იღვრება და რომელიღაც მესამე პირის სიცხადეს ეკოწიწება, რომელი მესამე პირიც ამის გამო მრავალ დიდ უსიამოვნებასა და მოულოდნელობას აწყდება.

ეს მესამე, როგორც წესი, ბევრად უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე პირველი ორი, ამ მესამეს ნებისყოფის თავისუფლება ორჯერ უფრო მეტად შეზღუდული აქვს ქვეცნობიერებით ვიდრე იმ ორს, რადგან ენერგიისა და მასალის ნაჭარბი, რომელიც იმათი სიზმრებიდან გადმოდის, რიგრიგობით გადადის მესამის სულიერ ცხოვრებაში, და ის ამის გამო თითქოსდა ორსქესიანი არსება ხდება, რომელიც ხან ერთი მძინარისკენ იღებს გეზს, ხან მეორისკენ.

მასუდი დარწმუნებულია, რომ ავერკიე სკილას ნებისყოფის ესეგვარი შეზღუდულობა სჭირდა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა კიდევ ორს ვისმე სიზმარში მყოფს, რომელთაც მასუდი პირდაპირ ასახელებს. ერთი ავერკიეს ბატონი აბრამ ბრანკოვიჩია, მეორე — ვინმე კოენი, ავერკიე სკილა საერთოდ რომ არც იცნობდა. ასე იყო თუ ისე, თავად სკილას შეეძლო ვითარცა დაბალხმიანსა და ყოველის უფრო

მსხვილსიმებიან საკრავს რასმე, მხოლოდ მელოდიის ჩონჩხის, თავისი ცხოვრების მხოლოდ ძირითადი ხმოვანების ჩაშენება, ისიც ერთობ ზოგადად. ყველაფერი დანარჩენი ხელიდან უსხლტებოდა, ის დანარჩენი იმისთვის კი არა, სხვათათვის იყო ხელმისაწვდომი, და გაზომვითაც იმისი გაზომვა მარტო სხვათა საზომით შეიძლებოდა. ყველის უფრო მტანჯველი ვაება და ყოვლის უფრო უმაღლესი აღმაფრენა მან რაღაც ისეთ დონეზედ იცოდა, რა დონეზედაც ვაებასა თუ აღმაფრენას სხვანი უტანჯველად იტანენ, რადგან თავიანთ შესაძლებლობათა შუალედს არ გადადიან.

მოვლენათა იმ ვერსიის თანახმად, რომელსაც მასუდი გვთავაზობს, ავერკიე სკილი თავის ხმლის დარტყმა-დაკვრათა კოლექციას აგროვებდა არა პროფესიული თუ სამხედრო გატაცების ანდა ხმალდახმალ ბრძოლის ხელოვნების სრულყოფისა და შესწავლის ნდომა-სურვილისა გამო, არამედ იმ ყოვლის უფრო ზუსტი ხერხ-ილეთის პოვნის მეტისმეტი იმედით, რომელი ხერხ-ილეთიც თავს დააღწევინებდა ჯადოქმნილი წრიდან, სადაც ერთ ადგილას წრიალებდა იმის მოლოდინში, ოდეს თავის მტანჯველ-მწვალებელთ ხმლის მისაწვდენ მანძილზედ მოიხილავდა. ბოლო რამდენიმე წელიწადი სკილა უჩვეულოდ დიდსა და გაუგებარ იმედებს იმაზედ ამყარებდა, რომ ყველაფერს ერთი ხერხ-ილეთის წყალობით გადაჭრიდა, რომელი ხერხ-ილეთიც, როგორც თავად ამტკიცებდა, ვერძის ნიშნის ქვემდებარე იყო. ჟამისად, როცა იღვიძებდა, ავერკიე სკილას თვალები გამხმარი ცრემლებითა ჰქონდა სავსე. უკეთუ მოფშვნეტდი, ის ცრემლები თითებშუა ისერიგად იფშვნიტებოდა და იფშვნებოდა, შუშის წვრილი ნამსხვრევები ანდა ქვიშა გეგონებოდა, და ამ ნაფშვნეტ-ნაფშვენისდა კვალობაზედ კოპტს გამოცნობა შეეძლო — სხვისი იყო ცრემლები თუ თავისი.

თუმცა რჩეული ხმლით ხელმოწერილობანის ვენეციურ გამოცემაში ბოლო დიაგრამა ავერკიე სკილას გვიჩვენებს თავისი საჭურვლის მოძრაობის ტრაექტორიათა პუნქტირით აღნიშნულ გალიაში, თანაც ამ ნახაზზედ ერთი გამორჩეული, ვერძის ნიშნის ქვემდებარე ხმლისეული კლაკნილი მოძრაობა გასასვლელს რასმე წარმოადგენს, რომელიც ამ გალიიდან თუ ბადიდან თავის დაღწევის საშუალებას იძლევა. დიაგრამაზედ ავერკიე სკილა ისეთნაირად არის გამოსახული, ვითომც თავისი საშიში ოსტატობის გალიას ხვრელი რამ უპოვა, უჩვეულო, გველური მოძრაობით გაჭრილი, და იქიდან გამოდის გარეთ, როგორც ოდნავ ღიად დარჩენილი კარის ღრიჭოდან. უფრო სწორად, ხვრელიდან კი არა, როგორც ჭრილობიდან, ისე გამოდის, და თითქოს თავისი ვარსკვლავიერი პატიმრობიდან იბადება ქვეყნიერებისა და ახალი სიცოცხლისათვის. ენაბრგვნილი პირის შიგნით კი ვილაც სხვა პირმხიარული უხარხარებს.

დოქტორი სუკ ისაილო (15. III. 1930 — 2. X. 1982) — არქეოლოგი, არაბისტი, ნოვი-სადში უნივერსიტეტის პროფესორი, 1982 წლის აპრილის დილით რომ გაიღვიძა, ბალიშქვეშ თმის ბუნჯგალი მოიხილა და პირში ყრუ ტკივილსა გრძნობდა. რაღაც მაგარი და დაკ-

ბილული გასჩხეროდა. ორი თითი ისე ჩაიჩარა პირში, თითქოს ჯიბეში სავარცხლის ამოსაღებად ჩაიყოო და პირიდან გასაღები გამოიღო. ოქროსთავიანი პატარა გასაღები. ადამიანის აზრებსა და სიზმრებს თავიანთი გარქოვანებული, შეუვალი გარეთა გარსები აქვთ, ქერქივით რომ იცავენ გულ-გულს დაზიანებისაგანო, — აგრე ფიქროობდა დოქტორი სუკი, რომელიც ლოგინში იწვა და გასაღებს დასცქეროდა. ამასთანავე, აზრები სიტყვებთან შეხებისას ზუსტად ისევე სწრაფად ქრებიან, როგორც სიტყვები აზრებთან შეხებისასო. ჩვენ ისღა გვრჩება, რაც ამ ურთიერთმკვლელობაზედ მეტხანს იცოცხლებსო. მოკლედ, დოქტორი სუკი სათესლის პარკსავით დაფანჩულ თვალებს აფახულებდა და ვერცრა გაეგო რა. უმთავრესად სულაც არ აკვირვებდა ის ამბავი, საიდან გაუჩნდა პირში გასაღები. მე შენ გეტყვი, ცოტა რამეს იტენის ადამიანი მთელი სიცოცხლე თავის ერთადერთ პირში (ერთი პირი რომ არ გვქონოდა, ეგება უფრო აზიზმაზიზნი ვყოფილიყავით)! აკი ამას წინათ, ერთი ღრეობის მერე, მან საკუთარი ხორხიდან მთელი ღორის თავი ამოიღო, თანაც სადრუნჩიან-ალიკაპიანი. დოქტორ სუკს სხვა რამ აკვირვებდა. იმისი შეფასებით, ეს გასაღები, სულ ცოტა, ათასი წლისა მაინც იყო. არქეოლოგიის დარგში პროფესორ სუკის დასკვნებს კი ჩვეულებრივ უსიტყვოდ იხიარებდნენ. იმისი სამეცნიერო ავტორიტეტი უცილობელი იყო. მან გასაღები შარვლის ჯიბეში ჩაიდო და ულვაშს დაუწყო კვნეტა. დილით როგორც კი ულვაშს გაიკვნეტდა ხოლმე, უმალ ის წამოაგონდებოდა, რაც წინაღამ ვახშმად მიერთმია. მაგალითად, ახლა იმწამსვე გაახსენდა, რომ ეს იყო მოშუშული ბოსტნეული და ხახვიანი ღვიძლი. თუმცა, ულვაშზედ ამასთანავე ხამუშად ისეთი რამის სუნი ასდიოდა, მაგალითისთვის, ლიმონდაწურული ხამანწკისა ანდა კიდევ სხვა რამ საჭმლისა, რის პირის დამკარებელიც დოქტორი სუკი არცროდის ყოფილა. მაშინ დოქტორმა ისაილომ გონებაში იმის აღდგენა სცადა, წუხელ ვახშმისა გამო ჩემი შთაბეჭდილება ლოგინში ვის გავუზიარეო. აგრე მიადგა ის ამ დილით ჯელსომინა მოხოროვიჩჩს. ჯელსომინას კვირაში მუდამ ცხრა პარასკევი აქვს, ღიმილი უცხო სანელებლებით გვარიანად შეკაზმული შვენის, თვალები ცოტა უელმდება, ამიტომ როცა ახამხამებს, ქუთუთოები ცხვირზედ ედებიან. ხელები ჯელსომინას ზანტი და ისეთი თბილი აქვს, შიგ კვერცხი მოიხარშება, თმა კი აბრეშუმისა ამკობს, დოქტორი სუკი საახალწლო საჩუქრებს იმითი კრავს და ქალები ყოველთვის სცნობენ, ვისი თმაც არის, მაშინაც კი, როცა ის თმა შეჭრილ-შეკვეცილია.

დოქტორმა სუკმა ყურები სუფთად ჩამოიპარსა, მზერა გაიმახვილა და ზემორე აზრებით შეპყრობილმა სახლიდან გამოსვლა დააპირა. ამჟამად ის დედაქალაქში იყო, სადაც მუდამ აკითხავდა ხოლმე დედამამის სახლს. აქ ოცდაათი წლის წინათ დაიწყო პროფესორმა სუკმა თავისი კვლევა-ძიება, რასაც სულ უფრო შორს და შორს მიჰყავდა ამ სახლიდან, და ის უნებლიეთ გრძნობდა, რომ თავის გზას დაამთავრებდა ცხრა მთას იქით, აქ კი არა, რომელსამე მხარეში, სადაც ფიჭვნარიანი ბორცვები შავქერქიან გადატეხილ პურსა ჰგვანან, და მაინც ამ სახლთან იყო გადაბმულ-გადაჯაჭვული დოქტორ ისაილოს ყველა არ-

ქეოლოგიური კვლევა-ძიება და აღმოჩენა არაბისტიკის დარგში, მეტადრე კი — არა ერთი და ორი შრომა ხაზარებზედ, უძველეს ხალხზედ, რომელიც დიდი ხნის წინათ გაქრა მსოფლიო მოვლენათა ასპარეზიდან და ისტორიას დაუნარჩუნა გამონათქვამი, რომ „სულაც აქვს ჩონჩხი და ეს ჩონჩხი მიმოგონებაა“. ხსენებული სახლი ოდესღაც დოქტორ ისაილოს ფეხცაკვია ბებიას ეკუთვნოდა, რომლისდა კვალად ისიც ცაცია გაჩნდა. ახლა აქ დედამისის, ანასტასია სუკის სახლში, საპატიო ადგილზეა დალაგებული დოქტორ სუკ ისაილოს წიგნები, და ძველ ქურქთა ტყავით დაკაზმულთ მოცხარის სუნი ასდით. კითხვით ამ წიგნებს განსაკუთრებული რამ სათვალით კითხულობენ, რომელ სათვალესაც ქალბატონი ანასტასია საზეიმო შემთხვევათა ჟამს ხმარობს. კალმახსავით ფორეჯებიან ქალბატონ ანასტასიას თავისი სახელი, როგორც პატარა მონეტა, შემაბრკოლებელი და ხელისშემშლელი, ისე დაჰქონდა პირით და მთელი სიცოცხლე არა მარტო არცვის გამოხმაურებია, როცა სახელი დაუძახიათ, არამედ თავადაც არ წარმოუთქვამს ის სახელი ხმამაღლა. ცისფერი თვალები ქალბატონ ანასტასიას დედალ ბატისას მიუგავდა, და რაჟამს შვილი თავს წასდგომია, დედის მუხლებზედ თვალი მუდამ თავისი ერთ-ერთი რომელიმე წიგნისა და ვისიმე სახელის მცირე რამ ნატეხისთვის შეუსწრია (როგორც წესი — მამის სახელის ნატეხისთვის), რომელიც, გადმოფურთხებული, ქალბატონ ანასტასიას ტუჩ-ბაგეზედ ჰქონდა შერჩენილი და ოდნავ შესისხლული იყო ხოლმე. ფაფასავით სქელი და გაუვალი წლები, დოქტორი სუკი ბოლო არაერთი ათწლეულის მანძილზედ რომ მიარღვევდა, და რომელთა ილბლიანი თანადგომით გზადაგზა თავს უყრიდა ათასგვარ საარქივო ჩანაწერს, ძველი მონეტების ფოტოსურათებსა და მარილის დოქების ნამტვრევებს, რათა იმათგან ჭეშმარიტების სვეტი აეგო, უკანასკნელ ხანს სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ამცნობდნენ, რომ დედა თვალმოუვლებელი სიშორიდან უახლოვდებოდა და უბრუნდებოდა სიცოცხლეს. უბრუნდებოდა შვილის სიბერისა და შვილისავე ნალარ-ნაოჭთა გამოვლით — სულ უფრო მეტად და მეტად, იმისდა მიხედვით, რაც უფრო შედიოდა შვილი ხანში — და თავისი ძის სახიდან თუ ტანიდან უმოწყალოდ სდევნიდა ყველა იმ თავისებურებას, გარდაცვლილი მამის კვალი რასაც ემჩნია. შვილი თვალდათვალ სულ უფრო მეტად და მეტად შორდებოდა მამას და დედის ალი-კვალი ხდებოდა, ზედნაკუწი, ხოლო ახლა, როცა იძულებული იყო, რომ მარტოს ეცხოვრა და თავადვე ეკეთებინა ყველა საოჯახო ქალური საქმე, გრძნობდა, როგორ თანდათან აკლდებოდა ხელებში მამისეული სიმარჯვე, და საკუთარი თითების მოუქნელობასა და მოუხეშობაში დედის მოძრაობანი ეცნობოდა. სრულიად ახალ სახეს იძენდა აგრეთვე დედ-მამის სახლში დოქტორ სუკის იშვიათი და ჩვეულებრივად დაბადების დღეებთან დაკავშირებული სტუმრობანი (სწორედ ასეთი იყო დღევანდელიც). აი ახლა დედა კარებში ეგებება, თავზედ კოცნის, იმ კუთხეში მიჰყავს, სადაც უწინ მაღალი საბავშვო სკამი იდგა, აწ კი სავარძელი დგას, კარის სახელურზედ გოჭივით მიბმული.

— საშიკო, შენგან სულმუდამ მაკლდა ყურადღება, — ეუბნება ქალბატონი ანასტასია შვილს, — ჩემი ცხოვრების ყველაზედ უფრო მშვენიერი და ყველაზედ უფრო ბედნიერი დრო ისეთ საშინელ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რომ ჯერ კიდევ დღესაქამომდე მახსოვს ისინი. რახან ისინი მახსოვს, მაშასადამე, შენც მახსოვხარ, ოღონდ არა როგორც ბედნიერება, არამედ როგორც სასიხარულო რამ ძალისხმევა, თითქმის აუტანელი. რატომ არის ნეტავი ბედნიერად ყოფნა ესოდენ წარმოუდგენლად ძნელი, ესოდენ გამსავათებელი? წავიდა, კვამლივით გაქრა ის დრო. იმ დროს გაჰყვა ჩემი ბედსვიანობაც და დავწყნარდი, დავშოშმინდი. თუმცა, ნახე, მაინც არის ამქვეყნად ვიღაცა, ვისაც ვუყვარვარ და ვისაც ვახსოვარ! — და მან შვილის წერილების მთელი შეკვრა გამოიტანა — წარმოგიდგენია, საშა, პროფესორი სუკი მწერს!

დედას ეს წერილები ჯელსომინა მოხოროვიჩიჩის თმით შეუკრავს და კოცნის, ლოყით ეფერება ახლა და საზეიმო გამოთქმით უკითხავს შვილს ხმამაღლა, როგორც საბჭედრო მარშის ყღერის ჟამს ხდება, და სულაც არ ავიწყდება გამომშვიდობება, როცა შვილი თავისთან სასტუმროში მიდის დასაძინებლად. ხანაც სწრაფად კოცნის ხოლმე განშორებისას და შვილი უნებლიეთ გრძნობს კაბაში დედის ძუძუ-მკერდს, კომპოტიდან ამოღებულ მსხლებისდამაგვარს.

ოდეს თავის კვლევა-ძიებათა მესამე ათწლეულის ზღურბლზედ იდგა, როცა თვალები გაუკისკასდნენ, ხოლო ბაგე-ტუჩები ყურების ნიჟარებზედ მეტად შეუნელდა, როცა არქეოლოგიასა და ორიენტალისტიკაში სულ უფრო ხშირად დაიწყეს იმისი წიგნებით სარგებლობა, პროფესორ სუკს დედაქალაქის მონახულების კიდევ ერთი მიზეზი გაუჩნდა. ერთხელ დილით აქ, ფენოვანი ტორტივით მდიდრულ, კარგა მოზრდილ შენობაში, დოქტორ ისაილო სუკის სახელიც ჩაუშვეს ქუდში, საიდანაც მოგვიანებით იღებენ ჩაყრილ ბარათებს. თუმცა, არც მაშინ და არც მერე ის სახელი არცვის ამოუღია, მაგრამ დოქტორ სუკს მაინც სულმუდამ იწვევენ ამ შენობაში გამართულ სხდომებზედ. ისიც არცროდის ამბობს უარს დასწრებაზედ. ჩამოდის და გუშინდელ ღიმილს ჩამოიყოლებს ხოლმე, ტუჩებზედ ობობას ქსელივით გაბმულს, და გაუყვება დერეფნებს, სულ ერთიანად წრიულს, რომელთა გადამკიდე ვერცროდის მიხვალ იმ ადგილას, საიდანაც მოძრაობა დაიწყე.

დოქტორ სუკს ეჩვენებოდა, რომ ეს შენობა წიგნი იყო, უცნობ ენაზედ დაწერილი, რომელ ენასაც ჯერეთ არ დაუფლებოდა, დერეფნები სხვა ენის ფრაზებს აგონებდნენ, ოთახები კი — უცხოურ სიტყვებს, არცროდის რომ არ გაეგონა. და სულაც არ გაჰკვირვებია, როდესაც ერთხელ აუწყეს, რომ აქ საკალდებულო რამ გამოცდა უნდა ჩაებარებინა ერთ-ერთ ოთახში პირველ სართულზედ, სადაც გავარვარებული საკლიტეების სუნი იდგა. მეორე სართულზედ, სადაც ქუდში ჩაყრილ დაგრაგნილ ქაღალდებს იღებდნენ, დოქტორ სუკის წიგნების აბრუ-ავტორიტეტი უცილობელი იყო, თუმცა იმავე შენობის ერთი სართულით ქვევით მან თავი ისე იგრძნო, თითქოს მოკლეფეხება იყო და შარვლის ტოტები სულ უფრო და უფრო უგრძელდებოდა. აქ ის ხალ-

ხი ირეოდა, ვინც ერთი სართულით ზევით მყოფთ ეხელქვეითებოდა, მაგრამ აქ იმის წიგნებს ცერად უყურებდნენ, თავად კი ყოველწლიურად გამოცდას აბარებინებდნენ, თანაც წინასწარ საგულდაგულოდ ამოწმებდნენ, ვინ იყო, ვის დაჰკარგვოდა. გამოცდის შემდეგ დოქტორ სუკს შეფასება არ აცნობეს, რაც, რასაკვირველია, სადღაც იყო აღნიშნული, თუმცალა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ ფრიად შეაქო კანდიდატის პროფესიული სარისტიანობა. იმ დღეს დოქტორმა სუკმა შვებამოგვრილმა მიაშურა დედას. მან, როგორც ჩვეულებრივ, შვილი ახლაც სასადილოში გაიყვანა და აქ თვალებდახუჭულმა უჩვენა მკერდს მიდებული დოქტორ სუკის უახლესი ნაშრომი, რომელსაც ავტორისეული მიძღვნა ამშვენებდა. შვილმა ზრდილობის გულისთვის დახედა საკუთარი სელით წარწერილ წიგნს, და მერე, როგორც ყოველთვის, დედამ ოთახის კუთხეში უბრალო უზურგო სკამზედ დასვა, თან, ჩვეულებისამებრ, სიტყვის მასალად დააყოლა „ჩამოჯექი აქ ერთი წუთით!", რაც დოქტორ სუკს ჯერ კიდევ ბავშვობიდან ახსოვდა, და წვლილად განუმარტა იმ სამეცნიერო დასკვნის არსი, რომელსაც ეს ნაშრომი ასაბუთებს. ლაპარაკად ქცეული დედის სიხარული ამ დროს უფრო მეტად ტრაგედიის პერსონაჟის მხიარულებას ჰგავდა, ვიდრე კომედიანტის ნაღველს. მან შესანატრი სიზუსტით მოუთხრო შვილს, რაც პროფესორ სუკს დაედგინა: ყირიმში ერთ-ერთ თიხის ჭურჭელში ნაპოვნ გასაღებებს თავების მაგივრად ნამდვილს დამსგავსებული ვერცხლის, სპილენძის ანდა ოქროს მონეტების თავები ჰქონდათ, რომელი მონეტებიც ბარბაროსებთან გვხვდება. სულ ას ოცდათხუთმეტი გასაღები ეპოვათ (დოქტორი სუკი თვლიდა, რომ ერთ ჭურჭელში თითქმის ათი ათასი გასაღები იყო) და თითოეულზედ მეცნიერს თითო პატარა რამ ნიშანი ანდა ასო აღმოეჩინა. თავდაპირველად მეცნიერს ეფიქრა, რომ ეს ოსტატის ნიშანი იყო ანდა რაღაც მსგავსი, მაგრამ მერე შეენიშნა, რომ მეტი ღირებულების მონეტებზედ სხვა ასო ჩანდა ამოტვიფრული, ვერცხლის მონეტებს მესამე ასო გამოარჩევდა, ხოლო ოქროსას, როგორც მეცნიერი ვარაუდობდა, მეოთხე, თუმცა ჯერჯერობით ვერც ერთი ოქროსთავიანი გასაღები ვერ ეპოვათ. და სწორედ აქ მიადგა მეცნიერი გენიალურ დასკვნას (ამ მნიშვნელოვან ადგილას დედამ სთხოვა შვილს, ნუ ცქმუტავ და კითხვებით სათქმელს ნუ მაწყვეტინებო): მან მონეტები ღირებულებისდა მიხედვით გაანაწილა და ამოიკითხა დადუმლული ჩანაწერი თუ უსტარი რამ, რომელიც მაშინვე ჩნდება, თუკი მონეტებზედ ამოკვეთილ ასოებს ერთ მთლიანობად დავაწყობთ. ეს ზედწარწერა იყო ATE და მხოლოდ ერთი ასოღა აკლდა (იმ ოქროს მონეტაზედ ამოტვიფრული, რომელიც ჯერ ვერ ეპოვათ). დოქტორმა სუკმა ივარაუდა, რომ ეს ასო, რომელიც აკლდა, ეგება ებრაული ანბანის ერთი წმინდა ასოთაგანი ყოფილიყო, — შესაძლოა, ეს იყო ასო **ჰეი,** ღვთაებრივი სახელის მეოთხე ასო... ხოლო გასაღები, რომელზედაც ეს არის ამოტვიფრული, სიკვდილს მოასწავებს.

— წარმოგიდგენია, რა გამჭრიახობაა! — შეჰყვირა ამ ადგილას ქალბატონმა ანასტასიამ და, რა დაინახა, რომ შვილის ჭიქა ცარიელი იყო, დასძინა: ერთი ჭიქა საკმარისია, ორი ცოტაა!

ამასიმასობაში ყოველ მეორე გაზაფხულზედ დოქტორ სუკის სახელი კვლავ უკვე ხსენებულ ქუდში აღმოჩნდებოდა ხოლმე ... ... მილმა, რომელთაც გავარვარებულ საკლიტეთა სუნი ასდიოდათ, თავად დოქტორ სუკს კი არც ამას ატყობინებდნენ და არც კენჭისყრის შედეგებს.

ამ დროს იგი ისეთნაირად ახველებდა, თითქოს რომელიღაც ძარღვების კონის ძირფესვიანად ამოგლეჯას ცდილობდა, რომელი ძარღვების კონაც ისე ღრმად და მაგრად შეზრდოდა ბეჭებსა და კისერში, რომ იმის ამოგლეჯა თითქმის შეუძლებელი იყო. გამოცდები ახლა სულ უფრო ხშირად ეწყობოდა, და თავმჯდომარის ადგილას ყოველთვის ახალი ვინმე იჯდა. დოქტორ სუკს ერთი სტუდენტი გოგო ჰყავდა, რომელიც ძალიან ადრე გამელოტდა, მაგრამ ღამღამობით ძაღლი კეფას ულოკავდა, რატომღაც თავზედ ხშირი ჭრელი ბალანი ამოუვიდა. ის გოგო ისეთი სქელი იყო, თითებიდან ბეჭდებს ვერ იძრობდა და წარბები პატარა თეკზების ჩონჩხთ მიუგავდა, ქუდის მაგივრად კი მატყლის წინდა ეხურა. ძილით გოგოს თავის სარკეებსა და სავარცხლებზედ ეძინა, სიზმრებში თავის პატარა ბიჭს დაეძებდა და უსტვენდა, რატომაც დოქტორი სუკი, რომელიც გვერდით ეწვა, ვერ იძინებდა. ახლა გოგო სცდიდა დოქტორ სუკს, ბავშვი კი იქვე, გვერდით იჯდა, გამოუძინებელი და მელოტი. გამოცდისთვის რაც შეიძლება რომ მალე გაერთმია თავი, დოქტორი სუკი გზადაგზა ბავშვის კითხვებსაც უპასუხებდა. როს ყველაფერი დამთავრდა, იგი დედასთან მივიდა სასადილოდ და იმდენად ქანცგაწყვეტილი ჩანდა, რომ დედამ შეშინებულმა შეავლო თვალი და უთხრა: „ფრთხილად, საშა, შენი მომავალი წარსულს გინგრევს! ძალიან ცუდად გამოიყურები. ნახე ვინმე ბავშვი, ვინც ზურგზედ შეგდგება და გემრიელად დაგზელს“.

ბოლო ხანს დოქტორ სუკში ნამდვილად გაჩნდა და იფურჩქნებოდა შიმშილის აქამდე უცნობი რამ ნაირსახეობა და სწრაფად, როგორც ნაყოფი, მწიფდებოდა ბლანტი, უსაფუძვლო იმედი, რომელიც შიმშილთან ერთად პირველი გადაყლაპული ლუკმისთანავე კვდებოდა.

— იცი თუ არა, რამდენი პირის ღრუ აქვთ ებრაელთ? — ჰკითხა დედამ იმ დღეს, სანამ ის საჭმელს შეექცეოდა. — ალბათ, არ იცი... ამაზედ ვილაცა წერდა, ამას წინათ ვკითხულობდი, მგონი, დოქტორი სუკი. მაშინდელს ვამბობ, როცა ის ევრაზიის ტრამალებში ბიბლიურ ცნებათა დიფუზიას სწავლობდა. იმ კვლევა-ძიებაზედ დაყრდნობით, რომელიც ჯერ კიდევ 1959 წელს დუნაიზედ, ჩელარევოს გათხრების ადგილას აწარმოვა, მან დაადგინა, რომ იქ იყო ჩვენთვის სრულიად უცნობი, ბევრად უფრო პრიმიტიული და ანთროპოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით ძველი პოპულაციის ნამოსახლარი, ვიდრე ავარები არიან. ის ჰგონებს, რომ ეს სამარხია ხაზართა, რომლებიც შავი ზღვიდან აქ, დუნაიზედ, ჯერ კიდევ VIII საუკუნეში მოვიდნენ. ახლა

უკვე გვიანია, მაგრამ ხვალ გამახსენე, როდის მოხვალ ჯელსომინას დაბადების დღეზედ, გასაოცარ რასმე წაგიკითხავ, სადაც ის ამაზედ წერს. განსაკუთრებული რამეა...

● ● ●

ამ დაპირებით გამოეღვიძა დოქტო სუკს და პირში გასაღები იპოვა.

როცა ის ქუჩაში გამოვიდა, შუადღე უკვე თავით ფეხამდის გასატკივრებულიყო, უცნაური რამ სინათლის ჭირი ჭამდა მზის სიკაშკაშეს, ყვავილი და ბუგრი ედებოდა ჰაერიდან ცას და ირგვლივ ვრცელდებოდა ნამდვილ ეპიდემიად, რომელსაც ღრუბლებიც მოეცვა. ღრუბლები თვალდათვალ ლპებოდნენ და იხრწნებოდნენ, სულ უფრო მძიმედ მიიწევდნენ მაღლა-მაღლა.

კვირას წიდოვანება, ანუ დედათწესი დასწყებოდა, ხოლო კვირადღე უკვე წინასწარ ყარდა და, როგორც გამოჯანსაღების გზაზედ შემდგარი ხეიბარი, ქარებს უშვებდა. იქ კი, მუნიანი ცის დასალიერის ფსკერზედ, ცისფრად ჩანდნენ სუკის გაფლანგული დღეები, შორიდან თვალისთვის პატარები და ჯირკუტანები, კალენდარულ სახელთ მოკლებულნი, ისინი ერთ ჯოგად შეყრილიყვნენ, რომელი ჯოგიც, თავისუფალი თავისი პატრონისგან და იმის საზრუნავთაგან, მსიარულად ესისხლხორცებოდა და ენაწილებოდა გათვალუწვდენებულ სიშორეს, უკან მტვრის ღრუბელადევნებული...

ერთ-ერთი ბიჭი, ქუჩაში მოთამაშეთაგან — იმათი თამაში კი ის იყო, რომ ერთმანეთში შარვლებსა ცვლიდნენ, — ჯიხურთან გაჩერდა, სადაც დოქტორი სუკი გაზეთებსა ყიდულობს ხოლმე, და მეცნიერ კაცს ზედ შარვლის ტოტზედ მიაფსა. ანაზდად მოტრიალებულ დოქტორ სუკს იმ კაცის სახე ჰქონდა, რომელმაც საღამოთი შეამჩნია, რომ მთელი დღე შარვალგახსნილს ევლო, მაგრამ სად იყო, სად არა, ზედდატანებაზედ ვილაც სრულიად უცხო მამაკაცმა კარგა მაგარი ალიყური აჭამა. ციოდა და დოქტორმა სუკმა ალიყურით შეიგრძნო, რომ გამრტყმელს ხელი თბილი ჰქონდა და, მიუხედავად ტკენისა, ალიყური, ცოტა არ იყოს, მაინც სასიამოვნოდ ეჩვენა. რა უნდა, რატომ გამარტყაო, საქმის გასარკვევად მიუბრუნდა დოქტორი სუკი თავხედ ტიპს, მაგრამ ამ დროს იგრძნო, რომ სრულიად ლორთხი, ჩალორტებული შარვლის ტოტი ფეხზედ მიჰკვროდა. და ახლა ვილაც მეორემაც გაულაწუნა, რომელსაც გაზეთები ეყიდა და ხურდას უცდიდა. მაშინ დოქტორმა სუკმა იქიდან გაცლა ამჯობინა, რაკილა, იმის გარდა, რომ მეორე სილაქს ნივრის სუნი ჰქონდა, ვერცრა გაეგო, რა ხდებოდა. დროის დაკარგვა ნამდვილად აღარ ეგებოდა, ვინაიდან გარშემო უკვე გამვლელ-გამოვლელნი შეკრებილიყვნენ, ხან ვინ ურტყამდა, ხან ვინ, და დოქტორი სუკი გრძნობდა, რომ ზოგ-ზოგთ ცივი ხელები ჰქონდათ, რაც სიამოვნებდა კიდეც, რადგან საშინლად სცხელოდა. მთელ ამ არეულ-დარეულობაში მან ერთი მანუგეშებელი რამ გარემოება შეამჩნია, თუმცა დარტყმიდან დარტყმამდე გააზრებისა და ფიქრის დრო მაინცდამაინც არ მოსჭარბებოდა, შემჩნევით კი იმის შემჩნევა მოასწრო, რომ

მჯილებსაც და მუშტებსაც (ზოგიერთს ოფლის სუნი ასდიოდა) წმინდა მარკოზის ეკლესიიდან მოედნის მიმართულებით მიჰყავდათ იგი, ანუ სწორედ იქით, საითაც თავადაც ეპირებოდა წასვლას, უფრო ზუსტად კი, მალე იმ ქულბაქთან აღმოჩნდებოდა, სადაც რალაც-რალაცეები უნდა ეყიდა. და ისიც დაჰყვა მრტყმელ-მცემელთა ნებას, რადგან ყოველი დარტყმა მიზანს აახლოვებდა.

გზად ის ერთ მესერთან მოხვდა, რომლის იქით არცროდის არცრა ჩანდა და არცრა ისმოდა. იმის გამო, რომ ახლა, გაიძულებული, ცემატყეპის შეუნელებელ ღვარცოფს გაურბოდა, მესრის სარეებს შუა დარჩენილი დარან-ღრეჩოები თვალებში წამერთ გაუერთიანდა, და მან პირველად დაინახა (გავლით მრავალჯერ გაევლო აქ ადრეც), რომ მესრის იქით სახლი იდგა, ხოლო იმ სახლის ფანჯარაში ჭაბუკი ვინმე ვიოლინოს უკრავდა. ის კი არა, ნოტებიანი პიუპიტრიც შეამჩნია და იმწამსვე ეცნო ბრუხის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, თუმცალა სიმსიც არ ესმოდა, მიუხედავად იმისა, რომ ფანჯარა ღია იყო და ჭაბუკი გულდაგულ უკრავდა. გაოგნებული და ტყაპატყუპის ღვარცოფში მობარგანავე დოქტორი სუკი ბოლოსა და ბოლოს ქულბაქში შევარდა (დილით ამიტომაც გამოვიდა სახლიდან), კარი მიიჯახუნა და შვებით ამოისუნთქა. ირგვლივ სიჩუმე იდგა, როგორც თავდახუფულ კიტრიან ქილაში, და მხოლოდ სიმინდის სუნს თუ იგრძნობდი. ქულბაქში არავინ იყო, ხოლო ერთ-ერთ კუთხეში, როგორც საბუდარში, ქუდში ქათამი იჯდა. მან ცალი თვალით შეხედა დოქტორ სუკს, თითქოს სინჯავს, ასაკენკს რასმე დამიყრის თუ არაო. მერე ახლა მეორე თვალი მოავლო ყველაფერს, რის მონელებაც არ ეგების. წამიერად ჩაფიქრდა, და ბოლოს ცნობიერებაში სრულად აუჩნდა დოქტორი სუკი, კვალად მოსანელებელ და მოუნელებელ ნაწილთაგან შედგენილი, ასე რომ ქათამი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე. თუ როგორ განვითარდა მოვლენები შემდეგ, დაე, თავად დოქტორმა სუკმა გვიამბოს.

ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲛᲘᲡ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

სასიამოვნო სიგრილეში ვიდექი და თავს მსუბუქად ვგრძნობდი, — ჰყვებოდა იგი.—ვიოლინოები ერთმანეთს ეხმიანებოდნენ, იმათი ყოველი წყნარი ამოოხვრისა და ამოკვნესისგან მთელი პოლონეზი აიწყობოდა, როგორც რომ საჭადრაკო პარტიას ადგენენ ხოლმე, ისე. მხოლოდ ბგერებისა და იმათი თანამიმდევრობის მცირედ შეცვლა იყო საჭირო. ბოლოს გამოვიდა უნგრელი, მუსიკალური ქულბაქის პატრონი. თვალები შრატის ფერისა ჰქონდა. აჭარხლებული იყო, თითქოს კვერცხი აქვს მომდგარი და სადაც არის დადებსო, წინ წამოწეული ნიკაპი პატარა მუცელს უგავდა, შუაში ჭიპიანს. მან ჯიბის საფერფლე ამოიღო, ფერფლი გადაბერტყა, მერე ისევ ჩაკეტა გულდაგულ და მკითხა, კარი ხომ არ შეგეშალაო. გვერდით მექუდეა, ჭონიო. ეშლებათ, სულ აქ შემოდიანო. პატარა ვიოლინო ხომ არ გექნებათ პატარა ქალბატო-

ნისთვის ანდა იქნებ მომცრო ვიოლონჩელი გქონდეთ, თუ ძალიან ძვირი არა ღირს-მეთქი, ვუთხარი.

უნგრელი შეგრუნდა და იქით წასვლა დააპირა, საიდანაც მოვიდა და საიდანაც პაპრიკაშის სუნი მოდიოდა. ამ დროს ქუდში დაბუდებული ქათამი შეფრთხიალდა, წამოიწია და კაკანით ამცნო პატრონს კვერცხი დავდეო. უნგრელმა ფრთხილად აიღო კვერცხი და ყუთში ჩადო, წინასწარ კი ზედ რაღაც წააწერა. ეს იყო თარიღი — 1982 წლის 2 ოქტომბერი, რამაც ძალიან გამაკვირვა, მანამ რამდენიმე თვეს უნდა გაევლო.

— რისთვის გინდათ ვიოლინო ან ვიოლონჩელი? — მკითხა მან და თან ქულბაქიდან თავის ოთახში გასასვლელი კარებიდან მათვალიერებდა. — ხომ არის ფირფიტები, რადიო, ტელევიზია. ვიოლინო კი... იცით, რა არის ვიოლინო? აქედან სუბოტიცამდე რაც მიწებია, სულ რომ მოხნა, დათესო და მომკა, თანაც ყოველწლიურად, აი რას ნიშნავს პატარა ვიოლინოს ხელზედ შეჩვევა აი ამით, ჩემო ბატონო! — და მან ხემი მიჩვენა, რომელიც ქამარზედ ხმალივით ეკიდა. მერე ამოიწვადა და ძუა თითებით დაჭიმა, რომლებიც ფრჩხილების გარშემო თვლიანი ბეჭდებით შემოესალტა, თითქოს იმიტომ, რომ ფრჩხილები არ წასძრობოდა. — ვის რად უნდა ეს? — შემეკითხასავით და წასვლა დააპირა. — სხვა რამ უყიდეთ, თუნდაც მოპედი ანდა ძაღლი.

მე კვლავ ჯიუტად ვიდექი ქულბაქში, დაბნეული ამგვარი სითამამის წინაშე, თუმცა ეს სითამამე გამოხატული იყო გაუბედავი, სუსტი სიტყვა-პასუხით, რაც მსუყე, მაგრამ უგემურ საჭმელს მავონებდა. უნგრელი, არსებითად, საკმაოდ კარგად ფლობდა ჩემს ენას, თუმცა ყოველი წინადადების ბოლოს, როგორც ტკბილ ნამცხვარს რასმე ყელის ჩასაკოკლოზინებლად, ისე აყოლებდა ჩემთვის სრულიად გაუგებარ რომელიღაც უნგრულ სიტყვას. ასე ქნა ახლაც, რჩევას რომ მაძლევდა:

— წაბრძანდით, ბატონო, სხვა რამ ბედნიერება ეძებეთ იმ თქვენი პატარა გოგონასთვის. ეს ბედნიერება იმისთვის მეტისმეტად ძნელი იქნება. მეტისმეტად დაგვიანებულიც. დაგვიანებული, — გაიმეორა მან პაპრიკაშის ღრუბლიდან. — რა ხნისაა? — მკითხა უცებ საქმიანად.

და თქმისთანავე გაქრა, თუმცა ხმიანობით ჩანდა, რომ ტანსაცმელს იცვლიდა და გამოსასვლელად ემზადებოდა. მე ჯელსომინა მოხოროვიჩიჩის ასაკი დავუსახელე. შვიდისაა-მეთქი. ამ სიტყვის გაგონებაზედ, იგი შეკრთა, თითქოს ჯადოსნური რამ ჯოხი შეახესო. გულში ეს რიცხვი უნგრულად თარგმნა — ეტყობა, თვლა მხოლოდ თავის ენაზედ შეეძლო, — და ოთახში რაღაც უცნაური სუნი დატრიალდა. ბლის სუნი იყო, და მივხვდი, რომ ამ სუნთან თავისი გუნება-განწყობილების ცვლილებით იყო დაკავშირებული. უნგრელმა რაღაც მინის ყალიონის მსგავსი მიიტანა პირთან, რომლიდან ბლის არაყს წრუპავდა. ქულბაქში რომ გამოიარა, ვითომ ალალბედად ფეხი დამადგა, პატარა საბავშვო ვიოლონჩელი გადმოიღო და გამომიწოდა, დადგმული ფეხი მაინც არ აუღია, რითაც იმის ჩვენება უნდოდა, რომ ქულბაქში სივიწროვე იყო. უნგრელისა არ იყოს, მეც უბრალოდ თავს ვისულელებდი. ოღონდ ის ამას ჩემს ხარჯზედ შვრებოდა, მე კი — საკუთარი თავის საზარალოდ.

— ეს წაიღეთ, — მითხრა მან, — ხე ჩვენზედ ხნიერია, ერთად აღებულ ორივეზედ. ლაქიც კარგია... თუმცა მოუსმინეთ!

და სიმებს თითი გააყოლა. ვიოლონჩელმა ოთხხმოვანი ბგერა გამოსცა, და მან ფეხი ამაღლო; აკორდმა თითქოს დედამიწის ზურგზედ ყველას მოჰგვარა შვება.

— შეამჩნიეთ? — მკითხა მან. — თითოეულ სიმში ყველა დანარჩენი ისმის. მაგრამ ეს რომ დავიჭიროთ, საჭიროა ოთხი სხვადასხვა ნაწარმოების ერთდროულად მოსმენა, ჩვენ კი საამისოდ — ზარმაცები ვართ. გესმით? თუ არ გესმით? ოთხას ორმოცდაათი ათასი, — თარგმნა მან ფასი უნგრულიდან. ამ თანხამ ისე შემაკრთო, როგორც მოულოდნელმა სილის გაწვნამ. მან თითქოს ჯიბეში ჩამხედა, ზუსტად ამდენი მედო. კარგა ხნის გამზადებული მქონდა ჯელსომინასთვის. რასაკვირველია, არც ისე განსაკუთრებული თანხაა, ვიცი, მაგრამ რაც არის, ამის შეგროვებასაც სამი წელიწადი მოვუნდი. გახარებულმა, ვიღებ-მეთქი, ვუთხარი.

— როგორ თუ იღებთ? — საყვედურის კილოთი მკითხა უნგრელმა და თავი გააქნია — ე-ე, ჩემო ბატონო, განა ეგრე ყიდულობენ მუსიკალურ ინსტრუმენტს? ნუთუ არ დაუკრავთ?

მე შემცბარმა მზერა მოვავლე იქაურობას, იქნებ რამე ჩამოსაჯდომი ვნახო-მეთქი, ცხადია, იმ ქუდის გარდა, რაშიც ქათამი იჯდა, ვითომ მართლა ვაპირებდი დაკვრას.

— უსკამოდ როგორ უნდა დაჯდეთ, არ იცით? — მკითხა მან. — იხვი წყალზეც ჯდება, თქვენ კი ხმელეთზედ ვერ ახერხებთ დაჯდომას? არ იცით? — და ამრეზილმა აიღო პატარა ვიოლონჩელი, ვიოლინოსავით გაიდო მხარზედ.

— აი ასე! — დააყოლა და გამომიწოდა საკრავი.

მე ცხოვრებაში პირველად ვუკრავდი ვიოლონჩელზედ, როგორც ვიოლინოზედ. დე ფალია არცთუ ცუდად ჟღერდა, მეტადრე ღრმა კვინტებში, ის კი არა, მეჩვენებოდა, რომ ყურზედ მიდებული ხიდან უკეთ მესმოდა ბგერები. უნგრელმა კვლავ შეცვალა სუნი. ამჯერად ეს იყო მძაფრი მამაკაცური ოფლი, მან პიჯაკი გაიხადა და მარტო უსახელოებო პერანგის ამარა დარჩა, იღლიებქვეშ ორი ჭალარა წვერი ეკიდა, ნაწნავებად დაწნული. მერე ერთ-ერთი ყუთი გამოსწია, რომლის კუთხეზეც ჩამოჯდა, ვიოლონჩელი გამომართვა და დაუკრა. პირდაპირ გამაოგნა ბრწყინვალე იმპროვიზაციამ.

— მშვენივრად უკრავთ, — ვუთხარი მე.

— ვიოლონჩელზედ საერთოდ არ ვუკრავ. მე კლავესინზედ ვუკრავ და ვიოლინო მიყვარს. ვიოლონჩელზედ კი არ ვიცი დაკვრა. რაც მოისმინეთ, მუსიკისა არცრა აცხია, თუმცა თქვენ მაინც არ გესმით. ეს უბრალოდ ბგერათა მონაცვლეობაა, სულ დაბალი ტონიდან- სულ მაღალ ტონამდე, რათა საკრავის შესაძლებლობანი შევამოწმოთ... შევახვიო?

— დიახ, — ვუთხარი და საფულე ამოვიღე.

— ხუთასი ათასი, ბატონო, — თქვა უნგრელმა.

მე შევცბი:

— წელან ოთხას ორმოცდაათი არა თქვით?

— კი, ვთქვი, ეგ ვიოლონჩელისთვის. დანარჩენი ხემს უნდა. ხემს არ იღებთ? ხემი რა, არ გჭირდებათ? მე კი მეგონა, ინსტრუმენტი უხეიროდ არ უკრავს-მეთქი...

მან ხემი ბუდიდან ამოიღო და ისევ ვიტრინაში ჩადო.

სიტყვა ველარ დავძარი, თითქოს გავქვავდი და ბოლოს ძალიან მოეგეგე გონს ცემა-ტყეპისგანაც და უნგრელისგანაც, ასე მეგონა, რაღაცა მჭირდა, ნამთვრალევი ვიყავი ან ძილქუში მაწვა, და მეშველა, გამოვფხიზლდი, ტანი შევიბერტყე, უნგრელის შესაქცევად კომედიის თამაშზედ უარი ვთქვი. ხემი უბრალოდ მხედველობიდან კი გამომრჩა, მაგრამ არც მაგის საყიდელი ფული მაქვს-მეთქი, ვუთხარი მექულბაქეს.

მან ერთბაშად მოიხურა პალტო, რომელსაც ნაფთალინის სუნი აუვიდა, და მითხრა.

— მე სადა მაქვს იმის დრო, ბატონო, რომ დაგელოდოთ, სანამ ხემის ფულს იშოვიდეთ. მით უმეტეს, ორმოცდაათისაზედ მეტი ხნის კაცი ხართ და საამისო ფული ჯერაც არ გიშოვიათ. მე კი არა, თქვენ დამელოდეთ.

ის იყო წასვლა დააპირა, მარტოს მტოვებდა, მაგრამ უცებ კარებში შეჩერდა, მომიბრუნდა და წინადადება შემომთავაზა:

— მოდით, მოვილაპარაკოთ — ხემი ნისიად წაიღეთ!

— ხუმრობთ? — შევყვირე, არ მინდოდა, რომ თავისი თამაშის მონაწილედ დავერჩინე, და კარისკენ დავიძარი.

— არა, არა ვხუმრობ. გავრიგდეთ. ნუ დამეთანხმებით, მაგრამ მომისმინეთ.

უნგრელმა ისე ქეზმოდებულმა გააბოლა ყალიონი, ვიფიქრე, ეგ ნამდვილად უკვე თავად პეშტში ექნება-მეთქი კმეული.

— გისმენთ, — ვუთხარი მე.

— ხემთან ერთად კვერცხიც იყიდეთ.

— კვერცხი?

— დიახ, ამწუთას არა ნახეთ, ჩემი ქათმის დადებული! იმ კვერცხზედ გელაპარაკებით, — დასძინა მან, კვერცხი ყუთიდან ამოიღო და ზედ ცხვირთან მომაჩეჩა.

კვერცხს ფანქრით სწორედ ის თარიღი ეწერა: 1862 წლის 2 ოქტომბერი.

— ამაშიც იმდენსავეს მომცემთ, რამდენსაც ხემში, გადახდის ვადად ორი წელიწადი მითქვამს...

— რა თქვით, რამდენიო? — ყურებს არ დავუჯერე და ვკითხე.

უნგრელს კვლავ ბლის სუნი აუვიდა.

— თქვენი ქათამი რა, ოქროს კვერცხებსა დებს?

— ჩემი ქათამი ოქროს კვერცხებს არა დებს, მაგრამ ისეთ რასმე დებს, რის დადებაც, ჩემო ბატონო, არც თქვენ შეგიძლიათ და არც მე. ჩემი ქათამი დებს დღეებს, კვირებსა და წლებს. ყოველ დილით რომელიმე პარასკევი ან სამშაბათი მოაქვს. ეს დღევანდელი კვერცხი, მაგალითად, გულის მაგივრად ხუთშაბათს შეიცავს. ხვალინდელში კი ოთხშაბათი იქნება. იმისგან წიწილის ნაცვლად პატრონის სიცოცხლის დღე გამოიჩეკება! მერე როგორი სიცოცხლისა! ამ კვერცხების ნაჭუჭქვეშ

ოქრო კი არა, დროა. იაფადაც კი გთავაზობთ. ამ კვერცხში, ბატონო, თქვენი სიცოცხლის ერთი დღეა. შიგ წიწილასავით მიმალულია, და თქვენზეა დამოკიდებული, გამოიჩეკება თუ არა.

— თქვენგან ნათხრობი ამბავ-ხაბარი რომც დავიჯერო, რატომ უნდა ვიყიდო ის დღე, რომელიც ისედაც ჩემია?

— როგორ, ბატონო, ნუთუ სრულებით არ იცით ფიქრი? ნამდვილად, არ იცით! თქვენ რა, ყურებით ფიქრობთ? ჩვენი ყველა პრობლემა ამქვეყნად ხომ იმისგან ჩნდება, რომ იძულებული ვართ და ჩვენს ყოველ დღეს ისეთ დღედ ვხარჯავთ, როგორიც არის, რაკი ყველაზედ უფრო ცუდ დღეებზედ გადახტომა არ შეგვიძლია, საქმის არსი სწორედ ეს არის. ხოლო ჩემი კვერცხი თუ ჯიბეში გედება და შეამჩნევ, რომ დამდეგ დღეს მეტისმეტად ავი პირი უჩანს, ამოიღე, გატეხე და ყველა უსიამოვნება თავიდან აიცილე. საბოლოოდ, მართალია, თქვენი სიცოცხლე ერთი დღით შემოკლდება, მაგრამ სამაგიეროდ ამ ერთი ცუდი დღისგან მშვენიერ ერბოკვერცხს მოიწვავთ.

— თუ თქვენი კვერცხი მართლა ეგრე ჩინებულია, რატომ თქვენთვის არ იტოვებთ? — ვუთხარი მე, თან თვალებში ჩავხედე და ვერც ვერაფერი ამოვუკითხე. ის უწმინდეს უნგრულ ენაზედ მომჩერებოდა.

— ბატონი ხუმრობის ხასიათზეა? როგორ ფიქრობთ, უკვე რამდენი კვერცხი მაქვს ამ ქათმისგან? როგორ ფიქრობთ, თავისი სიცოცხლის რამდენი დღე უნდა გატეხოს ადამიანმა, რომ ბედნიერი იყოს? ათასი? ორი ათასი? ხუთი ათასი? კვერცხი რამდენიც გინდათ, იმდენი მაქვს, ოღონდ არა დღეები. გარდა ამისა, როგორც ყველა სხვა კვერცხს, ამათაც მოხმარების ვადა აქვთ. დრო ამათაც აყროლებს და აუვარგისებს. ამიტომაც მანამ ვყიდი, სანამ კვერცხის თვისებას დაკარგავდნენ, ბატონო ჩემო. თქვენ კი არჩევანში ვერ შეხვალთ. ხელწერილი უნდა დამიწეროთ, — დასძინა მან, ქალალდის ნაგლეჯზედ რალაც წაუბატისფეხურა და ხელმოსაწერად მომაჩეჩა.

— თქვენს კვერცხს არ შეუძლია, რომ დღე არა მარტო ადამიანს მოაკლოს ან დაუზოგოს, არამედ საგანსაც, ვთქვათ, თუნდაც წიგნს?

— რა თქმა უნდა, შეუძლია, საჭიროა მხოლოდ, რომ კვერცხი ძირის მხრიდან გავტეხოთ. ოღონდ თქვენთვის მერე უკვე ველარ გამოიყენებთ.

ხელი მუხლზედ დახრილმა მოვუწერე, ფული გადავუხადე, ჩეკი გამოვართვი, კიდევ ერთხელ გავიგონე, როგორ აკაკანდა მეზობელ ოთახში ქათამი, უნგრელმა კი ვიოლონჩელი ხემთან ერთად ბუდეში ჩადო და ფრთხილად შეახვია კვერცხი, რის შემდეგაც, როგორც იქნა, გავედი ქულბაქიდან. უნგრელი უკან გამომყვა და, სანამ თავის კარვიტრინას გასაღებით კეტავდა, კარის სახელური შენკენ მაგრად მისწიე, მიბრძანასავით, და ამგვარად კვლავ ჩამითრია თავის რალაც თამაშში. მერე კრინტის დაუძვრელად წავიდა თავის მხარეს და მხოლოდ კუთხესთან მისულმა მოიხედა ჩემკენ და გამაგონა:

— არ დაგავიწყდეთ, კვერცხზედ წარწერილი თარიღი ვარგისობის ვადაა. იმ დღის მერე კვერცხი ძალას კარგავს...

● ● ●

ქულბაქიდან ქუჩა-ქუჩა წამოსულ დოქტორ სუკს, ცოტა არ იყოს, ეშინოდა, ემანდ კიდევ სადმე მუშტი-კრივში არ მოვხვდეო, მაგრამ ამ-ჯერად მშვიდობიანად გადარჩა. ერთი ეგ იყო, წვიმამ მოუსწრო. ახლა სწორედ იმ მესრის წინ მიაბიჯებდა ფეხაჩქარებული, რომლის იქითაც დილას მავანი ჭაბუკი ვიოლინოს უკრავდა, და სანამ მესერს ჩაუვ-ლიდა, კვლავ შეესწრო თვალი ფანჯარასაც და ვიოლინოიან ჭაბუკსაც. გაგონებით კი მუსიკის ხმა არც ახლა გაუგონია, თუმცა ფანჯარა ისევ ღია იყო. ზოგ ბგერათა მიმართ დოქტორი სუკი ყურს იხშობდა, მაგ-რამ ზოგი ესმოდა. აგრე, ფეხაჩქარებული, თითქმის სირბილ-სირბილ უახლოვდებოდა იგი თავისი დედის სახლს. თან თითებით ნასილაქარ კანს ისინჯავდა. და ის თითები ჰგავდნენ იმ ბრმას, ხელების ფათურით რომ მიიკვლევს სავალს. თითებს არც მიმართულების გამოცნობა უჭი-რდათ და არც კიდევ კარგა გატკეპნილი გზისა. დოქტორ სუკს ჯიბეში ედო სიკვდილის მომასწავებელი გასაღები და კვერცხი რომელსაც შეეძლო სიკვდილის დღისგან ხსნა... თარიღიანი კვერცხი და პატარა ოქროსთავიანი გასაღები. დედა შინ მარტო იყო, სალამოხანისკენ ცოტა წათვლემა უყვარდა და ნამძინარევი გამოიყურებოდა.

— სათვალე მომაწოდე, თუ შეიძლება, — უთხრა მან შვილს, — ხაზართა სასაფლაოს ამბავს წაგიკითხავ წვლილად. ყური დამიგდე, რას წერს დოქტორი სუკი ჩელარევოელ ხაზარებზედ:

„ისინი საოჯახო აკლდამებში წვანან, რომლებიც უწესრიგოდ მი-მოფანტულა დუნაის პირას, მაგრამ ყოველ სამარეში თავები შეტრია-ლებულია იერუსალიმის მხარეს. ისინი ორმაგ ორმოებში წვანან თავი-ანთ ცხენებთან ერთად, ასე რომ კაცისა და ცხენის დახუჭული თვალები ქვეყნიერების საპირისპირო მხარეებს გასცქერიან; წვანან თავიანთ ცოლებთან ერთად, რომლებიც მუცლებზედ ისე მოჰკუნტვიან, მიცვა-ლებულნი იმათ სახეებს კი არა, თეძოებს ხედავენ. ზოგჯერ იმათ ვერ-ტიკალურად კრძალავენ და მაშინ ისინი ძალიან ცუდად ინახებიან. ცის-კენ მუდმივი სწრაფვისგან ნახევრად გახრწნილთ აგურნი იცავენ, რომ-ლებზედაც ამოკაწრულია სახელი „იეჰუდა“ ან სიტყვა „შაჰორი“ — „შავი“. აკლდამათა კუთხეებში კოცონების კვალია, ფეხთით ყველას საჭმელი რამ უდევს, ხოლო ქამარში დანა ურჭვია. იქვე გვერდით სხვადასხვა ცხოველთა ნეშტი ყრია, ზოგ სამარეში ცხვრებია ჩაყო-ლებული, ზოგში — ძროხები ან თხები, ზოგშიც — ქათმები, ღორები ანდა ირმები, ხოლო ბავშვების საფლავებში — კვერცხები. შიგდაშიგ მიცვალებულთ გვერდზე თავიანთი ხელსაწყოები უწყვიათ — ნამგლე-ბი, მარწუხები, საოქრომჭედლო იარაღი. თვალებზედ, ყურებსა და პირებზედ, როგორც სარქველები, ყველას კრამიტის ნატეხები აფა-რია, რომლებზედაც გამოსახულია შვიდშტოიანი ებრაული შანდალი, თანაც ეს კრამიტი III ანდა IV საუკუნის რომაული წარმომავლობისაა, ხოლო ზედ გამოხატული სურათები VII, VIII ან IX საუკუნეშია შეს-რულებული. შანდლის და სხვა ებრაულ სიმბოლოთა სურათები (მენო-რები) წვერწამახული ხელსაწყოებით ძალიან დაუდევრად არის კრა-

მიტზედ ამოკაწრული, თითქოს ფაციფუცით, ან იქნებ მალულადაც, — კაცი იფიქრებს, ეტყობათ, ლამაზად გამოხატვას ვერ ბედავდნენ. შესაძლოა, აგრეთვე, რომ დამხატველთ რიგიანად აღარც ახსოვდათ ის საგნები, რომელთაც გამოსახავდნენ, თითქოს არცროდის ენახათ შანდალი, საფერფლე, აქანდაზი, ლიმონი, ცხვრის რქვა ანდა ბალმა — და სხვათა აღწერილობისდა მიხედვით გადმოსცემდნენ გარეგნულად, თვალთათვის, პირთათვისა და ყურთათვის განკუთვნილ ამ გამოსახულებებით შემკობილ სარქველებს დემონები უნდა დაეფრთხოთ და არ შეეშვათ საფლავებში, მაგრამ ისეთივე კრამიტის ნატეხები მიმოყრილია მთელ სასაფლაოზედ, თითქოს რაღაც მძლავრმა ძალამ — დედამიწის მიზიდულობის მოქცევამ — მოსწყვიტა ისინი თავთავიანთ ადგილთ და მიმოაბნია, ასე რომ ახლა არც ერთი იმ ადგილას აღარა დევს, სადაც დემონთაგან დაცვა ევალებოდათ. ის კი არა, იმის ვარაუდიც შეიძლება, რომ რაღაც უცნობმა, საშინელმა და სასწრაფო გარდუვალობამ, მერმე წარმოქმნილმა, ეს თვალთათვის, პირთათვისა და ყურთათვის განკუთვნილი სარქველები სულაც სხვა აკლდამებიდან გადმოიტანა აქ, რითაც ზოგ-ზოგ დემონთ თუ გზა გაეხსნათ, ზოგ-ზოგთაც ჩაეკეტათ...“

ამ დროს კარის ყველა ზარი დაზარუნდა და სახლში სტუმრები შემოცვივდნენ. ჯელსომინა მოხოროვიჩიჩს გამომწვეველი წაღები ეცვა, თვალები მშვენიერი, მაგრამ უსიცოცხლო, თითქოს სპეკალთაგან ქმნილი ჰქონდა. პროფესორ სუკის დედამ სტუმრების თანდასწრებით გადასცა ჯელსომინას ვიოლონჩელი და შუბლზედ ემთხვია, ნაკოცნარის ადგილას კი კიდევ ერთი თვალი გაუჩინა, ტუჩების პომადით დახატული, და უთხრა:

— როგორ ფიქრობ, ჯელსომინა, ვისი საჩუქარია? აბა, გამოიცანი! ვისია და პროფესორ სუკისა! კარგი წერილი უნდა დაუწერო და მადლობა უთხრა. ახალგაზრდა, ლამაზი ბატონია. იმისთვის ყველაზედ კარგ ადგილს მუდამ სუფრის თავში ვინახავ!

ქალბატონმა სუკმა, თავის აზრებში ჩაღრმავებულმა, რომელი აზრების მძიმე აჩრდილსაც დაბიჯებული ჩექმასავით შეეძლო ფეხის ტკენა, ყველა სტუმარი მაგიდას მიუსვა, საპატიო ადგილი კი თავისუფალი დატოვა, თითქოს ჯერ კიდევ უცდიდა ყველაზედ გამორჩეული სტუმრის მოსვლას, და დაბნეულმა ჩქარა-ჩქარა დასვა დოქტორი სუკი ჯელსომინასა და სხვა ახალგაზრდების გვერდით, უხვად წყალდასხმული ფიკუსის მახლობლად, რომელი ფიკუსიც იმათ ზურგს უკან იორთქლებოდა და ისე იცრემლებოდა, მკაფიოდ ისმოდა, როგორ ეცემოდნენ წვეთები ფოთლებიდან იატაკზედ.

იმ საღამოს მაგიდასთან ჯელსომინა დოქტორ სუკს მიუბრუნდა, იმის ხელს თავისი პაწაწინა მხურვალე თითი შეახო და უთხრა:

— საქციელი ადამიანის ცხოვრებაში საჭმელსა ჰგავს, ხოლო აზრები და გრძნობები — საკაზმ-სანელებელს. ვაი იმის ბრალი, ვინც ბალს მარილს მოაყრის ანდა ნამცხვარს ძმარს დაასხამს.

სანამ ჯელსომინა ამ სიტყვებს წარმოთქვამდა, დოქტორი სუკი პურსა ჭრიდა და ფიქრობდა, ეგ ჩემი ხნისაც არის და დანარჩენი ქვეყნიერების ხნისაცო.

როცა ნავახშმევს დოქტორი სუკი თავის ოთახში დაბრუნდა სასტუმროში, ჯიბიდან გასაღები ამოიღო, გამადიდებელი შუშა მოივარგა და გასაღებს ჩხრეკა-კირკიტი დაუწყო. ოქროს მონეტაზედ, რომელიც გასაღების თავის მაგივრობას ასრულებდა, მან ებრაული ასო **ჰეი** ამოიკითხა. დოქტორ სუკს გაელიმა და გასაღები გვერდზედ გადადო, ჩანთიდან **ხაზარული სიტყვისკონა** ამოიღო, დაუბმანუსის მიერ 1691 წელს გამოქვეყნებული და, სანამ დასაძინებლად დაწვებოდა, სიტყვა-სტატია **ძიძა**-ს კითხვა დაიწყო. დოქტორი სუკი დარწმუნებული იყო, რომ ხელთ სწორედ ის მოწამლული ეგზემპლარი ეჭირა, რომლის კითხვისასაც მეცხრე გვერდზე იხოცებოდნენ, ამიტომ, რათა რისკი არ გაეწია, ოთხ გვერდზედ მეტს არცროდის კითხულობდა. თუ ძალიან საჭირო არ არის, იმ გზას არ უნდა გაჰყვეო, ფიქრობდა, სადაც იქნებ წვიმამ მოგისწროსო. არც ის სიტყვა-სტატია იყო გრძელი, რომელიც მან იმ საღამოს წასაკითხად შეარჩია:

„ხაზარებს ჰყავდათ, — ეწერა დაუბმანუსის სიტყვისკონაში, — მეძუძურნი, რომელთაც საკუთარი რძის მოწამლულ რძედ ქცევა შეეძლოთ, ისინი დიდად დაფასებულნი იყვნენ. სარწმუნოდ მიაჩნიათ, რომ ისინი ერთ-ერთის ნაშიერნი იყვნენ იმ ორი არაბული ტომიდან, რომლებიც მუჰამადმა მედინიდან იმის გულისთვის გამოაძევა, რაკი ბედუინთა მეოთხე ღვთაებას, სახელად მანათს, ეთაყვანებოდნენ. შესაძლოა, ისინი ხაზრაჯის ანდა აუსის ტომიდან იყვნენ. იმათ იმიტომ ქირაობდნენ, რა არი ძუძუ ეჭმიათ (თუნდაც სულ ერთხელ) რომელიმე არასასურველი უფლისწულისათვის ანდა მდიდარი მემკვიდრისათვის, რომლის გზიდან ჩამოშორებაც ნათესავებს უნდოდათ, ვისაც იმავე მემკვიდრეობაზედ ეჭირა თვალი. ამიტომ არსებობდნენ ისინიც, ვინც ამოწმებდა, რძე მოწამლული ხომ არ იყო. ესენი იყვნენ სარტყლისშემრტყმელნი, ანუ სრულწლოვანი ჭაბუკნი, რომელთა მოვალეობა ის იყო, რომ მეძუძურთ ლოგინში უნდა ჩასწოლოდნენ და იმათი ძუძუ უნდა ეწოვათ უშუალოდ იმის წინ, ვიდრე ისინი მინდობილი ბავშვისთვის ძუძუს საჭმელად წავიდოდნენ. მეძუძურს მხოლოდ მაშინ შეეძლო იმ შენობაში შესვლა, სადაც ჩვილი იყო, თუ ღამე მეძუძურთან ნაწოლ სარტყლისშემრტყმელ ჭაბუკს არცრა ცუდი არ დაემართებოდა...“

დოქტორ სუკს გათენებისასლა ჩაეძინა და დარდად ჩაჰყვა, რომ ვერცროდის გაიგებდა, რა უთხრა იმ საღამოს ჯელსომინამ, რომლის ხმის მიმართაც ის სრულიად ყრუ იყო.

● ● ●

ჩელარევო (VII-XI საუკუნე) — არქეოლოგიური გათხრების ადგილი, დუნაის ახლოს, იუგოსლავიაში, სადაც აღმოჩენილია შუა საუკუნეების სამაროვანი-ფავნისი. იმ ქალაქის ნარჩენები კი, რომელსაც იქნებ ეკუთვნოდა ეს სამარხები, აღმოჩენილი არ არის. ძნელია გარკვეულად რამის თქმა იმის თაობაზედ, თუ ვის მარხავდნენ ამ ფავნის-სამაროვანში, თუმცა უეჭველია, რომ საფლავებში ნაპოვნ საგნებზედ აღბეჭდილია ავართათვის დამახასიათებელი თავისებურებანი და აგრეთვე

სპარსული ზეგავლენის კვალი. გარდა ამისა, იქ ნაპოვნია მენორები (ებრაული რიტუალური შვიდშტოიანი შანდლის გამოსახულებანი) და სხვა ებრაული სიმბოლოები, აგრეთვე რამდენიმე ებრაული ჩანაწერი. ქერჩში (ყირიმი) გათხრების დროს მოკვლეულია ფილები, რომლებზედაც გამოსახულია იმავე ტიპის მენორები, რანაირებიც ჩელარევოში იპოვეს. ყველაფერმა ამან სპეციალისტებს შემდეგი დასკვნა გამოატანინა: ქალაქ ნოვი-სადის (სადაც მდებარეობს სწორედ ჩელარევოც) მისადევარში მოპოვებულია ისეთი არქეოლოგიური ზოგ-ზოგი რამ, რაც განსხვავდება ჩვეულებრივი ხუნძურისგან და მიუთითებს რომელიღაც სხვა სუბსტრატის არსებობის შესაძლებლობაზედ, რომელი სუბსტრატიც მანამ არის პანონიის დაბლობზედ გადმოსახლებული, სანამ იქ უნგრელები მოვიდნენ. ეს მტკიცდება საბუთიერადაც. მეფე ბელას ანონიმური ნოტარიუსი, როგორც რომ აბდულა ჰამიდ ანდალუზიელი და კინამი, ჰგონებს, რომ ამ მიწა-წყალზედ დუნაის გვერდით ცხოვრობდა თურქული წარმომავლობის ხალხი (ისმაილიტნი), რომელსაც თავი ხორეზმელ ახალმოშენეთა ჩამომავლად მიაჩნდა. დოქტორ ისაილო სუკს, არქეოლოგ-არაბისტს, რომელიც ამ მხარეს სწავლობდა და ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ წარმართავდა გათხრებს ჩელარევოში, არა ერთი და ორი ჩანაწერი დარჩა. ამ ჩანაწერებში, რომელთაც ისაილო სუკის სიკვდილის შემდეგ მიაკვლიეს, ლაპარაკია არა თავად ჩელარევოზედ, არამედ ამ ადგილმდებარეობის შესახებ არსებულ აზრებზედ: „რაც შეეხება ჩელარევოს სამარხებს, უნგრელთ უნდათ, რომ იქ უნგრელნი ან ხუნძნი იყვნენ დაკრძალულნი, ებრაელთ — ებრაელნი, მუსულმანთ — მონღოლნი, და ხაზარნი არცვის ავონდებიან. არადა, როგორც ჩანს, სწორედ ისინი არიან იქ დასამარებულნი... სამაროვანი მენორებგამოხატული თუნის ჭურჭლის ნამტვრევებით არის სავსე. იმის გამო, რომ ებრაელთა თვალში გატეხილი თუნის ჭურჭელი დაკარგულ, გათავებულ კაცს ნიშნავს, ამ თვალსაზრისით, ეს სამაროვანიც დაკარგულ, გათავებულ კაცთა საფლავთ წარმოადგენს, რადგან სწორედ ასეთნი იყვნენ ხაზარნი იმ ადგილას და, შესაძლოა, იმ დროს".

ხაზარები — ხაზართა წარმომავლობის თაობაზედ თეოფანემ შემდეგი სიტყვები ჩაწერა: „ხაზარნი დიდი ხალხია, პირველი სარმატეთის ყოვლის უფრო შორეული ქვეყნიდან, — ბერსილიიდან გამოსული, რომელმაც სულ დაიპყრო, რაც შავი ზღვიდან მოყოლებული მიწა-წყალია..." V საუკუნეში ხაზარნი, როგორაც Priscus ფიქრობს, ჰუნთა იმპერიას ეკუთვნოდნენ და აკაცირებად იწოდებოდნენ. წმინდა კირილე უსაკუთრესად, ანუ ხაზგასმით, აღნიშნავდა, რომ ხაზარნი ღმერთს თავიანთ, ხაზარულ ენაზედ განადიდებდნენ და არა ბერძნულ, ებრაულ ანდა ლათინურზედ. ბერძნული წყაროები ხაზართ უწოდებდნენ: cazaroi, და აგრეთვე: cotxaroii. ხაზართა სახელმწიფო გადაჭიმული იყო ყირიმი — კავკასია — ვოლგის ხაზიდან შორს დასავლეთისკენ. ხაზართა მთების ჩრდილი ივნისში სარმატეთის მხარეს თორმეტი დღის სავალზედ ეცემოდა, დეკემბერში კი ჩრდილოეთისკენ ერთი თვის სავალზედ იყო განფენილი. დაახლოებით 700 წელს ხაზართა მიერ წარ-

გზავნილნი პირნი დადიოდნენ ბოსფორზედ და ფანაგორიაში. ქრისტიანული (რუსული) წყაროები, ისეთი, მაგალითად, როგორიც არის **ნესტორის ქრონიკა,** ამტკიცებენ, რომ IX საუკუნეში დნეპრის შუაწელის სამხრეთით მცხოვრები ტომები ხაზართ ხარკს უხდიდნენ, რაც თეთრი ციყვის ტყავით ანდა თითოეულ სულზედ თითო მახვილით იანგარიშებოდა. X საუკუნეში ხარკი ფულად უხდევინებიათ.

ხაზართა საკითხის თაობაზედ ბერძნულ წყაროებს ძალას მატებს ერთი მნიშვნელოვანი საბუთი, რომელსაც დაუბმანუსის გამოცემაში „დიდი პერგამენტი" ჰქვია. როგორც ეს წყარო გვაუწყებს, ბიზანტიის იმპერატორს თეოფილეს ხაზარეთიდან უსტარი გაუგზავნეს, ხოლო ერთ-ერთ ელჩს ტანზედ დაჭვარჭვალიტებული ჰქონდა ხაზარეთის ისტორია და ტოპოგრაფია, მოთხრობილი ხაზარულ ენაზედ, ოღონდ ებრაული ასოებით. იმჟამად, როს ელჩის ტატუირება, ანუ დაჭვარჭვალიტება ხდებოდა, ხაზარები თავიანთი ენის ანბანად ბარიბარ იყენებდნენ ბერძნულ, ებრაულ ანდა არაბულ დამწერლობას, თუმცა ვინმე ხაზართაგანი თუ რომელსამე სარწმუნოებაზედ მოიქცეოდა, მაშინ სამი ანბანიდან ერთ-ერთი უნდა ამოერჩია, აღსარებული სჯულის შესაბამისად. ის ხაზარნი, ვინც ბერძნულ სარწმუნოებაზედ მოიქცეოდა, ისლამს ანდა იუდაიზმს აღიარებდა, თავიანთ ხაზარულ ენას ისე აჩიქორთულებდნენ, ის ენა უკვე იმათ ენას აღარა ჰგავდა, რომელთაც პირვანდელი სჯულისთვის არ ეღალატათ. სხვა წყაროები, თუმცაღა არ ეთანხმებიან დაჭვარჭვალიტებული ელჩის არსებობის დაუბმანისეულ მტკიცებას, მაგრამ საგულვებლად მიიჩნევენ, რომ ლაპარაკია მდიდრულად შემკულ მარილისგან დამზადებულ ჭურჭელზედ, რომელიც ბიზანტიის იმპერატორს იმიტომ გაეგზავნა, რა არი იმას ზედ ხაზარული ისტორია წაეკითხა, ხოლო რაც შეეხება „დიდი პერგამენტის" თაობაზედ მოთხრობილ ამბავს, უბრალოდ არასწორად განმარტებული ისტორიული წყაროს ნაყოფიაო. ასეთი გონივრული მოსაზრება უარყოფილია ერთი შეუთანხმებლობით. უკეთუ გავიზიარებთ იმ ვერსიას, რომელშიც ლაპარაკია მარილისგან დამზადებულ ჭურჭელზედ, გაუგებარი რჩება „დიდი პერგამენტის" შესახებ მოთხრობილი ამბის დასასრული, ეს ამბავი კი შემდეგნაირად ვითარდება:

„დიდ პერგამენტზედ" წელთაღრიცხვა ხაზარული დიდი წლების მიხედვით წარმოებდა, რომელი წლებიც მხოლოდ ომიანობის დროს მოიცავდნენ, ამიტომ იმათი მცირე ბერძნულ წლებად გადათვლა ხდებოდა. პერგამენტის თავი დაკარგულია, სხვათა შორის, იმის გამო, რომ რაღაც შეცდომისთვის მოციქულს ნასაღი უყვეს, ანუ სხეულის ის ნაწილი მოჰკვეთეს, რომელზედაც პირველი და მეორე დიდი ხაზარული წლები იყო აღწერილი. ამრიგად, შემონახულ ნაწილში ხაზარული ისტორია მესამე დიდი წლიდან იწყება, როცა VII საუკუნეში (ჩვენი წელთააღრიცხვით) ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე სალაშქროდ სპარსეთს წარემართა, რომელ ლაშქრობაშიც ხაზარნიც შეეწეოდნენ, იმხანად თავიანთი მეფის ზიებელის თავკაცობით ტფილისის ალყაში რომ მონაწილეობდნენ და, ანაზდეულად დააგდეს რა ბრძოლის ველი, ბერ-

ძენი მეომარნი მტერთან პირისპირ დატოვეს. ისინი სულ იმის მტკიცებაში იყვნენ, რომ ყოველ საქმეში ერთი წესრიგი მოქმედებს, სანამ ეს საქმე ზრდის მხრივ ვითარდება, და მეორე, ოდეს იგივე საქმე ეცვლება და კნინდება; წასვლა და დაბრუნება სულ სხვადასხვა კანონით მორჩილებენ, წარმატების მიღწევამდე და შემდგომ ძალა აქვთ სხვადასხვა ხელშეკრულება-შეთანხმებებს. მიწისძვრის მერე მცენარეებიც სულ სხვანაირად იზრდებიან, ახლებურად, ისე აღარ, როგორც ადრე. მეოთხე დიდი წელიწადი ბულგარეთის სამეფოზედ ხაზართა არაერთ გამარჯვებას აღწერდა, როს ჰუნო-ონოგურთა ტომები ხაზართ დაემორჩილნენ, სხვებმა კი ასპარუხის მეთაველობით, დასავლეთისკენ დაიხიეს, დუნაიმდე, და ქარისგან გვემულ ტომებს შეერივნენ, რომელთაც თავზედ თმის ნაცვლად ბალახი ეზრდებოდათ, ხოლო აზრები ყინულივით ცივი ჰქონდათ. მეხუთე და მეექვსე დიდი წლები (მოციქულის მკერდზედ მიწერილი) შეიცავდნენ ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე II დროის ხაზართა სამეფოს ომიანობის ისტორიას. ტახტიდან ჩამოგდებული, გამოძევებული და დასახიჩრებული, იუსტინიანე ხერსონესში აღმოჩნდა დაპატიმრებული, საიდანაც სრულიად დედიშობილა გაიქცა ხაზარებთან, ხოლო გზაში, რათა არ გაყინულიყო, ლოდებქვეშ შემძვრალს ეძინა. ხაზართა ხაკანის კარზედ ძალიან კარგად მიიღეს გამოძევებული იმპერატორი, ცოლად ხაკანის და შერთეს, რომელიც ბერძნულ სარწმუნოებაზედ მოიქცა და სახელად თეოდორა შეირქვა (ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I მეუღლის სახელი), თუმცაღა კვლავინდებურად ჰგონებდა, როგორც ეს ხაზართა შორის იყო მიღებული, რომ ქალწულ მარიამს ღმერთი სიზმრად მოევლინა და დასიზმრებული სიტყვით გაანაყოფიერა იგი. იუსტინიანე II პირველად რომ გადააწყდა ხაზართ, მაშინ გადარჩა. ხოლო მეორედ როს მოუხდა ამ ხალხთან საქმის დაჭერა, ბედის ჩარხი უკულმა დაუტრიალდა, რამეთუ ხაზარებთან გაქცევა შეიძლება, მაგრამ იმათგან თავის დაღწევა არამც და არამც არ ხერხდება. როდესაც ხაზარებთან იმპერატორ ტიბერიუსის მოციქულნი მოვიდნენ და ბერძნებისთვის იუსტინიანეს გადაცემა მოითხოვეს, ის კიდევ ერთხელ გაიქცა და დედაქალაქის დასალაშქრავად დაიძრა. კვლავ ჩაიგდო რა ძალაუფლება, იუსტინიანე II იგულმავიწყა ხაზართა სტუმართმოყვარეობა და 711 წელს დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა ხერსონესში, ქალაქში, სადაც ის განდევნილობაში მყოფი ცხოვრობდა და რომელიც ხაზართა გავლენის სფეროში იყო მოქცეული. ამჯერად ხაზარებთან ურთიერთობა უმადურ იმპერატორს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ხაზართ მხარი დაუჭირეს ყირიმში ამბოხებულ იმპერატორის ჯარს (ყირიმი ამჟამად უკვე იმ ჯარს ეჭირა), ამბოხების ჟამს ვილაცებმა შავეთის გზას გაუყენეს იუსტინიანე II, ზედ მიაყოლეს იმისი პატარა ვაჟი ტიბერიუსიც, ბიზანტიაში ჰერაკლეს დინასტიის უკანასკნელი ნაშიერი, რომლის დედაც ხაზარი ბატონიშვილი იყო. ამრიგად, ხაზართ ერთი და იგივე კაცი შეივრდომეს კიდეც, როცა ის სხვათაგან იყო დევნილი, და ნადგურყვეს კიდეც, როცა თავად გახდა

მდევნელი. მეშვიდე, და უკანასკნელი, ხაზარული წელიწადი, დანუსხვილი „დიდ პერგამენტზედ", ანუ ხაზართა მოციქულის მუცელზედ, შეიცავდა ცნობას იმის თაობაზედ, რომ ხაზარებთან ერთად მსოფლიოში არსებობდა ამავე სახელის კიდევ ერთი ტომი, რომ ხაზართა ეს ორეულნი თავიანთ სახელმოდგამთაგან ძალიან შორს ცხოვრობდნენ, მაგრამ ხშირად იმათ ნამდვილ ხაზარებში ურევდნენ, და დროდადრო ალალბედად თუ ხვდებოდნენ ერთმანეთს ამ ორი ხალხის წარმომადგენელნი. ისინი, სხვა ხაზარები, ცდილობდნენ, რომ სარგებელი რამ ენახათ ამგვარ დამთხვევაში, და ამიტომ ნამდვილ ხაზართა მოციქულს ბარძაყთა ზედან გაფრთხილება ჰქონდა მიწერილი: როგორც ხალიფთა, ისე ბასილევსთა კარზედ ჟამ-ჟამად გამოჩნდებიან ხოლმე ზუსტად ასევე დაჭვარჭვალიტებულნი კაცნი, რომელთაც თავიანთ კანზედ დაექვთ არა ნამდვილი ხაზარი ხალხის, არამედ სხვა, ოღონდ ამავე სახელის მქონე ხალხის ისტორიაო. იმ სხვა ხაზართ ხაზარულად მეტყველებაც შეეძლოთ, თუმცა ეს შეძლება ორ-სამ წელიწადზედ მეტ ხანს არ უგრძელდებოდათ, ანუ იმდენი ხანი გასდევდათ, რამდენსაც ადამიანის თმა ცოცხლობს. ხაზარული ენის ცოდნა იმათ ხანმეტი წინადადებაში უწყდებოდათ, და ამის შემდეგ ისინი უკვე ერთი სიტყვის თქმასაც ვეღარ ახერხებდნენ. მოციქული როგორც ზეპირად, ისე დაჭვარჭვალიტებით ირწმუნებოდა, რომ ის ნამდვილ ხაკანს და ნამდვილ ხაზართ წარმოადგენდა. მან ისიც შეახსენა აგრეთვე, რომ ბერძენთა ისტორიაში იყო ისეთი დრო, როცა ისინი, ბერძნები, ნამდვილ ხაზართა მაგივრად ორეულ ხალხს დაუკავშირდნენ სწორედ მაშინ, მეშვიდე დიდი ხაზარული წელიწადი რომ იდგა. თანამედროვე წელთაღრიცხვით (ესე იგი ზემოხსენებული ხაზარულით) 733 წელს იმპერატორმა ლევ III ისავრიელმა, ხატთმბრძოლმა, თავის ვაჟს კონსტანტინეს ცოლად შერთო ხაზართა ხაკანის ქალიშვილი ირინე. ამ ქორწინებას შემდგომ მოჰყვა ბერძენთა იმპერატორი ლევ IV ხაზარი (775-780). იმ ხანებშივე იმპერატორ ლევ III ხაზარეთის ხაკანის კარზედ მისიონერთა გაგზავნა სთხოვეს, რომელთაც უნდა განემარტათ, რაში მდგომარეობდა ქრისტიანული სარწმუნოება. ეს თხოვნა განმეორდა ასი წლის შემდეგაც, ბერძენთა იმპერატორ თეოფილეს (829-842) დროს, როცა რუს ნორმანთაგან და უნგრელთაგან საფრთხე დაემუქრა ყირიმს, ბერძენთა იმპერიას და ხაზართა სახელმწიფოს. ხაზართა ხაკანის მოთხოვნით ბერძენ მხაზველ-მაშენელთ აღმართეს მაშინ ციხესიმაგრე სარკელი, და მოციქულის მარცხენა ყურზედ ცხადად შეიძლებოდა დანახვა, როგორ მაღლდებოდნენ სიმაგრეები დონის შესართავში. იმისავე ერთ-ერთ ცერა თითზედ აშკარად ჩანდა 852 წელს ხაზართა შეტევა კიევზედ, მაგრამ იმის გამო, რომ კიევის მაშინდელი ალყის ჟამს დაკოდილი თითი სულმუდამ უჩირქდებოდა, სურათი ბუნდოვანი იყო და მუდმივ გამოცანად რჩებოდა, მით უმეტეს, რომ იმ დროს, როცა ეს მოციქული ცარგრადს გაგზავნეს, ალყა ჯერ კიდევ მომავალში უნდა შემოერტყათ — იქამდე ზუსტად ორი ათეული წელიწადი იყო დარჩენილი.

ამ ადგილას ჩანაწერი „დიდი პერგამენტის“ შესახებ წყდება, მაგრამ მაინც შეიძლება ვარაუდი, რომ ვინც ამ „ნუსხის“ ავტორი იყო, ხაზარული დედნიდან მან მხოლოდ ის ფაქტები გადაიტანა, ბერძნულ-ხაზარულ ურთიერთობებს რომ ეხებოდა, ხოლო დანარჩენი, რასაც უცილოდ შეიცავდა ხაზარი დიპლომატის დაჭვარჭვალიტებული-კანი, უყურადღებოდ დატოვა, რითაც საშუალება მისცა „მორეულ მოციქულს“, რომ თავისი მისია რომელსამე სხვა ქვეყანაში განეგრძო. ამას თითქოს მოწმობს ის ამბავი, რომ ხაზარმა მოციქულმა თავისი წუთისოფელი მავანი ხალიფას კარზედ გაასრულა, სადაც სული ჯერ უკულმა გადაიბრუნა და მერმე ისევ ზედ ხელთათმანივით წამოიცვა. თურმე ტყავი, რომელიც იმას გააძვრეს, გამოქნეს და, დიდ რუკათა კრებულსავით ყდაგადაკრული, სამარაში ხალიფის სრა-სასახლეში საპატიო ადგილას წამოჭიმეს. სხვა წყაროთა მიხედვით, მოციქულს მრავალი უსიამოვნება შეხვედრია. უწინარესად ყოვლისა ჯერ კიდევ ცარგრადში მან საკუთარი ნებით მოაჭრევინა ხელი ბერძნული სამეფო კარის ერთ ძლევამოსილ ბობოლას, რომელმაც სულ ხალასი ოქრო გადაიხადა მეორე დიდი ხაზარული წელიწადისთვის, მოციქულს მარცხენა ხელის მტევანზედ რომ ეწერა. მესამე წყაროთა თანახმად, მოციქული იძულებული გამხდარა და ორჯერ თუ სამჯერ მიბრუნებულა ხაზართა თავქალაქში, სადაც ისტორიულ და სხვა ცნობებ-ფაქტებში, რაც რამ იმ მოციქულის კანზედ ადრე აღებეჭდათ, ახლა შესწორებანი შეჰქონდათ, ამასთანავე, შესაძლოა, იმას სულაც სხვა მოციქული შეანაცვლეს, რომლის კანიც ხაზართა ისტორიის შესწორებულ და შევსებულ ვერსიას ასახავდა. როგორც **ხაზარული სიტყვისკონა** გვაუწყებს, ის მოციქული ვით ხაზართა ცხოვრების ცოცხალი ენციკლოპედია, ისე ცხოვრობდა, არსებობისათვის ფულს იმის გამო ღებულობდა, რომ ბოსფორზედ მთელ ღამეებს ფეხდგომელა მშვიდად ატარებდა და თვალს არ აცილებდა ხეთა ბოლის ბოლოქვთა მსგავს ვერცხლისფერ ვარჯთ, სანამ ბერძენი და სხვა მწერალ-მდივნები იმის ზურგიდან და ბარძაყთაგან თავიანთ წიგნებში იწერდნენ ხაზართა ისტორიას. ამბობენ, რომ, ხაზარული ჩვეულებისამებრ, იმ მოციქულს სულ თან დაჰქონდა თავისი მინის მახვილი და ამტკიცებდა, ხაზარული ანბანის ასოებს ყველას ხაზარული მენიუს ნაირ-ნაირი კერძების მიხედვით დაერქვა თავთავისი სახელიო, ხოლო რიცხვთ — მარილის შვიდი სახეობის მიხედვით, რომელ შვიდ სახეობასაც ხაზარნი არჩევენო. შემორჩენილია ერთი იმისი გამონათქვამი, რომელიც აგრე ჟღერს: „უკეთუ ხაზარნი ითილში უკეთესად არიან (ხაზართა თავქალაქში), ცარგრადშიც უკეთესად იქნებოდნენ“. საერთოდ თუ ვიტყვით, ბევრი რამ იმის ნათქვამთაგან ეწინააღმდეგებოდა იმას, რაც ტანზედ ეწერა.

მან თავად ან იქნებ სულაც იმისმა რომელიმე მემკვიდრემ შემდეგნაირად ახსნა ხაზარული პოლემიკა, რომელიც ხაზართა ხაკანის კარზედ გაიმართა. ერთხელაც ხაკანს ანგელოზი დაესიზმრა და უთხრა: „დამბადებელს ეძვირფასება შენი ზრახვანი, ოღონდ არა საქმენი შენი“. ხაკანმა მაშინვე უხმო სიზმრების მებადურთა სექტიდან ყოვლის

უფრო სახელიან მღვდელს და თავისი სიზმრის წართქმა მოსთხოვა, მეგბადურმა გაიცინა და უთხრა ხაკანს: „ღმერთი შენს გაგებაში არ არის, იმან არცრა შენი განზრახვა იცის, არცრა აზრი და საქმე. აწგელოზი სიზმარში თუ მოგეევლინა და რაღაც აბდაუბდა ჩაგძახა, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ღამის გასათევი არსად ჰქონდა, ეარეთ კი წვიმდა. ხოლო ისე ცოტა ხანს იმიტომ გაჩერდა, რაკი კარგა გვარიანად ყარდა ის შენი სიზმარი. სხვიმის როგორც საჭიროა, რეცხე სიზმრები...“ ამ სიტყვებმა ფრიად გააჯავრეს ხაკანი, და სიზმრის წარსათქმელად მან უცხოქვეყნელთ უხმო. „დიახ, ადამიანის სიზმრები საშინლად ყარან“, — თავისი აზრი გამოთქვა ამა ამბისა გამო ხაზარმა მოციქულმაც, რომელიც იმიტომ მოკვდა, რომ კანმა, რაზედაც ხაზართა ისტორია ჰქონდა დანუსხვილი, საშინელი ქავილი დაუწყო. ეს ქავილი აუტანელ ტანჯვად ექცა და საიქიოს გზას მხიარულად დაემწყემსა შვებამოგვრილი, რაკიღა ისტორიისგან ბოლოსა და ბოლოს განიწმინდა.

ხაზარული პოლემიკა — მოვლენა, რომელსაც ქრისტიანული წყაროები მიაკუთვნებენ 861 წელს, კონსტანტინე სოლუნელის, ანუ წმინდა კირილეს ცხოვრების შესაბამისად, რომელი ცხოვრებაც დაწერილია IX საუკუნეში და შემონახულია ეგრეთ წოდებული მოსკოვის სასულიერო აკადემიის ხელნაწერთა შემადგენლობაში და ვლადისლავ გრამატიკოსის 1469 წლის ვერსიაში. ამრიგად, სწორედ იმ 861 წელს ბიზანტიის იმპერატორს ხაზართაგან ელჩები ეწვივნენ და მოახსენეს: „ჩვენ მუდამჟამს ოდენ ერთი ღმერთი ვიცოდით, რომელიც ყველას თავს დასცქერის და იმას ვეთაყვანებით, ამასთანავე, აღმოსავლეთისკენ პირმიქცეულნი, სხვა ჩვენს წარმართულ ადათ-წესებსაც ვიცავთ. ებრაელნი კი ჩაგვციებიან, ჩვენი სარწმუნოება და ჩვენი წეს-ჩვეულებანი მიიღეთო, ხოლო სარკინოზნი მშვიდობასა და მრავალ ნაირ-ნაირ საბოძვარს გვთავაზობენ და გვეუბნებიან: „ჩვენი სარწმუნოება ბევრად უკეთესია, ვიდრე სხვა ხალხებისაო“. ამიტომაც, გვახსოვს რა ჩვენი ძველი მეგობრობა და სიყვარული, მოგმართავთ, რამეთუ თქვენ (ბერძნები) დიდი ხალხი ხართ და თქვენი იმპერატორული ძალაუფლება უფლისმიერია, და ვითხოვთ თქვენს რჩევა-დათათბირებას. გამოგვიგზავნეთ თქვენი კითხულნი კაცნი და უკეთუ დავა-პაექრობაში ისინი ებრაელთ და სარკინოზთ დაჯაბნიან, თქვენს სარწმუნოებაზედ მოვიქცევით“.

როს ბერძენი იმპერატორი დაეკითხა კირილეს, ხაზარებთან წახვალ თუ არაო, მან მიუგო, მზად ვარ, რომ იქით მიმავალ გზას ტანშიშველი და ფეხშიშველი დავემწყემსოო. დაუბმანუსის აზრით, კირილეს ამით იმის თქმა სურდა, რომ სამგზავროდ გასამზადებლად იმდენივე დრო სჭირდებოდა, რამდენიც საჭიროა ცარგრადიდან ყირიმამდე ფეხით გასავლელად, რადგანაც კირილე სიზმრის ამბავში მაშინ ჯერ კიდევ უწიგნური იყო და არ იცოდა, როგორ უნდა გაეხსნა სიზმარი შიგნიდან, ანუ არ შეეძლო იმ დროს გაღვიძება, როცა თავად ეწადა. მაგრამ მაინც უკან არ დაუხევია, გზად, ხერსონესში, ებრაული ისწავლა და ებრაული გრამატიკა ბერძნულად თარგმნა, მომავალი პოლე-

მიკისთვის შეიმზადა თავი. თავის ძმასთან მეთოდესთან ერთად კონსტანტინემ განვლო მეოტისის ტბა და კავკასიის მთების კასპიის ჭიშკარი, აქ კი ხაკანის მაცნე შეხვდათ, რომელიც იმათ შესაგებებლად გამოეგზავნათ. მან კონსტანტინე ფილოსოფოსს ჰკითხა, ლაპარაკის დროს წინ წიგნი რატომ გიჭირავსო, ხაზართ. პირიქით, [illegible] თავიანთი სიბრძნე გულმკერდიდან ამოაქვთ, თითქოს წინ [illegible] გადაკლაპოთო. კონსტანტინემ მიუგო, უწიგნოდ თავს ისე ვგრძნობ, როგორც შიშველიო, შიშველ კაცს კი, აბა, ვინ დაუჯერებს, რომ ბევრი ტანსაცმელი აქვსო? ხაზარი მაცნე კირილესა და მეთოდეს შესაგებებლად ხაზართა თავქალაქ ითილიდან იყო დუნაის სარკელში გამოგზავნილი, საიდანაც ჩამოვიდა ხერსონესში. ბიზანტიელ მოციქულთ იგი კასპიის ზღვაზედ მდებარე სემენდერში გაუძღვა, სადაც ხაკანის საზაფხულო სატახტო იყო. სწორედ აქ გაიმართა პოლემიკა. ებრაელნი კი სარკინოზნი რწმუნებულნი უკვე ადგილზე იყვნენ და, კითხვა რომ გაისმა, ვახშამს რა წოდებულებით დაესწრებითო, კონსტანტინემ მიუგო: „პაპაჩემი დიდი და სახელგანთქმული კაცი იყო, მეფეს გვერდით ედგა, მაგრამ იმის მერე, რაც დიდებაზედ უარი თქვა, გააძევეს, და უცხო მხარეში გადახვეწილი გაღატაკდა. მე სწორედ იქა ვარ დაბადებული, და ძველი მამაპაპური ღირსების ძებნაში ვერ წარვემატე: მე ხომ ადამის ძე ვარ, უფრო ზუსტად კი, შვილიშვილი“.

— თქვენ **სამებას** განადიდებთ, — უთხრა ხაკანმა ვახშმობისას, როცა ერთ-ერთი სმური წარმოთქვა, — ჩვენ კი ერთიან ღმერთს, როგორაც წიგნებში წერენ. რატომ არის აგრე?

ფილოსოფოსმა ამაზედ მიუგო:

— წიგნები **სიტყვასა** და **სულს** ქადაგებენ. უკეთუ ერთი ვინმე პატივს მოგაგებს შენ, ხოლო შენს სიტყვასა და შენს სულს არცრად მიიჩნევს, ხოლო მეორე სრულად **სამებას** მიაგებს პატივს, ამ ორიდან რომელი უფრო გაფასებს, რას იტყვი?

ამის პასუხად პოლემიკის ებრაელმა მონაწილემ ჰკითხა:

— მაშ, მითხარი, ვითარ ძალუძს დედაკაცს გვამსა შიგან დატევა, მით უმეტეს, შობა ღვთისა, რომლის ცქერაც კი არ შეგიძლიათ თქვენ?

ხოლო ფილოსოფოსმა ხაკანსა და იმის პირველ მრჩეველზედ მიუთითა და უთხრა:

— უკეთუ ვინმე იტყვის, პირველ მრჩეველს არ ძალუძს ხაკანის ნდობის მოპოვებაო, და იგივე იტყვის, ამის უკანასკნელ მსახურს არა მარტო ეს შეუძლია, არამედ თავის ბატონს პატივსაც დასდებსო, მაშინ მითხარით, რა უნდა დავარქვათ ესეგვარ კაცს: გიჟი თუ ჭკუათმყოფელი?

აქ პოლემიკაში სარკინოზნი ჩაერთვნენ და კონსტანტინე ფილოსოფოსს იმ ერთი წეს-ჩვეულების თაობაზედ დაეკითხნენ, რომელსაც იგი ჯერ კიდევ სამარაში გასცნობოდა სარკინოზთა ხალიფის კარზედ. ლაპარაკი იყო იმაზედ, რომ სარკინოზთ ჩვეულებად ჰქონდათ უწმინდურის გამოსახვა იმ სახლების გარეთა კედლებზედ, სადაც ქრისტიანები ცხოვრობდნენ. სუყოველ ქრისტიანულ კარზედ შეიძლებოდა ეშ-

მაკის სახის ხილვა. და სარკინოზთ, რომელნიც უკვე კარგა ხანი იყო, რაც კონსტანტინეს მოწამვლას ცდილობდნენ, ჰკითხეს:

— შეგიძლია, ფილოსოფოსო, მიხვედრა, ეს რას ნიშნავს?

და მან თქვა:

— მე დემონის სახესა ვჭვრეტ და, ვგონებ, აქ, ამ სახლში, ქრისტიანები ცხოვრობენ, ხოლო რადგანაც დემონებს ქრისტიანებთან ერთად ცხოვრების ძალა არ შესწევთ, გარეთ გარბიან. იქ კი, სადაც ეგვითარი გამოსახულებანი არც კარებზეა და არც კედლებზედ, ისინი შიგნით არიან, ადამიანებთან ერთად...

მეორე ქრისტიანულმა წყარომ ხაზარული პოლემიკის შესახებ ჩვენამდე ძალზედ შერყვნილი სახით მოაღწია — როგორც X საუკუნეში კიეველთა ნათლისღების ანდრეზმა. ამ ანდრეზის მიღმა, რომელშიც სამი რელიგიის ირგვლივ გამართული დავის სამი მონაწილიდან წარმოდგენილია ერთ-ერთი, სახელდობრ კონსტანტინე ფილოსოფოსი — კირილე (თუმცა ის მთელი ასი წლით ადრე ცხოვრობდა), შესაძლებელია რამე საბუთის დანახვა, რომელიც თავდაპირველად ხაზარულ პოლემიკაზედ მეტყველებდა. უკეთუ ჩამოვაშორებდით გვიანდელ დანაშრევებსა და როგორც X, ისე შემდგომ საუკუნეთა ჩანართ-ჩანამატებს, მაშინ ცნობა ხაზარული პოლემიკის შესახებ დაახლოებით ასეთი შეიძლებოდა რომ ყოფილიყო:

ერთი ხაზარი ხაკანი, ფრიად იღბლიანი მებრძოლი პაჭანიგთა და ბერძენთა წინააღმდეგ, რომელთაც ხერსონესი წაართვა (ქერჩი, ყირიმში რომ არის), აბჯარ-აბგარს შეელია და საგრობაომიანობით დაღლილი განაპირდა, მშვიდობიან ცხოვრებას მიეცა. და იმდენი ცოლის ყოლა მოინდომა, რამდენი მებრძოლიც ბრძოლის ველზედ ჰყავდა დაკარგული. „ცოლმრავალი კაცი იყო იგი, — ამბობს ამ ანდრეზის ერთ-ერთი ვერსია, 1772 წელს ვენეციაში სერბულ ენაზედ გამოქვეყნებული, — და, რადგან ყველა სარწმუნოების ცოლის ყოლა ეწადა, ის არა მარტო თაყვანსა სცემდა სულ სხვადასხვა კერპთ, არამედ სურდა, რომ ცოლთა და ხარჭა-თანამწოლთა ტრფიალებისა გამო თავადაც სხვადასხვა რჯულის აღმსარებელი ყოფილიყო". ამ ამბავმა იმის საბაბი მისცა სულ სხვადასხვა უცხოქვეყნელთ (ბერძენთ, არაბთ, ებრაელთ), რომ ყველას თავისი მოციქული გაეგზავნა ხაკანთან, რა არი რაც შეიძლება მალე მოექციათ იგი თავიანთ სარწმუნოებაზედ. ხაკანის კარზედ მიმდინარე პოლემიკაში, ებრაელებთან და სარკინოზებთან შედარებით, — გვიამბობს ეს წყარო, — რამდენადმე მეტად წარემატა კონსტანტინე ფილოსოფოსი, რომელიც ბერძენ იმპერატორთ გამოგზავნეს. თუმცა, ხაკანმა ვერა და ვერ გადაწყვიტა საბოლოოდ გადასაწყვეტი, და მანამ ყოყმანობდა, სანამ საქმეში ერთი იმისი ნათესავი ქალი არ ჩაერია, რომელშიც ჩვენთვის მესამე წყაროდან ცნობილი ხაზარი სეფექელის ატეპის ამოცნობა შეიძლება. ამ ნათესავის კაცთ ხაკანი დაიყოლიეს და ზოგმა ებრაელებთან გააგზავნინა თავი, ზოგმაც ბერძნებთან და სარკინოზებთან, რათა ადგილობრივ ენახათ, ვისი მოძღვრება რას წარმოადგენდა. და როს ეს „ქალისეული" ელჩობა უკან დაბრუნდა, ქრისტიანობა ყოვლის უფრო სამჯობინარ სარწმუნოებად

წარმოჩნდა, ელჩნი კი ხაკანს გამოუტყდნენ, ის შენი ნათესავი ქალი, ვისაც ჩვენ ვემსახურებით, უკვე კარგა ხანია, რაც გაქრისტიანდაო.

მესამე წყარო, რომელიც ხაზარული პოლემიკის ქრისტიანულ გააზრებას მოწმობს — დაუბმანუსი, — თვლის, რომ ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, შეაკრთო ხაკანი. ამრიგად, ბედნიერება ებრაელთა [illegible] ულიკენ შებრუნდა, მეტადრე იმის მერე, რაც ხაკანმა შეიტყო, [illegible] ქრისტიანები ებრაელებივით ძველ აღთქმას სცემდნენ პატივს. როცა ეს კონსტანტინემაც დაადასტურა, ხაკანმა სრულად დაუჭირა მხარი პოლემიკაში მონაწილე რომანიოტს, რომელიც საბერძნეთიდან ხაზარებთან იყო გადმოსული და ახლა მგზნებარედ იცავდა იუდაიზმს.

— ჩვენ სამთაგან, სიზმართა წარმთქმელ-ამხსნელთაგან, — უთხრა ამ რომანიოტმა ხაკანს, — მხოლოდ მე, რაბინი, არ წარმოვადგენ ხაზართათვის საშიშროებას. იმიტომ რომ ებრაელთა უკან არც ხალიფა დგას თავისი მწვანეაფრებიანი ხომალდებით და არც ბერძენი ბასილევსი თავისი ჯვარალმართული ჯარითურთ. კონსტანტინე სოლუნელი თან ხელშუბიან მხედართ მოიყოლებს, მე კი, ებრაელი რაბინი, ოდენ თალესს მოვიტან სალოცავად...

აგრე უბნობდა რაბინი, რომლის ნაუბარიც ჭკუაში დაუჯდა ხაკანს და ის იყო, ამას დავუჭერ მხარსაო, გაიფიქრა, რომ პაექრობაში სეფექალი ატეპი ჩაერთო და კიდევ ერთხელ შეუცვალა გეზი პოლემიკას. რაც სეფექალმა ატეპმა ებრაელ მონაწილეს უთხრა და რასაც ხაზარულ პოლემიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, აგრე ჟღერდა:

— შენ უბნობ, ვისაც სიმდიდრე სწყურის, პირი ჩრდილოეთისკენ ქნასო, ხოლო ვისაც სიბრძნე სწყურის — სამხრეთისკენო! გარნა რად მეუბნები მაგ ტკბილსა და ბრძნულ სიტყვებს აქ, ჩრდილოეთში, იმის მაგივრად, რომ სამხრეთში, შენს მამა-პაპათა მიწა-წყალზედ დამტკბარიყავი სიბრძნით? რად არ მიდიხარ იქ, სადაც ნათელი თავის კვერცხთ დებს, სადაც საუკუნენი საუკუნეთ ეხებიან, რად არა სვამ იქ მკვდარი ზღვის მჟავე წვიმას და რად არა კოცნი ქვიშას, იერუსალიმის წყაროთაგან წყლის მაგივრად რომ მოედინება მაგრად დაჭიმული ოქრომკედის მსგავს ალმაცერ ღვარად? ამის მაგივრად დამდგარხარ და მიყვები, რომ სიზმარში ბნელ ღამესა ვხედავ და ოდენ შენს ცხადში ძალმიძს მცირეოდენი მთვარის შუქის პოვნა. რად მეუბნები მაგას?

კიდევ ერთი კვირა დაილია და გავიდა ყუაზედ. ამ კვირას თავისი ყოვლის უფრო საზეიმო დღე შემოეხარჯა, რომელზედაც შენ იძახი, ეგ პალესტინაში იწყებაო, და რომელსაც ეს კვირა ბეჯითად უფრთხილდებოდა დღევანდლამდე. გარნა აწ ამ დღის ჯერიც დადგა. კვირას არა და არ ეთმობა ეს დღე, ნაწილ-ნაწილ იმეტებს. აიღე შენი თალესი, წარიტანე შენი შაბათი და წადი. მიადექ სიბრძნეს და იმას უთხარი, რაც ჩემთვის უნდა გეთქვა. იქ უფრორე მეტად წარემატები. ოღონდ ერთი რამ არ დაგავიწყდეს: ვისაც ციხესიმაგრის დაპყრობა უნდა, ჯერ საკუთარი სული უნდა დაიპყროს...

გარნა სულ ტყუილად გელაპარაკები ყოველივე ამას, რამეთუ თვალნი პირსა შიგან გაქვს და რისამე ხილვა ოდენ იმის შემდეგ ძალგიძს, როს ამეტყველდები. მე კი აი რას ვგონებ: ან ანდაზა არ გივარგა,

ვერ მოაწყე, ან არცვინ გელოდება სამხრეთში, რამეთუ იქ ვილაც სხვას ელოდებიან. არადა სხვანაირად როგორ გავიგოთ, როს აქ აღმოჩნდი, ჩრდილოეთში, ჩემ გვერდით?

სეფექალ ატეჰის ამ სიტყვების გაგონებამ ხაკანი გამოაფხიზლა, და მან რაბინს უთხრა, მსმენია, ებრაელნი თავადვე აღიარებენ, ღმერთმა უარგვყო და მთელ ქვეყნიერებაზედ დაგვქსაქსაო.

— თქვენ კი, თქვენს რჯულზედ გსურთ ჩვენი მოქცევა, რა არი უბედურებაში შეგვიამხანაგოთ, რათა, თქვენი არ იყოს. ჩვენც, ხაზარნიც, დაგვსაჯოს ღმერთმა, და მთელ ქვეყნიერებაზედ მიმოგვფანტოს?

აგრე განუდგა ხაკანი ებრაელთ და კვალად აღიარა კონსტანტინე ფილოსოფოსის საბუთიანობა ყოვლის უფრო სარწმუნოდ. თავის კარისკაცებთან ერთად მოიქცა იგი ქრისტიანობაზედ, ხოლო ბერძენ იმპერატორს უსტარი გაუგზავნა, რომლის ტექსტიც მოყვანილია კირილეს ცხოვრებაში და გვაუწყებს შემდეგს:

„შენ ისეთი კაცი გამოგვიგზავნე, დიდო ბატონო, რომელმან სიტყვებითაც და საქმეებითაც გვიჩვენა, რაშია ქრისტიანული სარწმუნოების ნათელი, და დავრწმუნდით, რომ ეს ჭეშმარიტი სარწმუნოებაა, და თავიანთი ნებით განათვლა ებრძანათ ყოველთა ჩვენთა კაცთ...“

სხვა წყარო გვეუბნება, რომ დათანხმებით კი დასთანხმებია ხაკანი კონსტანტინე ფილოსოფოსის საბუთიანობას, მაგრამ სრულიად მოულოდნელად გადაუწყვეტია ბერძენთა წინააღმდეგ გალაშქრება, იმის მაგივრად, რომ იმათი სარწმუნოების აღმსარებლობა ეღიარებინა. და უთქვამს: „სჯულს მოწყალებასავით კი არ ითხოვენ, მახვილით მოიპოვებენ“. იგი ხერსონესიდან დასხმია თავს ბერძენთ, და ლაშქრობის იღბლიანად გასრულების შემდგომ ბერძენი იმპერატორისგან მოუთხოვია, ცოლად ერთ-ერთი სეფექალი გამომაყოლეო. ბერძენ იმპერატორს ერთადერთი პირობა წამოუყენებია — ხაზართა ხაკანი ქრისტიანი უნდა გამხდარიყო. ცარგრადის ფრიად გასაკვირად ხაკანი ამაზედ ყაბულს გამხდარა. აგრე განათლულან ხაზარნი.

ხაკანი — ხაზართა მთავარი. ხაზარული სახელმწიფოს თავქალაქი ითილი იყო, ხოლო ხაკანის საზაფხულო სატახტო კასპიის ზღვაზედ მდებარეობდა, სემენდერი ერქვა. ფიქრობენ, რომ ბერძენ მისიონერთა დარბაზობა ხაზართა კარზედ პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგი იყო. ერთ-ერთი ხაზარი ხაკანი ჯერ კიდევ 740 წელს სთხოვდა ცარგრადს, ქრისტიანულ სარწმუნოებაში ჩახედული მისიონერი გამომიგზავნეთო. IX საუკუნეში საერთო საფრთხის წინაშე ბერძენ-ხაზართა კავშირის განმტკიცების აუცილებლობა გაჩნდა: იმ დროს რუსებმა უკვე თავიანთი ფარი აღმართეს ცარგრადის ბჭეზედ და ხაზართ ბრძოლით დაატოვებინეს კიევი. იყო კიდევ ერთი საფრთხე. ხაკანს რომელიც იმუამად მართავდა, ტახტის მემკვიდრე არა ჰყავდა. ერთხელაც ამ უშვილძირო ტახტოსანს ბერძენი ვაჭრები ეახლნენ, მან გული აჩვენა და ტაბლასთან მიიწვია ისინი. სუყველანი ტანმორჩილნი, შავნი და დაფანჩულნი იყვნენ, ის კი არა, ბალანი გულ-მკერდზედაც შუაზედ გაყოფილი ჰქონდათ. ტაბლასთან იმათ გვერდით მჯდომი ხაკანი ბუმბერაზი

ჩანდა. ამინდი ირეოდა, და ფრინველნი სარკმელს აწყდებოდნენ როგორც რომ ბუზნი სარკეს. მოგზაურთ გზა რომ გაუთავაზა და ძღვენიც უსაგზლა, ხაკანი ისევ იქ მიბრუნდა, სადაც ისადილეს, და თვალი შემოხვევით ტაბლაზედ დარჩენილ ნახორხალს ჰკიდა. ბერძენთა მსხვილ-მსხვილი ნახორხალი დევების ნამუსრევსა ჰგავდა, ხაკანისა წვრილ-წვრილი ნახორხალი კი უფრო ბავშვის ნატაბლი იყო. ხაკანმა [illegible] ჯარისკაცთ უხმო, რასაც ის უცხოტომელნი უბნობდნენ, ერთსელ კიდევ გამიმეორეთო, მაგრამ არცვის არა ახსოვდა რა. ბერძენთ უმეტესად კრინტი არ დაუძრავთო, ასეთი იყო საერთო აზრი. მაშინ ხაკანს კარის ამალიდან ერთი ებრაელი წარუდგა და ხელის აპყრობა, შეწევნა აღუთქვა.

— ვნახოთ, რას მოახერხებ, — უპასუხა ხაკანმა და ცოტა წმინდა მარილი ალოკა. ებრაელმა სასწრაფოდ მონა მოჰგვარა, რომელსაც მკლავის გაშიშვლება უბრძანა. მონის მკლავი ხაკანის მარჯვენის ზუსტი ასლი იყო.

— დაუტევე ეგ, — უთხრა ხაკანმა. — დაუტევე და საქმე განაგრძე. სწორ გზაზედ დგახარ.

ამის თქმა იყო, და მთელ ხაზარეთის სამეფოში შიკრიკ-იქვრივისნი აფრინეს, და სამ თვეში ებრაელმა ხაკანს ჭაბუკი ვინმე მოჰგვარა, რომლის ფეხისგულებიც სავსებით ისეთივე იყო, როგორიც ხაკანსა ჰქონდა. მერმე მოიძიეს ორი მუხლი, ერთი ყური და მხარბეჭი — ყველაფერი ხაკანისას ზუსტად ედრებოდა. ნელა-ნელაობაში ხაკანის კარზედ ბევრი ჭაბუკი მოგროვდა, იმათ შორის იყვნენ ჯარისკაცებიც, მონებიც და მაზმანებიც, ანუ ბალნის მსთველნი, ებრაელები, ბერძნები, ხაზარები, არაბები, რომელთაც უკეთუ თითოეულს სხეულის განსაზღვრულ ნაწილს ანდა ასოს აართმევდნენ, — ახალგაზრდა ხაკანის შედგენა შეეძლოთ, ეს ახალი ხაკანი კი როგორც წყლის ორი წვეთი, ისე დაემგვანებოდა იმას, ითილში მთავრად რომ იჯდა. არა ჰყოფნიდათ მხოლოდ თავი. ბევრს ეძებდნენ, მაგრამ ვერა პოულობდნენ. და ის დღეც დადგა, როცა ხაკანმა თავისთან იხმო ებრაელი და თავი მოსთხოვა, ან შენი, ან ხაკანისაო. ებრაელი სულაც არ შეშინებულა, და გაკვირვებულმა ხაკანმა, ვითომ რად არ შეშინდიო, ჰკითხა.

— ამის მიზეზი ის არის, — მიუგო ებრაელმა, — რომ მე ჯერ კიდევ შარშან შევშინდი და არა დღეს. თავიც შარშანვე მოვიძიე. უკვე რამდენიმე თვე აქ ვინახავ, შენს კარზედ, ოღონდ ჩვენება ვერ გამიბედავს.

ხაკანმა თავის ჩვენება უბრძანა, და ებრაელმაც ყმაწვილქალი მოჰგვარა. ის ნორჩი და ხატკეთილი ასული იყო, თავი კი იმდენად უგავდა ხაკანის თავს, რომ ანარეკლის მაგივრობას გასწევდა. უკეთუ ვინმე იმას სარკეში დაინახავდა, უთუოდ იფიქრებდა, რომ ხაკანს ხედავდა, ოღონდ უფრო ახალგაზრდას. მაშინ ხაკანმა, ვინც კი ჩემს კარზედ თავმოყრილია, ყოველნი მომგვარეთო, და ებრაელს იმათგან კიდევ ერთი ხაკანის შექმნა უბრძანა. სანამ ცოცხლად დარჩენილი ხეიბრები აქეთ-იქით მიღოღ-მოღოღავდნენ, რომელ ხეიბართა ასო-ნასხამნიც მეორე ხაკანის შესაქმნელად მოივარგეს, ებრაელმა ახალ არსებას შუბლზედ რალაც სიტყვები მიაწერა, და ხაკანის ქვეშაგებიდან დღემოუჭმელი მე-

მკვიდრე წამოდგა. აწ მემკვიდრის გამოცდალა იყო საჭირო, და ებრაელმა ხაკანის მიჯნურის, სეფექალ ატეპის განსასვენებელს აწვა. მეორე დილის კისკასზედ სეფექალმა ნამდვილი ხაკანისთვის შემდეგი სიტყვების გადაცემა ბრძანა:

— წუხელ სარეცელი ვისთანაც გამაზიარებინე, შენგან განსხვავებით, წინადაცვეთილია. მაშასადამე, ან ის ხაკანი კი არა, სხვა ვინმეა, ანდა ხაკანი ებრაულ რჯულზედ მოიქცა, დაიცვითა და ვილაც სხვა გახდა. მოკლედ გადაწყვიტე, რა მოხდა.

მაშინ ხაკანმა ებრაელს ჰკითხა, ეს განსხვავება რას უნდა ნიშნავდესო. მან მიუგო:

— არცრა განსხვავება აღარ იქნება, როგორც კი თავად დაიცვითები.

ხაკანმა არ იცოდა, რა უნდა გადაეწყვიტა, და კვლავ სეფექალ ატეპს დაეკითხა რჩევა. ატეპმა ხაკანი თავისი სრა-სასახლის სარდაფში ჩაიყვანა და ორეული აჩვენა, რომლისთვისაც ჯაჭვის ბორკილი დაედებინებინა და დილეგში ჩაგდება მიესაჯა, მაგრამ ორეულს ის ჯაჭვის ბორკილი გაეწყვიტა და წარმოუდგენელი ძალით ანჯღრევდა დილეგის ლანძვს. ერთ ღამეში ისე გადევკაცებული იყო, რომ ნამდვილი, დაუცვეთელი ხაკანი იმასთან შედარებით პატარა ბავშვი ჩანდა.

— გინდა, გამოვუშვა? — დაეკითხა სეფექალი. ხაკანი იმზომ შეშინდა, რომ წინადაცვეთილი ხაკანის მოკვლა ბრძანა. სეფექალმა ატეპმა შუბლში მიაფურთხა დევკაცს, და იგი ეგრევე მკვდარი დაეცა ძირს.

მაშინ ხაკანი გულით მიადგა ბერძენთ, ერთპიროობით შეეკრა და იმათი სარწმუნოება თავისად გამოაცხადა.

გაგრძელება იქნება

ალექსანდრ ბლოკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსები

თარგმნა სიღოვან ნარიმანიძემ

●

წახვედი უკანმოუხედავად, —
ნაფეხურები დაჩნდა მკრთალ
ზოლად,
შებინდებისას ძოწისფერი ჩამოწვა
ნამად,
სული გამიპო, დამირბია და
დამალონა!..
გლოვისას ძვირფასს მოვუხმობ
დღეებს,
სალამურის ხმის მოსმენისას
ამეტირება,
სულო, ვედრებით ნულარ იკვნესებ,
ლოდინით დაღლილს ველის პირას
ჩაგეძინება.

შენ მოხვალ მაშინ ოქროს
მანახვებს...
მაგრამ მე თვალებს ველარ გავახელ,
ვით შუქურმშვენი და სხივმოსილი,
წახვალ და შენ თავს ვინლა
მანახებს...
ვნებებით დაცლი ჩემს სულს
დატანჯულს,
და წმინდანივით თუ განმასვენეს,
ნუ დაივიწყებ ცრემლთა ნაკადულს,
და გულს, რომელიც სევდით
დასერე...

●

ო, მე გიჟურად მინდა სიცოცხლე,
რადგან შეგიცან, უკვდავო სულო!
დაუსრულებლად უნდა იწვოდე,
მცირე ნანატრი რომ აისრულო!
დაე, დამტანჯონ შენზე ფიქრებმა,
შენზე სიზმრებმა არ მომასვენონ,
ოღონდ ოდესმე ცელქმა ბიჭებმა
მომიგონონ და თბილად მახსენონ...
ვიცნობ გუმანით, ვიცი ისაა, —
ფარული სევდა მაწვევს ცთუნებას,
ეს ლტოლვაც მისი — სიკეთისაა,
და გამოაჩენს მის ერთგულებას...

●

ავ ბედისწერის მჯერა, წყალს გალმა დარჩნენ წლები,
შენზე ლოცვაში ჯერაც ალარ დასრულდა გზები...
ჰორიზონტს ცეცხლი ჰბურავს, სივრცეს გავყურებ ელდით,
და ჩემთვის ვდარდობ ჩუმად, სიყვარულით და სევდით...

ჰორიზონტს ცეცხლი ნათობს, მე მაინც მჯერა შენი,
თან შიში მიპყრობს, ვაითუ?.. იჭვის შემყრია სენი!
იჭვის შემყრია სენი, კადნიერს აღძრავ იჭვებს,
დღეებს მისდევენ დღენი, გული სევდას ვერ იტევს...
ო, რარიგ მწარე ბედით დავემონები განცდებს,
უკურნებელი ელდით მომინელებ და დამცემ...
ავედევნები წარსულს, — ქარი გაფანტავს ლრუბელს,
თან მეშინია, ვაითუ... შენ ის აღარ ხარ უკვე!..

●

გეფიცებოდი ასულს უნაზესს,
და არ ვფიქრობდი შენს გარდა სხვაზე,
შენ შეგხვაროდი, შენს ლამაზ სახეს
და სურათს შენსას ჩემს მაგიდაზე...
... ქამი დადგა და წახვედი ჩემგან,
ბნელ ღამეს მივეც ბეჭედიც მშვენი,
შენ სხვას მიენდე, გამწირა ბედმა,
გადამავიწყა არსებაც შენი...
დღეები ჰქროდნენ სიმარტოვეში,
ღვინო ამსხვრევდა ჩემს ყველა მიზნებს,
შენ გიხსენებდი ძნელბედობაში,
ვით დაკარგულ განძს და ცრემლთა მიზეზს...
მაგრამ შენ ჩემკენ არ მოიხედე,
ჩემი გოდება ვერ გაგაგონე,
სახლიც გლოვობდა ჩამქრალ იმედებს,
სახლი, იმ ღამით რომ მიატოვე!..
ძვირფასო, ლხენა წარსულს ჩაბარდა,
და შენ მაკლიხარ მხოლოდ მარტო მე,
დღესაც მათრთოლებს ლურჯი ლაბადა,
ნესტიან ღამით აქ რომ დატოვე!..
არ მაქვს სურვილი, ვიფიქრო სხვაზე,
რა ვქნა, აღარ ვარ მე ახალგაზრდა,
შენი სურათიც ჩემს მაგიდაზე
აღარ დევს უკვე, დრომ გადაკარგა!..
დამეხსენ, დამთმე, სიძულვილო, სავსევ ტკივილით,
შენ რომ არა ხარ, სიყვარული მოდის თავისით,
ზამთრის ყინვისგან გათოშილი, ბრძოლის ყიჟინით
გული გამიხსენ, გაზაფხულო, ჩვეულ ხალისით!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, გაზაფხულო, ისევ ხმიანობ,
ოცნებავ ჩემო, უკიდეგანოვ,
ისევ მოგვიხველ საბედნიეროდ,
ჩვენო სუნთქვავ და იმედის წყაროვ!..
დამარცხებასაც მივიჩნევ არად,
ოღონდ შენ მყავდე, იმედი ჩემი,
როდესაც ცრემლი ჩამომდის ღვარად,
რამდენ ტკივილებს ინახავს ცრემლი!..
განთიადისას, ჩაბნელებულ სარკმელთა იქით,
ვცნობილობ მე შენს აგზნებულ მზერას,
ნეტარ ბურანში მიმიძღვები მწვანე ბილიკით,
სადაც ათასი მათრობელა ყვავილობს ველად!..
ჩემი დღეების ოცნებავ და უსაზღვროებავ,
მდარე ქალაქთა წყაროვ ჭებისავ,
სხივოსან ზეცის გადმოთოებავ,
გამონათებავ ნაღდ დღეებისავ!
მოგეგებები სახლის ზღურბლთან, კეთილო, მოდი!
ველურო ჟინო გაზაფხულისავ,
კვლავ ამიწეწე თმები შენი ქარით და თქორით.
შეახე ბაგე ბაგეს ჩემსას სიყვარულისა!..
უკანასკნელი გაბრძოლება, დე, იყოს იგი,
ფარ-ხმალს არ დავყრი, არ დავეცემი,
ჩადრით მოსილმა გააცოცხლე სამყარო მშვიდი;
შევხვდეთ იქ, სადაც ყანაა და ლურჯი ედემი..

საყვირების მოწოდების შორეული ძახილი ხარ,
ცდუნების გზით რომ მატარებ, ნაცრისფერი ქარები ხარ,
მქუხარე მდინარეებზე გადებული გზა-ხიდი ხარ!
ჭაობების ფოსფორული კრთომის ნელი ალები ხარ!
ო, მიყვარხარ, როგორც ყარიბს უყვარს კვერთხი,
როგორც ახსოვს მებრძოლს სატრფო ბრძოლებისას,
სიამით გმზერ, რადგან ვიცი, სატრფო ხარ და უფრო მეტი,
ვით დევნილი სამშობლოდან, ღირსი ხარ მოგონებისა...
უცხო ხარ და იდუმალი, თუმცა გცან და თუმცა გისმენ,
ჩემი სულის ძლიერებავ, სამაისო გულის ფეთქვავ,
ბელადივით გამიძეხი, წამიყვანე დიდი მზისკენ,
ვიფერფლები ცეცხლის ალზე, — ეს შენა ხარ, შენა მფერფლავ?..

იოსიფ ბროდსკი

ძილისპირული

თარგმნა თეიმურაზ ნადარეიშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ მიშობიხარ უდაბნოში
მე შენ ამაოდ,
ჯერ ხომ ეს მიწა არც გამხდარა
მეფეთ სადაო.

უიმედოა აქ შენი ძებნა,
რადგან ზამთარში,
სივრცეზე მეტი სიცივეა
ქვიშის საფარში.

ზოგსა აქვს ბურთი, დიდი სახლი,
გასართობები,
შენ კი ბავშვური ანცობისათვის
ეს უდაბნო გაქვს, შენ ხარ

უდაბნოს, შვილო, მიეჩვიე,
როგორც ბედ-ილბალს,
სად გინდა იყო, თავშესაფარი
მხოლოდ აქა გაქვს.

მე შენ ძუძუთი გამოგზარდე.
უდაბნოს სევდა
შენს მზერას დიდი სიმარტოვის
საზრდოს აძლევდა.

შენი პაწია შუბლის ნათელი,
აჭრილი ცაში,
უშორეს ვარსკვლავს აკიაფებს,
ინთება მასში.

უდაბნოს, შვილო, მიეჩვიე
შენს ფეხთით მძინარს,
რადგან საყრდენად შენ იგულებ
მარტოდენ იმას.

მდუმარე ქვიშა ღიად გიმხელს
შენ ბედისწერას,
სადღაც შორეთში ჯვრიანი გორა
იპყრობს შენს მზერას.

აქ ბილიკები გაუკვალავს
გოლიათ სივრცეს,
და ჟამთ მდინარე
უკაცრიელ კალაპოტს მისდევს.

უდაბნოს, შვილო, მიეჩვიე,
ვით ქვიშა ქარებს,
რათა იგრძნო, რომ მხოლოდ
სხეულს
შენ არ ატარებ.

ეს საიდუმლო მეგზურად გექცეს,—
და ეს გრძნობები
შენ გაზიარებს
უკიდეგანო სიცარიელეს.

ამ უდაბნოზე უარესი არაა იგი,
გრძელი არის მხოლოდ მასზე,
და შენდამი სიყვარულით
ივი მუდამ არის სავსე.

უდაბნოს, კარგო, მიეჩვიე,
ვარსკვლავსაც ცაზე,
რომლის ძალითაც მიდამოა
სინათლით სავსე.

თითქოს თვის პირმშოს ლამპარს
უნთებს
უკუნ ღამეში
ის, ვინაც ჩვენზე დიდხანს
ცხოვრობს
ამ ყრუ მხარეში.

რუსული პროზა

ივან ბუნინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთხრეგვეგი

თარგმნა ლერი სიმონიშვილმა

კავკასია

ჩამოვედი თუ არა მოსკოვში, ქურდულად გავჩერდი არბატის მახლობლად შეუმჩნეველ სასტუმროში და ვცხოვრობდი ტანჯული ასკეტივით პაემნიდან პაემნამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემთან სულ რაღაც სამჯერ მოვიდა და პირზე ეს სიტყვები ეკერა:

— მე მხოლოდ ერთი წუთით...

ის იყო მშვენიერი, ფერმკრთალი, მოსიყვარულე და ამაღელვებელი ქალი, ხმა უწყდებოდა, ქოლგას სადღაც მიაგდებდა, ვუალს სასწრაფოდ აიწევდა და მომეხვეოდა, ყოველივე სულისშემძვრელი იყო, ხან სიბრალულის და ხანაც აღტაცების გამომწვევი.

— მგონია, რომ ქმარი რაღაცას ხვდება, რაღაცაც იცის, იქნებ რომელიღაც თქვენი წერილი წაიკითხა, გასაღები მოარგო ჩემს მაგიდას... ვფიქრობ, რომ ის ყველაფრის შემძლეა, იმდენად მკაცრი და პატივმოყვარე გახდა. ერთხელ პირდაპირ განმიცხადა: „ვერაფერი შემაჩერებს ჩემი პატიოსნების, ქმრისა და ოფიცრის სახელის დასაცავად!" ახლა რატომღაც ჩემს თითოეულ ნაბიჯს ამოწმებს და ჩვენი ჩანაფიქრი რომ აღსრულდეს, ძალიან ფხიზლად უნდა ვიყო. ის უკვე თანახმაა გამიშვას, იმდენჯერ ვეუბნებოდი — მოვკვდები, თუ ზღვას და სამხრეთს არ ვნახავ-მეთქი, დამიჯერა.

საკმაოდ გაბედული გეგმა გვქონდა: ერთი და იგივე მატარებლით წავსულიყავით კავკასიაში, ზღვის სანაპიროზე და გვეცხოვრა იქ რომელიმე ყრუ ადგილას სამი-ოთხი კვირა. კარგად ვიცოდი ეს სანაპირო, ოდესღაც ცოტა ხნით ვცხოვრობდი სოჭის მახლობლად, — ახალგაზრდა, მარტოხელა, — მთელი ცხოვრება დავიმახსოვრე იმ შემოდგომის სალამოები კიპარისებს შორის, ცივი ნაცრისფერი ტალღები... და ქალი ფერს კარგავდა, როცა ვეუბნებოდი: „ახლა კი შენთან ვიქნები, ჯუნგლებში, ტროპიკულ ზღვასთან..." ბოლო წუთებამდე არ გვჯეროდა, რომ ჩვენი ოცნება ახდებოდა, ეს ხომ ჩვენთვის მეტისმეტად დიდი ბედნიერება იქნებოდა.

მოსკოვში ცივი წვიმიანი ამინდი იყო, ზაფხული თითქმის მიილია და აღარ დაბრუნდებოდა, უსუფთაო, სველ ქუჩებში აქეთ-იქით მიმავალი ეტლების ქოლგები შავად ბრჭყვიალებდა. როცა სადგურში მივდიოდი, ბნელი, უსიამო საღამო იყო, ასე მეგონა სიცივისა და მღელვარებისაგან მთელი ორგანიზმი უგრძნობელი მქონდა. სადგური და ბაქნები შემოვირბინე, თვალებზე შლიაპა ჩამოვიფხატე და სახე პალტოს საყელოში ჩავმალე.

წინასწარ შეკვეთილ პირველი კლასის პატარა კუპეს ხმაურით ეცემოდა სახურავზე წვიმა. ფანჯრის ფარდა აუჩქარებლად ჩამოვუშვი და როგორც კი მებარგულმა სველი ხელი შეიწმინდა თავის თეთრ წინსაფარზე, გასამრჯელო მიიღო და გავიდა, კარები საკეტით ჩავკეტე. შემდეგ ფარდა ნელა გადავწიე და გავინაბე, თვალი [illegible] ჭრელი ბრბოსათვის ტვირთებით რომ მიდი-მოდიოდნენ [illegible] გასწვრივ სადგურის ფარნების ჩაბეუტულ სინათლეზე. ჩვენ შევთანხმდით, რომ სადგურში ძალიან ადრე მივიდოდი, ის კი ძალიან გვიან უნდა მისულიყო რათა არ შევჩეხებოდი ბაქანზე თავის ქმართან ერთად მოსულს. უკვე მათი მოსვლის დროც დადგა. დაძაბული ვიყურებოდი, ისინი კი არ ჩანდნენ. მეორე ზარიც ჩამოჰკრეს — შიშისაგან გამაცია: იგვიანებს ან ქმარმა არ გამოუშვა უკანასკნელ წუთს. მაგრამ უცებ განცვიფრებულმა დავინახე კაცის მაღალი ფიგურა, ოფიცრის კარტუზი ეხურა, შემოტმასნილი შინელი ეცვა და ზამშის ხელთათმანები ეკეთა, ფართოდ მოაბიჯებდა და ხელმკლავით მოჰყავდა ქალი. ფანჯარას მოვცილდი და დივანზე კუთხეში მოვიკუნტე. მეორე კლასის ვაგონი იყო, გონებაში წარმოვიდგინე, როგორ შევიდა საქმიანად მასთან ერთად, მერე გამობრუნებულმა უკან მოიხედა — კარგად დააბინავა თუ არა მებარგულმა ქალი... მესამე ზარი გამაყრუებლად ძლიერი იყო.

მატარებელი დაიძრა, ქანაობა დაიწყო, ირყეოდა, შემდეგ თანაბარი მოძრაობით წავიდა... კონდუქტორს, რომელმაც ქალი ჩემამდე მოაცილა და ნივთები გადმოიტანა, გაყინული ხელით ქაღალდის ათმანეთიანი ჯიბეში ჩავუტენე.

შემოვიდა თუ არა, არც კი უკოცნია, მხოლოდ საცოდავად გაიღიმა, დივანზე დაჯდა და შლიაპა მოიხადა.

— სადილობა ვერ მოვასწარი, — მითხრა ქალმა, — მეგონა, რომ ამ საშინელ როლს ბოლომდე ვერ შევასრულებდი, ძალიან მწყურია, ნარზანი მომეცი, — პირველად მომმართა „შენობით"! — დარწმუნებული ვარ თვითონაც ჩამოვა, მომინახულებს. ორი მისამართი მივეცი — გელენჯიკის და გაგრის. აი ასე, სამი-ოთხი დღის შემდეგ ის გელენჯიკში იქნება... ღმერთმა ხელი მოუმართოს, სიკვდილი მირჩევნია ამ წამებას...

დილით, როცა დერეფანში გამოვედი, მზე ანათებდა, ცხელოდა, საპირფარეშოებიდან საპნის, ოდეკოლონისა და ყველაფრის სუნი მოდიოდა, რის სუნიც კი შეიძლება იდგეს სახალხო ვაგონში. დამტვერიანებულ და ცხელი ფანჯრების მიღმა ერთმანეთის მიყოლებით მოჩანდა მომკილი სტეპი, ფართო შარაგზები, ხარებშებმული ურმები, რკინიგზის ჯიხურები კანარის ჩიტის მზესუმზირისნაირი რგოლებით, ბოსტნებში ამოსული ალისფერი ბალბებით, შემდეგ კი ენაცვლებოდა უსაზღვრო სივრცე და ყორლანები, აუტანელი მწველი მზე, მტვრიანი ღრუბლისგან ჩამუქებული ცა, ჰორიზონტზე პირველი მთების აჩრდილები...

გელენჯიკიდან და გაგრიდან წერილი გაუგზავნა, მისწერა, რომ ჯერ კიდევ არ იცის, სად გაჩერდება.

შემდეგ დავეშვით მდინარის გასწვრივ სამხრეთისაკენ.

ვნახეთ პირველყოფილი ადგილი ჩინარის ტყეებით გაბარდული, აყვავებული ბუჩქებით, წითელი ხეებით, მაგნოლიებით, ბროწეულებით, რომელთა შორისაც ჩანდა მარაოსებური პალმები, ფერშეცვლილი კიპარისები...

ადრე ვიღვიძებდი და ვიდრე ქალს ეძინა ჩაის დალევამდე, ვიდ საათამდე, ტყეში დავდიოდი ბორცვებიან გორაკებზე. ცხელი მზე ალუმად აჭერდა და სიხარულს გგვრიდა. ტყეში ლაჟვარდი იჭრებოდა, სურელოვანი ღრუბელი იშლებოდა და იკარგებოდა, ტყის შორეული კენწეროების იქით მარად თოვლიანი მთები კაშკაშებდა. უკან ვბრუნდებოდი მილებიდან ამოსული წივის ნამწვის სუნიანი გზით — ბაზრის ვვერდით: იქ უკვე ვაჭრობა იყო გაჩაღებული, ზღვა ხალხი ირეოდა, ცხენებსა და სახედრებს თავისი ადგილი ჰქონდათ მიჩენილი. აქ ირეოდნენ სხვადასხვა ტომის მთიელები, ნარნარად მოირხეოდნენ ჩერქეზი ქალები გრძელი შავი ტანისამოსი და წითელი ჩუსტები რომ ეცვათ.

შემდეგ სანაპიროზე ჩავდიოდით, სადაც ადამიანის ჭაჭანება არ იყო, ვბანაობდით და მზეს ვეფიცხებოდით საუზმემდე. საუზმეზე შემწვარ თევზს, თეთრ ღვინოს, კაკალსა და ხილეულს შევიქცეოდით. კრამიტით გადახურულ ჩვენი ქოხის ჭუჭრუტანებიდან განთიადის პაპანაქება მზის სხივები გვეთამაშებოდა.

როცა სიცხე გადაივლიდა და ფანჯრებს გავაღებდით, კიპარისებს შორის გამომკრთალ ზღვას იისფერი დაჰკრავდა და ისე მშვიდად გაწოლილიყო, რომ გეგონებოდათ ეს სიმშვიდე, ეს სილამაზე არასოდეს დასრულდებაო.

მზის ჩასვლისას ზღვის თავზე ხშირად საკვირველი ღრუბლები მოჯარდებოდა, მეწამულისფერი ღრუბლები ცაზე გაწვებოდნენ, ქალიც არც თუ ისე იშვიათად წამოწვებოდა ტახტზე, სახეზე შარფს აიფარებდა და ტიროდა: კიდევ ორი-სამი კვირა — და ისევ მოსკოვი!

ღამეები თბილი და უკუნი იყო, შავ წყვდიადში დაცურავდნენ ციცინათელები, მინის ზანზალაკებივით ციალებდნენ ბაყაყები. თვალი სიბნელეს რომ ეჩვეოდა, მალლა ჩნდებოდნენ ვარსკვლავები და მთაგრეხილები, სოფლის შარაზე იხატებოდა ხეები, რომლებსაც დღისით ვერ ვამჩნევდით. და მთელი ღამე დუქნიდან ისმოდა დოლის ყრუ ხმაური, და ნაღვლიანი, ხან იმედიანი, ხან უიმედო ქვითინი მოედინებოდა ყველა სიმღერიდან.

ჩვენგან დაშორებით, ტყიდან ზღვისკენ რომ ეშვებოდა სანაპიროს ხევში — ქვის კალაპოტში სწრაფად ჩაჩხრიალებდა პატარა, გამჭვირვალე ნაკადული. როგორ საოცრად იმსხვრეოდა, დუღდა მისი ბრწყინვალება იმ იდუმალ საათში, როცა მთებსა და ტყეებში შორიდან, სწორედ რომელიღაც საოცარი არსება — გვიანეული მთვარე — დაჟინებით უყურებდა!

ხანდახან მთებიდან წამოიშლებოდნენ საშინელი ღრუბლები, ამოვარდებოდა საზარელი ქარიშხალი, ტყეების ხმაურიან სამარისებურ სიშავეში იხსნებოდა ჯადოსნური მწვანე უფსკრულები და ცის სიღრმეებში იმსხვრეოდა წარღვნამდელი ჭექა-ქუხილი. მაშინ ტყეებში იღვიძებდნენ არწივის მართვეები, ღრიალებდა ჯიქი, ღავღავებდნენ

ტურები... ერთხელ ჩვენს განათებულ ფანჯარასთან მთელი მათი ჯოგი მოვარდა, — ამისთანა ღამეებში მოდიან ხოლმე საცხოვრებელ ბინებთან, — ჩვენ ფანჯარა გავაღეთ და ზევიდან ვუყურებდით, ისინი კი იდგნენ თავსხმა წვიმაში და წკავწკავებდნენ — ჩვენთან ამოსვლას თხოულობდნენ. ის მათი შემხედვარე — სიხარულისგან ტირიდა.

კაცი ქალს ეძებდა გელენჯიკში, სოჭში. სოჭში ჩამოსვლის მეორე დღეს, დილით ზღვაზე იბანავა, მერე გაიპარსა, ჩაიცვა სუფთა თეთრეული, თოვლივით თეთრი ქათქათა კიტელი, ისაუზმა თავის სასტუმროში — ტერასაზე გახსნილ რესტორანში, დალია ერთი ბოთლი შამპანური, ყავაც დააყოლა შარტრეზით, აუჩქარებლად მოწია სიგარა. თავის ნომერში დაბრუნდა, დაწვა დივანზე და საფეთქელში ორი ტყვია დაიხალა.

ცივი შემოდგომა

იმ წლის ივნისში ის ჩვენთან გახლდათ სტუმრად მამულში — ყოველთვის ჩვენიანად ვთვლიდით. გარდაცვლილი მამამისი მეგობარი და მეზობელი იყო მამაჩემისა. თხუთმეტ ივლისს სარაევოში მოკლეს ფერდინანდი. თექვსმეტში დილით ფოსტიდან გაზეთები მოიტანეს, მამა კაბინეტიდან გამოვიდა, ხელში მოსკოვის საღამოს გაზეთი ეჭირა, სასადილო ოთახში, ის, დედა და მე ჯერ კიდევ ვისხედით ჩაის მაგიდასთან, და გვითხრა:

— აი, ჩემო მეგობრებო, ომია! სარაევოში მოკლულია ავსტრიის სამეფოს პრინცი. ეს უკვე ომია!

პეტრეს სახელობის დღეს ჩვენთან ბევრი ხალხი ჩამოვიდა — მამის დღეობაც იყო, სადილის შემდეგ ის ჩემს საქმროდ გამოაცხადეს, მაგრამ ცხრამეტ ივლისს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს...

სექტემბერში ის ჩვენთან ჩამოვიდა სულ ერთი დღით — ფრონტზე წასვლის წინ გამოსათხოვებლად (მაშინ ყველა ფიქრობდა, რომ ომი მალე დამთავრდებოდა, და ჩვენი ქორწილი მხოლოდ გაზაფხულამდე გადაიდო. და აი დადგა ჩვენი გამოსათხოვარი საღამო. ვახშმობის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, დადგეს სამოვარი, და, მისგან დაორთქლილ ფანჯრებს რომ შეხედა, მამამ თქვა:

— საოცრად ადრიანი და ცივი შემოდგომაა!

იმ საღამოს ჩუმად ვისხედით, მხოლოდ ხანდახან ერთმანეთს უმნიშვნელო სიტყვებით, საოცრად წყნარად ვესაუბრებოდით, რათა ჩვენი აზრები და გრძნობები დაგვეფარა. მოგონილი უბრალოებით მამამ შემოდგომაც ახსენა. მე აივნის კართან მივედი და თავსაფრით გავწმინდე მინა: ბაღში, შავლეგა ცაზე, ნათლად და გამოკვეთილად კაშკაშებდა თითქოს გაყინული კრიალა ვარსკვლავები. სავარძელში გადაწოლილი მამა ეწეოდა, მაგიდის თავზე დაკიდულ ცხელ ლამპას დაბნეული უყურებდა, სათვალით გადიდებულ სინათლეზე დედა გულმოდგინედ კერავდა აბრეშუმის პატარა პარკს, — ჩვენ ვიცოდით რისთვის, — და ეს იყო ამაღლებული და შემაშფოთებელი. მამა შეეკითხა:

— მაშ შენ გინდა მაინც დილით წასვლა და არა საუზმის შემდეგ?

— დიახ, თუ ნებას დამრთავთ, დილით, — უპასუხა მან, — ძალიან ვნაღვლობ, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი ვერ მოვაწესრიგე სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამამ მსუბუქად ამოიოხრა:

— შენ იცი, როგორც გნდა, ჩემო კარგო. ახლა კი ჩვენი ძილის დროა, აუცილებლად გვინდა ხვალ შენი გაცილება.

დედა ადგა და თავის მომავალ სიძეს პირჯვარი გადაწერა, ის დაიხარა და ჯერ დედას, შემდეგ კი მამას ეამბორა ხელზე. მარტო დავრჩით, ცოტა ხანს სასადილო ოთახში კიდევ დავყავით, — მე პასიანსის გაშლა ჩავიფიქრე, — ის უხმოდ სცემდა ბოლთას, შემდეგ შემეკითხა:

— გინდა ცოტა გავიაროთ?

გული ძალიან დამძიმებული მქონდა, მაგრამ უაზროდ დავეთანხმე:

— კარგი.

ის შემოსასვლელში იცმევდა, თან რაღაცაზე ფიქრობდა, საყვარელი ღიმილით გაიხსენა ფეტის ლექსი:

რა ცივი შემოდგომაა!
მოისხი შარფი და კაპოტი!

— კაპოტი არა, — ვუთხარი მე. — შემდეგ როგორაა?

— აღარ მახსოვს, მგონი ასეა:

უყურე — შავ ნაძვებს შორის
თითქოს ხანძარი მოჩანს...

— რომელი ხანძარი?

— მთვარის ამოსვლა, რა თქმა უნდა. ამ ლექსებში არის რაღაც სოფლური შემოდგომის სიმშვენიერე. „მოისხი შარფი და კაპოტი“... ჩვენი პაპების და ბებიების დროება... აჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

— რა იყო?

— არაფერი, საყვარელო მეგობარო. მაგრამ მაინც ნაღვლიანი ვარ, ნაღვლიანი და კარგია. მე ძალიან მიყვარხარ შენ...

ჩავიცვით და სასადილო ოთახის გავლით გავედით აივანზე, ჩავედით ბაღში. ისე ბნელოდა, რომ მის სახელოს მოვეჭიდე. შემდეგ ნელნელა განათებულ ცაზე გამოჩნდა კენჭებივით დაყრილი ბრწყინვალე ვარსკვლავები. ის გაჩერდა, სახლისკენ შებრუნდა:

— შეხედე, როგორი საოცრად განსაკუთრებულია, შემოდგომის ფერებად ანათებს სახლის ფანჯრები. სანამ ვიცოცხლებ, ყოველთვის მოვიგონებ ამ საღამოს...

მე შევხედე, და ის მოეხვია ჩემს შვეიცარიულ მოსასხამს. სახიდან მოვიცილე თივთიკის თავშალი, მსუბუქად დავხარე თავი, ჩემთვის რომ ეკოცნა. მაკოცა და სახეში შემომხედა.

— როგორ გიბრწყინავს თვალები, — მითხრა. — არა გცივა? ნამდვილად ზამთრის ჰაერია. თუ მომკლავენ, შენ მაშინვე დამივიწყებ?

მე ჩავფიქრდი: „მართლა რომ მოკლან? და ნუთუ მე მაინც დავივიწყებ რაღაც დროის შემდეგ — ყველაფერი ხომ [illegible] დავიწყებას ეძლევა?“ და ჩემი აზრით, შეშინებულმა [illegible] ვუპასუხე:

— ასე ნუ ლაპარაკობ! შენს სიკვდილს ვერ გადავიტან!

ის გაჩუმდა, ნელა ჩაილაპარაკა:

— ჰოდა, თუ მომკლავენ, იქ დაგელოდები. შენ იცხოვრე და მერე წამოდი ჩემთან.

მე მწარედ ავტირდი...

დილით ის წავიდა. დედამ კისერზე ჩამოჰკიდა ის სვებედნიერი პარკი, გუშინ საღამოს რომ კერავდა, — მასში იდო ოქროს ხატი, რომელსაც ომში ატარებდნენ მისი მამა და პაპა, — და ჩვენ ყველამ პირჯვარი გადავიწერეთ სავსებით სასოწარკვეთილებმა. მის გზას გავცქეროდით, პარმალზე ვიდექით გონებაშეზღუდულთა მსგავსად. ყოველთვის ასე ხდება, როცა ვინმეს აცილებ და დიდი ხნით შორდები, გრძნობ მხოლოდ საკუთარ შეუსაბამობას ჩვენსა და ჩვენს ირგვლივ სასიხარულო, მზიან, ბალახზე მოელვარე ჭირხლიან დილას შორის. ცოტა ხნის შემდეგ შევედით დაცარიელებულ სახლში. ოთახებში გავიარე, ხელები ზურგს უკან დავიწყე, არ ვიცოდი რა გამეკეთებინა — ავქვითინებულიყავი, თუ მთელი ხმით ავმღერებულიყავი...

ის მოკლეს — როგორი უცნაური სიტყვაა! — ერთი თვის შემდეგ გალიციაში. მას შემდეგ მთელი ოცდაათი წელი გავიდა. და ამ წლებში ბევრი რამაა გადატანილი, ისეთი დიდი ხნის წინანდელი რომ გეჩვენება, როცა გულდასმით ფიქრობ მათზე, მეხსიერებაში გადასინჯავ ყველა იმ მოჯადოებულ, გაუგებარ, გონებითაც და გულითაც მიუწვდომელს, რასაც წარსული ეწოდება. თვრამეტი წლის გაზაფხულზე, როცა არც მამა, არც დედა უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ, მე ვცხოვრობდი მოსკოვში, სარდაფში — სმოლენსკის ბაზრის წვრილმანით მოვაჭრე ქალთან, რომელიც მუდამ დამცინოდა: „აბა, თქვენო ბრწყინვალებავ, როგორაა თქვენი მდგომარეობა?“ მეც ვვაჭრობდი, ვყიდდი, როგორც ბევრნი ყიდდნენ მაშინ, ფაფახიან და გადაღეღილშინლიან ჯარისკაცებზე — რაც კი შემორჩენილი მქონდა, ხან რაღაც ბეჭედს, ხან ჯვარს, ხან ჩრჩილით შეჭმულ ბეწვის საყელოს, და აი აქ — არბატისა და ბაზრის კუთხეში რომ ვვაჭრობდი, შევხვდი იშვიათი, მშვენიერი გულის მქონე, ხანშიშესულ თადარიგის სამხედროს, რომელსაც ცოლად გავყევი და მასთან ერთად აპრილში გავემგზავრე ეკატერინოდარში. მივდიოდით ჩვიდმეტი წლის ბიჭთან — მის დისწულთან ერთად, კინაღამ ორი კვირის განმავლობაში, — მელაპტებიანი დედაკაცი, ის გაცვეთილი კაზაკური ზუბინით, მიშვებული შეჭაღარავებული წვერით, — და დონზე და ყუბანზე ორ წელზე მეტ ხანს დავრჩით. ზამთარში, ქარიშხალში, სხვადასხვა მხრიდან მოჯარული ლტოლვილები ნოვოროსიისკიდან გემით გავემგზავრეთ თურქეთში, და გზაში, ზღვაზე, ჩემი ქმარი ტიფით გარდაიცვალა. ახლობლებიდან მთელ ქვეყანაზე მხოლოდ სამი ადამია-

ნიღა დამრჩა: ქმრის დისწული, მისი ახალგაზრდა ცოლი და გოგონა — შვიდი თვის. მაგრამ დისწულიც ცოლთან ერთად მალე გემით ყირიმში გაემგზავრა, ვრანგელთან, ბავშვი მე დამიტოვეს. იქ ისინი უკვალოდ დაიკარგნენ. მე კი ისევ კარგახანს ვცხოვრობდი კონსტანტინეპოლში, ძალიან მძიმე შავი სამუშაოთი თავს ძლივს ვირჩენდით მე და გოგონა. შემდეგ, როგორც ბევრი სხვა, სადღა არ დავხეტიალობდით: ბულგარეთი, სერბია, ჩეხეთი, ბელგია, პარიზი, ნიცა... გოგონა გაიზარდა, დარჩა პარიზში, ნამდვილი ფრანგი ქალი გახდა, ძალიან სანდომიანი, მაგრამ ჩემდამი სავსებით გულგრილი. მუშაობდა შოკოლადის მაღაზიაში მადლენის ახლო, სათუთად მოვლილი ვერცხლისფერფრჩხილებიანი თითებით ატლასის ქაღალდებში ახვევდა კოლოფებს და ოქროს ზონრით კრავდა; მე კი ნიცაში ვცხოვრობდი და ახლაც იქ ვცხოვრობ, იმის მოლოდინში, რასაც ღმერთი გამომიგზავნის... ნიცაში პირველად ცხრაას თორმეტ წელში ვიყავი და შემეძლო კი მეფიქრა იმ ბედნიერ დღეებში იმაზე, რასაც ახდენა არ ეწერა.

ასე გადავიტანე მისი სიკვდილი და ოდესღაც ნაჩქარევად ნათქვამი — რომ მის სიკვდილს ვერ გადავიტანდი, მაგრამ როცა ვიხსენებ ყოველივეს რასაც გავუძელი, ვეკითხები ჩემს თავს: მაინც რა იყო ჩემი ცხოვრება? და ვპასუხობ: მხოლოდ ის ცივი შემოდგომის საღამო. ნუთუ მართლა იყო? მართლა იყო. და ეს ყველაფერი, რაც ჩემს ცხოვრებას შემორჩა — დანარჩენი უაზრო სიზმარი გახლდათ. და მჯერა, მხურვალედ მჯერა: სადღაც იქ ის — მელოდება — ისევ მოსიყვარულე და ისეთივე ახალგაზრდა, როგორც იმ საღამოს. „შენ იცხოვრე, გაიხარე ამ ქვეყანაზე, მერე ჩემთან მოდი...“ ვიცხოვრე, გავიხარე, ახლა უკვე წასვლის ჟამი დადგა.

საჭანელა

ზაფხულის საღამოს სასტუმროში ვიჯექი, ფორტეპიანოზე რაღაცას ვცოდვილობდი, აივანზე მისი ნაბიჯების ხმა შემომესმა, ველურივით ავაღრიალე კლავიშები და რაღაც არეულად ავმღერდი:

არ მშურს მეფეთა,
არ მშურს ღმერთების,
რა დავინახავ გიშრისფერ თვალებს
ტანკენარ ასულს და მუქ ნაწნავებს!

ის შემოვიდა ლურჯი სარაფნით, ზურგზე მოქანავე ორი გრძელი შავი ნაწნავით, მარჯნის ყელსაბამით. ცისფერთვალას მზემოკიდებული სახე ჰქონდა, თან იცინოდა.

— ეს ყველაფერი ჩემზეა? არიაც საკუთარი კომპოზიციიდანაა?

— დიახ!

და ისევ დაარტყა კლავიშებს და დაიყვირა:

არ მშურს მეფეთა...

— ოი, და რა ხმა გაქვთ!

— სამაგიეროდ ცნობილი ფერმწერი ვარ. და ლამაზიც, როგორც ლეონიდ ანდრეევია. დასახმარებლად შემოგიარეთ!

— ის მაშინებს, მაგრამ მე არ მეშინია, თქვა ტოლსტოიმ თქვენს ანდრეევზე.

— ვნახოთ, ვნახოთ!

— ბაბუს ყავარჯენი გახსოვს?

— ბაბუ სევასტოპოლის გმირია, მხოლოდ ერთი შეხედვით გეგონება მკაცრი.

— გავიქცეთ, დავქორწინდეთ, შემდეგ ფეხებში ჩავუვარდეთ — ატირდება და გვაპატიებს.

ვახშმობის წინ, ბინდბუნდში, როცა სამზარეულოში ყველიანი ბლინები იწვებოდა ხახვთან ერთად და სურნელება იქაურობას ათრობდა, ხეივნის ბოლოს საქანელაზე მისი კაბის კალთები ფრიალებდა. კაცი თოკებს ჭიმავდა და ცდილობდა უფრო ძლიერად აექნია საქანელა, თან თვალებს აბრიალებდა, ლოყებაწითლებული ქალი კი დაჟინებულ უაზრო და მხიარულ მზერას არ აცილებდა.

— აუ! შეხედეთ, აგერ პირველი ვარსკვლავი და ახალი მთვარე! და ცაც ტბის თავზე როგორი მწვანეა, მწვანე — მხატვარო, შეხედეთ, როგორი თხელი ნამგალია! მთვარე, მთვარე, ოქროს რქა... აუჰ, ჩვენ ჩამოვწყდებით!

სიმაღლიდან ჩამოფრენილები დედამიწაზე დაეშვნენ, ფიცარზე დასხდნენ, აღელვებულები ძლივს სუნთქავდნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— მერე რა? მე ხომ ვამბობდი!

— რას ამბობდი?

— თქვენ უკვე შეყვარებული ხართ ჩემზე.

— შეიძლება... მოიცადეთ, ვახშამზე გვეძახიან... აუ, წავიდეთ, წავიდეთ!

— ერთ წუთს მოიცადეთ. პირველი ვარსკვლავი, ახალი მთვარე, მწვანე ცა, ნამის სურნელი, სამზარეულოდან სასიამოვნო სუნი, — სწორია, ისევ ჩემი საყვარელი ყველიანი ბლინები არაჟანით! — და კიდევ ცისფერი თვალები და მშვენიერი ბედნიერი სახე...

მართლაც, ასე მგონია, ამ საღამოზე ბედნიერი წუთები ჩემს სიცოცხლეში მეტად აღარ განმეორდება...

— დანტე ეუბნებოდა ბეატრიჩეს: „მის თვალებში — სიყვარულის საწყისია, დასასრული კი — ტუჩებშია". მაშ ასე — უთხრა ვაჟმა და მისი ხელი აიღო.

ქალიშვილმა თვალები დახუჭა, თავდახრილი მისკენ გადაიწია. ვაჟმა ხელი მოხვია მხრებზე, რბილი ნაწნავები რომ სცემდა და სახე აუწია.

— დასასრული ტუჩებში?

— ჰო...

როცა ხეივანში მიდიოდნენ, ვაჟი თავის ფეხებს დაჰყურებდა.

— რა უნდა ვქნათ ახლა? მივიდეთ ბაბუასთან, შუხლებზე დავიჩოქოთ და ვთხოვოთ ლოცვა-კურთხევა? მაგრამ მე რომელი ქმარი ვარ?

— არა, არა, ოღონდ ეს არა.

— მაშ რა?

— არ ვიცი. დაე იყოს მხოლოდ ის, რაც არის... უკვეთესი არ იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემი „სარატოვი“

განთიადისას ფანჯრებს მილმა მაისის შხაპუნა წვიმა ახმაურდა. ჩოფერა დენშჩიკმა, თუნუქის ლამპით განათებულ სამზარეულოში ჩაის რომ მიირთმევდა, კედელზე ჩამოკიდებულ საათს შეხედა, ადგა და ცდილობდა როგორმე ახალი ჩექმების ჭრაჭუნს არ შეეწუხებინა მძინარე; ბნელი კაბინეტი გაიარა და დივანთან მივიდა:

— თქვენო კეთილშობილებავ, მეათე საათია...

შეწუხებულმა თვალი გაახილა:

— რაო? მეათე? შეუძლებელია...

ქუჩის მხარეს ორივე ფანჯარა ღია იყო და ბაღს გადაჰყურებდა — გაზაფხულის ცინცხალი სიგრილისა და ალვისხეების სურნელება ავსებდა იქაურობას. ყნოსვა გამძაფრებოდა, რასაც ახლადჩაძინებული ღრმა ძილის შემდეგ გრძნობს, ღრმად შეისუნთქა ეს სუნი და მხნედ წამოდგა:

— ცეცხლი აანთე და სასწრაფოდ მოიყვანე ვინმე ფხიზელი მეეტლე...

და წავიდა ტანისამოსის გამოსაცვლელად, თავზე ცივი წყალი გადაივლო, თმებზე ოდეკოლონი შეისხურა, მერე დაივარცხნა და ერთხელ კიდევ ჩაიხედა სარკეში: სახეზე კარგი ფერი ედო, თვალები უბრწყინავდა; პირველიდან ექვს საათამდე ოფიცერთა დიდ კომპანიაში ისაუზმა, სახლში მისულს თვალის დახამხამებაში ჩაეძინა, ასე ისინი იძინებენ, ვინც რამდენიმე საათი გადაბმულად სვამდა, სიგარეტს ეწეოდა, გულიანად იცინოდა და ყბედობდა, მაგრამ ახლა თავს მაინც მშვენივრად გრძნობდა. დენშჩიკმა შემოსასვლელში მიართვა ხმალი, ქუდი და საზაფხულო მაზარა, სადარბაზოში გასასვლელი კარი გააღო — ის მსუბუქად ჩახტა ეტლში და ჩახრინწული ხმით იყვირა:

— მიდი ცოცხლად! მანეთიანი გეკუთვნის არყისათვის!

ხეების ძირას მუქ სიმწვანეზე იკვეთებოდა ფანრების ნათელი ბრჭყვიალი. სველი ალვისხეების სუნი ტრიალებდა, წითელ ნაპერწკლებს აკვესებდა დაჭედილი ცხენის ნალები. ყველაფერი მშვენიერი იყო — სიმწვანეც, ფანრებიც და მოსალოდნელი პაემანიც, სიგარეტის გემოც, ქროლვის დროს ეშმაკურად რომ გააბოლა და ყველაფერი ერთმანეთს შეერწყა. ყველაფერი ნებისმიერი ბედნიერების შესაცნობად იყო მზად. არაყი, ბენედიქტინი, თურქული ყავა? სისულელეა, გაზაფხული დადგა, ამიტომ ასეთი სილამაზეა ირგვლივ.

კარები გააღო პატარა, თვალში საცემად უზნეო გარეგნობის წვრილქუსლებზე მოქანავე მოახლემ. მას მოგრძო და ირიბად გაჭრილი თვალები ჰქონდა. გრძელ უფერულ ხელში ქარვის გრძელმუნდშტუკიანი სიგარეტი ეჭირა.

ქალს მარცხენა ხელზე ეამბორა, თან ქუსლი ქუსლს მიარტყა:

— მაპატიე, ღვთისგულისათვის, დაგვიანება ჩემი-ბრალია არ იყო...

ქალმა ქედმაღლურად გადმოხედა მოკლე, სისველისაგან გაპრიალებულ მეჩხერ ხუჭუჭ თმებს, გაბრწყინებულ თვალებს და მისი ღვინის სუნი შეიგრძნო.

— ეს თავისთავად ცნობილია...

და მარცხენა ხელით აიღო აბრეშუმის ჰუფი, მარჯვენა იდაყვის ქვეშ გამოატარა და ზედ დაჯდა, სიგარეტი ეჭირა, ფეხი ფეხზე გადაიდო და კაბის გვერდითი ჭრილიდან მუხლის თავი გამოუჩნდა, კაცი მოპირდაპირე მხარეს ჩამოჯდა, ჯიბიდან პორტსიგარი ამოიღო.

— გესმის, როგორი ისტორია გამოვიდა?..

— მესმის, მესმის...

კაცმა სწრაფად და მოხერხებულად გააბოლა, ანთებული ასანთი გაიქნია და აღმოსავლეთის მხრიდან ჰუფის სიახლოვეს მდგომ პატარა მაგიდაზე დადგმულ საფერფლეში ჩააგდო, მერე სცადა უფრო მოხერხებულად დამჯდარიყო და ჩვეულებისამებრ გადაჭარბებული აღფრთოვანებით უყურებდა გახსნილი კაბიდან გამოჩენილ მუხლებს:

— ჰო, მშვენიერია, მოსმენა არ გინდა, ნუ გინდა... დღევანდელი სალამოს პროგრამა ასეთია, გინდა წავიდეთ ვაჭრის ბაღში? იქ ახლა რაღაც „იაპონური ღამეა“ — იცი, ეს ფანრები, ესტრადაზე გეიშები, „სილამაზისთვის მივიღე პრიზი...“

ქალმა თავი გააქნია:

— არავითარი პროგრამა, მე ახლა სახლში ვზივარ.

— როგორც გინდა, არც ესაა ცუდი.

ქალმა ოთახს თვალი შეავლო:

— ჩემო საყვარელო, ეს ჩვენი ბოლო პაემანია.

კაცი მხიარულად განცვიფრდა:

— როგორ თუ ბოლო?

— აი ასე.

კაცს თვალები კიდევ უფრო მხიარულად აუთამაშდა:

— მოიცა, მოიცა, ეს თამაშია!

— სრულადაც არ ვთამაშობ.

— მშვენიერია. მაგრამ მაინც მაინტერესებს — რას ნიშნავს ეს სიზმარი? რომელმა მეგობარმა დაგარიგა, როგორც ამბობს ხოლმე, ჩვენი ვახმისტრი?

— ვახმისტრები რას ამბობენ, ნაკლებად მაინტერესებს. და სიმართლე გითხრა, არ მესმის, რატომ არ გიხარია!

— მიხარია, როგორც ყოველთვის, როცა შენ გხედავ.

— ეს ძალიან კარგია, მაგრამ ამჯერად სავსებით უადგილოა.

— ეშმაკმა დალახვროს, მაინც არაფერი მესმის! რა მოხდა?

— მოხდა ის, რაც დიდიხანია უნდა მეთქვა შენთვის. მე მას ვუბრუნდები. ჩვენი განხეთქილება შეცდომა იყო.

— ღმერთო ჩემო! ამას გულით ამბობ?

— რასაკვირველია, გულით ვამბობ. მას ვატყუებდი, ეს კი დანაშაულია. მაგრამ ის მზადაა ყველაფერი მაპატიოს, დაივიწყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რო-გო-რი დიდსულოვნებაა!

— ნუ მასხარაობ. მე მას ჯერ კიდევ დიდმარხვისას შევხვდი...

— ესე იგი ჩემგან მალულად აგრძელებდი...

— რას ვაგრძელებდი? მესმის, მაგრამ სულერთია... მე ვხვდებოდი მას, და, რაღა თქმა უნდა, საიდუმლოდ, არ მინდოდა დატანჯულიყავი — და მაშინღა მივხვდი, რომ არასოდეს დამვიწყებია.

კაცმა მუნდშტუკის ღეჭვით თვალები მოჭუტა:

— ესე იგი მისი ფულები?

— ის შენზე მდიდარი არაა. და რაში მინდა თქვენი ფულები! მე რომ მოვინდომო...

— მაპატიე, მაგრამ ასე მხოლოდ კოკობზიკა ქალები ლაპარაკობენ.

— მაშ მე ვინ ვარ, კოკობზიკა არა ვარ? განა მე ჩემი კი არა შენი ფულით არ ვცხოვრობ?

მან ოფიცერივით სხაპასხუპით წაიბუტბუტა:

— სიყვარულთან ფული რა სახსენებელია.

— მაგრამ მე ხომ ის მიყვარს!

— მე კი, ესე იგი, მხოლოდ მოწყენილობისგან დროებითი გასართობი და ერთი ხელსაყრელი მარჩენალი ვიყავი?

— შენ კარგად იცი, რომ სულაც არ ვიყავი გასართობი სათამაშო. ჰო, მე შენი ხარჯა ვიყავი, და მაინც უსიამოვნოდ მომაგონდება ეს.

— ფრთხილად მოსახვევებში! კარგად შეარჩიეთ გამოთქმები, ასე ფრანგები ამბობენ.

— თქვენც გირჩევთ ამ წესების დაცვას. ერთი სიტყვით...

კაცი ადგა, იგრძნო ახალი მოზღვავება იმ განცდებისა, რომ მზად იყო ყველაფრისთვის, რისკენაც მოისწრაფოდა ეტლით, ოთახში გამოიარა, აზრების მოსაკრებად მოემზადა, ჯერ კიდევ არ სჯეროდა იმ უაზრობისა, მოულოდნელობისა, რომელმაც უცბად დაანგრია ყველა მისი სიხარულით სავსე იმედები ამ სალამოსთვის ჩაფიქრებული. ფეხი გაჰკრა ხალიჩაზე დაგდებულ წითელ სარაფანიან თოჯინას, ისევ დაჯდა თავის ადგილას და ქალს მიაშტერდა:

— კიდევ ერთხელ გეკითხები: ეს ყველაფერი ხუმრობა არ არის?

ქალმა თვალები დახუჭა, დიდი ხნის ჩამქრალი სიგარეტიანი ხელი გააქნია.

კაცი ჩაფიქრდა, ისევ გააბოლა, ხელახლა გაღეჭა მუნდშტუკი და ისევ შეეკითხა:

— და რაო, ფიქრობ, რომ ასე იოლად დავუთმობ მას აი ამ შენ ხელებს, ფეხებს, რომ ის დაკოცნის ამ მუხლებს, მე რომ გუშინ ვკოცნიდი?

ქალმა წარბები ასწია:

— მე ხომ ბოლოს და ბოლოს ნივთი არა ვარ, ჩემო საყვარელო, რომელიც შეიძლება მისცე ან არ მისცე. და რა უფლების ძალით...

კაცმა აჩქარებით ჩადო სიგარეტი საფერფლეში, წაიხარა, შარვლის უკანა ჯიბიდან ამოიღო პრიალა, პატარა ბრაუნინგი და ხელის გულზე დაიდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი ჩემი უფლება.

ქალმა ალმაცერად შეხედა და მოწყენილმა ჩაიცინა:

— მელოდრამების მოყვარული არა ვარ.

და ხმამაღლა გასძახა.

— სონია, პაველ სერგეევიჩს მაზარა მიაწოდეთ.

— რაო-ო?

— არაფერი. თქვენ მთვრალი ხართ. წადით.

— ეს თქვენი ბოლო სიტყვაა?

— ბოლოა.

და წამოდგა, გაისწორა კაბის ჭრილი, კაცი მისკენ გაეშურა მხიარული გადაწყვეტილებით.

— შეხედე, მართლა ბოლო არ გახდეს თქვენთვის!

— მთვრალი აქტიორი, — ზიზღით ჩაილაპარაკა ქალმა და, გრძელი თითებით უკან თმების სწორებით, ოთახიდან გასასვლელად გაემართა. კაცმა ისე მაგრად სტაცა ხელი მის გაშიშვლებულ წინამხარს, რომ ქალი მოიხარა და, სწრაფად შებრუნებულმა კიდევ უფრო ალმაცერად შეხედა, ხელი მოუქნია. კაცმა მოხერხებულად აიცილა სილა და სახეზე გესლიანი გამომეტყველებით გაისროლა.

იმავე წლის დეკემბერში მოხალისეთა ფლოტის გემი „სარატოვი" ინდოეთის ოკეანიდან ვლადივოსტოკში მიდიოდა. გემის გადახურულ წინა ერდოზე პაპანაქება სიცხეში წყლის სარკისებური ზედაპირიდან არეკლილ მკრთალ სინათლეში, გემბანზე ისხდნენ და იწვნენ წელს ზემოთ გატიტვლებული, თეთრი ტილოს შარვლებში და შიშველი ფეხის კოჭებზე ბორკილდადებული, ნახევრად გადაპარსული საშინელთავიანი ტუსაღები. როგორც ყველა, ისიც წელზემოთ შიშველი და გამხდარი, მზისგან ყავისფრად იყო გარუჯული. მოკლედშეკრეჭილი თმები მხოლოდ თავის ნახევარს უმუქებდა, დიდი ხნის გამხდარი გაუპარსავი ლოყები ხეშეში წვერისაგან გაშავებოდა, ციებიანივით უბრწყინავდა თვალები. სახელურზე დაყრდნობილი დაჟინებით იხედებოდა დაბლა და თვალს ვერ აცილებდა გემის გასწვრივ მფრინავი კუზებივით მოცურავე ლურჯ ტალღებს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა

ᲘᲐᲙᲣᲑ ᲙᲝᲚᲐᲡᲘ

(ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲐ)

ᲪᲝᲪᲮᲚᲝᲑᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ

ვერც გრიგალმა და ვერც ბრუნვამ დროის ჩარხის
მას ვერ ახლო ხელი,
თქმულებებში, ლეგენდებში მშობელ ხალხის
ცოცხლობს რუსთაველი.

მისი სიტყვა მორაკრაკებს ნაკადულად,
ჰიმნად მთის და ველის,
ჩვენს გულებში ჩახატულა, ჩაქარგულა,
ცოცხლობს რუსთაველი.

მან აავსო გაზაფხულის ნაზ ფერებით
ეს ქვეყანა მთელი,
ვით მზის სხივთა მოელვარე ჩანჩქერები,
ცოცხლობს რუსთაველი.

ჩაუმქრალი შუქნათელი მის წიგნს მოსავს —
უკუმყრელი ბნელის,
გვერდით გვიდგას მშვიდობის და ბრძოლის დროსაც,
ცოცხლობს რუსთაველი.

მისი სიბრძნე მთელ დუნიას მისწვდენია,
სიბრძნე ძველთაძველი,
უკვდავება დაჰყოლია მის გენიას,
ცოცხლობს რუსთაველი.

იანკა კუპალა

(ბელორუსია)

გენაცვალე

შორით ვხედავ მთის წვეროებს,
თოვლ-ყინულით ფერნაცვალებს,
და ველად კი — ვარდ-ყვავილებს,
შენც ვარდი ხარ, გენაცვალე.

წყალტუბოს წყლის სასწაულნი
ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე,
შენ გეტრფოდი, ჩემო მტრედო,
შენ მიყვარდი, გენაცვალე.

ნაზ ღიმილით მიაქიმე,
ვერ გავექეც შენს შავ თვალებს,
უმწყაზარეს ქართველ ასულს
ვერ გივიწყებ, გენაცვალე.

შორს წავალ და რა ვუშველო
გულს, ტრფობისგან განაწვალებს,
დაგცილდები და უშენოდ
როგორ გავძლო, გენაცვალე.

სიზმრად ვნახავ ზღაპრულ მხარეს,
საქართველოს მთებს და ჭალებს,
შორეული ვარსკვლავივით
გამიღიმებ, გენაცვალე.

ო, ელიკო, მშვენიერო!
ცის ციალშიც ვერ გაგცვალე,
„სულიკოთი" გამაცილე,
მეხმატკბილე, გენაცვალე!

ოვანეს თუმანიანი

(სომხეთი)

საქართველოს

როდესაც ვინმე ავყია იტყვის:
შური და ღვარძლი ღრღნის
საქართველოს,
მე ძლიერ ვჯავრობ, მე ძლიერ
მიკვირს
და მისი მთქმელი მინდა დავწყევლო.

არ დაიჯეროთ მოწმეა მტერიც,
რომ დედამიწას და მის ცხოვრებას
რწმენით შეჰყურებს ქართველი ერი,
მასზე პურადი არ იპოვება.

თუმც ჭრილობები მოძალდა მეტად,
ვერ დააჩოქა წლებმა მტანჯველმა
და ვერც ღალატმა და ვერცა ელეტამ
ვერ მოადუნა მისი მარჯვენა.

არა შავ ბურუსს, ბრალსა და
ცოდვებს,
ის სამერმისო სინათლეს ელის
და ამ გზისაკენ გვანიშნებს მოძმეს
კეთილმოქმედი თავისი ხელით.

და ვინ არ ხედავს, რომ იგი მიდის
ურყევ ნაბიჯით სულ უფრო მაღლა,
ვერ დავიჯერებ, რომ შავი ბინდი
და სასიკვდილო ლახვარი დაღავს.

ცის სილურჯეში წამოიმართა
მის წინ ყაზბეგი უდრეკელ კედლად,
რომ გაავზნებულ ბოროტ გრიგალთა
აბობოქრებას დაუხვდეს მედგრად.

პონტოს ზღვამ ველებს, სანახებს,
ბალებს
გაუნაწილა თავის ტალღები,
ყოველი ბუჩქი სიცოცხლეს ბადებს,
ვარდ-ყვავილები ჰყვავის ნაქები.

ვის არ სმენია ალალმართლობა,
მოლხინარობა ქართველი ერის,
დასცინის ბედის უკულმართობას
და ამაყურად, ხალისით მღერის.

როდესაც ვინმე ავყია იტყვის:
დგას საქართველო უფსკრულის
პირას,
მე ძლიერ ვჯავრობ, მე ძლიერ
მიკვირს
და მისი მთქმელი არ მილირს ჩირად.

საქართველოს სული

სიბნელეშიც ვუნდრუკს აკმევს
ჯვარცმული და ნახანძრალი,
ლურჯ სივრცეში თვალებს ახელს,
ვით ციური პატარძალი.
და არ ვიცი, ლოცვა ვიწყო,
თუ კვლავ მოხიბლული ვიყო.

დამწყაზრული სული ღვივის,
ჩემს გულს ერწყმის სიხარულად,
უშრეტ სიყვარულის სხივი
მის მზერაში მიმალულა,
ცეცხლს აკვესებს უფრო მეტად,
თუ სიწმინდეს სპეტაკს, ნეტარს?

ხელთ უპყრია ქრისტეს ჯვარი,
მის სახოტბოდ ილოცება,
როგორც ყლორტგაშლილი ზვარი,
მწვანე ფარჩით იმოსება,
ერთ ჩუქურთმად ჩააქსოვა
სიხარულიც ტანჯვა-გლოვაც.

და ისვენებს დაქანცული
სული წმინდა, ზეციერი,
დაბინდული, დატანჯული,
მაგრამ მაინც მშვენიერი.
გვემული და დაცემული
ცოცხლობს საქართველოს სული.

როგორ მინდა გადავთელო
შავბნელ წელთა საფარველი
და ვიხილო საქართველო
კვლავ მზიური, საყვარელი,
ის უფალმა შექმნა ილბლად
და თვითონვე მოიხიბლა.

გახსოვს ბორჯომი?

გახსოვს ბორჯომი? ქარაფი,
შვლები...
ალბათ არ გახსოვს დრო
გარდასული,
მე კი წინ მიდგას მაღალი მთების
უცხო ყვავილი — ნაზი ასული.

ავსებდა იგი კისკისით, ლხენით
ტყეს და ხეობას, ჩვენს ნათელ
სახლსაც,
ისევ ამაყად დამდგარან კლდენი,
ის კი სად არის? არა ჩანს არსად.

სულეიმან რუსტამი

(აზერბაიჯანი)

ქართველ ძმებს

ქართველო ძმებო, თქვენი
სამშობლოს
კოხტა მთა-ბარი მე გულით მიყვარს,
რაც კი ამქვეყნად მოვედი, გწამდეთ,
სწორედ იმ დღიდან მე გულით
მიყვარს.

თქვენზე სიმღერა სასიყვარულო
მესმოდა ადრეც, ყმაწვილკაცობას,
ქებას ვასხამდი თქვენს პურადობას,
ქედუხრელობას და მამაცობას.

ბაგიდან ბაგეს, კიდიდან კიდით
გადაეცემა თქმულება დიდი,
რომ გვაერთებდა მძიმე დღეებში
უებრო ძმობის ურყევი ხიდი.

ამ ჩვენს დროშებზე ჩვენივე სისხლი
ბრწყინავს, ანთია, როგორც
ვარსკვლავი,
ქართულო მიწავ, ქართველო ხალხო,
გკოცნი, ვეხვევი ღვიძლი ძმასავით.

რასულ გამზათოვი

(დაღესტანი)

ალაზანზე

მე ალაზანზე გადავიარე,
გადავყურებდი კლდიდან ალაზანს
და არწივების მძლავრმა ირაომ
მიდამო უფრო გაალამაზა.

უკან სვლას როდი მიკიჟინებდნენ,
წინ მეწეოდნენ ლაღი ფრინველნი,
უიარაღოც მივღიღინებდი,
ვითარცა მგზავრი გაუჭირველი.

კვლავ ძველებურად ჩქეფდა
მდინარე,
არწივის ფრთებქვეშ დინჯად
დიოდა,
არ ეცხო სისხლი და გამჭვირვალე
რიჟრაჟისფერი გადასდიოდა.

ტყე შრიალებდა ახლოს ხალისით,
ზღვის აზვირთების ხმათა გარევით,
აისი ხელისგულზე დავისვი
და შევისხურე პირზე ცვარივით.

მდინარეს ახლოს როს ვეახელი,
სადაც კლაკნილად მისდევდა ჭალას,
უცებ დავლანდე გლეხი კახელი,
ალაზნისპირას თიბავდა ბალახს.

სახით ერეკლე მეფეს ვამგვანე,
გლეხური გულით სითბოს
მაღვრიდა,
სალამ-ქალამი არ დავახანეთ,
მასთან ბაასი როგორ დამღლიდა.

არც კი გვახსოვდა ძველი იარა,
მამა-პაპათა წარსული წყენა,
დე, ჩვენ წინ ყანწმა ჩამოიაროს
და ლხინის სუფრა გვიტკბობდეს
ენას.

ჩვენ ერთმანეთი გულით მოვნახეთ,
რიჟრაჟი თვალებს ალერსით მკრიდა
და ალაზანზე, როგორც ყონღი,
დილა დაეშვა დაღესტნის მთიდან.

ლეკი

გადმოვლახე მდინარენი
და კლდეები დაუდრეკი,
რად არ ტირი შიშისაგან,
რომ შენს სახლში მოველ ლეკი?
შენიანთა თანდასწრებით
არ გიმღერის დედა ნეტავ,
რომ თქვენს ხალხზე თავდასხმებით
საშიშარი ვიყავ მეტად?
არ გიამბო მამაშენმა
შენ, გოგონას პაწაწინას,
რომ ებინადრობ თქვენს მეზობლად
და ყაჩაღი ვიყავ წინათ!
არ შეშურდა, რომ მყავს ცხენი,
ხამი ცხენი ძვირფას ჯიშის?
დამიჯერე, დიდებსაც კი
წინათ ჩემი ჰქონდათ შიში.
აშინებდნენ აკვნის ბავშვებს:
დაიძინე, გენაცვალე,
დაიძინე, ვარდო ნანა,
თორემ ლეკი მოვა მალე.

ძველი კოშკის ნანგრევებთან
დღეს მტრედების დადგა შუქი,
ახლა ლეკის გამოჩენა
თქვენთან უკვე არვის უკვირს.
შენ ბედნიერ ფეხზე გაჩნდი,
დაიბადე თვალნათელი
და შენს მთებში ვარსკვლავივით
აგიტაცებ მაღლა ხელით.
გსურს, ჩამოვსხდეთ მდინარესთან,
აღარ გიკრთის შიშით გული?
შენთვის მინდა, თვალმაისავ,
ყვავილების შევკრა წნული.
ჩამოღამდა, მთების ზემოთ,
შავ ღრუბლებში ცურავს მთვარე,
შენ იძინებ სტუმრის მკლავზე,
დამშვიდებით ხუჭავ თვალებს.
ხეობებში წყალნი რბიან,
წინ მაღალი მთები დგანან,
შენს მხარეში ლეკი შენვე
გეუბნება იავნანას.

ინგლისური პოეზია

ლექსები

ინგლისურიდან

თარგმნა თამარ მხარგრძელმა

სამუელ ტეილორ კოლრიჯი

ჯენევიო

შენ ხარ ჩემი სიყვარული, წმინდა ჟენევიო,
შენ მაპკურე სათნოების ღვთაებრივი სხივი,
ეგ თვალები — ვარსკვლავები ბრწყინავს ფერად სირმით
და შენი ხმა ანთებულა, ვით ხმა სერაფიმის.
მაგრამ მხოლოდ სილამაზე არ მატყვევებს ვნებით,
შენი სულის საგალობლით მე ყოველდღე ვდნები.
შენში ბუდობს ხმა ძლიერი და სიყვარულს ბადებს
და მოგიხმობს, რომ უსმინო მწუხარების ზღაპრებს, —
როცა კაცი, ჩაძირული უიმედო ზღვაში,
განწირული ხელს ვერ გიწვდის, რომ დაიხსნა მაშინ,
გახსენდება შენ ნაღველი — ამ სიცოცხლის ღვედი,
მაგრამ მაინც ისეთი ხარ, ვით ნარნარი გედი,
თუმცა შენი ნაზი მკერდი სინანულით ტოკავს
და მე ისევ ამათრთოლებს სიყვარულით მბორგავს.

სონეტი შემოდგომის მთვარეს

მუქფრად მოსილო შუალამის სუსტო ნათებავ,
ვნების ზმანებებს შენ მიცხადებ თითქოს ამ ღამით,
ვხედავ, როგორ ღვრი მკრთალ სინათლეს დამდნარ ფანტელად
ღრუბლის არეში მოციაგე სხივთა კამკამით.
ვიცი, რომ გხიბლავს ფერმკრთალ დისკოს დაბურუსება
და ამ სიბნელის ცის კიდეზე ისევ მობნევა,
მაგრამ როდესაც ტოვებ ღრუბელს, სივრცეს უსერავ,
ზეცის თავანი აინთება, კი არ ობლდება.

ჩემი იმედიც ასეთია, ცვალებადია,
სევდიან ხედებს გადასცქერის სუსტად და კრძალვით,
სასოწარკვეთის ურჩხულები მაღლა ადიან,
მაგრამ მე ვიცი, იმედები მბრწყინავი ძალით
გაიელვებენ, სადაც ღრუბლის ბნელი ბადეა,
მეტეორივით იქროლებენ ცეცხლოვან ალით.

უილიამ უორდსუორთი

პოეტო, თუკი ზეცა გმოსავს ღვთიური სხივით,
მაშინ იმ შუქის სიდიადით უნდა ანათო,
უნდა ანათო, ვიდრე სუნთქავ, ვიდრე ეგ ძვლები
სულს უნაზესს და მგრძნობიარეს გაეყრებოდეს.
და იმ ვარსკვლავებს, უდიადესს, ნუ დაედრები,
მიწას რომ მუდამ აღავსებენ ნაცნობ ტრფიალით,
თვით ცას რომ მუდამ ეფინება მარი ნათება,
ნუ დაედრები ჟამგაცვეთილ უღვთო სინათლეს,
თორემ გახსოვდეს, ნეტარებას ვერ დაიმკვიდრებ
და ყოველივე დღის ჩრდილივით შემოგეცლება.
შენ მხოლოდ ვარსკვლავს, შავბნელ მთაზე სხივმოციაგეს,
მიაპყარ მზერა და იმედი მომავალ ყოფნის,
ან დაემსგავსე იმ ვარსკვლავებს, ხის ტოტებს შორის
ფოთლების ნაცვლად რომ გვავსებენ იდუმალებით
და გაანათე, ვიდრე სუნთქავ, ვიდრე ეგ ძვლები
სულს უნაზესს და მგრძნობიარეს გაეყრებოდეს.

ძილმა დანისლა ჩემში ყოველი

ძილმა დანისლა ჩემში ყოველი,
გამიქრა შიში ამსოფლიური,
იმ უჭკნობ ყვავილს აღარ მოველი,
ახლა რომ სხივი ათოვს ღვთიური.

დუმილს მოუცავს მისი არსება,
ველარც ესმის და ველარცა ხედავს,
მხოლოდღა მიწა ეალერსება
სხეულს, ოდესღაც სიცოცხლით მფეთქავს.

ბაგრატ შინკუბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაპოხილი ქვა

თარგმნა ფაბარ ჩიჯავაძემ

თავები ჩაექინდრათ და ხმას არ იღებდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ უმრავლესობა ალგერის ეთანხმებოდა... მამაჩემიც დუმდა. ამით ვისარგებლე და მეორედ გამოვთქვი აზრი:

„რომ მომკლან, მაინც არ გავადგამ ფეხს ჩემი სახლიდან! დიახ! დიახ! მირჩევნია, მომკლან! სიკვდილი თუ მიწერია, ბარემ ჩემს სახლში მოვკვდე!!!“

ბოლო სიტყვები გიჟივით წამოვიყვირე და ჩემს ძმას ამოვუდექი მხარში.

„რა მოგვიდა, გონს მოდი!“ — ხმა ჩამაწყვეტინა მამამ. და მართლა რომ მოვეგე გონს, მითხრა: „ახლა ჩვენი სხვა ნათესავებიც ისევე მსჯელობენ, როგორც ჩვენ: დარჩნენ აქ, თუ უცხო მხარეს წავიდნენ. ჩვენი ძმა ხანაში წავიდა მათი გადაწყვეტილების გასაგებად. ყოველ წუთს ველოდებით მის გამოჩენას...“

ამის თქმა ძლივს მოასწრო მამამ და გორაკზე, მურყანში-ერთმანეთზე მიყოლებით ორჯერ გაისმა სროლის ხმა. ხანაში ისროდა.

„ჩქარა, ზღვისკენ წადით! ყველანი შეგროვილი არიან და საცაა წავლენ. დროს ნულარ კარგავთ, ვინც დარჩება საშინელი დღე დაადგება. თავადი ძაძიკური წაგვიყვანს!“ — ყვიროდა ხანაში რაც ძალი და ღონე ჰქონდა გორაკიდან.

აი, ასე დაიწყო ყოველივე ეს... გინახავთ, როგორ გაარღვევს ხოლმე წყალი კაშხალს? მიწაყრილს რომ წალეკავენ ნაკადულები, ნიადვრად შეერთდებიან და დაქანდებიან ზღვისკენ? ასე დაიძრა ხალხი. მთელი თავიანთი ავლადიდება წაიღეს თან. ქამლათის ქოფაკები იარაღით ხელში შერბოდნენ სახლებში, „ცოცხლად, ცოცხლად, რაღას უდგეხართ!“ — ღრიალებდნენ და გარეთ ერეკებოდნენ ხალხს. ღმერთმა აცხონოს დედაჩემი, ჩემი ჯიუტი და ფიცხი ხასიათი რომ იცოდა, მოვარდა, ჩამეხვია და დაიფიცა: ჩემთან ერთად თუ არ წამოხვალ, თავს მოვიკლავო. რაღა უნდა მექნა მინდოდა თუ — არა, შევურიგდი ჩემს ბედს. ახალგაზრდა ცოლზეც ხომ უნდა მეფიქრა, მარტო ხომ არ დავტოვებდი ამ საშინელ დროში?

ფაცა-ფუცით ყრიდნენ ყველაფერს ურმებზე რაც ხელში მოხვდებოდათ; განსაკუთრებით სურსათს, ცოტა ლოგინს და ტანსაცმელს. ქვა-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1-2, 2006 წ.

ბები, ჭურჭელი, ხმლები, ხანჯლები, თოფები, მადლობა ღმერთს, ბევრი გვქონდა! — ყველაფერი დატოვეს. მამაჩემმა და კიდევ ორმა მოხუცმა იარაღი სახლის ახლოს გამოქვაბულში შეიტანეს და დამალეს. უბედურები! უკანდაბრუნების იმედი ჰქონდათ. არავის ღირსებია თავისი ქონების კვლავ ხილვა...

და აი, დავადექით გზას. ეზოდან გამოვედით, წიწ პირუტყვს შევერეკებოდით. ქამლათის ქოფაკებს კი ყველაფერი ეცოტავებოდათ. ნათესავების საფლავებთან გამომშვიდობებაც კი არ გვაცალეს, ოთახებისთვის უკანასკნელად თვალისშევლება არ დაგვანებეს, კარები არ დაგვაკეტინეს ხეირიანად. მივდიოდი და ცრემლებს ვყლაპავდი...

მე უფლება მაქვს — სიმართლე ვილაპარაკო ამ გადასახლებაზე. რა თქმა უნდა, დიდი გმირობა არ ჩამიდენია, მაგრამ ყველაფერი მოვითმინე, ყველაფერი ავიტანე, რომ დავბრუნებულიყავი და... დავბრუნდი. ღალატით არ წამიბილწავს მშობლიური მიწა, მამა-პაპათა შთამომავლობა არ დამიკარგავს, მათი კერა არ ჩამიქრია... იქ გვაშინებდნენ: ციმბირში გადაგასახლებენო, კატორღაშიო, არაფერიც! ისევ დავფრინავდი, მშობლიურ მიწას ჩავეზარდე, გაჩნდნენ ბავშვები, იზრდებოდნენ, გაზაფხულის დღესავით მატულობდნენ. სიმართლე თუ გინდათ, ყალბ თავმდაბლობას თავი დავანებოთ და, სწორედ ჩემნაირებმა გადაარჩინა ჩვენი ხალხი, არ გაუკაცრიელდა ჩვენი მიწა.

ჩვენ მტკიცედ ვიყავით ჩაჭიდებული სამშობლოზე. გვახსოვდა ის და პირველ შესაძლებლობისთანავე საკუთარ სახლებში დავბრუნდით. ღმერთმა დასწყევლოს ის დღე, როცა ჩვენ ისინი მივატოვეთ, ღმერთმა დასწყევლოს ჩვენი გამწირავი და დამამცირებელი...

ოდესღაც, უხსოვარ დროში აბრსკილმა ორად გააპო თქვენთვის ცნობილი ქვა. ასე ორად გაგვჩეხა განზრახ მომზადებულმა მაჰაჯიროობამ. ერთი ნაწილი ამ ნაპირზე დარჩა, მეორე კი — იქ და ჩვენ შორის უკიდეგანო ზღვა გაიშალა გადაულახავი, დაუმორჩილებელი...

ბაბუა ისევ გაჩუმდა. სანამ ის დაბნეული ტენიდა ჩიბუხს, ჩვენმა მოხუცმა მეზობელმა საიდმა დაიწყო ლაპარაკი. ისიც თურქეთში იყო გადასახლებული, მაგრამ მოახერხა და გამოიქცა მუსულმანური სამოთხიდან.

— მაპატიე, ძვირფასო ბეჟან, — დაიწყო მან ენის ბორძიკით. — ვიცი, ჯერ არ დაგიმთავრებია თხრობა, მაგრამ ნება მომეცი, ცოტა რამ დავამატო... როცა ჩვენ — ბებერიც და ახალგაზრდაც მაჰაჯიროობის მღვრიე ნაკადისგან უცხო მხარეს გადაყრილები ათასნაირ ტანჯვას ვიტანდით, წლობით დავეხეტებოდით ზღვის ნაპირას და მოწამლული პირუტყვივით ვიხოცებოდით, რამდენჯერ გახსენებდით შენ — ბეჟან. ყველამ თავი შევირცხვინეთ, მხოლოდ ის მოიქცა ღირსეულადო" — ამბობდნენ სასლკარს მონატრებული ჩვენი ძმები. შენ იყავი ჩვენი გზის გამკვალავი მანათობელი ვარსკვლავი, რომლის შუქმაც შავ ღრუბლებში გამოაღწია და იმედი ჩაგვისახა. შენ გვაძლევდი მაგალითს, სამშობლოში დაბრუნებას მოგვიწოდებდი. გვჯეროდა, ბალახი ჯერ გადაუვლიდა ჩვენს სახლებს და უკან დასაბრუნებელი ადგილი გვექნებოდა... სიმართლეს ვამბობ: ჩემი ბევრი ნათესავი და მეგობარი მხო-

ლოდ ამ იმედის ამარა ბრუნდებოდა სამშობლოში. ეს იმედი შენ იყავი. იცოდნენ, რომ ელოდებოდი და იმათ კერიას უვლიდი. ეს იმედი რომ არა, ბევრი ჩვენგანი ვერ მოაღწევდა მშობლიურ ადგილებამდე. თითონ მეც შენი წყალობით გადავრჩი; შენმა მაგალითმა ფრთები შემასხა, ბეჟან! დიდი მადლობა ყველა ჩვენგანისგან!

— ღმერთმა გადღეგრძელოს, ძვირფასო საიდ[illegible] მადლობა, ყოველივე ეს რომ გახსოვს... — თქვა ალელვებულმა ბაბუამ. — ჰო, რაზე გავჩერდი? ჰო, ეზოდან გამოვედით... მოკლედ, გამოვედით ეზოდან სოფელი გავიარეთ და სოხუმისკენ დავადექით გზას. მე ურემს მივყვებოდი უკან და ფეხებს ჩავჩერებოდი. უცებ თითქოს ყინულივით ცივმა ქარმა დამიბერა. უკან მივიხედე, მთებს ავხედე და... გუშინ დამაბრმავებლად კაშკაშებდნენ მზის შუქზე, ახლა კი თითქოს ძაძა ჩაუცვამთო. ჭალარა თავებზე შავი ღრუბელი შემოუხვევიათ და ნაღვლიან სახეზე ცრემლები ჩამოსდით ღვარად. „რაო, ადვილია ჩვენთან განშორება?“ — გულდაწყვეტილები მეკითხებიან თითქოს. ველარ გავუძელი და შემოვბრუნდი, კიდევ უფრო ჩავკიდე თავი.

განვაგრძეთ გზა. რაც უფრო შორს მივდიოდით, უფრო და უფრო გვიჭირდა სიარული. იმდენი ვიყავით, ფეხის დასადგმელი ადგილი არ იყო. მთელი გზა პირუტყვით და ოთხთვალებით იყო გაჭედილი... ბოლოს, ათი დღის საშინელი ტანჯვისა და წვალების შემდეგ მდინარე კელასურის ნაპირას გავედით და დასაძინებლად მოვეწყვეთ. ჩვენს ოჯახს ცისე-სიმაგრის კედელთან ერგო ადგილი, ზუსტად მდინარის პირას. ნაპირზე კი იცით რა ხდებოდა? ოჰ, ღმერთო! ვიმეორებ, იმდენი ხალხი იყო, გავლა არ შეიძლებოდა. ყველა ყვიროდა, ღელავდა და არ იცოდნენ, რა ექნათ, საით წასულიყვნენ. ახლა პირუტყვს ალარ იკითხავთ? ნახირები იყო, პირუტყვი ხომ ყველამ წამოიყვანა, ეგონათ, თან წაყვანის ნებას დართავდნენ. ახლა კი არც ადგილი იყო მათთვის და არც საკვები. უპატრონოდ დაეხეტებოდნენ მშიერ-მწყურვალი, იხოცებოდნენ და ისე აყროლდა იქაურობა, სუნთქვა ალარ შეიძლებოდა, მძორით გამტყვრალი ძაღლები ილრინებოდნენ და ყმუოდნენ... ერთი სიტყვით, ჯოჯოხეთი იყო.

გადავხედე ყველაფერს, კარგად დავფიქრდი და გადავწყვიტე: უნდა გავიქცე, სახლში უნდა დავბრუნდე! სათქმელად ადვილია, მერედა როგორ უნდა გავიქცე?.. ვეცადე ჩვენები დამერწმუნებინა; ამაოდ. „სადაც სხვები, ჩვენც იქ.“ — მპასუხობდნენ ისინი. მამაჩემიც დაეცა სულიერად, ბედს დაემორჩილა, ყველაფერზე ხელი ჩაიქნია, ძმების მიტოვებისაც რცხვენოდა... ერთადერთმა ცოლმა დამიჭირა მხარი: „თუ უნდა დავიღუპო, ბარემ შენთან დავიღუპო!“ მე კი სანაპიროზე დავხეტიალობდი, ხალხს ვაკვირდებოდი, ამხანაგებს ვეძებდი. ბევრი ალმოვაჩინე, ვინც ჩემსავით ფიქრობდა და ოცნებობდა, მაგრამ სამწუხაროდ, გაპარვა მხოლოდ თითო-თითოდ შეიძლებოდა, ერთად — არავითარ შემთხვევაში. ჩვენი მოდარაჯეები მაშინვე იყნოსავდნენ, რაც ხდებოდა და სათითაოდ დაგვიჭერდნენ ყველას.

სამი კვირა ვიჯექი მდინარის ნაპირას. არც წინ გვიჩანდა გზა და არც უკან, მაგრამ აი ჩვენმა რიგმაც მოაღწია; მეორე დილას გემზე უნდა ავსულიყავით იმავე ღამეს გავიხმე ცოლი და ჩავუჩურჩულე:

„მოემზადე, გამთენიისას გავრბივართ. იცოდე, არავინ არაფერი შეგნიშნოს!“

განთიადისას, ლტოლვილებს ისევ მკვდარივით რომ ეძინათ, მე და ჩემმა ცოლმა ტანთ ჩავიცვით, ძალიან ფრთხილად მივიპარე დედა-ჩემთან და მამაჩემთან და ფეხისგულებზე ვაკოცე, ჯერ კიდევ ჩაუფერფლავი კოცონისკენ რომ ჰქონდათ მიშვერილი. მერე ცოლს ხელი ჩავკიდე და ორივენი გარიჟრაჟის ბინდბუნდში გავუჩინარდით. მდინარე მაჩარს მივალწიეთ. დიდხანს მივდიოდით ნაპირის გასწვრივ, შემდეგ კი აღმოსავლეთისკენ გადავუხვიეთ. სოფლები, რომლებიც გზაზე გვხვდებოდა, თითქოს დარდისგან ჩამკვდარიყო. მინდვრებსა და ეზოებს შამბნარი მოსდებოდა, ყველაფერს გაუკაცრიელების და დალუპვის ბეჭედი ჰქონდა დასმული. თერთმეტი წლის წინ აქაც გადაიარა მოჰაჯირობამ, ჩაუქრო გლეხებს მშობლიური კერები და აიძულა თურქეთში გადასახლებულიყვნენ. და აი ახლა აღარაფერი ახარებდა თვალს. ნუთუ ჩვენს სახლებსაც ასეთივე ხვედრი ელის?

ნაბიჯს ავუჩქარეთ და მალე მდინარე კოდორთან მივედით, სწორედ იმ ადგილას, სადაც ბორანი გვეგულებოდა, მაგრამ საუბედუროდ ბორანი მეორე ნაპირას იყო. არა და, რამდენიმე დღე გადაუდებლად წვიმდა და მდინარე ისე ადიდებული იყო და შფოთავდა, მეორე ნაპირზე გადასვლაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. დავუწყე მებორნეს ძახილი, ვღრიალებდი, ხელებს ვიქნევდი, მაგრამ თქვენც არ მომიმკვდეთ, ყურსაც არ აბარტყუნებდა.

რაღა დამრჩენოდა? ყველაფერი გავიძვრე, ქვედა საცვლის ამარა-ღა დავრჩი. ტანსაცმელი თავზე შემოვიხვიე და წყალში გადავეშვი. იქ ბორანის თოკს ჩავეჭიდე და როგორც იქნა, მდინარეზე გადავედი. ნაპირზე ავფოფხდი... როცა უკიდურესად უჭირს, ყველაფერს შეელევა კაცი, მხოლოდ იმას დაიტოვებს, რაც უძვირფასესია მისთვის. მეც აღარაფერი მქონდა გასაცემი, გარდა ვერცხლით მოკაზმული აფხაზური ქამრისა. სწორედ ამ ქამრის საფასურად გადმომიყვანა მებორნემ ცოლი.

მდინარე კოდორიდან ცხვრის ბილიკისკენ წავედით. არის ასეთი ადგილი მთაში. იქიდან კარგად მოჩანს ზღვა. ბილიკს მივალწიეთ და უკან გავიხედეთ. შორს დიდი გემები თურქეთისკენ მიცურავდნენ. ერთ-ერთ მათგანზე თითქოს ჩვენი ოჯახი დავინახე, რომელიც ისე მივატოვე, არც კი გამოვმშვიდობებივარ. ველარ მოვითმინე, ყაბალახი მოვიგლიჯე და მიწაზე დავახეთქე, ცოლმა თავსაფარი მოიძრო. მე გულში მჯილს ვიცემდი, ის კი სახეს იხოკავდა, ერთნაირად სდიოდა სისხლი და ცრემლი. ასე ვიდექით და ორივენი მშობლებს დავტიროდით როგორც დახოცილებს.

იქნებ ვინმემ თქვას: „რაღა ტყეში ტიროდით, შინ მოსულიყავით და ყველაფერი როგორც წესი და რიგია ისე გაგეკეთებინათ!“ კაცმა რომ თქვას, რა განსხვავებაა, სახლშიც ისევ ის ცრემლი დაიღვრებოდა, შინ რომ დავლვარეთ. ან რა უნდა მექნა სახლში? ახლობლებს შევატყობინებდი, რაც შეგვემთხვა, თუ რა! აღაპზე მოვიწვევდი, მაგრამ მოვიდოდა ვინმე? გარშემო ყველაფერი ჩამკვდარი იყო, სულდგმულის ჭაჭანებაც კი არ იყო.

გავიარეთ ათარა, ქუთოლი, ჯგერდა, გვადა, — ყველა დაცარიელებული იყო, არცერთი სახლის თავზე არ იკლაკნებოდა კერის კვამლი, არ ჭიხვინებდნენ ცხენები, არ ყეფდნენ ძაღლები, მამლის ყივილიც არსად ისმოდა, ყველგან სამარისებური სიჩუმე იდგა. თითქოს მთელ ქვეყანას ასეთივე მკვდარი სიჩუმე ჩამოსწოლოდა...

მზე უკვე შეხებოდა ხის კენწეროებს, როცა გველირსა და მეორე დღეს მშობლიურ ეზოში შევედით. ობლად იდგა მიტოვებული სახლი. არც არავინ ჩანდა და არც არაფერი, ოღონდ აივანზე გორგალივით დახვეულიყო ჩვენი წითური უკუდო ძაღლი პაკია. ეს იყო ძველი ცხოვრებიდან დარჩენილი ერთადერთი ცოცხალი არსება. ჩვენ რომ დაგვინახა, პაკიამ დაიწკმუტუნა, გადაჭრილი კუდი გააქიცინა და ჩვენს შესახვედრად წამოფორხიალდა, მაგრამ შიმშილისგან ისე დასუსტებულიყო, სამიოდე ნაბიჯიც ვერ გადმოდგა მიწას დაენარცხა.

არ ვიცი, გითხარით თუ არა, ყოველივე ეს გაზაფხულზე რომ მოხდა? ჰო, გაზაფხული იდგა. სიმინდი აშოლტილიყო, ალუჩა კი ისე შეთვალულიყო, ჭამა შეიძლებოდა. საოცარია, მაგრამ მოფრენილ მერცხლებს მიტოვებული სახლების სახურავების ქვეშ ბუდეები არ გამოუძერწავთ, შებრუნებულან და გაფრენილან. არ ვიცი, სად გამოჩეკეს იმ წელიწადს შთამომავლობა...

ჩემი წინაპრების გაცივებულ კერიას მივუჯექი, კაჟს კვესი ჩამოვკარი და ნაპერწკალი ცეცხლი გავაჩაღე. სახურავზე ულონო კვამლი გაიკლაკნა. აი, იმ დღიდან ანთია ცეცხლი, ჩასაქრობად რომ გაიმეტა სალხმა... და მე ვევედრები უფალს, ნურასოდეს ჩაგვიქრობს ამ ცეცხლს. დაე, ათბობდეს იგი ჩემს შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებსაც!

ბაბუა წამოდგა, გულხელი დაიკრიფა და დიდხანს ლოცულობდა. ყველანი ვდუმდით. მერე ხელისგულზე ჩიბუხი დაიბერტყა, პირაღმა ჩაიდო გულისჯიბეში და თხრობა განაგრძო.

...იმ ღამეს, შინ რომ დაბრუნდნენ, ნამცეცი საჭმელი ვერ იპოვნეს. ალუჩა დაკრიფეს, დანაყეს აჯიკის სურნელება შერჩენილ როდინში და ივახშმეს.

მეორე დღეს ეზოში რომ გამოსულა, ბაბუას სადღაც, მთლად პანავის ძირას ცისკენ ამავალი მოლურჯო კვამლი დაუნახავს. ცოტა ფიქრის შემდეგ ჩაუცვამს და იმ მიმართულებით წასულა. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა — ან უნდა წასულიყო, ან შიმშილით მომკვდარიყო.

პანავთან მწყემს გიდას შეხვდა — დეიდამისის ქმარს. გადასახლების ამბავი რომ გაუგია, გიდას ოჯახი საიმედო ადგილას გაუხიზნავს, თითონ კი თავისი ფარით ტყისთვის შეუფარებია თავი. ასე გადარჩნენ... გიდა ხედავდა რა დღეში იყო მისი სტუმარი. კრინტიც არ დაუძრავს, ისე გამოიყვანა სადგომიდან სახედარი და პჰკიდა: გამხმარი ყველის გორგოლები, დაშაშხული ხორცი, ფქვილისა და თაფლის კასრები. მერე მეწველ ძხას შეაბა თოკი და თავის თიკნიანად მისცა ბაბუას...

მზის ჩასვლისას ბაბუა სოფელში დაბრუნდა. უკან დატვირთული სახედარი და თიკნიანი ძხა მოსდევდა.

გადატანილი უბედურების გამო, მოვიდნენ თუ არა გონს, ბაბუამ სიმამრის მონახულება გადაწყვიტა. ისიც გიდასავით ტყეში ემალებოდა ქამლათს. საშიშროებამ რომ გაიარა, შინ დაბრუნდა. მის ყურამდე მიელწია ხმას, რომ სიძე-ქალიშვილი ვერ გაექცა საერთო ხვედრს, ისინიც იმ საშინელ მორევში მოყვნენ და დაიღუპნენ. მისმა ოჯახმა დაიტირა კიდეც ისინი. და აი, უცებ ეზოში ქალიშვილი გამოეცხადა ქმართან ერთად, ცოცხლები და უვნებლები. რა თქმა უნდა, ქორწილი მეორედ აღარ გადაუხდიათ, ქეიფით კი მაგრად იქეიფეს.

სტუმრობის მერე სიძე-ქალიშვილმა შინ დაბრუნება რომ გადაწყვიტა, სიმამრის გულუხვობას საზღვარი არ ჰქონდა. წყვილი კამეჩი აჩუქა, ურემი, მეწველი ძროხა ხბოიანად, თეთრეული, უამრავი ჭურჭელი, მოკლედ, ყველაფერი, რაც კი ხელახლა დაწყებულ ცხოვრებას ჭირდებოდა. მთელი ეს ავლა-დიდება ურემზე დაუწყო, დალოცა შვილები და კეთილი მგზავრობა უსურვა.

ბაბუა დროდადრო წყვეტდა თხრობას, მდუმარედ იჯდა სამარისებურ სიჩუმეში, მერე ენის ბორძიკით განაგრძობდა, თითქოს ლაპარაკი დაავიწყდაო, მერე თანდათან გამოცოცხლდებოდა და გვიამბობდა, როგორ მოეკიდა მეურნეობას, როგორ ძირკვავდა ბუჩქნარს დაბლაგვებული ნაჯახით, როგორ მარგლავდა და თოხნიდა ყანას...

— მიწამ მოწყალება მოიღო და რამდენიმე წლის შემდეგ იმდენი გვქონდა, რომ შიმშილითა და სიცივით აღარ დავიხოცებოდით. გავველურდით, ბუნაგში შემძვრალ დათვებად ვიქეცით. არცერთი მეზობელი არ გვყავდა. ირგვლივ ყველაფერი გაუკაცრიელებული იყო, კაცი-შვილი არ ჭაჭანებდა, სულიერის ხმა არ ისმოდა. — იმ წლებს რომ იხსენებდა, ბაბუას ყოველთვის ხმა უწყებოდა. — დრო გადიოდა და ჩვენი თანამოძმეების სახლებში, ოდესღაც ჩვენ გვერდით რომ ცხოვრობდნენ, მხოლოდ ქარი დათარეშობდა... „ზღვამ თუ არ შთანთქა ყველანი, იქნებ ვინმე მაინც დაბრუნდეს“ — მიჩურჩულებდა იმედი და მეც იმედიანად გავყურებდი გზას. გარდა ამისა, მე და ჩემი ცოლი მოვივლიდით ხოლმე მიტოვებულ სახლებს, ვძირკვავდი ეზოებში მოძალებულ ეკალ-ბარდს, ვგლეჯდით კერიის ჯაჭვებზე შემოხვეულ სუროს. წელიწადში ერთხელ აღაპს ვიხდიდით, ვიხსენებდით ჩვენს ძმებს და მეზობლებს, მათი სულის განათლებისთვის ვლოცულობდით.

ოცი წლის შემდეგ ჩემი ბიძაშვილი ბილალი დაბრუნდა. კიდევ ერთი წლის შემდეგ — ჩემი მეზობელი საიდი. მერე კიდევ დაბრუნდა სამი თუ ოთხი ოჯახი და ხელახლა დაიწყეს ცხოვრების მოწყობა. დანარჩენებზე კი ჩვენი გვარიდან ბაიბური არ ისმოდა. მხოლოდ ჩემს უმცროს ძმაზე შახანზე მოაღწია გულდასაწყვეტმა ხმებმა. დაბრუნებულები მიამბობდნენ, შახანი თურქეთის რომელიღაც მიყრუებულ ადგილას შერჩა, ვიღაც ვაჭრის ფარას მწყესავს და ამით შოულობს პურის ფულსო. ვაჭარი კი იმდენად ძუნწია, რამდენადაც — მდიდარიო.

ეს რომ გავიგონე, გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, დამებრუნებინა ჩემი ძმა. არაფერი დამინანებია: არც პირუტყვი, არც ფული. რაც მთხოვა ამ საქმის მოგვარებისთვის გადამყიდველმა კაზანჯი ოღლიმ, ყველაფერი მივეცი. კაზანჯი-ოღლიმ დანაპირები შემი-

სრულა — დამიბრუნა ძმა, ოღონდ იმ ვადაზე უფრო გვიან, რომელიც თითონვე დამინიშნა.

შახანმა ცოტა სული რომ მოითქვა და გონზე მოვიდა, საცხოვრებელი ადგილი ამოვურჩიე და ცოლი შევრთე. მეგონა, ყველაფერი ცუდი უკან ჰქონდა მოტოვებული, მაგრამ შახანმა დიდხანს ვერ გაძლო, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ერთი მემკვიდრეც ვერ დატოვა... საცოდავი... მარტო სხეულს მოაღწევინა სამშობლომდე, მისი სული კი თურქეთის ქვიან უდაბნოში გაიხარჯა...

ბაბუა ისევ ოხრავდა, თავს ჩაკიდებდა და ისე აებურძგლებოდა კანი, თითქოს სცივაო. მაგრამ უცბად თვლემას ჩამოიბერტყავდა, თავს ასწევდა და ვაჟიშვილებს მიუბრუნდებოდა.

— აბა, შეშა შეუმატეთ ცეცხლს! — და ისე მხიარულად გადახედავდა თავშეყრილთ, თითოქს ეს ეს არის, შემოვიდაო სახლში.

თვალს რომ მომკრავდა, თითით მომიხმობდა. მეც მეტი რა მინდოდა, მაშინვე მივვარდებოდი, პატარა სკამს მივაჩოჩებდი, ფერხთით დავუჯდებოდი და ხელებს მუხლებზე შემოვუწყობდი. ბაბუა ჩემსკენ დაიხრებოდა და მისი წაწვეტებული წვერი ოდნავ მომიფხაჭუნებდა ლოყაზე. სიბრალული და თანაგრძნობა, რომლითაც ისე ვიყავი აღვსილი, რომ ყოველ წუთს შეიძლება ცხარე ცრემლებად დავღვრილიყავი, თანდათან მიქრებოდა და ბოლოს სრული ნეტარება მეუფლებოდა.

ბაბუა ჯოხით მიწვდებოდა კერიას, ღადარს დაჩხრეკავდა და ოქროს ზოდებივით ჩაწყობილ გავარვარებულ ნახშირს გამოაჩენდა. თითქოს ამაცურტაში ჩვენს გარდა არავინ ყოფილიყოს, ისე მეტყოდა:

— შეხედე, დაგან, ცეცხლს. ეს ხომ სასწაულია, ნამდვილი სასწაული! ამ ქვეყანაზე მხოლოდ ცეცხლს შეუძლია თავისი სილამაზის შენარჩუნება სამუდამოდ. — ოიურმე ერთ ბიჭს ცეცხლი რომ დაუნახავს, ძალიან მოსწონებია და უფიქრია: „ბიჭოს, რა ლამაზი რამეა, ავიღებ და დედაჩემის ზანდუკში ჩავდებ, იქ უფრო შეინახება!“ ის ბიჭი ჯერ პატარა იყო და არ იცოდა, რა შეიძლება მოიმოქმედოს ცეცხლმა, ზანდუკში თუ ჩაკეტავ. შენ კი უკვე პატარა აღარა ხარ და ყველაფერი უნდა იცოდე... დაიმახსოვრე: ცეცხლი მხოლოდ იმას კი არ ათბობს, ვინც დაანთო, არამედ ყველას, ვინც მის სიახლოვეს ხის. ცეცხლისთვის ყველა ერთია! ადამიანიც ასეა, — თავისი სითბოთი, თავისი სიტყვებით, თავისი საქმით უნდა გაათბოს ხალხი. აფხაზს თუ ვინმეს დაწყევლა უნდა, ასე ამბობს: „ცეცხლიმც ჩაგქრობოდეს კერიაზე!“ ამაზე უარესი წყევლა არ არსებობს... ცოცხალ კაცს ვინმეს გათბობა თუ არ შეუძლია, კაპიკია მისი ფასი. ასეთმა კაცმა არც უნდა იცოცხლოს! მე რომ მამაჩემს გავყოლოდი თურქეთში, ამ კერიაზე ცეცხლი აღარ იქნებოდა, მაგრამ არის, ლაგან, ბრიალებს შენი წინაპრების ცეცხლი. ღმერთმა ქნას, არც არასოდეს ჩამქრალიყოს იგი. ასევე ეკაშკაშოს, ახლა რომ კაშკაშებს. ყველაფერი გაიგე, ლაგან?

ბაბუა მკაცრად მიყურებდა, მე კი რატომღაც გაოგნებული ვიდექი, არ ვიცოდი, რა მეპასუხა, უმწეოდ გადავხედავდი ხან ბაბუას სტუმრებს და ხან აბრიალებულ ცეცხლს.

XII

— შეხედეთ, მუხისფეხება მოდის!

— ბურთი რა უყავი, მუხისფეხება?

— გვიმღერე რა რამე, მუხისფეხება, შენ ხომ ჩიჩინის ყველა სიმღერა იცი...

დიახ, სწორედ ასე მეძახდნენ მეზობლები, როგორც კი თვალს მომკრავდნენ. პირველად დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი ამ უცნაურ მეტსახელს, მაგრამ მოგვიანებით, როცა წამოვიზარდე, ცოტა არ იყოს, დავფიქრდი, საკუთარ ფეხებს დავაკვირდი და ვერაფერი დავინახე ისეთი, მუხა ან რომელიმე სხვა ხე რომ გაეხსენებინა. ისეთივე ფეხები მქონდა, როგორიც სხვასა აქვს, არც უკეთესი და არც უარესი. აბა რატომ ადარებენ ჩემს ფეხებს იმ ხმელ კუნძებს, ყოველ საღამოს ნაფოტებად რომ ჩეხავს ბაბუა, დილას რომ უფრო ადვილად ააბრიალონ ცეცხლი?

ამგვარი კითხვებით არ ვასვენებდი დედაჩემს. ის კი მაშინვე მამიდა მარისთან მაგზავნიდა. მამიდაჩემიც დუმილს ამჯობინებდა, მაგრამ ერთხელ მეტისმეტად რომ გავჯიუტდი და თავი მოვაბეზრე მამიდა მარის, ამ მეტსახელის წარმოშობის საიდუმლო ამიხსნა.

... გაზაფხულის ერთ მშვენიერ ღღეს, როცა მზე უკვე იმ სიმაღლეზე იყო, რომ ყველა ჯურის ზარმაცი შენიშნავდა, ჩვენს შესახვევში თავისი სიღარიბით განთქმული გლეხი იატმა მოაჭენებდა ცხენს. მოხუცი ბეჟანის სახლს რომ ჩაუარა, ეზოში რალაც საეჭვო ფუსფუსი შენიშნა. შეჩერდა, ღობეს მიუახლოვდა და ყურადღებით შეათვალიერა იქაურობა. ბევრი ხალხი იყო, ამაცურტასთან კი ქალები ტრიალებდნენ.

— რა ამბავია, ავად ხომ არ გამხდარა ვინმე? დილას რომ გავიარე, ყველანი ჯანმრთელები და ცოცხლები იყვნენ, — გაუმხილა თავისი შეშფოთება იატმამ ჩვენი ეზოდან გამოსულ მეზობელს.

— სროლის ხმა მაინც არ გაგიგონია? ბეჟანს დიდი ხნის ნახატრი შვილიშვილი შეეძინა, ბიჭი!

— მადლობა ღმერთს! მიხარია, ამ ოჯახში ბიჭი რომ დაიბადა, მაგრამ მაპატიეთ ცნობისმოყვარეობა: სახელი უკვე დაარქვეს, თუ ჯერ — არა?

— აბა დაფიქრდი იატმა, სულ ახლახან მოევლინა ქვეყანას და ასე უცბად სახელს როგორ დაარქმევდნენ?

— ძალიან კარგი, მაგისთვის მაგარი სახელი მაქვს შერჩეული. იმედია, არ დამალავთ და ეტყვით ვისაც საჭიროა... კარგად მოგეხსენებათ, როგორი მშრომელია ბეჟანის ოჯახი; ძველი ყანებიც საგულდაგულოდ მოვლილი აქვთ და ახლებიც ისე გაწმენდილი და გასუფთავებული აქვთ, ერთ ზედმეტ ჩხირსაც ვერ მოჰკრავს კაცი თვალს. აი, ახალშობილიც რომ გაიზრდება, აიღებს ნაჯახს და მუხასავით მაგარი ფეხებით წავა ხეების მოსაჭრელად. ამიტომაც მუხისფეხებას ვარქმევ ამ ბიჭს.

აი, დედამიწაზე მოვლენის პირველსავე დღეს ამ სახელით მოვინათლე. ნათლიამ კი მაშინვე განაგრძო გზა თავისი ღატაკური საქმეების მოსაგვარებლად.

მეზობლებმა იატმას დანაბარები რომ გადასცეს ჩვენებს, სიხარული მრისხანებამ შეცვალა. განსაკუთრებით მამიდა მარი გაცეცხლდა, წამოხტა და იატმასთან გაიქცა. სახლის პატრონი შინ არ დახვდა, ფიჩხის შესაგროვებლად წასულიყო ოჯახის სხვა წევრებს მოახსენა მამიდაჩემმა, რაც იატმას ეკადრებოდა,

— ეტყობა, იატმას ყველაფერი რიგზე ვერა აქვს თავში, ასეთ სახელს რომ არქმევს ბიჭს, ვისაც მოუთმენლად ელოდებოდა მთელი ოჯახი. გავა დრო და იქნებ ამ ბიჭმა მთელი ჩვენი გვარი ასახელოს, ხალხის სიამაყედ იქცეს! როგორ იცხოვროს მაშინ ამ სახელით? — გული მოიოხა მამიდა მარიმ და შინ დაბრუნდა.

ბაბუას, რა თქმა უნდა, არ შეეფერებოდა, ჩემი არსებობის პირველი დღე ჩხუბით რომ აღენიშნა და გაჩუმება არჩია.

სამი კვირა რომ შემისრულდა, ხბო დაკლეს, მოიწვიეს ნათესავები, ნაცნობები, მეზობლები და პატარა ოჯახური ქეიფი გამართეს. ბაბუა ჩემს აკვანს დაადგა თავზე. ცალ ხელში თხილის შამფურზე წამოგებული ხბოს ოხშივრიანი გულ-ღვიძლი ეჭირა, მეორეში შუშხუნა-ღვინიანი ჭიქა.

— დღეს პირველად ვსვამ შენს სადღეგრძელოს, ჩვენი მემკვიდრისა და გვარის გამგრძელებლის სადღეგრძელოს. დღემდე შენ სახელიც არ გერქვა. დღეიდან კი ყველანი ლაგანს დაგიძახებენ! ჩემი პაპებისგან გამიგონია, რომ დიდი ხნის წინათ გვარში გვყოლია კაცი, რომელსაც ეს სახელი ერქვა. გაბედული და მამაცი ყოფილა, გარდა ამისა, იშვიათი მოუბარიც თურმე. ღმერთმა ქნას, ახალმა ლაგანმა ყველაფერში აჯობოს ძველს; იყოს ვაჟკაცი და სულიერად ძლიერი. სხვა სიკეთეებიც ნუ მოაკლოს უფალმა. იყოს ორგზის და სამგზის დალოცვილი!.. ახლა ურიგო არ იქნება, ერთხელ კიდევ გავიგონოთ სროლის ხმა ამ ამბავთან დაკავშირებით! — ბაბუამ ჭიქა ტუჩებთან მიიტანა. სანამ ის სვამდა, სოფელს თოფების ბათქა-ბუთქი აყრუებდა.

იმ დღიდან ლაგანი გავხდი, მაგრამ ჯერ ძალიან პატარა ვიყავი, ჩემი სახელი რომ გამემართლებინა. ჯერ მხოლოდ დედა და ჩემზე მზრუნველი სხვა კეთილმოსურნე ადამიანები ავლენდნენ თავიანთ სულიერ ძალას. დედაჩემი აკვანში ჩამაკრავდა და მთელი დღე კანკალებდა: ვაი თუ, გაცივდეს, ან ღმერთმა დაიფაროს და უარესი რაიმე დაემართოსო. ღამე კი თავის ლოგინში მიწვენდა. მე ვიყავი მისი პირველი და უკანასკნელი ვაჟიშვილი, დანარჩენები გოგოები იყვნენ. ყველაზე უმცროსი მაჩიჩი ოთხი წლით უფროსი იყო ჩემზე.

ცოტა რომ წამოვიზარდე, დედა მარტო მტოვებდა. სახვევებს მომხსნიდა და პირით ცეცხლისკენ მაწვენდა. მოწნულ კედელთან ვიწექი და ჭუჭრუტანებიდან ვჭვრეტდი სამყაროს. მთვარიან ღამეში ეზო განათებული იყო და მოჩვენებებით სავსე. ლაქებად გამოსახული ჩრდილები იდუმალად ირხეოდნენ. „ჭრი, ჭრი, ჭრიიი“ ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინები და მონოტონურ ხმაურში ვიძინებდი. ზამთარში ცეცხლით ვე-

რთობოდი. გავილვიძებდი თუ არა, მაშინვე მის მხიარულ გუგუნს გავიგონებდი კერიაზე. გარშემო დამდგარი სურნელით კი ვხვდებოდი, რომ გოგრას წვავდნენ. ნაჭრებად დაჭრილ შემწვარ გოგრას დედა გულს გამოაცლიდა, კამეჩის რძიან ქვაბში ჩაუშვებდა, დასრესავდა, მერე გვერდით მომიჯდებოდა და კოვზით მაჭმევდა.

გაზაფხულობით კი ჩიტების ჭიკჭიკი მაღვიძებდა. საწოლში წამოვჯდებოდი და დიდხანს ვისმენდი, როგორ გალობდნენ ისინი ეზოს განაპირას დაბურულ სიმწვანეში... ჩავიცვამდი, ზღურბლს გადავაბიჯებდი და მზის ასობით ჩახჩახა და მწველი ისარი მომხვდებოდა. ეზოში მივაბიჯებდი და ფეხები ბალახის ზურმუხტოვან რბილსა და გრილ ხალიჩაში მეფლობოდა, აქეთ-იქით ვაშხეფებდი ბროლივით მბზინვარე ცვარს. ჰაერი ისე სუფთა და კრიალა იყო, მინდოდა, ავფრენილიყავი და მეცურავა, მისი ალერსი მეგრძნო სხეულზე. ახლა ყვავილები?! ყვავილებს აღარ იკითხავთ? ცაზე ვარსკვლავებიც კი არ იქნებოდა იმდენი. წითელი და ყვითელი, ლურჯი და თეთრი... რასაც ინატრებდი, სულო და გულო! ვკრეფდი ყვავილებს და უცბად პეპლებს დავინახავდი: ხავერდის ფრთები თითქოს მძივებით ჰქონდათ მოქარგული. ასეთი ლამაზები არსად მინახავს. დავსდევ პეპლებს დასაჭერად, ეზოს ერთი კიდიდან მეორესკენ გავრბივარ, აი საცაა ქუდს დავაფარებ, ისინი კი თითქოს მაღიზიანებენ ერთი ყვავილიდან მეორეზე გადადიან ფრთების ფახულით.

— ვაიმეე! — ავყვირდებოდი უცბად და ტკივილისაგან გამწარებული ბალახებზე ვგორაობდი და ვღრიალებდი რაც ძალი და ღონე მქონდა.

დაფეთებული დედაჩემი ქარივით მოჰქროდა ჩემს ყვირილსა და კვნესაზე.

— ღმერთო ჩემო, რა მოგივიდა! უი, ფუტკარს უკბენია!.. ნუ ტირი, გენაცვალე, მოიცა, ნესტარი ამოგაცალო. ნუ გეშინია, არ გეტკინება. ფუტკრის კბენა სასარგებლოა, ახლა ციება აღარ შეგეყრება... — მუხლებზე მისვამდა დედა და მაწყნარებდა.

დედა სულს არ იშურებდა ჩემთვის, მიფრთხილდებოდა. ერთადერთ ვაჟზე ფიქრი არც დღე აძლევდა მოსვენებას და არც ღამე. ყველაფრის ეშინოდა, ყველაფერი აფორიაქებდა, თითქოს სამყარო მხოლოდ ხიფათებისა და განსაცდელებისაგან შედგებოდა და ყველაფერი რაც დრო და დრო ხდებოდა უბედურების მომტანი იყო. არ მახსოვს დედაჩემს გაველანძღე ან დაეყვიროს ჩემთვის, რაც არ უნდა გამებრაზებინა იგი. ყველანაირ წყენას უთქმელად გადაიტანდა. ერჩია ჩუმად ექვითინა, ვიდრე ხმამაღლა ეთქვა საყვედური. ლანძღვასა და ჩხუბზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ამიტომ ამბობდა ხოლმე მამაჩემი „ჩვენს დედას თვალები სველ ადგილას აქვსო“.

— დედა, მიმღერე რა ნანა? — ვთხოვდი ზოგჯერ საქსოვ დაზგასთან მიმჯდარ დედას.

— რას ამბობ, ლაგან! ნანას სულ პატარა ბავშვებს უმღერიან, შენ კი უკვე ვაჟკაცი გვყევხარ...

მე კი სისულელემდე მიამიტი ვიყავი ჯიუტი, ამიტომ თუ რამე შემიჩნდებოდა, გავჯიქდებოდი და მანამ არ მოვეშვებოდა დედაჩემს, სანამ ჩემს ახირებულ სურვილს არ შემისრულებდა. როცა თავს მოვაბეზრებდი, მიმღერე-მეთქი სამუშაოს თავს მიანებებდა, მუხლებზე დამისვამდა, ჩვილი ბავშვივით მანანავებდა და მღეროდა:

ნანა, ნანა, ჩემო ბიჭო,
ნანა, ნანაია,
ჩიტებიც არ ჭიკჭიკებენ,
სძინავთ რა ხანია.

ნანა, ნანა, ნანაია,
მოგეკიდოს რული,
შენ ხარ დედის იმედი და
დედის სიხარული.

გაიზარდე ჩემო ბიჭო,
მუხასავით მაგარი,
ალვასავით აშოლტილი,
ალვასავით მაღალი.

ნანა, ნანა, ნანაია,
ნანა გენაცვალე,
მშვიდი დილა გაგითენდეს
და ნათელი ხვალე...

(გაგრძელება იქნება)

წმრთლმეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ვასილ ბურკაძემ

საუბარი პირველ ადამიანთა ცოდვით დაცემაზე

როცა ღმერთმა პირველი ადამიანები შეჰქმნა, „იხილნა..., და აჰა კეთილ ფრიად“ (დაბად. 1,31), ანუ ადამიანი ღმერთისაკენ მსწრაფველი იყო სიყვარულით და მასში არანაირი წინააღმდეგობრიობა არ იყო: ადამიანი წარმოადგენდა სულის, სამშვინველისა და სხეულის სრულ ერთიანობას[1] — ერთ ჰარმონიულ მთლიანობას, — კერძოდ[1] ადამიანის სული ღმერთისკენ მსწარფველი იყო, სამშვინველი სულს შეერთებოდა, ანუ თავისუფალი ნებელობით ემორჩილებოდა მას, სხეული კი სამშვინველს; მთელი მისი არსება წარმოადგენდა მიზნის, მისწრაფებისა და ნების ერთიანობას. ადამიანიც წმიდა და განღმრთობილი იყო.

ღმერთის ნება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი თავისუფალი ნებელობით, ანუ სიყვარულით მიესწრაფვოდეს ღმერთს — საუკუნო ცხოვრებისა და ნეტარების წყაროს, — და ამის ძალით უცვალებლად ჰგიებდეს თანაზიარობაში ღმერთთან. მარადიული ცხოვრების ნეტარებაში. ასეთნი იყვნენ ადამი და ევა. ამიტომაც ჰქონდათ განათლებული გონება, და „უწოდა... ადამ სახელები ყოველთა საცხოვართა და ყოველთა მფრინველთა ცისათა და ყოველთა მხეცთა ქვეყანისათა“ (დაბად. 2,20), ანუ მისთვის განცხადებული იყო მთელი ქმნილი სამყაროს — ცოცხალისა და არაცოცხალის ფიზიკური კანონები, არსობრიობა, ყოველივე ის, რაც კაცობრიობას დღემდე ნაწილობრივ შეუმეცნებია და რასაც მომავალში შეიმეცნებს. მაგრამ ცოდვით დაცემით ადამიანებმა დაარღვიეს საკუთარ არსებაში ეს ჰარმონია — სულის, სამშვინველისა და სხეულის ერთიანობა, რითაც თავიანთი ბუნება შელახეს და დააზიანეს. და მათ უკვე აღარ ჰქონდათ მიზნის, მისწრაფებისა და ნებელობის ერთიანობა.

ამაოდ სურთ მავანთ იგავური მნიშვნელობა დაინახონ პირველ ადამიანთა ცოდვით დაცემაში, ანუ ის, რომ ცოდვით დაცემა, თითქოსდა, მდგომარეობდა ადამისა და ევას ფიზიკურ შეერთებაში, სორციელ სიყვარულში. ესევითართ ავიწყდებათ თვით უფლის მიერ პირველ ადამიანთათვის მცნებად დადებული აღთქმა — „აღორძინდით და გამრავლდით და აღავსეთ ქვეყანა და ეუფლენით მას“ (დაბად. 1,28). ამასთან დაკავშირებით წმიდა მიტროპოლიტი ფილარეტი შემდეგს ამბობს: „მოსე ცხადად გადმოგვცემს, რომ ევამ თავიდან მარტომ შესცოდა, და არა ქმართან ერთად. რო-

ვორ შეეძლო მოსეს ამის დაწერა, თუკი ძართლაც იგავურად წერდა, რისი მოძიებაც აქ სურთ?"

პირველ ადამიანთა ცოდვით დაცემის არსობრიობა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენი პირველმშობლები, დაჰყვნენ რა ეშმაკისმიერ ცთუნებას, აღარ უყურებდნენ აკრძალულ ხილს — ნაყოფს როგორც საღმრთო მცნების საგანს, არამედ საკუთარ თავთან საგარაუდო მიმართებაში (ის. ეკლესიასტე 7,29), რადგან მიიდრიკნენ ღმერთის ჭეშმარიტების ერთადერთობისაგან საკუთარ ზრახვათა და სურვილთა სიმრავლისაკენ, რომლებიც ღმერთის ნებას არ მიექცეოდნენ და გულისთქმისაკენ — ავხორცობისაკენ იყვნენ მიდრეკილნი. ხოლო „გულისთქუმაი იგი მიუდგის და შვის ცოდვაი" (იაკობი 1,15). ეშმაკის მიერ ცთუნებულმა ევამ აკრძალულ ხეში ის კი არ დაინახა, რაც ის სინამდვილეში იყო, ანუ ღმერთის მცნების საგანი, — არამედ ის, რაც მას თავად სურდა დაენახა საკუთარ გულისთქმათა გარკვეული სახეებით —ანუ ხორცთა გულისთქმით, თვალთა გულისთქმით და ცხოვრების სილაღით, ანუ ამპარტავნებით (I იოანე 2,16). მაინც, რომელმა გულის თქმებმა გაიღვიძა ევას სულში აკრძალული ნაყოფის გემებამდე? „და იხილა დედაკაცმან, რამეთუ კეთილ არს ხე ჭამად" (დაბად. 3,6), ანუ მან იფიქრა, რომ აკრძალულ ხილს რაღაც განსაკუთრებული, არაჩვეულებრივად საამო გემო ექნებოდა, — ეს ხორცთა გულისთქმაა; „და სათნო თვალთათვის ხილვად", — ანუ აკრძალული ხის ნაყოფი ყველა სხვაზე მიმზიდველი და ლამაზი იყო, — ეს თვალთა გულისთქმაა; ანუ სიამოვნებათა მიღების სურვილი, ვნება; „და შუენიერ განცდად", ანუ დიდად სასურველი შესაგრძნობად, საგემებლად, რადგან თავის მიმლებს იგი მიანიჭებდა ბოროტისა და კეთილის ცოდნას, ამიტომაც ევას ძალზე მოუნდა ეგემა აკრძალული ნაყოფი და შეეძინა ის უზენაესი და ღვთაებრივი ცოდნა, რასაც მაცთური ჰპირდებოდა, — ეს კი ცხოვრების სილაღეა, ანუ ამპარტავნება.

ამრიგად, ადამიანთა პირველი შეცოდება მგრძნობელობაში იშვება, — მისწრაფებით სასიამოვნო შეგრძნებებისადმი, ფუფუნებისადმი; იგი მათს გულში აღმოცენდება — იმის სურვილით, რომ განუსჯელად, დაუფიქრებლად დამტკბარიყვნენ; მათს გონებაში აღმოცენდება — ოცნებობით ქედმაღლურ მრავლის მცნობელობაზე, ამდენად პირველი ცოდვა ადამიანური ბუნების ყველა ძალას განმსჭვალავს და მოიცავს.

ადამიანური ბუნების რღვევაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ცოდვამ სამშვინველი და სხეული სულისაგან განდრიკა, მოსწყვიტა, რის გამოც სამშვინველს ამის შემდეგ სხეულისაკენ, ხორცისაკენ ჰქონდა მიდრეკილება და მას ეყრდნობოდა, სხეულმა კი, დაკარგა რა სამშვინველისმიერი ეს ამამაღლებელი ძალა, მგრძნობელობისაკენ, „ქაოსისაკენ", სიკვდილისაკენ მიდრეკილება შეიძინა, რადგან თავადაც „ქაოსისაგან" იყო შექმნილი. ამიტომ ცოდვის შედეგებია სნეულებანი, რღვევა და სიკვდილი. ადამიანის გონება დაბნელდა, ნება მოუძლურდა, გრძნობა დამახინჯდა; ადამიანის არსებაში წინააღმდეგობები აღმოცენდნენ და მისმა სულმაც დაკარგა მიზანდასახული მისწრაფება ღმერთისაკენ.

ამგვარად, გარდახდა რა ღმერთის მცნებით დადგენილ საზღვრებს, ადამიანმა ღმერთისაგან — ჭეშმარიტი საყოველთაო შესაკრებელისაგან და სისრულისაგან განაშორა თავისი სული და ცრუ შესაკრებელი წარმოქმნა მასში, მის თავისთავადობაში, მოამწყვდია რა იგი მგრძნობელობის წყვდიადში, ნივთიერების სიხისტეში. ადამიანის გონება, ნება და ქმედება განეშორნენ ღმერთს და ქმნილებისაკენ მიიდრიკნენ, ქვეყნიურისაკენ დაეცნენ, ზეციურისაგან მიწიურს მიექცნენ, უხილავისაგან — ხილულს (დაბად. 3,6-7). და მაცთური სულის მერ მოტყუებული ადამიანიც თავისი ნებით „ჰბაძვიდა პირუტყვთა და მიემსგავსა მათ" (ფსალმუნი 48,13).

ადამიანის ბუნების რღვევა პირველშობილი ცოდვით, სამშვინველისა და სხეულის მოწყვეტა სულისაგან, რომელსაც ახლაც მგრძნობელობისაკენ, გულისთქმისაკენ, ავხორცობისაკენ აქვს მიდრეკილება, კარგადაა გამოხატული წმიდა პავლე მოციქულის სიტყვებში: „არა რომელი-იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ რომელი-იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ, ხოლო უკუეთუ რომელი-იგი არა მნებავს და მას ვჰყოფ, აღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი-იგი დამკვიდრებულ არს ჩემ თანა ცოდვაი" (რომაელთა მიმართ ეპისტოლე, 7,19-20). ადამიანს საკუთარ არსებაში გამუდმებით „ჰქენჯნის სინდისი", რადგან მას გაცნობიერებული აქვს საკუთარი ცოდვიანობა, დანაშაული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: თავისი ცოდვით დარღვეული და დაზიანებული ბუნების აღდგენა ადამიანს საკუთარი ძალებით, ღმერთის შეწევნის გარეშე, არამც და არამც არ ძალუძს; მაგრამ შეუძლებელი კაცთათვის, შესაძლებელ არს ღმერთისა, ამიტომაც აუცილებელი გახდა თავად ღმერთის გარდამოსვლა, მოვლინება ამქვეყნად — ღმერთის ძის განხორციელება — მის მიერ სრული ადამიანური ბუნების მიღება, რათა აღედგინა და აელორძინებინა ცოდვით დაცემული და გახრწნილი ადამიანური ბუნება და დაღუპვისაგან, საუკუნო სიკვდილისაგან ეხსნა ადამიანი და ეცხოვნებინა იგი.

რატომ დაუშვა უფალმა ღმერთმა პირველ ადამიანთა ცოდვით დაცემა? და თუ დაუშვა, რატომ უბრალოდ (მექანიკურად") არ დააბრუნა ისინი ცოდვით დაცემის შემდეგ სამოთხისეული ცხოვრების თავდაპირველ მდგომარეობაში?

ყოვლადძლიერ ღმერთს, უეჭველია, შეეძლო არ დაეშვა პირველ ადამიანთა ცოდვით დაცემა, მაგრამ მან არ ისურვა მათი თავისუფალი ნებელობის დათრგუნვა, რადგან თუკი თავისუფალ ნებას დათრგუნავდა მასში, მაშინ თავადვე გარდაქცევდა ადამიანებში თავის საკუთარ ხატებას. ხოლო ღმერთის ხატი და მსგავსება, პირველ ყოვლისა, გამოხატულია ადამიანის თავისუფალ ნებაში.[2]

ამ საკითხს კარგად განაცხადებს პროფესორი ნესმელოვი: „რადგანაც ღმერთის მიერ ადამიანთა ხსნის მექანიკური შეუძლებლობა ბევრი-

სთვის საკმაოდ ბუნდოვანია და სრულიად გაუგებარიც კი, ზედმეტი არ იქნება უფრო ზედმიწევნით განვაცხადოთ ამგვარი ხსნის შეუძლებლობა. პირველ ადამიანთა ხსნა მათთვის ცხოვრების იმ პირობების შენარჩუნების გზით, რომლებშიც ისინი თავიანთ დაცემამდე იმყოფებოდნენ, შეუძლებელი იყო, რადგან დაღუპვა იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ ისინი ბოკვდავნი აღმოჩნდნენ, არამედ — იმაში, რომ ისინი ბოროტის მოქმედნი აღმოჩნდნენ. მაშასადამე, სანამ მათ გაცნობიერებულ-შეგნებული ჰქონდათ თავიანთი დანაშაული, მათთვის უპირობოდ შეუძლებელი იყო სამოთხეში ცხოვრება სწორედ ამის — თავიანთი დანაშაულის შეგნების გამო. ხოლო თუკი ისე მოხდებოდა, რომ ისინი დაივიწყებდნენ თავიანთ დანაშაულს, სწორედ ამით მხოლოდ დაადასტურებდნენ თავიანთ ცოდვიანობას, და, ამდენად მათთვის, კვლავაც შეუძლებელი იქნებოდა სამოთხეში ყოფნა მათი ზნეობრივი უუნარობის გამო მიახლოებოდნენ იმ მდგომარეობას, რომლითაც გამოხატული იყო მათი თავდაპირველი დაკარგული სამოთხის დაბრუნება ცხოვრება სამოთხეში. მაშასადამე, პირველ ადამიანებს უპირობოდ არ შეეძლოთ — იმიტომ კი არა, რომ ამას არ დაუშვებდა მათი საკუთარი ზნეობრივი მდგომარეობა, და არც შეეძლო დაეშვა. მაგრამ ადამისა და ევას შვილები ბრალეულნი არ იყვნენ მათს დანაშაულში და არ შეეძლოთ ბოროტის მოქმედებად ელიარებინათ და გაეცნობიერებინათ თავი მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მათი მშობლები დამნაშავენი იყვნენ. ამიტომ უეჭველია, რომ შემოქმედ ღმერთს, ვისაც ერთნაირად ძალუძს ადამიანის შექმნაც და ჩვილის აღზრდაც, შეეძლო გამოეყვანა ადამის შვილები ცოდვიანობის მდგომარეობისაგან და დაედგინა ზნეობრივი განვითარების ნორმალურ პირობებში. მაგრამ ამისათვის, რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო:

ა) ღმერთის თანხმობა პირველ ადამიანთა დაღუპვაზე;

ბ) პირველ ადამიანთა თანხმობა — ღმერთისათვის დაეთმოთ თავიანთი უფლებები შვილებზე და სამუდამოდ ეთქვათ უარი ხსნის იმედზე,

გ) შვილების თანხმობა დაეტოვებინათ თავიანთი მშობლები დაღუპვის მდგომარეობაში.

თუკი ჩვენ დავუშვებთ, რომ პირველი ორი პირობა ამ სამთაგან როგორღაც ოდენ შესაძლებელად მაინც მივიჩნიოთ, აი, მესამე აუცილებელი პირობის განხორციელება არანაირად არ შეიძლება. რამეთუ თუკი ადამისა და ევას შვილები მართლაც გადაწყვეტდნენ — დაე, წარწყმდეს ჩვენი დედ-მამა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვისო, სწორედ ამით ისინი, ცხადია, მხოლოდ იმას წარმოაჩენდნენ, რომ ისინი სრულიად არ არიან სამოთხის ღირსნი, და მაშასადამე, უსათუოდ დაკარგავდნენ მას".

ღმერთს, კვალად, შეეძლო მოესპო შემცოდე ადამიანები და სხვანი შეექმნა. მაგრამ განა ხელახლა შექმნილი ადამიანები, რომელთაც ასევე ექნებოდათ თავისუფალი ნება, აღარ დაიწყებდნენ ცოდვის ჩადენას? ღმერთმა არ ინება იმის დაშვება, რომ მის მიერ შექმნილი ადამიანი სინამდვილეში ამაოდ, ტყუილ-უბრალოდ შექმნილი გამომდგარიყო, და თუნდაც თავის შორეულ შთამომავალში არ დაემარცხებინა ის ბოროტება, რომლის მიერაც

ძლეულ იქმნა, რომლისაგანაც თავისი ძლევა დაუშვა. რამეთუ ყოვლისმცნობელი ღმერთი არაფერს არ იქმს ამაოდ. თავისი წინადსაუკუნო აზრით უფალმა ღმერთმა სამყაროს შექმნის მთელი გეგმა მოიცვა; და მის საუკუნო გეგმაში მისი მხოლოდშობილი ძის განხორციელებაც შედიოდა დაცემული კაცობრიობის ხსნისათვის.

კერძოდ, აუცილებელ იყო დაცემული კაცობრიობის აღორძინება თანალმობით, სიყვარულით, რათა არ შელახულიყო ადამიანის თავისუფალი ნება; რამეთუ ადამიანს თვითონ, საკუთარი ნებით მოსურვებოდა ღმერთთან დაბრუნება, და არა ძალდატანებით თუ აუცილებლობის გამო, რადგან სხვაგვარად ადამიანები ვერ იქნებოდნენ ღმერთის ღირსეული შვილები. ხოლო ღმერთის წინადსაუკუნო აზრით ადამიანები თავად მისსა მსგავსნი უნდა გახდნენ და ერთად უნდა ეზიარონ საუკუნო ცხოვრების სამოთხისეულ ნეტარებას.[3]

ასე ყოვლადბრძენი და სახიერია ყოვლისშემძლე უფალი ღმერთი, რომელმაც არ ითაკილა ცოდვიან მიწაზე გარდამოსულიყო, ჩვენი, ცოდვით დაზიანებული ადამიანური ბუნება, ჩვენი სული და ხორცი მიეღო, რათა ამ გზით ეხსნა ადამიანები და დაებრუნებინა ისინი სამარადისო ცხოვრების სამოთხისეულ ნეტარებაში.

ღმერთის ხატისა და მსგავსების შესახებ ადამიანში

წმიდა ეკლესია გვასწავლის, რომ ღმერთის ხატის ქვეშ უნდა გავიგოთ ღმერთის მიერ ადამიანისათვის მონიჭებული სულის ძალები: გონება, ნება, გრძნობა; ხოლო ღმერთის მსგავსების ქვეშ — ადამიანის უნარი ღმერთთან, მისამსგავსებლად მიმართოს თავისი სულის ძალები, — სრულყოფილებას მიესწრაფოდეს ჭეშმარიტებასა და სიკეთეში.

უფრო დაწვრილებით ამის ახსნა ასე შეიძლება:

ღმერთის ხატი სულის თვისებებსა და ძალებშია. ღმერთი არის უხილავი სული, რომელიც ყოველივეს განმსჭვალავს სამყაროში, ყოველგან აღწევს, ყოველივეს განახორციელებს, და ამავე დროს იგი არის ამ ქმნილი სამყაროსაგან დამოუკიდებელი არსება; ადამიანის სული, რომელიც მთელს სხეულში იმყოფება და განაცხოველებს მას, მართალია, გარკვეულწილად დამოკიდებულია სხეულზე, მაგრამ იგი განაგრძნობს არსებობას სხეულის სიკვდილის შემდგომაც. ღმერთი საუკუნოა; ადამიანის სულიც უკვდავია. ღმერთი ყოვლადბრძენი და ყოვლისმცნობელია; ადამიანის სულსაც აქვს ძალა აწმყოს შეცნობისა, წარსულს დახსომებისა და ზოგჯერ მომავლის გამოცნობისაც კი. ღმერთი ყოვლად სახიერია (ანუ ყოვლად კეთილი და ყოვლად მოწყალეა), — და ადამიანის სულსაც აქვს უნარი უყვარდეს სხვები და თავს სწირავდეს (სხვათათვის). ღმერთი ყოვლისშემძლეა, შემოქმედი მთელი ქმნილებისა, ყოველივე არსებულისა; ადამიანის სულსაც აქვს ძალა და უნარი აზროვნებდეს, ქმნიდეს, აშენებდეს და ა. შ. მაგრამ, რა

თქმა უნდა, არსებობს უსაზღვრო განსხვავება ღმერთსა და ადამიანის სულის ძალებს შორის. ღმერთის ძალები უსაზღვროა, ადამიანის სულის ძალები კი მეტად შეზღუდულია. ღმერთი არის აბსოლუტურად თავისუფალი არსება; და ადამიანის სულსაც აქვს ნების თავისუფლება. ამიტომ ადამიანს შეუძლია სურდეს იყოს ღმერთის მსგავსი, და შეუძლია არ სურდეს ეს, რამეთუ ეს დამოკიდებულია თავად ადამიანის თავისუფალ სურვილზე, მის თავისუფალ ნებელობაზე.

ღმერთის მსგავსება დამოკიდებულია ადამიანის სულიერ უნართა მიმართულებაზე. იგი მოითხოვს ადამიანისაგან სულიერ მუშაობას საკუთარ თავზე. თუკი ადამიანი ჭეშმარიტებას, სიკეთეს მიესწრაფვის — ღმერთის სიმართლეს, მაშინ იგი ღმერთის მსგავსი ხდება. ხოლო თუკი ადამიანს მხოლოდ საკუთარი თავი უყვარს, თუკი იგი ცრუობს, მტრობს, ბოროტებას სჩადის, ოდენ ქვეყნიურ სიკეთეთა მოპოვებაზე ზრუნავს და მხოლოდ თავის სხეულზე ფიქრობს, და სრულიად არ ზრუნავს საკუთარ უკვდავ სულზე, მაშინ ასეთი ადამიანი უკვე აღარ არის ღმერთის მსგავსი, თავისი ზეციური მამის მსგავსი, არამედ თავისი ცხოვრებით პირუტყვთა ნაირი ხდება და შეიძლება საბოლოოდ ბოროტ სულს — ეშმაკს მიემსგავსოს.[4]

შენიშვნები

1 მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით, ადამიანის არსება შედგება ორი ძირითადი ნაწილის — სულისა და სხეულისაგან (იხ. წმიდა მიტროპოლიტ მაკარი ბულგაკოვის „მართლმადიდებლურ-დოგმატ ურ ი ღვთისმეტყველება“, § 80 — „ადამიანის შედგენილობა“); საშვინველი (რუსულად „დუშა“) არის სულის („დუხ“) შემადგენელი ნაწილი. საშვინველისათვის არსებითი მნიშვნელობის მინიჭება, როგორც ადამიანის არსების ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილისა, არამართებულია და შეიცავს საშიშროებას იმისას, რომ სულის თვისებები საშვინველს მიეწეროს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის და ყოველი ცოცხალი არსების სასიცოცხლო ძალა, სუნთქვა.

2 ღმერთის ხატი და მსგავსება ადამიანში, წმიდა მამების სწავლებით, პირველ ყოვლისა, გულისხმობს ადამიანის სულის გონიერებას და უკვდავებას, რადგან შემოქმედი ღმერთი, უპირველესად, არის გონიერი, უკვდავი სული, აბსოლუტური გონი, როგორც მას ყველა დროის ფილოსოფოსები უწოდებდნენ. თავისუფალი ნებაც ასეთი — მარადის არსებული, უკვდავი, გონიერი სულის აუცილებელი თვისებაა.

3 ადამიანის დანიშნულებაა სიწმიდის, ნეტარების მოპოვება, განღმრთობა და სამუდამო ცხოვრება ცათა სასუფეველში; და რადგანაც მისი ერთ-ერთი თვისება თავისუფალი ნებაა, ამიტომ, ღმერთის მიუწვდომელი განგებულებით, ადამიანი უნდა გამოცდილიყო ქვეყნიურ ცხოვრებაში, დაცემაში, უნდა შეეცნო კეთილ და ბოროტი, ანუ ღმერთთან ყოფნის, მისი მცნებების მაცხოვნებლობა, და ღმერთთან გან-

შორების, მისი მცნებების ურჩობის დამღუპველობა, რათა შემდგომში, დაუსრულებელ ბედნიერ ცხოვრებაში აღარასოდეს მონდომებოდა ღმერთის წინააღდგომის, დაცემის განმეორება. ცათა სასუფეველში საბუდამოდ დამკვიდრებული ადამიანი აღარასოდეს დაეცემა, რადგან მას ყოველთვის თვალთა წინ ექნება მთელი თავისი, მთელი კაცობრიობის ქვეყნიური, დაცემული ცხოვრების მაგალითი და შეუნანებელ ცოდვილთა სამუდამო ხვედრი — დაუსრულებელი ტანჯვა, მუდმივი ყოფნა გარესკნელში — ცათა სასუფევლის გარეთ, გეჰენიის წყვდიადში, ისევე, როგორც უფლის ნათელი ანგელოზებიც, თავისუფალი ნების მქონენი, არასდროს დაეცემიან, რადგან მარადის თვალთა წინ აქვთ დაცემულ ანგელოზთა — სატანისა და მისი დემონების სავალალო მაგალითი და საუკუნო ბოროტი ხვედრი.

4 საერთოდ, უნდა ითქვას, საღმრთო სჯულის [illegible] ეკლესიის, საზღვარგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, გამოცემული წიგნი, საიდანაც თარგმნილია წინამდებარე თავი „საუბარი პირველ ადამიანთა ცოდვით დაცემის შესახებ", არის ერთგვარი მცდელობა საღმრთო სჯულის სწავლების გათანამედროვებისა, დღევანდელი მკითხველისათვის უფრო გასაგებად, მისაწვდომად და „მისაღებად" გადმოცემისა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამის გამო ბევრგან სცოდავს აუსსნელი და მიუწვდომელი საღმრთო საგნების „ახსნით", „მეცნიერული განმარტებით".

თარგმნა ნანა ახობაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსარება[1]

(გამოუქვეყნებელი თხზულების შესავალი)

IX

სახეზეა წინააღმდეგობა, საიდანაც თავის დაღწევის ორი გზა არსებობს: ერთი მხრივ ის, რასაც მე ვუწოდე გონისეული, სულაც არ იყო ისეთი გონივრული, როგორც მე ვფიქრობდი; ხოლო მეორე, ის, რაც არაგონივრული მეჩვენებოდა, არც ისე არაგონივრული აღმოჩნდა, მე რომ ვფიქრობდი. როცა შევუდექი ჩემი გონისეული ცოდნის მსჯელობათა მთელი მსვლელობის გადამოწმებას, აღმოჩნდა, რომ იგი სრულიად მართებული გახლდათ. დასკვნა სიცოცხლის არარაობაზე უცილობელი იყო. მაგრამ მივაგენი შეცდომასაც, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მე არ ვაზროვნებდი ჩემ მიერ დასმული შეკითხვის შესაბამისად. კითხვა ასეთი იყო: რისთვის ვცოცხლობ, ე. ი. გამოვა თუ არა რამე ხელშესახები, გაუნადგურებელი ჩემი მოჩვენებითი, განადგურებული ცხოვრებისაგან, თუ გააჩნია რაიმე აზრი ჩემს სასრულ არსებობას ამ უსასრულო სამყაროში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მე დავიწყე ცხოვრების შესწავლა.

არც ერთ შესაძლო გადაწყვეტას სიცოცხლის აზრის შესახებ, როგორც ჩანს, არ შეეძლო ჩემი დაკმაყოფილება, რამეთუ, რა მარტივიც არ უნდა მომჩვენებოდა თავდაპირველად ჩემი შეკითხვა, იგი იმთავითვე შეიცავდა მოთხოვნას ახსნილიყო სასრულის უსასრულობა და პირიქით:

მე ვსვამდი კითხვას: რა ზედროული, ზემიზეზობრივი, ზესივრცული მნიშვნელობა გააჩნია ჩემს სიცოცხლეს? პასუხს კი ვაძლევდი კითხვას: რა დროითი, მიზეზობრივი, სივრცული მნიშვნელობა აქვს ჩემს სიცოცხლეს? გამოვიდა, რომ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ამ კითხვას მე ვუპასუხე ასე: არავითარი.

მსჯელობისას მე მუდმივად ვატოლებდი, და არც შემეძლო სხვაგვარად, სასრულს სასრულთან და უსასრულოს უსასრულოსთან. ამიტომ შედეგად იმასვე ვღებულობდი, რაც უნდა მიმეღო: ანუ ძალა არის ძალა, საგანი არის საგანი, ნება არის ნება, უსასრულობა არის უსასრულობა, არაფერი არის არაფერი და იმის იქითაც არც რა გამოვიდოდა.

---

1 გაგრძელება. დასაწყისი. იხ. „საუნჯე“ № 1-2, 2006.

იყო რაღაც მათემატიკის მსგავსი, როდესაც ფიქრობ ამოხსნა ტოლობა, სინამდვილეში კი ხსნი იგივეობას. მსჯელობის მსვლელობა არის სწორი, შედეგად კი ღებულობ პასუხს: $a=a$ ან $x=x$, ანდა $0=0$. აი, სწორედ ასე ემართებოდა ჩემს მსჯელობასაც ჩემი სიცოცხლის მნიშვნელობასთან მიმართებაში. პასუხები, ჩემს კითხვაზე რომ მაძლევდა მთელი მეცნიერება, იყო მხოლოდ იგივეობა.

მართლაც, მკაცრ, გონივრულ ცოდნას, — რომელიც, დეკარტეს მსგავსად, იწყება სრული დაეჭვებით ყოველივეში, უკუაგდებს რწმენით ნავარაუდევ ყოველგვარ ცოდნას და ყოველივეს გონებისა და გამოცდილების ცოდნაზე აგებს, — არ შეუძლია სიცოცხლის საზრისზე მოგვცეს სხვა პასუხი გარდა ერთისა, რომელიც მე მივიღე, — ანუ გაურკვეველი პასუხი. თავდაპირველად მეგონა, რომ ცოდნამ მომცა დადებითი პასუხი — პასუხი შოპენჰაუერისა: სიცოცხლეს არა აქვს აზრი, იგი ბოროტებაა, მაგრამ მერე, საქმე კარგად რომ გავარჩიე, მივხვდი, — პასუხი არ იყო დადებითი, ასეთად იგი მხოლოდ ჩემმა შეგრძნებამ გამოხატა. მტკიცედ თქმული პასუხი კი, ისეთი, როგორადაცაა გამოხატულ-გამოთქმული ბრამინების, სოლომონისა და შოპენჰაუერის მიერ, არის გაურკვეველი, ბუნდოვანი პასუხი, ანუ იგივეობა: 0-0. სიცოცხლე, მე რომ არარაობად წარმომიდგება, მართლაც არარაობაა. ასე რომ, ფილოსოფიური მეცნიერება არაფერს უარყოფს, არამედ მხოლოდ პასუხობს, რომ ამ კითხვას ვერ უპასუხებს, რომ პასუხი გაურკვეველი რჩება.

ამას რომ მივხვდი, იმასაც ჩავწვდი, რომ პასუხის ძიება გონისეულ ცოდნაში არც შეიძლებოდა, რამეთუ გონისეული ცოდნის მიერ მოცემული პასუხი მარტო იმაზე მითითება იქნებოდა, რომ პასუხი მიიღებოდა მხოლოდ საკითხის სხვაგვარად დაყენებას შემთხვევაში, ანუ მაშინ, როდესაც მსჯელობისას მოვიხმობდით სასრულის უსასრულობასთან მიმართებას. მივხვდი იმასაც, რომ, რა არაგონივრული და უსახურიც არ უნდა იყოს რწმენის მიერ გაცემული პასუხები, მათ გააჩნიათ ერთი უპირატესობა — ყოველ პასუხში ივარაუდება სასრულის მიმართება უსასრულოსთან, უამისოდ კი პასუხს ვერც მივიღებთ. როგორადაც არ უნდა დავაყენო საკითხი — როგორ ვიცხოვრო? — პასუხი ერთია: საღვთო სჯულის მიხედვით. მივაღწევ რაიმე ხელშესახებს ჩემი სიცოცხლისაგან? — ან მარადიულ ტანჯვას ან მარადიულ ნეტარებას. აქვს თუ არა რაიმე აზრი სიცოცხლეს, რომელსაც სიკვდილი ვერ ანადგურებს? — შერწყმა დაუსაბამო ღმერთთან, სამოთხე.

ასე რომ, გონისეული ცოდნის გარდა, თავდაპირველად ერთადერთად რომ მიმაჩნდა, საბოლოოდ მივედი იმის აღიარებასთანაც, რომ მთელ კაცობრიობას გააჩნია კიდევ რაღაც ცოდნა, არაგონითი ცოდნა — რწმენა, რომელიც შეგვაძლებინებს ვიცოცხლოთ ამ ქვეყანაზე. ჩემთვის რწმენის არაგონივრულობა ადრინდებულად რჩებოდა ფაქტად, მაგრამ არ შემეძლო არ მეღიარებინა, რომ მარტოოდენ რწმენა პასუხობდა კაცობრიობის კითხვას სიცოცხლის აზრის შესახებ და, აქედან გამომდინარე — მხოლოდ რწმენა აღიარებდა სიცოცხლის შესაძლებლობასაც.

გონისეულმა ცოდნამ მიმიყვანა იმის აღიარებასთან, რომ სიცოცხლე უაზრობაა, რომ ჩემი სიცოცხლე შეჩერდა და მხოლოდ ერთი სურვილი მამოძრავებს — მოვიკლა თავი. ირგვლივ რომ მიმოვიხედე, ადამიანებს და კაცობრიობასაც გადავავლე თვალი, დავინახე, რომ ისინი ცოცხლობენ და იმასაც ამტკიცებენ, რომ ესმით სიცოცხლის აზრი, თავსაც დავუკვირდი — მეც ვცოცხლობდი, ვიდრე ვიცოდი, რა იყო სიცოცხლის საზრისი, მეც სხვა ადამიანებთან ერთად სიცოცხლის აზრს და სიცოცხლის შესაძლებლობას რწმენა მანიჭებდა.

უფრო შორსაც რომ გავიხედე და სხვა ქვეყნების ხალხსაც ვუწვდინე მზერა — თანამედროვეთაც და გარდასულთაც — იქაც იგივე დავინახე, — სადაც სიცოცხლეა, იქვეა რწმენაც. რაც კაცობრიობა არსებობს, მას შემდეგ სიცოცხლის შესაძლებლობას იძლევა რწმენა, მისი მთავარი ხაზები ყველგან და ყოველთვის ერთნაირია.

რომელი რწმენაც არ უნდა ავიღოთ — ვისაც და რა პასუხსაც არ უნდა აძლევდეს ნებისმიერი რწმენა, — მის მიერ გაცემული ნებისმიერი პასუხი ადამიანის სასრულ არსებობას ანიჭებს უსასრულობის აზრს — აზრს, რომელსაც ვერ აცამტვერებს ვერც ტანჯვა-წამება, ვერც გაჭირვება და ვერც სიკვდილი მაშასადამე, მხოლოდ რწმენაშია სიცოცხლის საზრისიც და სიცოცხლის შესაძლებლობაც. მე მივხვდი, რომ რწმენა თავისი არსით არ არის მხოლოდ „უხილავ საგანთა განსახოვნება“ და ა. შ. და ა. შ., არც მხოლოდ გამოცხადება (ეს რწმენის ერთ-ერთი ნიშნის აღწერა გახლავთ), არ არის მხოლოდღა ადამიანის დამოკიდებულება ღვთისადმი (ჯერ რწმენა უნდა გქონდეს და მერე გწამდეს ღმერთი და არა ისე, რომ ღმერთის საშუალებით — წყალობით გაარკვიო შენი რწმენა), არც იმაზე თანხმობას ნიშნავს, რაც უთხრეს ადამიანს, როგორც ხშირად მოიაზრება რწმენა, — რწმენა ადამიანის სიცოცხლის საზრისის ცოდნაა, რომლის შედეგადაც კაცი თავს კი არ იკლავს, არამედ ცოცხლობს. რწმენა სიცოცხლის ძალაა, თუ კაცი ცოცხლობს, რაღაც კიდეც სწამს, რომ არა სწამდეს — რაღაცისათვის რომ უნდა იცოცხლოს, არც იცოცხლებდა. თუკი ვერ ხედავს და არ ესმის სასრულის მოჩვენებითობა, მას უნდა სწამდეს უსასრულობა, რწმენის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია.

მე თვალი გავაყოლე ჩემი ფიქრების მსვლელობას და ძრწოლამ ამიტანა. ახლა ნათელი იყო, ადამიანმა სიცოცხლე რომ შეიძლოს, იგი ან არ უნდა ხედავდეს უსასრულობას, ან სიცოცხლის საზრისის ისეთი ახსნა გააჩნდეს, სასრულს უსასრულოსთან რომ გაათანაბრებს. მე ვფლობდი ასეთ ახსნას, თუმცა იგი არ მჭირდებოდა, ვიდრე მწამდა სასრულისა, და მე შევეცადე გონებით შემემოწმებინა იგი. გონების შუქზე მთელი ადრინდელი ახსნა-განმარტებანი ფერფლივით გაიფანტა. მაგრამ დადგა დროც, სასრულის რწმენა რომ გამიქრა. და მაშინ განვიზრახე, ჩემი ცოდნისაგან მონაცემების გონებრივ საფუძველზე ამეგო ახსნა-განმარტება, სიცოცხლეს საზრისს რომ მიანიჭებდა, თუმცა ამაოდ დავშვრი. კაცობრიობის უდიდეს მოაზროვნეებთან ერთად მივედი იმ დასკვნამდე, რომ 0=0. ამ ამოხს-

ნის შედეგმა ძალზე გამაოცა, თუმცა ეს სხვა პასუხის მოლოდინი არ უნდა მქონოდა.

რას ვაკეთებდი, როდესაც სიცოცხლის საზრისზე პასუხს ფილოსოფიურ ცოდნაში დავეძებდი? მე მსურდა გამეგო, რისთვის ვცოცხლობ და ამ მიზნით ვსწავლობდი ყველაფერს, რაც ჩემს მიღმა არსებობდა. ნათელი იყო, ბევრის გაგება შემეძლო, ოღონდ იმისი არა, რაც მჭირდებოდა.

როგორ ვიქცეოდი, ფილოსოფიურ დაკვირვებებში რომ დავეძებდი ჩემი კითხვის პასუხს? ვსწავლობდი იმათ აზრებს, ვინც ჩემს მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი და ჩემსავით ეძებდა პასუხს კითხვაზე: რისთვის ვცოცხლობ? აქაც აშკარად ჩანდა, რომ, რაც ვიცოდი, იმაზე მეტს ვერაფერს შევიტყობდი, ანუ რაიმეს ცოდნა შეუძლებელთა კატეგორიას ეკუთვნის.

რა არის მე? — ნაწილი უსასრულოსი. ამ ორ სიტყვაში დევს უკვე მთელი ჩემი მიზანი. ნუთუ ეს კითხვა მხოლოდ გუშინ დაუსვა თავის თავს კაცობრიობამ? ნუთუ ჩემამდე არავინ დაინტერესებულა ესოდენ მარტივი კითხვით, რომელიც ენაზე ადგას ყოველ გონიერ ყმაწვილს?

ეს კითხვა ხომ მას შემდეგ არსებობს, რაც ადამიანი გაჩნდა, და მას შემდეგ ისიც აშკარაა, რომ მასზე პასუხის გასაცემად საკმარისი არაა სასრულის გატოლება სასრულთან, ხოლო უსასრულოსი უსასრულოსთან, რომ მას შემდეგ, რაც ადამიანი გაჩნდა, გამოკვლეული და გამოთქმულია სასრულის უსასრულოსთან მიმართების საკითხი.

ყველა ეს გაგება, რომლებშიც სასრული უტოლდება უსასრულოს და წარმოიშობა სიცოცხლის საზრისი, არსი ღმერთის, თავისუფლების, სიკეთის შესახებ ლოგიკურ კვლევას დავუმორჩილოთ, მაგრამ გონების კრიტიკას ასეთი გაგება ვერ უძლებს.

თავზარდამცემი რომ არ იყოს, სასაცილო იქნებოდა იმის გაცნობიერება, თუ რა სიამაყითა და თვითკმაყოფილებით ვშლით ჩვენ, ბავშვების მსგავსად, საათის მექანიზმს, ვაცლით ზამბარას, სათამაშოდ ვაქცევთ და მერე გვიკვირს, რატომ არ მოძრაობს საათის ისრები?

ერთობ საჭირო და ფასეულია სასრულისა და უსასრულოს წინააღმდეგობის ამოხსნა და ისეთი პასუხის მიღება სიცოცხლის რაობაზეა, რაც გულისხმობს სიცოცხლის შესაძლებლობას. და აქ ერთადერთ ახსნას, რომელსაც ვპოულობთ ყველგან, ყოველთვის და ყველა ხალხთან, — დროისაგან გამოტანილ ახსნას, სადაც ჩვენთვის იკარგება ადამიანთა სიცოცხლე, იმდენად რთულ ახსნას, რომლის მსგავსის გაკეთება ჩვენ არ ძალგვიძს, — აი, ამ ახსნას ჩვენ ფუქსავატურად ვარღვევთ, რათა წამოვაყენოთ ისევ ის საკითხი, ყველასათვის რომ ნიშნეულია და პასუხი კი არ გაგვაჩნია.

წარმოდგენები დაუსაბამო ღმერთისა, სულის ღვთაებრიობისა, ღმერთთან ადამიანურ საქმეთა კავშირისა, სიკეთისა და ბოროტების ზნეობრივი წარმოდგენები არის არსი ჩვენს თვალთაგან დაფარული კაცობრიული ცხოვრების შორეთში გამომუშავებული ცოდნისა, ურომლისოდაც არ იქნებოდა სიცოცხლე, არ ვიქნებოდი მე თვითონაც. მე კი, კაცობრიობის მთელ ამ ნაღვაწს რომ უკუვაგდებ, მსურს ახლებურად და ჩემებურად ვაკეთო ყოველივე.

ასე არა ვფიქრობდი მაშინ, თუმცა კი ამ აზრების ჩანასახი ჩემში იმთავითვე არსებობდა. მე მესმოდა, 1) რომ შოპენჰაუერთან და სოლომონთან ერთად ჩემი მდგომარეობა, სიბრძნის მიუხედავად, სისულელეს წარმოადგენდა: ჩვენ გვესმის, რომ სიცოცხლე ბოროტებაა და მაინც ვცოცხლობთ. ეს კი აშკარა სისულელეა, რადგან თუ სიცოცხლე სისულელეა, მე კი ასე ძლიერ მიყვარს ყოველივე გონივრული, — მაშასადამე უნდა გავანადგურო ის, რომ არავის დასჭირდეს მისი უარყოფა. 2) მე მესმოდა ისიც, რომ მთელი ჩვენი მსჯელობა კბილანას მოწყვეტილ ბორბალივით უსაყრდენოდ ტრიალებდა მოჯადოებულ წრეში. რა კარგად და რამდენიც არ უნდა ვიმსჯელოთ, ჩვენ არ ძალგვიძს მივიღოთ პასუხი კითხვაზე, ის ყოველთვის იქნება ასეთი: 0=0, და ამიტომაც ჩვენი გზა, სავსებით შესაძლებელია, მცდარია. 3) თანდათან უკეთ მესმოდა, რომ პასუხებში, რწმენა რომ გვაძლევდა, ჩადებული იყო კაცობრიობის ულრმესი სიბრძნე, და მე არა მაქვს უფლება გონებაზე დაყრდნობით უარვყო ისინი, რაც მთავარია, მხოლოდ და მხოლოდ ეს პასუხები იძლევიან პასუხს სიცოცხლის კითხვაზე.

X

ეს ყოველივე კარგად მესმოდა, მაგრამ ჩემი მდგომარეობა ამით არ მსუბუქდებოდა. იქამდე მივედი, რომ მზად ვიყავი მელიარებინა ნებისმიერი რწმენა, ოღონდაც ჩემგან არ მოეთხოვათ გონების უარყოფა, რაც უთუოდ სიცრუე იქნებოდა. და დავიწყე წიგნების კითხვა — ვსწავლობდი ბუდიზმსა და მაჰმადიანობას, უფრო მეტი მონდომებით კი ქრისტიანობას. ამასთან ერთად ვაკვირდებოდი ახლო მყოფ ადამიანებსაც.

ბუნებრივია, თავდაპირველად ჩემი წრის ადამიანებით დავინტერესდი — ესენი იყვნენ სწავლულები, მართლმადიდებელი ღვთისმეტყველები, ბერ-მონაზვნები, ახალი ტიპის მართლმადიდებელი ღვთისმეტყველები, მათ შორის ე. წ. ახალი ქრისტიანებიც, რომლებიც გზას ხსნისას რწმენასა და მონანიებაში ხედავდნენ. აი, ამ მორწმუნეებს ვხვდებოდი, გასაქანს არ ვაძლევდი, ვეკითხებოდი, ვთხოვდი, აეხსნათ, როგორ სწამდათ და რაში ხედავდნენ სიცოცხლის აზრს.

მიუხედავად მათ მიმართ ჩემი მხრიდან ყოველნაირი დათმობებისა, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ ვარიდებდი თავს დავასა და კამათს, — არა და არ შემეძლო მელიარებინა ამ ხალხის რწმენა — რამეთუ კარგად ვხედავდი, რომ რასაც ისინი რწმენას ეძახდნენ, სიცოცხლის აზრის დაბინდვა უფრო იყო და არა ახსნა და განმარტება, და თავადაც რწმენას იმისათვის კი არ განიმტკიცებდნენ, რათა პასუხი გაეცათ სიცოცხლის რაობის იმ კითხვაზე, მე რომ რწმენასთან მიმიყვანა, არამედ ჩემთვის სრულიად გაუგებარი მიზნების მიღწევისათვის.

არ დამავიწყდება ის მტანჯველი გრძნობა, კვლავაც ადრინდელ სასოწარკვეთასთან რომ მიმაბრუნა იმედის გაჩენის შემდეგ, რაც ხშირ-ხშირად მებადებოდა ხოლმე ამ ადამიანებთან ურთიერთობისას. რაც უფრო მეტი მონდომებით და დაწვრილებით მაცნობდნენ ხოლმე თავიანთი რწმენის მოძღვრებას, მით უფრო ცხადი ხდებოდა მათი დაბნეულობა და ჩემი იმედების გა-

ცრუებაც — მეპოვა მათს რწმენაში სიცოცხლის აზრის განმარტება.

თავიანთი მოძღვრების გადმოცემისას ჩემთვის კარგად ნაცნობ და მახლობელ ქრისტიანულ ჭეშმარიტებებში მოხერხებულად შემოაპარებდნენ უსარგებლო და არაგონივრულ აზრებს, — მაგრამ მარტო ამან როდი მაიძულა ზურგი მექცია მათთვის; საქმე ის იყო, რომ ეს ადამიანები ისეთივე ცხოვრებით ცხოვრობდნენ, როგორითაც მე და მათი ცხოვრება სულაც არ შეესატყვისებოდა იმ საწყისებს, თავიანთი მოძღვრებით რომ მაუწყებდნენ. ჩემთვის აშკარა იყო, ისინი თავს იტყუებდნენ. ჩემსავით მათაც ცხოვრებაში სხვა აზრი არ გააჩნდათ, გარდა ერთისა — სანამ შეეძლოთ, ეცხოვრათ და ეცოცხლათ და მიეღოთ სიცოცხლისაგან ყოველივე, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ. ამის დანახვა არ იყო ძნელი, რადგან, თუკი სიცოცხლის ისეთ აზრს იწამებდნენ, გაჭირვების, ტანჯვის და სიკვდილის შიშს რომ არა სცნობს, ეს შიშიც არ ექნებოდათ. ისინი კი — ჩემი წრის მორწმუნეები ჩემსავით მდიდრულად ცხოვრობდნენ და ათასნაირი ხერხით ცდილობდნენ კიდევ უფრო მეტი სიმდიდრე დაეგროვებინათ, ან შეენარჩუნებინათ, რაც ებადათ; ეშინოდათ სიღატაკის, ტანჯვის და სიკვდილის და ცხოვრობდნენ ისე, როგორც ჩვენ, ყველანი, — რწმენადაკარგულნი; იკმაყოფილებდნენ ავხორცულ სურვილებს და იქცეოდნენ ისევე უგვანოდ, თუ კიდევ უფრო უარესად არა.

არანაირ მოსაზრებათ არ ძალუძდათ დაეერწმუნებინე მათი რწმენის ჭეშმარიტებაში, დამაჯერებდა მხოლოდ ისეთი საქციელი, როცა მათი სიცოცხლის საზრისის მიხედვით სიღატაკე, ავადმყოფობა, სიკვდილი, მე რომ ასე მაძრწუნებდა, მათთვის არ იყო საშინელი. მაგრამ ამგვარ ქმედებას ვერა ვხედავდი ჩვენი წრის ნაირგვარ მორწმუნეთა შორის. პირიქით, ამგვარ ქმედებათ მე ვხედავდი ჩემი წრის უკიდურესად ურწმუნოთა შორის.

და მივხვდი, რომ ამ ადამიანების რწმენა არ იყო ის, რასაც ვეძებდი; ჩემი აზრით, ეს უფრო ეპიკურული ნუგეშისცემა იყო, რომ იგი თუ ნუგეშის საცემად არა, ასე ვთქვათ, სევდის გასაქარვებლად გამოადგებოდა სიკვდილის სარეცელზე ცოდვების მონანიე სოლომონს და არა კაცობრიობის უზარმაზარ მოდგმას, ვინც ნუგეშის მიღებისა და სხვათა ნაშრომ-ნაღვაწით სარგებლობისათვის კი არა, სიცოცხლის დასამკვიდრებლადაა მოწოდებული. კაცობრიობის მოდგმას კი, აი, ამ მილიარდებს, სიცოცხლე რომ შეძლონ, სიცოცხლე რომ გააგრძელონ, სჭირდებათ სულ სხვა, ჭეშმარიტი ცოდნა რწმენისა. მე, სოლომონმა და შოპენჰაუერმა თავი რომ არ მოვიკალით, ამას კი არ დავურწმუნებივარ რწმენის რეალობაში, ის მილიარდები რომ ცოცხლობდნენ და ცოცხლობენ, სოლომონიც და მეც თავიანთი სიცოცხლის ტალღებში რომ ჩაგვითრიეს, ამან დამარწმუნა რწმენის რეალურობაში.

მე ვიწყე დაახლოება მორწმუნეებთან — ღარიბ-ღატაკ, უბრალო, უწიგნურ, ღარიბ ადამიანებთან, დავუახლოვდი ბერებს, რასკოლნიკებს, გლეხკაცებს. ხალხის წიაღიდან გამოსულ ამ ადამიანთა რწმენა ისეთივე ქრისტიანული იყო, როგორიც ჩვენი წრის ცრუ მორწმუნეებისა. ქრისტიანულ ცნებებში ასევე ბევრი ცრურწმენა იყო შერეული. მაგრამ განსხვავება

ჩვენი წრის მორწმუნეთა ცრურწმენასა და მშრომელი ხალხის ცრურწმენას შორის ის იყო, რომ ჩვენი წრის მორწმუნეთა ცრურწმენები მათი ცხოვრებიდან კი არ გამომდინარეობდნენ, ის მხოლოდ თავისებური ეპიკურული გართობა იყო. მორწმუნე მშრომელი ადამიანების ცრურწმენა კი ისერიგად შერწყმოდ-შეზავებოდა მათსავე ცხოვრებას, შეუძლებელიც კი ჩანდა მათი ცხოვრების წარმოდგენა იმათ გარეშე — ისინი მათი ცხოვრების უცილობელ პირობას წარმოადგენდნენ. ჩვენი წრის მორწმუნეთა მთელი ცხოვრება ეწინააღმდეგებოდა მათსავე რწმენას, ხოლო მორწმუნე და მშრომელი ადამიანებისა კი დასტური იყო სიცოცხლის იმგვარი საზრისისა, რასაც რწმენის ცოდნა იძლეოდა. და მეც მოვიწადინე, ჩავკვირვებოდი ამ ადამიანთა ცხოვრებასა და რწმენას. და რაც უფრო ვუღრმავდებოდი, მეტად ვრწმუნდებოდი, რომ მათი რწმენა იყო ჭეშმარიტი, იგი მათ სჭირდებოდათ, იგი ანიჭებდა მათს სიცოცხლეს აზრს, სიცოცხლის შესაძლებლობას საერთოდ. მათში ათასი კაციდან ერთადერთ ურწმუნოს თუ გამოარჩევდი, ამის საპირისპიროდ კი ჩვენს წრეში სავსებით შესაძლებელი იყო სიცოცხლე და ცხოვრება რწმენის გარეშე. აი, მათ შორის ათასიდან ერთს თუ წააწყდებოდი, თავს მორწმუნედ რომ აღიარებდა. მაშინ როცა ესენი ცხოვრებას უქმად ყოფნასა და გართობაში ატარებდნენ და ცხოვრებით უკმაყოფილონი იყვნენ. ისინი სულ საპირისპიროდ იქცეოდნენ. მთელი მათი ცხოვრება მძიმე ჯაფაში გადიოდა და არც ცხოვრების სამდურავს წარმოთქვამდნენ მდიდრების მსგავსად. ჩვენი წრის ადამიანები გამუდმებით უჩიოდნენ ბედს, ებრძოდნენ მას ტანჯვისა და ხელმოკლეობის გამო; ისინი კი, უბრალო ადამიანები, ავადმყოფობას, დარდსა და მწუხარებას უდრტვინველად ეგებებოდნენ, არ ეჟურჩებოდნენ მოძალებულ უბედურებას, მშვიდად და მტკიცედ სწამდათ, რომ ყველაფერი ასე უნდა იყოს და არა სხვაგვარად — რომ ყველაფერი ეს სიკეთეა. რაც უფრო გონიერნი ვართ, მით უფრო ნაკლებად ვწვდებით სიცოცხლის აზრს და ჩვენს ტანჯვებსა და სიკვდილში რაღაც ბოროტ დაცინვასა ვეჭვრეტთ, ჩვენგან განსხვავებით, ისინი ცხოვრობენ და ტანჯვასაც და სიკვდილსაც სულიერი სიმშვიდით, ხშირად სიხარულით, ეგებებიან. მშვიდი აღსასრული, აღსასრული შიშისა და სასოწარკვეთის გარეშე იშვიათია ჩვენი წრის ადამიანებში, ხოლო მშფოთვარე, ქედუხრელი და უსიხარულო აღსასრული ასევე იშვიათი გამონაკლისია უბრალო ადამიანებში. განუზომლად დიდია იმ ადამიანების რიცხვი, ვინც მოკლებულია ყოველივეს, ჩვენთვისა და სოლომონისთვის დიდი სიკეთე რომ არის, და მაინც ბედნიერად გრძნობს თავს. ირგვლივ რომ მიმოვიხედე, შორსაც — გარდასულ თუ დღეს ცოცხალ ადამიანთა უზარმაზარი მასის ცხოვრებასაც დავაკვირდი, დავინახე არა ორი, სამი თუ ათი, არამედ ასეულობით, ათასეულობით, მილიონობით ადამიანი, სიცოცხლის საზრისი რომ ესმით, რომ ცხოვრობენ და უდრტვინველად ეგებებიან აღსასრულს. ყველას, საოცრად განსხვავებულთ ერთმანეთისაგან ხასიათით—ზნით, ჭკუით, ცანათლებით, საზოგადოებრივი მდგომარეობით, ყველას, ჩემდა საპირისპიროდ, კარგად ეს-

მოდა სიცოცხლისა და სიკვდილის აზრი, შრომობდნენ მშვიდად და წყნარად, ითმენდნენ გაჭირვებას და ტანჯვას, ცხოვრობდნენ და კვდებოდნენ ისე, რომ ამაში ხედავდნენ ამაოებას კი არა, სიკეთეს.

და მე შემიყვარდა ეს ადამიანები. რაც უფრო ღრმად ჩავწვდი არსს ცოცხალთა ცხოვრებისა, ჩავწვდი ცოცხლად მკვდართა ცხოვრებასაც, რომლებზედაც ბევრი წამიკითხავს და ბევრიც მომისმენია, მით უფრო შევიყვარე ისინი, მით უფრო გამიიოლდა ცხოვრებაც. ასეთ ყოფაში გავატარე ორი წელი. ბოლოს ჩემში მოხდა გარდატეხა, რაც სულის სიღრმეში დიდი ხანია მზადდებოდა, რისი ჩანასახიც ჩემში ყოველთვის ბუდობდა. მოხდა ისე, რომ ჩემი წრის ცხოვრება — ცხოვრება მდიდართა და განათლებულთა, — შევიძულე, მან ჩემთვის, დაკარგა აზრი. ჩვენი ქმედებანი და განსჯანი, მეცნიერება და ხელოვნება ჩემს თვალში იქცა თავის გასართობად და მათში სიცოცხლის აზრის ძიება შეუძლებლად მივიჩნიე. ხოლო ქმედებანი მშრომელი ადამიანებისა, ვინც ქმნიდა ამ ცხოვრებას, ერთადერთ ჭეშმარიტ საქმედ ვირწმუნე. მივხვდი, რომ აზრი, რომელიც ამ სიცოცხლეს და ცხოვრებას ენიჭებოდა, იყო ჭეშმარიტება, და მე მივიღე იგი.

XI

როცა გავიხსენე, როგორ მკრა ხელი რწმენამ და მიუღებლად და უაზრობად მეჩვენა, რასაც აღიარებდნენ ის ადამიანები, ამ რწმენის საპირისპიროდ და საწინააღმდეგოდ რომ ცხოვრობდნენ, მერე კი როგორ მიმიზიდა და სავსებით გონივრული მეჩვენა იგი; როცა დავინახე, რომ ადამიანები მისით ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ, მივხვდი, რატომ უკუვაგდე ადრე იგი და უაზრობად ჩავთვალე. ახლა კი ვაღიარე და აზრით ავსავსედ მივიჩნიე. ცხადი იყო გზა ამერია და მერე როგორ. ჩემი დაბნეულობის მიზეზი იმდენად ის კი არ იყო, რომ არასწორად ვაზროვნებდი, რამდენადაც ის, რომ არასწორად ვცხოვრობდი. ჩემმა გზაარეულმა აზროვნებამ კი არ მოაფარა ჩემს თვალებს ჭეშმარიტება, არამედ ცხოვრებამ, რომელიც გავატარე ეპიკურელობისა და ავხორცობით ტკბობის უიშვიათეს პირობებში. მივხვდი, რომ კითხვა, რას წარმოადგენდა ჩემი ცხოვრება, და მასზე პასუხიც: სიცოცხლე შენი არის ბოროტებაო, — იყო სრული სიმართლე, უმართებულო მხოლოდ ის გახლდათ, რომ პასუხი, მარტო მე რომ მეხებოდა, ზოგადად ცხოვრებას მივაკუთვნე. მე ვკითხე ჩემს თავს, რა იყო ჩემი სიცოცხლის აზრი და პასუხად მივიღე: ბოროტება და უაზრობაო. ეს იყო სიმართლე — ჩემი ცხოვრება — ავხორცობის მიმდევრის ცხოვრება — იყო უაზრობა და ბოროტება და ამის გამო პასუხიც: სიცოცხლე ბოროტება და უაზრობაა — ითქმოდა მხოლოდ ჩემი, და არა კაცობრიობის, ცხოვრების მიმართ. მე შევიცან ჭეშმარიტება, შემდგომში სახარებაში რომ ვპოვე — ადამიანებმა ნათელზე მეტად შეიყვარეს ბნელი, რამეთუ საქმენი მათნი იყო ბოროტეულიო, რამეთუ ვინც ბოროტებას სჩადის, მას ნათელი სძულს და გაურბის, რათა იმ ნათლის შუქზე არ გაცხადდეს მისი ბოროტი საქმენი. მე მივხვდი, სიცოცხლის აზრს რომ ჩასწვდე, პირველ ყოვლისა, ცხოვრება შენი არ

უნდა იყოს უაზრობა და ბოროტება, ხოლო შემდგომ გონებაა საჭირო, რათა აღიქვა იგი. მივხვდი, ასე დიდხანს რატომ ვუვლიდი გვერდს ამ ცხად ჭეშმარიტებას, რადგან, თუკი ფიქრობ და ლაპარაკობ კაცობრიობის ცხოვრებაზე, დიახაც უნდა იფიქრო კაცობრიობისა და არა რამდენიმე პარაზიტის არსებობაზე. ეს ისეთივე მარადიული ჭეშმარიტებაა, როგორც 2X 2=4, მაგრამ მე არ ვაღიარებდი ამას, რამეთუ, რომ მეღიარებინა 2X2=4, უნდა მეღიარებინა ჩემი სიცუდეც. ხოლო საკუთარი თავის შეგრძნება კარგ ადამიანად უფრო მნიშვნელოვანი და უცილობელი იყო, ვიდრე ის, რომ 2X2=4. მე შევიყვარე კარგი ადამიანები, შევიძულე საკუთარი თავი და ვაღიარე ჭეშმარიტებაც. ახლა ჩემთვის ყოველივე ნათელი გახდა.

რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ჯალათი, მთელ ცხოვრებას სხვების წამებასა და თავების მოკვეთაში რომ ატარებს, ანდა მისიკვდილებული ლოთი-ფოთი თუ შეშლილი, მთელი სიცოცხლე ბნელში რომ ზის და ფიქრობს, დავიღუპები, აქედან თუ გავედი, — თავის თავს დაეკითხება, რა არის სიცოცხლე. ცხადია, ისინი სხვა პასუხს ვერ მიიღებენ, გარდა ერთისა, — სიცოცხლე უდიდესი ბოროტებაა. შეშლილის პასუხიც სრული სიმართლე იქნებოდა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მისთვის. მაშ, მეც შეშლილი ვყოფილვარ? მაშ, ყველანი, მდიდარი თუ სწავლული, შეშლილები არიან?

ჰოდა, ვირწმუნე, რომ ჩვენ, ყველანი, მართლა შეშლილილები ვართ. ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად ვიყავი შეშლილი. მართლაცდა ჩიტი ცოცხლობს და იცის, რომ უნდა იფრინოს, საკვები მოიპოვოს, ბუდე გაიკეთოს, და ამას რომ ვხედავ, ვხარობ ჩიტის ხიხარულით. თხა, კურდღელი, მგელი არსებობენ და მათი არსებობის არსია იხაზრდონ, გამრავლდნენ, ოჯახები არჩინონ. ჰოდა, ამას რომ აკეთებენ, ღრმადა მწამს, ბედნიერები არიან და მათი სიცოცხლე გონივრულია. რაღას უნდა აკეთებდეს ადამიანი? იგი მოვალეა, ცხოველის მსგავსად მოიპოვოს, შექმნას თავისი სიცოცხლე და ცხოვრება, მაგრამ ცხოველისაგან განსხვავებით უნდა იცოდეს, რომ დაიღუპება, თუკი შეეცდება და ამას მოიწადინებს მარტოოდენ საკუთარი თავისთვის. ჰოდა, როცა ის ამას აკეთებს, მეც მტკიცედ მწამს, რომ ბედნიერია და მის სიცოცხლეს საზრისი გააჩნია. რას ვაკეთებდი მთელი ჩემი ოცდაათწლიანი სიცოცხლის მანძილზე? არც სხვისთვის, არც საკუთარი თავისთვის ცხოვრება არ შემიქმნია. მე ვცხოვრობდი, როგორც პარაზიტი, და თავს რომ ვკითხე — რისთვის ვცოცხლობ-მეთქი, პასუხად მივიღე: არაფრისთვისო. თუკი ადამიანის სიცოცხლის საზრისი ის არის, მოაწყოს ცხოვრება, მე კი ოცდაათი წლის განმავლობაში ვანგრევდი ჩემსა თუ სხვის სიცოცხლეს, რატომ უნდა ველოდო სხვა პასუხს, თუ არა იმას, რომ ჩემი სიცოცხლე უაზრობა და ბოროტებაა? ჭეშმარიტად, ივი უაზრობა და ბოროტება იყო.

სამყაროს სიცოცხლე ვიღაცის ნებაზეა დამოკიდებული — მთელი სამყაროსა და ჩვენს სიცოცხლეს ვიღაც რაღაც მიზნებისათვის განაგებს. ამ ნების ჩაწვდომის იმედი რომ ვიქონიოთ, პირველ ყოვლისა, ის ნება უნდა აღვასრულოთ — ანუ ის ვაკეთოთ, რასაც მოითხო-

ვენ ჩვენგან. მე კი, თუ იმას არ გავაკეთებ, რასაც ჩემგან ითხოვენ, ვერც იმას გავარკვევ, რას ითხოვენ ჩემგან, და ამაზე ნაკლებად, — რა სწადიათ ჩვენგან და მთელი სამყაროსაგან.

თუკი ჩამოძონძილი, შიმშილისაგან დაოსებული მათხოვარი გზაჯვარედინზე აიყვანეს, გადახურულ შენობაში შეიყვანეს, დააპურეს, წყალი დაალევინეს და აიძულეს, ზევით და ქვევით ამოძრაოს რალაც ჯოხი, ცხადია, ვიდრე გაარკვევდეს, ჭკვიანურადაა ის შენობა მოწყობილი თუ არა, მან ჯერ უნდა იქნიოს ის ჯოხი, და მხოლოდ ამის შემდეგ მათხოვარი მიხვდება, რომ ის ჯოხი ტუმბოს ამოძრავებს, რომელიც წყალს აქაჩავებს, წყალი კი კვლებში მიედინება; აი, მაშინ მას გადახურული ჭიდან გამოიყვანენ და ახალ საქმეზე დააყენებენ. ამჯერად ის ხილს მოკრეფს და თავის ბატონს გაახარებს. ასე გადაინაცვლებს თანდათან სულ დაბალი საფეხურიდან მაღალზე. თანდათან ჩასწვდება იმ შენობის გამართულობა-მოწყობილობასაც, ჩაერთვება საქმეში და არასოდეს დაებადება კითხვა, რატომაა თვითონ იქ, არც პატრონს ეტყვის საყვედურს.

უბრალო, მშრომელი, უწიგნური ადამიანები, ანუ ისინი, ვისაც ჩვენ პირუტყვის ფარას ვეძახით, არ საყვედურობენ თავიანთ ბატონს, ვის ნებასაც აღასრულებენ; ჩვენ კი, თავი ბრძენად რომ მოგვაქვს, პატრონისას მივირთმევთ ყველაფერს, ხოლო საქმეს, რასაც პატრონი მოითხოვს ჩვენგან, არ ვაკეთებთ, მეტიც, საქმის კეთების სანაცვლოდ დავმსხდარვართ წრე-წრე და ბჭობა გაგვიმართავს: „რისთვის ვაქნიოთ ეს ჯოხი? ეს ხომ სისულელეა“. ჰოდა, იმდენი ვიფიქრეთ, რომ დავასკვენით, პატრონი ჩვენი სულელია, ან სულაც არ არსებობს, ჩვენ კი ჭკვიანები ვართ, ულონდაც ვგრძნობთ, რომ [illegible] ვამოვდგებით და საჭიროა როგორმე თავი დავაღწიოთ, ვიხსნათ თავი საკუთარი თავისაგან.

XII

გონისეული ცოდნის შეცდომათა აღიარება დამეხმარა გავთავისუფლებულიყავი ამაო ტვინის ჭყლეტის ხიბლისაგან. რწმენამ, რომ ჭეშმარიტების ცოდნას მხოლოდ ცხოვრების საშუალებით მივაღწევდი, ჩემში გააღვიძა სურვილი დავეჭვებულიყავი ჩემი ცხოვრების გზის მართებულებაში. მე შევძელი ხელიდან დავსხლტომოდი საკუთარი გამორჩეულობის განცდას და ამან გადამარჩინა. ისიც შევძელი, დავკვირვებოდი უბრალო მშრომელი ადამიანების ყოფას და მივმხვდარიყავი, რომ მხოლოდ ეს იყო ნამდვილი ცხოვრება. მივხვდი, რომ თუკი მინდოდა გამეგო რა იყო ცხოვრება და მისი საზრისი, პარაზიტის ცხოვრებით კი არა, ნამდვილი ცხოვრებით, იმ აზრით უნდა მეარსება, რომელსაც ანიჭებდა ღღეევანდელი კაცობრიობა ცხოვრებას. მე უნდა შევრწყმოდი ამ ცხოვრებას, უნდა გადამესინჯა იგი.

სწორედ ამ დროს თავს ერთი ამბავი გადამხდა. მას შემდეგ, რაც მთელი წლის მანძილზე, თითქმის ყოველ წუთს ვეკითხებოდი საკუთარ თავს: ტყვიით მოვისწრაფო სიცოცხლე თუ საბელის მარყუჟით-მეთქი, იმ აზრებისა და დაკვირვებების ტყვეობაში, რაზეც ზე-

მოთ გიამბობდით, ჩემი გულიც მტანჯველ გრძნობას ჰყავდა შეპყრობილი. ამ ჩემს გრძნობას სხვას ვერაფერს დავარქმევ, თუ არა ღმერთის ძიებას.

უნდა ვთქვა, რომ ღმერთის ძიება ჩემს აზრთა მსვლელობიდან არ გამოდიოდა, მეტიც, — იგი ეწინააღმდეგებოდა კიდეც მათ. ღმერთის ძიება ჩემი გულიდან მოდიოდა. ეს იყო გრძნობა შიშისა, ობლობისა, მარტოსულობისა უცხოთა შორის. ამავე დროს ეს იყო იმედიც, ვილაცის დახმარების იმედი.

თუმცა სავსებით დარწმუნებული ვიყავი ღმერთის არსებობის დამტკიცების შეუძლებლობაში (კანტმა მოისურვა ეს და მე გავუგე მას, რომ ამის დამტკიცება მართლაც არ შეიძლება), მე მაინც ვეძებდი ღმერთს იმ იმედით, რომ უსათუოდ ვიპოვიდი და, ძველი ჩვეულების ძალით, ლოცვით ვეფერებოდი, მივმართავდი იმას, ვისაც ვეძებდი და დღემდე ვერ მეპოვნა. დავიწყებდი კანტისა და შოპენჰაუერის მოსაზრებათა საბუთიანობის შემოწმებას ჩემს გონებაში ღმერთის არსებობის დამტკიცების შეუძლებლობის შესახებ, მერე უკუვაგდებდი მათ. მიზეზი არ არის ისეთი აზროვნების კატეგორია, როგორც სივრცე და დროა, — ვეუბნებოდი დროდადრო თავს. თუკი ვარსებობ, მაშასადამე, ამის მიზეზიც არსებობს. არსებობს მიზეზთა მიზეზი და ეს მიზეზი სხვა არა არის რა, თუ არა ის, რასაც ღმერთს უწოდებენ. ამ აზრს რომ გავივლებდი, შევჩერდებოდი და ვცდილობდი მთელი არსებით გამეცნობიერებინა არსებობა ამ მიზეზისა. როგორც კი ვაღიარებდი, რომ არსებობს ძალა, რომლის მორჩილებაში მე ვიმყოფებოდი, მაშინვე ვიგრძნობდი, რომ სიცოცხლე შესაძლებელია. მაგრამ ამასთანავე ვეკითხებოდი თავს: „რას წარმოადგენს ეს მიზეზი, რა არის ეს ძალა? რა უნდა ვიფიქრო მასზე და როგორ მოვიქცე იმასთან, ვისაც ღმერთს ვუწოდებ?“ პასუხად [illegible] მაგამიელვებდა მანამდე ათასგზის ნაფიქრი ნაცნობი სიტყვები: „ის — შემოქმედია, ზეკაცია“. ეს პასუხი არ მაკმაყოფილებდა და ვგრძნობდი, როგორ უჩინარდებოდა ჩემში ის, რაც სიცოცხლისათვის მჭირდებოდა. შეშინებული და თავზარდაცემული კვლავ ვიწყებდი ლოცვას, ვეფერებოდი მას, რასაც ვეძებდი — მომშველებოდა. ვფიქრობდი ბევრს, ვფიქრობდი გამუდმებით, მაგრამ აშკარა იყო, ის არ მისმენდა. რაც მეტს ვლოცულობდი, მით მეტად ვგრძნობდი, რომ არავინ იყო ისეთი, ვისთვისაც შემეძლო მიმემართა. შეძრწუნებული ღმერთის არარსებობით, გულისტკივილით ვჩურჩულებდი: „ღმერთო, შემიწყალე, ღმერთო, შენ მიშველე! ღმერთო, მასწავლე, ღმერთო ჩემო!“ მაგრამ არავინ მიწყალებდა და ვგრძნობდი როგორ ჩერდებოდა ჩემი სიცოცხლე.

მაგრამ ყოველის მხრიდან ისევ იმის აღიარებამდე მივდიოდი, რომ ყოველგვარი საბაბის, მიზეზისა თუ აზრის გარეშე არ შეიძლებოდა გავჩენილიყავი ამ ქვეყანაზე, არ შეიძლებოდა სწორი ყოფილიყო ჩემი შეგრძნება, რომ ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყი ვიყავი. ვთქვათ და, მე მართლა ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყი ვარ, ზურგზე ვწევარ მაღალ ბალახებში და ვჭყიპინებ, ვწივი, მაგრამ იმიტომ ვჭყიპინებ, რომ ვიცი დედამ მუცლით მატარა, მერე მშობა, გამათბო, მასმევდა, მაჭმევდა, ვუყვარდი, მერე და, სად არის ახლა ის, სად არის დედაჩემი? თუკი გადმომაგ-

დეს — მიმაგდეს, ვინ მიმაგდო. არ შემიძლია დავუმალო ჩემს თავს, რომ ვიღაცამ სიყვარულით გამაჩინა. მაშ ვინ არის ეს ვიღაც? — ისევ და ისევ ღმერთი.

„მან იცის, ის ხედავს ჩემს ძიებათ, სასოწარკვეთას, ბრძოლასა და შემართებას. ის არსებობს". ჰოდა, საკმარისი იყო, წამიერადაც წარმომეთქვა ეს, რომ ჩემში კვლავ იწყებოდა სასიცოცხლო აღმავლობა, მე კვლავ შევიგრძნობდი ჩემი ყოფნის შესაძლებლობასაც, ჩემი ყოფნის სიხარულსაც. ღმერთის არსებობის აღიარებიდან კვლავ მისდამი დამოკიდებულების ძიებაზე გადავდიოდი, კვლავაც წარმომიდგებოდა ის — ჩვენი შემოქმედი, ღმერთი სამსახოვანი, ჩვენთა ცოდვათა მომნანიებელი ძე რომ მოგვივლინა. და ეს, სამყაროსაგან, ჩემგანაც განყენებული ღმერთი კვლავაც ყინულივით დნებოდა ჩემთა თვალთა წინაშე ისე, რომ მისგან აღარაფერი რჩებოდა, კვლავაც იშრიტებოდა სიცოცხლის წყარო, კვლავ ვეძლეოდი სასოწარკვეთას და ვგრძნობდი, არაფერი დამრჩენოდა თავის მოკვლის მეტი. მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ მე ამის გამკეთებელიც არ ვიყავი.

ორგზის, სამგზის, ათგზის, ასგზის მეორდებოდა მსგავსი მდგომარეობა ჩემი სულისა — თუ სიხარული და გამოცოცხლება, თუ ისევ სასოწარკვეთა და სიცოცხლის გაგრძელების შეუძლებლობის აღიარება.

მახსოვს, ეს ადრიან გაზაფხულზე მოხდა. მე ტყეში მარტო ვიყავი და ტყის ხმაურს ვუგდებდი ყურს. ვუსმენდი და ვფიქრობდი სულ ერთსა და იმავეზე, როგორ ვფიქრობდი, სულ ერთსა და იმავეზე ამ ბოლო სამი წლის მანძილზე. მე ისევ ღმერთს ვეძებდი.

„კეთილი და პატიოსანი, არანაირი ღმერთი არ არსებობს, — ვამბობდი ჩემთვის. არ არსებობს არაფერი, რაც არ [illegible] ჩემს წარმოსახვა, არამედ იქნება სინამდვილე, ისეთივე სინამდვილე, როგორიც მთელი ჩემი ცხოვრება; დიახ, არ არსებობს, და არაფერს, არანაირ სასწაულს არ შეუძლია დაამტკიცოს მისი არსებობა, რადგან ეს სასწაულიც იქნება ჩემი წარმოსახვა, თანაც არაგონივრული".

„მაგრამ ჩემეული გაგება ღვთისა, იმისა, რასაც დავეძებ? — ვეკითხები თავს. — ეს გაგება საიდან ღა მოვიდა?" ამის გაფიქრებაზე ჩემში კვლავ ამოძრავდნენ სიცოცხლის მხიარული ტალღები. ირგვლივ კვლავაც ყველაფერი გაცოცხლდა, ყველაფერმა აზრი შეიძინა. მაგრამ სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. გონება თავის საქმეს განაგრძობდა. „ღმერთის ცნება, — ამბობდა გონება, — ღმერთი არ არის. ცნება არის ის, რაც ჩემში ხდება. აზრი ღმერთის შესახებ არის ის, რისი ჩემში მოხმობაც ან არმოხმობაც ჩემი ნებაა. ეს ის არ არის, რასაც დავეძებ. მე კი იმას დავეძებ, რომლის გარეშეც სიცოცხლე შეუძლებელია". ირგვლივ კვლავ ყველაფერმა კვდომა დაიწყო, კვდომა იწყო ჩემს შიგნითაც და ისევ გამოჩნდა წადილი თავის მოკვლისა.

აი, მაშინ კი ჩავიხედე საკუთარ თავში და დავაკვირდი იმას, რაც ჩემში ხდებოდა; გავიხსენე ამ ხნის მანძილზე ჩემში მიმდინარე ასეულობით კვდომა და გაცოცხლება. გამახსენდა, რომ ვცოცხლობდი მხოლოდ მაშინ, როცა ღმერთი

მწამდა. რაც ადრე იყო, ახლაც ისევე ხდებოდა (ძველებურად ყველაფერი მეორდებოდა). ვუთხარი თავს: საკმარისია ვიწამო ღმერთი და ჩემი სიცოცხლე კვლავ აღდგება, ან დავივიწყო იგი და შევწყვიტო მისი რწმენა, — ჩემი სიკვდილის ჟამიც დგება. რას ნიშნავს ეს ამდენი გაცოცხლება და გარდაცვალება? მე ხომ უკვე აღარ ვცოცხლობ, როდესაც ღმერთის არსებობის რწმენას ვკარგავ და კარგა ხანია თავსაც მოვიკლავდი, რაღაც ბუნდოვანი იმედი მაინც რომ არ კიაფობდეს მისი პოვნისა? მე ხომ ვცოცხლობ, როცა ვგრძნობ და დაველტვი მას. მაშ კიდევ რაღას დავეძებ!? — იყვირა ჩემში ხმამ. — აი, იმას, რის გარეშეც სიცოცხლე შეუძლებელია. იცოდე ღმერთი და იცოცხლო — ეს ერთი და იგივეა, ღმერთი სიცოცხლეა.

„ეძიებდე და ჰპოვებდე ღმერთს, — მაშასადამე, ცოცხლობ და ღმერთიც შენთანაა“. ჩემს გარშემო და ჩემში ყველაფერი ადრინდელზე საოცრად ძლიერად გაბრწყინდა და მას შემდეგ სინათლეს მეტად აღარ დავუტოვებივარ.

ასე გადავრჩი თავის მოკვლას. როდის და როგორ წარიმართა ჩემში ეს გადატრიალება, ამას ვერ გეტყვით. რა შეუმჩნევლადაც, თანდათანობით განადგურდა ჩემს არსებაში სიცოცხლის ძალა და აღმოვჩნდი სიცოცხლის უაზროობის, სიცოცხლის შეჩერების, თვითმკვლელობის მოთხოვნილების წინაშე, ისევე თანდათან, შეუმჩნევლად დამიბრუნდა სიცოცხლის ძალა. უცნაურია, მაგრამ სიცოცხლის ძალა ჩემში რომ აღდგა, ეს ახალი კი არა, ძალზე ძველი ამბავია, ის ძალაა, ჩემი სიცოცხლის გარიჟრაჟზე რომ მიტაცებდა. მე დავუბრუნდი ყოველივეს, რაც ადრე იყო, დავუბრუნდი ბავშვობისა და სიჭაბუკის დროინდელს. მე დავუბრუნდი რწმენას იმის ნებით, რამაც წარმომშვა და ახლა ჩემგან ითხოვდა რაღაცას. მე დავუბრუნდი იმას, — რაც მთავარია, — ჩემს ცხოვრებას. ჩემი ცხოვრების ერთადერთი მიზანი გახდა, ვიყო უკეთესი, ანუ ვიცხოვრო ამ ნების თანახმად; მე დავუბრუნდი იმას, რომ ამ ნების გამოხატულება შემიძლია ვიპოვო იმაში, რაც ჩემგან დაფარულმა შორეთმა გამოიმუშავა მთელი კაცობრიობის სამართავად, ე. ი. მე დავუბრუნდი ღმერთის რწმენას, ზნეობრივ სრულყოფილებასა და თქმულებას, რომლითაც გადმოგვეცა სიცოცხლის საზრისი. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ მაშინ ყოველივე ეს გაუცნობიერებლად მქონდა მიღებული. ახლა კი უკვე ვიცოდი, რომ ამის გარეშე სიცოცხლე არ შემეძლო.

თითქოს ყველაფერი ამგვარად მოხდა: ვერ ვიხსენებ, როგორ ჩამსვეს ნავში და რომელიღაც ჩემთვის უცხო ნაპირიდან გამისტუმრეს მეორე ნაპირისაკენ, გამოუცდელ ხელებში მომაჩეჩეს ნიჩბები და მარტო დამტოვეს. მე, რაც შემეძლო, თავი გამოვიდე — ნიჩბებს ვიქნევდი და მივცურავდი; მაგრამ რაც მეტად ვუახლოვდებოდი მდინარის შუაგულს, დინებაც ძლიერდებოდა და მიზანს მაშორებდა. გზადაგზა ერთმანეთის მიყოლებით სხვა მცურავებიც მხვდებოდნენ, რომლებიც ჩემსავით გაეტაცებინა დინებას. იყვნენ მარტოხელა მცურავებიც, კვლავ რომ აგრძელებდნენ ნიჩბების ქნევას; ისეთებიც შემხვდნენ, ნიჩ-

ბებისთვის რომ შეეშვათ ხელი; ბსვდებოდნენ დიდი ნავები, ხალხით გადაჭედილი ხომალდები; ზოგი მათგანი დინებას ებრძოდა, ზოგიც დამორჩილებოდა მის ნებას. რაც უფრო შორს მივცურავდი და ფსკერს მივჩერებოდი, საითაც მიექანებოდა მოცურავეთა ნაკადი, ჩემს მიმართულებასაც ვივიწყებდი. ნიალვრის შუაგულში, ნავებისა და ხომალდების ჭედვაში, რომლებიც ფსკერისაკენ მიექანებოდნენ, მე სავსებით დავკარგე გეზი და ნიჩბებიც მოვისროლე. ყოველი მხრიდან ჩემს ირგვლივ მხიარულად და ყიჟინით მოქროდნენ იალქნებზე და ნიჩბებზე მოცურავენი დინების დაყოლებით, თან მეც და ერთმანეთსაც არწმუნებდნენ, შეუძლებელია სხვა მიმართულება არსებობდესო. მე დავუჯერე და მათთან ერთად გავაგრძელე ცურვა. ამგვარად გამიტაცეს ტალღებმა შორს, ძალიან შორს, საიდანაც მომესმა ჭორომის ხმაური, რომელშიც უნდა ჩავნთქმულიყავი. დავინახე კიდეც ნავები, უკვე რომ დამსხვრეულიყვნენ. მე გამოვფხიზლდი. დიდხანს ვერ გავრკვეულიყავ, რა ხდებოდა ჩემს თავს. ვხედავდი მხოლოდ უფსკრულს, რისკენაც უთავბოლოდ მივექანებოდი და რისიც ძალიან მეშინოდა. საშველი არსაიდან ჩანდა; აღარ ვიცოდი, რა მელონა, მაგრამ უკან მივიხედე და დავინახე ურიცხვი ნავი, შეუპოვრად რომ ებრძოდნენ დინებას. მე მომაგონდა ნაპირი, ნიჩბები, გეზი და დავიწყე გამოცურვა უკან და ზევით დინების მიმართულებით ნაპირისაკენ.

ნაპირი — იყო ღმერთი, მიმართულება — ერთგულება, ნიჩბები— თავისუფლება, რომელიც მეგოძა ნაპირისაკენ გამოსაცურად და ღმერთთან შესაერთებლად. მაშ ასე, ჩემში კვლავ აღსდგა სიცოცხლის ძალა. მე ხელახლა დავიწყე არსებობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIII

მე ზურგი ვაქციე ჩვენი წრის ცხოვრებას, რადგან ჩავთვალე, რომ იგი ცხოვრება კი არა, ცხოვრებას მიმსგავსებული რალაც იყო და სიუხვე, რომლის პირობებშიც ჩვენ ვიმყოფებით, გვართმევს მისი შეცნობის საშუალებას. ცხოვრების შეცნობისათვის გამონაკლისების, ანუ, ჩვენი, პარაზიტების არსებობის წვდომა არ უნდა სცადო, ვალდებული ხარ შეიცნო უბრალო ხალხის ყოფა, ამ ცხოვრებას რომ ქმნის, და ის აზრი გაიცნობიერო, რომელსაც ის ცხოვრებას ანიჭებს. უბრალო მშრომელი ადამიანი ჩემს გარშემო იყო რუსი ხალხი და მე მივედი მასთან და იმ საზრისთან, რასაც ის ანიჭებს სიცოცხლეს. საზრისი, თუ შეიძლება მისი გამოთქმა, შემდეგია: ქვეყნად ყოველი ადამიანი გაჩნდა ღვთის ნებით, ანუ ღმერთმა ისე შექმნა ადამიანი, რომ მას შეუძლია დაღუპოს სული თავისი ან გადაარჩინოს იგი დაღუპვას. ადამიანის დანიშნულება ამ ქვეყანაზე სულის გადარჩენაა. ეს რომ შეძლოს, უნდა დაემორჩილოს ღვთის ნებას, ანუ იცხოვროს ღვთის ნების თანახმად. ამისათვის კი საჭიროა ეარი თქვას უამრავ სიამეზე, რომელსაც ცხოვრება სთავაზობს, — იშრომოს, შეურიგდეს სიძნელეებს, იყოს თვინიერი და შემწყალე. საზრისს ხალხი შეისრუტავს საღვთო სჯულიდან, წმინდა წერილის სახით რომ მიიღეს მოციქულებისაგან და ძველი თქმულებიდან, რომელიც ხა-

ლხში ცოცხლობდა და ლეგენდებსა, ანდაზებსა და გადმოცემებში გამოითქმოდა. საზრისი ესე ნათელი და მახლობელი იყო ჩემი გულისათვის, თუმცა ხალხის ამ საზრისის რწმენასთან განუყრელად იყო დაკავშირებული არასტაროვერული რწმენის ადამიანთა შორის, ვის წრეშიც მე ვიმყოფებოდი, დამკვიდრებული ბევრი ისეთი რამ, რომელიც ხელსა მკრავდა და აუხსნელად წარმომიდგებოდა: ეს გახლავთ ალსარების საიდუმლო, საეკლესიო ღვთისმსახურება, მარხვის შენახვა, წმინდანებისა და ხატების თაყვანისცემა. მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ხალხს არ ძალუძს, არ ძალმიძდა იგი არც მე და თუმცა ბევრი რამ, რაც ხალხის რწმენად მოიაზრებოდა, მეტისმეტ უცნაურობად მეჩვენებოდა, მაინც ვაღიარე და მივიღე ყოველივე, — ვესწრებოდი წირვას, ვლოცულობდი დილას და საღამოს, ვმარხულობდი და პირველ ხანებში ჩემი გონება ამას არ ეურჩებოდა, — რაც მანამდე შეუძლებლად მიმაჩნდა, ის დღეს ჩემში წინააღმდეგობას აღარ იწვევდა.

ამჟამინდელი და მაშინდელი ჩემი დამოკიდებულებები რწმენის მიმართ სავსებით განსხვავდებოდნენ. უწინ თავად ცხოვრება მეჩვენებოდა აზრით აღსავსედ, რწმენა კი სრულიად უსარგებლო, უგუნური და ცხოვრებისაგან მოწყვეტილი დებულებების დაჟინებულ მტკიცებად. იმჟამად თავს ვეკითხებოდი, რა აზრი გააჩნიათ ამ დებულებებს-მეთქი და როცა ვირწმუნე, ეს აზრი მათ არ გააჩნდათ, მშვიდად უკუვაგდე ისინი. მაგრამ დღეს შებრუნებით იყო — მყარად ვიცოდი, რომ ჩემს სიცოცხლეს არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს რაიმე აზრი, და რწმენის დებულებები არათუ უსარგებლოდ არ მეჩვენა, უდავო გამოცდილებით მივედი იმ დასკვნამდე, რომ სიცოცხლეს სწორედ ესენი ანიჭებენ აზრს. ადრე მათ ისე ვუცქეროდი, როგორც უსარგებლო (тарабаракую) სიგელ-გუჯარს, დღეს კი, თუ არ მესმოდა, ვიცოდი მაინც, რომ მათში იდო აზრი და თავს მოვუწოდებდი, ვცდილიყავ მათს ჩაწვდომას.

ყოველივე ამის თაობაზე ასეთი ანალიზი გავაკეთე. თავს ვეუბნებოდი: სარწმუნოების ცოდნა, როგორც კაცობრიობის არსებობა თავისი გონით, გამომდინარეობს საიდუმლო საწყისისაგან. საწყისი იგი არის ღმერთი, საწყისი კაცობრიული სხეულისა და გონისა. ღმერთისაგან მემკვიდრეობით მოვიდა ჩემთან ჩემი სხეული, ასევე ჩემი გონებაც და სიცოცხლის წვდომის ნიჭიც, ამიტომაც სიცოცხლის წვდომის ნიჭის განვითარების, მისი გაფართოების, ზრდისა თუ მატების ყველა საფეხური შეუძლებელია იყოს ტყუილი, სიცრუე. ყოველივე, რაც ადამიანებს ჭეშმარიტებად უწამებიათ, უსათუოდ უნდა იყოს ჭეშმარიტება. იქნებ ეს ჭეშმარიტება განსხვავებულად გამოიხატებოდეს, მაგრამ სიცრუე არ შეიძლება იყოს, და ამიტომ, თუკი მე იგი სიცრუედ წარმომიდგება, ეს მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ მე ვერ ვწვდები მას. გარდა ამისა, თავს ერთ რამესაც ვეუბნებოდი: ყოველგვარი რწმენის არსი ის არის, რომ იგი სიცოცხლეს ანიჭებს ისეთ აზრს, რასაც სიკვდილი ვერ აცამტვერებს. იმისათვის რათა რწმენამ შეიძლოს პასუხის გაცემა სიცოცხლის ერთადერთ მარადიულ კითხვაზე: „რისთვის ვცოცხლობ, რა აზრი აქვს ჩემს სიცოცხლეს?“ და ამ პასუხით მოახერხოს, კმაყოფილება მოჰგვაროს სიმდიდრით მორჭმულ მომაკვდავ მე-

ფეს, შრომით დამაშვრალ ხანდაზმულ მონას, უგუნურ ბავშვს, ბრძენ მოხუცს, ჭკუათხელ დედაბერს, ყმაწვილის ვნებით შეცბუნებულ ბედნიერ ახალგაზრდა ქალს, ცხოვრების მრავალგვარ სიტუაციაში მოქცეულ და სხვადასხვა განათლების მქონე ყოველ ადამიანს, დიახ, — ბუნებრივია, თუკი არსებობს ერთადერთი პასუხი იმ ერთადერთ კითხვაზე, პასუხი იგი, თავისი არსის ერთადერთობის მიუხედავად, უსასრულოდ მრავალფეროვნად უნდა გამოითქმოდეს; და რაც უფრო ერთადერთი, ჭეშმარიტი და ღრმაა ეს პასუხი, ისიც ბუნებრივია, რომ მით უფრო უცნაური და უსახური იყოს თავისი გამოთქმის თუ გამოხატვის მცდელობისას ყოველი ადამიანის განათლებისა და განსხვავებული ცხოვრების პირობების შესაბამისად. მაგრამ ანალიზი, რომელიც მიზნად ისახავდა ჩემს თვალში რწმენის საწესჩვეულებო მხარის უცნაურობის გამართლებას, სრულიადაც არ იყო საკმარისი საიმისოდ, რათა თავად მე ჩემი ცხოვრების ერთადერთ საქმიანობაში — რწმენაში უფლება მიმეცა საკუთარი თავისათვის, ისეთი რამ მომემოქმედებინა, რაშიც თვითონ მეპარებოდა ეჭვი. მე მთელი ჩემი სულიერი ძალისხმევით განწყობილი ვიყავ შევრწყმოდი ხალხს და გულწრფელად მწადდა შემესრულებინა მისი რწმენის საწესჩვეულებო მხარე; მაგრამ საამისოდ ძალა არ შემწევდა, რადგან ვგრძნობდი, რომ ვიცრუებდი საკუთარი თავის წინაშე, და თუკი ამას გავაკეთებდი, დავცინებდი ყველაფერს, რაც ჩემთვის წმიდათაწმიდა იყო. ამ მდგომარეობაში რომ გახლდით, ჩემს დასახმარებლად გამოემართნენ ჩვენი ახალი საღვთისმეტყველო თხზულებანი.

ამ ღვთისმეტყველთა განმარტებით რწმენის უმთავრეს დოგმატს წმინდა ეკლესია წარმოადგენს. ამ დოგმატის მრწამსიდან, როგორც აუცილებელი შედეგი, გამომდინარეობს ჭეშმარიტება ყოველივე, რასაც წმინდა ეკლესია აღიარებს. ეკლესია, როგორც მორწმუნეთა სიყვარულის ნიადაგზე გაერთიანებული საკრებულო და, მაშასადამე, — ჭეშმარიტი ცოდნის მატარებელი, გახდა ჩემი რწმენის საფუძველი. მე ვეუბნებოდი საკუთარ თავს, რომ შეუძლებელია ღვთაებრივი ჭეშმარიტება მისაწვდომი იყოს ცალკეული ადამიანისათვის, იგი გაცხადდება ოდენ ადამიანთა ერთობლიობის წინაშე, რომელსაც სიყვარული აერთიანებს. ჭეშმარიტებას რომ ჩასწვდე, არ უნდა დანაწევრდე, ხოლო რომ არ დანაწევრდე, უნდა გიყვარდეს და შეურიგდე იმას, რასაც არ იზიარებ. ჭეშმარიტება ცხადდება სიყვარულის წინაშე, ამიტომ თუკი არ ემორჩილები ეკლესიის დადგინებათ, სიყვარულსაც უკუაგდებ. სიყვარულის უკუგდებით კი გერთმევა ჭეშმარიტების შეცნობის უნარი. მაშინ ამ მსჯელობაში მე სოფიზმს ვერ ვხედავდი. მაშინ ვერა ვხედავდი იმას, რომ ერთიან სიყვარულს ძალუძს მოგვანიჭოს უდიდესი სიყვარული და არა ღვთაებრივი ჭეშმარიტება, განსაზღვრული სიტყვებით რომ გამოითქმის ნიკეის სიმბოლოში; ვერც იმას ვხედავდი, რომ სიყვარულს არ ხელეწიფებოდა ჭეშმარიტების აშკარა გამოხატულება ერთიანობის აუცილებლობად (ქვაკუთხედად) ექცია. მაშინ ამ მსჯელობის უზუსტობასაც ვერ ვამჩნევდი და მისი წყალობით შევძელი მიმეღო და შემესრულებინა მართლმადიდებლური ეკლესიის დადგენილი წესები იმგვარად, რომ მათი უმეტესობა არც

კი მესმოდა. მთელი ჩემი სულიერი ძალებით მე ვცდილობდი თავი დამეღწია ყოველგვარი მსჯელობისაგან, წინააღმდეგობათაგან და, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, იმ საეკლესიო დადგინებათა გონივრულობა დამენახა, რომელთა შესრულებაც მიწევდა მაშინ.

საეკლესიო საწესჩვეულებო მხარეთა აღსრულებისას გონება ჩემი მოვათვინიერე და საკუთარი თავი დავუმორჩილე იმ გადმოცემას, რომელსაც ფლობდა სრულიად კაცობრიობა. მე შევუერთდი ჩემს წინაპრებს — საყვარელ მშობლებს, ბაბუებსა და ბებიებს. მათაც და ყველა ჩემს წინაპარსაც სწამდათ და ცოცხლობდნენ, ცოცხლობდნენ და მეც გამაჩინეს. შევუერთდი ფრიად პატივსაცემ მილიონობით ადამიანს ხალხის წიაღიდან მით უმეტეს, რომ თავად ეს ქმედებანი საჩოთიროს არაფერს შეიცავდნენ (საჩოთიროდ ავხორცობათა წაქეზებას მივიჩნევდი). და დილით, უთენია რომ ვდგებოდი და წირვაზე მივიჩქაროდი, ვიცოდი, კარგად ვიქცეოდი თუნდაც იმიტომ, რომ საკუთარი გონების სიამაყის დამორჩილებით, წინაპრებთან და თანამედროვეებთან შერწყმით სიცოცხლის საზრისის ძიების სახელით მე მსხვერპლად მიმქონდა ჩემი ხორციელი სიამოვნებანი. ამასვე განვიცდიდი დიდმარხვისას, ლოცვების კითხვისას და ლიტანიისას, აგრეთვე ყოველი მარხვის შენახვისას. როგორი უმნიშვნელოც არ უნდა ყოფილიყო ეს შესაწირავი, ეს იყო შეწირულობა კარგის სახელით, ანუ დიდი სიკეთე. მე საგანგებოდ ვემზადებოდი აღსარებისა და ზიარებისთვის, ვლოცულობდი სახლსა თუ ეკლესიაში. საეკლესიო წირვის მოსმენისას ყოველ სიტყვას ვულრმავდებოდი, ვცდილობდი, როგორც კი შემეძლო, ყოველი მათგანისათვის მიმენიჭებინა აზრი. ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვები ლიტურგიისას, ჩემი აზრით, იყო: „ვიყურებოდით ურთიერთერთს [illegible] რაითა ერთობით აღვიარებდეთ [illegible] მომდევნო სიტყვებს: „აღვიარებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“ — ვტოვებდი, რამეთუ მათი აზრი მე არ მესმოდა.

XIV

სიცოცხლე რომ გამეგრძელებინა, ჩემთვის ისე საჭირო იყო რწმენა, რომ გაუცნობიერებლად საკუთარ თავს ვუმალავდი კიდეც სარწმუნოებრივ მოძღვრებაში აღჩენილ წინააღმდეგობრიობასა და ბუნდოვანებას. მაგრამ სარწმუნოების საწესჩვეულებო მხარეთა ამგვარ გააზრებას მალე დაედო ზღვარი. თუკი ეკტენიის' უმთავრესი სიტყვები „მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ“ — სულ უფრო გასაგები ხდებოდა ჩემთვის, თუკი ასე თუ ისე ვახერხებდი შემდეგი სიტყვების ახსნას: „ყოვლად წმიდასა დედუფალსა ჩუენსა ღვთისმშობელსა და ყოველთა წმიდათა მოვიხსენებდეთ და თავნი თვისნი და ურთიერთარს და ყოველი ცხოვრება ჩვენი ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა შეეეედროთ“, — თუკი ჩემთვის გასაგები და მისაღები იყო მეფისა და მისი ახლობლების საცხონებელი ლოცვების ხშირი გაბეორება, რამეთუ ისინი ჩვეულებრივ მორწმუნეებთან შედარებით იოლად ექვემდებარებიან ცდუნებას, ვნებას, ცოდვას და ამიტომაც მომეტებულად საჭიროებენ მათთვის სულის საცხონებელი ლოცვების აღვლენას, სამაგიეროდ ორი მესამედი

მთელი წირვისა ან სრულიად აუხსნელი იყო ჩემთვის ანდა ვგრძნობდი, რომ, მის ახსნას როცა ვცდილობდი, ვცრუობდი და ამით ვახადგურებდი ღმერთისადმი ჩემს დამოკიდებულებას და, მაშასადამე, სრულიად ვკარგავდი, ვეთხოვებოდი რწმენის ყოველგვარ შესაძლებლობას. ასეთი ლოცვები წირვისას იყო „დაუმორჩილენ ქვეშე ფერხთა მათთა ყოველნი მტერნი და მბრძოლნი მათნი“... თუკი მათ ახსნას შევეცდებოდი იმგვარად, რომ მტერი ბოროტებაა, — ხოლო ღვთისმშობლის სადიდებელი „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა“... არს პრასკომედიის მთელი საიდუმლო ანდა ლოცვა — „მტკიცესა მხედართმთავარსა“ და ა. შ.

ამასვე განვიცდიდი უმთავრეს დღესასწაულთა დღეებში. შაბათის ხსოვნა ან უფლისადმი მიმართვისათვის ერთი დღის მიძღვნის არსი კარგად მესმოდა, მაგრამ მთავარი დღესასწაული მკვდრეთით აღდგომის მოგონება გახლდათ, რომლის ნამდვილობის წარმოდგენა და გაგება ჩემს ძალებს აღემატებოდა. მით უფრო, რომ მკვდრეთით აღდგომის სახელით (воскресение) იწოდება ყოველკვირეული საღღესასწაულო დღე (воскресенье). ამ დღეებში სრულდება ევქარისტიის[1] საიდუმლო, რაც აგრეთვე სრულიად ჩაუწვდომი იყო ჩემთვის. დანარ-

---

1. ეკტენია (ბერძნ. — გულმოდგინეობა, სიბეჯითე) — ლოცვათა ერთობლიობა, რომელსაც მრევლის სახელით კითხულობს დიაკონი ან მღვდელი და შეიცავს უფლისადმი მიმართვასა და ვედრებას.

1. ევქარისტია (ბერძნ. — eucharistia — იგივეა, რაც ზიარება.

ჩენი თორმეტი დღესასწაული, შობის გარდა, არის მოგონებები სასწაულებზე, ყოველივე იმაზე, რაზედაც არ მინდა ვიფიქრო, რათა არ უარვყო ისინი. ეს დღესასწაულებია: ამაღლება, სულთმოფენობა, ნათლისღება, საფარველი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელისა და ა. შ. ამ დღესასწაულების აღნიშვნისას მე ვგრძნობდი, რომ მნიშვნელობა იმას ენიჭება, რასაც ჩემთვის სრულიად საპირისპირო აზრი გააჩნია, და ამიტომ ჩემს დამამშვიდებელ ახსნას ვიგონებ ხოლმე, ანდა თვალს ვხუჭავ და არ მინდა დავინახო ის, რაც ცდუნებას მგვრის.

მომეტებული სიძლიერით ასეთი განცდა მაშინ მეუფლებოდა, როცა ყველაზე ჩვეულებრივ, მარად უმთავრესი მნიშვნელობის მატარებელ საიდუმლოთა აღსარებაში ვიღებდი მონაწილეობას. ლაპარაკია ნათლობასა და ზიარებაზე. აქ რაიმე გაუგებარი კი არა, სავსებით გასაგები ქმედებების შესრულება მიხდებოდა, რომლებიც მაცდუნებლად მეჩვენებოდნენ და მე მათი აღსრულებისას ვიდექი დილემის წინაშე, — ან უნდა მეცრუა, ან უარმეყო ისინი.

არასოდეს დამავიწყდება ის მტანჯველი გრძნობა, რომელიც განვიცადე იმ დღეს, როცა რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ პირველად ვეზიარე. წირვა, აღსარება, წესები — ყოველივე გასაგები იყო ჩემთვის და სიხარულის შეგნებით მავსებდა, რამეთუ აშკარად ვხედავდი ჩემი სიცოცხლის საზრისს. თვით ზიარება, ჩემი რწმენით, იყო მოქმედება, რომელიც აღსრულდა ქრისტეს მოგონებაში და ნიშნავდა ცოდვათაგან განწმენდასა და ქრისტეს მოძღვრების სრულყოფილ დაუფლებას. თუკი ასეთი გაგება იყო ხელოვნური, მე ვერ ვამჩნევდი ამ

ხელოვნურობას. და მე ისეთ სიხარულს მგვრიდა თავდადრეკილი, მორჩილი დგომა უბრალო, მოკრძალებული მღვდლის წინაშე, ჩემი სულის მთელი სიბილწის ამოყირავება, საკუთარ მანკიერებათა მონანიება, ისეთი სიხარულის მომგვრელი იყო აზრით შერწყმა მამათა მისწრაფებებთან, რომლითაც ისინი კანონთა ლოცვებს წერდნენ, ისე მახარებდა მქადაგებელთა და მორწმუნეთა ერთობა, რომ ვერც კი ვგრძნობდი ჩემი აღქმის არაბუნებრიობას. მაგრამ როგორც კი საკურთხევლის კართან დავდექი და მოძღვრის მოთხოვნით გავიმეორე, — მწამს, რასაც ახლა მე გადავყლაპავ, ჭეშმარიტად ხორცი და სისხლია-მეთქი, გულში ხანჯალივით რაღაც დამეტაკა; არ შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ყალბი ტონი, — ეს იყო სასტიკი მოთხოვნა ვილაცისა, ვინაც, აშკარა იყო, არც არასოდეს იცოდა, რა იყო რწმენა.

მე ახლა ვაძლევ თავს იმის თქმის უფლებას, ეს სასტიკი მოთხოვნა იყო-თქო, თორემ მაშინ ამაზე არც მიფიქრია. მაშინ მე მხოლოდ გამოუთქმელი ტკივილი ვიგრძენი. უკვე აღარ გახლდით ახალგაზრდა, როდესაც ცხოვრებაში ყველაფერი ნათელი სახით მეჩვენებოდა; რწმენასთან ხომ მე იმიტომ მივედი, რომ თვინიერ რწმენისა ველარაფერი ვპოვე, ოდენ წარწყმედისა, ამიტომაც არ შემეძლო მისი უარყოფა და მეც დავმორჩილდი. მე საკუთარ სულში ვიპოვე გრძნობა, რომელიც დამეხმარა ამის გადალახვაში. ეს იყო თავდადრეკისა და სიმშვიდის გრძნობა. მე თვინიერად, თავდადრეკით გადავყლაპე ეს სისხლი და ხორცი, გადავყლაპე უდრტვინველად, შეურაცხყოფის განუცდელად, დიდი სურვილით — მერწმუნა ყოველივე, მაგრამ დარტყმა სულზე უკვე აღსრულებული იყო. და წინასწარვე რაკი ვიცოდი, რაც მელოდა მომავალში, მეორედ წასვლა ზიარებაზე მეტად უკვე აღარ შემეძლო.

მე კვლავაც ვაგრძელებდი საეკლესიო წეს-ჩვეულებათა ძველებურად შესრულებას, კვლავაც ისევე მწამდა, რომ საღვთო სჯული, მოძღვრება, რომელსაც ვალიარებდი, იყო ჭეშმარიტება, და ისეთი რამ დამემართა, რაც ახლა კარგად მესმის, მაგრამ მაშინ უცნაურობა მეჩვენა.

მე ვისმენდი გაუნათლებელი, ტლუ-მწირის საუბარს ღმერთის, რწმენის, ცხოვრების, სულის ხსნის შესახებ და ცოდნა რწმენისა განცხადდა ჩემს წინაშე. მე დავუახლოვდი ხალხს, ვისმენდი მათს მსჯელობათ სიცოცხლის, რწმენის არსზე და უფრო მეტად და უკეთ ვხვდებოდი ჭეშმარიტებას. ასე იყო, თთვენისა და სვინაქსარების კითხვისას. ისინი ჩემი უსაყვარლესი საკითხავი გახდნენ. სასწაულებს თუ გამოვრიცხავდი და შევხედავდი მათ, როგორც ულრმესი აზრის გამომხატველ ფაბულას, ეს საკითხავი სიცოცხლის საზრისს ცხადყოფდა. აქ იყო ცხოვრებანი მაკარი დიდისა, მეფისწული იოდასაფისა (ბუდას ისტორია), ამბავი იოანე ოქროპირისა, სიტყვები ჭაში ჩავარდნილი მგზავრის შესახებ, ოქროს მპოვნელი ბერისა, მეზვერე პეტრესი; იყო ცხოვრება წამებულთა), რომლებიც ერთხმად აცხადებენ, რომ სიკვდილი გამორიცხავს სიცოცხლესო; იქ იყო ამბები ცხონებულ უწიგნურთა, ბრიყვებისა, რომელთაც არაფერი უწყოდნენ საეკლესიო მოძღვრების თაობაზე.

მაგრამ საკმარისი იყო სწავლულ მორწმუნეთ შევხვედროდი ან ხელში ამეღო მათი წიგნები, რომ ჩემში

მაშინვე წამოყოფდა თავს რაღაც დაეჭვება საკუთარი თავის მიმართ, იფეთქებდა უკმაყოფილება და გაავება საკამათოდ. და მე ვგრძნობდი, რომ რაც უფრო ვუღრმავდებოდი მათ საუბარს, უფრო მეტად ვშორდებოდი ჭეშმარიტებას და უფსკრულისაკენ მივექანებოდი.

XV

რამდენჯერ შემშურვებია გლეხებისა მათი გაუნათლებლობისა და უწიგნურობის გამო. სარწმუნოების ის დებულებები, ჩემთვის რომ აშკარა უაზრობებს შეიცავდნენ, მათთვის არანაირ სიცრუეს არ წარმოადგენდნენ. მათ არ უჭირდათ მიეღოთ ის დებულებები და სწამდათ ჭეშმარიტება, რომელიც მეც მწამდა, ოღონდ მე, უბედურს, ნათლად მესმოდა, რომ ჭეშმარიტება უფაქიზესი ძაფებით სიცრუესთანაა გადახლართული და ამ სახით მისი აღიარება არ შემიძლია.

ასეთ ცხოვრებაში გავიდა სამი წელი და პირველ ხანებში, როცა გახელებულივით მივადგებოდი ჭეშმარიტებას, რისკენაც მარტო გუმანის კარნახით მივისწრაფოდი, მასთან შეხვედრა მაინცადამაინც არ მაკვირვებდა. თუკი რაიმეს ვერ ჩავწვდებოდი, თავს ვეტყოდი: „დამნაშავე ვარ, სულელი ვარ-მეთქი". მაგრამ რაც უფრო მავსებდა ეს ჭეშმარიტება და რაც უფრო მკვიდრად იქცეოდა იგი ჩემი სიცოცხლის საყრდენად, უფრო მძიმე და საკვირველი იყო შეხვედრა იგი და ის ხაზიც მკვეთრდებოდა, რომელიც არსებობს იმასა, რაც მე არ მესმოდა, რაკი მისი გაგების თავი არა მქონდა, და იმას შორის, რასაც ისე ვერ გაიზიარებ, საკუთარი თავის წინაშე თუ არ იცრუებ.

მე ამ ეჭვებისა და სატანჯველის მიუხედავად, კვლავაც მართლმადიდებლად ვრჩებოდი. მაგრამ ეამიჟამ თავს წამოყოფდნენ ისეთი ცხოვრებისეული საკითხები, რომელთა გადაჭრა [illegible] ხდებოდა, ხოლო მათი ახსნა ეკლესიურად, რაც ჩემი რწმენის საფუძვლებს უკუაგდებდა და რითაც მე ვცხოვრობდი, — საბოლოოდ მაიძულებდა უარი მეთქვა მართლმადიდებლობასთან კავშირის შესაძლებლობაზე. პირველ რიგში, ეს იყო მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობის საკითხი სხვა ეკლესიებთან, — კერძოდ, კათოლიკობასთან და ე. წ. გამთიშველებთან, ანუ სტაროვერებთან. რწმენისადმი ჩემი ინტერესების შედეგი იყო, რომ სწორედ ამ ხანებში დავუახლოვდი სხვადასხვა აღმსარებლობის მატარებელ მორწმუნეთ: კათოლიკეებს, პროტესტანტებს, სტაროვერებს, მალაკნებსა და სხვებს. ბევრი იყო მათ შორის მაღალი ზნეობისა და ჭეშმარიტი რწმენის მატარებელი და მე მინდოდა ამ ადამიანებთან მქონოდა ძმური ურთიერთობა, მაგრამ სულ ტყუილად. აქედან არაფერი გამოვიდა. ის მოძღვრება, რომელიც სიყვარულითა და ერთიანი რწმენით შეკავშირებას აღმითქვამდა, თავის საუკეთესო წარმომადგენელთა პირით მეუბნებოდა, რომ ეს ადამიანები სიცრუის ქვეშ იმყოფებიან და ის, რაც მათ სიცოცხლის ძალას ანიჭებს, ეშმაკის საცდურია, რომ მხოლოდ ჩვენა ვფლობთ ერთიან შესაძლებელ ჭეშმარიტებას; დავინახე, რომ, ვინც ჩვენს რწმენას არ იზიარებს, მართლმადიდებელნი ერეტიკოსებად თვლიან სწორედ ისევე, როგორც კათოლიკეები და სხვები თვლიან მართლმადიდებლობას ერეტიკოსობად. დავინახე, რომ

ვინაც, მართლმადიდებლებივით, გარეგნული სიმბოლოებითა და სიტყვებით არ აღიარებს თავის რწმენას, თვით მართლმადიდებლობა, თუმცა კი ცდილობს ამის დამალვას, მტრულად ეკიდება მას, როგორც უნდა იყოს კიდეც სინამდვილეში, რადგან, ჯერ ერთი, მტკიცება იმის შესახებ, შენ სიცრუეს ქადაგებ, მე კი ჭეშმარიტებასო, არის ყველაზე ულმობელი სიტყვა, რომელიც შეიძლება ერთმა ადამიანმა უთხრას მეორეს, და კიდევ იმიტომ, რომ ადამიანს, რომელსაც უყვარს თავისი შვილები და ძმები, არ შეუძლია მტრულად არ მოეპყროს სხ[illegible] ადამიანს, ვისაც სურს მისი შვილები და ძმები მოაქციოს ცრუ რწმენაზე. ეს მტრობა ძლიერდება საღვთისმეტყველო ცოდნის გაძლიერებულად დაუფლებისას. მე კი, ვისაც მეგონა ჭეშმარიტება ერთიან სიყვარულში არის-მეთქი, უნებურად თვალი მომჭრა იმან, რომ საღვთო მოძღვრება ამსხვრევს მას, რასაც თავად უნდა გვანიჭებდეს.

ეს საცდური აშკარაა, ისეთი აშკარა, რომ ჩვენ, განათლებული ადამიანები, რომლებიც ვცხოვრობთ იმ ქვეყნებში, სადაც სხვადასხვა მრწამსს აღიარებენ და თვალნათლივ ვამჩნევთ, რა ზიზღით, რა თავდაჯერებულად და შეუპოვრად უარყოფს კათოლიკე მართლმადიდებელსა და პროტესტანტს, მართლმადიდებელი — კათოლიკესა და პროტესტანტს, ხოლო თავის მხრივ პროტესტანტი — ორივე მათგანს, ვამჩნევთ ასეთსავე დამოკიდებულებას სტაროვერებსა, პაშკოველებსა, შეკერებსა და ყველა სხვა აღმსარებელთა შორის, რომ საგონებელში ვექცევით: შეუძლებელია ეს ასე უბრალოდ ხდებოდეს და ადამიანები კი ვერ ამჩნევდნენ, რომ თუკი ორი მტკიცება ერთიმეორეს უარყოფს, მაშინ არც ერთსა და არც მეორეში არ არის ერთიანი ჭეშმარიტება, როგორიც უნდა იყოს რწმენა თავისთავად. აქ რაღაც არის, დიას, არის რაღაც გასაღები — ახსნა-მეთქი, — ასე ვფიქრობდი და შევუდექ მის ძებნას. ვკითხულობდი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ყველაფერს ამ საგანზე. ვესაუბრებოდი ყველას, როცა შემთხვევა მომეცემოდა, მაგრამ გასაღები იგი მე ვერ ვიპოვე. ერთადერთი პასუხი იყო ის, რასაც სუმელი ჰუსარები გაიძახიან ხოლმე თავიანთ პოლკზე — მსოფლიოში პირველ პოლკად რომ აღიარებენ მას ყვითელი ულანების საპირისპიროდ, რომლებიც თავიანთ პოლკს მიიჩნევენ საუკეთესო პოლკად. სხვადასხვა აღმსარებლობის სასულიერო პირების საუკეთესო წარმომადგენლებმაც კი გარკვევით ვერაფერი მითხრეს ამის თაობაზე იმის მეტი, რომ სწამთ, რომ ისინი (თავად) არიან ჭეშმარიტებაში, ხოლო სხვანი კი შეცდომილნი, რომ მ ა თ მხოლოდ ის შეუძლიათ, ილოცონ ი მ ა თ ი სულების გადარჩენისთვის. ბევრი ვიმოგზაურე — მოვინახულე არქიმანდრიტები, არქიელები, ბერები და სქიმონები, ვეკითხებოდი ყველას, მაგრამ ვერავინ ამიხსნა ამ საცდურის არსი. მხოლოდ ერთი მათგანი შეეცადა ყველაფრის განმარტებას, ოღონდ იმგვარად, რომ მას შემდეგ აღარავისთვის აღარაფერი მიკითხავს.

მე ვამბობდი, რომ ყველა ურწმუნოს, რომელსაც სურს მოიქცეს მორწმუნედ (და ამგვარად იქცევა ჩვენი ახალგაზრდობა), დღეს ეს კითხვა მიაჩნია უმთავრეს საკითხად: რატომ არ არის ჭეშმარიტება ლუთერანობაში, კათოლიკობაში და არის მართლმადიდებლობაში? ის უბრა-

ლო გლეხი ხომ არ არის, გიმნაზიაში სწავლობს და შეუძლებელია არ იცოდეს, პროტესტანტიც და კათოლიკეც სწორედ ასევე რომ გვარწმუნებენ თავიანთი მრწამსის ჭეშმარიტებაში. ისტორიული ფაქტები, რომლებიც ყველა აღმსარებლობას სათავისოდ აქვს მომარჯვებული, საკმარისი არ არის. ნუთუ არ შეიძლება, — ვამბობდი მე, — მოძღვრებას შევხედოთ სიმაღლიდან განსხვავებანი, როგორც უჩინარდებიან ისინი ჭეშმარიტი მორწმუნის თვალში? ნუთუ შეუძლებელია რათა ამ სიმაღლიდან ისევე გაქრნენ იმ გზის გაგრძელება, სტაროვერებთან ერთად რომ მივუყვებით? სტაროვერები ხომ ამტკიცებდნენ, ჯვარი, ალილუია და საკურთხევლის გარშემო მსვლელობა ჩვენთან განსხვავებულიაო. ჩვენ მათ ვუთხარით: თქვენ გწამთ ნიკეის სიმბოლო, შვიდი საიდუმლო. ეს ჩვენცა გვწამს. მაშ, მოდით და, ეს დავიცვათ, ხოლო სხვა დანარჩენი, როგორცა გსურთ, ისე გააკეთეთ. ჩვენ გავერთიანდით მათთან იმით, რომ სარწმუნოებაში არსებითი დავაყენეთ არაარსებითზე მაღლა. განა შეუძლებელია, ახლა ასევე ვუთხრათ კათოლიკეებს?... თქვენ გწამთ ეს და ეს და ა. შ. ანუ მთავარი, ხოლო *filioque*-სა და პაპთან მიმართებაში ის გააკეთეთ, როგორც ეს თქვენ გწადიათ. განა არ შეიძლება ასევე უთხრან მათ პროტესტანტებს, ვისთანაც მთავარში არიან ერთიანნი? ჩემი მოსაუბრე დაეთანხმა ჩემს მოსაზრებათ, თუმცა ისიც მითხრა, რომ ამგვარი დათმობები აღმოჩნდება მიზეზი სულიერ ხელისუფალთა მიმართ გამოთქმული საყვედურებისა წინაპართა რწმენისაგან განდგომისა გამო, და გამოიწვევს დანაწევრებას, სულიერი ხელისუფლების დანიშნულება კი არის წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული ბერძნულ-რუსული მართლმადიდებლობის სიწმინდის დაცვა.

ახლა კი ყველაფერი გავიგე. მე ვეძებ რწმენას, სიცოცხლის ძალებს, ისინი კი ეძიებენ საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანურ ვალდებულებათა ხალხის წინაშე აღსრულების საუკეთესო საშუალებებს, გზებს. და ამ ადამიანურ საქმეებს რომ აღასრულებენ, აღასრულებენ მათ ადამიანურად. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ თავიანთ წუხილზე შეცდომილ ძმათა შესახებ და ლოცვებზე, რომელთაც მათი სულების გადასარჩენად აღავლენენ უფლის საკურთხეველთან, — ადამიანურ საქმეთა განხორციელებისთვის საჭიროა ძალდატანება და იგი ყოველთვის გამოიყენებოდა, დღესაც გამოიყენება და კვლავაც იქნება გამოყენებული. თუკი ორი სხვადასხვა აღმსარებლობა თავის თავს ჭეშმარიტებაში მოიაზრებს, ხოლო მეორეს სიცრუეში, მაშინ, როდესაც ცდილობენ თავიანთი ძმები ჭეშმარიტებაში მოაქციონ, ამას საკუთარი აღმსარებლობის ქადაგებით ცდილობენ. ხოლო, როცა ცრუ მოძღვრება ექადაგება ეკლესიის გამოუცდელ შვილებს, რომლებიც ჭეშმარტებაში იმყოფებიან, მაშინ ამ ეკლესიას არ ძალუძს არ დაწვას წიგნები, არ მოიკვეთოს ადამიანი, რომელიც მის შვილებს აცდუნებს. როგორ უნდა მოვეპყროთ, მართლმადიდებლობის აზრით, იმ კოცონში დანთქმულ ცრუმორწმუნე სექტანტს, რომელიც ადამიანის სიცოცხლის უმნიშვნელოვანეს საქმეში — რწმენაში — აცდუნებს ეკლესიის შვილთ? მაშ როგორ მოვექცეთ

მათ — არ მოვკვეთოთ თავი, არ ჩავაგდოთ დილეგში? ალექსეი მიხეილის ძის ეპოქაში კოცონზე სწვავდნენ, ანუ ზოგჯერ იყენებდნენ სასჯელის უმაღლეს ზომას; ჩვენს დროშიც მიმართავენ უმაღლეს ზომას სასჯელისას — განმარტოებულ საკნებში ამწყვდევენ. დიახ, მე ყური მივაპყარ იმას, რას სჩადიან სარწმუნოების სახელით, და ძრწოლამ ამიტანა — თითქმის სრულიად ვაქციე ზურგი მართლმადიდებლობას. ცხოვრებისეულ საკითხებთან ეკლესიის ურთიერთობის მეორე მხარე გახლდათ დამოკიდებულება ომისა და სასჯელის მიმართ.

სწორედ ამ დროს დაიწყო რუსეთში ომი. ქრისტიანული სიყვარულის სახელით რუსებმა ხელი მიჰყვეს თავიანთი ქრისტესმიერი ძმების ხოცვა-ჟლეტას. შეუძლებელია, არ იფიქრო ამაზე, შეუძლებელია არ დაინახო, რომ კაც კვლა ბოროტებაა, რომელიც ყოველგვარი რწმენის უპირველეს საფუძვლებს ეწინააღმდეგება. ამავე დროს ეკლესიებში აღავლენდნენ ლოცვებს ჩვენი იარაღის სადიდებლად და სარწმუნოების მქადაგებელნი კაცთაკვლას რწმენიდან მომდინარე საქმედ მიიჩნევდნენ. მე გაფაციცებით ვადევნებდი თვალს არა მხოლოდ კაცთაკვლას ომში, არამედ იმ არეულობასა და შფოთს, რომელიც შედეგად მოჰყვა ომს; ვუყურებდი ეკლესიის წევრებს, სულიერ მამებს, ბერებს, სქიმოსნებს, შეცდომილი უმწეო ყმაწვილების კვლას რომ იწონებდნენ. მე ყურადღება მივაქციე ყოველივე იმას, რაც ემართებათ ქრისტიანული აღმსარებლობის ადამიანებს და სასოწარკვეთილებამ შემიპყრო.

XVI

უკვე აღარ მეეჭვებოდა, ის კი არა, სავსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ მრწამსში, რომელსაც მე შევუერთდი, არ იყო სრული ჭეშმარიტება. ადრე ვიტყოდი, მთელი საღვთისმეტყველო მოძღვრება სიცრუეა-მეთქი, მაგრამ ახლა ამის თქმა არ შეიძლებოდა. მთელს ერს სწამდა ჭეშმარიტება, ეს უდავო ფაქტი იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, დღეს იგი ცოცხალი აღარ იქნებოდა. ამას გარდა, ეს ჭეშმარიტება უკვე ჩემი საკუთრებაც გახლდათ, მე ვსუნთქავდი მისით, შევიგრძნობდი მის სიმართლეს; მაგრამ იგივე მრწამსი შეიცავდა სიცრუესაც და მე ეს არ მეეჭვებოდა. ის, რაც წინათ ხელს მკრავდა და თავიდან მიშორებდა, ახლა მთელი სიცხადით აღმართულიყო ჩემ წინაშე. თუმცა კი ვხედავდი იმას, რომ მთელს ერში უფრო ნაკლებად იგრძნობოდა ჩემი უკუმგდებელი სიცრუის მინარევი, ვიდრე ეკლესიის წარმომადგენლებში, — ასე თუ ისე, მაინც ვხედავდი, — ხალხის რწმენაშიც შერეოდა სიცრუე ჭეშმარტებას.

სად იყო სიცრუე და სად ჭეშმარიტება? ორთავე ხომ იმით გვეუწყება, რაც ეკლესიად იწოდება? სიცრუესაც და ჭეშმარიტებასაც შეიცავს სახარება — ე. წ. წმინდა სახარება და წმინდა წერილი.

და ჩემდაუნებურად, მინდოდა ეს თუ არა, მივუახლოვდი წმინდა წერილსა და სახარებას, მათ შესწავლა-გამოკვლევას, რასაც დღემდე ძალიან ვუფრთხოდი.

ამგვარად შევუდექი სწორედ იმ საღვთო სჯულის შესწავლას, რომელსაც ოდესღაც ზიზღით ვკარი ხელი და მოვისროლე როგორც ერთი უს-

არგებლო რამ. დიახ, ერთ რალაც უსარგებლო სისულელეთა რიგში ვაყენებდი მაშინ საღვთო სჯულს, რადგან მაშინ ჩემ გარშემო ცხოვრება დუღდა, ყველაფერი სიწმინდითა და აზრით ალსავსე მეჩვენებოდა; ახლა მოხარულიც კი ვარ, უარვყო და უკუვაგდო ის, რაც ვერ თავსდება ჯანსაღ გონებაში, მაგრამ მისი ადგილიც ალარსადაა. საღვთო სჯულზეა დაფუძნებული ან, ყოველ შემთხვევაში, განუყრელადაა დაკავშირებული ის ერთიანი მრწამსი სიცოცხლის საზრისისა, ჩემ წინაშე რომ გაცხადდა. რა უცნაური და მიუღებელიც არ უნდა ეჩვენებოდეს ჩემს ბებერ უდრეკ ჭკუა-გონებას, ის ერთადერთი იმედია ხსნის გზაზე, და აუცილებელია, ფრთხილად, დიდი გულისყურით გავაანალიზო და ჩავწვდე მას არა იმდენად როგორც მეცნიერების დებულებას. ამას არ ვეძებ და არც შემიძლია ვეძებო, რამეთუ კარგად მესმის რწმენის არსის თავისებურება. მე არ მოვიწადინებ ახსნა ვუპოვო ყოველივეს, რადგან ყოველივეს ახსნა, როგორც ყოველივეს საწყისისა, დაფარული უნდა იყოს უსასრულობაში. მაგრამ მსურს მესმოდეს ისე, რათა მივიდე უეჭველ, უცილობელ საიდუმლოსთან: მე მინდა, რომ, რაც დაფარულია — აუხსნელია იმიტომ კი არა, რომ ჩემი გონების მოთხოვნილებაა ასეთი, ანუ უმართებულო (ის მართებულია და მის გარეშე არაფრის წვდომა მე არ ძალმიძს), არამედ იმიტომ, რომ ვხედავ საკუთარი გონების დასაზღვრულობას. მე მსურს მესმოდეს, რომ ყოველი აუხსნელი მდგომარეობა წარმომიდგეს გონებრივ აუცილებლობად და არა რწმენის აუცილებლობად.

რწმენის მოძღვრება ხომ ჭეშმარიტებაა, ეს აზრი ჩემთვის უეჭველია; მაგრამ უეჭველია ისიც, რომ მასში არის სიცრუეც. მე მოვალე ვარ, მივაგნო ერთსაც და მეორესაც და გავავლო მათ შორის ზღვარი. აი, სწორედ ამის გაკეთებას შევუდექ ახლა და ჩემი თხზულების მომდევნო თავებში მოგითხრობთ იმაზე, რა არის სიცრუე და რა ჭეშმარიტი რწმენაში და რა დასკვნამდე მივედი. თუკი ჩემი გამოკვლევა ყოველივე ამის შემდგომ რაიმე ღირებულების შემცველი აღმოჩნდება და ვინმესაც დასჭირდება, ის, ალბათ ოდესღაც სადმე უსათუოდ დაიბეჭდება.

აი, ყოველივე, რაც დაიწერა ამ სამი წლის წინათ.

ამ დღეებში, როცა დაბეჭდილ ნაწილს გადავხედე და იმ აზრთა დინებასა და განცდილ გრძნობებს გავადევნე თვალი, ჩემს არსებაში რომ დასადგურებულიყვნენ, ერთი სიზმარი ვნახე. ეს სიზმარი შეკუმშული სახით გამოხატავდა ყოველივეს, რაც აქამდე განვიცადე და ალვწერე, ამიტომ მგონია, რომ ვინც მიმიხვდა, იმისთვის ეს სიზმარი გააცოცხლებს, გაანათებს და ერთ მთლიანობაში წარმოადგენს ყოველივეს, რაც აგრერიგად გრძლად არის მოთხრობილი წინამდებარე ფურცლებზე. აი, ეს სიზმარიც: ვხედავ, ვწევარ საწოლზე. თავს არც კარგად ვგრძნობ, არც ცუდად, უბრალოდ, — ვწევარ ზურგზე. მაგრამ მალე ვიწყებ ფიქრს იმაზე, როგორ ვწევარ, კარგად თუ ცუდად. და მეჩვენება, რომ ფეხები მიწყვია მოუხერხებლად: ვერ ვიტყვი, კონკრეტულად რაა ამის მიზეზი, მაგრამ რალაც მოუხერხებლად ვარ. ვა-

მოძრავებ ფეხებს, თან ვაკვირდები, როგორ ან რაზე ვწევარ. ამაზე აღრე არც დავფიქრებულვარ. ახლა კი, საკუთარ საწოლს ვაკვირდები და ვხედავ მოწნული თოკის საბეჭურებს, რომლებიც საწოლის კიდეებზეა დამაგრებული. ერთ საბეჭურზე ტერფები მიწყვია, მეორეზე წვივები, ფეხების უსერხულობასაც ამიტომ ვგრძნობ. სიზმარში თითქოს ვიცი, ხომ შეიძლება ეს საბეჭურები გადაადგილდეს, და ფეხების გაქნევით ტერფებს ბოლო საბეჭურს ვაყრდნობ. მგონია, ასე უფრო მოსვენებით ვიქნები. მაგრამ უნებურად საბეჭური მეტისმეტად შორს გამიჩოჩებია და ახლა ვცდილობ ხელახლა მოვიქცი ისინი ფეხებქვეშ. ამჯერად ამ მოძრაობის წყალობით მეორე საბეჭური მისხლტება წვივებიდან და ფეხები ჰაერში რჩება გამოკიდებული. მთელი ტანით ვინძრევი, რათა გავსწორდე და, ასე მგონია, მოვეწყობი მოხერხებულად, მაგრამ ახლა სხვა საბეჭურები მისხლტებიან და გადაადგილდებიან ჩემს ქვემოთ. ვატყობ, საქმე ცუდადაა: ტანის ქვედა ნაწილი — ჩემი წელი ძირს მიიწევს და ჰაერში რჩება გამოკიდული, ფეხები კი მიწამდეც ვერ აღწევს. თავს ზურგით ვიმაგრებ და არათუ უხერხულ, რაღაც საზარელ მდგომარეობაში ვიმყოფები. მხოლოდ ახლა ვუსვამ თავს იმ კითხვას, რაც აღრე გონებაში არ ვამიღია: სადა ვარ და რაზე ვწევარ? — ვკითხულობ და აქეთ-იქით ვიხედები. თავდაპირველად ძირს ვიყურები, — იქითკენ, საითაც ტანი მაქვს ჩაკიდული და სადაც, ამას ცხადად ვგრძნობ, ახლა უნდა ჩავვარდე. დიახ, ვიყურები ძირს და თვალებს ვერ ვუჯერებ. ეს სიმაღლე ცადაზიდული კოშკისა ან მთის ტოლი კი არა, მანამდე ჩემთვის წარმოუდგენელი სიდიდისაა.

არც იმის ძალა შემწევს, გავარჩიო — ვხედავ თუ არა რაიმეს იქ, ქვემოთ, იმ უძირო ფუფუტულში, რომლის თავზეც ვკიდივარ და საითკენაც რაღაც ძალა მექაჩება. გული ძლიერ მეკუმშება და შიში მიპყრობს. იქით გახედვაც კი მზარავს. ვიცი, რომ თუ მაინც გავაპარებ თვალს, იმ წამსვე მოვწყდები უკანასკნელ საბეჭურსაც და დავიღუპები. ამიტომ ალარ ვიყურები, მაგრამ ეს უფრო ცუდია, რადგან სამაგიეროდ იმაზე ვიწყებ ფიქრს, რა მომივა, უკანასკნელი საბეჭურიც თუ გამომეცლება. შიშისაგან შეძრწუნებული ვგრძნობ, როგორ ვკარგავ ერთადერთ საყრდენს და ზურგით ნელ-ნელა სულ ქვევით და ქვევით მივსრიალებ. წამიც და მოვწყდები. სწორედ ამ დროს მოვარდა ფიქრი: შეუძლებელია ეს ცხადი იყოს. ეს სიზმარია. გაიღვიძე. მე ვცდილობ გამოთეხიზლებას, მაგრამ ამაოდ. რა ვქნა, რა ვიღონო? — ვეკითხები თავს და ზევით ვიყურები. იქაც უძირო სივრცე მოჩანს. ვიყურები ცის უძირობაში და ვცდილობ დავივიწყო ქვესკნელის უძირობა. ამჯერად ამას ვახერხებ. ქვესკნელის უძირობა მაკრთობს და მიშორებს, ზეცის უსასრულობა კი მიზიდავს და მამკვიდრებს. ასე ვკიდივარ უფსკრულის პირზე უკანასკნელი საბეჭურით, რომელიც რაღაც ძალით ჯერაც არ გამოსცლია ჩემს ტანს; ვიცი, ვკიდივარ უფსკრულის თავზე, მაგრამ ვიყურები მხოლოდ მაღლა და ჩემი შიში თანდათან ქრება. სიზმარშივე მესმის ვიღაცის ხმა: „ხედავ ამას. ეს ის არის!“ — მე ვიყურები სულ შორს და შორს, ზეცის უსასრულობაში და ვგრძნობ —

ვწყნარდები. მახსოვს ყველაფერი: როგორ შევარხიე ფეხები, მერე ჩამოვეკიდე, შემეშინდა და გადავურჩი შიშს იმის წყალობით, რომ მალლა დავიწყე ყურება. თავს ვეკითხები: ახლა რა მოხდა, განა ახლაც ისევე არა ვკიდივარ? არ ვიყურები ირგვლივ, რადგან მთელი ტანით ვგრძნობ წერტილს, რომელსაც ვეყრდნობი. ვხედავ აღარ ვკიდივარ, არც ვვარდები, არამედ მაგრად მიჭირავს თავი. კვლავაც მიკვირს, როგორ ვიმაგრებ სხეულს, ხელის ცეცებით ვამოწმებ და ვათვალიერებ ირგვლივ ყველაფერს. ვამჩნევ, რომ ჩემს ქვემოთ, სწორედ წელის გასწვრივ ერთი საბეჭური კიდევ დარჩენილა, მე ზევით თვალმიშტერებული იმ საბეჭურზე ვწევარ მყარად და გაწონასწორებულად. აქრეც ხომ იმ ერთს ვეჭირე, — ვფიქრობ მე და, როგორც სიზმარში ხდება ხოლმე, წარმომიდგება მექანიზმი, რომლის დახმარებითაც ვიმაგრებ თავს. ეს მექანიზმი ბუნებრივი, მისაწვდომი და საიმედოა, თუმცა ცხადად მას არავითარი ზრი არ გააჩნია. სიზმარში მიკვირს კიდეც, როგორ არ მესმოდა ეს აქრეეტყობა, ჩემს თავში რაღაც სვეტი დგას და მისი სიმტკიცე სინამდვილეა, თუმცა კი ეს წვრილი სვეტი რაღაც მეტისმეტად ეშმაკურად, თანაც მარტივად გაბმული მარყუჟი არაფერს ეყრდნობა. ამ სვეტისგან და თუ ამ მარყუჟზე წევხარ წელით და მაღლაც იყურები, ჩამოვარდნაზე არც შეგიძლია იფიქრო. ამას ყველაფერს ვხედავ ნათლად და ვარ გახარებული და მშვიდი. თან თითქოს ვიღაც მეუბნება: უყურე ამას და დაიმახსოვრე. ამ დროს მე მეღვიძება.

გაბრიელ გარსია მარკესი

ესპანურიდან

თარგმნეს ნინო მესტვირიშვილმა და ირინა გასვიანმა

1982 წელს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით გამართულ განკეტზე წარმოთქმული სიტყვა

თქვენო უდიდებულესობავ, თქვენო სამეფო აღმატებულებავ, მეგობრებო. მადლობას მოვახსენებ შვედეთის მეცნიერებათა აკადემიას პრემიისათვის, რომლის წყალობითაც იმ ადამიანთა ნუსხაში მოვხვდი, რომელნიც ჩემს, როგორც მკითხველის, წლებს ამდიდრებდნენ და გზას უკვალავდნენ იმ უსახელო შეშლილობის ბილიკებზე, რასაც მწერლის საქმიანობა ჰქვია. მათი დიდება და შემოქმედება დღესდღეობით მფარველ ლანდებად წარმომიდგება, თუმცა ხშირად იმ დამთრგუნველ რეალობადაც მესახება, რაც ამ დიდებას ახლავს. ეს მტანჯველი დიდებაა, რომელიც ამ ადამიანებთან მიმართებით მუდამ უბრალო სამართლიანობად მიმაჩნდა, მაგრამ ჩემს შემთხვევაში აღვიქვამ, როგორც მათთან ურთიერთობის კიდევ ერთ გაკვეთილს, რამეთუ განგება ხშირად გვაოცებს ხოლმე, განგება, რომელიც კიდევ უფრო აშკარას ხდის ჩვენი — გამოუცნობი შემთხვევითობის სათამაშოთა — ცხოვრების პირობას, ამ შემთხვევითობის ერთადერთი და სამწუხარო საზღაური კი, უმეტეს შემთხვევაში, გაუგებრობა და დავიწყების საბურველია.

ამიტომ, თითქმის ბუნებრივიცაა იქ, იმ ფარულ შინაგან სამყაროში, სადაც ხშირად გულწრფელობით გადავინაცვლებთ ხოლმე, საკუთარ თავს ვკითხო: რა იქცა ჩემი შემოქმედების მუდმივ საყრდენად, შემოქმედებისა, რომელმაც ასეთი მკაცრი მსაჯულების ყურადღება მიიპყრო. ყოველგვარი ფარისევლური მოკრძალების გარეშე მინდა გამოგიტყდეთ, რომ ამ მიზეზის პოვნა მართლაც გამიძნელდა, მაგრამ მინდა მჯეროდეს, რომ ეს საფუძველი სწორედ ის უნდა იყოს, რასაც თავად ვისურვებდი. მეგობრებო, მინდა მჯეროდეს, რომ ეს საღამო პოეზიის პატივსაცემად გამართული კიდევ ერთი ზეიმია — იმ პოეზიისა, რომლის ძალითა და შემწეობითაც, მხცოვანი ჰომეროსის მიერ ილიადაში ჩამოთვლილ ხომალდთა უზარმაზარ ნუსხას ქარი დაჰბერავს და მათ მარადიული, ჰალუცინაციური სისწრაფით გააქროლებს ზღვებზე; პოეზიისა, რომელსაც დანტეს ტერციტების ნატიფ ხარაჩოებში შუა საუკუნეების კოლოსალური ქმნილებების წყარო შემოუნახავს; პოეზიისა, რომელმაც ჩვენი ამერიკა იხსნა ბუმბერაზი პაბლო ნერუდას უკვდავი ქმნილებით მაჩუ პიჩუს ცის ტატნობზე, სადაც ჩვენი აუხდენელი ოცნებების ათასწლოვანი სევდა იღვენთება; და ბოლოს, პოეზიისა, ჩვენი ცხოვრების იმ საიდუმლო ენერგიისა, რომელიც სამზა-

რეულოშიც ტრიალებს, სიყვარულითაც გვაავადებს და სარკეში ჩვენს გამოსახულებებსაც ირეკლავს.

თითოეულ სტრიქონში, მეტ-ნაკლები წარმატებით, ვცდილობ პოეზიის ჯიუტ სულებს ვუხმო; ვცდილობ ყოველ სიტყვას ჩემი ლვთისმოსაობის ნაკვალევი დავატყო, რაც სიკვდილის პირქუშ ძალაუფლების წინააღმდეგ მიმართული მარადიული გამარჯვების დასტურია. ჯილდო, რომელიც ეს-ესაა მივიღე, კრძალვით აღვსილს იმის ნუგეშისმომგვრელ დადასტურებად წარმომიდგება, რომ ჩემს გარჯას ამაოდ არ ჩაუვლია. ამიტომაც, თითოეულ თქვენგანს მოგიწოდებთ შევსვათ პოეზიისათვის, რომელსაც ჩვენმა დიდმა პოეტმა, ლუის კარდოსა ი არაგონმა* ადამიანის არსებობის ერთადერთი კონკრეტული მტკიცებულება უწოდა.

დიდი მადლობა.

---

* ლუის კარდოსა ი არაგონი (1901-1992) — გვატემალელი პოეტი.

ნინო მესტვირიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბრიელ გარსია მარკესი — მაგიური სამყაროს „მარტოსული“ შემოქმედი

„თუ ღმერთი ერთი წამით მაინც დაივიწყებდა, რომ მე ვარ ნაჭრის ნაკუწებისაგან შეკერილი პატარა თოჯინა და მაჩუქებდა სიცოცხლის ერთ ციცქნა ნაგლეჯს, ალბათ არ ვიტყოდი იმას, რასაც ვფიქრობ, მაგრამ უეჭველად გავიფიქრებდი იმას, რასაც ვამბობ“... ეს სიტყვები გენიალურ კოლუმბიელ მწერალს, გაბრიელ გარსია მარკესს პატარა გამოსათხოვარ წერილში დაუწერია. ის თავის სიკვდილისწინა გამოცდილებაზე გვიამბობს, მოგვითხრობს იმაზე, თუ რას გააკეთებდა, ღმერთს კიდევ ცოტაოდენი სიცოცხლე რომ ეჩუქებინა. მარკესი ამბობს, საგნებს მათი მნიშვნელობის მიხედვით შევაფასებდიო. მეტს ვიოცნებებდი, მეტს ვივლიდი, მეტს გავჩუმდებოდი და სხვებს უფრო მეტად მოვუსმენდიო. არ გამოვტოვებდი დღეს, საყვარელი ადამიანებისთვის რომ მეთქვა — მიყყარხართ-მეთქი, სიყვარულში სიყვარულით ვიცოცხლებდიო. მთელი ამ გენიალურად უბრალო სიბრძნის მიღმა უდიდესი სამხრეთული სითბო იმალება. „მე არ მეშინია სიკვდილის, მე იგი მიზიდავს“, — უთქვამს ოქტავიო პასს. იქნებ ამიტომაც ცდილობს გ. გ. მარკესი მოიშინაუროს სიკვდილი, რათა სძლიოს ის თავზარდამცემი შიში და ძრწოლა, რასაც სიკვდილის წინაშე გრძნობს. იგი ცხოვრობს, რათა მოჰყვეს და ამით სიცოცხლე გაუხანგრძლივოს ლიტერატურას. სასიკვდილო სენის მოულოდნელი უკანდახევა დიდმა კოლუმბიელმა ღვთის მიერ ბოძებულ საჩუქრად მიიჩნია. აი, კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რომ ღმერთს ისევ ახსოვს ადამიანი და ჯერ კიდევ არ ჩაუქნევია მასზე ხელი. სიცოცხლის დამატებითი წლები საიმისოდ, რათა კიდევ ერთხელ ჩაფიქრდეს ცხოვრებასა და ადამიანზე. თუმცა, არავინ იცის, რას ფიქრობდა კარიბის ზღვის მოსახლე ბიჭუნა გაბო მაშინ, როდესაც საღამოობით ბებიის მონაყოლ ზღაპრებსა და ჯადოსნურ ისტორიებს, ბანანის ციებ-ცხელების დროინდელ ლეგენდებსა და ბაბუას სამოქალაქო ომის ამბებს ისმენდა.

კარიბის ზღვის კუნძულებზე (კუბა, იამაიკა, ჰაიტი) ევროპელთა, ინდიელთა და აფრიკელთა რასისა და კულტურის შეჯახება მოხდა. სწორედ კარიბის ზღვის აუზი იქცა არა მხოლოდ სამი ცივილიზაციის შეხვედრის ადგილად, არამედ, თავად გ. გ. მარკესის თქმით, აქ ქიმერული და ჰალუცინაციური, მარტოობის მატარებელი მიწების სინთეზი შეიქმნა. ვინ იცის, იქნებ

სწორედ აქ ეზიარა გ. გ. მარკესი მაგიასა და მარტოობას.

მაგიური სამყარო ხალხური შემოქმედების განუყოფელი ელემენტია, რომელმაც ჩვენამდეც მოაღწია და თანამედროვე ლიტერატურაში დამკვიდრდა. ამ სამყაროსადმი ინტერესი ესპანურენოვან ლიტერატურაში შესამჩნევად გაიზარდა, რომლის შერწყმამაც ინდიელთა მითებთან შერეული ლათინოამერიკული კულტურის აღმოცენება განაპირობა. 1979 წელს ჟურნალი „ლათინური ამერიკის" რედაქციაში დასმულ შეკითხვას: „მაგიური რეალიზმის გწამთ თუ ლიტერატურული მაგიის?", — გ. გ. მარკესმა უპასუხა: „მე რეალური ცხოვრების მაგიის მწამს".

„ფოთოლცვენა" (1955), „პოლკოვნიკს არავინ სწერს" (1958), „ავბედითი საათი" (1961), „მარტოობის ასი წელიწადი" (1967), „პატრიარქის შემოდგომა" (1975), „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა" (1981), „სიყვარული ჟამიანობის დროს" (1985), — ეს რომანები გ. გ. მარკესის ვრცელი შემოქმედების მხოლოდ ნაწილს წარმოადგენენ. ამათგან „მარტოობის ას წელიწადს" ყველაზე დიდი წარმატება ხვდა წილად.

ოცდაექვს ენაზე თარგმნილი ნაწარმოები მექსიკაში იწერებოდა. ბინის ქირის გადაუხდელობის გამო თითქმის უსახლკაროდ დარჩენილი მწერალი რომანზე გამალებით მუშაობდა: „იმ დღეს, როცა რომანი დავასრულე, ფოსტაში წავედით, რათა ხელნაწერი არგენტინაში გადაგვეგზავნა გამომცემლისთვის. სულ შვიდასი გვერდი იყო და გაგზავნაში 83 პესო გვთხოვეს. „ჩვენ მხოლოდ 45 პესო გვაქვს", — თქვა მეუღლემ, მერსედესმა. მაშინ ხელნაწერი ორ ნაწილად გავყავით, პირველი ნაწილი ისევ შევფუთეთ და გავგზავნეთ, ხოლო მეორე ნაწილი შინ მივაბრუნეთ. მერსედესმა ყველა ჩვენი ფასიანი ნივთი ლომბარდში წაიღო. ასე შეაკოწიწა 50 პესო. ისევ ფოსტაში მივბრუნდით და რომანის მეორე ნაწილიც გავგზავნეთ. მთელი ორი პესო ხურდა დაგვიბრუნეს. მერსედესმა ხურდა ჯიბეში ჩაიყარა და ჩაილაპარაკა: „სეირი მაშინ იკითხე, ამ დაწყევლილმა წიგნმა რომ არ გაამართლოს".

ამ „დაწყევლილმა წიგნმა" დაწყევლილი თაობის, ბუენდიების ისტორია ასახა, მოდგმა, რომელიც ასი წლის მარტოობისთვისაა განწირული და ამქვეყნად მეორედ აღარ მოვა.

რომანის პირველსავე ფურცლებზე ავტორი „მაკედონიის ალქიმიკოსებსა" და მათ მითებს მოიხსენიებს. სწორედ ალქიმიის მეშვეობით ერთ-ერთი პერსონაჟი მელკიადესი ახალგაზრდობას დაიბრუნებს, რა თქმა უნდა, ეს ჯადოსნური გარდასახვა — მხოლოდ დაცინვა, ხუმრობაა. ხანდახან მაგია სხვა არაფერია, თუ არა ტყუილი.

სიკვდილი და მარტოობა რომანის თითოეულ პერსონაჟს სახეზე აწერია. ისინი საერთო ცოდვით, ინცესტით არიან დამძიმებულნი. გავიხსენოთ, რომ ხოსე არკადიო ბუენდიასა და ურსულა იგუარანის ქორწინება ნათესაურ კავშირს ემყარება. სწორედ ისინი უყრიან საფუძველს იმ გვარს, რომელიც არათუ გაექცევა, არამედ უფრო გაზრდის ცოდვის რისკს.

რომანში მარტოობა ყველგან იგრძნობა: მარტოობა სიკვდილთან (ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი მელკიადესი იმქვეყნად მარ-

ტოობას ვერ გაუძლებს და უკან დაბრუნდება), ხელისუფალთა მარტოობა (ბუენდიების გვარის ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენელი, პოლკოვნიკი აურელიანო მარტოობაში იძირება და ბრძანებას გასცემს არავინ გაეკაროს მას, თვით ურსულაც კი. მისი იზოლაცია ფაქტიურად სიკვდილის ტოლფასია, ხოლო განმარტოება სამარესავით ცივი).

ნებისმიერი მწერლის შემოქმედებითი სამშობლო პატარაა. ხორხე ლუის ბორხესიც კი, რომელიც ცნობილი იყო თავისი კოსმოპოლიტიზმით, ბუენოს-აირესის საზღვრებს არ სცილდებოდა. გ. გ. მარკესისთვის კი პატარა სამშობლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი — მაკონდო იქცა. აი, რას წერს მაკონდოს შესახებ ავტორი მოგვიანებით თავის მემუარებში „იცხოვრო, რათა მოჰყვე“: გაზეთ „ელ ერალდოს“ რამდენიმე პესოზე მომუშავე ჟურნალისტი, რომელიც ბევრს ეწევა და ნახევარჯერ მშიერია, დედას, ლუისა სანტიაგა მარკესს არაკატაკაში მიჰყავს. მიზანი ასეთია — მათი მშობლების ძველი სახლი, რომელშიც გაბო რვა წლამდე იზრდებოდა, უნდა გაიყიდოს დედა-შვილი ხან გემით, ხანაც მატარებლით მგზავრობს და მკითხველმა იცის, რომ ეს ლიტერატურის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ვოიაჟი იქნება. მატარებელი კი მიქრის, აჩქარებული კადრით იცვლება ჩვენს თვალწინ მიწის პირისაგან აღგვილი უსახელო სოფლები, სისხლისფერი ყაყაჩოების დიდი ჭაობი და ბანანების პლანტაცია, რომლის ტრაფარეტსაც, დანარჩენი დასახელებებისგან განსხვავებით, წარწერა ჯერაც არ წაშლია. ასოებს ძლივს არჩევ, მარცვალ-მარცვალ ბორძიკობ და უცებ გინათდება — გონება — ეს შუადღის ხვატში ჩანთქმული და სიესტის თვლემით მთვლემარე მაკონდოა, იგივე არაკატაკა. სიცოცხლის ნიშან-წყალიც კი არსად იგრძნობა, ირგვლივ ყველაფერს მზეზე მოციმციმე მტვრის ფენა ფარავს. „მაკონდო — ამ სიტყვამ ჩემი ყურადღება ჯერ კიდევ ბაბუასთან ერთად პირველი მგზავრობისას მიიქცია, მაგრამ მხოლოდ მოზრდილმა აღმოვაჩინე, რომ მე ამ სიტყვის პოეტური ელერადობა მომწონდა. არც არავისგან მსმენია და არც არავისთვის მიკითხავს, თუ რას ნიშნავდა მაკონდო. ეს სახელი ჩემს სამ წიგნში წარმოსახული სოფლის სახელწოდებად გამოვიყენე, როცა შემთხვევით ენციკლოპედიაში აღმოვაჩინე, რომ მაკონდო ტროპიკული ხეა, რომელიც არც ყვავილს იძლევა და არც ნაყოფს. თუმცა ეს ხე არასდროს მინახავს. ბანანის პლანტაციების ზონაში ბევრჯერ ვიკითხე და პასუხი ვერავისგან მივიღე. შეიძლება ის არც არასდროს არსებულა“. ეს მემუარები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ „მარტოობის ას წელიწადში“ ყველაფერი იმდენად ფანტასტიკური და ირეალურია, რამდენადაც რეალური.

ცივილიზაციას განგებ მოწყვეტილ და ბუენდიების მიერ ახლად დაარსებულ სოფელ მაკონდოს სიკვდილი მოგვიანებით ესტუმრება. იქ, სადაც მრავალი წლის მანძილზე სასაფლაო არ არსებობდა და მხოლოდ კეთილშობილება სუფევდა, ხოსე არკადიო ბუენდიასა და ურსულას მშობლიური სოფლიდან სიკვდილი გააქცევთ. თუმცა სიკვ-

დილს დროებით თუ დაემალები. ამ შემთხვევაში ბუენდიები ცდილობენ თავი დააღწიონ არა მხოლოდ საკუთარ ცოდვასა და სიკვდილს, არამედ გარდაცვლილი პრუდენსიო აგილარის აჩრდილსაც. ამ რომანში მკვდრებიც ხომ ცოცხლებად გვევლინებიან. ერთ-ერთი ასეთი „ცოცხალი მიცვალებული" პრუდენსიოა, რომელიც ხოსე არკადიომ მოკლა. მარკესისეულ სამყაროში გარდაცვლილები აჩრდილებს სულაც არ ჰგვანან. ისინი დღითა და ღამით მოხეტიალე არსებები არიან, მათ შეგვიძლია ვესაუბროთ კიდეც. პრუდენსიო აგილარის მოჩვენება ხოსე არკადიოს მუდმივ თანამგზავრად გადაიქცევა და მას ჭკუიდან შეშლის. წაბლის ხეზე მიბმული შეურაცხადი ხოსე არკადიოს მარტოობაში მოგზაურობაც ამით მთავრდება. სიკვდილის წინ ის ისეთივე მარტო იყო, როგორც მთელი ცხოვრების მანძილზე. გ. გ. მარკესის ბიოგრაფიისა და „მარტოობის ასი წელიწადის" ეპიზოდების პარალელი სრულიად აშკარაა. მწერლის ბაბუა, ნიკოლას მარკესი, ხოსე არკადიო ბუენდიას მსგავსად, სოფელ არაკატაკას დამფუძნებელია. ახალგაზრდობაში კი მასაც, რომანის პერსონაჟის მსგავსად, კაცი მოუკლავს. მშობლიურ სოფელში გამეფებულ მუქარას კი თავი ოჯახიდან გაქცევით დააღწია.

ნათელია, რომ აურელიანო ბუენდია, რომელმაც 32 ომი გამოიარა და ყველა წააგო, თავი დააღწია 14 თავდასხმას, 73 ტყვეობას და დახვრეტასაც კი, ნიკოლას მარკესის პროტოტიპია. ისიც ხომ ორი უკანასკნელი სამოქალაქო ომის თვითმხილველი იყო, — მასაც აურელიანოს მსგავსად, უამრავი შთამომავალი დარჩა, რომელნიც „ომის შვილებად" იწოდებიან. გავიხსენოთ, რომ რომანი იმ ეპიზოდით იწყება, როცა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია დახვრეტის მოლოდინშია. ეს მისი ცხოვრების მხოლოდ ერთი მონაკვეთია, სადაც ისიც სიკვდილთან პირისპირ სრულიად მარტოა. როგორც თავად ამბობდა: „ადამიანი კვდება არა მაშინ, როცა მოვალეა, არამედ როცა შეუძლია". იქნებ აურელიანო ამიტომაც კვდება მოხუცებული ან შესაძლოა მასაც, ცოდვებით დამძიმებულ ხოსე არკადიოს მსგავსად, მარტოობამ სძლია. მათი მოდგმის უკანასკნელი ახალშობილი აურელიანოც დაწყევლილი იბადება. ღორის კუდი, რისიც ასე ეშინოდათ, მას სხვებისაგან გამოარჩევს. დედა მშობიარობას ეწირება, ხოლო იმედგაცრუებული მამა მას ღვთის იმედად მიატოვებს. ბუენდიების უკანასკნელ მოჰიკანს წინაპართა ცოდვები შთანთქავს.

ბუენდიები ამაოდ დაეხეტებიან მარტოობის უდაბნოში. ისინი ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნიან და უძლურნი არიან განიკურნონ საერთო სენისაგან. ეს სენი არც შემოქმედთათვის უნდა იყოს უცხო. 1979 წელს ჟურნალ „ბოჰემას" კორესპონდენტ მანუელ პერესისთვის მიცემულ ინტერვიუში გ. გ.

მარკესმა თქვა: „ვთვლი, რომ თუ ლიტერატურა საზოგადოებრივი პროდუქტია, მაშინ ლიტერატურული ნაშრომი აბსოლუტურად ინდივიდუალურია. და, გარდა ამისა, ამქვეყნად ეს ყველაზე მარტოსული საქმიანობაა. ვერავინ დაგეხმარება წერის პროცესში. აქ შენ სრულიად მარტო ხარ, დაუცველი, როგორც ხომალდის ჩაძირვის შემდეგ შუაგულ ზღვაში გადარჩენილი ადამიანი“.

„ბავშვური კეთილშობილებისა და კოსმიური ნიჭის მატარებელი, მომავლის კაცი, რომელსაც ვემადლიერებით იმისათვის, რომ იცხოვრა, რათა მოჰყვეს... მისი შემოქმედება უტყუარი დასტურია მგრძნობიარე, ლათინოამერიკული წარმომავლობის, სიმართლისადმი ერთგულების და პროგრესული აზროვნებისა“, — ასე ახასიათებს დიდ კოლუმბიელს მისი მეგობარი — ფიდელ კასტრო.

„რამდენადაც ჩვენი სული მონაწილეობს სამყაროს შექმნაში, იმდენად ვართ შემოქმედნი“, — უთქვამს ჰერმან ჰესეს. მარკესიც ხომ მთელი ცხოვრების მანძილზე ამ ჯადოსნური, მითიური პერსონაჟებით დასახლებული სამყაროს შექმნაში ღებულობს მონაწილეობას.

ლევან აბულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათესაური კავშირები ვაჟა-ფშაველასა და ანტონ ჩეხოვს შორის

(მკითხველის დაკვირვებები)

ამთავითვე ვიტყვით, რომ მთლიანობაში მსგავსებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ძნელია წარმოდგენა მეტი განსხვავებისა, ვიდრე ამ ორი დიდი მწერლის ცხოვრების გზებსა და ქმნილებებს შორის არსებობს, მაგრამ მათ სულიერ სიახლოვეზე ლაპარაკის საშუალებას იძლევა ორივე მწერლის შემოქმედების ბარკვეული ნაწილის ძალზე მნიშვნელოვანი საერთო თვისება — დამამშვიდებელი, დამაიმედებელი და გამამხნევებელი ზეგავლენა მკითხველზე. ეს თვისება, რაკი ერთი შეხედვით ვაჟასა და ჩეხოვის შემოქმედებაში სხვა არაფერი ჩანს ერთიმეორის მსგავსი, შედეგი უნდა იყოს მათ შემოქმედებით პოტენციალში არსებული მეტად სიღრმისეული მონათესავე შრეებისა, რომელიც მოქმედება საბოლოოდ მაინც ი(ენს თავს და ვლინდება როგორც ბარეგნული, თითქოს არაფრისმთქმელი და ძნელად დასანახი, მაგრამ მაინც მსგავსი ნიშნებით მხატვრული პროდუქციის, ვიმეორებთ, გარკვეული ნაწილისა, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ასევე რაღაც საოცრად შინაურული, მშობლიური და, ამდენად, გამამხნევებელი, (ეს უკვე ვთქვით) ატმოსფეროს შეგრძნების გამოწვევის უნარით მკითხველში და განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს მას, მკითხველს, ესაჭიროება.

ვაჟასა და ჩეხოვის მემკვიდრეობანი იმდენად მრავალწახნაგოვანია და მოიცავს მთელ შესაძლო დიაპაზონს უკიდურესად კომიკურიდან ღრმა ტრაგიკულამდე, რომ წესით არც უნდა იყოს მოულოდნელი მათში „მსგავსი წახნაგების" მოძიება. საქმე ისაა, რომელი „წახნაგები" გვაგონებენ ერთმანეთს და რით, და აქვს თუ არა ამ ფაქტს რაიმე მნიშვნელობა.

ამჯერად ჩვენ მხედველობაში გვაქვს, და გამოთქმაშიც „ერთი გარკვეული ნაწილი" ვგულისხმობთ სწორედ ვაჟასა და ჩეხოვის მცირე ზომის, ნათელი იუმორით შემკულსა და ადამიანებისადმი ღრმა სიყვარულით გამსჭვალულ, ხალისიან და შინაარსიან მოთხრობებს. ჩეხოვისათვის ისინი წარმოადგენენ გარდამავალ ეტაპს მის ჭაბუკობისდროინდელ, პირწმინდად მკითხველის გასამხიარულებლად დაწერილ მინიატურებსა და მომდევნო მაღალიდეურ, ყველა სახის ადამიანურ მანკიერებათა მამხილებელ ნაწარმოებებს შორის; ხოლო ვაჟასთან მთელი მისი შემოქმედების თანამდევი ნაწილია — ვაჟას არასოდეს უწერია მოთხრობები თუ ლექსები მკითხველის მხოლოდ გა-

სართობად და, საერთოდ, ვაჟას შემოქმედება, განსხვავებით ჩეხოვისაგან, არ დაწყებულა იუმორით.

დიდ რუს მწერალს ნიკოლაი გოგოლს აქვს გამოკვლევა სათაურით „მილერი, შლეცერი და ჰერდერი". იგი არ მოეწონა ბელინსკის და მისებურად გაკენწლა: „გოგოლი სამ ისეთ ისტორიკოსს ადარებს ერთმანეთს, არაფერი რომ არა აქვთ საერთოო". ეს სტატია გოგოლის ღრმა ანალიტიკური აზროვნების, სიზუსტისა და გარკვეულობისაკენ სწრაფვის შედეგია; ერთადერთი, რაც შეიძლება ეჭვს იწვევდეს, არის თემის აქტუალობა — ღირდა თუ არა ეს თემა შრომად. მწერალი აწესებს მიჯნას ამ სამ ისტორიკოსს შორის, სალად, სწორედ რომ მათემატიკოსის საკადრისი ლოგიკით მსჯელობს, ცდილობს დაახარისხოს, განაცალკეოს, კვალიფიკაცია მოუძებნოს განსხვავებულ საგნებს. ამ სტატიის აღქმას აუჩქარებლად, დამშვიდებულ გონებაზე წაკითხვა სჭირდება — ფიცხად მიდგომისას, რაც გენიალურ, მაგრამ მაინც „დაუცხრომელ ბესარიონს" ხშირად სჩვეოდა, შეიძლება მისი არსი ხელიდან გაგისხლტეს და მოგეჩვენოს, რომ ავტორი წყალს ნაყავს და თავს ვერ აბამს სათქმელს.

ბელინსკი არ იყო მართალი იმდენად, რამდენადაც შედარება ტოლობის ნიშნის გავლება არ არის — არც „ვერტიკალური" და არც „ჰორიზონტალური" თვალსაზრისით, ანუ არც სიძლიერე-სისუსტის მიხედვით (რაოდენობრივად) და არც იერფერით (თვისობრივად), და შედარება სწორედ მაშინ არის საინტერესო, როცა განსხვავებულ საგანთა შორის კავშირის დადგენაზეა ლაპარაკი, და რაც უფრო განსხვავებულია საგნები, მით უფრო ღირებულია შედარება და პარალელური ანალიზი. ამიტომაც არ გვეჩვენება აზრსმოკლებულად შედარება ისეთი განსხვავებული გოლიათების შემოქმედებისა და [illegible], როგორებიც არიან [illegible] და ანტონ ჩეხოვი.

1. თვალშისაცემია თხრობის ზღვრული სისხარტე-ლაკონურობა და სისადავე. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ჩეხოვს ამას აიძულებდა მოთხოვნები იუმორისტული ჟურნალისა („Осколки"), რომლითაც დაიწყო მისი გზა ლიტერატურაში — მერე და მერე გაიწაფა და მიაღწია ისეთ ოსტატობას, რომ სულ რამდენიმე გვერდიან მოთხრობებში შეეძლო ჩაეტია დიდი აზრი და უზადო მხატვრულობით გადმოეცა იგი. მაგრამ ეს ასე არ არის, უბრალოდ, იმ ჟურნალის მოთხოვნები დაემთხვა მწერლის შინაგან მოთხოვნებს და მიტომ იქნა მის მიერ არჩეული სარბიელად, თუმცა ეს სარბიელი სულ ცოტა ხანში ძალზე ვიწრო აღმოჩნდა მისთვის. ხოლო ვაჟას არავინ აიძულებდა ეწერა მოკლედ და მარტივად — ლაკონიზმი და სისადავე მისი, ისევე რიგორც ჩეხოვის, ხასიათის თანდაყოლილი თვისება იყო— დიდი მწერლური სინდისის, პასუხისმგებლობის და მკითხველისადმი ჰუმანური დამოკიდებულების ნიშანი — სადად და მოკლედ წერა ხომ მკითხველის დანდობას ნიშნავს, მისი დროისა და ენერგიის გაფრთხილებას! ისიც ცხადია, რომ ეს თვისება მოკრძალებულობის ნიშანიცაა — არ მიაჩნია ადამიანს მისი ნამოღვაწარი იმის ღირსად, რომ მის ჩასაწვდომად უდანაშაულო მკითხველს დიდი ჯაფა დაადგეს.

2. ყველაფრიდან იგრძნობა, რომ ისინი „ოფლს არ ღვრიდნენ“ წერისას. „თემები ისეთი სისწრაფით მომიდიან თავში, თითქოს ბაქოს ნავთის შადრევნები ჩქეფენო!“ — უთქვამს ჩეხოვს. ვაჟას სხვა სიტყვებით აქვს ნათქვამი თითქმის იგივე: „მე რომ ქალაქში ვცხოვრობდე (იგი არ თხოულობს იდეალურ პირობებს სამუშაოდ, არამედ ოდენ საშუალო ჯამაგირიან სამსახურს — ლ. ა.), ჩემი ლიტერატურული შრომა ერთი ათად იმატებს“. თუ გავიხსენებთ ვაჟას შემოქმედების რეალურად არსებულ მრავალფეროვნებას და თემათა სიმრავლეს, ნათელი გახდება მისი „ფანტაზიის შადრევნის“ მასშტაბებიც.

აღნიშნული სიიოლე თხზვისა საჭიროა განვიხილოთ, როგორც ამ ორი მწერლის სხვათაგან განმასხვავებელი ნიშანი, და არა ისეთი რამ, რაც ზრდის მათი შემოქმედების ღირებულებას და უპირატესობას ანიჭებს მათ სხვებთან შედარებით. სინამდვილეში „ოფლის მღვრელი მწერლები“ მეტ პატივისცემას იმსახურებენ, რადგან მათთვის ქმნის პროცესი მძიმე და დამქანცველია, რასაც ამაყად აღიარებენ კიდეც (ტოლსტოი, გამსახურდია, მაიაკოვსკი, ჰემინგუეი...). ვაჟას ერთ-ერთი წერილიდან ვგებულობთ, რომ მას არ სჭირდებოდა მასალის მრავალჯერ გადაწერა, გაასწორებდა ერთხელ დაწერილს იმავე ფურცელზე და შემდეგი შესწორებები გადათეთრებისას შეჰქონდა. რაც შეეხება ჩეხოვს, მართალია, ზოგიერთი მისი ბიოგრაფი ხაზს უსვამს იმ დიდ შრომას, რომელსაც ახარჯავდა ნაწარმოების სრულყოფა-გაშალაშინებას, მაგრამ თვითონ არასოდეს დაუჩივლია ამის თაობაზე. იგი იხსენებს, რომ მოთხრობა „ეგერი“, ერთ-ერთი შედევრთაგანი, საერთოდ სააბაზანოში დაწერა...

3. აღსანიშნავია სიმრავლე საღღესასწაულო თემაზე დაწერილი მოთხრობებისა, რომლებიც გამსჭვალულია თანაგრძნობით მათ მიმართ, ვისაც ამ დღესასწაულებზე მაინცადამაინც არ ულხინდათ, ან საყვედურით მათ მიმართ, ვინც ამ დროს ვერ იქცეოდა კარგად. მაგრამ არც ერთის და არც მეორის მოთხრობებში არ ისმის დრტვინვა, იგრძნობა ფრქვევა იმედის, ხალისის...

ვაჟასთან ასეთ მოთხრობებს ხშირად ორმაგი სათაური აქვს. უფრო ხშირად დღესასწაულის ფაქტი ქვესათაურშია გამოტანილი („საშობაო მოთხრობა“, „სააღდგომოდ“, „ხატობა“, „საშობაოდ“...), ან მთავარ სათაურში („საახალწლო სიზმრები“, „შობის წინა ღამე ტყეში“...), ზოგჯერ კი არც ასეა, არც ისე, როგორც, მაგალითად, „სათაგურში“, სადაც თაგვების თავზე დამტყდარი უბედურება, რომელიც ბოლოს მაინც ბედნიერად მთავრდება, ძია ესტატეს სახლში სწორედ საშობაო ლხინის ფონზე ხდება („თან ადამიანებზე ბრაზი მოსდიოდათ — ჩვენ ვტირით, ისინი იცინიანო“). ჩეხოვთანაც ასეა, მათ აქვთ ან განმარტება-ქვესათაური („Святочный рассказ“, „Новогодний рассказ“), ან ფაქტი დღესასწაულისა ძირითად სათაურშია ასახული („Святой ночью“, „В рождественскую ночь“), ხან კი არც ასეა, არც ისე („Ванька“).

4. ორივე მწერლის შემოქმედებაში ყურადღებას იპყრობს სიმრავლე ბავშვთა სახეებისა, თუმცა მეტწილ შემთხვევებში მათ ძნელად თუ

შეიძლება ეწოდოთ „საბავშვო“, ანუ ბავშვთათვის განკუთვნილი. შესაძლებელია, ჩეხოვი და ვაჟა, განსაკუთრებით კი ვაჟა, ამ მხრივ მსოფლიოში პირველ ადგილზე აღმოჩნდნენ. ამის მტკიცება ერთბაშად ძნელია, ამისათვის სტატისტიკური კვლევის ჩატარებაა საჭირო, რაც საკმარისად შრომატევადი საქმეა. ეს ვარაუდი რეალურია და მას საფუძვლად უდევს ის განსაკუთრებული სითბო, რომელსაც ვაჟა და ჩეხოვი ავლენენ ბავშვების მიმართ!

5. ვინ არ იცის, რომ ძაღლი, თუ შესაძლებლობა მიეცა, ყოველთვის სიამოვნებით უბრუნდება ძველ პატრონს, განურჩევლად პირობებისა, რომელშიც ახალი პატრონი ამყოფებს, მაგრამ განა რამდენ მწერალს ჩაუთვლია ეს ფაქტი ასახვის ღირსად! ჩეხოვმა და ვაჟამ კი ეს საქმე სულ იოლად იკისრეს. შედეგად შეიქმნა მსოფლიოს ყველა ენაზე თარგმნილი ჩეხოვის „კაშტანკა“ და უმშვენიერესი, თუმც თვით ქართველი მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილი მოთხრობა „ძაღლმა ციკანი მოიგო“ (ეს ბოლო ფაქტი მძიმე ეჭვების აღმძვრელია. როგორც ჩანს, მასში ისახება ჩვენთვის დამახასიათებელი — დიდ ლიტერატურულ კულტურასთან უცნაურად შერწყმული სნობური, ანუ არსებითად პროვინციული, დამოკიდებულება უბრალოებისადმი, და მდაბიური მოწიწება რთულად და ძნელად მიჩნეული პრობლემების წინაშე. ჭეშმარიტად ძნელად განსასჯელი საკითხია...) გმირი მოთხრობისა, 10-12 წლის ფშაველი ყმაწვილი უბედნიერესი ადამიანი იყო, რა მეცხვარე ძაღლი იპოვა, როგორ მოუარა, მიიჩვია! მოდის ძველი პატრონი და შეუბრალებლად ართმევს, ძაღლი ორ ცეცხლს შუაა, განსხვავებით ჩეხოვის კაშტანკასაგან, რომელიც თავპირისმტვრევით გარბის ძველი პატრონისაკენ. ჩვენ არ ვიცით, რამდენად რეალისტური და სიმართლესთან ახლოსაა ძაღლის „ჯავრიას“ (ძველი პატრონის ხელში „ღრუბელა“ ერქვა) განცდები, მაგრამ უზადოდ შთამბეჭდავია და დამაჯერებელი.

ამრიგად, ძაღლი ძველ პატრონს უბრუნდება, თუმცა ახალი პატრონის ხელში გაცილებით უზრუნველი ცხოვრება ჰქონდა. საერთო ამ მოთხრობებს შორის მხოლოდ ეს არის (რაც თავისთავად არ არის ცოტა), განსხვავება კი უამრავია — სად ცირკის ცნობილი მომთვინიერებელი, ალბათ დუროვთა საგვარეულოდან იგულისხმება ვინმე, და სად პატარა ფშაველი ბიჭი. სად წკავწკავა ფინია და სად ბუხუნა, მგელიგლეჯია მეცხვარე ნაგაზი. ჩეხოვის კაშტანკამ დაუფიქრებლად მოქუსლა ძველი პატრონისაკენ, ცირკის არენიდან საღლაც ზედა რიგებისაკენ, თან მაყურებლების თავებზე ხტებოდა, მოაჯირებს ევლებოდა, ხელიდან ხელში გადადიოდა... ჩეხოვმა ამის გამო საკმაოდ მიიღო საყვედურები, კრიტიკოსთა აზრით, მწერალმა მიაფუჩეჩა ფინალი, ხოლო ვაჟას ჯავრიას სულიერი განცდები მთელ სამ გვერდზეა გადაჭიმული, რაც მისი ეკონომიზმის კვალობაზე საკმარისზე მეტია.

ჯავრიას მღელვარება მაშინვე დაიწყო, როცა მთიდან ბარში მიმავალი ფარა სოფელს გაუსწორდა: „...ველარ ისვენებდა, დაიწყო წკმუტუნი, არაჩვეულებრივი ალერსი დამიწყო. მეტოტავებოდა, ხელებს მილოკავდა, თითქოს სამუდამოდ უნდა გამომთხოვებოდა... გულმა ველარ გაუძლო, გაიხედა ცხვრისკენ... შედგა, მოიხედა, ჩემკენ... წა-

მოვიდა ჩემსკენ, მაგრამ თან ცხვრის ფარას ვერ აშორებდა თვალს. დამიწყო ხელების ლოკვა, ატოტავდა, ორივე ფეხი გულზე მომაბჯინა, თვალებში მომაჩერდა...“

„ენა სდუმდა, ხოლო თვალები უფრო მეტს ამბობდა, მეტს ნაღველს ჰხატავდა, ვიდრე ენას შაეძლო ეთქვა... როგორც ანდამატმა ნემსი, ისე მიიზიდა ჩემი ჯავრია ცხვარ-ბინამ, რომელიც არც კი ისაკლისებდა ძაღლს და გადავიწყებული ჰყავდა თავის ერთგული ოთხფეხის არსებობა. თვით ჯავრიასაც დაჰვიწყებოდა, რა ყოფაში ჩააგდო იგი ცხვრის დევნამ, დაჰვიწყებოდა ჩემი ამაგიც... დაჰგმო ფუფუნება, საუკეთესო საჭმელი და მყუდრო საგული“.

„მწყემსმა იცნო თავისი საყვარელი ძაღლი... ჩემი ჯავრიაც მიეგება, როგორც შვილი დედას, და გაიმართა მათ შორის თავაზა და სალამი... ჯავრიამ დამინახა, შერცხვა, თვალები მომარიდა, გადადგა განზე, მეცხვარესაც მოშორდა და სხვა მხარეს დაიწყო ყეფა, თუმც დასაყეფი არავინ და არაფერი იყო...“ „ცხვარსა და მეცხვარეებს სამი ვერსის მანძილზე გავყევი. ჯავრია ჩემთან მოდიოდა, ეგონა მეც იმასთან ერთად ვიქნებოდი ცხვარში, უსაროდა, ალარ ირცხვენდა თავის მოქმედებას. ბოლოს გამოვეთხოვე მწყემსებს გულდაკოდილი, და ის ნაფეშქაშარი ნამგალა ციკანიც თან წამოვიყვანე. ეხლა ციკანი მყვანდა ჯავრიას მაგივრად“.

ავიღოთ ჩეხოვის სულისშემძვრელი მოთხრობა „ვანკა“. ვანკა, ეს თითისტოლა ბავშვი, ქალაქშია გამოგზებული ვინმე მეჩექმე ალიახინის მოსამსახურედ. არ აკლია ჯაფა, შიმშილი და ცემა-ტყეპა პატრონთაგან. იგი წერილს წერს ბაბუას შობის წინა ღამეს, „ამთენიისას, და მისამართსაც აწერს „на деревню дедушке». ემუდარება, წაიყვანოს და მოაშორებს ამ ჯოჯოხეთს, მაგრამ ვინ? — ამ ჯაფამხიარულ, მარად მოცინარ და ღაჟღაჟა მოხუცს, მუდამდღე რომ ნასვამია და მზარეულ ქალებს ეღლაბუცება!

იყო დრო, როცა ვანკა ბედნიერი კაცი იყო — ბაბუას დაჰყვებოდა ტყეში შეშაზე. დედამისს ქალბატონი წყალობდა და ამის გამოისობით თვითონაც არ აკლდა ყურადღება — აგერ წერა-კითხვაც ასწავლა ქალბატონმა. დიახ, დაჰყვებოდა ბაბუას შეშაზე თუ საახალწლო ნაძვისხის მოსაჭრელად, და მერე მის მორთვაშიც ღებულობდა მონაწილეობას. დედის სიკვდილამდე ნამდვილად ბედნიერი იყო. იმ სუსხიან დღეს, ნაძვის ხეს რომ ჭრიდნენ, „ისიც ჰკიოდა, ბაბუაც ჰკიოდა, ყინვაც ჰკიოდა“. როცა დედა მოუკვდა, ბაბუამისს მიუგდეს, და რადგან ბერიკაცი მისი მომვლელი არ იყო, ქალაქში გაამწესეს იმ მეჩექმე ალიახინის ხელზე მოსამსახურედ. დიახ, აუტანელია მისი ყოფა, ცემენ, აშიმშილებენ, სულს ხდიან ჯაფით. „მიშველე, ბაბუ, თორემ მოვკვდები. შენს მეტი არავინა მყავსო.“ ძნელია უცრემლოდ მისი ჩივილის მოსმენა. თან რომ არ ტირის, თავს იკავებს, მოზრდილ ადამიანს ბაძავს, არც ის ავიწყდება, ქალაქის ამბები მოუყვეს ბაბუას.

ლევ ტოლსტოი, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა ჩეხოვის მოთხრობების დახარისხება ღირებულებათა მიხედვით, „ვანკას“ პირველ ხარისხისად მიიჩნევდა. ანუ საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ.

ახლა ვაჟას გმირსაც მივხედოთ — სხვათა შორის ამასაც ვანო

ჰქვია. ამისი ყოფა შორს არის ჩეხოვის ვანკას ტრაგედიისაგან — როგორ შეიძლება შედარება! ის მხეცებშია. ეს კი დიასახლისთან ცხოვრობს, მართალია, ერთ მოსაწყენ, მარად მოწუწუნე, გაუბედურებულ ადამიანთან, მაგრამ მაინც პატრონი ჰქვია. ვანკას მიერ გამომუშავებულ კაპიკებს, ალბათ, პაპას უგზავნიან, კიდევ ვიმეორებთ, იმ მხიარულ, მარად პირმოცინარ მოხუცებულს, შვილიშვილი რომ ჯოჯოხეთში გაიმეტა უდარდელად. ქართველ ვანოს კი, როგორც წესია, მშობლები არჩენენ, ქალაქში სასწავლებლად ჰყავთ გამოგზავნილი და ბინის და კვების ფულსაც იხდიან. 10 მანეთს. ოღონდ ესაა, ბოლო თვისა არ გამოუგზავნიათ და ახალ წელს იგი და მისი დიასახლისი ერთობ ღარიბულად, უხალისოდ ხვდებიან.

დიახ, ვანოს მშობლები ცოცხალი ჰყავს, მაგრამ შორს არის მათგან. მისი ყოფა, ჩეხოვის ვანკასთან შედარებით, უფრო რეალურია და შესაძლოა ამის გამოც — ნაკლებად მწვავე და შთამბეჭდავი. ერთი შეხედვით თითქოს არა უჭირს, მაგრამ რა ქნას, უზომოდ ენატრება სახლი, თავისიანები, ძმა, ბუხარი, ძაღლი „აფთარა“, მამალი „პომპოლკი“... მშობლებს მანაც წერილი მისწერა, ვანკა ჟუკოვისგან განსხვავებით შობამდე რამდენიმე დღით ადრე, უფრო მოკლე და, ცხადია, ნაკლებად შემაძრწუნებელი — ძალიან მინდა შობას სახლში ვიყო, ცხენი და საჭირო ფული გამომიგზავნეთ ჩამოსასვლელადო, მაგრამ აგერ კვირაზე მეტი გავიდა და არც ცხენი ჩანს და არც პასუხი. საშინელი განწყობით ხვდება ახალ წელს. რომ სცოდნოდა, ასე იქნებოდა, ფეხით დაადგებოდა გზას (იხილე ვანკა — «хотел было пешком на деревню бежать»). თუმცა მშობლებს კი წერს, „წაღები გამიცვდა და ჟუდიც არ მივარგაო“, (ვანკა — «да сапогов нету, морозу боюсь»). ფინალში ორივე მათგანი ერთნაირი მინაარსის სიზმრებს ხედავს: რუსი ვანკა — თუ როგორ კითხულობს გაბადრული პაპამისი, მზარეული ქალებით გარშემორტყმული, შვილიშვილის წერილს, ხოლო ქართველი ვანო ფეტვიაშვილი — ლხინს თავის გალამაზებულ სახლში, ისმენს საღღეგრძელოებს, მხოლოდ დედაა ცრემლმორეული, შვილს ნატრულობს...

7. ვაჟასა და ჩეხოვის მოთხრობებს აქვთ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ღირებულება, ვიდრე სისხარტე და მოცულობის სიმცირეა, მისთვის შეიძლებოდა გვეწოდებინა „საწყისი სიჩქარე“. ეს არის თვისება — სწრაფად მიიჩვიოს მკითხველი, თუმცა მოვლენები, როგორც წესი, სულ სხვანაირად ვითარდება, ვიდრე ამ შესავალი წინადადებების მიხედვით შეიძლება იფიქროს კაცმა. მნიშვნელოვანწილად ეს თვისება გამოიხატება უკიდურეს ეკონომიზმში და მდგომარეობის დახასიათებისას. გარეგნობა მხოლოდ რამდენიმე სიტყვითაა აღწერილი, არავითარი განმარტება ხასიათის სიღრმისეული თვისებების თაობაზე — ყველაფერი გამოჩნდება მოგვიანებით, მათ მეტყველებასა და ქმედებაში.

ამრიგად, ლაკონურობის „სიმძიმის ცენტრი“ ვაჟასა და ჩეხოვის მოთხრობებში მათ დასაწყისშივეა. ეს მოთხრობები იწყებიან შესავლის გარეშე, პირდაპირ მოქმედებით და მოკლე, სულ რამდენიმე წინადადებიანი ინფორმაციით სიტუ-

აციის, ან მთავარი მოქმედი პირის შესახებ. ვაჟასთან ადამიანის ნაცვლად შეიძლება იყოს ცხოველი, მცენარე, კლდე, მთა, წყარო, წელიწადის ერო.

ავიღოთ ალალბედზე ჩეხოვის რომელიმე რიგითი მოთხრობა, ვთქვათ „შიში“, მოთხრობა ქმრისაგან ცოლის უიმედო სიყვარულზე, ღალატზე, მოთხრობა არც თუ გენიალური და არა იმათთაგანი, რომლებმაც ავტორს მსოფლიო სახელი და დიდება მოუტანეს: „დმიტრი პეტროვიჩ სილინმა დაამთავრა უნივერსიტეტის კურსი. მსახურობდა პეტერბურგში, 30 წლისამ კი სამსახურს თავი ანება და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. მეურნეობა კარგად მიუდიოდა, მაგრამ მე მეჩვენებოდა, რომ ის ვერ იყო თავის ადგილზე და კარგს იზამდა, თუ პეტერბურგში დაბრუნდებოდა...“

მოვუსმინოთ ვაჟას: — „ბერდიხა“ (სურათი ფშავის ცხოვრებიდან): „სამის წლის მათიას დედამ მეტი სახელი წიწმატა დაარქვა და ეს ახალი სახელწოდება მათიასი მთელმა ოჯახმა პირზე დაიკერა“.

— „ლექსოს სამწყემსო“: „დემეტრეს სახლის ეზოში ღვინის ტიკები ეწყო. ეს-ეს იყო დაამთავრეს ღვინის ამოღება კარაპეტამ და დემეტრემ. ფულის სარგებელში დემეტრემ კარაპეტას ღვინო მიუწყო. მიკიტანი ეხლა მხოლოდ სადილსღა ელოდებოდა...“

— „დიდებული საჩუქარი“: „მექათმეს ცხენზე აკიდებული გალიებით ქათმები მიუდიოდა ბაზარში გასაყიდად. გალიაში დედლებთან ერთად მამალიც ჰყავდა დამწყვდეული. მეუფე ქათამთა გვარეულობისა უსიამოვნოდ ჰგრძნობდა თავს გალიაში, რადგან ქათმების სიმრავლისაგან ვიწროობა იყო, მამალი კი თავისუფლებას იყო ჩვეული: თავისუფლად მხრების გაქნევას, ბოლთას და კისრის აძაგვით თავისებურ მღერასაც“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „ცრუპენტელა ალმზრდელი“: „ტანზე თხის ტყავი ეცვა, თავზა წოწლოკინა თხისავე ტყავი ეხურა, სახე მოღუშული ჰქონდა, არასდროს არ გაიცინებდა. რამდენიმე თხა-ცხვარი ჰყავდა, იმათა ჰმწყსიდა. ჩვენკე მოდიოდა, თან მოლაპარაკობდა თავისთვის: „შვილები, შვილები, ჩემი შვილები! შენი შვილების დარდი მაქვს? არ გაგიშვებ, არა, ჩემთან უნდა იყო. არა, ყურცქვიტავ, თავს ნუ იწუხებ...“

დავუბრუნდეთ ჩეხოვს:

— „საფულე“: „ერთ მშვენიერ დღეს, დილაადრიან, სამი მოხეტიალე მსახიობი — სმირნოვი, პოპოვი და ბალაბაიკინი რკინიგზის ლიანდაგზე მისეირნობდნენ. უცებ მათ საფულეს მოჰკრეს თვალი.“

— „დრამის შესახებ“: „ორი მეგობარი, მომრიგებელი მოსამართლე პოლუესტოვი და გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ფინტიფლუევი მეგობრულ სუფრას უსხდნენ და ხელოვნებაზე საუბრობდნენ“.

— „გენერალი ქორწილში“: „გადამდგარი კონტრ-ადმირალი რევუნიკარაულოვი, პატარა ტანისა და დაჩაჩანაკებული ბერიკაცი, ბაზრიდან ბრუნდებოდა და ლაყუჩებით ცოცხალ ქარიყლაპიას მოაფლაკუნებდა.

— „ნილაბი“: „X-ის საზოგადოებრივ კლუბში საქველმოქმედო მიზნით ბალ-მასკარადი ტარდებოდა, ანუ, როგორც ადგილობ-

რივი ქალბატონები იტყვიან, ბალ-პარეი. ღამის 12 საათი იყო".

მკითხველთან ბოდიშს მოვიხდით ვრცელი ციტირებისთვის, მაგრამ დამეთანხმებით, ყველა მათგანი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ, ასე ვთქვათ, „ყურებს გვაცქვეტინებს". სხვა არაფერია საერთო ამ დასაწყისებს შორის გარდა იმისა, რომ მათზე ვერ შეჩერდები. მართლაც, როგორ შეიძლება არ მოისურვო იმის გაგება, თუ რა მოხდა იმ „ბალ-პარეიზე" ასე გვიან, აკი გვაუწყებს ავტორი, ღამის 12 საათი იყო, ან რა ბრძნულ აზრებს გამოთქვამდა ქიტო-გოგრა? ან რა უნდა ელაპარაკათ შექეიფიანებულ, თავიანთი საქმიანობის მიხედვით ხელოვნებისგან ასე შორს მყოფ ადამიანებს დრამატურგიაზე? ისიც ხომ საინტერესოა, როგორ წარიმართა საღილი კარაპეტასა და დემეტრეს მონაწილეობით, რომელთა შორის ურთიერთობა მკითხველისათვის სრულიად გასაგები ხდება იმ სამი თუ ოთხი, ისიც საკმაოდ მარტივი წინადადებებიდან.

არც იმის არცოდნა მოასვენებს მკითხველს, თუ რა აღმოჩნდება საფულეში, რომელიც მოხეტიალე, და ცხადია, არაფრის მქონე და უმუშევარმა მსახიობებმა იპოვეს რკინიგზის ლიანდაგზე?

ასევე შეუძლებელია მკითხველმა „ყური არ ცქვიტოს", როცა ბებრულად თავისთვის მობუტბუტე მწყემსის სიტყვებში — დიახ, მკითხველი უკვე გრძნობს, რომ მწყემსი საკმაოდ მოხუცებულია, მაგრამ მოძრავი ჭკუისა და დიდი ფანტაზიის პატრონი — სიტყვა „ყურცქვიტას" მოჰკრავს ყურს.

ხოლო ვაჟას მამალს, ისევე, როგორც მთელი მსოფლიოს მამლებს, დედლების გარემოცვაში ყოფნა სიცოცხლეს ურჩევნია, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი — გალიაში ჩაჭედილს, თუნდაც იგივე დედლებს შორის გული უწუხს, — რაღაც მოხდება ნამდვილად...

რაც შეეხება ჩეხოვის „ჩაჩანაკებულ კონტრ-ადმირალს", თევზისთვის რომ ჩაუვლია ხელი და სახლისკენ მოფრატუნობს, ეს იმდენად კოლორიტული სახეა, შეუძლებელია თვალი არ გააყოლო და მასზე დაწერილი სამ-ოთხ გვერდიანი მოთხრობა ბოლომდე არ ჩაიკითხო.

8. სიტყვამ მოიტანა და, სანამ სხვა თემაზე გადავიდოდეთ — არის რაღაც „საერთო" ორ რადიკალურად განსხვავებულ პერსონაჟს, ჩეხოვის გადამდგარ კონტრ-ადმირალ რევუნოვკარაულოვსა და ვაჟას „ცრუპენტელა ალმზრდელს" — ციხელს შორის — ორივე მოხუცია და ენის ქავილი აქვთ ატეხილი. (საერთო კიდევ ის არის, რომ ერთმანეთის შესადარებლად გვიბიძგებენ.) ეს არის და ეს. სხვაფრივ ეს წყვილი დაპირისპირებულთა კლასიკურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

ციხელის საუბარში ერთი სიტყვაც არ არის მართალი, მაგრამ გვატყვევებს გამომგონებლობით, ფანტაზიის გაქანებით* და წარმტაცი თავხედობა-უდიერობით — გიკვირს და გეცინება ადამიანს, როგორ არ წუხს ოდნავადაც იმაზე, რომ ბავშვები მას არ დაუჯერებენ — ხოლო კონტრ-ადმირალის ნალაქლაქებში ერთი სიტყვაც არ არის მოგონილი, ყველაფერი მართალია — მთელი

---

* (არაგვში წყლის დასალევად ცხვირპირჩაყოფილს ულვაშებზე ორი ისეთი ორაგული ჩამოჰკიდებია, თავი ველარ ამოსწია თურმე).

ეს გულისგამწვრილებელი საზღვაო-სამხედრო ტერმინოლოგია ზუსტად ასახავს სინამდვილეს, მაგრამ საშინლად მოსაწყენია და, თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ მოქმედება ხდება ქორწილში, სადაც არავის აინტერესებს ამ ტერმინების შინაარსი, აშკარად სულელურიც. როგორც ციხელის (იგი ოთხმოცი წლისაა, ასე გვაუწყებს ვაჟა), ისე კონტრ-ადმირალის (სხვადასხვა მოსაზრებათა გამო ვფიქრობთ, რომ იგი ოდნავ უნდა იყოს გადაცილებული სამოცს) ნალაპარაკები კასკადური, ჩანჩქერისებური ხასიათისაა — დროდადრო ისინი ეშსში შედიან და ძნელია მათი გაჩერება; ციხელისა კასკადია უსაზღვრო ფანტაზიის, მახვილგონივრულობის და ენაწყლიანობის, კონტრ-ადმირალისა კი... ისიც კასკადია, ნიაღვარია, მაგრამ თავგასული სიჩერჩეტისა. ციხელის ნაამბობს სუნთქვაშეკრული უსმენენ ბავშვები, და მათთან ერთად ზრდასრული მკითხველნიც, კონტრ-ადმირალისამ კი სული შეუწუხა მსმენელს, ლამის ჩაშალა ქორწილი, თუმც კი მკითხველს ცრემლი ადინა ხარხარისაგან. მკითხველი ორივე შემთხვევაში ხარობს. ჩეხოვთან ის იღლება განუწყვეტელი სიცილით — ესტრადაზე რომ ცნობილი ოხუნჯები გამოდიან და ერთ ოხუნჯობას მეორეს მიაყოლებენ ხოლმე, სულის მოთქმას არ გაცლიან; ხოლო ვაჟასთან ის განუწყვეტლივ იღიმის — მას ახარებს და ახალისებს როგორც ფერადოვნება და თავგასულობა სიცრუისა, რასაც გზადაგზა ჰხანხლავს „ენა და გონებამახვილი“ ცრუპენტელა აღმზრდელი, ისე ჰეროიკა-პატრიოტიზმის გამონათებანი ციხელის ნაამბობში.

საოცარია ვაჟასა და ჩეხოვის მოთხრობებში ზომიერების გრძნობის სრულყოფილება. ჩეხოვმა იცის, რომ როგორც მექორწილენი დაიღალნენ გამოთაყვანებული ადმირლის მოსმენით, ისე მკითხველიც შეიძლება გამოვიდეს წყობიდან იმ „ბრამ-ფონ-შტოკ-მარსელებისგან“, გამუდმებით რომ იმეორებს გულაჩუყებული ადმირალი, და დროზე წყვეტს თხრობას. ხოლო ვაჟამ მშვენივრად უწყის, რა შთაბეჭდილებას ახდენს ციხელის ნაამბობი ბავშვებზე, ანუ თვით მისი, ვაჟასი, მკითხველზე და სულაც არ ჩქარობს დამთავრებას — მისი ვრცელი მოთხრობა-ზღაპარი „ცრუპენტელა აღმზრდელი“ ორმოცამდე გვერდზეა გადაჭიმული და სულმოუთქმელად იკითხება.

არის ერთი დეტალიც, სწორედ რომ დეტალი, ჩეხოვის მოთხრობაში: მოხუცი ადმირალი ქორწილში მისმა ძმიშვილმა მიიყვანა, რისთვისაც ფული აიღო, ხოლო ადმირალმა, ეს რომ გაიგო, უმალ გამოინელა ღვინო და მიატოვა სუფრა. შეიძლებოდა ვინმეს ეთქვა, რომ ჩეხოვის ამ მოთხრობაში დაგმობილია ანგარება, მაგრამ ეს იქნებოდა ყურით მოთრეული ღირსება ნაწარმოებისა. სინამდვილეში ჩეხოვთან დაგმობილია, თუ მაინცადამაინც ასეთი კუთხით მივუდგებით საკითხს, სიბრიყვესთან შერწყმული თავხედობა — ადმირალი უხეშად აწყვეტინებს ყველას, ვინც კი რაიმე სადღეგრძელოს თქმას დააპირებს — თავხედობა, რომლისთვისაც არ არსებობს გამართლება არც ჩინის, არც ასაკის და არც ღვინის ზეგავლენის მიზეზით. მივაწეროთ ჩეხოვის მოთხრობას ანგარების მამხილებელი თვისება, იგივე შეცდომა იქნება, როგორც ის, თითქოს „ცრუპენტელა აღმზრდელში“ ვაჟა ციხელის პირით თავის ზოგად-

საკაცობრიო და პატრიოტულ სულისკვეთებას გამოთქვამს და ესაა მისი მიზანი.

9. აღნიშვნის ღირსია ვაჟასა და ჩეხოვის დამოკიდებულება რელიგიისადმი. როგორც წესი, დიდი მწერლები არასოდეს არიან ღრმად რელიგიურნი (განსხვავებით მეცნიერთაგან), ამას არც არავინ ითხოვს მათგან. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ვაჟა და ჩეხოვი მაინც ეხებიან, და საკმაოდ ქმედითადაც (თუმც კი არა პირდაპირ, არამედ მოიარებით), რელიგიის, უფრო სწორად, ეკლესიის საკითხებს. ჩეხოვში ლოგიკურ ეჭვს აღძრავს რელიგიათა მრავალფეროვნება და მათი ურთიერთგაუტანლობა, ანუ ნებისმიერი რელიგიის თავგადაკლულ წარმომადგენელთაგან სხვა რელიგიის მიმდევართა „ურჯულოებად" გამოცხადება. აქვს კიდეც ნათქვამი: „კი მაგრამ, რა დააშავეს მაჰმადმა, ბუდამ?". მღვდელთმსახურებაზე იგი არც ავს ამბობს, არც კარგს. მისი არქიელი უსათნოესი ადამიანია „არქიელიდან", მაგრამ სწორედ როგორც ადამიანი და არა მღვდელთმსახური — დანარჩენი მღვდელთმსახურები და თითქოს მორწმუნენი ვერ იმსახურებენ მკითხველის კეთილგანწყობას და მკითხველისთვის ისიც კი უცნობი რჩება, რამდენად სწამს ავტორს მათი გულწრფელობისა („წერილი", „მკვლელობა", „ტატიანა რეპინა). განსჯა რელიგიის საკითხებისა, ცხადია, მის შემოქმედებაში არ მოიპოვება. რაც შეეხება ვაჟას, მის ნაწარმოებებში ქრისტიანობა, სალოცავები და წმინდანთა სახელები ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოიხსენიება, ისევე როგორც სამშობლო, სიმამაცე, კაცობა, პატიოსნება. მაგრამ იგი გვხვდება მხოლოდ როგორც სიწმინდის, კეთილშობილების, მაღალი ზნეობის ატრიბუტი. ქრისტიანობა არის მისთვის წმინდათა-წმინდა ადათ-წესი, ნიშანი საშობლოსი და შშობელი ხალხისა, და, ამდენად, მისი პიროვნული ადამიანური ღირსების შემადგენელი ნაწილი.

საყურადღებოა ვაჟას „დროშა", სადაც დაპირისპირებულია სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ მოქცეული ეკლესია და ფშავ-ხევსურული ხატობა ჯვრისა და დროშის, ხევისბერის ტრადიციებით. საკითხის დასმა არ არის მწვავე, ხევისბერიც საკმაოდ უსახურია. არ იგრძნობა პათოსი, აღმაფრენა. ავტორი შეგნებულად იკავებს თავს და მკითხველს ანდობს მსჯავრის გამოტანას. ერთი კია, ორთოდოქსალური ქრისტიანობის დამცველნი, პრისტავი და მღვდელი ფრიად არასიმპატიურად გამოიყურებიან, მათ საქციელში არ ჩანს ბოროტება, არამედ ოდენ სიჩლუნგე და სიხარბე. „დროშა" თითქოს მთქნარებითაა დაწერილი და ეს ხერხი მშვენივრადაა მიგნებული. ის გვარწმუნებს, რომ ვაჟასთვის მთავარია არა თვით რაობა რელიგიისა, არამედ მისი ფასი, როგორც ეროვნული ღირსების გამოვლენის და ერის შემაკავშირებელი, მისი გამწმენდი და ამამაღლებელი ძალისა.

10. აქვთ ჩეხოვსა და ვაჟასაც მოთხრობები, რომელნიც ჩამორჩებიან მათ შედევრებს, და არა მარტო შედევრებს, მიუხედავად იმისა, და იქნებ იმის გამოც, რომ მათზე აშკარად ზომაზე მეტი შრომაა დახარჯული, რაც უსიამოვნო გრძნობას ბადებს. ისინი საკმარისზე მეტი ზომისანიც არიან, აკლიათ

მთლიანობა, მათში ყონავს რაღაც სიყალბის მსგავსი, იგრძნობა გადამეტებული გულმოდგინეობა, ნაძალადეობა, მხატვრულ სახეებს ცვლის განსჯა, თუმცა, ცხადია, ყველაფერი ეს ხდება მათეული ხელწერით, შეცდომა გამორიცხულია — არც ჩეხოვის და არც ვაჟას მოთხრობა არ აგერევა სხვისაში.

მაგრამ აქვთ ამ ნაწარმოებებს სხვა, ღიმილისმომგვრელი თვისება, თუ ღირსება — მათი სისუსტე მომნუსხავია. ეს ღირსება მათი ფარდობითი სისუსტეა, სწორედ რომ „ფარდობითი", რადგან ისინი, ეს მოთხრობები, რანგით ნაკლები მწერლებისთვის თავმოსაწონებელი და საამაყონი იქნებოდნენ. საქმე ისაა, რომ მათი გამოისობით ავტორები ამ მოთხრობების თუ ამბებისა, უფრო მშობლიურნი ხდებიან, მისაწვდომნი. მკითხველს საშუალება ეძლევა ეჭვის თვალით შეხედოს მათ ნამოღვაწარს, რაღაც არ მოიწონოს, რაღაც დაიწუნოს. გაიცნობიეროს, რომ ისინი, გენიოსი ვაჟა და გენიოსი ჩეხოვი მასავით ადამიანები არიან, მათთან შეიძლება საუბარი და კამათიც კი. მკითხველს საშუალება ეძლევა განსაჯოს საყვარელი მწერალი და არ თრთოდეს მის წინაშე წრესგადასული მოწიწებით. სიახლოვის განცდა გენიოსთან ამაღლებს მკითხველს, მისი გული მადლიერებით ივსება, რაკი მას, ამა სოფლის ქაოსში ჩაკარგულ პიროვნებას გოლიათებმა მისდა უნებურად გული გაუხსნეს, კაცად მიიჩნიეს, და იმით, რომ თავიანთი სისუსტე არ დაუმალავთ. იგი კეთილშობილდება, უკეთესი ხდება, იცნობიერებს, რომ მოეთხოვება მეტი, ვიდრე იაფფასიან ღირებულებებზე და საკუთარი ქონების გამრავლებაზე ზრუნვა.

11. არსებობს კიდევ ერთი, უფრო მეტად საჩოთირო საკითხი, ვიდრე ვაჟასა და ჩეხოვის [illegible] ბით უფერული მოთხრობების ზემოთნახსენები „ღირსებების" მოძიებაა. ვფიქრობთ, რომ ჩეხოვის დრამატურგიას უნდა შეესაბამებოდეს ვაჟას პოემები, როგორც საზოგადოების მიერ თითქმის ერთხმად მიჩნეული გვირგვინები მათი შემოქმედებისა, სინამდვილეში კი ისინი არიან არა გვირგვინები, არამედ ოდენ სამკაულები. ძვირფასი, ძალზე წარმტაცი, მაგრამ მაინც სამკაულები. ქებათა-ქება ვაჟასა და ჩეხოვის შემოქმედების ამ მხარისადმი, აურაცხელი დითირამბები და მოაზროვნე ადამიანთა დაუსრულებელი ურთიერთშეჯიბრი მათი კვლევის, მათ სიღრმეებში ძრომიალისა და სულ ახალ და ახალ ღირსებათა აღმოჩენის საქმეში ურთიერთწაბაძულობის შედეგი უფროა, ვიდრე გულწრფელი აღტაცებისა. სინამდვილეში ვაჟასა და ჩეხოვის მოთხრობებში მთლიანადაა ნაჩვენები მათი გენიის შესაძლებლობები. ვაჟაზე იმის თქმა შეიძლება, რომ მისი პოეზიის რითმამ და რიტმმა ვერ ჩაიტია მისი „მსუბუქი" მოთხრობების შინაარსი, ხოლო ჩეხოვზე ის, რომ დრამების წერას იგი შეუდგა, ძნელია იმის თქმა, რომ სხვისი წაქეზებით, მაგრამ ნამდვილად თავისი შესაძლებლობების გამოცდის მიზნით ჯერეთუცნობ სფეროში. მხედველობაში გვაქვს მისი სერიოზული, „სრულმეტრაჟიანი" დრამები და არა ხალასი, მჩქეფარე იუმორით აღსავსე ვოდევილები, რომლებიც ისევე იოლად და სიხარულით მიიღო მაყურებელმა, როგორც მისი „მცირეგაბარიტიანი" მოთხრობები.

12. და მაინც ყველაზე ძნელად დასამტკიცებელ პუნქტად ჩვენს წერილში მიგვაჩნია იუმორის ხვედრითი წონის დაახლოებით ერთნაირი მნიშვნელობა ვაჟასა და ჩეხოვის შემოქმედებაში. იუმორი მათთან არის გარეგნული გამოვლინება ხასიათის იმ სიღრმისეული თვისებისა, რომელსაც ცხოვრების, სიცოცხლის სიყვარულის მოთხოვნილება და უნარი ჰქვია, და რომელიც არ არსებობს ღიმილისა და სიცილის გარეშე. ოჯახურ გარემოებათა მსგავსება, მათი დიდი ოჯახების თითქმის იდენტური შემადგენლობა დამატებითი დამადასტურებელი საბუთია ვაჟასა და ჩეხოვის შემოქმედებით პოტენციალში არსებული იმ სიღრმისეული შრეებისა, რომელიც დასაწყისშივე ვახსენეთ და ალბათ რომლიდანაც გამომდინარეობს იუმორის ერთნაირად მნიშვნელოვნება მათს შემოქმედებაში. იუმორი, მისი ხარისხი, მისი ტექნიკური თუ ანატომიური შემადგენლობა საერთოდ იშვიათად არის ლიტერატურული კრიტიკის, მით უფრო სერიოზული კრიტიკის კვლევის საგანი, რომელიც მას ხელოვანის ინსტრუმენტად მიიჩნევს და ძირითადად იმით არის დაკავებული, რომ გამოიკვლიოს, თუ რას აღწევს ხელოვანი ამ ინსტრუმენტის გამოისობით. ჩეხოვთან ასეა: ყველა ეტრფის მის იუმორს, მაგრამ ქების სიტყვებს ერიდებიან, ხოლო მის თავდაპირველ, მხოლოდდამხოლოდ მკითხველის გასამხიარულებლად დაწერილი მოთხრობების გარჩევას, ალბათ, როგორც წესიერი ლიტერატორისათვის არასაკადრის საქმიანობას, სწორედ რომ არ კადრულობენ, ხოლო ჩეხოვის სიდიადეში მისი იუმორის გრანდიოზულ წვლილს ნაკლებად აღნიშნავენ.

ვაჟაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია! არავის მოსდის აზრად გამახვილოს ყურადღება ვაჟას იუმორსა და მის ძალზე მნიშვნელოვან როლზე მწერლის შემოქმედებაში. ვფიქრობთ, რომ ამის მიზეზი საქმის სიძნელეა. ძნელია ადამიანს დაუმტკიცო, რომ ესა და ეს მოთხრობა სასაცილოა, ამა და ამ ფრაზაზე უნდა გაიცინო. მკითხველმა თვითონ უნდა გაიცინოს. თუ ვერ გაიცინებს, ან არ გაიცინებს, მისი საქმეა. როგორც ძალად თავის შეყვარება არ შეიძლება, ისე არ შეიძლება ძალად გაცინება. მაშ რა დაგვრჩენია ვაჟას იუმორის საჩვენებლად? მხოლოდ და მხოლოდ ციტირება, სხვა არაფერი. აი, მაგალითად, როგორ მოძღვრავს ვაჟას „ცრუპენტელა აღმზრდელი“ — ციხელი მის შემყურე სმენადქცეულ ბავშვებს:

„ვინც ქვეყნია, უნდა იგრძნოს შენი ყოფა-მდგომარეობა, მუდამ რაიმე კერძს მოგაწოდებდეს. ამიტომ შენი სახლის კარის თავზე კედელში ფიცარი შეიტანე და ვინც გულით მოწყალეა და არა სათვალფროდ, ე. ი. ქვეყნის დასანახვებლად კარგის მქმნელი, — ჩუმად მოიპარება და, რაც გულით ემეტება, იმ სანოვაგეს მოიტანს და ჩუმად დასდებს. შენ, რასაკვირველია, უნდა უყარაულო, შორიახლოს უთვალთვალებდე, დაისწავლო და სამაგალითოდ დაჰსაჩუქრო“.

ან კიდევ: „— ცოდვა არ არის, ღაღოლავ, — სთქვა ზურაბამ, რო ეხლა შენ ხინკლიან სუფრას არ უზიხარ და მუზარადით შავს ლუდს არა ჰსომ.

ღაღოლა ამ დროს ძვადით ამოტენილს ხის ჯამსა სტორავდა ხისავე ნიჩბით...“

„იდ, იდ, დაილოცე, დაილოცე, ხუთკურის წვენო! როგორ უხდება ეს დალოცვილი ნიორი! — ამბობდა კვალად ზურაბა...“ (მკითხველს ვასსენებთ, რომ მოქმედება ხდება შობის წინა ღამეს ტყეში დამშეული და შემცივნული მონადირეების მონაწილეობით). კვლავ ციხელს მოვუსმინოთ. აი, როგორ დასაჯა მან მისი მსმენელი ბავშვების მამები, როცა ამ ბრიყვებმა მისი ცემა განიზრახეს („ეგ ციხელი როგორლაც ბიჭობს, მოდი, ერთი მაგასა ვცეთო“): „შავუკარ ხუთსავე ხელ-ფეხი, კარგა შავბოჭე ხუთივე, გადავაბი ერთი-მეორეზე, ცალი საბელის წვერი ხელში დავიჭირე და სახრით დავირეკე. მივრეკე ყველა თავთავის სახლში... მამაშენი, — მიუბრუნდა მესამეს: ყურით თქვენი დერეფნის ბოძზე მივაკარ ზურგით. გავაკარ, როგორც ჯვარზე ქრისტე გააკრეს... — მამაშენს კიდევ, — უთხრა მეოთხეს, — რადგან ბურნუთი უყვარს, ცხენის თოფრა ამოვდე პირზე, შიგ ბლომათ თამბაქო ჩავუყარე. ხმაც არ ამაილო, როგორც ვატყობდი, კიდეც უხაროდა. ვინ იცის, რა სასჯელს მოელოდა ჩემგან და რაკი ასე მცირე, თან სასიამოვნო სასჯელით გადარჩა, რა ეთქმოდა, წავიყვანე და მოშორებით, რო ცინტაობა (ცხვირის ცემინება) არავის გაეგონა, ბოსტანში რო პანტა გიდგათ, იმაზე დავაბი... მამაშენი შევიყვანე ბოსელში, — უთხრა მეხუთეს, — და გრკალით ძროხების საბმელ ბაგაზე დავაბი...“

„მელია-სერეფენია“ ვიღაა? ვინა და მელია, ჯერ თითქმის ისევ ბავშვია, მაგრამ უკვე ნამდვილი ქალია, ლამაზი, ეშმაკი, რისკიანი, ხარბი და უშიშარი. დედა მოუკვდა ნაადრევად — პრასიანელმა ქიტესა ჩახმახაშვილმა დაიჭირა ხაფანგით. ამ მოთხრობას რომ ვკითხულობთ, ცოცხლად წარმოგვიდგება სახე ძლიერი ნების, გარეგნულად ლამაზი (სულის რა მოგახსენოთ — ქალიშვილისა, მთელი ოსტეოთ რომ ისწრაფვის ცხოვრების მოწყობას, „კარგი“ ოჯახის შექმნას, მალალ საზოგადოებაში მოხვედრას. იგი არაფერს მოერიდება, ნებისმიერ დანაშაულზე წავა მიზნის მისაღწევად...

სერეფენია მშობლების დაკარგვას მეჯგრად შეხვდა, დამოუკიდებელი ცხოვრების ნიჭიც გამოამჟღავნა და ცოდნაც საკუთარი შესაძლებლობებისა. იგი უბოდიშოდ აგდებს თავისი სოროდან იქ მის არყოფნაში მოკალათებულ სახელოვან როსტომელას. როსტომელას ქათინაურებმა და მჭერმეტყველებამ ვერ გაჭრა — არ მოეწონა სერეფენიას ხანშიშესული ხვადი მელაკუდა. მოვუსმინოთ სერეფენიას გულქვაობით გულმოკლულ როსტომელას: „— მიბრძანდი, ქალბატონო, ემანდ შენ, ემანდ შენი სახლი. დავაშავე, ერთი ღამე გავათიე შენს სახლში, ერთი-ორი ჭართული გითხარი. მომიტევე. ხომ არ დამარჩობ?“

„— რად მიწყრები, ქალო-ჯან, თქვენი სახლია? ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსთ. მე ხომ სამუდამოდ არ დავდეგ აქ. შე დალოცვილო, თოვლ-შხაპი იყო, პატარხან თავი შევაფარე. კედლები არ შამიჭამია, ჭერი და ბოძები. მე ვაქკაცი ვარ. ნუთუ არ გაგიგონია სახელოვანი როსტომელა? აბა სწორედ მე გახლავარ ისა. შაურცხვეს იმ ვაქკაცსა ულვაში, ვინაც დედაკაცის დაწიოკება იკადროს“.

ჯავარ-ქალი, მელია-სერეფენიას დედა, სანამ ქიტესა ჩახმახაშვი-

ლის მიერ დაგებულ მახეში გაებმებოდა, დიდი გაქნილი ვინმე გახლდათ, მაგრამ ხოხობთან არაფერი გამოუვიდა. „ყლო, ოპო, ჰმ! ჩემი ჯიჯია გნებავს, ქალბატონო, ვერ მოგართვით. ხეზე ამობრძანდი, აქ მელაპარაკეო.“

უძმოს-ძმა ჩალხო, მოჩხუბარი, სუსტთა და უსამართლოდ დაჩაგრულთა მფარველი და ქომაგი, და ამის გამო სულ მუდამ ჩხუბსა და დავიდარაბაში გახვეული, მრავალჯერ ნაცემი და ნაჩეხი, ბოლოს და ბოლოს მოხუცდა და ისიც ხუმარა ბიჭების დასაცინი შეიქნა. სიბერეში პატარა „ბიზნესი“ წამოიწყო — ხელდადგულად გამიხარდისთან ერთად ზიარი წისქვილი ააშენა, თუ შეიძინა. „თუ რა ღირსების წისქვილია და რა ჯურისა, ეს იმ ლექსიდანა სჩანს, რომელიც ხალხმა გამოთქვა წისქვილზე:

ჩალხომ გამართა წისქვილი,
კადაჩალს გააქვს გრიალი,
ორად სტეხს, სამად აღარა,
ეგ მამა-მადლის ტიალი...“

„— ბიჭო, აბა ყური დაუგდე, რას იძახის ჩალხოს წისქვილი? კაი ბიჭი იქნები და იცნობ. — ეუბნებოდა ერთი მეორეს.

— რა დიდი ცნობა უნდა, ცხადია, რასაც ამბობს, — უპასუხებს მეორე.

— ბიჭოს, ბიჭოს! — ჰე, ჰეე! — თან იცინის. ორივენი ყურს მიუპყრობენ გვერდზე დახრილები და წელში მოხრილები. ხოლო ერთი უთარგმნის ჩალხოს წისქვილის ლაპარაკს: ჰაი, ჰაი, ვაი, ვაი, ჩალხო, ჩალხო, რაღა ხარ? რაღა ხარ? იიი, ჰოო! მიჭირს, მიჭირს, მამეშველეეეეე! გიკ...ვ ...დე... ბიიი!

— ყოჩაღ, ყოჩაღ! აჰხსენი — ეტყვის მეორე...“

და მაინც, ციტატების მოყვანაც უქმად გარჯაა, რადგან ერთისთვის სასაცილო ამბავი, მეორისთვის შეიძლება არ იყოს სასაცილო და პირიქით; შეიძლება ერთსა და იმავე ხუმრობაზე ერთი გადაბეირდეს (როგორც ტოლსტოი ბეირდებოდა ჩეხოვის „ქორწილის“ ყურებისას), ხოლო მეორემ მხოლოდ გაიღიმოს — ისიც, თუ კარგ ხასიათზეა. ვაჟას იუმორის გასაგებად ერთი რამაა საჭირო, კითხვა და კითხვა მისი იმ მოთხრობებისა, რომლებიც არ ითვლებიან მისი შემოქმედების გვირგვინებად, მაშინ როცა ისინი ნამდვილი გვირგვინებია.

ღიმილისა და სიცილის გარეშე ბავშვს ვერ მიეფერები. ბავშვის სიხარულის პირველი ნიშანი (მოზრდილებისაც) ღიმილია, სწრაფვა ღიმილისა და სიცილისადმი და გამორჩეულად ნაზი დამოკიდებულება ბავშვებისადმი ერთიმეორეზე გადაჯაჭვული თვისებებია სულისა და ძნელია თქმა, რომელი რომლისგან მომდინარეობს. ორივ მათგანი ძალუმად ჰქონდათ მომადლებული როგორც ვაჟას, ისე ჩეხოვს. და საერთოდ, სიტყვა „მოფერება“ კარგი მახასიათებელი იქნებოდა მათი დამოკიდებულებისა მათი საყვარელი პერსონაჟების მიმართ. ისინი ხომ სწორედ რომ ეფერებიან და არა განადიდებენ, არ გამოსატავენ მოწიწებასთან წილნაყარ აღტაცებას...

15. მისაწვდომობა — არის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საერთო თვისება ვაჟას და ჩეხოვის შემოქმედებისა — თუ არ ჩავთვლით ჩეხოვის დრამატურგიას, რომელმაც ძნელად გაიკვალა გზა მაყურებლისა და მკითხველის ცნობიერებისკენ,

რამაც დიდი სულიერი ტკივილები მიაყენა და მნიშვნელოვნად შეარყია მისი ისედაც შერყეული ჯანმრთელობა, — და ეს ეხება მათს არა მარტო მცირე ზომის, არამედ საკმაოდ მოზრდილ მოთხრობებსაც. „ფშაველი და მისი წუთისოფელი", ან „ცრუპენტელა აღმზრდელი" არც თუ მცირე ზომიმს მოთხრობებია, ისევე როგორც „ტრამალი" („степь") ან „გლეხები" ჩეხოვისა, ან მისივე „სამი წელი" და „ჩემი ცხოვრება", მაგრამ პირველივე სტრიქონებიდან ხდებიან გასაგებნი და მშობლიური, განსხვავებით დიდწონიანი და ავტორიტეტული კლასიკოსებისაგან, როგორიც არიან, ვთქვათ, თომას მანი, პრუსტი, ჯოისი, ფოლკნერი, ოთარ ჩხეიძე... დიდი ოფლის ღვრა გიწევს ადამიანს მათი წვდომისთვის. კარგად უნდა გაემზადო ამ მძიმე შრომისთვის და, არავინ იცის, როგორ დაგიფასდება ამაგი, რას შეიძენ, როგორ გამდიდრდები... თუ ვერ გაიგებ, ხელმეორედ უნდა გადაიკითხო, თუ მაინც ვერ, კიდევ ერთხელ, და მთელი ამ ვაი-ვაგლახის პროცესში გამხნევებდეს ერთადერთი საეჭვო აზრი, რომ ეს საჭიროა (როგორც ლათინური „იყო საჭირო" იმ და იმისწინა საუკუნეებში), რომ ამით დაიხვეწ ლიტერატურულ გემოვნებას და რაღაცით უკეთესი გახდები, ერთი სიტყვით, ეზიარები მაღალ ლიტერატურას. ამ ტანჯვა-წამების მიზეზი ყოველთვის სხვათა წაბაძულობაა. ჰო, დაგვავიწყდა კიდევ მეტერლინკი (იხ. „ბრმები") და კიდევ სხვა ალეგორისტები და ნოვატორები ლიტერატურის, მუსიკის თუ ფერწერა-ქანდაკებისა. მუსიკა, გინდა თუ არა, გესმის, ფერწერა, გინდა თუ არა, თვალში გეჩხირება ადამიანს, თუ ძალით არ დახუჭე თვალები და არ დაიგმანე ყურები, ლიტერატურის აღქმა კი მაინც ინტელექტუალური შრომაა. მართალია, მერე და მერე ვეჩვევით ამ მძიმე საქმიანობას და გარკვეულ ხიბლსაც ვპოვებთ, ვიწაფებით, თავსატეხივით რთულ ხელოვნების ნიმუშთა სწრაფად ამოცნობაში, მაგრამ ეს ხომ ძალზე წააგავს იმას, თუ როგორ ვეჩვევით მწარე ლუდს, მყრალ თამბაქოს და ჯანმრთელობის დამანგრეველ ყავას, რომ უამსაგნებოდ ვერ წარმოგვიდგენია ცხოვრება, რომელიც მართლაც უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო ხდება მავნე ჩვეულებათა გამოისობით. სინამდვილეში ამ მრავალფეროვნებას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს ადამიანთა ბედნიერებისათვის, მათი სიმშვიდისა და სიხარულისთვის უბედურობისა და მწუხარების თავიდან აცილების, ღმერთთან მიახლოების საქმისთვის. საინტერესოა, რომ მეცნიერებისა და განათლების მოტრფიალე „რელიგიის არ მქონე" (თავად ასე ამბობდა) ჩეხოვს პროგრესი საბოლოოდ სწორედ ასე ესმოდა — სიმშვიდისა და სიყვარულის დამკვიდრებად ადამიანთა შორის და არა როგორც ტექნიკის განვითარება და მატერიალური დოვლათის დახვავება.

ომევანდელობის პირობებში, და მომავალში კიდევ უფრო მეტად, როცა ტელეგასართობებმა და საერთოდ შოუ-ინდუსტრიის ეპიდემიებმა გაამახვილეს ვნებები და გააზარმაცეს ადამიანთა გონება, და ამ საქმეს არ უჩანს დასასრული, გარდა ღვთის რისხვისა, ჩეხოვის (მიუხედავად მისი „ულმერთობისა"), ვაჟას და მისთანათა ღვაწლი საერთოდ ლიტერატურის გადარჩენის უმძლავრესი საშუალება იქნება. ოთარ ჩხეიძის და ოთარ ჭილაძის რომანებს ცოტა ხანში არავინ კი არა,

ვერავინ წაიკითხავს და ამ უნიჭიერეს ადამიანთა ნამოღვაწარი წყალში ჩაყრილი აღმოჩნდება. „რატომ უნდა დავკარგო დრო და ენერგია რალაც საეჭვო ღირებულებათა შესაძენად?“ იტყვის გონებრივად და ფიზიკურად დეგრადირებული მკითხველი და მიაგდებს ისე, როგორც მიგდებულია, კარგა ხანია, ჰომეროსი და გოეთე — მას არ ექნება იმედი, რომ გოლიათების დიდწონიანი ნაწარმოებების ათვისებისთვის საჭირო დიდი ძალისხმევის საფასურად საკმარის კომპენსაციას მიიღებს (ძნელად აღსაქმელი ხელოვნების ავკარგიანობის საკითხს თავის დროზე მძლავრად შეეხო ლევ ტოლსტოი სტატიაში „რა არის ხელოვნება?“, მაგრამ დაიბნა, ვერ მისცა გამოკვლევას დასრულებული სახე და ლამის პროფესიონალური ხელოვნების სრულ უარყოფამდე მივიდა.)

სულ მცირე ხანში ვაჟასა და ჩეხოვის სადარი მწერლების ფასი განუზომელი იქნება, ლიტერატურა, როგორც ასეთი, გადარჩება და ამით, სხვათა შორის, ის მძიმეწონის, არაუბრალო, მხოლოდ რჩეულთათვის და მაღალ ხელოვნებასთან ნაზიარებთათვის გასაგები ხელოვნებაც გადარჩება, რომელსაც სხვა შემთხვევაში სრული დავიწყება ემუქრება.

16. იქნებ არც ღირდეს გახსენებად, მით უფრო, როცა ლაპარაკია შემოქმედებით „ნათესაურ კავშირებზე“, მაგრამ უცნაურად ამაღელვებელია გარეგნული მსგავსება ჩეხოვისა და ვაჟას ოჯახურ გარემოებათა შორის. ამ მიმართულებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მსგავსი, თუნდაც ფორმალური, გარემოებანი რალაცას მაინც ნიშნავს და ნებისმიერი მოვლენა მრავალ წვრილმან მიზეზთა შედეგია.

ჩეხოვის ბაბუა გაამზადებული ყმა იყო, დიდი პრაქტიკული ნიჭისა და ენერგიის პატრონი, რომელმაც საკუთარი თავი და შვილები თავისივე ნაშოვნი ფულით გამოიხსნა (3 500 მანეთი გადაიხადა!). როგორ იშოვა და სად, ზუსტად არავინ იცის. მშობელს არც შვილი ჩამორჩებოდა. პავლე ჩეხოვი, მამა მწერლისა, ვაჭარი იყო — საბაყლო ჰქონდა, რომელშიც გალანტერეაც იყიდებოდა. ეს იყო ძლიერი, მოწესრიგებული ადამიანი, თან ღვთისმოსავი, საეკლესიო წეს-რიტუალთა დიდად პატივისმცემელი და მიმდევარი, მაგრამ ამავე დროს უგუნურებამდე ჯიუტი და ოჯახის წევრთა მიმართ უსაზომოდ მკაცრი, უფრო სწორად, სასტიკი. მიუხედავად ამისა, სულის სიღრმეში პაველ ეგოროვიჩი იყო პოეტი, მხატვარი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული — ვიოლინოზე დაკვრა თავისით ისწავლა და საღამოობით დუეტს ასრულებდა ვაჟიშვილ ნიკულაისთან ერთად, ფერწერითაც იყო გატაცებული — ხატებს ხატავდა საღებავებით. ჩამოაყალიბა საეკლესიო მგალობელთა გუნდი, რომელიც დიდ დროს ართმევდა და კომერციულ საქმიანობაში ხელს უშლიდა. შვილებსაც აიძულებდა, მათდა ჭირად, გუნდში მონაწილეობას. „როცა მე და ჩემი ორი ძმა, — იხსენებს ჩეხოვი, — ვმღეროდით ტრიოს „да исправится“, ან მთავარანგელოზის ხმას“, ხალხი გულაჩუყებული გვისმენდა და შურდათ ჩემი მშობლებისა. ჩვენ კი ამ დროს თავს პატარა ტუსაღებად ვგრძნობდით... ჩემი და ჩემი ძმების ბავშვობა ტანჯვა იყო“. პავლე ჩეხოვს გრაფომანული მიდ-

რეკილებებიც ჰქონდა — წერდა რაღაც-რაღაცეებს, ვთქვათ, ოჯახის შიგაგანაწესს, პირად წერილებში კი პომპეზურ და მაღალფარდოვან გამოთქმებს ხმარობდა, რომლებშიც პირქუში იუმორი ჭარბობდა.

ერთი სიტყვით, პავლე ჩეხოვში თავს იყრიდა მრავალი ურთიერთგამომრიცხავი თვისება და ძნელი იყო დანახვა მისი პიროვნების განმსაზღვრელი ერთი მთავარი ძარღვისა, რომელიც უთუოდ არსებობდა, და ალბათ, ახლობლებისთვის საცნაური და თვალნათლივი იქნებოდა.

„შვილებს ტალანტი მამისგან გამოგვყვა, სული კი დედისგანო“, ამბობდა ჩეხოვი. მართლაც, დედა ჩეხოვისა იყო სულით ნაზი, სათნო, ანგელოზური ბუნების ადამიანი, მოთმინებისა და მორჩილების განსახიერება. მთელი ცხოვრება იგი თრთოდა მრისხანე ქმრის წინაშე, მაგრამ ხანდახან მაინც ბედავდა საყვედურის გამოთქმას, როცა ახირებული მამისგან შვილების წამებას ხედავდა — ძირითადად დაუსრულებელი და მძიმე საეკლესიო მსახურების, იგივე საეკლესიო გუნდში მონაწილეობის სახით — თუმც ბევრს ვერაფერს აღწევდა — პაველ ეგოროვიჩი კაჟივით მტკიცე იყო, თან მეტისმეტად უყვარდა გულშიჩამწვდომი საეკლესიო საგალობლები...

რაც შეეხება ვაჟას მშობლებს, ქართველი მკითხველისათვის ისინი ნაცნობნი არიან ვაჟასავე ავტობიოგრაფიიდან: „მამაჩემი, გარდა პირადი სამსახურისა (სოფელ მაღაროსკარის მთავარი დიაკვანი — ლ. ა.) ვაჭრობასაც მისდევდა. რამდენიმე ადგილას დუქნები ჰქონდა და თელაველები ეყენა... თუმცა არ იყო ხელგაშლილი, სტუმარი მაინც უყვარდა... ეს პატარა ტანის კაცი განხორციელებული მხნეობა იყო, ამასთანავე იშვიათი ნიჭის პატრონი, ორატორი, ცნობისმოყვარე და მწიგნობარი... საბრალოდ ეჯავრებოდა, დილის ძილს რომ გავიბრტყელებდით... „ადექით, ბიჭო, პური მაინც არ მოგშივდათ?“ დაგვიძახებდა საქმიდან დაბრუნებული, პიროფლიანი.

— დაანებე თავი, შენთ მკვდართ ცხონებასა, კაცო, ეძინოს მა ბალღებსა! — შეჰნიშნავდა დედა-ჩემი და მოუვიდოდათ ამაზე ჩხუბი. ეჩხუბებოდა მამა-ჩემი, თორემ დედის ჩხუბი რა სათქმელია, იტყოდა რა ამას, სულს გაჰნაბავდა და მოწიწებით ყურს უგდებდა ქმრის ათასნაირ შენიშვნას და საყვედურს... დანაშაულობისათვის სიტყვით სასტიკად შვილების დამსჯელი, უამისოდ ჩვენი ტოლი და ამხანაგი იყო, გვებაასებოდა ათას საგანზე, საბაასო საგანს თვითონვე გამოსძებნიდა. უყვარდა დიდებულ გამოჩენილ ისტორიულ პირებზე ლაპარაკი, დავით აღმაშენებელი უყვარდა ყველაზე მეტად ჩვენს მეფეებში, აღტაცებით იტყოდა ხოლმე: „იცით, დავით აღმაშენებელს წიგნების კითხვა როგორ უყვარდა: ნადირობის დროსაც კი, არ ვიტყვი ლაშქრობაში, როცა სადმე მოსარეკში გეზზე იდგა და ნადირს უცდიდა, ცალ ხელში წიგნი ეჭირა და მეორეში — მშვილდ-ისარიო...“ უცხოელებთაგანი — ნაპოლეონი და გამბეტტა, მწერალთაგანი — ვიქტორ ჰიუგო...

მამა-ჩემს სკოლა თვალით არ ენახა, „ანბანი“ მწყემსობაში შეესწავლა ჩუმად, ქურდულად, რადგან დედ-მამა უშლიდა თურმე სწავლას. მამა თოფით დასდევდა მოსაკლავად, სწავლა ეშმაკეული საქმეაო...

წერა-კითხვა არც დედა-ჩემმა იცოდა, შესანიშნავი მეოჯახე და მოწყალე, გლახაკის გამკითხველი, მეზობლის დამხმარე; დედი-ჩემის ქველობა დღესაც სამაგალითოდ არის დარჩენილი. ისე ჩავიდა საფლავში, რომ ერთს არავის ახსოვს გაეჯავრებინოს. არა, გაჯავრებულს, მლანძღველს, რაც აქაურ დედაკაცებში ხშირი მოვლენაა, სიცილით მიეგებებოდა და სამაგიეროს გადაუხდელობით შეარცხვენდა, მოარბილებდა...

დედა-ჩემი არ უყურებდა იმას, ვინ შეძლებული იყო, ვინ მაძღარი, ყველა მშიერი ეგონა და ყველას უმასპინძლდებოდა: „დაისვენეთ, პური გემშევათ, შვილო!“ ეს იყო პირველი მისი სიტყვები შეხვედრის დროს... მამა-ჩემიც... კიდევაც უშლიდა დედა-ჩემსა: „ნუ წააღებინე სახლი, შე უბედურო, ქარსა და წყალსაო“.

ვაჟა და ჩეხოვი, დიდი კლასიკოსები ქართული და რუსული ლიტერატურისა, წარმოშობით მდაბიოთაგან იყვნენ (განსხვავებით დიდ რუს და ქართველ მწერალთა უმრავლესობისაგან: პუშკინი, გოგოლი, ლერმონტოვი, ნეკრასოვი, დოსტოევსკი, ტოლსტოი, ტურგენევი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, გოგებაშვილი...). მათ მშობელთა წყვილებს შორის მსგავსების დანახვა ზემოთქმულის საფუძველზე, მკითხველის საქმეა, ისე კი, განსხვავება უზარმაზარი იყო, რასაკვირველია. თუ ვაჟას მამა (ისიც პავლე, რაღაცატომ) მხოლოდ „სიტყვით“ სჯიდა, და თანაც მხოლოდ დანაშაულისათვის, „სასტიკად“, პავლე ჩეხოვისათვის შვილების ფიზიკური დასჯა წკეპლის გამოყენებით, და არა მარტო დანაშაულისათვის, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ვაჟას დედა გულქანი, განსხვავებით ჩეხოვის დედის, ქმრისგან დათრგუნული და დაშინებული ევგენია ნიკოლაევნასაგან, არ ეპყრობოდა თანამეცხედრის ბოროტობას და სულაც არ ტოვებდა ქმრის მონა-მორჩილის შთაბეჭდილებას. თავისი უსაზღვროდ კეთილი და მოწყალე გულის წყალობით იგი სწორედ რომ „წყალსა და ქარს ატანდა“ ოჯახის ქონებას, რაც იშვიათი მოვლენაა მეოჯახე ქალებში (ვაჟას სიტყვებით ხომ ის „შესანიშნავი მეოჯახეც“ იყო!), ხოლო ქმრის საყვედურების პასუხად ეშმაკურად მხოლოდ „სულს გაჰნაბავდა“ და გაიტრუნებოდა ხოლმე. ჩეხოვების ოჯახის დესპოტურ რეჟიმთან შედარებით რაზიკაშვილების ოჯახში სრული დემოკრატია ჰყვაოდა. შვილებს ბავშვობიდან შემორჩათ არა მძიმე და შავბნელი, არამედ ჯანმრთელი და სასიხარულო მოგონებანი.

„მე ბავშვობისას ბავშვობა არ მქონიაო“ — კი არ ჩიოდა, მწუხარებით აღნიშნავდა ჩეხოვი. მისი ერთი ძმა იხსენებს, თუ როგორ გაოცდა პატარა ანტონი, როცა ერთ ახალგაცნობილ ყმაწვილს ჰკითხა, ხშირად თუ გწკეპლავენო, ხოლო მან კი უპასუხა, მე არასოდეს მწკეპლავენო. ჩეხოვმა მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ შეძლო ეპატიებინა მამისთვის ის აუხსნელი სისასტიკე, რომლითაც გამეტებით სცემდა შვილებს თითქმის არაფრის გულისთვის. ბოლომდე მაინც ვერ გაიგეტ მშობელი მამა — კომერსანტი ფიოდორ ლაპტევი ვრცელ მოთხრობაში „სამი წელი“, რომლის პროტოტიპი აშკარად პავლე ჩეხოვია, არ იწვევს იმ ზომის გრძნობას

ალშფოთებისა, როგორსაც ახლობელთა მონათხრობის საფუძველზე შედგენილი მხეცის სადარი სახე ორიგინალისა. როგორც ჩანს, იმდროინდელ რუსეთში პავლე ჩეხოვის სისასტიკე არ წარმოადგენდა იშვიათ გამონაკლისს, ხოლო შვილების ფიზიკური დასჯა წკეპლის, როზგის გამოყენებით, ესოდენ უცხო და ამაზრზენი ქართული სინამდვილისთვის, იმდროინდელ რუსეთში და იმ სოციალური ფენისთვის, რომელსაც ჩეხოვების ოჯახი ეკუთვნოდა, არც თუ ველურ საქციელად გამოიყურებოდა და პედაგოგიკის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენდა. ასევე წკეპლავდნენ, კაცმა არ იცის, რა მიზეზით, ნორჩ ალექსეი პეშკოვს — მომავალ მაქსიმ გორკის [საქმე იმაშია, რომ ქართულ სინამდვილეში — ვგულისხმობთ მშვიდობიანობის პერიოდებს — ყოველთვის ნაკლები იყო სულისშემძვრელი ტრაგიზმი, ვიდრე რუსეთში. საქართველოში არ ყოფილა გლობალური შიმშილობები, კანიბალიზმი, არ ყოფილა მოზარდთა გაწკეპვლა პედაგოგიური მოსაზრებით, არც ოჯახში და არც სასწავლებელში (მაგრამ იყო სახელმწიფო დამნაშავეთა „ძელზე გასმა") — ილიას „კაკოყაჩაღში" ნახსენები როზგები („розга", „плеть") რუსეთის შემოტანილია საქართველოში და დამკვიდრებული თავადაზნაურობის ყველაზე უგვანო ნაწილის მიერ.].

რომ არა პავლე ჩეხოვის დესპოტიზმი, მსგავსება ჩეხოვებისა და რაზიკაშვილების ოჯახურ გარემოებათა შორის მეტი იქნებოდა და ორივე მათგანი „პირველ მიახლოებაში" შეიძლებოდა ერთი მარტივი სქემით მოხაზულიყო: ერთგანაც და მეორეგანაც მრავალსულიანი ოჯახი, შვილებიდან სამნი — ხელოვნების წარმომადგენლები, თითო მათგანი — ვენიოხა-ანაც და იქაც მამები — საქმიანნი და მკაცრები, ენერგიულნი და მოუსვენარნი, ორი კატეგორიულად განსხვავებული ბატონის — ღმერთისა (ეკლესიის) და მამონას (ვაჭრობის) მსახურნი, ორივენი მრავალმხრივ ნიჭიერები და განათლების ტრფიალნი, ამავე დროს პოეტური ბუნების მქონენი და მხატვრული მუსტის მატარებელნი — მწერლობისკენ მიდრეკილები. დედები, როგორც რაზიკაშვილების, ისე ჩეხოვების ოჯახებისა, სათნო (სახით ლამაზი), მშვიდობიანი, სულით ნაზები, გულჩვილები, ქმრის სიმკაცრის შემარბილებლები... ასეთი წყვილები როგორც ქართულ, ისე რუსულ სინამდვილეში იშვიათი მოვლენაა — როგორც წესი, ჩვეულებრივ საქმე პირიქითაა ხოლმე.

და კიდევ ერთი, სწორედაც ჟრუანტელის მომგვრელი [მისტიკური ასოციაციების აღმძვრელი] ფაქტი — პავლე ჩეხოვისა და პავლე რაზიკაშვილების ოჯახებში, ანუ თითოეულ მათგანში გაიზარდა ექვსი შვილი, ხუთი ვაჟი და ერთი ქალი — არც ერთით მეტი და არც ერთით ნაკლები! სტატისტიკის მონაცემებზე დაყრდნობით და ალბათობის თეორიის პრინციპების გამოყენებით შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ მარტო ამგვარი დამთხვევის ალბათობა არ აღემატება ერთ მემილიარდედს (თუ უფრო ნაკლები არაა), ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თითოეულ მხარეს ხუთი ვაჟიშვილიდან სამი პროფესიონალი ხელოვანი იყო (რაზიკაშვილებში ვაჟა, ბაჩანა და თე-

ლო — მწერლები, ჩეხოვებში ანტონი და ალექსანდრე — მწერლები, ხოლო ნიკოლაი — მხატვარი), განუზომლად ახლოა ნულთან.

ყველაფერ ამასთან, ჩეხოვისა და ვაჟას ბიოგრაფები თუ შემოქმედების მკვლევარნი თითქმის ერთხმად აღნიშნავენ დიდ სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემას ძმათა შორის და... ჯანსაღ იუმორს, რომელიც მუდმივი თანამგზავრი იყო მათი ჯერ ერთად ცხოვრების, მერე კი მიწერ-მოწერის და შეხვედრების:

«Братья никогда не скучали друг с другом... Дружба между братьями была крепкой и глубокой... Братья выражали свою нежную любовь друг к другу в шутливых насмешках, дружеских издевательствах... У всех была чудесная способность понимать любую шутку» (В. Ермилов. Чехов).

„რაზიკაშვილების საოჯახო პოეზიის ნიმუშები დაგვიმოწმებენ, თუ როგორი ჰარმონიული, ჭეშმარიტი მეგობრული ურთიერთობა იყო ძმებს შორის... პირდაპირ საღღესასწაულო ხასიათი ეძლეოდა მათს ერთად შეკრებას. მხიარული ბაასი, სიცილი სუფრაზე და სუფრის გარეშე დაუსრულებელი იყო... უბრალო საუბრის დროსაც ძმები ერთმანეთს ლექსებით მიმართავდნენ“ (დ. ბენაშვილი). ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ „სერიოზული“ იქნებოდა ეს სახელდახელოდ გამომცხვარი ლექსები!

ერთგანაც და მეორეგანაც — იუმორი, სილაღე, ხალისი.

ორივე ოჯახში შეიმჩნეოდა უკუკავშირი — შვილების ზემოქმედება მამებზე. პავლე რაზიკაშვილი შვილების გავლენით ლექსებსა და მოთხრობებს წერდა, ხოლო მოხუცებული პავლე ჩეხოვი ანტონის ზნეობრივი გაკვეთილების წყალობით სულ სხვა ადამიანი გახდა და მწარედ ნანობდა წარსულის გამო...

17. პროფესიული ხასიათის წინააღმდეგობანი ყველა დიდი მწერლისა წააგავს ერთმანეთს და დაკავშირებულია ლიტერატურაში რაღაც ახლის, უჩვეულოს დამკვიდრებასთან. მაგრამ ვაჟასა და ჩეხოვის შემოქმედების გზაზე ყურადღებას იქცევს არალიტერატურული სახის დაბრკოლებანი, რაც ამკარად გამოარჩევს მათ თანამოკალმეთა დიდი უმრავლესობისაგან.

ჩეხოვისათვის ეს ბარიერი გახლდათ მისი მდაბიო, „რაზნოჩინური“ წარმოშობა. ერთიდაიგივე წარმატების მისაღწევად მას გაცილებით მეტი უნდა შეექმნა, ვიდრე მაღალი, აზნაურული წარმოშობის მოღვაწეს. კონკრეტულად თუ რა სახით გამოიხატებოდა ეს დაბრკოლება, ამის თქმა ძნელია, მაგრამ იგი რომ ნამდვილად არსებობდა, ნათლად ჩანს ჩეხოვისავე სიტყვებიდან: „მე ვარ ბედის ნებიერი უაზნოთაგან, ლიტერატურაში მე ვარ პოტიომკინი... მე ვარ მეშჩანი აზნაურობაში, ასეთი ადამიანები კი დიდხანს ვერ ძლებენ, როგორც ვერ უძლებს საკრავის სიმი ძლიერ და სწრაფ დაჭიმვას... მე ვერა და ვერ ვეგუები ცხოვრებას, ვერ ვხდები მისი ბატონ-პატრონი... ყველაფერ ამას კი ვხსნი იმით, რომ ვარ მონა, ყმის შვილიშვილი... ვიღრე ჩვენ, მდაბიონი, ნამდვილ გზაზე გამოვალთ, მრავალი ჩვენი ძმათაგანი ჩაყრის თავის ძვლებს მიწაში“. ერთ თავის ახლობელ მწერალს იგი ურჩევს დაწეროს მოთხრობა იმის

შესახებ, რომ „რასაც მწერლები აზნაურთაგან ბუნებისგან მუქთად იღებენ, რაზნოჩინელები ყიდულობენ ფასად ახალგაზრდობის. დაწერეთ მოთხრობა იმაზე, თუ როგორ ახერხებს ახალგაზრდა კაცი, ყმის შთამომავალი, ყოფილი დახლის მუშაკი, დაკვეთით მოსიმღერე, ჩინების წინაშე თრთოლვისა და მღვდლების ხელების კოცნის, სხვათა აზრების თაყვანისცემის ტრადიციებზე აღზრდილი, ყოველი მოწოდებული ლუკმა-პურისთვის მადლიერი, მრავალჯერ ნაცემი და ნაწკეპლი, კერძო გაკვეთილებზე უკალოშებოდ მავალი, მდიდარ ნათესავებთან მოსადილე, ყოველგვარი საჭიროების გარეშე ღმერთისა და ადამიანების წინაშე მლიქვნელობას ჩვეული მხოლოდ საკუთარი არარაობის შეგრძნების მიზეზით — აღწერეთ, თუ როგორ წურავს ეს ადამიანი თავისი არსებიდან მონას და ერთ მშვენიერ დღეს უცებ როგორ აღმოაჩენს, რომ მის ძარღვებში ჩქეფს სისხლი მონის კი არა, ნამდვილი ადამიანისა.“

ვაჟას არალიტერატურული დაბრკოლებანი სხვანაირი ხასიათისაა — მას არ დასჭირვებია თავისი არსებიდან მონური ფსიქიკის გამოდევნა, რომელიც არც არასდროს ჰქონია. სამაგიეროდ ეს იყო გამუდმებული ეკონომიური სივიწროვე, დაწყებული, როგორც ჩეხოვის შემთხვევაში, მოზარდი ასაკიდან, რომელიც, ამჯერად განსხვავებით ჩეხოვისაგან, მთელი ცხოვრება თან სდევდა, და რაც მთავარია, აუცილებლობა მძიმე ფიზიკური შრომისა არსებობისათვის, პირველი მტერი პროფესიონალი მწერლისა. ხაზს ვუსვამთ სიტყვა „პროფესიონალს“, რადგან ხალხური შედევრების შემქმნელ არაპროფესიონალ გენიოსთათვის ფიზიკური შრომა ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, და არა მტერი მათი მუზის თუ აღმაფრენისა, [illegible] სავარაუდოა, სწორედ [illegible] პროცესში იჩენდა თავს.

რა გაუსაძლის მარწუხად უნდა წამოსჭეროდა ყელში სიღარიბე ვაჟასავით ამაყ და თავმოყვარე ადამიანს, რომ ასეთი სიტყვები აღმოხდომოდა ჩივილისა! „...სული კბილით მიჭირავს. ჩემ ნივთიერ სიღარიბეს და შევიწროებას ბოლო არ უჩანს... მზის ჩასვლისას ქათამსავით თვალებს ვხუჭავ და ლოგინს თავს ვაფარებ. ცეცხლი არაა, ლობიოსათვის მარილის შოვნაც გეძნელებოდეს! ასეთ პირობებში ვის სცალია, ლიტერატურის განვითარებაზე იფიქროს! ზოგჯერ დიდი სურვილი მაქვს ჩავიმუხლო და რამე დავწერო, მაგრამ განა შემიძლიან გულდამშვიდებით ვწერო, როცა თვალწინ სახრჩობელასავით მეხატება ჩემი ნივთიერად უმწეო მდგომარეობა.“ „სოფლად ცხოვრებამ დამაუძლურა ყოველ მხრივ: ნივთიერად, გონებრივ-ფიზიკურად და თითქმის ზნეობრივადაც კი.

არანაკლებად მწარე იყო ვაჟასთვის, მორალური თვალსაზრისით, ქედმაღლური დამოკიდებულება და შეგონებანი ბრიყვთაგან, ვისაც „ნივთიერად“ არა უჭირდათ რა და დახმარების ნაცვლად კეთილგონიერებისკენ მოუწოდებდნენ: „ერთი გლეხი მყავს მეზობლად, რომელიც ორ ღღეში ერთხელ მომინახულებს ხოლმე. და ვაი ჩემი ბრალი, თუ წერის დროს მომისწრო.

— შენ, სწორედ, საქმე გამოგწყვეტია, კაცო, რა სულ მაგ ქალალდებს ჩაჰლირღირ-ჩაჰკირკიტებ? სუ ხომ ბალღი არ იქნები, — მორ-

ჩი მაგ მასხარაობას. საქმე გაიგე!— მეტყვის იგი და დარწმუნებით, ისე დაბეჯითებით, რომ მეც თითქოს ეჭვში შევდივარ და მართლა უსაქმურად მიმაჩნია ჩემი თავი".

მსგავსი წინააღმდეგობები ნაკლები სულიერი ძალის ადამიანებს ხშირად ან აცვლევინებენ პრინციპს, ან ხელს აღებინებენ საყვარელ საქმიანობაზე. ვაჟას და ჩეხოვს ამის უფლებას არ აძლევდათ გრძნობა დიდი პასუხისმგებლობის და ვალდებულებისა მშობელი ხალხის, მთელი კაცობრიობის წინაშე; ისინი მონები იყვნენ საკუთარი ტალანტის და მწერლური სინდის-ნამუსისა.

დასასრულ, არც თუ სიამაყის გარეშე ვაცხადებთ, რომ ამ მცირე ნარკვევის ავტორმა პასუხი ვერ გასცა მის მიერვე სათავეში დასმულ კითხვას — თუ რამდენად საჭიროა, და აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა ვაჟასა და ჩეხოვს შორის ნათესაური სულიერი კავშირების მოძიებას. ეს განცხადება იმ აზრსაც შეიცავს, რომ საკითხი არ არის იოლი და არაპროფესიონალის გადასაწყვეტი და სასურველია მათი მოხმობა. ვინც უფრო ღრმად და სრულად იცნობს, მათივე პროფესიიდან გამომდინარე, როგორც ერთი, ისე მეორე მწერლის შემოქმედებას. თუ წინამდებარე წერილი მოახერხებს მოზიდვას გაცილებით მეტად განსწავლული და საქმეში ჩახედული ლიტერატორებისა, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება მათი მსჯავრი და დასკვნები, ავტორის მიზანი მიღწეული იქნება.

იანუშ კორჩაკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ზაურ კიღაძემ

როგორ უნდა გავშვის სიყვარული

ინტერნატი

1. წიგნი მინდა დავწერო ქალაქის ინტერნატის შესახებ, სადაც მცირე რაოდენობის აღმზრდელების მეშვეობით, საკუთარ შენობაში, მცირერიცხოვანი ტექნიკური პერსონალის დახმარებით, იზრდება ასი ობოლი — სასკოლო ასაკის ბიჭები და გოგონები.

მდიდარი ლიტერატურა არა გვაქვს ამ თემაზე. გამოქვეყნებულია მხოლოდ შრომები ჰიგიენაზე ან მძაფრი კრიტიკა მასობრივად აღზრდის თავად პრინციპის შესახებ.

აღმზრდელად მუშაობისას მე ვნახე ინტერნატის ნათელი და ბინდით მოცული საიდუმლოებანი — საძინებლები, პირსაბანები, დარბაზი, სასადილო, ეზო, საპირფარეშო. ბავშვებს აქ ჩვეულებრივ აცვიათ და არ არიან შემოსილნი საპარადო სასკოლო ფორმით.

ეს წიგნი დაინტერესებს არა მარტო აღმზრდელს ციხე-ყაზარმისა, რომელსაც ინტერნატი ჰქვია, არამედ ერთ ტუსაღიან საპატიმროებსაც, თანამედროვე ბავშვებისთვის სწორედ ასეთი არის ოჯახები.

ინტერნატსა და ოჯახშიც ბავშვებს ანწუხზე აცვამენ, უფრო ძალამოსილნი ცდილობენ დაუსხლტნენ თვალთვალს, თავი დააღწიონ გაუთავებელ კონტროლს — მტკიცედ და უიმედოდ იბრძვიან თავიანთი უფლებებისთვის.

ვაითუ, მკითხველმა ბრმად დამიჯეროს, მაშინ ეს წიგნი საზიანო იქნება იმისთვის. ამიტომ გაფრთხილებთ: მიზნისკენ მიმავალი ჩემი გზა მთლად მოკლე არ არის, არც მთლად მოსახერხებელი, მაგრამ საუკეთესოა ჩემთვის, რადგანაც ჩემია, საკუთარი. ბევრი შრომა დამჭირდა, ბევრი ვიწვალე და მხოლოდ მაშინ მივხვდი, ყოველი წაკითხული წიგნი — სხვისი გამოცდილება და სხვისი აზრი — სიცრუეა.

ზოგჯერ გამომცემლები ბეჭდავენ დიდი ადამიანების ნააზრევს; რამდენად სასარგებლო კი იქნებოდა კლასიკოსების ცრუ გამონათქვამებისა და ცოდნის კრებულის შედგენა. რუსო თავის „ემილს“ იწყებს იმ სიტყვებით, რომელსაც უარყოფს თანამედროვე მეცნიერება მემკვიდრეობის შესახებ.*

---

* ჟ. ჟ. რუსო (1712-1778) — ფრანგი განმანათლებელი. ავტორი გულისხმობს სიტყვებს მისი წიგნიდან „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“ (1762); „ყოველივე კარგი უფლის ხელიდანაა, ადამიანის ხელში ყოველივე გადაგვარდება.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ 2005, №№ 1-2, 3-4, 5-6.

2. ეს წიგნი რაც შეიძლება მოკლე უნდა იყოს, რადგანაც უპირველეს ყოვლისა მინდა მივუძღვნა ჩემს ნორჩ ამხანაგს, რომელიც გახვეულია ურთულესი პედაგოგიური პრობლემების დავიდარაბაში, დანთქმულია გაუსაძლის ცხოვრებისეულ გარემოებებში და თავზარდაცემული და შეწუხებული დახმარებას გვეაჯება.

საბრალოს სასწავლებლად დრო არა აქვს. ღამით ორჯერ აღვიძებდნენ: ბავშვს კბილი სტკიოდა, ბავშვი ტიროდა — უნდა ენუგეშებინა და ემკურნალა. თუ აღმზრდელმა დაიძინა, მეორე აღვიძებს, ამან საშინელი სიზმარი ნახა, გვამები, ყაჩაღები... უნდა მოეკლათ, მდინარეში გადააგდეს; აღმზრდელი კვლავ ამშვიდებს, ეფერება...

ძილმორეულ კაცს არ შეუძლია იკითხოს სქელტანიანი პედაგოგიური შრომები, თვალები ელულება, გამოუძინებელი კი გაღიზიანებული ადგება, ვერ იქნება თავდაოკებული, ვერ შეძლებს მეცნიერული წიგნის მწე და მშველელი იდეების ცხოვრებაში ხორცშესხმას. მოკლედ მოგითხრობთ, რათა აღმზრდელმა ღამე მოისვენოს.

3. ღღისით ბევრი დრო არა აქვს სწავლისთვის. მიუჯდება თუ არა წიგნს, ბავშვი შესჩივლებს, ვწერდი, ხელი მკრეს და რვეული დამესვარაო, ახლა კი არ იცის, თავიდან დაიწყოს, დატოვოს როგორც არის თუ ფურცელი ამოხიოს. მეორე ბავშვი კოჭლობს, ფეხსაცმელში ლურსმანი აქვს, სიარული არ შეუძლია. მესამე სთხოვს, თუ შეიძლება დომინოს ავიღებო. მეოთხეს კარადის გასაღები დასჭირდა. მეხუთე ცხვირსახოცს აწვდის, „ვიპოვე და ვისია, არ ვიცი". მეექვსეს ორიოდე გროში აქვს შესანახი, დეიდამ გამოუგზავნა. მეშვიდემ მოირბინა, ჩემი ცხვირსახოცია, ერთი წუთით დავდე სარკმლის რაფაზე და იმან წაიღოო!

იქ კუთხეში კი პატარა ბლაჩუნა მაკრატლით ხელში რაღაცას ცოდვილობს, დაანაგვიანებს, ხელს გაიჭრის, ვინ მისცა ნეტავი? შუაგულ ოთახში ცხარე კამათია, სადაცაა დასცხებენ ერთმანეთს, უნდა ჩაერიოს. ის კი, ვისაც წუხელ კბილი სტკიოდა, ყირაზე გადადის ახლა, შეიძლება ვიღაცას დაეჯახოს ან მელანი დაღვაროს, ღამე კი იქნებ ისევ ატკივდეს კბილი.

გამზრდელმა ძალიან უნდა მოინდომოს, რომ თუნდაც მცირეტანიან წიგნს თავი გაართვას.

4. მაგრამ არც ისე ძალიან უნდა, რადგანაც არ სჯერა.

ყოველ ავტორს შეუძლია ციტატების მოშველიებით დაამტკიცოს თავისი განსწავლულობა. კიდევ ერთხელ გაიმეორებს იმას, რაც საყოველთაოდ ცნობილია. ისევ ის კეთილშობილური სურვილები, სულის მოსაოხებელი სიცრუე, შეუსრულებელი რჩევა-დარიგებები: „გამზრდელი მოვალეა... მოვალეა... მოვალეა... თუმცა კი საბოლოოდ, მცირე და დიდი საქმეების მოსაგვარებლად გამზრდელი იძულებულია მოიქცეს ისე, როგორც იცის და როგორც შეუძლია, ხოლო უპირველეს ყოვლისა, როგორც მოახერხებს.

— თეორიულად კი კარგია, — თავს ინუგეშებს სევდამოწოლილი აღმზრდელი.

და სძულს ავტორი, ზის თავისთვის მყუდრო ოთახში საწერ მაგიდასთან და კარნახობს განაწესებს, სულაც არ არის ვალდებული უშუალოდ იყოს წილნაყარი მოუსვენარ, მყვირალა, გულგამოშეშმელ, გაუგონარ ჯგროსთან, რომლის მონადაც ხდება ყოველი, ვისაც არ სურს იყოს ტირანი, ხან ერთი და ხან მეორე იმათთაგანი ყოველდღიურად გულდაგულ გაწამებს, სხვანი კი ძლივს მოგაგებენ სასიამოვნო წუთებს.

ღრმა ცოდნის მირაჟებმა, რთულმა ამოცანებმა, მაღალმა ცოდნის იდეალებმა რად უნდა მოაღოროს, როდესაც ის არის და კიდევაც უნდა იყოს პედაგოგიური კონკია და მიწის მუშა?

5. გრძნობს, კარგავს ენთუზიაზმს, რომელიც იჯეჯილებდა ხოლმე მასში ძალაუნებურად, მიუხედავად სხვათა ბრძანებებისა. ადრე ნუგეშად ჰქონდა ეს ფიქრი, აი თამაშებს მოვაწყობ, სიურპრიზს მოვუმზადებო ბავშვებს. უნდოდა ახალ მხიარულ ნაკადში გაეხვია ინტერნატის ერთფეროვანი, ნაღველმორეული ცხოვრება. ახლა კი იმითაც კმაყოფილია, თუკი თავისთვის აღნიშნავს, „ძველებურადაა ყველაფერი“. თუკი რომელიმეს არ წამოაღებინა, მინები არ ჩაამსხვრიეს და თავადაც არავის დაუტუქსავს, ესე იგი კარგი დღე იყო.

ენერგია აღარ აქვს, წვრილმან დანაშაულს ყურადღებას აღარ აქცევს, ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები შეამჩნიოს, ნაკლები იცოდეს — მხოლოდ ის, რაც აუცილებელია.

ინიციატივას კარგავს: კანფეტებს, სათამაშოებს რომ ღებულობდა ადრე, იმ წუთას აწონ-დაწონიდა, რაც შეიძლება კარგად უნდა გამოვიყენოო. ახლა კი ტკბილეულს ჩქარა არიგებს, მალე შეჭამონ და მორჩნენ, თორემ ისევ ატყდება ერთი დავიდარაბა, აღარ გათავდება საჩივრები, წყენა-წუწუნი. თუ ახალ ავეჯს ან რაღაც საგანს მოიტანენ — ყურადღებით უნდა იყოს, თვალი უნდა ეჭიროს, ვაითუ დალეწონ და გააფუჭონ. ფანჯრის რაფაზე რომელი ყვავილები შემოდგას, კედელზე რა სურათი დაკიდოს, რამდენი რამის გაკეთება შეიძლება და იმან კი არ იცის, არ უნდა ან არ შეუძლია. ველარც კი ამჩნევს უბრალოდ.

თავის რწმენა აღარ აქვს. ადრე დღე ისე არ გავიდოდა, რომ არ შეენიშნა რამე ახალი ბავშვებსა და საკუთარ თავში. ბავშვები სულ იმასთან იყვნენ, ახლა კი გაურბიან. ნეტავი ისევ თუ უყვარს ისინი? ზოგჯერ მკაცრია, უხეშიც.

ცოტა ხანი და იქნებ დაემსგავსოს იმ ალმზრდელებს, ვისთვისაც უნდოდა მაგალითი ყოფილიყო და ალმაცერად უყურებდა, რა გულცივნი, რა პასიურნი, რა არაკეთილმოსურნენი არიანო?

6. ნაწყენია უკვე საკუთარ თავზე, გარეშემომყოფებზე, ბავშვებზე.

წერილი მიიღო ერთი კვირის წინ, დაი გახდომოდა ავად. ბალღებმა გაიგეს, იმისი ლარდი გაიზიარეს, წყნარად დაწვნენ დასაძინებლად. მადლობელი იყო იმათი.

მეორე დღეს კი ახალი აღსაზრდელი მოვიდა. ბავშვებმა გამოსტყუეს, რაც კი ჩამოიტანა სახლიდან, კანფეტები, საკალმე, სურათები, დაემუქრნენ, ენას კბილი დააჭირე, თორემ მიგტყეპავთო, ამ ბინძურ საქმეში ისინიც კი მონაწილეობდნენ, ვინც პატიოსანი ეგონა.

ბავშვი კისერზე შემოგეხვევა, გეტყვის, „მიყვარხარ“ — და ახალ კაბას მოგთხოვს.

და ეს ხომ სწორედ ის ბავშვია, ვინც ცრემლს მოგგვრის გასაოცარი ტაქტიანობით, გრძნობის სილრმით, ზოგჯერ კი გაგაოგნებს, რა ნადირია, რა ორპირი.

ხან „მე მინდა, მე მოვალე ვარ, მე ვალდებული ვარ“, — ხან იტყვის უიმედობით აღბეჭდილი, „ნეტავი ერთი!“

თეორიული წანამძღვრები და საკუთარი ყოველდღიური გამოცდილება ისეა არეულ-აბურდული ერთმანეთში, რომ გამზრდელი ჩიხშია მოქცეული და რაც უფრო მეტს ფიქრობს, მით უფრო ნაკლები ესმის.

7. არ ესმის, თუ რა ხდება იმის ირგვლივ.

ცდილობს სასჯელი და აკრძალვა სულ აუცილებლობით შემოსაზღვროს, თავისუფლებას აძლევს ბავშვებს — უკმაყოფილონია, ბავშვები უფრო მეტს მოითხოვენ.

უნდა ჩახვდეს ყოველ იმათ სადარდებელს. მიდის ბიჭუნასთან, ვინც განზე გამდგარა, თუმცა ადრე ასე არ იყო, ჩუმია და გულგრილი. „რა დაგემართა? რატომ ხარ ასე მოწყენილი?“ — „არა უშავს... არა ვარ მოწყენილი“, — უპასუხებს ის ხალისდაკარგული. აღმზრდელს უნდა თავზე ხელი გადაუსვას — ბიჭი ცივად გაიწევს.

აი ბავშვები რაღაცას საუბრობენ გაცხოველებით. აღმზრდელი მიუახლოვდება — ჩუმდებიან. „რას ლაპარაკობდით?“ — „არაფერს“.

ის ფიქრობს, ბავშვებს ვუყვარვარო. და იცის, დასცინიან, ენდობიან — და ყოველთვის რაღაცას უმალავენ. თითქოსდა სჯერათ იმის სიტყვების, თუმცა კი სიამოვნებით ყურს უგდებენ ჭორებს.

აღმზრდელს არ ესმის, არ იცნობს ბავშვებს — უცხონია, მტრულად განწყობილნი. ცუდად არის.

კი სჯობს გამხიარულდე, ჰოი, აღმზრდელო! შენ უკვე უკუაგდებ აჩემებულ სანტიმენტალურ წარმოდგენებს ბავშვების შესახებ. შენ უკვე იცი, რომ არ იცი. ისე არ არის, როგორც შენ ფიქრობდი, ესე იგი, სხვანაირადაა. თავად ვერც კი მიხვდი, სწორად მიდიხარ. გზა აგერია? გახსოვდეს, ცხოვრების დაბურულ ტყეში ხეტიალი სულაც არ არის სირცხვილი. თუნდაც თავგზადაკარგული, აქეთ-იქით რომ იყურები, თვალს შეავლებ გულისყურით დიდებული სახეების მოზაიკას. იტანჯები? წვალებამ უნდა შვას ჭეშმარიტება.

8. თავისთავადი უნდა იყო, საკუთარი გზა უნდა ეძებო. თავი უნდა შეიმეცნო, სანამ ბავშვების შემეცნებას დაიწყებდე. ვიდრე გაითავისებდე იმათ უფლებებს და მოვალეობებს, იმას უნდა ჩახვდე, რა შეგიძლია. შენ ხარ სწორედ ის ბავშვი, სხვებზე ადრე რომ უნდა გაიცნო, აღზარდო, შეასწავლო.

ერთ-ერთი მეტად უხეში შეცდომათაგანი არის ის აზრი, რომ პედაგოგიკა მეცნიერებაა ბავშვზე არა ადამიანზე.

ფხუკიანი ბავშვი წონასწორობიდან გამოვიდა და ხელი დაარტყა; დიდმა კი ცხელ გულზე ვიღაც მოკლა. გულუბრყვილო ბავშვს სათამაშო გამოსტყუეს, დიდს კი — ხელმოწერა თამასუქზე, დაუდგრომელმა ბალღმა რვეულის საყიდელი ფულით კანფეტი იყიდა; დიდმა — კი კარტში მთელი თავისი ქონება წააგო. ბავშვები არ არიან — სხვა მასშტაბის ცნებათა მქონე ადამიანებია, სხვანაირი გამოცდილების მარაგი აქვთ, არიან სხვანაირი ლტოლვისანი, სხვანაირი გრძნობების. გახსოვდეს, ჩვენ იმათ არ ვიცნობთ.

ჯერ კიდევ არ არიან სიმწიფეს მიტანებულნი!

მოხუცს შეეკითხე, ორმოცი წლისასაც არ გთვლის მომწიფებულად. ეს რა არის, საზოგადოების მთელი კლასებია მოუმწიფებელი, ჯერ კიდევ არ მოუკრებიათ ძალა. მთელ ხალხს სჭირდება ზრუნვა, სიმწიფისთვის არც იმათ მიუღწევიათ ჯერ კიდევ, ზარბაზნები არა აქვთ!

თავისთავადი იყავი და მაშინ ადევნე ბავშვებს თვალი, როცა მათ შეუძლიათ თავად შეიქნენ თავისთავადნი. თვალყური ადევნე, მაგრამ ნუ წაუყენებ მოთხოვნილებებს. ვერ მოთოკავ ცოცხალ, ცელქ ბავშვს, ის ვერ გახდება გულდადებული და წყნარი; უნდობი და პირქუში ვერ გახდება გულითადი და წრფელი; თავმოყვარე და თავნება ვერ შეიქნება სათნო და მორჩილი.

თავად შენ კი?

თუკი არ გაქვს წარმოსადეგი გარეგნობა და ჯანსაღი ფილტვები, სულ ამაოდ შეეცდები ჩააცვო ბავშვების ერიამული. მაგრამ შენ გაქვს კეთილი ღიმილი და მომთმენი გამოხედვა. ნუღარაფერს იტყვი, იქნებ თავად დაწყნარდნენ? ბავშვები ეძებენ თავიანთ გზა-სავალს.

საკუთარი თავისგან ნუ მოითხოვ, რომ სწრაფად შეიქნე გულდინჯი, მრავალნაცადი აღმზრდელი სულში ფსიქოლოგიური ბუღალტერიითა და პედაგოგიური კოდექსით გამართული თავით. გყავს დიდებული მოკავშირე — ჯადოქმნილი სიყმაწვილე, შენ კი უხმობ დორბლმორეულ — გადამღრძვალ გამოცდილებას.

9. არა ის, რაც უნდა იყოს, არამედ ის, რაც შეიძლება იყოს.

შენ გინდა, რომ ბავშვებს უყვარდე, თავად კი მოვალე ხარ კეთილსინდისიერად აღასრულო დაკისრებული მოვალეობა, უნდა შეტენო ისინი თანამედროვე ცხოვრების სულშემხუთავ ფორმებში, თანამედროვე თვალთმაქცობის, თანამედროვე ძალადობის წიაღში. ბავშვებს არ უნდათ ეს, თავს იცავენ და წყენა აქვთ შენზე გულში.

შენ გინდა, რომ ისინი გულწრფელნი იყვნენ და კარგად აღზრდილნი, როდესაც საზოგადო ცხოვრების ფორმები — ცრუა და გულწრფელობა—თავხედობასთანაა წილნაყარი. თუ იცი, რას ფიქრობდა ის ბალღი, გუშინ რომ ჰკითხე, რატომ ხარ მოწყენილი? მან გაიფიქრა, „თავი დამანებეო“. ის უკვე გულწრფელი არ არის, რასაც ფიქრობს, არ გეტყვის, უკმაყოფილოდ გაიწია—და ამანაც შეგილახა თავმოყვარეობა.

ჩივილი არ შეიძლება, ენის მიტანა ცუდია — როგორღა უნდა მიხვდე იმათ საქმეებს, გასაჭირს, ცოდვებს?

არ უნდა დასაჯო, არ უნდა დაასაჩუქრო. უნდა იყოს წესრიგი და ნიშანი, რომელსაც ყურს დაუგდებენ, ზარის ხმაზე სადილად უნდა მოვიდნენ. მაგრამ თუკი დააგვიანებენ, არ მოვლენ, არ უნდათ მოვიდნენ?

ბიბლიოთეკა

შენ უნდა იყო სამაგალითო მათთვის, მაგრამ შენს ბიწიერებას, ნაკლოვანებებსა და სასაცილო თვისებებს კი რაღას უზამ? დამალვას შეეცდები. იქნებ შეძლო კიდევაც; ოღონდ რაც უფრო გულმოდგინეთ შეეცდები დამალვას, ბავშვები მით უფრო დაიწყებენ თავის მოკატუნებას. თითქოსდა ვერ ამჩნევენ, თითქოსდა არც არაფერი იციან და სადღაც კუთხე-კუნჭულებში ჩუმ-ჩუმად დაგცინებენ.

ძლიერ გიჭირს, მეტადაც — თანახმა ვარ! მაგრამ ხომ თითოეული გადააწყდება სიძნელეს, თუმცა იმათი გადაწყვეტა კი სხვადასხვანაირად შეიძლებოდა. პასუხი შეიძლება იყოს შედარებით ზუსტი. ცხოვრება ხომ არითმეტიკული ამოცანა არ არის, როდესაც პასუხი მხოლოდ ერთია, ხოლო გამოყვანის ხერხი შეიძლება იყოს ორიღა, მეტი არა.

10. ბავშვებს უნდათ მთელი სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარება, უნდა გამოუნთავისუფლდეთ ფარული შესაძლებლობები, პატივს უნდა სცემდნენ სიკეთეს, სილამაზეს, თავისუფლებას... გულუბრყვილოვ, მიდი და სცადე! საზოგადოებამ მოგიბოძა პატარა ველური, რათა გამოჩორკნო, გამოწვრთნა, სასურველი გახადო, და ელოდება. ელოდებიან სახელმწიფო, ეკლესია, სამუშაოს მომცემები სამომავლოდ. მოითხოვენ, მოელიან, თვალყურს ადევნებენ. სახელმწიფოს უნდა ოფიციალური პატრიოტიზმი, ეკლესიას — დოგმატიკური რწმენა; სამუშაოს მომცემს — პატიოსნება, სუყველა ამათ უნდათ საშუალო დონე და მორჩილება. ძალზე ძლიერს გატეხავს, ჩუმს გარიყავს, ორპირს ზოგჯერ მოისყიდის, ღარიბ-ღატაკს ყოველთვის მოუჭრის გზას — ვინ? არც არვინ — ცხოვრება!

შენი აზრით, ბავშვი — წვრილმანია, ბუდედან გადმოვარდნილი ობოლი ბარტყი, თუნდაც მოკვდეს, ვინ რას გაიგებს, ბალახი მოედება პაწაწინა საფლავს? მიდი და სცადე და დარწმუნდები, ასე არ არის, და ცრემლი მოგადგება თვალზე. წაიკითხე პრევოს* თავშესაფრის ამბავი თავისუფალ რესპუბლიკურ საფრანგეთში.

ბავშვს აქვს უფლება უნდოდეს, მოითხოვდეს, მიელტვოდეს, აქვს უფლება ზრდისა და მომწიფების, და სიმწიფეს მიტანებული იყოს ნაყოფიერი, ხოლო ალზრდის მიზანი კი: არ იხმაუროს, ფეხსაცმელი არ დახიოს, დამჯერი იყოს და ბრძანებების შემსრულებელი, სიტყვის შეუბრუნებლად, იცოდეს, რომ ყოველს მისი სიკეთე უნდა.

არა, მცნება: გიყვარდეს მოყვასი შენი — ჰარმონიაა ეს და სივრცე, თავისუფლება. მიმოიხედე ირგვლივ, გაიღიმე!

---

* ფრანგი ფილანტროპი ჟ. გ. პრევო (1793-1875), თავშესაფრის დამაარსებელი — „პრევოს ობოლთა სახლი", პრევოს ინტერნატი.

11. ახალი აღსაზრდელი.

თმა შეკრიჭე, ფრჩხილები დააჭერი, დაბანე, ტანსაცმელი გამოუცვალე, ის უკვე ყველას ჰგავს.

თავის დაკვრაც კი იცის, არ ამბობს, „მინდა“, არამედ „თუ შეიძლება“, იცის, უცხო შემოსულს უნდა მიესალმოს. სასკოლო სალაშქოზე უკვე შეუძლია ლექსის წაკითხვა, დასვრილი ფეხები გაიწმინდოს, იატაკზე არ უნდა დააფურთხოს, ცხვირსახოცი უნდა მოიშველიოს.

გულს ნუ გაიკეთებ, თითქოს მეხსიერებაში წაიშალა შემზარავი მოგონებები, ცუდი ზემოქმედების ნაკვალევი, მწარე გამოცდილება. დავარცხნილნი, სუფთად გამოწყობილნი ჯერ კიდევ კარგა ხანს იქნებიან სულიერად მიმძლავრებულნი, გახუნებულნი, ავადმყოფები. არის გამოუწმენდავი ჭრილობები, რომლებსაც მოთმინებით უნდა უმკურნალო თვეების მანძილზე და მაინც დარჩება ნაწიბურები, სულ ყოველთვის შეიძლება ისევ დაჩირქდეს.

ობოლთა ინტერნატი — ეს კლინიკაა, სადაც ყოველთვის ნახავთ მრავალნაირ უილაჯობას სულისას და სხეულისას. ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარი შესუსტებულია, მემკვიდრეობითი ნაიარევი ხელს უშლის გამოჯანმრთელებას და თუკი ინტერნატი არ შეიქნება მორალური კურორტი, საშიშროება იქნება გახდეს ახალი სალმობანის კერა.

დარაზე ყოველი კარი ინტერნატისა, მაგრამ ისე ვერ იზამ, რომ ქუჩიდან ვერ შემოაღწიოს მავნე ჩურჩულმა, დაუწმენდავმა მძვინვარე ხმებმა, რომლის ჩახშობა შეუძლებელია მორალური საგალობლებით. გამზრდელმა შეიძლება თვალი დახაროს, თავი მოიკატუნოს, ვერ ვხედავო ვერაფერს, მაგრამ მით უფრო დამღუპველად ეცოდინებათ ეს ბავშვებს.

12. შენ იტყვი, თანახმა ვარ კომპრომისებზე, ვღებულობ ბავშვების იმ მასალას, რომელსაც მაწვდის ცხოვრება და ქედს ვიხრი სამუშაოს გარდაუვალი პირობების წინაშე, თუმცა კი მეტად სამძიმონია. მაგრამ მე მოვითხოვ თავისუფლებას დეტალებში და დახმარება და შემწეობა მჭირდება, სამუშაოს ტექნიკა მკაცრად არ უნდა იყოს განსაზღვრული.

გულუბრყვილოვ, ვერც ვერაფერს მოითხოვ.

საყვედურს გეტყვის უფროსი, ქაღალდები ყრია იატაკზე, პატარას კოპი გამოუვიდა, წინსაფრები მთლად სუფთა არ არის, ლოგინები კარგად არ არის დალაგებული.

შენ გინდა გაუშვა ბავშვი ინტერნატიდან, სასიკეთო იქნება ეს სხვებისთვის. გეაჯებიან, ნუ გარიცხავ, იქნებ გამოსწორდეს?

ოთახებში ცივა, უმეტესობას, შენს ანემიურ ბავშვებს თითები აქვთ მოყინული. სითბოს მოპოვება — ძვირია, მაგრამ სიცივე ხომ გასტეხს ბავშვებს ფიზიკურად და სულიერადაც. არა, საჭიროა ბალღების გაკაჟება.

გიკვირს, რომ ორი კვერცხიდან გამოდის ერთი ნაკლოვანი კოვზი. გესმის უხეში პასუხი, რა შენი საქმეაო.

შენმა თანამშრომელმა, შეიძლება, იცოდა სადაც იყო კარადის გასაღები, იქნებ თავად დამალა და განგებ გაძებნინებს. საღამოობით მი-

დის, საძინებელს უყურადღებოდ ტოვებს, მაგრამ გეუბნება, „ჩემს საქმეში ნუ ეჩრები“ — ჩემს საძინებელში, ჩემს ბავშვებთან შენ რა გინდაო.

უფროსობის დესპოტური ჭირვეულობა და უცოდნელობა, ადმინისტრაციის უპატიოსნება, ამხანაგის არაკეთილმოსურნეობა და არაკეთილსინდისიერება შენ გვერდით. დაუმატე: უხეში ტექჰერსონალი, დავიდარაბა მრეცხავთან, რომელმაც თითქოსდა დაკარგა ზეწარი, მზარეულთან, რომელსაც რძე გადმოუვიდა, დარაჯთან, გალეული კიბის საფეხურების გამო.

თუკი გამზრდელი შეძლებს ნახოს უფრო უკეთესი სამუშაო პირობები, ბედნიერებაა მისთვის. ხოლო თუ ირგვლივ ასეთები ჰყავს სწორედ, ნუ უკვირს და ნურც აღშფოთდება, სალად უნდა გათვალოს თავისი ძალა და ენერგია უფრო ხანგრძლივი დროით, არა ისე, როგორც თავისი მუშაობის პირველ თვეებში.

13. ინტერნატი საიდანღაც მაღალი მთიდან.
ყრიამული, მოძრაობა, სიყმაწვილე, სიმხიარულე.
დიდებული სამეფო უზაკველი პატარა არსებებისა.
რამდენი ბავშვია და ასეთი სისუფთავეა.
ჰარმონია საფორმო სამოსლებისა, რიტმი ქოროს სიმღერისა.
მითითება — ყველა ჩუმდება, ლოცვა — ბალღები მაგიდას მიუსხდებიან. არც ჩხუბი, არც გაწამაწია.

გაელვება გაბადრული პირისახისა, გაკვესება მხიარული თვალებისა. პაწაწინა და ასეთი სანდომ-საამური.

გამზრდელი, კეთილი, წყნარი. ვილაცამ მოირბინა, შეკითხვა. ხუმრობით ვილაცას თითი დაუქნია — გაიგო იმან, დაუჯერა. მჭიდრო წრედ შეკრულა თქვენ გარშემო ყოველი თქვენი ერთგული.

— კარგია აქ?

— კარგია.

— გიყვართ თქვენი გამზრდელი?

მორცხვად იღიმის თვალდახრილი.

— გეკითხებიან, უნდა უპასუხო, როგორ შეიძლება. გიყვართ?

— გვიყვარს.

სასიამოვნო შრომა, კეთილშობილური მიზანი. პატარა საზრუნავი, უმნიშვნელო მოთხოვნილებანი — ბავშვური სამყარო.

— აი ნამცხვარი, ეს თქვენ.

ზრდილობიანად გამოთქმული მადლიერება. პირველმა ხელი არც ერთმა არ გამოუწვდინა.

14. შემთხვევითო სტუმარო, სჯობს განზე მდგომარე ბავშვებს შეხედო.

საღლაც ბნელ კუთხე-კუნჭულში ერთია პირქუში, თითი ნაჭრით აქვს შეხვეული. ორნი შედარებით დიდები იქედნური ღიმილით ჩურჩულებენ, ყურადღებით გადევნებდნენ თვალს. რამდენიმე კი დაკავებულია და ვერც შეუმჩნევიათ, რომ ვილაც უცხოა შემოსული. ვილაც თითქოსდა კითხულობს, არ უნდა რაღაც ტრაფარეტული შეკითხვა და-

უსვან. ვილაც სარგებლობს იმით, რომ აღმზრდელს არ სცალია, ჩუმად გასხლტება, რათა დაუსჯელად წაიხულიგნოს.

არის ისეთიც, ვინც მოუთმენლად ელის, როდის წახვალ, რათა აღმზრდელს რაღაც შეეკითხოს. მეორე განგებ მოდის, რათა დაინახონ. კიდევ ერთი ჩაჩუმქრულა, უნდა სულ ბოლოს მოვიდეს და ცოტა ხანი თქვენთან ერთად დაჰყოს; იცის, მაშინ აღმზრდელი იტყვის, „ეს ჩვენი მომღერალია, ეს ჩვენი პატარა დიასახლისია, ეს მსხვერპლია ტრაგიკული შემთხვევისა“. ერთნაირი სამოსლის ქვეშ ასნაირი გული ცემს და თითოეული — გაკრვეული სიძნელე, სამუშაოს გარკვეული ხასიათი, განსაკუთრებით სადავიდარაბო და სადარდელი.

ასი ბავშვი — ასი ადამიანიშვილია, რომლებიც ოდესმე კი არა... არა ხვალ... დღესვე... ადამიანიშვილებია. სამყაროს რაღაც ნაწილაკი კი არა, მთელი სამყაროა, არა პაწაწინა, არამედ დიდი, არა „უზაკველი“, არამედ ღრმა ადამიანური ფასეულობა, ღირსება, თვისებები, ლტოლვანი, სურვილები.

იმის მაგივრად, რომ ჰკითხო, უყვართ თუ არა, სჯობს, ჩაეკითხო, რითაა მოპოვებული, რომ გამგონენი არიან, რომ მშვიდობაა ინტერნატში, პროგრამა, წესრიგი.

— სასჯელი არაა...

— სიცრუეა.

15. შენი მოვალეობანი რა არის? — ფხიზლად ყოფნა.

თუკი ზედამხედველობა გსურს, ნულარაფერს გააკეთებ. მაგრამ თუ აღმზრდელი ხარ, თექვსმეტსაათიანი სამუშაო დღე გაქვს, დასვენება, დღესასწაული რა არის, არ იცი; მთელი დღე გაუთავებელი შრომა, რომელსაც ზუსტად ვერც განსაზღვრავ, ვერც შეამჩნევ, ვერც გააკონტროლებ, სიტყვების, ფიქრების, გრძნობების გამა, რომლის სახელი — ლეგიონია. გარეგნულ წესრიგს, მოჩვენებით აღზრდილობას, საჩვენებელ წვრთნას უნდა მხოლოდ მაგარი ხელი და აურაცხელი აკრძალვა. და ბავშვები სულ ყოველთვის შიშით არიან შებოჭილნი, ვაითუ წარსტანცონ სიზმარეული კეთილდღეობა; ხსენებული შიში წყაროა მრავალი უმძიმესი უსამართლობისა.

აღმზრდელმა, ისევე, როგორც ზედამხედველმა კარგად იცის, რომ, თუკი თვალზე დაჰკრავ, ბავშვი შეიძლება დაბრმავდეს, რომ სულ მუდამაა საფრთხე ხელის მოტეხვის ან ფეხის ამოგდების, მაგრამ ახსოვს ის მრავალი შემთხვევაც, რომ ბავშვმა კინაღამ ხელი დაკარგა, კინაღამ სარკმლიდან გადმოვარდა, ძლიერ დაეცა, შეეძლო ფეხი მოეტეხა, თუმცა გადარჩა, უბედურება შედარებით ნაკლებად ხდება, მთავარია, რომ ამისგან დაზღვეული არავინაა.

რაც უფრო დაბალია აღმზრდელის სულიერი დონე, რაც უფრო უფერულია მისი მორალური სახე, რაც უფრო ზრუნავს თავის სიმშვიდესა და სიმყუდროვეზე, მით უფრო მეტ ბრძანებებს იძლევა, მით უფრო მეტ აკრძალვებს აწესებს და ამისი მიზეზი თითქოსდა ბავშვების სიკეთეა.

აღმზრდელი, ვისაც არ უნდა უსიამოვნებანი და არ სურს იმაზე პასუხისმგებლობა, რაც შეიძლება მოხდეს, — ტირანია.

16. ტირანი შეიძლება იყოს ის აღმზრდელი, ვინც მოუხერხებლად ზრუნავს ბავშვების ზნეობაზე.

ავადმყოფურმა ეჭვიანობამ შეიძლება ისე შორს შეატოპინოს, რომ ახლა არა მარტო სხვადასხვა სქესის ბავშვები და ყოველნი გაბმარტოებულნი ორნი, არამედ ბავშვის საკუთარი ხელებიც მტრად დაინახოს.

როდესღაც, სადღაც, ვიღაც უსახელომ გვიკარნახა ბურძალვა, საბნის ქვეშ ხელებს ნუ შეიწყობო.

„მაგრამ მე თუ მცივა, მე თუ მეშინია, მე თუ დაძინება არ შემიძლია?"

ოთახში თუ თბილა, ბავშვი არა მარტო ხელებს გამოაჩენს, მთლად გადაიღებება. და თუკი ძილი აქვს მორეული, ხუთ წუთში უკვე სძინავს, და კიდევ რამდენი ამდაგვარი აზრმოკლებული ეჭვიანობა, რომელიც ბავშვის უცოდნელობაზე არის დამყარებული!

ერთხელ შევამჩნიე, რამდენიმე უფროსმა ბიჭმა, იდუმალ რომ ჩურჩულებდნენ, პატარები საპირფარეშოში შეიყვანეს. დიდად აღელვებულნი დაბრუნდნენ პატარები. დიდი ძალა დამჭირდა, რომ ადგილზე დავრჩენილიყავი და წერა გამეგრძელებინა. გასართობი კი სულ უმტკივნეულო იყო. ერთმა ბიჭმა (ფოტოგრაფთან მუშაობდა) ცარიელი სიგარების კოლოფს წინსაფარი გადააფარა, სურათის გადაღების მსურველები კედელთან გააჩერა, ონკანთან, და როდესაც პატარები სახეგაბრწყინებულნი მოელოდნენ, ახლა სურათს გადაგვიღებენო, „სამის" დათვლაზე ცივი წყალი გადაავლო თავზე.

შესანიშნავი გაკვეთილი ჭკუადახედული სიფრთხილისა პატარებისთვის! წყალგადავლებულნი აღარ წავლენ საპირფარეშოში პირველივე იდუმალ მიპატიჟებაზე.

აღმზრდელო, ცალმხრივად რომ თვალყურს ადევნებ ბავშვებს! ზნეობის მხრით, ვაითუ თავად ვერა გაქვს ყველაფერი კარგად.

17. თეორეტიკოსი ჰყოფს ბავშვებს კატეგორიებად ტემპერამენტის, ინტელექტის, ტიპებისა და მიდრეკილებების მიხედვით; პრაკტიკოსმა იცის უპირველეს ყოვლისა „მოსახერხებელი" და „მოუხერხებელი"; ჩვეულებრივნი, ისინი, რომლებიც არ გაწვალებენ და არაჩვეულებრივნი, რომლებსაც ბევრი დრო სჭირდებათ.

„მოუხერხებელი" ბავშვები: ყველაზე უფრო პატარა, ასაკისდა მიხედვით ჩვეულებრივზე უფრო ნაკლები სიმაღლისა; ყველაზე უფროსი, კრიტიკულადაა განწყობილი და თავისნებაა; დუნე, მოუწესრიგებელი და სუსტი; და ფიცხი, თავმომაბეზრებელი.

ბავშვი, რომელიც გაიზარდა და ვერ ეგუება ინტერნატის დისციპლინას, საძნელოა მისთვის, რომლისთვისაც დამამცირებელია საძინებლის, სასადილოს, ლოცვის, თამაშის, სეირნობის განაწესი.

ბავშვი, ვისაც ყურიდან ჩირქდენა აქვს, ძირმაგარა აწუხებს, ფრჩხილი წასძვრა, თვალი ეცრემლება, თავი სტკივა, ახველებს, სიცხიანია.

ბავშვი, ვინც ნელა იცვამს, იბანს, ივარცხნის, ჭამს, უკანასკნელი ალაგებს ლოგინს, უკანასკნელი დაკიდებს პირსახოცს, იმის თეფშსა და ჭიქას სულ ყოველთვის ელოდებიან, იმის გულისთვის გვიანდება სა-

ძინებლის დალაგება, სუფრის ალაგება, ჭურჭლის სამზარეულოში გატანა.

ბავშვი, ვინც წამდაუწუმ გეკითხება, საჩივრებით მოდის, მოითხოვს, ტირის, გედავება, ვისაც არ უყვარს სხვა ბავშვების საზოგადოება, თავს აღარ განებებს, სულ მუდამ რაღაც არ იცის, რაღაცას ეკითხვის, რაღაც მნიშვნელოვანის თქმა უნდა.

ბიბლიოთეკა

ბავშვი, რომელმაც უხეშად უპასუხა, ტექპერსონალიდან ვიღაც გააჯავრა, იჩხუბა, გაიწია, ქვებს ისროდა, განგებ რაღაც გატეხა ან დახია, ყველაფერზე იძახის, „არ მინდა“.

ბავშვი მგრძნობიარე და ჭირვეული, სწყინს სულ უმნიშვნელო შენიშვნა, პირქუშად რომ შეხედავენ, რომლისადმი ცივი უყურადღებობა — სასჯელია.

სიმპატიური, ცელქობის მოყვარული, პირსაბანს კენჭებით გაჭედავს, კარს ჩამოეკიდება და ტრიალებს, ონკანს მოხსნის, ღუმელის საჰაერო ხუფს დაკეტავს, ზარს მოაძრობს, ლურჯი ფანქრით კედელს დასვრის, ლურსმნით რაფას დაკაწრავს, ასოებს ამოჭრის მაგიდაზე. დიდი გამომგონებლობის უნარი აქვს და დაუღალავია.

აი მტაცებელნი შენი დროისა, ტირანები შენი მოთმინებისა, ფერმენტები შენი სინდისისა. კი ებრძვი მათ, თუმცა იცი, არ არის იმათი ბრალი.

18. ბავშვები დილის ექვს საათზე დგებიან. მხოლოდ უნდა თქვა: „ბავშვებო. ადექით!“, მეტი არაფერი არ გინდა.

სინამდვილეში კი, თუ ასეულ ბავშვს უბრძანებ, ადექითო, რვა მეათედი „მოსახერხებელნი“ ადგებიან, ჩაიცვამენ, დაიბანენ და მზად იქნებიან შემდეგი მითითებისათვის, „საუზმეზე“. რვა იმათთაგანს ორგზის უნდა გაუმეორო ეს ბრძანება, ხუთს — სამგზის. სამს უნდა დაუყვირო. ორი უნდა გააღვიძო. ერთს თავი სტკივა: ავადაა ან, იქნებ, თავს იკატუნებს?

ოთხმოცდაათი ბავშვი თავად იცვამს, ორს უნდა შეეშველო, თორემ დააგვიანებენ. ერთს შესაკრავი დაეკარგა, მეორეს თითი მოეყინა და ფეხსაცმელი ვერ ჩაუცვამს. კიდევ ერთს კი ზონარი გადაენასკვა. ვიღაც ვიღაცას ლოგინის დალაგებას არ ანებებს. ვიღაც საპონს არ იძლევა, კიდევ ვიღაც ხელს იკვრევინება, იწუწებიან დაბანის დროს ან პირსახოცი აერია, ან იატაკზე წყალი დაეღვრება. მარჯვენა ფეხსაცმელი მარცხენაზე ჩაიცვა, წინსაფრის დაბნევა არ შეუძლია, ფოლაქი მოსძვრა, ვიღაცამ, როგორც ჩანს, ხალათი აიღო, აქ იყო ერთი წუთის წინ! ვიღაც ტირის: „ჩემია ეს ტაშტი, ყოველთვის მე ვიბან ამით“, — მაგრამ დღეს პირველი ხომ სხვა მოვიდა.

ოთხმოცი ბავშვი შენი დროის ხუთი წუთით გამოკვებე, ათმა თითო წუთი წარგტაცა, ორს კი თითქმის ნახევარი საათი დასჭირდა.

ხვალაც ასე იქნება, მაგრამ უკვე ეს კი არა, სხვა დაკარგავს, ავად გახდება, ცუდად დაალაგებს ლოგინს.

ერთი თვის, ერთი წლის, ხუთი წლის მერეც სულ ასე იქნება.

19. შენ მხოლოდ უნდა გეთქვა: „ბავშვებო, ადექით!“ — და მორჩა. მაგრამ კი ვერ მოასწრებდი.

ვერ მოასწრებდი, იმ „მოსახერხებელი“ ბავშვებიდან ერთს რომ დაკარგული შესაკრავი ან ხალათი არ ეპოვა, მეორეს იმ თითმოყინული ბავშვისთვის სათადარიგო ფეხსაცმელი რომ არ მოეტანა, მესამეს რომ გადანასკვული ადგილი არ გაესწორებინა.

შესაკრავისთვის ხომ ლოგინის ქვეშ შეძრომა გახდა საჭირო, ფეხსაცმელი რომელიღაც შორეული ოთახიდან უნდა მოეტანათ, ის გადანასკვული ზონარი შენმა მოადგილემ ძლივს გახსნა, იწვალა ჯერ ფრჩხილებით, მერე კბილებით, მერე კი გუშინ ნაპოვნი ლურსმანი მოიშველია, დაბოლოს, ამისთვის საქსოვი ჩხირი ითხოვა და ისე მოაგვარა ეს საქმე.

შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ შეგემჩნია, ერთი ბავშვი ხშირად კარგავს, მეორე კი ხშირად პოულობს, ერთს გადაენასკვება, მეორე კი ხსნის. ერთი ხშირად ავადმყოფობს, მეორე სულ ჯანმრთელია. ერთი შველას ითხოვს, მეორე კი თავად გშველის. ვთქვათ და პირველს კარგი თვალით უყურებ და მეორეს მადლობელი ხარ.

მაგრამ აი დღეს ძლივს დგება ის, ვინც გუშინ ლოგინში მწოლი დიდხანს ლაპარაკობდა. პატარა უფრო კარგად ალაგებს ლოგინს, ვიდრე დიდი. ის, ვისაც ყელი ტკივა, წყალს პირდაპირ ონკანიდან სვამს, თუმცა კი გააფრთხილე, ოფლიანი ხარ და წყალი ცივიაო. თავად იფიქრე, მაშინ კი რას იტყოდი, თუმცა იცი და გესმის, და ყველაფერს უნდა შეურიგდე და ყველაფერი უნდა აპატიო.

რაც უფრო მეტნი არიან ეს მოუხერხებელნი, შენი თექვსმეტი სამუშაო საათიდან მით უფრო ბევრი დაგჭირდება სირბილსა და დავიდარაბაში, ბუზღუნში და მით უფრო ნაკლები დრო დაგრჩება იმ „მაღალი“, „წმინდა“ საქმისთვის (წაიკითხე განყოფილება „აღმზრდელის მოვალეა“).

და დროც ნაკლები გაქვს, და ღონეც...

20. ბავშვების დახმარება შეიძლება სრულიად უანგარო იყოს, ბავშვი გეხმარება, რაკი უნდა, გეხმარება, რაკი დღეს უნდა, ხვალ კი ვინ იცის.

მაგრამ ასეთი ჭირვეული, თავმოყვარე და პატიოსანი მშველელი ყველაფერს არ გააკეთებს. ადვილად გაუნელდება სურვილი, რაღაც თუ გაუძნელდება; ეწყინება, თუკი აღმზრდელი უკმაყოფილებას გამოთქვამს; მერყეობს, შეკითხვებს დაგისვამს, მითითებები სჭირდება გადასამოწმებლად. თავად არ შემოგთავაზებს დახმარებას; უნდა მოძებნო, გული გაუკეთო, წაახალისო; თუ სთხოვ — არ დაგზარდება, უბრძანებ — არ მოისურვებს. ვერ მიენდობი, შეიძლება გიღალატოს მაშინ, როდესაც ძალიან გჭირდება.

ზედამხედველი სულ ადვილად მონახავს სხვანაირი ტიპის თანაშემწეს ბავშვებს შორის. მარჯვე, ენერგიული, თავხედი, ორპირი და ანგარებიანი თავადვე მოგახვევს თავის დახმარებას, გააგდებ — დაბრუნდება, საჭირო შემთხვევაში — მიწიდან ამოძვრება, თვალებზე შე-

გატყობს, თუ რა გინდა, ყველაფერს შეგისრულებს, არაფერს არ მოერიდება.

ცუდად თუ შეასრულებს — თავს დაიძვრენს, იცრუებს, დატუქსავ — თავზე ქონს მოგისვამს. ასეთი ყოველთვის გეტყვის: „კარგადაა ყველაფერი“.

თუკი არაკეთილსინდისიერი, ნიჭმოკლებული ან უბრალოდ დალილ-დაქანცული გამზრდელი აღარ ჩაერევა ბავშვების წვრილმან საქმეებსა და საზრუნავში, თავის ძალაუფლებას ისეთ მორიგეს გადაულოცავს, რომელიც შეეშველება და ადვილადაც შეცვლის მას. და ის ვინც ბავშვს მოძებნის, დაუძახებს, თვალყურს მიადევნებს, მოიტანს, აალაგებს, შეგახსენებს, იცის, ესმის, იტყვის, მალე გადაიქცევა ნაბდვილ მოადგილედ.

სკოლის გულუბრყვილო ჯამილოკია, ყაზარმა-ინტერნატის მრისხანე ფელდფებელი არ გეგონოთ იგი.

21. მორიგეს ადვილად შეუძლია ბავშვების მოთოკვა, ვიდრე დიდს. მეთვალყურეს დაარტყამს კიდევაც, ოღონდ არა მთელი ძალით, თავშეკავებულად დაემუქრება, თუკი დააშავებს ვინმე. ხოლო ზედამხედველი ბავშვთაგან რბილ ადგილას არ დაჰკრავს, თავში ჩასცხებს ან მუცელში, რადგანაც ასე უფრო მტკივნეულია, დაისჯებიო, კი არ იტყვის, არამედ გულუბრყვილო სახით, ასე: „დამაცადე, გასაშლელი დანით დაგკლავ ღამით“; სრულიად გულცივად დაადანაშაულებს უბრალოს და აიძულებს აღიაროს, თუმცა არაფერი ჩაუდენია: „იტყვი იცოდე, შენ შეჭამე, აიღე, დაამტვრიე“, — და მთლად აკანკალებული პატარა გაიმეორებს: „ეს მე დავამტვრიე, ეს მე ავიღე“.

ბავშვების ძირითად მასას მისი უფრო ეშინიათ, ვიდრე აღმზრდელის, ზედამხედველმა უფრო მეტი იცის, რადგანაც სულ იმათთანაა. გაუგონარ ბავშვებს სძულთ, შურისძიება იშვიათად იციან, ხშირად მოსყიდვას ცდილობენ.

პატარა ტირანს ახლა უკვე თანაშემწეები ჰყავს, მოადგილეები. თავად უკვე არც არაფერს აკეთებს, მხოლოდ მბრძანებლობს, მოწინააღმდეგეს აბეზღებს და ყველაფერზე აგებს პასუხს უფროსების წინაშე.

კარგად უნდა გარჩევა: ის ფავორიტი არ არის, არც რჩეული, ნამდვილი თანაშემწეა, ნდობით აღჭურვილი მოსამსახურე, რომელსაც უნდა პატრონს ასიამოვნოს. პატრონი ვერ ითმენს და თუმცა კი იცის, ცრუობს, გამორჩენაზეა მისი მეშვეობით, ვერ იქნება უიმისოდ — სხვათა შორის, უფრო კარგ ადგილს მოელის.

22. მრავალგზის იდუმალ გამოთქმულ მუქარას შეფარულად ცვლის საცხადო და ხმაურიანი აკრძალული ჩხუბი:

„დამაცადე, აღმზრდელს ვეტყვი. დამაცადე, ღამე რასაც გიზამ ნახავ“ — სწორედ ამ მაგიური შელოცვებით მარჯვე და ორპირი ხმის ამოღებას არ დაანებებს, დაიმორჩილებს, მოთოკავს უმცროსს, ბოთეს, უფრო სუსტსა და პატიოსანს.

საპირფარეშო და საძინებელი ოთახები ის ორი ადგილია, სადაც თავისუფლად შეუძლიათ ერთმანეთს საიდუმლო გაანდონ, სადაც

ინტერნატის კონსპირაციული ცხოვრების კონცენტრირება ხდება. ცდებიან აღმზრდელები, როდესაც ფიქრობენ, საძინებელი და საპირფარეშო მხოლოდ ცალმხრივ სიფრთხილეს მოითხოვს.

ვიცი შემთხვევა, როდესაც ბიჭი ღამით მიფოფხდა მტრის ლოგინთან, დაუწყო ჩქმეტა, ყურების აწევა, თმებით თრევა, თან დაემუქრა: „ჩუმად! იყვირებ, აღმზრდელს გაეღვიძება, გაგრიცხავენ იცოდე".

ვიცი შემთხვევა, ბიჭს განგებ ჩაუსხეს წყალი ლოგინში, რათა ზედამხედველს მისთვის ამოედო ასე სასირცხო მუშამბა.

ვიცი შემთხვევა, როცა მორიგემ მოკლედ, ხორცამდე დააჭრა ფრჩხილები თავის ამხანაგს, არ უყვარდა და იმიტომ. მეორე მორიგემ განგებ ცივი წყლით გაუვსო აბაზანა ბიჭს, ვისთანაც ნაჩხუბარი იყო.

ინტერნატში შეიძლება დამკვიდრდეს ბოროტი ძალების ტერორი, მოიწამლოს ატმოსფერო, გავრცელდეს მორალური ეპიდემია, გამოიწვიოს ნგრევა და დასახიჩრება. სიცრუის, ძალადობის, მალვის, ჩაგვრის, საიდუმლო ანგარიშსწორების, ყალბი საჩივრების, შიშიანობისა და დუმილის ატმოსფეროში, გაჯერებული ჩირქგროვის მიაზმებით, იფეთქებს ეპიდემია ონანიზმისა და სისხლის დანაშაულის.

ასეთ სიბინძურეში მოქცეული აღმზრდელი გარბის და თუ გაქცევა არ შეუძლია, ყველაფერს მალავს.

23. ბავშვები მალე შეამჩნევენ, რომ მეთვალყურე უფროსობას უმალავს სიმართლეს — ნაქებ-ნადიდები ბავშვები იმის სიმპათიას იმსახურებენ, ხოლო ანტიპათიურნია, რომელთა გამოც უთხრეს საყვედური.

მეთვალყურესა და ბავშვებს შორის მუნჯური შეთანხმება მყარდება, მოდით ისე მოვიქცეთ, თითქოსდა ყველაფერი კარგადაა და თუ რამე მოხდება — ნურაფერს ვიტყვით.

და მთავარი ხელმძღვანელი თავის მყუდრო კაბინეტში ბევრს ვერაფერს გებულობს, ხოლო დაწესებულების კედლების მიღმა კი რალა უნდა გაიგონ. ბავშვები ზოგჯერ სასჯელს იმსახურებენ, ის კი მიუხვედრელობის თუ დანაშაულებრივი დაუდევრობის გამო ყველაფერს მალავს.

იქნებ ამიტომაც ინტერნატელ ბალღებს ლაპარაკი არ უყვართ და ხალისით მხოლოდ ბანალურ შეკითხვებზე იძლევიან პასუხს: „თუ ხარ კარგად? დამჯერი თუ ხარ?" — და ჩუმადაა, როდესაც შეიძლება „წამოაყრანტალოს" რამე. შეიძლება ამიტომაც ინტერნატი იდუმალების მრუდე ბეჭდითაა აღბეჭდილი და საუბარი ბალღთან, ვინც მალიმალ გადახედავს აღმზრდელს, უსიამოვნო და შემბოჭველია?

ამ წიგნის მეოთხე ნაწილში მე მოგითხრობთ, ობოლთა სახლის ორგანიზებისას როგორ გვეხმარებოდნენ ბავშვები, ისე, რომ აღარაფრის ეშინოდათ, საჯაროობამ გვიშველა.

24. ყოველდღიურ საზრუნავსა და დავიდარაბას ჰყავს თავისი „მოსახერხებელი" და „მოუხერხებელი" ბავშვები; დღეები საზეიმო ბაზრობების და თავისიანების საჩვენებელი დღეები.

სიმღერის სწავლება რომ აქვს დავალებული, ამ აღმზრდელისთვის მოსახერხებელია ბავშვი მაღალი წკრიალა ხმით; ტანვარჯიშის მწვრთნელი აღმზრდელისთვის — ყველაზე მარჯვე ტანმოვარჯიშეა. პირველი ფიქრობს საჩვენებელ ქოროზე, მეორე — მაყურებელსა და შეჯიბრებაზე.

ნიჭიერი, აღზრდილი, გაბედული ბავშვები ღებულობენ სტუმრებს ზეიმების დროს, ცდილობენ თავიანთი დაწესებულება და, ასევე, კარგად წარმოაჩინონ აღმზრდელიც. ლამაზი ბავშვი საპატიო სტუმარს თაიგულს მიართმევს.

ნუთუ აღმზრდელი არ იქნება ამისი მადლობელი? მაგრამ მერე რა, ბავშვმა იმღერა, ვიოლინოზე დაუკრა, კარგად ითამაშა თავისი როლი კომიკურ პიესაში? ეს სულაც არ არის იმისი დამსახურება. და სინდისის ქენჯნით შეპყრობილი აღმზრდელი ცდილობს დაიურვოს სასიამოვნო მღელვარება.

თუ არის ეს სწორი? თუ შეუძლია მოჩვენებით გულგრილობას მოატყუოს ბალღი და თუ მოატყუებს, ვაითუ ეწყინოს? ოდნავ დაბნეული, უფრო კი შეშინებული ამდენ წარჩინებულთა და ვიღაც უცხოთა წინაშე, ბავშვი იმასთან მიირბენს, ვისთანაც უფრო ახლოსაა, რადგანაც უპირველეს ყოვლისა აფასებს იმის შექებას, ნატრობს ამას, აქვს კიდევაც ამის უფლება...

თავში არ უნდა აუვარდეთ, მაგრამ უნდა გამოარჩიო...

მაშინ კი რა მოუვა ყოველი ბავშვის უცილებელი თანასწორობის დებულებას? მაგრამ ხსენებული დებულება — სიცრუეა.

25. აღმზრდელ-პრაქტიკოსს ყოველთვის ჰყავს ბავშვები, რომლებიც სიამოვნებს, ჯილდოდ დაკარგული შრომის საზღაურად, — ბავშვები კვირა-დღეები მისი სულისა, — უყვარს ისინი მიუხედავად მათი თანმხლები ჭეშმარიტი ღირსებისა და სარგებლის.

კარგებია, რადგანაც მომხიბლავი გარეგნობის არიან; კარგებია, რადგანაც თვალნათელნი, მხიარულნი, დაუდგრომელნი, მომღიმარენი არიან; კარგებია, რადგანაც წყნარნი არიან, გულისხმიერნი, გაფაციცებულნი, პირქუშნი; კარგები არიან, რადგანაც პატარებია, უსუსურნი, გულის წარმტაცნი; კარგებია, რადგანაც ასე კრიტიკულად არიან განწყობილნი, გამბედავნი, ჯანყისკენ მიდრეკილნი.

აღმზრდელის სულიერი სახისა და იდეალებისდა კვალად, სხვადასხვა აღმზრდელისთვის ახლო და ძვირფასი სხვადასხვა ბავშვია.

ერთი მოსწონს თავისი ენერგიულობით, მეორე ხიბლავს თავისი გულუბრყვილობით, მესამე საკუთარ ბავშვობას მოაგონებს, მეოთხის ბედ-იღბალი გულწრფელად აწუხებს, მეხუთის აღმაფრენა აშინებს, მეექვსის — მორჩილი შიშიანობა.

და ამ მრავალრიცხოვან კარგ ბავშვებში ერთი გიყვარს, ის ყველაზე უფრო ახლობელია შენთვის, ვისთვისაც სულსა და გულს არ დაიშურებ, ვის კეთილგანწყობილებასაც მიელტვი, გინდა სულ ახსოვდე.

როგორ მოხდა და როდის? არ იცი. უეცრად დაგეუფლება ეს გრძნობა, სრულიად უმიზეზოდ, სიყვარულივით მოულოდნელად.

ნუ დამალავ: გაგთქვამს ღიმილი, ხმა, მზერა.

დანარჩენი კი? ნუ გეშინია, არ ეწყინებათ: იმათაც ჰყავთ თავთავიანთი სანდომ-საამურნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. ახალგაზრდა და მგრძნობიარე აღმზრდელებს მოსწონთ ეს ყველაზე უფრო ჩუმი და შეშინებული, თვალსევდიანი და სულგატეხილი. ეს ჩრდილში მდგომარენი, დავიწყებულნი ხდებიან მათი ცხოველი გრძნობების საგანი, უნდათ მათი ნდობა მოიპოვონ, აღიარებას მოელიან: რას განიცდის, რას ფიქრობს დაღლილ-დაქანცული, ფრთებჩამოყრილი ანგელოზი?

ყოველი ბავშვი გაოცებულია: „რატომღა უნდა უყვარდეს ეს სულელი?" და ის ბავშვები ყურადღებას რომ არც აქცევდნენ შენს რჩეულს, არარაობად რომ თვლიდნენ ან ბევრს არაფერს ერჩოდნენ, ხელს ჰკრავდნენ თუკი სადმე შეეფეთებოდათ, ახლა შეგნებულად, გეგმაზომიერად სდევნიან. ბავშვები ეჭვიანობენ, რა არჩევანი გაუკეთებიაო.

თავისი რჩეულის გამო აღმზრდელი უთანასწორო ბრძოლაში ჩაებმება — და კიდევაც წააგებს. შეცდომას რომ მიხვდება, აღმზრდელი ცდილობს იმის თანდათანობით შეუმჩნევლად მოცილებას. იმან გაიგო და დაცილდა, თითქოსდა საყვედურითაც თვალდანამული. იტანჯება აღმზრდელი, ჯავრობს თავის თავზეც და ბავშვზეც.

პოეტო, ნეტავი იცოდე, ამ დიდრონი, გრძელი წამწამებით გარშემოვლებული ბალღის თვალებში ერთი საიდუმლოლაა დაფარული — საიდუმლო მემკვიდრეობითი ტუბერკულიოზისა, — აღიარების მოლოდინის მაგივრად გაუთავებელი ხველების მომლოდინე იქნებოდი და არც კოცნას დაუწყებდი, ბავშვს თევზის ქონსა და გვაიაკოლს* დაალევინებდი. ასე დაიხსნიდი მასაც და საკუთარ თავსაც, სხვა ბავშვებსაც ამ სამძიმო წუთებისგან.

27. ხდება ხოლმე, ბავშვს ცალმხრივად შეიყვარებ. იმას უნდა ბურთის, ომობანას თამაში, სირბილში შეჯიბრება, შენ კი გინდა თავზე ხელი გადაუსვა, გულზე მიიკრა, მოეფერო. ბრაზდება ამის გამო, ღიზიანდება, დამცირებულია, გაიწევა ან ყელზე მოგეხვევა და ახალ კაბას მოგთხოვს. შენ ხარ დამნაშავე და არა ის.

ხდება ხოლმე, პერსონალიდან რამდენიმე მიელტვის ერთი და იგივე ბავშვის კეთილგანწყობილებას; მაშინ პატარა ფავორიტი ოსტატურად თამაშობს, ცდილობს არავის აწყენინოს. შენ გვიან დაძინებას ანებებ, მეურნე ქალი დახეულ წინდას გამოუცვლის, მზარეული ვაშლით ან ქიშმიშით გაუმასპინძლდება.

ხდება ხოლმე, მგრძნობიარე ან უკვე გაფუჭებულ ბავშვს სიამოვნებს მოფერება. უყვარს ხელს ხელზე რომ გადაგისვამს, რა რბილია! გეტყვის, რა საამური სუნი აქვსო შენს თმას, ყურში გაკოცებს ან ყელ-

* გვაიაკოლი — ფილტვების ტუბერკულიოზის წამალი იმხანად.

ზე, ან თითოეულ საყვარელ თითზე. სიმართლეს უნდა გაუსწორო თვალი: ვნებანარევია ეს მოფერება.

ბავშვში ეროტიკული გრძნობებია დავანებული. ყოველი ცოცხალი უნდა იზრდებოდეს და მრავლდებოდეს; ყოვლისმომცველია ბუნების ეს კანონი ადამიანებისთვის, ცხოველებისთვისა და მცენარეებისთვის. სქესობრივი გრძნობა უცებ და არსაიდან არ წარმოიქმნება, ის ჯერ კიდევ თვლემს, მაგრამ უკვე ისმის იმისი ჩუმი სუნთქვა. ბავშვს ცხადლივ ან შეფარულად დაეტყობა გრძნობიერი მოძრაობანი, უნდა ხვევნა, კოცნა, თამაშები.

მაგრამ აღმზრდელს არ სჭირდება ზეცას ააპყროს მზერა, გაკვირვებულმა დაიწყოს ხელების შლა, უკუმიდგეს აღშფოთებული.

ბავშვის სიცოცხლეს სიცხოველე უნდა მიანიჭო, რათა არ მოიწყინოს, დაანებე ირბინოს, იხმაუროს და იძინოს რამდენიც უნდა, ხოლო სქესობრივი გრძნობა წყნარად იჯეჯილებს, არ დასვრის და არც ზიანს მიაყენებს.

28. მეცნიერების დაკვირვებულმა თვალმა აღმოაჩინა მშობლის გრძნობის წიაღში სექსუალურობის სათავე. იმისგან თავისუფალი არც დედაა, ჩვილს ძუძუს რომ აჭმევს, არც მამა, მკვდარი ბავშვის გაცივებულ ხელს ტუჩებთან რომ მიიტანს.

ლოყაზე ხელის მოთათუნება, თავზე ხელის გადასმა, საბნის შემოკეცვა, თუნდაც საკუთარი შვილის საბედნიეროდ მიმართული ლოცვა-ვედრება, წყნარად აკვანში რომ სძინავს — სუყვილაფერი ეს ნორმალური ჯანსაღი ეროტიკული გრძნობის გამოვლინებაა, ხოლო ბავშვს რომ მიუგდებ მოსამსახურეს და კაფეში უდიდეს სიამოვნებას ნახულობს აბდაუბდა საუბრებით — მისი გათახსირებაა.

თახსირი, დაჩლუნგებული გრძნობიერებისთვის ეს შეგრძნებები მეტად სუსტია და უკვე მოუხელთებელი. დედამ აქ უნდა დაუკოცნოს ბავშვს ფეფუნები, ზურგი, მუცელი იმ გრძნობის განსაცდელად, რომელსაც ჯანსაღი დედა ღებულობს მსუბუქი შეხების მეშვეობით. უბრალო, პატიოსანი გრძნობიერება ცოტაა, ტკბობაა საჭირო.

გიკვირს და იქნებ არც გინდა დამიჯერო? თუ იქნებ მე ის ვთქვი, რისიც წინათგრძნობა თავად გქონდა, ეჭვობდი, თუმცა კი უარყოფდი განრისხებული?

რადგანაც არ იცი, გამრავლების ინსტინქტი და მისი სხვადასხვა გამოვლინებანი მერყეობს, ამაღლებული შემოქმედებითი წვა-დაგვიდან დანაშაულის ჯოჯოხეთამდე.

შენ ვალდებული ხარ გაითავისო ის გრძნობა, რომელსაც განიცდი ბალღის მიმართ და თვალყური ადევნო, რადგან ბავშვებს შენი გარყვნაც შეუძლიათ, თავისი აღმზრდელის და აღსაზრდელისაც.

ინტერნატის, სკოლის კედლებში დამალულია შავბნელი საიდუმლონი. ზოგჯერ კი წამი გამოაჩენს სისხლის სამართლის აყალმაყალის ელვა-ქუხილით. და ისევ ჩამოწვება წყვდიადი.

ზემოაღნიშნული მიმძლავრება ბავშვების სულებზე, თანამედროვე აღზრდით რომ არის შესაძლებელი, მონობა და იდუმალი უარარაო ძალაუფლება შეიცავს უსათუო განუკითხაობასა და დანაშაულს.

29. „აღმზრდელი — მოციქულია... ხალხის მომავალი... ბედნიერება მომავალი თაობებისა...“.

მერედა სადღაა აქ ჩემი საკუთარი ცხოვრება, ჩემი საკუთარი მომავალი, ჩემი, საკუთარი ბედნიერება, ჩემი საკუთარი გული?

მე ვარიგებ აზრებს, რჩევებს, გაფრთხილებებს, გრძნობებს, გულუხვად ვარიგებ. როდესაც მოდის სულ ახალი და ახალი ბავშვი, ახალი და ახალი მოთხოვნილებებით, თხოვნით ან შეკითხვით, გართმევს დროს, აზრს, გრძნობას, ზოგჯერ გულისტკივილით ხედავ, რომ შენ, ამ ბრბოს მზე, თავადაც ცივდები და იმით რომ უნათებ, თანდათან ილევა შენი სხივები.

ყველაფერი ბავშვებს, მე კი რაღა?

ბავშვები იძენენ ცოდნას, გამოცდილებას, მორალურ პრინციპებს; მდიდრდებიან — მე კი ვკარგავ. მერე კი როგორღა გამოვზოგო სულიერი ძალების მარაგი, რათა არ გამოვიფიტო?

ვთქვათ და აღმზრდელს არა აქვს სიყმაწვილე, თავისი საწყაულები, არ ჰყავს ოჯახი, მისი შემბოჭველი, გაჭირვება არ აწუხებს, არ გრძნობს ფიზიკურ სისუსტეს. თავს რომ შესწირავს აღმზრდელის წმინდა საქმეს, თავის გრძნობებზე უარი არ უნდა თქვას.

როგორ უნდა გადაურჩნენ ნგრევას?

სახლში რომ ბრუნდება, ეს მისი სახლი უნდა იყოს, და არ შეუძლია გულითადად მიესალმოს ყოველს, ნუთუ იმის უფლება აღარ აქვს, მხოლოდ ერთს გაუღიმოს? საღამოს დაღლილ-დაქანცული საძინებლიდან რომ გამოდის და არ შეუძლია ყოველს ნაზად გამოემშვიდობოს, ნუთუ არა აქვს უფლება ერთი ან ორი გამოარჩიოს: „დაიძინე, შვილო, დაიძინე, ჩემო ბიჭო“? ან, წვრილმანი დანაშაულისთვის რომ გაკიცხავს და მკაცრ სიტყვებს მოიშველიებს, მზერით მიაგოს პატიება?

თუკი თუნდაც შემცდარია და მოლად ღირსეულზე ვერ შეაჩერა არჩევანი, მერედა რა მოხდა? სასიამოვნო გრძნობას მასთან ურთიერთობის ხანს დაჩრდილავს ბევრი უსიამოვნო: რჩეულის ღიმილით გულგამთბარი აღმზრდელი ამასვე მიაგებს მრავალს.

შეიძლება არიან კიდევაც აღმზრდელები, რომელთათვის ბავშვი ვინც უნდა იყოს, სულერთია ან სძულთ, მაგრამ არ არიან ისეთები, ვისთვისაც სუყველანი ერთნაირად სანდომ-საამურნია.

30. ვთქვათ და აბსოლუტური თანასწორობაა. არ არიან არც „მოსახერხებელნი“ და არც „მოუხერხებელნი“, არც საყვარელნი და არც არასაყვარელნი. ყოველს ხომ ერთნაირად განსაზღვრული პურის ნაჭერი და თეფში სუპი აქვს, ძილიც და ღვიძილიც ერთნაირია იმათთვის, მკაცრი განაწესი და შეღავათები, სრულიად ერთნაირი სამოსლები, უფლებები, რეჟიმი, გრძნობები. ცხადი აბსურდულობის მიუხედავად, ვთქვათ და ასეც უნდა იყოს. პრივილეგიები, გამონაკლისები, განსხვავებანი გამორიცხულია — ყველაფერი ეს გააფუჭებს.

და მაშინაც კი აღმზრდელს აქვს უფლება შეცდეს, პასუხიც აგოს დაშვებული შეცდომების გამო.

სტანციიდან გამოგზავნილი პესტალოცის წერილები აღმზრდელი-პრაქტიკოსის უმშვენიერესი ნაწარმოებებია.

„... ჩემმა ერთმა ყველაზე უფრო მეტად რჩეულმა ბოროტად გამოიყენა ჩემი განუყოფელი სიყვარული და უსამართლოდ დაემუქრა მეორე ბავშვს; ალვშფოთდი და მკაცრად ვუსაყვედურე“.

ჰოი, საოცრებავ: დიდ პესტალოცის ჰყავდა თავისი რჩეულები. პესტალოცი განრისხდა!

შეცდა, მეტისმეტად მიენდო ან ზედმეტად შეაქო და უპირველეს ყოვლისა თავად დაისაჯა: მოტყუვდა!

ზოგჯერ გაოგნებული ხარ, რა მსწრაფლ, რა სასტიკად უხდება აღმზრდელს საზღაურის გაღება საკუთარი შეცდომების გამო. საგულდაგულოდ უნდა გამოასწოროს.

სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება უკვე აღარ ძალუძს.

31. ნუ ხმაურობთ!

ბავშვები მხოლოდ ნაწილობრივ განიტვირთებიან იმ ენერგიისგან, რომელიც დაგროვილი აქვთ ყელში. ფილტვებში, სულში; მხოლოდ ნაწილობრივ იმ ყვირილისგან, იმათ კუნთებში რომ ცოცხლობს. გამგონე ბავშვები შესაძლებლობის ზღვარზე იკავებენ ყვირილს.

„წყნარად!“ — აი კლასის დევიზი.

სადილობის დროს არ შეიძლება ხმაური.

საძინებელში ნუ იხმაურებთ!

ბავშვები გულის ამაჩუყებლად წყნარად ხმაურობენ, ცრემლი მოგადგება თვალზე, ისე ფრთხილად დარბიან, ვაითუ მაგიდას გავკრათო, ერთმანეთს გვერდს უვლიან, გზას უთმობენ, ოღონდ კი არ იჩხუბონ, ოღონდ რამე არ მოხდეს, თუ არადა ისევ გაიგონებენ ამ საძულველ: „აბა ხმაური არ იყოს“.

ეზოში ყვირილი არ შეიძლება, მეზობლები შეწუხდებიან. და იმათი ერთადერთი დანაშაული ეს არის — თითოეული მეტრი მიწა ქალაქში ძვირი ღირს.

„ტყეში ხომ არა ხართ“. ცინიკური შენიშვნაა, ბავშვების უხეში დაცინვაა, ბავშვი არ უნდა იყოს იქ, სადაც უნდა იყოს.

ნება მიეცით მდელოზე გაიშალონ — ველარავითარ ყვირილს ველარ გაიგონებთ, მხოლოდ ადამიანის ბარტყების ნაზ ჟღურტულს მოისმენთ.

ყველას თუ არა, ბავშვების დიდ ნაწილს უყვარს მოძრაობა და ხმაური. თავისუფლად რომ შეუძლიათ მოძრაობა და ყვირილი, ამაზეა დამოკიდებული მათი ფიზიკური და მორალური ჯანმრთელობა. და შენ იცი ეს და უნდა შეაჩერო.

— წყნარად იჯექი, ხმა არ ამოიღო.

32. სულ ყოველთვის უშვებ შეცდომას: ბავშვის სამართლიან ჟინიანობას ებრძვი:

— არ მინდა!

არ მინდა დაძინება, თუმცა უკვე დრო არის, მშვენიერი საღამოა, ზეცის კიდიდან უკვე ვარსკვლავები მიღიმიან. სკოლაში წასვლა არ მინდა, ღამე პირველმა თოვლმა დადო და ცხოვრება რა საამურია. არ მინდა ადგომა, ცივა, მოწყენილი ვარ. სჯობს არ ვისადილებ, რიკტაფელას დავასრულებ. ბოდიშს არ ვეტყვი მასწავლებელს, დაეუმსახურებლად დამსაჯა. გაკვეთილების სწავლა არ მინდა, რობინზონს ვკითხულობ. მოკლე შარვალს ვერ ჩავიცმევ, დამცინებენ.

არა, შენ იზამ ამას.

ზოგჯერ, გაბრაზებული იძლევი ბრძანებას, შინაგანად კი არა ხარ დარწმუნებული, რადგანაც თავად შენ გიბრძანეს და შესრულება კი არ შეგიძლია.

ესე იგი, ყურს არა მარტო მე მიგდებ, ვინც სანამ განკარგულებას ვასცემდეს, კარგად დაფიქრდება, არამედ იმ მრავალრიცხოვან უსახელოთაც, რომელთა კანონები უსამართლოა და სასტიკი.

იმათგან ისწავლე, პატივი უნდა სცე, გჯეროდეს!

— არ მინდა! — გაჰყვირის ბავშვის სული და შენ უნდა ჩაახშო, თანამედროვე ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრობს და არა ტყეში.

არა, შენ იზამ ამას.

კი იზამ, თუ არადა იქნება ქაოსი.

რაც უფრო შეუმჩნევლად გასტეხავ წინააღმდეგობას, მით უკეთესი, და რაც უფრო მსწრაფლ და საფუძვლიანად, მით უფრო უმტკივნეულოდ დამკვიდრდება დისციპლინა და წესრიგის მინიმუმი. თუკი ძალა არ შეგწევს და ვერ შეძლებ, ვაი შენი ბრალი.

ნორმალურად ცოტანილა განვითარდებიან, მხოლოდ გამორჩეული ბავშვები ამ არეულდარეულობისა და არაორგანიზებულობის პირობებში, ათეულებს კი ხელი მოეცარებათ.

33. არის შეცდომები, რომლებიც სულ ყოველთვის მოგივა, რადგანაც კაცი ხარ, ადამიანი, და არა მანქანა.

სევდამორეული, დაღლილ-დაქანცული, გულისტკივილით შენიშნავ ბავშვში იმ ხასიათის ნიშანს, რის გამოც ზრდასრული ხდება ცუდი და მავნე: ტყუილების გუდა, ცივი ანგარიში, ბილწი ამპარტავნობა, უხამსი ეშმაკობა, ცხოველური სიხარბე; იქნებ შენს საქციელს ვერც მიატანო ჭკუა?

ველარ ვვანგარიშობ. ვიღაც შემოდის წამდაუწუმ, თუმცა კაბინეტში შემოსვლა ბავშვებს ასე თუ ისე აკრძალული აქვთ. ბოლოს ერთი ბიჭუნა შემოვა, საჩუქრად თაიგულს მომართმევს; თაიგულს სარკმელში მოვისვრი, თავად კი ყურაწეული გარეთ გამყავს.

უგუნური და უხეში საქციელის მაგალითები რატომღა უნდა ვამრავლოთ?

მაგრამ მიმტევებელია ბავშვი. გაბრაზდება, ეწყინება, იფიქრებს და ძალიან ხშირად გულუბრყვილოდ აიღებს დანაშაულს თავის თავზე. ყველაზე უფრო მგრძნობიარე ბავშვები შენთან შეხვედრას მოერიდე-

ბიან, როდესაც განრისხებული ან დაკავებული ხარ. მაგრამ ისინიც მოგიტევებენ, თუკი იციან, სიკეთე გინდათ მათთვის საბოლოოდ.

ეს არ არის გამოვლინება რაღაც ზებუნებრივი ინტუიციისა, როდესაც ბავშვმა იცის, ის უყვართ, არამედ სიფრთხილე კაცისა, ვინც მოცალეა შეგისწავლოს, რადგანაც მისი კეთილდღეობა შენს ხელშია. ასე, მონა-ჩინოსანი მანამ უთვალთვალებს და გაწვალებული ფიქრობს თავის უფროსზე, სანამ არ შეისწავლის ყოველ იმის თვისებას, გემოვნებას, გუნება-განწყობილებას ტუჩების მოძრაობის, მიხრა-მოხრის, მზერის მიხედვით, და სანამ გაიგებს როდის უნდა აიღოს შვებულება ან მოითხოვოს ხელფასის მომატება, ხანდახან მთელი რამდენიმე კვირა მოთმინებით ელოდება შესაფერის წუთს. მიეცით მათ დამოუკიდებლობა და დაკარგავენ ამ დაკვირვებულობას.

ბავშვი გაპატიებს უტაქტობასაც და უსამართლობასაც, მაგრამ ვერ შეეგუება პედანტ-აღმზრდელს ან გულგამეხებულ დესპოტს. და ყოველ სიყალბეს ზიზღით მოიცილებს ან აიგდებს სასაცილოდ.

34. აღმზრდელს უსათუოდ მოუვა შეცდომები, რომლების სათავეა ბიწიერება გაცვეთილი გამოთქმებისა და საყოველთაოდ გავრცელებული ქმედებებისა ბავშვების მიმართ, როგორც ჩვეულებრივი მდაბალი არსებებისადმი, რომლებიც სასაცილონია თავიანთი გულუბრყვილობით და არც მოეთხოვებათ რამე პასუხი.

თუკი იმათ საზრუნავს, კითხვებს, სურვილებს ზიზღით, ხუმრობით ან მფარველობით მოეკიდები, ამით სულ ყოველთვის ვიღაცას დიდად ატკენთ გულს.

ბავშვს აქვს უფლება პატივს სცემდნენ იმის სადარდებელს, თუნდაც რომ კენჭი დაკარგოს, სურვილს, თუნდაც ყინვაში უპალტოოდ გასვლა მოინდომოს, თუნდაც პასუხი გაეცეს იმის რაღაც უაზრო შეკითხვას. შენ გულგრილი სარ იმის დანაკარგისადმი, რამეს მოგთხოვს, მოკლედ მოუჭრი: „არ შეიძლება“ ან ამ ორი სიტყვით, „შე სულელო“, გინდა ეჭვი გაუფანტო.

თუ იცი, რატომ უნდოდა ბიჭუნას ცხელ ამინდში მოსასხამით ევლო? მუხლებზე საძაგლად დაკერებული წინდები ეცვა, ბაღში კი მისი შეყვარებული გოგონა უნდა მოსულიყო.

შენ დრო არ გაქვს, არ შეგიძლია სულ ყოველთვის თვალყური ადევნო, თავი იმტვრიო, ეძებო იმისი უაზრო სვრვილების ფარული მოტივები, ჩახვდე, შეისწავლო ბავშური ლოგიკის საიდუმლო, ფანტაზიები, სიმართლე, გაითვალისწინო ბავშვის ლტოლვანი და გემოვნებანი.

შეცდომები მოგივა ხოლმე, არ ცდება ის, ვინც არაფერს აკეთებს.

35. ფიცხი ვარ. ოლიმპიური სიმშვიდე და სულის ფილოსოფიური, წონასწორობა არაა ჩემი ხვედრი. ცუდი ამბავია. რას იზამ, სხვანაირად მე არ შემიძლია.

როდესაც მე ვითარცა ვილაც მეურვეს გამიწყრება ცხოვრება-დიასახლისი, ვბრაზდები, რომ მონა-ბავშვმა არ იცის, რა ვაი-ვაგლახით ვშოულობ იმისთვის ერთი რგოლით უფრო გრძელ ჯაჭვს, ერთი გრამით უფრო მსუბუქს. წინააღმდეგობას ვხედავ იქ, სადაც არ შემიძლია დავუთმო, მე ამას ვამბობ, როგორც მოხელე: „შენ უნდა", და როგორც ბუნებისმეტყველი: „ვერ შეძლებ". ხან მე — ~~ძლიერი~~ შუშა — ვბრაზდები, რომ საქონელი მიდის მინდორზე, სადაც მხამიანი ბალახია, ხან მე — ადამიანს — მიხარია, რომ ბავშვები ცოცხლობენ. ხან ციხის მცველი ვარ — განაწესს თვალყურს ვადევნებ — ხან კი ტოლი ვარ ტოლებში, მონა ამხანაგ მონებს შორის, ჯანყი უნდა მოვაწყო დესპოტი კანონების წინააღმდეგ.

შუბლით პრობლემას რომ შევასკდები და უძლური ვარ, როდესაც მესმის მოვლენების აბობოქრების შესახებ და არ შემიძლია მათი თავიდან აცილება, მე — თავად შიშიანობა, თავად წინასწარმეტყველება, — იმათ რომ ვხედავ, უზაკეველთ და უდარდელთ, ვგრძნობ მძვინვარე სევდასა და უკიდეგანო სინაზეს.

ბავშვებში რომ ვამჩნევ ნაპერწკალს ღვთისგან მოტაცებული ცეცხლის, — ნათებას დაუმორჩილებელი ფიქრისას, სიამაყის მრისხანებას, ენთუზიაზმის აფეთქებას, შემოდგომის ნაღველს, თავმოუდრეკელ ღირებულებას, ენერგიულ, მხიარულ, თავდაჯერებულ, აქტიურ ძიებას მიზეზებისა და მიზნების, ცდების სიმტკიცეს, სინდისის ომახიან ხმას — მუხლს ვიყრი მოწიწებით, კი ვარ მათზე უარესი, უილაჯო და მშიშარა.

თქვენთვის მე რა ვარ, მხოლოდ ტვირთი, თავისუფლად ფრენას არ განებებთ, აბლაბუდა თქვენს ნათელ ფრთებზე, მაკრატელი, რომლის სისხლიანი მოვალეობაა დაგაჭრათ აყვავილებული ყლორტები?

თქვენს გზაზე ვარ გახირული და თავგზაარეული ერთ ადგილს ვტკეპნი, ბუზღუნით აღარ გეშვებით, ვმალავ, გულწრფელობას მოკლებული გიმტკიცებთ — ფერდაკარგული და სასაცილო.

36. კარგი აღმზრდელი ცუდისგან მხოლოდ ამით განსხვავდება, რა რაოდენობის შეცდომას უშვებს და რამდენად საზიანოა ბავშვებისთვის.

არის შეცდომები, რომლებიც კარგ აღმზრდელს მხოლოდ ერთხელ მოსდის და კრიტიკულად რომ შეაფასებს, აღარ გაიმეორებს, დიდხანს ახსოვს თავისი შეცდომა. თუკი დაღლილ-დაქანცული აღმზრდელი უტაქტოდ ან უსამართლოდ მოიქცევა, ძალას არ დაიშურებს, მექანიკური გახადოს წვრილმანი თავმომაბეზრებელი მოვალეობანი, რადგანაც ხომ იცის, დრო ცოტა აქვს და ამიტომაც რაღაც-რაღაცები ეშლება. ცუდი აღმზრდელი ბავშვებს აბრალებს თავის შეცდომებს.

კარგმა აღმზრდელმა იცის, თუნდაც წვრილმან ეპიზოდზე ჩაფიქრება მართებს, იმის უკან იქნებ მთელი პრობლემაა. არაფერი არ უნდა დატოვოს უგულისყუროდ.

კარგმა აღმზრდელმა იცის, რასაც შვრება, ამის მიზეზია მოზეიმე ხელისუფალნი, გაბატონებული ეკლესია და ძალამოსილება ტრადიციებისა, მიღებული წეს-ჩვეულებები, არსებული პირობები რკინის დიქტატის მარწუხებშია მოქცეული და მან იცის, ხსენებული დიქტატი ბავშვებისთვის სიკეთის მომტანია იმდენად, რამდენადაც უნდა მისცეს ქედის მოხრას, მორჩილებას, გაითვალისწინონ და ისწავლონ კომპრომისები სამომავლოდ.

ცუდი აღმზრდელის ვარაუდით, ბავშვებმა მართლაცდა არ უნდა იხმაურონ, კაბა არ უნდა დასვარონ, კეთილსინდისიერად დაიზუთხონ გრამატიკული წესები.

ჭკვიანი აღმზრდელი არ იბღვირება, როდესაც არ ესმის ბავშვებისა, არამედ ფიქრობს, ეძებს, ეკითხება თავად მათ. და ისინი ასწავლიან, მეტად მგრძნობიარედ არ უნდა შეეხონ — ოღონდ კი იყოს სწავლის სურვილი!

37. „მე დასჯა არ ვიცი", — ამბობს აღმზრდელი, ხან კი თვითონაც არ ესმის ისე სჯის ხოლმე და საკმაოდ მკაცრადაც.

შავბნელი საკანი არ არის, მაგრამ ხდება იზოლირება და თავისუფლების წართმევა. კუთხეში დააყენებს, ცალკე მაგიდასთან დასვამს, სახლში წასვლას არ დაანებებს, წაართმევს ბურთს, მაგნიტს, ნახატს, ოდეკოლონის ბოთლს, — ესე იგი, საკუთრების კონფისკაცია. დიდთან ერთად დაძინებას დაუშლის, საზეიმოდ ახალი კაბის ჩაცმას უკრძალავს, ესე იგი, ტოვებს შელავათებისა და განსაკუთრებული უფლებების გარეშე: დაბოლოს, სასჯელია, აბა რაღაა, როდესაც აღმზრდელი არაკეთილგანწყობილია, უკმაყოფილოა, გულციცია?

შენ სასჯელს მიმართავ, ოღონდ შეარბილე ან ფორმა შეუცვალე. ბავშვებს ეშინიათ, სულ ერთია, სასჯელი გინდ დიდი იყოს, გინდ პატარა ან თუნდაც მხოლოდ სიმბოლური. გესმის, ბავშვებს ეშინიათ, — ესე იგი, სასჯელი არსებობს.

შეიძლება გაიროზგოს ბავშვის თავმოყვარეობა და გრძნობები, ისევე, როგორც ადრე იროზგებოდა სხეული.

38. დასჯა არ არის, მხოლოდ ვუხსნი, რომ ცუდად მოიქცა. შენ კი როგორლა ახსნი ამას?

ეტყვი, რომ, თუ არ გამოსწორდები, იძულებული ვიქნები გაგრიცხოო? გულუბრყვილოვ! სიკვდილით ემუქრები! და არ გარიცხავ: ის, ვინც გასულ წელს გარიცხეს, ავად იყო, არანორმალური იყო, ეს კი ჯანმრთელი, სიმპათიური, მოუსვენარია, ამისგან კი დადგება კაცი; მხოლოდ იმის შეშინებაღა გინდა. ძიძაც ხომ ბავშვს გუდიან კაცს არ მისცემს და მგლების შესაჭმელად ტყეში არ წაიყვანს, იმუქრება მხოლოდ.

გასაუბრებაზე მეურვეებს უხმობ — კიდევ უფრო შემზარავი მუქარაა.

ემუქრები, დერეფანში დაგაძინებო, კიბეზე შეგაჭმევო საჭმელს, სანერწყვულს დაგკიდებთო — სულ ყოველთვისაა მუქარის საგანი საფეხურით უფრო მაღლა მდგომი, ვისი სახელიც პირზე აკერიათ.

ზოგჯერ მუქარა გაუგებარი და გაურკვეველია:

„იცოდე მეტს აღარ გეტყვი?! — ნახავ, რაც მოგივა! — იცოდე, ამას გამომრჩები, — მეტს აღარ გაგიმეორებ, რაც გინდა ის გააკეთე, — ახლა კი აღარ მოგეშვები!“ სხვადასხვანაირი ეს გამოთქმები გვიჩვენებს, კარგადაა გავრცელებული. ამასლა დავსძენ, ბოროტად იყენებენ.

ბავშვს ზოგჯერ სრულად სჯერა, სულ ყოველთვის კი სანახევროდ.

„ახლა კი რა მომივა ნეტავი?“

მართალია, აღმზრდელს ჯერ არ დაუსჯია და თუ დასჯის, როდის და როგორ? გაურკვეველობის, მოულოდნელობის შიშიანობა. თუკი დასაჯე, უკვე მოპოვებული აქვს სულიერი სიმშვიდე, ხოლო თუ დაემუქრე და მეტი არაფერი, მეორე დილას გამოღვიძებული მზადაა შეგიძულოს, რადგანაც ასე აწვალებ.

სრულიად მორჩილნი შეიძლება გყავდეს ბალღები გაუთავებელი მუქარით და თავისადმი თუ კრიტიკულად არ ხარ განწყობილი, ასე იფიქრებ, ზემოქმედების რა მსუბუქი ზომაა; სინამდვილეში კი შეუსრულებელი მუქარა დიდი სასჯელია.

39. ზერელე დაკვირვებაზე დაფუძნებული რწმენის მიხედვით, ბავშვები მალე ივიწყებენ სევდას, წყენასა და გადაწყვეტილებას. სულ ახლახან ტიროდა — და იცინის. ჩხუბი მოუვიდათ და ახლა უკვე ერთად თამაშობენ. გამოვსწორდებიო, თქვა ერთი საათის წინ და კვლავ აკლებული აქვს ყველაფერი.

არა, ბავშვებს დიდხანს ახსოვთ წყენა, გაგახსენებენ კიდევაც ერთი წლის წინანდელ შეურაცხყოფას. ხოლო თუ ვერ ასრულებს იძულებით წარმოთქმულ დაპირებას, არ შეუძლია და იმიტომ.

საყოველთაო მხიარულება ბალღს გადაედება, დარბის და თამაშობს, მაგრამ დაწყნარდება და ისევ დაუბრუნდება თავის უმხიარულო ფიქრებს — წიგნის კითხვის დროს ან საღამოს დაძინებამდე. ხანდახან ამჩნევ, ბავშვი გაგირბის, აღარ მოდის, შეკითხვებს აღარ გისვამს, გვერდით ჩაგივლის, აღარ გაგიღიმებს, შენთან ოთახში აღარ შემოდის.

— მე კი მეგონა, ისევ მიბრაზდებოდით, — ასე გეტყვით, თუკი შეეკითხებით.

ჰოდა, ძლივსღა გახსენდება, რომ ერთი კვირის წინ რაღაც შენიშვნა მიეცი, ხმას აუწიე და იმ თავმოყვარე თუ მგრძნობიარე ბალღმა მრავალი უსიამოვნო წუთი განიცადა, შენ კი ვერც ვერაფერი შეამჩნიე.

ბავშვს ახსოვს.

ღრმად დამწუხრებული ქვრივი ქალი, თავშესაქცევი საუბრის დროს რომ აღარაფერი გაახსენდება, ხმამაღლა გაიცინებს და იმ წუთასვე შესძახებს: „ოჰ, მე ვიცინი, ჩემი საწყალი ქმარი კი...“ მან იცის: ასე უნდა. შენ მალე შეასწავლი ბავშვს ამ ხელოვნებას, დატუქსავ, რა გიხარია, დაღვრემილი და გატანჯული უნდა იყოო და ისიც გაგიგონებს. მრავალგზის მინახავს, თამაშით კარგად გართულ ბიჭს სევდა დაეტყო-

ბა სახეზე ჩემს მრისხანე მზერას რომ წააწყდება: „ოჰ, მართლაც, რა მიხარია, როდესაც მიწყრებიან“.

გახსოვდეს, არიან ბავშვები, რომლებიც მხოლოდ თავს იკატუნებენ, ჩვენთვის სულ ერთიაო, დაე აღმზრდელმა არ იფიქროს, რომ გვეშინია, ვიტანჯებით, ველარ ვივიწყებთ. ხოლო თუ სასჯელის მიზანია — ჭკუა ისწავლონ, მაშინ ეს უკვე იმათი ღირსების საქმე ხდება. და ესენი ის ბავშვებია, რომლებიც, შეიძლება ვთქვათ, ცხოვლად აღიქვამენ და დიდხანს ახსოვთ.

40. დასჯა არ არის — საყვედური მხოლოდ, მითითებანი — სიტყვები. მაგრამ თუ ამ სიტყვებში იმალება სურვილი შერცხვენისა?

„აბა ერთი ნახე, რას ჰგავს შენი რვეული! ერთი ამას შეხედე! ყოჩაღ შენ! აბა რას შვრები!“

ხოლო მაყურებელი-ამხანაგები ვალდებულნი არიან ირონიულად გაიღიმონ, გამოხატონ გაკვირვება და გულისწყრომა. ყველანი არ აკეთებენ ამას — რაც უფრო წესიერი ბავშვებია, მით უფრო თავშეკავებულნი არიან, ერიდებიან ურყოფის გამომჟღავნებას.

არის კიდევ სხვანაირი სასჯელი: არავითარი ყურადღება, დამამცირებელი შეგუება არსებული მდგომარეობისადმი.

— ჯერ კიდევ არ დაგიმთავრებია ჭამა? ისევ დაგავიწყდა?

შეხედავ საყვედურით, სასოწარკვეთილი ამოიოხრებ, ნუგეშმიხდილი ხელს ჩაიქნევ.

თავისი დანაშაულის შემგრძნობელი წესრიგის დამრღვევი თავს ჩაღუნავს, ზოგჯერ კი აბობოქრებული, აჯანყებული და სიძულვილით სავსე წარბშენასკული შესცქერის მთელ ამ ადევნებულ ხროვას, რათა დრო იხელთოს და სამაგიერო მიუზღოს.

— ეს მომეცი, ის მომეცი, — სხვებზე ხშირად იმეორებდა ერთი ბიჭი.

საკმაოდ მკაცრად გავკიცხე ამ საძაგელი ჩვეულების გამო. ერთი წლის მერე, როდესაც მეტსახელებს ვიწერდი, ჩემი უტაქტო საქციელის ექოს გადავაწყდი — ამ ბიჭისთვის თავმოყვარეობა შეულახავთ და ასე შეურქმევიათ: „ეს-მომეცი-ის-მომეცი“.

დაცინვა დიდი და ფრიად შემაწუხარი სასჯელია.

41. გრძნობებს შევახსენებ.

— აი თურმე როგორ გიყვარვარ? როგორ ასრულებ შენს პირობას?

ნაზად სთხოვ, გულითადად საყვედურობ, კოცნი სასურველი გამოსწორების გირაოდ, დაბოლოს, კიდევ ერთ დაპირებას ღებულობ.

ბალღი შეჭირვებულია: მადლობელია, სიკეთე გინდა მისთვის, ასე დიდსულოვნად მიუტევე და ის კი უიალაჯოა, მეტწილად გამოსწორების არ სჯერა, კიდევ გაძლევს პირობას, კიდევ ერთხელ სასტიკად უნდა

შეეჭიდოს თავის სიფიცხეს, სიზარმაცეს, გონებაგაფანტულობას — საკუთარ თავს.

— და რა იქნება, თუ კვლავ დამავიწყდება, დავარტყამ, უსვამად შევეპასუხები, დავკარგავ?

ზოგჯერ კოცნა უფრო სამძიმოა, ვიდრე როზგები.

შენც ხომ შეგიმჩნევია, ბავშვი პირობას მოგცემს, გამოვსწორდებიო და ისევ რაღაცას დააშავებს, მერე კი ფრთხილად იყავი, პირველ ხელმოცარვას მოჰყვება მეორე, მესამე?

მარცხი მტკივნეულია, აღმზრდელიც ნაწყენია, რადგანაც ასე ცბიერად დაპირება გამოსტყუე, უთანასწორო ბრძოლა მოახვიე თავს. და მესამეჯერაც რომ შეახსენებ სინდისსა და გრძნობების სიწმინდეს, ცივად გკრავს ხელს.

მძვინვარებას უფრო მეტი მძვინვარებით პასუხობ, ყვირილით, ლანძღვა-გინებით. ბავშვი ყურს არ გიგდებს, ამასღა გრძნობს, გულიდან ამოიგდე, მისადმი აღარ ხარ კეთილგანწყობილი. უცხოა, მარტოსული — ირგვლივ სიცარიელეა. შენ კი გააფთრებული თავს დაატეხავ, რაც კი სასჯელია, მუქარა, საყვედური, დაცინვა და კიდევ უფრო მეტად მკაცრ ზომებს მიმართავ.

ყურადღება მიაქციე, რა თანაგრძნობით შეჰყურებენ ამხანაგები, როგორ ნაზად ცდილობენ იმის დამშვიდებას.

— კი ამბობს ასე, მაგრამ ნუ გეშინია, არა უშავს, ნუ დარდობ, დაავიწყდება.

ფრთხილად ეუბნებიან, შეიძლება აღმზრდელისგან მიიღონ საკადრისი პასუხი და არც აჯანყებულმა მსხვერპლმა დააკლოს ხელი.

სულ ყოველთვის, „დიდ აყალმაყალს“ რომ ავტეხავ, უსიამოვნო გრძნობას თან ნათელიც დაერთვის. კი ვიყავი უსამართლო ამ ერთის მიმართ, მაგრამ სამაგიეროდ სხვებს დავანახვე დიდი სიკეთე — უბედურის თანადგომა. პატარა მონებმა იცან, რა არის ტკივილი.

42. ზოგჯერ ბავშვს რომ დატუქსავ, იმისი თვალები გამცნობს ათასობით აბობოქრებულ ფიქრს.

„ხომ არ გგონია დამავიწყდა! კარგად მახსოვს“

მონანიებას უხეიროდ რომ გამოხატავს, ბავშვის ბოროტი მზერა გეუბნება:

„რა ჩემი ბრალა, შენ რომ ასეთი კარგი მეხსიერება გაქვს“.

მე: — ბევრი მოგითმინე. კი მქონდა შენი გამოსწორების იმედი.

ის: „მერედა რატომ გქონდათ“.

მე: — მეგონა, ბოლოს და ბოლოს ისწავლიდი ჭკუას. შევცდი.

ის: „ჭკუაგახსნილებს შეცდომა არ მოსდით“.

მე: — ბევრჯერ მიპატიებია და ხომ არ გგონია, რომ ყველაფერი შეიძლება?

ის: „სულაც არ ვფიქრობ ასე. და როდის მორჩება ნეტავი ეს საყვედურები?“

მე: — არა, შენი გაძლება მე არ შემიძლია.

ის: „ჰო, ჰო, დღეს რა ხასიათზე ხარ და რას არ იტყვი...“.

ზოგჯერ ბავშვს დატუქსავ და გასაოცარ სტოიციზმს გამოამჟღავნებს.

— რამდენჯერ გითხარი, ლოგინზე ნუ დახტიხარ-ძეთქი! — ფეიალებიდან ცეცხლს ვყრი. — ლოგინი სათამაშო ადგილი არ არის. თუ თამაში გინდა, ბურთი ითამაშე, კროსვორდები შეავსე...

— „კროსვორდები“ კი რაღაა? — ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ცდილობს ბავშვი.

პასუხის მაგივრად ხელზე დავკარი...

მეორედ, ცხარე საუბრის მერე მკითხეს:

— გვითხარით, თუ შეიძლება, ვინმე რომ ბრაზდება, რატომ წითლდება სულ ერთთავად?

ამ დროს ხმამაღლა და ჭკუა-გონება დაძაბული ვცდილობდი იმის სასიკეთოდ მობრუნებას, ის კი, თურმე, ფერების თამაშს აკვირდებოდა ჩემს სახეზე! ვაკოცე — რა კარგი იყო.

43. ბავშვებს სწორედ სძულთ, დაუფიქრებლად რომ დაადანაშაულებენ ხოლმე.

„თქვენთან კარგად მოქცევა არ შეიძლება... ისევ... თუკი არ გამოსწორდები...“

რატომაა, ერთის ან რამდენმეს დანაშაულზე ყველამ უნდა აგოს პასუხი?

თუკი გაწყრები და ამის საბაბი იყო პატარა ცინიკოსი, კმაყოფილი დარჩება: მრისხანების სრული წილის მაგივრად მხოლოდ ნაწილი მიიღო. წესიერი კი თავზარდაცემული იქნება, რამდენი ალალმართალი ემსხვერპლა იმის დანაშაულს.

ზოგჯერ ქარიშხალი ბავშვების გარკვეულ ჯგუფს დაატყდება თავს: „მთლად წყალწაღებული ბიჭები“ — ან პირიქით: „რა გაფუჭებული გოგოებია“, ყველაზე უფრო ხშირად: „უფროსები კი იმის მაგივრად, რომ სამაგალითონი იყვნენ... თუ ხედავთ, პატარები როგორ სჯობნიან“.

ამ დროს არა მარტო უდანაშაულოთა სამართლიან მრისხანებას ვიშსახურებთ, ისინიც შეჩქვიფდებიან, ვისაც ვაქებ, ამათ იციან, თავად ცოდვილნი არიან და ახსოვთ, ბევრჯერ დაუსვამთ განსასჯელის სკამზე. ოაბოლოს, ბოღმიანი ზეიმის საშუალებას ვაძლევთ პატარა ქილიკოსებს: „ჰო... თუ ხედავთ... ესეც ასეთია...“.

ერთხელ მოვინდომე განსაკუთრებული ზარ-ზეიმით რაღაც ღონე მეხმარა გაუხსნელი ქურდობის ფაქტზე. ბიჭების საძინებელში შევედი, იძინებდნენ უკვე, და ლოგინის კიდეს ხელს თანაბრად რომ ვურტყამდი, ასე ამოვთქვი ხმამაღლა:

— ისევ ქურდობა! დროა ამას ბოლო მოეღოს. როგორ, ამდენი ფრომა და გარჯა ქურდების გამოსაზრდელად...

ასეთივე გრძელი სიტყვა ვთქვი გოგონების საძინებელში.

მეორე დღეს ბიჭებსა და გოგონებს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენც გიყვიროდათ?

— აბა რა, გვიყვიროდა.

— სუყველას გაგყრითო, თქვა?

— თქვა.

— ლოგინის კიდეს მუშტს ურტყამდა?

— მერედა როგორ, მთელი ძალით.

— და ვის ლოგინზე ურტყამდა? ჩვენთან მანუსას ლოგინზე.

სულ ყოველთვის, დაუფიქრებელი ბრალდებით თავზე რომ დავძახოდი, ყველაზე უფრო გულს ვუკლავდი პატიოსნებს, სუყველას ვაღიზიანებდი და კრიტიკულად განწყობილთა თვალში სასაცილო ვხდებოდი: „არა უშავს, ცოტათი თუ გაბრაზდება — მოუხდება სწორედ“.

44. განა აღმზრდელმა არ იცის, სასჯელთა დიდი ნაწილი არ არის სამართლიანი.

ჩხუბია.

— პირველმა იმან დამარტყა.

— დამცინოდა... წაიღო და აღარ დააბრუნა!

— მე ისე, ვეხუმრებოდი (ხელი შევუშალე, დავუსვარე)...

— მე კი არა, იმან მკრა ხელი.

შენ კი ორივენი დასაჯე (რატომ?) ან უფროსი, რომელმაც უმცროსს უნდა დაუთმოს (რატომ?), ან ის, რომელმაც სულ შემთხვევით უფრო ძლიერ დაჰკრა, ჯანმრთელობისთვის უფრო საზიანოდ. დასაჯე, ამიტომ, ჩხუბი არ შეიძლება. ჩივილი კი შეიძლება?

ბავშვმა დაღვარა, გატეხა.

— არ მინდოდა.

შენივე სიტყვებს იმეორებს, შენ ხომ ეუბნებოდი, უნდა აპატიო, თუ შემთხვევით მიუვა.

— მე არ ვიცოდი... მეგონა შეიძლებოდა.

დააგვიანდა იმიტომ, რომ... კი შეუძლია ამის გაკეთება, მაგრამ... სწორად ხსნის, შენ კი ფიქრობ, თავი უნდა დაიძვრინოსო.

ორმაგი უსამართლობაა: შენ არ გჯერა, თუმცა სიმართლე თქვა, ამავე დროს უსამართლოდაც უნდა დასაჯო.

ზოგჯერ პირობითი აკრძალვა კატეგორიული ხდება. აკრძალვა აღარ არის სულაც.

საძინებელში არ შეიძლება ხმაური, ნახევარი ხმით ლაპარაკიც კი. თუ მხიარულ გუნებაზე ხარ, რაღაც უბრალო რამეზე შენც გაიცინებ, სოლო დაღლილ-დაქანცული საძინებლებისთვის ასეთ ჩვეულ საუბრებს შეაწყვეტინებ, თუნდაც მხოლოდ მკაცრად შენიშნავ.

„ლაპარაკი... ხმა-კრინტი... ერთი სიტყვაც რომ გავიგონო...“

კანცელარიაში ბავშვებს შემოსვლა აკრძალული აქვთ, მაინც შემოდიან. სწორედ დღეს კი ყოველთვიური ანგარიში გაქვს ჩასაბარებელი და სიწყნარე გინდა. ბიჭუნამ არ იცოდა, შემოვიდა და მოსვდა კიდევაც. ყურითაც რომ არ გაგეყვანა და მხოლოდ ასე გეთქვა: „რას შემოდიხარ? გასწი აქედან?" — შენი მრისხანება დაუმსახურებელი სასჯელია.

ბიბლიოთეკა

45. ბურთის თამაშის დროს მიწა ჩალეწა, აპატიე, მინებს იშვიათად ამტვრევენ, არ იცი ვინ იყო, დასჯა არ გიყვარს.

მაგრამ როდესაც უკვე მეოთხედ გატეხავენ, ქრონიკული შფოთისთავია ამის ჩამდენი, ამასთან ერთად ცუდი ნიშანიც აქვს სკოლაში მიღებული, სასჯელს ალარ დააყოვნებ — უყვირი, ემუქრები, ჯავრობ.

— არ მინდოდა, — გაბედულად გეუბნება, შენი აზრით კი, თავხედურად.

... მეოთხე ფანჯარა... შენ ვინ ხარ... რა ნიშნები გაქვს... ზარმაცი... უზრდელი... ალმზრდელი, დამიჯერე, ხელებზე დაჰკრავ. ბავშვი კი ხომ ვერ გაიგებს, და არც უნდა იმას შეურიგდეს, რომ სამაგალითოდ დასაჯე, რადგანაც ნაკლებად მგრძნობიარეა და ეფექტური სასჯელისთვის სრულიად შესაფერისი ობიექტია; ისიც სათქმელია, მხოლოდ ერთი დანაშაულისთვის არ დაგისჯია, არამედ მთლიანად, რაც ჩაუდენია.

მან იცის, რომ ა, ბ, გ ბავშვებს შენ აპატიე, ის კი უსამართლოდ დასაჯე...

ვთქვათ და სხვანაირად მოიქცევი: სუყველას ბურთი წაართვი.

ესეც არ არის სამართალი: სასჯელი ათეულს უსამართლოდ დაატყდა თავს.

უფრო რბილად: აფრთხილებ, თუ კიდევ გატეხავენ მინას, ბურთს წაართმევ, ესე იგი, უსამართლოდ უნდა დასაჯო — ემუქრები — სუყველა ბავშვს, თუმცა დამნაშავე მხოლოდ ოთხია.

ამ ოთხიდანაც სუყველა არ არის დამნაშავე, რადგანაც მინა ერთმა გატეხა, უკვე გაბზარული იყო, მეორეს კი მთლად არ დაუმტვრევია, კიდე მოატეხა, მესამემ კი მართლაც გატეხა, მაგრამ ხელი ჰკრეს, და დამნაშავეა მხოლოდ ის მეოთხე, რომელიც ვერ ისვენებს, და ალმზრდელი იმაზე გაჯავრებულია.

46. სიტყვის უთქმელად აპატიე, შენი ვარაუდით, სწორად მოიქეცი? ცდები.

„აბა მიდი და სცადე ამის გაკეთება", — ფიქრობს ერთი.

„იმისთვის სუყველაფერი შეიძლება, — ფიქრობს მეორე, — ალმზრდელს ის უყვარს.

კიდევ უსამართლობა.

არიან ბავშვები, რომლებისთვის კოპების შეკვრა, მკვეთრი შენიშვნა ან რბილად თქმა: „მეწყინა ეს შენგან" — საკმარისი სასჯელია. მაგრამ თუ შენ გინდა ამ ბავშვს აპატიო, სხვები უნდა მიხვდნენ, რა-

ტომ შვრები ამას და თავად იმანაც უნდა გაიგოს, დანარჩენებზე უფრო მეტად არც იმას მიეტევება. თუ არადა გაათამამებ, თავს გაუვა და უფლებაშელახულ ბრბოს მისცემთ საჯიჯგნად. შეცდომაც მოვდის, და ისიც და სხვა ბავშვებიც შენ დაგსჯიან.

მოდი და ერთი წუთით დაივიწყე ის ოთხი დამტვრეული მინა, უფრო სწორად, ორი, რადგან ერთს უკვე ბზარი ჰქონდა, მეორეს კი მხოლოდ კიდე მომტვრეული. დაივიწყე და ერთი შეხედე რამდენი ბავშვი ჯგუფ-ჯგუფად მოგროვილა ამ უბედური შემთხვევის განსასჯელად. იმათგან ზოგი შენკენაა და ზოგი შენ წინააღმდეგ.

„მემარჯვენეების" მტკიცებით, მინა ძვირი ღირს და აღმზრდელს უსიამოვნება შეხვდება სამმართველოში — ჰე, რა გულკეთილია, ბავშვები კი არ უგონებენ. სულ უწესრიგობაა იმასთან, უფრო მკაცრი უნდა იყოს.

„მემარცხენეები" (ბურთის თამაშის მომხრენი):

— ბურთის თამაში აღარ შეიძლება, ყველაფერს გიშლიან. სულ უბრალო რამეზე ყვირილ-წივილი, გეუბნებიან, გეჩხუბებიან. მთელი დღეები თოჯინასავით ხომ არ იქნები.

და მხოლოდ „ცენტრი" მოეკიდება ნდობითა და მოთმინებით.

არ გინდა შემწყნარებლური ღიმილი — ეს არც ხუმრობაა და არც წვრილმანი, სწორედ ეს არის ყაზარმული ცხოვრება.

ესე იგი, ერთხელ და საბოლოოდ, პრინციპულად და სუყველა შემთხვევაში სასჯელს ნულარ მივმართავთ, სრული თავისუფლება მივანიჭოთ ბავშვებს? მაგრამ თუ ერთი თავგასული ბავშვი მასის უფლებებს ზღუდავს? ხოლო თუ ერთი თავნება ბავშვი არც თავად სწავლობს და არც სხვებს ანებებს, თავის ლოგინსაც არ აალაგებს და სხვასაც აურდაურევს, თავის პალტოს სადღაც მიაგდებს, და კიდევ უფრო უარესი სხვისას აიღებს — მაშინ რაღა, უნდა ვქნათ?

47. „საჩივრით რომ მოდიხარ, არ არის კარგი, საჩივრებს ვერ დაგანებებ".

მაშინ კი რაღა უნდა ქნას ბავშვმა, თუკი გაქურდეს, შეურაცხყვეს იმისი მამა თუ დედა, რა არ თქვეს იმის ამხანაგზე, თუკი ემუქრებიან, ჩათრევა უნდათ ცუდ საქმეში?

ჩივილი არ არის კარგი. ეს წესი კი ვინ დაადგინა? ბავშვებმა ის ცუდი აღმზრდელისგან გადაიღეს, თუ აღმზრდელებმა ცუდი ბავშვებისგან? რადგანაც ეს მოსახერხებელია მხოლოდ ცუდებისთვის და ყველაზე უფრო ცუდებისთვის.

წყნარსა და უსუსურებს წყენას, ექსპლუატირებას არ დააკლებენ, სულ ყოველთვის რაღაცას ართმევენ, საშველად რომ მოუხმობს, სამართლიანობა მოითხოვოს — არ შეიძლება! მჩაგვრელებს ზეიმი აქვთ, იტანჯებიან ჩაგრულნი.

არაკეთილსინდისიერ უვიც აღმზრდელს ურჩევნია არ იცოდეს, რასაც ბავშვები შვრებიან, იმათი კამათის მსმენელი ხელს ჩაიქნევს, არ შეუძლია ამის გონივრული განსჯა.

„სჯობს თავად შერიგდნენ“. და აქ საკუთარივე სიმყუდროვის ვულისთვის ბავშვებისადმი რწმენა ისე შორს მიდის, რომ მისი დასაყრდენი ხდება მათი გონიერება, გამოცდილება, სამართლიანობა და ასეთ მნიშვნელოვან საკითხში მათ ანიჭებს მოქმედების თავისუფლებას.

თავისუფლებას? არა ბატონო: ჩხუბი არ შეიძლება, განვე-გამოწევა არ შეიძლება, თამაშიდან გამოსვლასაც არ დაანებებ, განზე დგომასაც. ბავშვი ნაჩხუბარია და არ უნდა — მხოლოდ და მხოლოდ — იმის გვერდით დაიძინოს, დაჯდეს მაგიდასთან, იყოს მეწყვილე. ასეთი სამართლიანი, ბუნებრივი სურვილი — და არ შეიძლება.

ბავშვები ადვილად ჩხუბობენ? არ არის მართალი, მეგობრულნი და შემწყნარებელნი არიან. მიდი და სცადე ორმოცი ადამიანი ერთ ოთახში დასვა მოუხერხებელ სკამებზე და ხუთ-ხუთი საათი მიყოლებით აკეთებინო საპასუხისმგებლო სამუშაო უფროსის გაუთავებელი მეთვალყურეობის ქვეშ — მაშინ ნახავ, ერთმანეთს თვალებს წამოუგდებენ!

ყური დაუგდე ბავშვების ჩივილებს, შეისწავლე და ბევრს დაეხმარები. მეზობელმა ხელი გაჰკრა რვეულს და ალმაცერად, უშნოდ გადაიხაზა ფურცელი ან კალამმა გაფხაჭნა, მელანმა დასვარა. კლასში ხშირად სწორედ ასეთი საჩივრები გაისმის.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქაც კარგი კაცი იყო...

ჩემთვის სამწუხაროა, რომ ლევან აბულაძე პირადად გვიან გავიცანი.

გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბის ფოიეში „საუნჯეში“ დასაბეჭდი მასალის კორექტურა მოიტანა. საკმაო ხანს ვისაუბრე ერის, ბერის, მწერლის, მხატვრის თუ მეცნიერის ბოლო წლების ხვედრზე გულნატკენ ფიზიკოსთან და ისე ახლოს აღმოვჩნდი მასთან, თითქოს მთელი ცხოვრება ვიცნობდით ერთმანეთს.

ბატონი ლევანი, მართალია, ფიზიკოსი იყო, მაგრამ მასთან საუბარში მივხვდი, რომ არანაკლებ ეჭირა თვალი ლიტერატურაზე და გარდაცვალებამდე, ათი წლით ადრე, ფიზიკა ცოტა გვერდზე გადადო და თარგმნას მოეკიდა. სხვადასხვა გაზეთებში იბეჭდებოდა მისი ნაოსტატარი, მაგრამ „საუნჯე“ ხომ ვაზეთი არაა, ის წიგნია, სამაგიდო წიგნი და სწორედ ბატონმა ლევანმაც აღნიშნული რედაქციის კარიც შეაღო.

„საუნჯის“ რედაქციამ დაიმეგობრა მოკრძალებული, მორიდებული, ფრიად განათლებული კაცი.

თქვენს ხელში არსებული დაბეჭდილი მასალის ბოლო კორექტურის წაკითხვა ვეღარ მოასწრო ბატონმა ლევანმა, მოულოდნელად აღესრულა.

ნათელში იყოს ბატონ ლევანის სული!

ვაჟა ჩორდელი